

გაერთიანებული ენათმეცნიერების
ფონდის მიერ
საერთაშორისო

გამომცემლობა „ბანათლება“

ბანათლება
1 0 6 5

რედაქტორი აკად. ბ. ახვლედიანი

წინასიტყვაობის მაგიერ

...უამისოდაც კარგად გაიკვლევს გზას ჩვენი გამოჩენილი ფონეტიკოს-ენათმეცნიერის პროფესორ სერგი ჟღენტის შრომათა ეს კრებული, ისედაც შეასრულებს იგი თავის დანიშნულებას: მიაღწევს ახალგაზრდა თუ ძველ ფილოლოგებამდე, რომელნიც სიამოვნებით, მაგრამ გულისტკივილით წაიკითხავენ დაუფიწყარი სერგი ჟღენტის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ შრომებს...

სიამოვნებით — იმიტომ, რომ მათში, როგორც წესი, ჩანს ავტორის მაღალი ნიჭიერება, მისი სრული აღჭურვილობა კვლევის ნაკადი მეთოდებით, მისი კვლევის ფართო დიაპაზონი (მხოლოდ იგი იკვლევდა ყველა ქართულური ენის ფონეტიკას ექსპერიმენტულად), მისი აზროვნების სიღრმე და დამოუკიდებლობა და, ყოველივე ამის შედეგად, მის დებულებათა დამარწმუნებლობა.

გულისტკივილით — იმიტომ, რომ მკითხველს ეცოდინება კრებულის ავტორის ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის აშკარა...

პროფ. ალ. ლონტის მშვენიერი მოკლე შესავალი მათავისუფლებს წინასიტყვაობის დაწერისაგან, მაგრამ თუ მაინც ვამბობ ამ ორიოდ სიტყვას, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ მადლიერმა ყოფილმა მასწავლებელმა აღვნიშნო ყოფილი მოწაფის ბრწყინვალე მეცნიერული წარმატება: მან არა მხოლოდ დააზუსტა და დაასაბუთა ექსპერიმენტულად ბევრი რამ მასწავლებლის დებულებათაგან, არამედ მართებულად გააკრიტიკა და გაასწორა რიგი მათგანი, რისთვისაც ყოფილი მასწავლებელი სავსეა კმაყოფილებით და მადლიერებით როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, რადგან ამით მან წინ წასწია ჩვენი მეცნიერება.

ერთი რამ უნდა დავუმატო იმას, რაც ხსენებულ შესავალშია მოკლედ ნათქვამი:

სერგი ჟღენტი იყო უაქტიურესი წევრი „სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოსი“, რომელიც 2 წლის წინათ შეიქმნა საქ. თეატრალურ საზოგადოებასთან და რომელშიც შვედინენ ჩვენი თეატრის წამყვანი მოღვაწენი და ენათმეცნიერები; განსვენებულის რედაქციით გამოვიდა საქ. თეატრ. საზოგადოების 1963 წ. მოამბე, № 1, რომელიც მთლიანად მიეძღვნა სასცენო მეტყველების საკითხებს. თუ რამდენად ეფექტური იქნებოდა სერგი ჟღენტის მოღვაწეობა ჩვენი საბჭოს მიზნებისათვის, ჩანს იქიდან, რომ იგი საგანგებოდ მუშაობდა ქართული ენის რიტმიკისა და მელოდიკის საკითხებზე, რასაც მან მიუძღვნა ორასგვერდიანი მონოგრაფია „ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა“ (1963 წ.). ამის საფუძველზე ჩვენს საბჭოში უნდა გაშლილიყო ამ მიმართულებით როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული მუშაობა.

ბევრი სხვა მნიშვნელოვანი წამოწყება შეწყდა ან შეფერხდა სერგი ჟღენტის სიცოცხლის შეწყვეტასთან ერთად...

სერგი ჟღენტის დამსახურება მეცნიერების წინაშე ღირსეულადაა აღიარებული საბჭოთა კავშირის გარეთაც. ამ მხრივ ბევრის მოქმელია გვირგვინი, რომლითაც განსვენებულის საფლავი შეამკო ბერლინის უნივერსიტეტის სახელით (სადაც სერგი ჟღენტმა წაიკითხა ლექციების სერია) აქ ჩამოსულმა იქაურმა პროფესორმა გ. მაიერმა.

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო კიდევ შემდეგი: წინამდებარე კრებული შეადგინა ალ. ლონტმა, ძნელი ტექსტის აწყობაზე დაუზარებლად იმუწავეს უნივერსიტეტის სტამბის ასოთამწყობებმა: ვ. გურგენიძემ, ი. ბედიანაშვილმა, რ. მჭავანაძემ, ა. ნოზაძემ, გ. მეტრეველმა და ნ. გოქოშვილმა, საავტორო კორექტურა წაიკითხეს შ. ძიძიგურმა, ი. მეგრელიძემ, ო. ურიდიამ, აკ. დავითიანმა, გ. კაპარავამ და ალ. ფოცხიშვილმა.

22.17.65 წ.

გ. ახვლედიანი

პროფესორი სერგი ჟღენტი

ცნობილი ქართველი მეცნიერო, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგი ჟღენტი (1912 — 1963) მოულოდნელად გამოაქლდა ჩვენს რიგებს — გარდაიცვალა სწორედ შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნის ასაკში. მას განუხორციელებელი დარჩა ბევრი შესანიშნავი ჩანაფიქრი, ხოლო დაუმთავრებელი — არა ერთი დაწყებული ნაშრომი.

პროფესორი სერგი ჟღენტი ეკუთვნოდა თბილისის უნივერსიტეტის მიერ აღზრდილ მოღვაწეთა იმ პლეადას, რომელმაც მთელი თავისი ნათელი ცხოვრება დაუკავშირა საბჭოთა მეცნიერების აყვავებასა და განვითარებას. მან გაიარა ქართული ენათმეცნიერების სახელოვანი სკოლა, რომელიც ჩვენში შექმნეს პროფესორებმა გიორგი ახვლედიანმა და აკაკი შანიძემ. წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა მოსკოვსა და ლენინგრადში აკადემიკოსების ნიკო მარისა და ლევ შჩერბას ხელმძღვანელობით. დიდი მასწავლებლების ღირსეულმა მოწაფემ ჩქარა გაიკათა საკუთარი გზა მეცნიერების მწვერვალებისაკენ.

ს. ჟღენტმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართველურ ენათა შესწავლაში. მისი მეცნიერული ჰორიზონტი სწვედებოდა ამ ენათა ფონეტიკას, გრამატიკას, ლექსიკასა და დიალექტებს. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ექსპერიმენტულ ფონეტიკაში. ოცდაათი წელიწადი მოახზარა მან ქართველური ენების ბგერითი სისტემის შესწავლას ექსპერიმენტული ფონეტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. არ გადაუპარებებთ თუ ვიტყვი, რომ ს. ჟღენტმა ახალ სიმალლეზე აიყვანა ქართული ექსპერიმენტული ფონეტიკა, რომლის ფუძემდებელიც ჩვენში გ. ახვლედიანია. მან დაამუშავა და დაწერა ძიების ახალი მეთოდები, რომელთა ეფექტურობას წლების განმავლობაში ახუსტებდა და სრულყოფდა როგორც თბილისის უნივერსიტეტის, ისე მოსკოვის, ლენინგრადის, პრადის, ბერლინის უნივერსიტეტებსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიებში. მის მიერ დადგენილ ფაქტებს მუდამ ნდობითა და საყოველთაო ინტერესით ხვდებოდნენ.

ს. ჟღენტმა დაგვიტოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი არის ავტორი 70-ზე მეტი ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულსა და უცხოურ ენებზე. ფართო გამოხმაურება გამოიწვია მისმა მონოგრაფიებმა: „გურული კილო“ (1936 წ.), „ქანური ტექსტები“ (1938 წ.), „სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები“ (1949 წ.), „ქანურ-მეგრულის ფონეტიკა“ (1954 წ.), „ქართული ენის ფონეტიკა“ (1955 წ.), „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა“ (1960 წ.), „ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა“ (1963 წ.) და სხვ. ამ ნაშრომებმა, რომლებიც უკვე დამკვიდრ-

დნენ ჩვენი მეცნიერების საგანძურში, სახელი გაუთქვეს ს. ჯღენტს არა ნარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

მკვლევარი გულმოდგინედ სწავლობდა ენობრივ ფაქტებს, ერთნაირი ინტერესით აჯერებდა ძველსა და ახალ ქართულს, ქართველურ ენათა მონაცემებს; დაკვირვებას აწარმოებდა დიალექტური მეტყველებისა და მწერლის ენის ინტონაციურ სტრუქტურაზე. ამ მიზნით შეისწავლა მან ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები და ფრიად საყურადღებო დასკვნები გამოიტანა; იგი ყოველ წელიწადს მოგზაურობდა და უშუალოდ ეცნობოდა ცოცხალი მეტყველების მელოდიკასა და აქცენტუაციას. მას ღრმად სწამდა, რომ „ქართული ენის ფონეტიკური სისტემა მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულყოფილად გამოვლინდეს, თუ ზუსტად გავითვალისწინებთ ქართული ენის მრავალფეროვანი ცოცხალი დიალექტების, ახალი და ძველი სალიტერატურო ქართულის ფონეტიკურ ფაქტებს და აგრეთვე ქანურ-მეგარულისა და სვანურის ბგერითი სისტემის მონაცემებს“.

ს. ჯღენტი კეშმარიტი თანამედროვე მეცნიერი და მოქალაქე იყო. დაუცბრომელ კვლევა-ძიებასა და უნივერსიტეტში პედაგოგიურ მოღვაწეობას იგი შესანიშნავად ათავსებდა ფართო მეცნიერულ-ორგანიზატორულ მუშაობასთან. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი, მომზადდა ათეულობით დისერტაცია. ს. ჯღენტს წლების განმავლობაში ხელმძღვანელი პოსტები ეკირა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

ს. ჯღენტმა ჩვენს უნივერსიტეტში შექმნა ექსპერიმენტული ფონეტიკის დიდი ლაბორატორია, სადაც ამჟამადც გაცხოველებული სამეცნიერო და სასწავლო მუშაობა წარმოებს. ამ ლაბორატორიაში შესრულებული გამოკვლევები ახლა საქვეყნოდაა ცნობილი.

ს. ჯღენტი მონაწილეობდა მეცნიერთა ბევრ ფორუმში როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც. 1961 წელს ექსპერიმენტული ფონეტიკის პრობლემებზე მოხსენებათა ციკლი წაიკითხა პრაღის უნივერსიტეტსა და ჩეხოსლოვაკიის სხვა სამეცნიერო ცენტრებში. 1962 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლინგვისტური საზოგადოებრივობის მოწვევით მოხსენებათა ახალი ციკლი წაიკითხა ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტში. მის საჯარო გამოსვლებს ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგები მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

პროფ. ს. ჯღენტის ღვაწლი მეცნიერების წინაშე ღირსეულად დაათვას ჩვენმა მთავრობამ: „სპეციალისტების მომზადებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 15 სექტემბრის ბრძანებულებით იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

პროფ. ს. ჯღენტის მოულოდნელად გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია საზოგადოებრივობაში, ეს მძიმე დანაკლისი გულისტკივილით აღინიშნა როგორც ჩვენს პრესასა და გამოცემებში, ისე საზღვარგარეთაც. აქ ამის მხოლოდ ორიოდ ფაქტს დავასახელებთ. აი, რას წერდა, მაგალითად, 1963 წლის 14 სექტემბერს ცნობილი ჰოლანდიელი ენათმეცნიერი პროფ. ა. კუიპერსი, რომელიც პირადად იცნობდა განსვენებულ მეცნიერს (წერილი

რუსულ ენაზეა დაწერილი, აქ ვიმოწმებთ ზეირე ნაწყვეტს): „Хотя я встречался с Сергеем Михайловичем всего лишь несколько раз — пару дней в Нью-Йорке в 1960 году, и еще пару дней в Тбилиси прошлым летом — он был такой милый, сердечный и дружелюбный человек, что с самой первой встречи казалось, будто он всю жизнь знал тебя, да не только знал, но и глубоко интересовался тобой. В Тбилиси я наблюдал, как Сергей Михайлович обращался со своими учениками, и как они ценили и любили его. Мое сочувствие распространяется на всех, которые имели связь с ним: для всех эта потеря должна быть очень горькой и печальной, так же как и для нас вдалеке... Сергей Михайлович был из тех редких людей, которые всегда будут жить в своих трудах, в работе своих учеников, в культуре своего народа и в золотом фонде науки вообще. Сергей Михайлович много трудился в своей жизни, а плоды его работы так и останутся. Мы его не забудем, и потомство его не забудет. Кавказоведы во всем мире ему благодарны за его ценный вклад в науку, и продолжают работу, которой он посвятил свою жизнь“.

ბეგრი რაშის ზემოელი ისიც, რომ ცნობილმა გერმანელმა ენათმეცნიერმა პროფ. გ. პეტმა თავისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი, რომელიც ავტორიტეტულ ორგანოშია გამოქვეყნებული, მიუძღვნა სერგი ჟღენტის ხსოვნას: G. Pütsch, Internationalismen in der modernen georgischen Sprache. In memoriam S. Shgenti, „Wissenschaftliche Zeitschrift der Friedrich-Schiller-Universität Jena, Jahrgang 13“, 1964. გვ. 111 — 117.

ბოლოს, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის პროფ. გეორგ მაიერის მეტად გულთბილი სტატია „სერგი ჟღენტის ხსოვნას“, გამოქვეყნებული განთქმულ „Zeitschrift für Phonetik“-ში. რომლის გაფართოებული სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო სერგი ჟღენტი.

პროფ. გ. მაიერი დიდად აღასებდა ს. ჟღენტის ნაშრომებს, ხოლო პირადად მათ ერთმანეთი გაიცნეს 1962 წელს ბერლინის უნივერსიტეტში. სადაც ს. ჟღენტმა მოხსენებათა ციკლი წაიკითხა ქართველურ ენათა ფონეტიკური სისტემის საკითხებზე. ს. ჟღენტის დაკრძალვიდან ორიოდე კვირის შემდეგ გ. მაიერი თბილისს ჩამოვიდა, გულწრფელად დაიტირა უღროლ ვარდაცვლილი მეგობარი და მისი საფლავი ძვირფასი გვირგვინია შეამკო.

აი, რამდენიმე ამონაწერი გ. მაიერის სტატიიდან: „1963 წლის 5 სექტემბერს პროფესორი სერგი ჟღენტი ბერლინს გამოგზავნილ თავის უკანასკნელ წერილში იწერდა, რომ იგი დიდი სიძარულით მოელის ჩემს ჩასვლას თბილისში და იმედს გამოთქვამს, რომ ეს ჩასვლა „მშვენიერ ოქროს შემოდგომა“ მოხდებოდა, როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში მის საფლავს ეპიკობდი გვირგვინით, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ემბლემა ჰქონდა, მის სამშობლოში მართლაც „ოქროს შემოდგომა“ იდგა, ჩვენს მეგობარს, ს. ჟღენტს, მისი ხილვა აღარ შეეძლო. ის იყო 51 წელი შეუსრულდა, რომ გულის უეცარმა შეტევამ შეწყვიტა მისი სიცოცხლე და ვერ მოესწრო მის მიერ წამოწყებული თანამედროვე ექსპერიმენტული ფონეტიკის ინსტიტუტის დამთავრებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“: „სკოლის დამთავრების შემდეგ ს. ჟღენტი 1927 წლიდან სწავლობდა კავკასიოლოგიას. ზოგად ენათმეცნიერებასა და ფონეტიკას თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტში, ლენინგრადსა და მოსკოვში. მისი მუდმივი ხელმძღვანელი და მასწავლებელი, რომლის მუშაობა ელენტმა შემდეგ განაგრძო, იყო გ. ახვლედიანი. ელენტის მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ აგრეთვე მარი, დონდუა, შჩერბა: „50-იან წლებში ელენტმა, მრავალმხრივ მეცნიერულ-ორგანიზატორულ სამუშაოებთან ერთად, თავისი კვლევა-ძიება მიმართა განსაკუთრებით ქართველური ენების ექსპერიმენტული გამოკვლევისაკენ. ამ ენების ბგერითი სისტემა ურთულესია ლინგვისტიკაში და თანდათანობით იკარგება კავკასიის სამწერლო ენების გაფლენით... ს. ელენტის მთავარი დამსახურებია ლაზურ, სვანურ და მეგრულ ბგერათა სისტემისა და მარცვალთა სტრუქტურის გამოკვლევა... თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში ის შეუდგა აქცენტოლოგიურსა და ტონემატიკურ კვლევა-ძიებას, რომლის დამთავრება მას ნაადრევად სიკვდილის განა აღარ დასცალდა“: „მას ყველგან პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებოდნენ მისი დიდი ობტიმიზმის, ადამიანური ღირსებებისა და გულისხნიერების გამო. უკანასკნელ წლებში იგი საზღვარგარეთაც იყო ჩეხოსლოვაკიაში. შეერთებულ შტატებსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მას შესაძლებლობა ჰქონდა თავისი კვლევა-ძიების შედეგები გაეცნო ამ ქვეყნების მეცნიერთათვის. 1962 წლიდან იგი იყო ჩვენი ფონეტიკური ჟურნალის გაფართოებულ სარედაქციო კოლეგიის წევრი“... (Georg F. Meier, In memoriam Sergi Sbgenti, „Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung. Band 16, Heft 5“, 1964). ხსენებული ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ს. ელენტის მოზრდილი პორტრეტი და წარმოების სრული სია ქართულსა და გერმანულ ენებზე.

კრებულში შეტანილია ს. ელენტის ცალკე ნარკვევები, რომლებიც 1936—1963 წლებში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის სხვა პერიოდულ გამოცემებში. რამდენიმე ნაშრომი ამოღებულია განსვენებული მეცნიერის პირადი არქივიდან და ქვეყნდება პირველად. ნაშრომების მეტი ნაწილი ეძღვნება ქართველურ ენათა ფონეტიკის საკვანძო საკითხებს. საჭიროდ დავინახეთ კრებულში ორიოდგ ისეთი მიმოხილვითი სტატიის შეტანაც, რომელშიც გაშუქებულია ცალკე სამეცნიერო დაწესებულებათა ისტორია, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება, სამეცნიერო მივლინებათა შედეგები.

კრებულის შედგენაში მონაწილეობდნენ ნ. გ. კილაძე-ელენტი და თ. ს. ელენტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა გამოუქვეყნებელ ნაშრომთა ხელნაწერების მიგნება, ავტოგრაფებთან შემოწმება, გრაფიკული სქემებისა და კლიშეების მოძებნა.

კრებულში შეტანილი მასალის სრულყოფაზე დიდი შრომა გაწია პროფ. გ. ახვლედიანმა, რომელმაც თავისი უდროოდ დაკარგული ყოფილი მოწაფის რჩეული შრომების ამ კრებულის რედაქტორის მძიმე ტვირთიც სიამოვნებით იკისრა.

წიგნს ერთვის პროფ. ს. ელენტის შრომათა ბიბლიოგრაფია, შედგენილი თვითონ ავტორის მიერ სიკვდილის წინა თვეებში — 1963 წლის ივნისში.

ალ. ლლოტი

პართული აფრიკატების შედგენილობა მძსპერიმენტული მონაცემებით

ქართულს ექვსი აფრიკატი აქვს: სამი წინაენისმიერი სისინა (ძ, ც, წ) და სამი ენანუნისმიერი შიშინა (ჯ, ჩ, ჭ). ამ აფრიკატთა შემადგენელ კომპონენტებად იგულისხმება მარტივი თანხმოვნები: ძ - დზ, ც = თს, წ = ტს, ჯ - დუ, ჩ - თშ, ჭ = ტშ. ყოველი აფრიკატი ჩვეულებრივი თანხმოვნისაგან განსხვავდება რთული არტიკულაციითა და არტიკულაციური მოძრაობის უფრო მეტი ხანგრძლიობით [1].

აფრიკატების შედგენილობა და ბუნება ზუსტად რომ გამოგვეჩვენა, მათი კიმორამების ანალიზი E. W. Scripture-ის გრაფიკული მეთოდით შევასრულეთ [2].

Scripture-ის გრაფიკული მეთოდი დაფუძნებულია „ენის მოლეკულარულ თეორიაზე“. ენის მოლეკულარული თეორია გულისხმობს: მეტყველებითი მოძრაობების შედეგია გარეგანი ანუ წარმოთქმული მეტყველება. ენობრივი აქტი ჰაერნაკადის საშუალებით აშკარადება. ყოველი ცალკე წარმოთქმული ერთეული იქნება ენობრივი მოლეკულა. მაგალითად: „მა“ ცალკე წარმოთქმული ენობრივი მოლეკულაა, სიტყვა „მამა“-ც აგრეთვე ენობრივი მოლეკულაა, ისე როგორც ასეთი წინადადებაც: „დღეს ძალიან კარგი ამინდია“.

ენობრივი მოლეკულა აიგება სხვადასხვა ენობრივი ატომებისაგან. ენობრივი მოლეკულა წარმოადგენს ენობრივი ატომების სინთეზს. ენობრივ ატომთა რიგი ერთმანეთთან შეკავშირებულნი გვადლევენ ბგერას ისე, როგორც ატომთა ჯგუფი ჰქმნის სიტყვასაც. მაგრამ ატომთა ფორმები და მიმართულებანი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულია. ენობრივი ატომი, ისე როგორც მოლეკულაც, შეიცავს ხუთ თვისებას: ხანგრძლიობას, სიმაღლეს, სიძლიერეს, კვალიტეტს, ანუ ტემბრს, და სიზუსტეს.

ქართული აფრიკატების მოლეკულარული აგებულება შემდეგ სურათს იძლევა:

1 — ძ შედგება შვიდი ენობრივი ატომისაგან: 1. სუსტრხევებიანი აღმავალი მრუდი. რომელიც შეესატყვისება სკლომის შედეგად ჰაერნაკადის ზრდას. 2. ისევე სუსტრხევებიანი მრუდი, რომელსაც ჰორიზონტალური მიმართულება აქვს. ეს შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავენას. 3. უფრო ძლიერხევებიანი ვარდნილი მრუდი. რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შემცირებას. 4. ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავენას. 5. უფრო ძლიერხევებიანი აღმავალი მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის გაზრდას. 6. უფრო ძლიერხევებიანი ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავენას. 7. უფრო სუსტრხევებიანი დამავალი მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შესუსტებას, გაქრობას.

2 — დ შედგება სამი ატომისაგან: 1. სწრაფად აღმავალი ურხვეო მრუდი, რომელიც შეესატყვისება სკლომის მომენტს. 2. რხევებიანი ოღნავ დამავალი მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას და 3. რხევებიანი დამავალი მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შესუსტებას, გაქრობას.

3 — ზ შედგება სამი ატომისაგან: 1. ნელა აღმავალი სუსტრხევებიანი მრუდი, რომელიც შეესატყვისება გაზრდილ ჰაერნაკადს. 2. უფრო ძლიერრხევებიანი ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას. 3. რხევებიანი დამავალი მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შესუსტებას, გაქრობას.

4 — ჯ შეიდი ენობრივი ატომისაგან შედგება ისე, როგორც ძ (1). ჯ-ს ენობრივი ატომების ფორმებისა და მიმართულებების შესახებ იგივე შეიძლება ითქვას, რაც ძ-ს ენობრივი ატომების ფორმებისა და მიმართულებების შესახებ აღვნიშნეთ. ოღონდ ეს კია, რომ ჯ-ს, როგორც შიშინა აფრიკატის, ატომების ფორმები განსხვავდება ძ-ს, როგორც სისინა აფრიკატის, ფორმებისაგან.

5 — ე სამი ენობრივი ატომისაგან შედგება ისე, როგორც ზ (3). ე-სა და ზ-ს ენობრივი ატომების ფორმები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რამდენადაც ერთი შიშინაა და მეორე სისინა. დ-ს შესახებ იხ. ზემოთ (2).

6 — ც შეიდი ენობრივი ატომისაგან შედგება: 1. სწრაფად აღმავალი ურხვეო მრუდი, რომელიც შეესატყვისება სკლომის მომენტს. 2. დახრილი ურხვეო მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას. 3, 4, 5, 6 და ატომის მიმართულება მსგავსია ძ-სა და ჯ-ს 3, 4, 5, 6 და 7 ატომის მიმართულებისა, მხოლოდ ც-ს ენობრივი ატომების მრუდები ურხვეოა.

7 — თ სამი ატომისაგან შედგება ისე, როგორც დ (2). თ-ს ენობრივი ატომების ფორმები და მიმართულებანი ძალიან მიაგავს დ-ს ენობრივი ატომების ფორმებსა და მიმართულებას, ოღონდ თ-ს ურხვეო ატომები ახასიათებს.

8 — ს სამი ენობრივი ატომისაგან შედგება და ეს ენობრივი ატომები მიაგავს ზ-ს ენობრივ ატომებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ს-ს ენობრივი ატომები ურხვეოა.

9 — ჩ შეიდი ენობრივი ატომისაგან შედგება ისე, როგორც ც (6). ჩ-ს ენობრივი ატომების ფორმები და მიმართულებანიც ძალიან მიაგავს ც-ს ენობრივი ატომების ფორმებსა და მიმართულებებს.

10 — შ სამი ენობრივი ატომისაგან შედგება. ეს ენობრივი ატომები მიაგავს ე-ს (5) ენობრივი ატომების ფორმებსა და მიმართულებებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შ-ს ენობრივი ატომები ურხვეოა. თ-ს შესახებ იხ. ზემოთ (7).

11 — წ შედგება ცხრა ენობრივი ატომისაგან: 1. აღმავალი ურხვეო მრუდი, რომელიც შეესატყვისება პირში მომხდარი ხშვის სკლომის მომენტს. 2. ურხვეო ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას. 3. დამავალი ურხვეო მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შემცირებას. 4. ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას. 5. აღმავალი ურხვეო მრუდი, რომელიც შეესატყვისება მზარდ ჰაერნაკადს. 6. ურხვეო ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შესუსტებას. 8 და 9 ენობრივი ატომების მრუდები შეესატყვისება ხორხის მოძრაობასა და ყვლ-ხშულობის სკლომის მომენტს. ეს მომენტი განსაკუთრებით კარგად ჩანს ტ-ს კიმოგრამიდან.

12 — ტ სუთი ენობრივი ატომისაგან შედგება: 1. სწრაფად აღმავალი ურხევო მრუდი, რომელიც შეესატყვისება მზარდ ჰაერნაკადს. 2. თითქმის ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას. 3. სწრაფად დამავალი ურხევო მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის უცებ მოწყვეტას, მის შესუსტებას. 4 და 5 ყელზშვისა და სკდომის მომენტს შეესატყვისება. ს-ს შესახებ იხ. ზემოთ (8).

13 — ჭ ცხრა ენობრივი ატომისაგან შედგება ისე, როგორც წ (11). 8 და 9 ენობრივი ატომი ყელზშვისა და სკდომის მომენტს შეესატყვისება. ჭ-ს ენობრივი ატომების ფორმები და მიმართულება ძალიან მიაგავს წ-ს ენობრივი ატომის ფორმებსა და მიმართულებას, ამიტომ ჭ-ს შესახებ იგივე შეიძლება ითქვას, რაც ზემოთ წ-ს შესახებ ვთქვით. ტ-სა (12) და შ-ს (10) შესახებ იხ. ზემოთ.

ქართული აფრიკატების ხმოვნებთან ერთად წარმოთქმამ საესებით დაადანტურა ის შედეგები, რომლებიც ჩვენ ცალკეული აფრიკატის წარმოთქმისას მივიღეთ.

14 — ძა ათი ენობრივი ატომისაგან შედგება: 1. ნელა აღმავალი რხევებიანი მრუდი, რომელიც შეესატყვისება მზარდ ჰაერნაკადს. 2. დამავალი ურხევო მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შესუსტებას. 3. ჰორიზონტალური მიმართულების ურხევო მრუდი, რომელიც შეესატყვისება ხშვას, ჰაერნაკადის შეკავებას. 4. აღმავალი სუსტრხევებიანი მრუდი, რომელიც შეესატყვისება მზარდ ჰაერნაკადს. 5. ჰორიზონტალური მიმართულების ურხევო მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას. 6. დამავალი სუსტრხევებიანი მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შემციობებას. 7. ურხევო ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას. 8. სუსტრხევებიანი აღმატალი მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის ზრდას. 9. სუსტრხევებიანი ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას. 10. სუსტრხევებიანი დამავალი მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შესუსტებას. გაქრობას. 1 და 2 ენობრივი ატომი ეკუთვნის ა-ს. 3, 4, 5 და 6 ეკუთვნის დ-ს. 6, 7, 8 და 9 ეკუთვნის ზ-ს. 9 და 10 ეკუთვნის მორე ა-ს. ამგვარად, ტოლობა ასეთია:

ა ძ ა = ა დ ზ ა.

15 — აჯ ათი ენობრივი ატომისაგან შედგება ისე, როგორც ა ძ ა (14). აჯ ა-ს ენობრივი ატომების ფორმები და მიმართულებები მიაგავს ა ძ ა-ს ენობრივი ატომების ფორმებსა და მიმართულებებს. 1 და 2 ეკუთვნის ა-ს. 3, 4, 5 და 6 ეკუთვნის დ-ს. 6, 7, 8 და 9 ეკუთვნის ჟ-ს. 9 და 10 ეკუთვნის მორე ა-ს. ტოლობა ასეთია:

ა ჯ ა = ა დ ჟ ა.

16 — აც ათი ენობრივი ატომისაგან შედგება. აქედან: 1 და 2 ეკუთვნის ა-ს. 3, 4, 5 და 6 ურხევო ენობრივი ატომები ეკუთვნის თ-ს. 6, 7, 8 და 9 ურხევო ენობრივი ატომები ეკუთვნის ს-ს. 9 და 10 ენობრივი ატომების რხევებიანი მრუდები ეკუთვნის მორე ა-ს. ტოლობა ასეთია:

ა ც ა = ა თ ს ა.

17 — აჩა ათი ენობრივი ატომისაგან შედგება. აქედან: 1 და 2 ეკუთვნის ა-ს. 3, 4, 5 და 6 ეკუთვნის თ-ს. 6, 7, 8 და 9 ეკუთვნის შ-ს. 9 და 10 ეკუთვნის მეორე ა-ს. ტოლობა ასეთია:

$$აჩა = ათშა.$$

18 — აწა შედგება ათი ენობრივი ატომისაგან: 1. ნელა აღმავალი რხევებიანი მრუდი, რომელიც მზარდ ჰაერნაკადს შეესატყვისება. 2. ურხევო და მავალი მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შემციირებას. 3. ურხევო ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ხშვის მომენტს, ჰაერნაკადის შეკავებას. 4. აღმავალი ურხევო მრუდი, რომელიც შეესატყვისება სკდომის შედეგად ჰაერნაკადის ზრდას. 5. ჰორიზონტალური მიმართულების მრუდი, რომელიც შეესატყვისება ჰაერნაკადის შეკავებას. 6. და მავალი ურხევო მრუდი, რომელიც ჰაერნაკადის შემციირებას შეესატყვისება. 7. ჰორიზონტალური მიმართულების ურხევო მრუდი, რომელიც ყელხშვას, ჰაერნაკადის შეკავებას შეესატყვისება. 8. აღმავალი ურხევო მრუდი, რომელიც ყელხშვის სკდომას შეესატყვისება. 9. ჰორიზონტალური მიმართულების რხევებიანი მრუდი, რომელიც ჰაერნაკადის შეკავებას შეესატყვისება და 10. დამავალი რხევებიანი მრუდი, რომელიც ჰაერნაკადის შესუსტებას, გაქრობას შეესატყვისება. აქედან: 1 და 2 ეკუთვნის ა-ს. 3, 4, 5 და 6 ეკუთვნის ტ-ს. 6, 7, 8 და 9 ეკუთვნის ხ-ს და 9 და 10 ეკუთვნის მეორე ა-ს. ტოლობა ასეთია:

$$აწა = ატსა.$$

19 — აქა ათი ენობრივი ატომისაგან შედგება და თითქმის იმეორებს აწა-ს ენობრივ ატომებს. 1 და 2 ეკუთვნის ა-ს. 3, 4, 5 და 6 ეკუთვნის ტ-ს. 6, 7, 8 და 9 ეკუთვნის შ-ს. 9 და 10 ეკუთვნის მეორე ა-ს. ტოლობა ასეთია:


$$აქა = ატშა.$$

ქართული აფრიკატების კიმოგრაფიული მრუდების ანალიზის შედეგად შემდეგი კანონზომიერება ირკვევა:

1. ყოველი აფრიკატი შედგება შვიდი ენობრივი ატომისაგან, ხოლ მისი შემადგენელი ყოველი კომპონენტი კი — სამი ენობრივი ატომისაგან. გა მონაკლისს მკვეთრი აფრიკატები (წ, ქ) შეადგენს, რომლებსაც ორი ენობრივი ატომი ყელხშვისა და სკდომის შედეგად ემატება და შეიცავენ ცხრა-ცხრა ენობრივ ატომს. ცალკე წარმოთქმული აფრიკატების ანალიზის შედეგები სავსებით დასტურდება აფრიკატების ხმოვნებთან ერთად წარმოთქმის ანალიზის შედეგებითაც.

2. ყოველი აფრიკატის შემადგენელი კომპონენტებია: ხშული და სპირანტი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აფრიკატი განხილული იქნეს, როგორც მექანიკური შეერთება ხშული და სპირანტი თანხმოვნებისა. ყოველი აფრიკატის დაწყება სკდომის მოუხდენლად უშუალოდ გადადის ნაპრალისებურ გაგრძელებაში. ეს არ ითქმის მკვეთრი ანუ ყელხშული აფრიკატების (წ, ქ) შესახებ, რომელთა ნაპრალისებური დაბოლოება თავდება ყელხშვით, რომელსაც წინ უსწრებს პირში ხშვის მომენტი.

Sievers-ის აზრით [3] ქართული მკვეთრების წარმოთქმისას ადგილი აქვს პირის ღრუში ხშვას და სახმო სიმების მკიდროდ დაკეტვას. პირში სკდომის შედეგად მხოლოდ პირის ღრუში მყოფი ჰაერი გამოდის ხორხის ზემოთ აწე-



ფიგ. 1.

ეთა და ხორხში ხშვის სკდომის მოხდენით, რომელიც უშუალოდ მოსდევს პირში ექსპლოზიას. Sievers-ის ეს თეორიული მოსაზრება ქართული მკვეთრების წესახებ საესებით დადასტურეს ჯერ კიდევ Rousset-ის ქართულ-მეცნიერული მკვეთრების კომოგრაფიულმა მრუდებმა [4] და შემდეგ რ. შორის მიერ ქართული და ქანური მკვეთრებისათვის შესრულებულმა კომოგრაფიულმა მრუდებმა [5]. ჩვენი კომოგრაფიული მრუდებიც ამასვე ადასტურებენ. კერძოდ, ამაზე მიუთითებს ტ, წ, კ-ს წარმოთქმისას ჩამწერი კალმის უცებ მოწყვეტა და ნულხაზს ქვევით ჩამოვარდნა, შემდეგ ისევ ავარდნა (იხ. 11, 12, 13). ალბათ, ამიტომ არის, რომ ქართულში და ქართველურ ენებში საერთოდ მკვეთრ აფრიკატთა სპირანტიზაცია არ ხდება. ამ შემთხვევაში ხელის შემშლელად უცლხშვის მომენტი უნდა მივიჩნიოთ. მართალია, პირში ხშვა იხსნება, მაგრამ უცლხშვით სპირანტის წარმოთქმა შეუძლებელია. ამიტომაც არის, რომ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში ხშირია შემთხვევა, როდესაც მკვეთრი აფრიკატები მარტივებიან და იქცევიან მკვეთრ ხშულ ტ-დ, ან, პირიქით, ტ-ს გააფრიკატება ხდება წ-დ, ან ჰ-დ, მაგრამ არც ერთხელ არ დასტურდება, რომ მკვეთრ აფრიკატთა (წ, ჰ) შემადგენელი სპირანტი კომპონენტები (ს, შ) რთულდებოდნენ, მკვეთრ ხშულ აფრიკატებად (წ, ჰ) იქცეოდნენ, ან, პირიქით, მკვეთრ აფრიკატთა (წ, ჰ) სპირანტიზაცია ხდებოდა, როგორც ეს სხვა არამკვეთრ აფრიკატებს ახასიათებს. მაგალითად, ქართ. ს წ ო რ ი || დიალ. ს ტ ო რ ი; ქართ. ს წ ა ე ლ ა || დიალ. ს ტ ა ე ლ ა. ქართ. ს წ რ ა ფ ი || დიალ. ს ტ რ ა ფ ი. ქართ. ს ა ნ წ ა უ ლ ი || დიალ. ს ა ს ტ ა უ ლ ი. ქართ. კ ე ი ნ წ ი ლ ა || კ ე ი ნ ტ ი ლ ა „საგრძნობი ანუ საკუდიანო ზეთი, ვითამც წაისვამდნენ და გაფრინდებოდნენ“ (საბა). ქართ. ა კ ა კ რ ე ბ ა || ა კ ა ტ რ ე ბ ა „მსხალთა შეხმობის დაწყება“ (საბა). ქართ. ტ ვ ი რ თ ი || დიალ. ჰ ვ ი რ თ ი. ქართ. ტ ი ლ ყ ვ ა ვ ი || ჰ ი ლ ყ ვ ა ვ ი. სვან. (ბზ) კ ო ტ რ ო ლ || კ ო წ რ ო ლ || კ ო ჰ რ ო ლ 'პატარა'. კან. წ ა ჰ || ტ ა ჰ: წ ა ჰ უ მ ს || ტ ა ჰ უ ნ ს (მარს, 218) 'წვეთავს' და სხვ.

4. აფრიკატის წარმოთქმისას ხშვასა და ნაპრალს ერთიდაიგივე საწარმოთქმო ორგანოები ჰქმნიან. ეს ორი არტიკულაცია იმდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან შერწყმული, რომ ხშვიდან ნაპრალზე გადასვლისას საზღვარი შეუძნეველი რჩება, რადგან ხშულის ბოლო ენობრივი ატომი უშუალოდ გადადის სპირანტის პირველ ენობრივ ატომში და ამით აფრიკატი დამოუკიდებელი ფონემის ერთ მთლიან სახეს იღებს.

5. აფრიკატებში ხშვის მომენტი შემართვის დროს ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ცალკე წარმოთქმულ ჩვეულებრივ ხშულ თანხმოვნებში. ეს კი გვაძლევს საფუძველს აფრიკატთა შემადგენლობაში ხშული კომპონენტი რედუცირებულად მივიჩნიოთ. გარდა ამისა, აფრიკატებში სპირანტი კომპონენტებიც რედუცირებულია. ალბათ, ეს გარემოება დიდად უწყობს ხელს აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესს ქართველურ ენებში. იმის მიხედვით, თუ რომელი კომპონენტია უფრო ნაკლებ-რედუცირებული — ხშული თუ სპირანტი, ადგილი აქვს აფრიკატის მარტივ სპირანტად ან ხშულად ქცევას.

როგორც ცნობილია, რუსულს ორი აფრიკატი აქვს: ა და ყ. ლ. შჩერბა ფიქრობს, რომ რუსულში ა და ყ ხმით განსხვავდება თც და თა-საგან, რომ ა-სა და ყ-ში თ-ს სკდომას არა აქვს ადგილი, ხოლო ც და ყ კი ძალიან მოკლებულია [6]. ვ. ბოგოროდიცკი რუსული ა და ყ-ს პალატოგრაფების ანალიზის საფუძველზე არ ეთანხმება საესებით ლ. შჩერბას ამ მოსაზრებას და აღნიშნავს,

რომ ა-სა და ყ-ს წარმოთქმისას სკდომას აქვს ადგილი, მაგრამ მათი პირველი კომპონენტის (r) სკდომა დამოუკიდებლად, განსაკუთრებით კი არ ხდება, არამედ ც-სა (ა-ს წარმოთქმისას) და ყ-სათვის (ყ-ს წარმოთქმისას) მოწყობილ ნაპრალში [7]. გ. ახვლედიანი აფრიკატის შემადგენლობაში ხედავს რედუცირებულ სპირანტს. მისი აზრით, აფრიკატის მიღება შესაძლებელია, უკეთეს ხშულში რედუცირებული სპირანტული ელემენტი ჩასახება (მაგალითად, პალატალიზაციის ნიადაგზე). ის წერს: „ჩვენი მოსაზრების თანახმად გ, ქ, კ-ს აფრიკატიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ იმავე რედუცირებული სპირანტის ჩასახვით“ ([1], 130).

ქართული აფრიკატების კიმოგრაფიული მრუდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აფრიკატთა შემადგენელი სპირანტი კომპონენტები მართლაც რედუცირებული და მოკლებია. ეს ადასტურებს ლ. შჩერბასა და გ. ახვლედიანის მოსაზრებას. ხოლო, რაც შეეხება ხშეისა და სკდომის მომენტებს აფრიკატებში, ჩვენი კიმოგრაფიული მრუდების მიხედვით სუსტი ხშვა და უმნიშვნელო სკდომა შეინიშნება, ეს კი გვაძლევს საფუძველს აფრიკატთა შედგენილობაში ხშული კომპონენტიც რედუცირებულად მივიჩნიოთ.

ციტირებული ლიტერატურა

1. გ. ახვლედიანი. ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, I. 1937. გვ. 134.
2. E. W. Scripture. Anwendung der graphischen Methode auf Sprache und Gesang. Leipzig, 1927.
3. E. W. Scripture. Der Molekularbau des russischen Sprachlauts štš. Zeitschrift für exper. Phonetik, Bd. I, H. 3—4, 1932, 164—170.
4. Sievers. Grundzüge der Phonetik, 1901, 141.
5. Rousselot. Principes de Phonétique Expérimentale, t. II, 863—865.
6. P. Шор. О консонантизме яфетических языков Ю. Кавказа. Ученые Записки Института Этнических Культур Народов Востока, т. I, 1930, 174.
7. Э. Рихтер. Как мы говорим, 1913, 24.
8. В. А. Богородицкий. Фонетика русского языка в свете экспериментальных данных, 1930, 143.

1945 წ.

ხმოვანთა ფონეტიკური შემართვა სვანურში

ცნობილია, რომ ხმოვანთა შემართვა-დამართვა ენების (resp. დიალექტების) მიხედვით განსხვავებულია. ეს საკითხი არა მარტო ენათმეცნიერებას და, კერძოდ, ფონეტიკას აინტერესებს, არამედ მის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ვოკალური პედაგოგიკისთვისაც. გარდა ამისა, ენაბლუობის გასწორების საქმეში სპეციალისტებს დიდი დახმარება გაუწვია ხმოვნის შემართვის საკითხის გამოკვევამ, ვინაიდან ბგერის შემართვის გადალახვა ენაბლუს პეტყველებაში არსებით მომენტს შეადგენს.

E. Sievers-ი ხმოვანთა შემართვის (და დამართვის) სამ სახეობას ასხვავებს: მაგარს, ანუ ძლიერს, რბილს, ანუ ნელსა და ფშვინეიერს [1]. იგივე Sievers-ი ხმოვანთა წარმომქმნელი სამი ძირითადი ფაქტორიდან (ექსპირატორული ჰაერნაკადი, სახმო სიმების მდგომარეობა გარკვეული ტონისათვის და ზესადგამი მილის მოწყობა გარკვეული რეზონანსისათვის) სახმო სიმების მდგომარეობას შემართვისა და დამართვის ძირითად ფაქტორად ასახელებს.

შემდგომ სხვადასხვა ავტორის მიერაც დადასტურებულ იქნა ის ფაქტი, რომ საერთოდ ხორხისა და, კერძოდ, სახმო სიმებისა და ექსპირაციის შეხამებული მოქმედება ბგერის წარმოსაქმნელად სხვადასხვაგვარი შემართვის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

რამდენადაც ხორხი სახმო სიმებითურთ წარმოადგენს სავენტილაციო აპარატს, ჰაერნაკადის მოძრაობის საფუძველზე მასში წარმოიშვება ისეთი რხევები, რომელთა მსგავს რხევებს ჩვენს სხეულში სხვაგან აღგილი არა აქვს.

ფონაციის დროს ძირითადი მნიშვნელობა აქვს სახმო სიმების ორი მამართულებით მოძრაობას: შიგნიდან გარეთ, ე. ი. პორიზონტალურსა, და ქვევიდან ზევით, ე. ი. ვერტიკალურს.

Sievers-ი ხმოვნის მაგარ, ანუ ძლიერ შემართვაზე რომ ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს სახმო სიმების სრული დაკეტილობა. ეს დაკეტილობა ქვემოდან მოწოლილმა ჰაერნაკადმა უცებ უნდა გახეთქოს, რაც სახმო სიმების ვიბრაციას გამოიწვევს. ამ საფუძველზე ხმა წარმოიშვება და იწყება ხმოვნის წარმოთქმა, ეს აქტი — სიმებშუა არის გახსნისა — ფონეტიკურად განსაკუთრებული ნიშნით (?) აღინიშნება (ფრანგ. coup de glotte). ცნობილია, რომ მაგარი, ანუ ძლიერი შემართვა ახასიათებს ჩრდილო გერმანულს [2]. ხმოვნის ამგვარი შემართვა შეიძლება იგულისხმოს კაცმა, ქართულში რომ შორისდებულები გვაქვს: 'ა! (რაიმეს აკრძალვა), 'ე! (უკმაყოფილება), იმერული: 'იმე და სხვ. როგორც ამას აღნიშნავს გ. ახვლედიანი, მეგრულში ხმოვნის ძლიერი შემართვის ნიშნუშვებია: 'უდე (სახლი), 'უჯი (ყური), 'ა (ტოტი), 'ალი (კისერი), 'ინუა (ყინვა), 'ონა (ყანა) და სხვ. [3].

Panconcelli-Calzia-ს მიერ მაგარი, ანუ ძლიერი 'ა-სათვის შესრულებული კიმოგრამა გვიჩვენებს, რომ დასაწყისში ჰაერნაკადის მოწოლა და სახმო სიმე-

ბის ყველა ნაწილის სრული დაკეტილობა გრაფიკულად სწორ ნახაზს იძლევა, მაგრამ ამას თან მოსდევს ჩამწერი კალმის სწრაფად ზევით ავარდნა და კალმის რხევება. ჩამწერი კალმის ავარდნა შეესატყვისება სახმო სიმებში მომხდარ სკდომას და რხევები კიდევ სახმო სიმების ვიბრაციას 'ა'-ს წარმოსათქმელად [4]. მაგარი, ანუ ძლიერი შემართვის განსაკუთრებულ ნიშან-თვისებად უნდა მივიჩნიოთ სახმო სიმების შედარებით მეტი დაკიმულობა და მოქმედების მეტი ენერგიულობა. ეს ნიშნები კარგად ჩანს კიმოგრაფული მრუდის მიხედვით.

E. Früscheლs-ის აზრით, ენაბლუებში ხმოვანთა წარმოთქმისას სიძნელე წარმოიშეგება მაგარი შემართვისგან. ის წერს: „ბევრი ამტკიცებს (Lihmann), რომ ენაბლუობა ხმოვან ბგერებზე არ არსებობს. ხმოვანთა წარმოთქმის სიძნელე წარმოიშეგება მაგარი შემართვისგან, რომელიც, ზუსტად რომ ვთქვათ, ხმოვანს არ ეკუთვნის და წარმოადგენს ფუნქციას იმ კუნთებისას, რომლებიც ყიას კეტავენ, მაგრამ იმ ელემენტების ფუნქციას არა, რომლებიც ვიბრაციას ახდენენ“ ([5], 23). Erüscheლs-ის ამ მსჯელობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მას მაგარი, ანუ ძლიერი შემართვა ხმოვნის კუთვნილ ელემენტად კი არ მიაჩნია, არამედ იმ კუნთებისა და ელემენტების ფუნქციად, რომლებიც ყიის დაკეტილობას იწვევენ.

წარმოთქმის თვალსაზრისით შედარებით უფრო მეტ სიძნელეს შეიცავს ხმოვანთა რბილი, ანუ ნელი შემართვა. ამიტომ უმეტესობა ენებისა ასეთ შემართვას გაურბის. Früscheლs-ს და ი. სიკორსკის გამოკვლევული აქვთ, რომ ენაბლუებს ბგერის წარმოთქმისას არ შეუძლიათ მოახდინონ რბილი, ანუ ნელი შემართვა. ფიზიოლოგიურად შემართვის ეს სახეობა ხასიათდება შემდეგით: ყია საესებით დაკეტილი არ არის, ოღონდ სახმო სიმები აბსოლუტურად ზუსტად არიან ერთმანეთთან მიახლოებული გარკვეული ხმოვნის წარმოსათქმელად. ქვემოდად მოწოლილი ჰაერნაკადი ერთბაშად კი არ ახდენს სახმო სიმების სკდომას, არამედ თანდათანობით. ამგვარად წარმოთქმული ხმოვნები შეიძლება მივიჩნიოთ ჩქამშეურეველ ხმოვნებად. მაგალითად, ასეთი სახის შემართვა ახასიათებს სამწერლობო რომანულ ენებს. შემართვის ეს სახეობა ფონეტიკურად წერაში არ აღინიშნება.

Panconcelli-Calzia-ს რბილი, ანუ ნელი შემართვის კიმოგრამა გვიჩვენებს: დასაწყისში გვაქვს ურხევო მრუდი, რომელიც შეესატყვისება საფონაციო ორგანოების წყნარ მდგომარეობას; შემდეგ იწყება სუსტი რხევები, რომლებიც თანდათან ძლიერდებიან და ბოლოს ისევ სუსტდებიან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხმა იწყება რბილად, ძალდაუტანებლად და ასევე თავდება ([4], გვ. 46).

უფრო გავრცელებულია და თავისებური ხმოვნის შემართვის ფშვინვიერი სახეობა. Sievers-ი შემართვის ამ სახეობის შესახებ ამბობს, რომ ექსპირაცია იწყება ღია სიმებს შუა ნაპრალში მანამდის, სანამ სახმო სიმები ტონს წარმოშობენ ([4], გვ. 152). ვინაიდან სახმო სიმებს შორის რჩება ნაპრალი და ექსპირაცია უსწრებს ტონისათვის სახმო სიმების მოქმედებას, ამის გამო სახმო სიმებს უმნიშვნელო დაკიმულობა ახასიათებს და სანამ სახმო სიმები რხევას დიწყებენ, მათ აქვთ ფშვინვისათვის საჭირო მდგომარეობა. ფონეტიკურად ეს აღინიშნება h ნიშნით. როგორც ცნობილია, ასეთი შემართვა ახასიათებს სალიტერატურო გერმანულს (მაგალითად, haben). Panconcelli-Calzia შენიშნავს, რომ გერმანულად მოლაპარაკე იტალიელი ნაცვლად იმისა, რომ თქვას:

„hellblauen Himmel“, ამბობს: „el:blauen im:el“, ვინაიდან იტალიურს ახასიათებს არა ფშვინიერი, არამედ რბილი, ანუ ნელი შემართვა ([4], გვ. 46).

Früschels-ისა და ი. სიკორსკის მტკიცებით ხმოვნის ფშვინიერი შემართვა განსაკუთრებით დამახასიათებელია ენაბლუებისათვის. Früschel-ი ამბობს, რომ „ენაბლუს ფშვინით სურს თავიდან აიცილოს მაგარი შემართვა“ ([5], გვ. 23). ი. სიკორსკიც ასე ფიქრობს: „ფშვინიერი ბგერის წარმოთქმას ნაკლები სიძნელები ახლავს ენაბლუსათვის, ვიდრე წმინდა ხმოვნის წარმოთქმას“ ([6], 255).

ამ ავტორების აზრით, ხმოვნებს ძლიერი ფშვინვა ახასიათებს როგორც ინსპირატორული, ისე ექსპირატორული კრუნჩხვების შემთხვევაში. მათ ისიც კარგად იციან, რომ ხმოვანთა ასპირაცია დამახასიათებელია ნორმალური მეტყველებისთვისაც. ოღონდ სხვადასხვა ზომით სხვადასხვა ენაში, და მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ, სამეტყველო მოძრაობათა ზედმეტი სისწრაფის შედეგად, მეტყველების ცალკეული მექანიზმის მუშაობის არაზუსტი შეკავშირება ხდება ([6], 51).

ფშვინვა წარმოადგენს გარდამავალ როლს ხმოვნის წარმოსათქმელად, რადგან მას წარმოთქმისას სამეტყველო აპარატის დაყენება ხმოვანისებურია. ამიტომ ი. სიკორსკის ხმოვანთა ფშვინით წარმოთქმის ვარჯიში ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია ენაბლუობის გასასწორებლად.

Panconcelli-Calzia-ის ფშვინიერი ხის კიმოგრამა გვიჩვენებს, რომ სანამ სახმო სიმების ვიბრაციები დაიწყებოდეს, მანამდის ჩამწერი კაფსულა ურხევო ავარდნას ახდენს, რაც შეესატყვისება იმ ჩქამს, რომელსაც ექსპირაცია წარმოშობს სახმო სიმების მიახლოებამდის ([4], გვ. 46).

პროფ. ფ. ზასედატელეგმა მომღერლებთან (ლაბინსკისთან და ტრუბინთან) ჩატარებული ცდებით გამოარკვია, რომ ბგერის სწორი შემართვის დროს მომღერლის პირთან დაქერილი სანთლის ალი არ ირხევა ([7], გვ. 125). ეს ცდა კიდევ უფრო ნათელს ხდის ჩვენთვის ხმოვანთა სწორი შემართვის ბუნებას.

თუ რა სახის შემართვა ახასიათებს ქართულ წარმოთქმას, ამის შესახებ გარკვეული მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. ახვლედიანს. ის ძველი და ახალი ქართულის მასალების გათვალისწინების საფუძველზე შემდეგ დასკვნას იძლევა: „როგორც ჩანს, ქართულში ძველად უფრო გავრცელებული იყო ხმოვნის ფშვინიერი შემართვა, ვიდრე დღეს: ამას მოწმობს ხმოვნის წინ მ-ს თანდათან გადავარდნა დამწერლობაში“ ([3], გვ. 100).

თითქოს უდავოა ის ფაქტი, რომ ძველ ქართულს ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა ახასიათებდა, და ისტორიულად ამ მოვლენას საერთოდ ქართველურ ენებშიც უნდა ჰქონოდა ადგილი, რასაც დღეს ქართველური ენებისა და ზოგიერთი ქართული კილოს მონაცემები ადასტურებენ.

ქართველური ენებიდან ხმოვანთა ფშვინიერი შემართვის ხელშესახებ მასალებს იძლევა სვანური ენა: ბალსზემოური (ბზ.) და ბალსქვემოური (ბქვ.) კილოები.

პირველ რიგში დავასახელებთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ქართულიდან არიან სვანურში შესული, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა მოდიფიკაცია განიცადეს ხმოვნებმა შემართვის მხრივ.

მაგალითად, ქართ. არაყი, ბზ. წარმოითქმის: შარაყ. ქართ. ალი, ბქვ. ჰელ. ქართ. აბჯარი, ბზ., ბქვ. შაბჯარ. ქართ. ავშარა, ბზ. შავშარა.

ქართ. აბედი, ბზ. ჰაბედ (შდ. ლხმ. ჰობედ). ქართ. ალაგე, ბზ. ჰალგე-ქართ. ეკვი, ბქვ. ჰეკუტ. ქართ. ელდა, ბზ., ბქვ. ჰელ. ქართ. ალვის ხე, ბზ. „ჰალვან შეგანმ“. ქართ. ავეჯი, ბზ. ჰავეჯ 'იარალი, თოფი'. ქართ. ავდარი, ბზ. ჰავდარ (შდ. ძვ. ქართ. ჰავი) და სხვ. ქართულიდან სვანურში შესულ სიტყვათა ანლაუტის ხმოვნებს ასპირაცია იმიტომ უფითარდებათ, რომ სვანურის ამ დიალექტებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა. მაგალითად, ჩზბ. პარტამ 'ბოსტანი', ლხმ. ჩზბ. ჰასკამ 'სვანური სავარძელი', უშგ. ჰანშმ 'ემბაიკი'. უშგ. ჰანდვირ 'ჯანმრთელი'. უშგ., ლხმ. ჰანწ 'ნეხვი, ნაკელი'. უშგ. ჰალყმა 'გაუმაძღარი', ჩზბ. ჰანდურ, ლხმ. ჰანდურ 'წვეთი (სახურავიდან)'. უშგ. ჰანწ 'შესაწირავი ხაქაპურის ნაჭერი'. ლხმ. ჰანგუნ 'მოქანავე, მაგალითად, კარი რომ ქუსლში მოინჯღრევა'. უშგ. ჰანრკ 'შიში'. ლხმ. ჰანრკულ (კნინ.) 'ეკვი'. ლხმ. ჰანლან 'გონების დაკარგვა'. ჩზბ., ლხმ. ჰანქა 'შკლავი'. ლხმ. ჰანბილ (კნინ.) 'ფერი'. ჩზბ. ჰელა 'უცებ' ელვისებურად გაქრობა'. ჩზბ., ლხმ. ჰერწემ 'გველი'. ლხმ. ჩზბ. ჰენწ 'აკვანი'. ლხმ. ჰენწა 'წვდომა'. ლხმ. ჰერა 'მზის ჩასვლა'. ჩზბ. ლხმ. ჰექ 'ურდული'. ლხმ. ჩზბ. ჰირიკ 'დამჟავებული სითხე ტყავის გამოსაყვანად'. ლხმ, ჰირგ 'მოტირალ ქალთა ერთად შეძახილი'. უშგ. ჰირწ: ლხმ. ჰირწ 'საყელო'. ჩზბ. ლხმ.: ჰოკრილ 'მთა და მდინარე კუბერში'. ლხმ. ჰურყველენ 'რაიმე დახვეულებად მყოფი'. უშგ. ჰერია ვერავი, ცბიერი, და სხვ.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ხმოვანთა ფშვინიერი შემართვის მიხედვით სვანურში დიალექტები ერთმანეთს უპირისპირდებიან. ასე, მაგალითად, ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა ახასიათებს ბალსემოურსა და ბალსქვემოურს, არ ახასიათებს ის ლაშურსა და ლენტეხურს (თუმც სპორადულად იქაც ვხვდებით).

მაგალითად: უშგ., ლხმ. ჰაშამ, ლშხ., ლნტ. აშამ 'მადლობა, მადლიერება' || ლხმ. ჰანში, ლშხ. აში, ლნტ. აში 'მჩატე'. ლხმ. ჰანწვალ || ჰანწვალ, ლშხ. აწვალ, ლნტ. აწოლ 'თივის, ჩალის ზვინი'. ლხმ. ჩზბ. ჰადრა, ლშხ., ლნტ. ადრა 'ელი (მც.)'. ჩზბ., ლხმ. ჰანლ, ლშხ. ალ 'ალი (ქალი)'. ლხმ., ჩზბ. ჰამენ, ლშხ. ამენ 'ამინ'. ლხმ. ჰაყბილ (კნინ.), ლშხ. აყბოლ 'ლოყა'. ლხმ. ჰარი, ლშხ. არი 'ცარიელი'. უშგ., ლხმ., ჩზბ. ჰაგვ, ლშხ., ლნტ. აგვ 'ქუსლი'. ლხმ. ჰანკედ. ჩზბ. ჰანკედ, ლშხ. აკედ, ლნტ. აკედ 'კული'. ლხმ. ჰანტენდ, ლშხ. ანტენდ, 'პაქანიკი'. ლხმ., ჩზბ. ჰარანკ, ლშხ. არანკ 'არაკი'. უშგ., ლხმ. ჩზბ. ჰარიქა, ლშხ. არიქა 'არიქა' (შდ. იმერ.-გურ. ჰარიქა). ლხმ., ჩზბ. ჰასტიშ, ლშხ. ასუშ, ლნტ. ასეიშ 'ასული'. ჩზბ., ლხმ. ჰასტამ. ლშხ., ლნტ. ასტამ 'კეცხლის გასაჩხრეკი რკინა' (შდ. აქ. ასტამი, იგივე). ლხმ. ჰანდექვ, ლშხ. ანდექუ, ლნტ. ანტექ 'მაკე'. ლხმ. უშგ. ჰანბ, ლშხ. აბ 'პირისახის ფერი'. უშგ., ლხმ. ჰალშხ., ლნტ. ა 'თუ': უშგ. ჰანანმ, ლხმ. ჰანამ, ლშხ. აგანმ 'მოდგმული'. უშგ. ლხმ. ჰანარ, ლშხ. აგარ 'ფეხშიშველი'. უშგ., ლხმ. ჰანვა, ლშხ., ლნტ. ანვა 'ჰავა'. უშგ. ჰანკან, ლშხ. აკან, ლნტ. აკან, 'აკვანი'. უშგ. ჰანლლ, ლშხ. ალალ 'ალალი', უშგ. ჰალვენ, ლშხ., ლნტ. ალიონ 'ალიონი'. უშგ. ჰარდალ, ლშხ. არდალ, ლნტ. არდალ 'დიდი სიცხე'. უშგ. ჰანრდელი, ლშხ. არდელი 'ერთგვარი ბალახია'. უშგ. ჰანდერა, ჩზბ. ჰანდერა, ლშხ. ანდერა 'მიჯნა, საზღვარი'.

უშგ. ქაჯ. ლშხ., ლნტ. აჯ 'ძალა, ძალადობა'. უშგ., ლხმ. ჰარაკ-ჰურაკი, ლშხ. არაკ-ურაკი, 'არაკ-ურაკი'. უშგ. ჰანბტკი, ლშხ. აბტკი, ლნტ. აბტკი, 'აბტი'. ბზ. ჰაყარ, ლშხ. აყარ, ლნტ. აყარ 'აყირო, კვახი'. ლხმ. ჰეჯ-ჰეჯეი, 'თანდათანობით' შდ. ლშხ., ლნტ. ეჯე^ნი ეჯეი. უშგ. ჰემა, ლშხ., ლნტ. ემა 'თუ რამე'. ლხმ. ჰემოშშალ, ლშხ. ემოშშალ, 'თითქმის, ლამის, კინაღამ'. უშგ. ჰერია, ლშხ. ერია 'კუდიანი, ეშმაკი'. უშგ. ჰენგირ, ლხმ., ჩბხ. ჰინგირ, ლშხ. უნგირ, ლნტ. უნგირ 'უნაგირი' და სხვ.

ვარდა ამისა, ირკვევა, რომ თუ სენურის გარკვეულ დიალექტებს ხმოვანთა ფშინვიერი შემართვა ახასიათებს, სხვა დიალექტებში (ან იშვიათად იშვე დიალექტში) შესატყვისად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები გვევლინება, მაგალითად, ბქვ. ჰაზუ || მაზუ, ლშხ. აეზუ, ლნტ. აზუ 'ეზო'. ჰალონ || მალონ 'ალიონი'. ლხმ. ჰერსკენ || ლშხ. აერსკენ. ბზ. ჰადურდ || ლშხ. აადურდ 'მთლიანად, სრულიად'. ბზ., ბქვ. ჰებ || ლშხ., ლნტ. აებ 'ალუბალი'. ჩბხ., ლხმ. ჰედ || ლშხ., ლნტ. აედ 'ან, ანდა'. ჩბხ. ჰედურ || ლხმ. ჰედური || ლშხ., ლნტ. აედურ 'ჯანმრთელი'. ჩბხ., ლხმ. ჰელ || ლშხ. აელ 'ალი'. ლხმ., ჩბხ. ჰერყლიან || ლშხ. აერყანიან 'ლორმუცელა', ან კიდევ: უშგ., ლხმ. ჩბხ. ჰოკერ || ლშხ., ლნტ. ვოკერ 'ბოლო, ფსკერი'. ლხმ. ჩბხ. ჰემა || ლშხ., ლნტ. ვომა 'დაფარვა', 'ხამალვა', ლხმ. ჰო || ლშხ. ლნტ. ვო 'ჰო'. უშგ. ჰოლ || ლშხ., ლნტ. ვოლ 'ყინული'. უკანასკნელ რამდენიმე მაგალითში თავიდან ო-ს წინ განვითარებული ვ (ჟ) მიუთითებს ო-ს სივიწროვებზე (შდ. იმერ.-გურ. ვორი, ვოცი, ვორმო) და სხვ.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ ანლაუტში მოქცეულ ხმოვნებს ბალსზემოურსა და ბალსქემოურში უფითარდება ჰ ფშინვიერი შემართვის გამო, ხოლო ლაშხურსა და ლენტეხურს ანლაუტში ახასიათებს იოტირებული და ვიწრო ხმოვნები.

სენურში ხმოვანთა ფშინვიერი შემართვის შემდგომი განვითარებაც ხდება და ზოგჯერ ჰარაკ-ის პარალელურად გვაქვს: ხარაკ. ამის მსგავსად: ჰასაკ || ხასაკ. ჰადურ || ხადურ 'სრულიად, მთლიანად'. (ბზ. პროზ. ტექ. 1, 1,31; 1,16). ბზ. ჰამა || ლშხ. ხემა 'როგორ'. ბზ. ჰამა || ხამა || ლშხ. ხენა || 'როგორც'. ბზ. ჰადაჯუყე || ლხმ. ხადაჯუყე 'საკ. სახ.'. ლხმ. ჰეწა 'წედომა', ლშხ. ლეხრაწე 'იგივე'. ჰატ || ხატ 'შორისდ'. ჰაჰედი || ხაჰედი (ბზ. პროზ. ტექ. 223,10) 'აძლევს'. ჰაყბაჟი (|| ხაყბაჟი) (ბზ. პროზ. ტექ. 247,9) — ლოყაზე და სხვ. (შდ. ქართ. ჰაერი || ხაერი, ჰან. ჰალალ || ხალალ 'ხელივი', ჰამამი || ხამამი 'აბანო', ჰავა || ხავა და სხვა).

კოლის აღმნიშვნელი სიტყვა ბზ. ხეხე ფორმით გვხვდება, უშგ.: აეხე. პირველად ფორმად ჰეხე უნდა ვივარაუდოთ.

სენურის ამ მონაცემებს კიდევ უფრო ამაგრებენ სენურის მოძმე ენათა ცოცხალი ენობრივი მასალები. ასე, მაგალითად, ჰანურის ვიწრო-არქაბული კილოს ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ჰმნისართებს ხმოვნის ფშინვიერი შემართვა დღესაც ახასიათებს. მაგალითად, ვიწ.-არქ. ჰაჰა || ხოფ. აჰა 'ეს'. ვიწ.-არქ. ჰეა || ხოფ. ია 'ის'. ვიწ.-არქ. ჰამუქ || ხოფ. ამუქ 'ამან'. ვიწ.-არქ. ჰაშო || ხოფ. აშო 'ასე'. ვიწ.-არქ. ჰასთერი || ხოფ. ასტერი 'ასეთი'. ვიწ.-არქ. ჰაქოლე || ხოფ. აქოლე 'აქეთ'. ვიწ.-არქ. ჰაწი || ხოფ. აწი და სხვ.

საფიქრებელია, რომ ინგილოურში თავკიდურ ხმოვანთა წინ მასობრივად განვითარებული ჰ მიუთითებდეს ხმოვნის ფშვინვიერ შემართვაზე, მაგალითად: პელვა, ჰაკაკი, ჰალავ, გუთან ჰაჩიჩაჲ, ემ ჰარაკიმ, ჰუნდ, ჰევი, ჰაგუბაჲ, ჰაბაჲ, ჰამფავ, ჰუქნი, ჰუნახი, ჰუფიქრი [8] და სხვ.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, რაც ღღეს ასე დამახასიათებელია სვანურის ბალსზემოურისა და ბალსკვემოურის დიალექტებისათვის, არ არის უცხო სხვა ქართველური ენებისათვისაც.

იბადება კითხვა: ახდენს თუ არა გავლენას ხმოვნის ბუნებაზე ხმოვნის ფშვინვიერი შემართვა და, კერძოდ, იცვლება თუ არა ტონის სიმაღლე? ამ კითხვაზე საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული დე სოსიურს. დე სოსიური საკითხს ასე აყენებს: შესაძლებელია თუ არა საერთოდ არსებობდეს ყრუ ხმოვნები, რომელთა არტიკულაცია სახმო ტონის მონაწილეობის გარეშე ხდება. დე სოსიურს პირველ რიგში აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია განახსებას ყრუ ხმოვნები ჩურჩულით წარმოთქმული ხმოვნებისაგან, რომელთა არტიკულაციას არ ახასიათებს სახმო სიმების დაჭიმულობა. რა ხმოვნებია ეს „ყრუ ხმოვნები“, რომელთა არსებობის შესახებ ლაპარაკობს დე სოსიური? მისი აზრით, ყრუ ხმოვნები შეიძლება მივამსგავსოთ მათ წინ წარმოთქმულ ფშვინვიერ ლ-ს, ბგერათშეერთებაში ხა, ხე, ხი, ხო, ხს, ხუ, ხჲ ჯერ მოისმის ხმოვანი უვიბრაციოდ, შემდეგ კი ნორმალური ა, ე, ი, ი, ი, ი, ი, ი [9].

Panconcelli-Calzia ამ საკითხის ექსპერიმენტულად შესწავლის საფუძველზე შემდეგ უცილობელ დასკვნას აკეთებს: მაგარი შემართვისა და დამართვის შემთხვევაში სახმო სიმების დაკეტილობისა და შედარებით მეტი დაჭიმულობის გამო ა-ს კიმოგრაფული მრუდი დასაწყისშიც და ბოლოშიაც გვიჩვენებს მაღალ ტონს, მაშინ როდესაც ფშვინვიერი შემართვისა და მომდევნო ექსპირაციის გამო სახმო სიმები ხმოვნებს წარმოთქვამენ უმნიშვნელო დაჭიმულობით, ამიტომ ყრუ ტონი წარმოიშვება ([4], გვ. 53).

ციტირებული ლიტერატურა

1. Ed. Sievers. Grundzüge der Phonetik, 1901. 151—152.
2. O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, 1932. 76.
3. გ. ახვლედიანი. ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1938, 103.
4. Panconcelli-Calzia. Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft, 1924, 48.
5. Э. Фрешельс. Запкание (ассоциативная афазия), пер. с немецкого, 1931, 23.
6. Н. А. Спирский. О запкании. С.-Пет., 1899, 51.
7. Проф. Ф. Ф. Заседателев. Научные обоснования правильной постановки голоса для пения и речи (დართული აქვს წიგნს: проф. В. К. Серезникоу, Техника речи), 1924, 125.
8. მ. ჯანაშვილი. საინგილო. „ძველი საქართველო“, ტ. II, 1911—1913.
9. Д. Е. Сосюр. Курс общей лингвистики, 1933, 64.

ქართული მოკალიზმი

1. ქართულ ხმოვანთა პროფილების ზუსტად გამოსარკვევად გამოვიყენეთ ხელოვნური სასისა და რენტგენოგრაფიის მეთოდები [1].

ხელოვნური სასის მეთოდით, როგორც ცნობილია, შესაძლებელია ხმოვანთა წარმოთქმისას მაგარ სასაზე ენის გვერდითი კიდეების შეხების საზღვრების გამორკვევა და ამით ირკვევა ენის მდგომარეობა ამა თუ იმ ხმოვნის წარმოთქმისას და ენის მაგარ სასასთან შეხების მიმართულება. ხოლო პირისა და ხახის ღრუებში ამა თუ იმ ხმოვნის წარმოთქმისას შექმნილი თავისებური სარეზონანსო არე რომ განგვესაზღვრა და ენის კონფიგურაციის სურათი მიგველო, რენტგენით გადაღება ვაწარმოვეთ¹.

როგორც ცნობილია, ხმოვანთა ტიპები ენების მიხედვით განსხვავებულია. აკად. ლ. შჩერბას თავის „ხმოვანთა სხვადასხვა ტიპის“ ტაბულაში მოცემული აქვს 48 ხმოვანი.

ო. აესპერსენს ოთხი სხვადასხვა ტიპის ა ხმოვანი აქვს დადგენილი: წინა (vorderste), ნეიტრალური (neutrale, „mittlere“), უკანა (hintere) და მოღუნებული (dumpfe) ა [2].

ქართული ა-ს წარმოთქმაზე ჩატარებულმა ჩვენმა ცდებმა გვიჩვენა, რომ იგი არტიკულაციურად წინ წამოწეული ტიპის ხმოვანია, ე. ი. ო. აესპერსენის მიერ მოხსენებულ პირველ ტიპს განეკუთვნება. ამ ხმოვნის შედარებით უფრო მეტი სიფართოვის გამო მისი შესწავლა მხოლოდ რენტგენოგრაფული გზით იქნა შესაძლებელი.

2. ქართული ა ხმოვნის რენტგენოგრაფა ქვემოთ თავისებურებას გვიჩვენებს (ნახ. 1): ენის წვერი თავისუფლად ძვეს ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებთან. ენის მთელი ტანი საგრძნობლად წინ არის წამოწეული. წინა და შუა ენის ზურგის შესამჩნევად ამობურცვის გამო პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე შემცირებულია. ამიტომაც, რომ ქართული ა ხმოვნის ელფერი ოდნავ დახურული ხმოვნის შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთია ა სიტყვებში დანა, დაბა, მამა და სხვ. გარდა ამისა, ქართული ა-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილის კოეზისებური ოდნავი ჩაზნექილობა შეიმჩნევა.


ქართული ა-ს პროფილი თვისობრივ სიახლოვეს გვიჩვენებს ლ. შჩერბას რუსული ა-ს პროფილთან სიტყვაში: „амаа“ ([3], გვ. 37). ამ რუსულ სიტყვაში ა წინ წამოწეული ხმოვანია. საერთოდ კი, როგორც ეს ლ. შჩერბას გამოკვლევებიდან არის ცნობილი, რუსული ა საშუალო წარმოებისაა (შდრ. *палеа*), თუმცა, როგორც ამას თვით ავტორი შენიშნავს, ბევრი რუსულში ა-ს

¹ ქართულ ხმოვანთა რენტგენოგრაფები შესრულებულია თბილისის ბავშვთა საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტში. რენტგენის სურათების გადაღებაში მონაწილეობდნენ ოტოლარინგოლოგი არჩ. ჩარგვიშვილი, რენტგენოლოგი თამარ სანოვი და ტექნიკოსი გ. ცოცხაძე.

უკან წარმოთქვამს ([3], გვ. 37). ამის მიხედვით ირკვევა, რომ ქართული ა შესამჩნევად უფრო წინ წარმოებული ხმოვანია, ვიდრე რუსული ა¹.

ქართული ა-სა და რუსული ა-ს აკუსტიკური და არტიკულაციური შედარების საფუძველზე ანალოგიური დასკვნა აქვს მოცემული გ. ახვლედიანს [4]. ამ შემთხვევაში გ. ახვლედიანის მოსაზრებას საესეებით ადასტურებენ ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემები.


ქართული და სვანური ა-ს რენტგენოგრამების შედარებით ირკვევა, რომ მათ შორის შესამჩნევი განსხვავებაა. სვანური ა ნეიტრალური ტიპის ხმოვანია ([1], IX, ნახ. 3) (შდრ. დაბა, სვან. დაბ 'ყანა'). ქართული და სვანური ა-ს ეს განსხვავება



ნახ. 1.

კარგად შეიმჩნევა, როდესაც ქართულის ცუდად მცოდნე სვანა ისეთ ქართულ სიტყვებს წარმოთქვამს, რომლებიც ა ხმოვნის შედგეულია.

3. ქართული ე ხმოვნის წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეეება მაგარ სასასთან გარკვეულ კვალს ტოვებს. პალატოგრამით ირკვევა, რომ ქართული ე-ს წარმოთქმისას (ნახ. 2) შუა ენის ზურგი ა-სთან შედარებით აწევს კიდე უფრო მაღლა, სასის წინა ნაწილისაქენ, ხოლო ენის გვერდითი კიდეები მოიცავს მაგარი სასის გვერდებს მცირე ძირითადი პირველი წყვილი კბილებიდან ხელოვნური სასის ბოლომდე. ასეთია ე სიტყვებში: დევს, წევს, სცეპს და სხვ. ირკვევა, რომ ქართული ე ოდნავ დახურული და წინ წამოწეული ხმოვანია. ამიტომ არის, რომ ხშირად იგი დიალექტებში დიფთონგოიდად იქცევა (შდრ. გურ. აერი კაცი).




ნახ. 2.

ქართული ე-ს პალატოგრამის ლ. შეიკრება რუსული „ე“ და ფრანგული „ე“-ს ([3], გვ. 34 — 35) პალატოგრამებთან შედარება გვიჩვენებს, რომ ქართულ ე-ს საშუალო ადგილი უკავია რუსულის „ე“-სა და ფრანგულის „ე“-ს შორის: იგი არც ისე დახურულია, როგორც რუსული „ე“, და არც იმდენად ღიაა, როგორც ფრანგული „ე“. ქართული ა-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილის ზედაპირზე შენიშნული კოვზისებური ოდნავი ჩაზნექილობა ე-ს წარმოთქმისას კიდე უფრო მეტად შესამჩნევეია.

ქართული ე ხმოვნის რენტგენის სურათით (ნახ. 3) ირკვევა, რომ ენის წვერი, მსგავსად ა-ს წარმოთქმისა, ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებთან ძვეს. ენის ტანი წინ არის წამოწეული ისე, როგორც ა-ს წარმოთქმისას იყო, ოღონდ ენის წინა და შუა ნაწილის ზურგი შესამჩნევად მაღლა აწეული ა-ს წარმოთქ-

¹ სწორედ ამიტომ ხშირად რუსები ქართულ ა-ს აკუსტიკურად აღიქვამენ როგორც უკუსულ ფართო ე-ს.

მასთან შედარებით. ამიტომ პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე სავრძნობლადაა შევიწროებული. ქართული ე-ს ოდნავ დახურულობას რენტგენოგრაფია სავსებით ადასტურებს. საერთოდ, რენტგენოგრაფიის სურათი სავსებით



ნახ. 3.


ადასტურებს იმ შედეგებს, რომლებიც პალატოგრაფული გზით მივიღეთ ქართული ე-ს წარმოთქმისას.

ქართული ე-ს რენტგენოგრაფიის შედარება სვანური ე-ს რენტგენოგრაფიასთან ([1], XI, ნახ. 12) გვიჩვენებს, რომ ქართული უფრო წინ წამოწეული ხმოვანია, ვიდრე სვანური ე. ამ განსხვავებას ადასტურებს ქართული და სვანური ე-ს

პალატოგრაფების შედარებაც. კერძოდ, სვანური ე-ს წარმოთქმისას ([1], I, ნახ. 2) იწყება ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან მცირე ძირითადი ზეობე წყვილი კბილებიდან და გრძელდება ხელოვნური სასის ბოლომდე. მაშინ როდესაც ქართული ე-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხება იწყება მცირე ძირითადი პირველი წყვილი კბილებიდან. გარდა ამისა, ქართული ე-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხების სიფართოვე მაგარ სასასთან უფრო მეტია, ვიდრე სვანური ე-ს წარმოთქმისას.

ქართული ე-ს პროფილის შედარება რუსული „ე“-ს პროფილთან გვიჩვენებს, რომ ქართული ე-ს პროფილი ძალიან უახლოვდება რუსული „ე“-ს პროფილს სიტყვაში „иисъ“ ([3], გვ. 33). რუსული „ე“ ყველაზე უფრო ფართოა სიტყვაში „иисъ“, მაგრამ ქართულს ასეთი ფართო ე თითქოს არ ახასიათებს (შდრ. ს. ცემს).

4. ქართული ი ხმოვნის პალატოგრაფული სურათი (ნახ. 4) გვიჩვენებს, რომ ენის ტანი საგრძნობლად უფრო წინაა წამოწეული, ვიდრე ა-სა და ე-ს წარმოთქმისას. გარდა ამისა, ენის წინა და შუა ნაწილის ზურგი ე-სთან შედარებით კიდევ უფრო მაღლა იწეეს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ და უახლოვდება მას. ამიტომ ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან ბოლოდან თითქმის ეშვებასაც მოიცავს. ენის გვერდითი კიდეების მაგარ სასასთან შეხების სიფართოვეც ე-სთან შედარებით გაცილებით უფრო დიდია. ქართული ი-ს პალატოგრაფიის სვანური ი-ს პალატოგრაფიასთან ([1], I, ნახ. 6) შედარებით ირკვევა, რომ ქართული ი უფრო წინ წამოწეული ხმოვანია, ვიდრე სვანური ი.



ნახ. 4.

სვანური ი-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების მაგარ სასასთან შეხება მხოლოდ ეშვებადმის აღწევს და ენის გვერდითი კიდეების შეხების სიფართოვეც მაგარ სასასთან ქართული ი-ს წარმოთქმისას უფრო მეტია, ვიდრე სვანური ი-ს წარმოთქმისას. ქართული ი-ს პალატოგრაფიის ლ. შჩერბას მიერ

შესრულებული i-სა და ფრანგული j-ს პალატოგრაფებთან ([3], გვ. 32) შედარება მათ შორის შესამჩნევ სხვაობას გვიჩვენებს.

ქართული o ხმოვნის რენტგენოგრაფის (ნახ. 5) მიხედვით ირკვევა, რომ ენის წვერი მიბჯენილია ქვედა საკრელ მედიალურ კბილებთან. ენის წინა და შუა ნაწილის ზურგი კიდევ უფრო აწეულია ზევით მაგარი სასისაკენ, ვიდრე




ნახ. 5.

e-ს წარმოთქმისას, და ამიტომ პირის ღრუს წინა ნაწილში კიდევ უფრო შემცირებულია სარეზონანსო არე, ვიდრე e-ს წარმოთქმისას იყო. ასეთია o სიტყვებში: დიდი, თითი, შიში და სხვ. ქართული o-ს რენტგენოგრაფის მონაცემები ადასტურებენ იმ შედეგებს, რომლებიც ქართული o-ს პალატოგრაფით მივიღეთ. ის ოდნავი ჩაზნექილობა წინა ენის ზედაპირისა, რომელიც ჩვენ ა-ს წარმოთქმისას აღენიშნეთ და უფრო მეტად შეიმჩნეოდა e-ს წარმოთქმისას. კიდევ უფრო თვალსაჩინოა o-ს წარმოთქმისას.

ქართული o-ს რენტგენოგრაფის სევანური o-ს რენტგენოგრაფისთან ([1], VII, ნახ. 20) შედარება გვიჩვენებს. რომ ქართული o უფრო წინ წამოწეული ხმოვანია, ვიდრე სევანური o.

ქართული o-ს პროფილის ლ. შჩერბას რუსული „i“-ს პროფილთან შედარებით ([3], გვ. 31) ირკვევა, რომ რუსული i-ს წარმოთქმისას შუა ენის ზურგი უფრო მაღლაა აწეული სასის კამარისაკენ, ვიდრე ქართული o-ს წარმოთქმისას. ამ შემთხვევაში სევანური o-სა და რუსული i-ს პროფილები ერთმანეთთან უფრო მეტ თვისობრივ სიახლოვეს ამგლავებენ, ვიდრე ქართული და სევანური o-ს პროფილები.

5. ქართული o-ს წარმოთქმისას პალატოგრაფით (ნახ. 6) ირკვევა, რომ უკანა ენის ზურგი მაგარი სასის ბოლოზე შეხების გარკვეულ კვალს ტოვებს.



ნახ. 6.

ენის გვერდითი კიდეების შეხება მოიცავს სიბრძნის კბილების არეს და ნაწილობრივ ძირითადი მეორე წყვილი კბილების არესაც. ქართული o-ს პალატოგრაფა ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართული o უფრო წინ წამოწეული ხმოვანია, ვიდრე რუსული o. პროფ. ვ. ბოგოროვიცი შენიშნავს, რომ მის წარმოთქმაში ზოგჯერ ხდება ენის უკანა ნაწილის შეხება სიბრძნის კბილების არეში და ზოგჯერ არა [5]. ქართული o-ს წარმოთქმისას კი ასეთ რყევას ადგილი არა აქვს. შეხების კვალი მაგარ სასაზე ყოველთვის მივიღეთ. აღსანიშნავია, რომ

სევანური o-ს წარმოთქმისას, მსგავსად რუსული o-ს წარმოთქმისა, ენის უკანა ნაწილის შეხებას მაგარ სასასთან ადგილი არა აქვს, ეს კი იმას ამტკიცებს, რომ სევანური o უფრო უკან წარმოებული ხმოვანია, ვიდრე ქართული o.

პალატოგრაფულ მონაცემებს ქართული ო-ს შესახებ სავსებით ადასტურებენ რენტგენოგრაფული მონაცემები. ქართული ო-ს რენტგენოგრაფის (ნახ. 7) მიხედვით ირკვევა, რომ ენის წვერი ოდნავ მოცილებულია ქვედა საკრელ მედიალურ კბილებს; ეს იმიტომ, რომ ენის ტანი ო-ს წარმოთქმისას უკანა გადაწეული, მაგრამ არც ინდენადაა გადაწეული. როგორც სვანური ო-ს წარმოთქმისას ([1], XIII, ნახ. 24).




ნახ. 7.

ქართული ო-ს წარმოთქმისას ხახის კედელსა და ენის უკანა ნაწილს შორის საკმაო სიდიდის სარეზონანსო არეა შექმნილი. ასეთია ო სიტყვებში: ო რ ი, ო დ ა, ს ო რ ო და სხვ. გარდა ამისა, ქართული ო ოდნავ დახუ-

რული ხმოვანიცაა. ალბათ, ეს უწყობს ხელს დიალექტებში მის დიფთონგოლიდად ქცევას (შღრ, ვორი, ვორმო, ვოცი და სხვ.).

ქართული ო თვისობრივად დაახლოებით ისეთ მიმართებაშია რუსულ ო-სთან, როგორშიც სვანურ ო-სთან არის. ლ. შჩერბას აღწერილობით ნორმალური რუსული ო დიფთონგოიდურია. მისი ელფერი შემართვისას მოგვაგონებს ფართო ყ-ს და შემდეგ ეწყობა ორგანოები ო-ს წარმოსათქმელად ([3], გვ. 47). რუსული ო ქართულ ო-სთან შედარებით ღრმად უკანაენისმიერია. ქართული ო-სა და რუსული ო-ს არტიკულაციური განსხვავება აღნიშნული აქვს გ. ახვლედიანს. ავტორი რუსულ ო-ს ქართულ ო-სთან შედარებით უფრო ფართო და უკანა ხმოვნად მიიჩნევს ([4], გვ. 185). რაც შეეხება ბაგეების მოქმედებას ქართული ო-ს წარმოთქმისას, იგი ოდნავ მომრგვალებული და სუსტად აქტიურია. საერთოდ, ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი ბაგეების ენერგიული მოქმედება. ქართულ ო-ს დაახლოებით რუსულისებური ბაგეების აქტიურობა ახასიათებს.

6. ქართული უ-ს წარმოთქმისას მაგარ სასასთან ენის უკანა ნაწილის შეხების კვალი უფრო ფართოა (ნახ. 8), ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. უ-ს წარმოთქმისას ენის საერთო მდგომარეობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც ო-ს წარმოთქმისას, ოღონდ ენის უკანა ნაწილის ზურგი უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. ენის გვერდითი კიდეები მოიცავენ სიბრძნის კბილებისა და ძირითადი კბილების მეორე წყვილის არეს.




ნახ. 8.

ასეთია, მაგ., უ სიტყვებში: უ თ ო, ბ უ, ს უ ლ ი და სხვ. ენის ასეთი მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ უ საგრძნობლად ვიწრო ხმოვანია ო-სთან შედარებით. ქართული უ-ს პალატოგრაფის სვანური უ-ს პალატოგრაფისთან ([1], ნახ. 10) შედარება გვიჩვენებს, რომ განსხვავება მათ შორის საგრძნობია. კერძოდ, სვანური უ-ს წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილი მცირე შეხების კვალს

ტოვებს სიბრძნის კბილების არეში და ნაწილობრივ ძირითადი მეორე წყვილი კბილების არეში. ამით მტკიცდება, რომ სევანური უ უფრო უკან წარმოებული ხმოვანია, ვიდრე ქართული უ. ქართული უ ისევე წინ წამოწეული ხმოვანია, როგორც ქართული ო.

ქართული უ-ს რენტგენის სურათი (ნახ. 9) სავსებით ადასტურებს ჩვენ მიერ პალატოგრაფიული გზით მიღებულ შედეგებს. უ-ს რენტგენოგრაფიაზე ნათლად ჩანს, რომ ენის წვერი ოდნავ მოცილებულაა გვედა საქრელ მედიალურ კბილებს ისე, რომ ხახის

არეში საკმაო სიდიდის სარეზონანსო არეა შექმნილი, ეს კი იმაზე მიუთითებს. რომ ქართული უ არ არის ღრმად უკანაენისმიერი. ქართული უ-ს რენტგენოგრაფიის შედარება სევანური უ-ს რენტგენოგრაფიასთან ([1], XI გვ. 31) გვიჩვენებს, რომ სევანური უ ღრმად უკანაენისმიერია. უკანა ენის ზურგიც უფრო მეტადაა



ნახ. 9.

მაღლა აწეული რბილი სასისაკენ. ვიდრე ქართული უ-ს წარმოთქმისას. ქართული უ-ს პროფილი აგრეთვე შესანიშნავად განსხვავდება ლ. შჩერბას რუსული უ-ს პროფილისაგან ([3], გვ. 44). რუსული უ ღრმად უკანაენისმიერია. ამდენად იგი სევანურ უ-ს უფრო უახლოვდება, ვიდრე ქართულ უ-ს. რაც შეეხება ბაგეების სურათს ქართული უ-ს წარმოთქმისას, ბაგეები ოდნავ მონრგვალეებულა და უფრო წინაა წამოწეული, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. ბაგეების მოქმედება ქართული უ-ს წარმოთქმისას ისევე სუსტია, როგორც ო-ს წარმოთქმისას.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართულ ხმოვანთა პალატოგრაფიისა და რენტგენოგრაფიებით მიღებული შედეგები სავსებით ადასტურებენ და ავსებენ ერთი-ნეორის ჩვენებებს. ის ფაქტი. რომ ქართული უ შესანიშნავად წინ წამოწეული ხმოვანია, უკვე განსაზღვრავს წინა რიგის ხმოვნების ე, ი-ს არტიკულაციურად წინ წარმოებას. ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერება იქნა ჩვენ მიერ შემჩნეული ქართულ უკანა რიგის ხმოვანთა წარმოებაშიც. ტიპოლოგიურად ქართული ო და უ უფრო ნეიტრალური წარმოების ხმოვნებია, ვიდრე ღრმად უკანაენისმიერი.

გარდა ამისა, ჩვენი ცდების მიხედვით ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი გამოირკვა: მიუხედავად იმისა, რომ ქართული და სევანური ენები მონათესავე ენებია, ხმოვანთა წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოთა დაყენება ერთმანეთისაგან განსხვავებული აქვთ. ქართულ ძირითად ხმოვნებს უფრო წინა არტიკულაცია ახასიათებთ, სევანური ძირითადი ხმოვნები კი არტიკულაციურად უფრო უკანა წარმოებისანი არიან. ეს დასკვნა სავსებით შეეფერება იმ საერთო არტიკულაციურ თავისებურებას, რომელიც სევანურს ახასიათებს დღეს.

დამიწმავალი ლიტერატურა

1. სეოჯი ქლენტი. სვანურ ხმოვანთა პალატოგრამები და რენტგენოგრამები. იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება, 1, თბილისი, 1946.
2. O. Jespersen. Lehrbuch der Phonetik. Leipzig, 1932, S. 162.
3. Л. В. Щерба. Фонетика французского языка. Ленинград, 1939.
4. გ. ახვლედიანი. ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. თბილისი, 1937.
5. В. А. Богородицкий. Фонетика русского языка в свете экспериментальных данных. Казань, 1936. стр. 76.

1947 წ.

მულერი ხშული ფარინგალის საპითხისათვის სვანურში

ქართულ სამეულთა სისტემა გულისხმობს, რომ მეექვსე სამეული (ყ ვ) ოდესღაც იყო არა დეფექტური, არამედ სრული. ნ. მარმა თავის დროზე შესაძლებლად მიიჩნია მკლერი ფარინგალის ქართველურ ენებში თეორიულად არსებობა. „ძველი სალიტ. ქართული ენის გრამატიკაში“ მოცემულ ტაბულაში ეს ბგერა არშენახულსა და თეორიულად აღდგენილთა რიგშია შეტანილი [1].

ამ რვა წლის წინათ გ. ახვლედიანმა ეს ბგერა სპეციალური კვლევის საგანი გახადა. მისი მოსაზრება ამ ბგერის შედგენილობისა და ბუნების შესახებ განსხვავდება ნ. მარის მოსაზრებისაგან [2]. გ. ახვლედიანმა ლოგოპედიური მონაცემების საფუძველზე შეძლო ამ თეორიულად სავარაუდო ბგერის ფიზიოლოგიური დასაბუთება. მასვე აღწერილი აქვს ენაჩლუნგობის ერთ-ერთი შენთხევა. 9 წლის ენაჩლუნგ ქალს (ვ. თ.) არ ჰქონდა მეხუთე სამეული (კ ქ კ). ამ სამეულის ნაცვლად ენაჩლუნგი წარმოთქვამდა მეექვსე - დეფექტური - სამეულის რიგს: კ-ს ნაცვლად წარმოთქვამდა ყ ს, ქ-ს ნაცვლად ჯ-ს, ხოლო გ-ს ნაცვლად წარმოთქვამდა მკლერ ხშულ თანხმოვანს, ქართველურ ენებში ამჟამად არარსებულს [2]. იქვე მეექვსე დეფექტური სამეული (ყ ვ) ადგილის წარმოების მიხედვით „ენის ძირის ფარინგალებად“ არის წოდებული, გვარობის მიხედვით კი ისინი ხშულებადაა მიჩნეული. ჩვენთვის საინტერესო ბგერის ისტორიული ბედის შესახებ ავტორი ასეთ დასკვნას იძლევა: „ისტორიულ ხანაში ეს *გ, როგორც ჩანს, დაიკარგა ქართულ-ქართველურ ენებში უკვალოდ. შესაძლოა, რომ იგი შეცვალა ღ-მ ისე, როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში ჯ შეცვალა ხ-მ“ (იქვე) [3].

ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის უმცროს მეცნ. თანამშრომელ ალი დავითიანთან ლაბამულურ ტექსტებზე მუშაობისას ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ის თავისუფლად წარმოთქვამდა მკლერ ფარინგალს, როგორც ცალკე, ისე ბგერათა კომპლექსში. კერძოდ, ჩვენ ეს ბგერა დავადასტურეთ ისეთ ონომატოპოეტურ სიტყვაში, როგორიცაა ბატების მოხმობისას ლაბამულურში წარმოთქმული ბგერათა კომპლექსი; ღ'ა-ღ'ა-ღ'ა¹.

ამის შემდეგ ჩვენ შევეცადეთ ამ სპეციფიკური ბგერის ფონოლოგიური მხარე გაგვერკვია და დაგვედასტურებინა იგი ცალკეულ სიტყვებში, რომელთა რიცხვიც, სამწუხაროდ, მეტად განსაზღვრული აღმოჩნდა. ჯერჯერობით ეს მკლერი ფარინგალი დავადასტურეთ რამდენიმე სიტყვაში. ასეთია, მაგ.: ლხმ. ღ'ჯჰი ამთის ბალახია, იკმება (შდრ. საბა: ღვალო (ბალ.). ლხმ. ღ'ჟწარი ქლიავის ყვავილის ცრუ ნაყოფია, რომელიც ნამდვილ ნაყოფს წინ უსწრებს (შდრ. საბა: ღ'ჟარძლი „მარცვალი მაწინარი“ (ბალ.), ღვა || ღ'ჟი (ხე) (საბა).

ეს თავისებური ფარინგალი ასევე თავისუფლად წარმოთქვა, როგორც ცალკე, ისე ბგერათა კომპლექსში, ლენტეხელმა სპირიდონ ტვილიძემ. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში: ღ'ე (იგივეა, რაც ლხმ. ღ'ეჰი) აშქარად

¹ პირობითად მკლერ ფარინგალს ასე გამოვხატავთ: ღ'.


ისწის მკვდრი ფარინგალი. ლაშხელი არსენ ონიანი ამ ბეგრას წარმოთქვაშ ლაშხეთის თავზე არსებული სოფლის სახელწოდებაში: ლ'ობ (შდრ. ლობ 'სვ.ა. როფი'). იქვეა პატარა მდინარე ლ'ობშურა. ლშხ. ლ'ამბელი II გამბელი 'ყაღანბს, ყბედობს.

ბალსუნოური კილოს წარმომადგენელმა სეები გულედანმა ჩვენთვის საინტერესო ბეგრა საკმაოდ დიდი რაოდენობის სიტყვებში დაგვიდასტურა: ბზ. ლ'თარჯუბ 'ხის მრგვალი მაგიდა, შუაში ჩაღრმავებული'. ბზ. ლ'გრჯუბ 'სხეულზე ამბობურკული ხორცმეტი'. ბზ. ლ'ულ 'ელარუნი, წყარუნი'. ბზ. ლ'არყანდ 'მოკორო გრძელნიკარტიანი ფრინველია, წყლის პირს ეტანება' (შდრ. საბა: ყარყატი). ბზ. ლ'აჰლ 'გონზე მოსვლა' (შდრ. ბზ. გაჰლობ 'გამოდარება, გვალვა'). ბზ. ლ'ირმიშვ 'გაქირვების დღე'. ბზ. ლ'ირვანდ 'ფრინველია, ნამგალას მიაგავს'. ბზ. ჯღ'ვლამ 'თოვლქყვანში სიარულის დროს ტლაპუნის ხმაური'. ბზ. ლჯღ'გრბან 'კორძებიანი ჯირკი'. გადატანით პატარა ტანის კაცზე იტყვიან. ბზ. ლჯღ'რ 'დიდი კრილობის თავის დაჩირქება' (შდრ. ბზ. ლიჯღ'კვე 'კრილობიდან ჩირქის ჩქეფით დენაზე იტყვიან'). ბზ. ლ'ანჯბირვ 'ქანგმოდებული. ქანგიანი'. გადატ. გულჩათხრობილი და ბრაზიანი კაცი. ბზ. ლჯღ'ღზე 'პატარა ტანის ჩასკენილ და მსუქან კაცზე ან ქალზე იტყვიან'. ბზ. ლ'ჯნდორ 'რაიმე უშნოდ ჩამოკიდებული' (შდრ. ლხმ. გჯგჯრ 'იგივე'). ბზ. ლ'ანგალამ 'აყლაყულა კაცი' (შდრ. ლხმ. განგალამ 'იგივე'). ბზ. ლილ'ანდლ 'რაიმეს ქანაობა. მაგ., ქალის გავის მოძრაობა'. იტყვიან მატლის მოძრაობაზეც (შდრ. ლშხ. ლიღვანდლანდ 'იგივე'). ბზ. ლ'ანშიშვ—'ლ'ანშიშვდ ლიგენ'—'დაძვალმბილება, დაბეგვა'. ნიშნავს ცივი იარაღით მუცლის გამოფაშვასაც. ბზ. ბალ' 'მარცვლეულის ან ფქვილის შესანახი ბელელი' (შდრ. ლშხ. ბოყვ; ყაბარდოული: ბაქ 'იგივე') [4]. ბზ. ლ'ადალ 'ქათმის ტილი'. ბზ. ლ'ანშ 'თივის ზეინის დაღმვის დროს გამოყენებული გასამაგრებელი სარი'. ბზ. ლიპვირლ'ვი 'შებურღვა. შეხერება' (შდრ. ლაშხ. ლიპვირლ'ვი 'იგივე'). ბზ. ლჯღ'ინჯორე 'გამობხლლი'. ბზ. ლჯღ'რჩე 'რიკტაფელასებური თამაშია'. ბზ. ლჯღ'ღზე 'დიდი ხნის სისველის ან სიღამპლისაგან თბმოკიდებული საგანი'. ბზ. ჯჯღ'ჯნინდ 'მუცელგამობერილი, ჯუჯა ტანის კაცი'. ბზ. ლ'ემქვეთ 'მარჯვე და თავიანი კაცზე იტყვიან', ბზ. ლ'ანჩგლი 'გარეული მიწის ვაშლის ღერო, იქმება'. ბზ. ლჯღ'წესე 'ძალზე წვრილი ტანის, ქიყელა კაცი'. ბზ. ლჯღ'წმფე 'ბეჭებში მოხრალი. მოღუნული'. ბზ. ლჯღ'წჩე 'ვისაც სახე მსუქანი და წამობერილი აქვს. იმაზე იტყვიან'. ბზ. ლ'ვიჯუბ 'წვრილფეხა საქონლის კუქში ჩაწყობილი და მოხარული წვრილად დაკრილი ნაწლაგები, ფილტი და ღვიძლი'. ბზ. ლ'ურჯან 'ხბოს ნაწლაგები მოხარული'. ბზ. ლ'ინკობ—'ლინკობენა მარე' 'ქონდრის კაცი'. ბზ. ჰულდულ'თ 'მარლისა და ფეტვის ფქვილისაგან შემზადებული ტყავეულის დასახელი სითხე'. ბზ. ბჯღ'ღე 'ბინძური, უსუფთაო' და სხვ.

ამ თეორიულად სავარაუდო მკვდრი ფარინგალის სვანურში დადასტურება სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან სვანური წარმოთქმის ერთ-ერთ თავისებურებას თანხმობანთა უკან არტიკულაცია და ფარინგალობა წარმოადგენს. ზემოდასახელებული მაგალითები უცილობელს ხდის სვანურში ფარინგალური ნეღერის არსებობას. ჩვენ ექვი არ გვეპარება მასში, რომ აღვიღზე კვლევა-ძიების ჩატარება კიდევ უფრო გაამრავლებს იმ სიტყვების რიცხვს, რომლებშიც შემონახულია ეს მკვდრი ფარინგალი.


სვანური მელერი ფარინგალის ბუნების გამოსარკვევად და დასაზუსტებლად ჩვენ იგი გრაფიკული მეთოდით შევისწავლეთ.

ლ-ს კიმოგრაფიული მრუდი (ნახ. 1) გვიჩვენებს, რომ ეს ფარინგალი მელერი თანხმოვანია, ვინაიდან თვალსაჩინო რხევებს იძლევა როგორც პირის (S), ასევე ყელის (L) ჩამწერი კალამი¹. ამ ბგერის განსაკუთრებულ ნი-



ნახ. 1.

შან-თვისებად უნდა მივიჩნიოთ სახმო სიმების შედარებით მეტი დაქიმულობა და მოქმედების ენერგიულობა, რაც კარგად ჩანს ყელის (L) კიმოგრაფიულ მრუდზე. დასაწყისშივე ყელის (L) მრუდი ასახავს ძლიერი შემართვის მომენტს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით პირის (S) ჩამწერი კალმის დასაწყისი რხევების შე-



ნახ. 2.

სახებ. სახმო სიმების საკმაოდ ძლიერ რხევათა შესატყვისად, პირის (S) მრუდი დასაწყისში იძლევა ჩქამისათვის დამახასიათებელ არათანაბარ სუსტ რხევებს, შემდეგ რხევები თანაბარზომიერად ძლიერდება. ამ ნაწილში პირის მრუდი ხმოვნის მრუდს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე თანხმოვნისას.


განსხვავებულ სურათს იძლევა ჯ-ს კიმოგრამა (ნახ. 2). ამ ფარინგალისათვის დამახასიათებელი ფშვინეიერობის გამო ყელისა (L) და პირის (S) ჩამწერი კალმები მხოლოდ ჩქამის შესატყვის გაძლიერებულ მოძრაობებს გვიჩვენებს. ეს მოძრაობები ჯ-ს წარმოთქმისას ღია სახმო სიმებში პაერის ხახუნის შესატყვისი მოძრაობებია.

ნახ. 1 და 2 კიმოგრაფიული მრუდების შედარება გვიჩვენებს, რომ პირის (S) ჩამწერი კალმები შემართვის მომენტში ორივე შემთხვევაში საყვებით

¹ როგორც საერთოდ მიღებულია, პირიდან მომდინარე პარნაკალის ჩაწერის შედეგად მიღებულ კიმოგრაფიულ მრუდს აღნიშნავენ S (Souffle), ხოლო ხორხის კედლების (სახმო სიმების) რხევების მრუდს—L (Larynx).

მსგავს სურათს იძლევიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ნათლად ადასტურებს ლ'-სა და ჯ-ს ერთნაირ გვარობას. კერძოდ, ლ'-სა და ჯ-ს შემართვა სპირანტ თანხმოვანთა შემართვის სურათს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილი ხშულის შემართვას. შემდეგი მომენტები კი ხშვა-სკდომით იწარმოება და არა ნაბრალოთ. ამაში დავრწმუნდით ცდის ისეთი მარტივი მეთოდითაც კი, როგორცაა სპირანტის გაგრძელება წარმოთქმის დროს და ხშულის გაგრძელების შეუძლებლობა. როგორც ჯ-ს დაყოვნებული წარმოთქმა ვერ შეძლეს ცდის პირებმა,

S




L

ნახ. 3.

მისი შეყვარების გამო, ასევე ვერ მოახერხეს მათ ლ'-ს გაგრძელებაც. ამგვარად, მტკიცდება, რომ, მართალია, ლ'-სა და ჯ-ს შემართვა სპირანტისებურია, მაგრამ გვარობის მიხედვით ისინი ძირითადად მაინც ხშულებია (ლ'-მელერი, ჯ-ურუფშინიერი).

ლახამულური ონომატოპეტიური სიტყვის „ლ'ა“-სა (ნახ. 3) და „ლა“ (= „-თვის“ თანდებული) (ნახ. 4) კიმოგრამების შედარება შესამჩნევ განსხვავებას გვიჩვენებს. ლა-ს (ნახ. 4) წარმოთქმისას არ ჩანს სახმო სიმების ისეთი დაქიმულობა და მოქმედების ენერგიულობა, რომელიც დამახასიათებელია ლ'ა-ს (ნახ. 3) წარმოთქმისა-გის. ამიტომ ლა-ს (ნახ. 4) აჩიორამის მიხედვით

S



L

ნახ. 4.

პირისა (S) და ყელის (L) ჩამწერი კალმები შემართვის მომენტში სრული მელერობისათვის საჭირო რხევებს არ იძლევა; ეს რხევები მეტად სუსტია. ლ'-სა და ლ-ს ეს განსხვავება ჩვეულებრივი მოსმენითაც ადვილი გასარჩევია.

ბოლოს, რაც შეეხება გ. ახვლედიანის მიერ წამოყენებულ სავარაუდო დებულებას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ისტორიულად ლ' შეცვალა ლ მ ისე, როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში ჯ შეცვალა ხ მ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დებულება სავსებით უნდა შეეფერეოდეს საქმის ვითარებას. ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებიც ამას უჭერს მხარს. კერძოდ, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჯ-სა და ლ'-სათვის დამახასიათებელია

სპირანტისებური შემართვა, რაც ნათლად გვიჩვენა კიმოგრაფებმა (ნახ. 1 და ნახ. 2). სპირანტული ელემენტის ჩასახვას შემართვის მომენტში კი ხელი უნდა შეეწყოს ჯ-ს ხ-თი და ლ'-ს ლ-თი შეცვლისათვის. სვანურში ფარინგალი ლ'-ს გადაგვარებისა და უკანაენისმიერი სპირანტის ლ-ს გაბატონების საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. აქ ამ პროცესის დამადასტურებელ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს დავასახელებთ. მაგ. ლშხ. ნე-ღეშტ, ჩხბ. ნე-ჯშდ, ლხმ. ნე-ზშდ 'თიკანი' (შდრ. ლხმ. ლინღეშდი 'ზამთარში თხის გაბარება თიკნის მოსაგებად') ლშხ. ღღღ, ბზ. ყვყვ 'ჩიყვი' (შდრ. საბა: ღღღი || ღღყი). ლხმ. ღივ-ღავ, ლ'ხ. ყიბ-ყაბ 'ჩამიჩუმი' (შდრ. ბზ. ბად', ლაშხ. ბოყვ 'ბეღლი'). სვან. ვაგლა, ქან. ღარღალ: ღღარღაღუ 'ლაპარაკი', ქართ. ღარღალი. გურ. ყარყალი 'უშნო, ხმამალღი ღარღაკი'. (შდრ. საბა: ყარყარა „სარწყული სმაში ჯმის-მცემელი“, ყავ-ყავი „ყრიალი კაცთა“ (საბა)¹ და სხვა ამის მსგავს მაგალითებში უნდა ვიგულისხმოთ, რომ ღ ფარინგალური მელერი ხშულის ნაცვალა. ანალოგიურ პროცესთან გვაქვს საქმე, როდესაც არაბული მელერი ფარინგალი ქართულში იძლევა, ერთი მხრით, ღ-ს (ღარიბი), ნეორე მხრით, ყ-ს (ყარიბი) (გ. წერეთლის ჩვენებით). სვანურში ლ'-ს ლ-თი შეცვლა შეეძლო დაეჩქარებინა ქართულისა და მეგრულ-ქანურის გავლენასაც. ყველაზე დიდი რაოდენობით ღ ამ ენებიდან სვანურში შესულ სიტყვათა ძირებში დასტურდება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ღ' დასტურდება მხოლოდღა-მხოლოდ სვანურის საკუთარი ჩამომავლობის სიტყვებში და არა ნასესხებში, ეს კი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ეს სპეციფიკური ბგერა საკუთრივ სვანური და საერთოდ ქართველური წარმოშობისაა და არა უცხო ენებიდან მომდინარე. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობისაა ამ თავისებური ბგერის სვანურ სპეციფიკურ ონომატოპოეტურ სიტყვებში, ფრინველთა და მცენარეების სახელწოდებებში დადასტურება. როგორც ცნობილია, ასეთი სიტყვები ამსახველია ბგერათა უფრო ძველი მდგომარეობისა.

ლახამულურში დადასტურებული ონომატოპოეტური სიტყვა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ბგერის შემცველია: ღ'-ღ' ქართველურ ენებში ბატის აღმნიშვნელი სახელწოდების საერთო ფუძეა: ქართ. ღერღტი || ღერღდი (საბა), სენ. (ბქვ.) ღარღად, ლშხ. ღარღად მეგრ. ღერღტი || ღორღოჯი.

ღღეს კი ქართველური ენებიდან პირველ რიგში ქართულმა დაკარგა ეს საკუთარი ჩამომავლობის სიტყვა და მის ნაცვლად გაბატონდა უცხო წარმოშობის ბ ა ტ ი (არაბ.-სპ.). საყურადღებოა ისიც, რომ ღ'-ღ', როგორც ონომატოპოეტური სიტყვა, მხოლოდ ბალსქვემოურმა შემოგვინახა. სხვა დიალექტებში იგი არ დასტურდება (შდრ. ბზ. სოი-სოი, ლ'ხ. ლტ. სოი-სოი.), ამ მხრივ ლახამულურის მონაცემები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

ბუნებრივად იბადება კიდევ ერთი ტერმინოლოგიური ხასიათის კითხვა. ამ სპირანტული შემართვის მქონე ფარინგალებს ყ ღ'-ს რა ვუწოდოთ? რამდენადაც ეს ფარინგალები ნახევრად სპირანტული და ნახევრად ხშული ელემენტების შემცველია, ამიტომ ყველაზე უფრო ამ ბგერათა ბუნებას გ. ახვლედიანის მიერ მოწოდებული ტერმინი სპირანტოიდი გამოხატავს. ნ. იუშმანოვი

¹ შდრ. ქან. ღ უ რ ღ უ ლ ა ფ ს (ხოფ.) || გ უ რ გ უ ლ ა მ ს (ათინ-ვიწ.) 'გარკინეა' (აგრეთვე მუცლის ხმაური, შდრ. ყ უ რ ყ უ ლ ი || ღ უ რ ღ უ ლ ი). ქან. ყუბა (ხოფ.) || ღ ღ ა (ათინ.) || კ ღ ა (ვიწ.) 'შუბლი' (H. Mapp, Гр. 4аиск. яз., 204).

ამ ბგერებს აფრიკათიდებს უწოდებს [(5), სტრ. 33]. სპირანტოიდს იმ მხრავაც აქვს გამართლება, რომ ისტორიულად ლ' და ჯ სპირანტებმა ლ და ზ-მ შეეცვალა. რაც შეეხება ყ-ს, მას შესატყვისი სპირანტი არა აქვს. არც შეეძლო წას სპირანტად ქცეულიყო მკვეთრობის, ანუ ყელხშულობის გამო [5].

დამოწმებული ლიტერატურა

1. Н. Марр, Грамматика древне-литературного грузинского языка. Ленинград, 1925, стр. 30.
2. გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი, 1938, გვ. 133.
3. გ. ახვლედიანი, ლოგოპედიის მნიშვნელობის საკითხისათვის ისტორიულ ენათმეცნიერებაში. თბილ. ფუნქც. ნერვულ დაავადებათა ინსტიტ. შრომები, II, 1945, გვ. 237.
4. გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღეურ ენებში (იბეჭდება).
5. Н. В. Юшманов, Фонетические параллели африканских и афетических языков. Сборник „Африка“, Труды Института Языка и Мышл. им. ак. Н. Я. Марра т. IX, М.—Л., 1937.
6. ს. ულენტი, ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემებით. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, ტ. VI, № 2, 1945, გვ. 172.

1946 წ.

ზანიზმები ბურულ ზმნებში

ცნობილია, რომ გურულსა და იმერულში, განსაკუთრებით ქვენიმერულში, მეგრულ-ქანების ენობრივი მასალები უხვადაა წარმოდგენილი.

მეგრულ-ქანური ფენის არსებობას გურულში ჩვენ ერთხელ შევეხეთ ნაწილობრივ¹.

ამჟამად ჩვენი მიზანია წარმოვიდგინოთ დამატებითი მასალები გურულში მეგრულ-ქანური ფენის არსებობის ნათელსაყოფად.

გამოიჩვენა, რომ გურული ზმნების წყება მხოლოდ მეგრულ-ქანურის ნიადაგზე შეიძლება აიხსნას. ეს ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია გურულის, როგორც ენობრივად ნარევი კილოს, დასაზუსტებლად².

ცნობილია, რომ გურიის ტოპონიმიკურ სახელებში მეგრულ-ქანურ სახელწოდებათა დადასტურებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ტომთა ისტორიის გასათვალისწინებლად. ჯერ კიდევ 1913 წ. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამის შესახებ წერდა: „გურულები და იმერლები მეგრულ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუა გულში არიან შექრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამისდა მიუხედავად, ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად კოლხეთის ის მიწა-წყალი მხოლოდ მეგრულ-ლაზებს ეკუთვნოდა, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას (სადაც ახლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა ცხოვრებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგ. მთა ჯიხანჯირი (ჯიხა—ციხე), ჯუშათი, კუნგვარი (კყონი—მუხა), მდ. ოჩხამური (ო+ჩხამური, ჩხომი—თევზი, როგორც ოკალმახე А. Чагарели, Этюды, II, 71), ოკილაური (ო+კილაური—საქილაო). ქუციში, ქუციაშაური, კანიეთი, მდ. გუბაზოული, მდ. კინტრიში. ონქაეთი, ონჯოხეთი, სოფ. ოც[ხ]ანა გურიაში და სხვ. ამგვარი სახელების დაკვირვება მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლო. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო“³.

¹ იხ. „გურული კილა“. 1936 წ. გვ. 19—28. იხ. აგრეთვე: И. Мегрелидзе: „Лазский и мегрельский слои в гურიиском“, Москва-Ленинград, 1938 г. იხ. მასალებს, რომლებიც დასახლებულ შრომებშია განხილული. აქ არ შევხებთ.

² ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ წარმოდგენილი მასალები არ არის უცხო იმერულისათვისაც, განსაკუთრებით კი—ქვემო იმერულისათვის და ზოგი მათგანი—დასავლური კილოებისათვის საერთოდ.

³ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი პირველი, 1913 წ. გვ. 56.

ლიტერატურაში უკვე ცნობილი მასალების გარდა, ამავე რიგის მონაცემ-
ში უნდა გვქონდეს გურიის ერთი თემის სახელწოდებაში; ესაა: ქუაზლა. იგი
შეიძლება აიხსნას მხოლოდ ქანურ ნიადაგზე. ქუაზლა შედგენილი სიტყვაა:
ქუა + ზლა. პირველი ნახევარი ცნობილი სიტყვაა: ქუა → ქვა. მეორე ნახევარი
ქანურში ნიშნავს: 'ყრა' (და-ყრა, ჩა-ყრა, მო-ყრა, გა-ყრა). მაგ.:

„ბახჩას ჩანტუ კარპუზი დო შუკაფე. ხოჯაქ დოწილუ დო ტურგაფეს
ქოდოლოზდუ“ — ბოსტანში ხარობდა საზამთრო და კიტრები. ხოჯამ დაჰკრიფა
და ტომრებში ჩაჰყარა (ს. ულენტი, ქანური ტექსტები, გვ. 113₂₅). „ბახჩამ
საიბიქ ხოლო უწუ-ქი: „ტურგას მიქ დოლოზდუ-და“ — ბოსტნის პატრონმა კი-
დედე ჰკითხა: ტომარაში ვინ ჩაჰყარაო (იქვე, 113₂₅). „ა'ნდლას კირალიქ დიდო
ოკობლალა დოვუ დო მილეთის უწუ“ — ერთ დღეს მეფემ კრება (ყრილობა)
აწვია („ქნა“) და ხალხს უთხრა (იქვე, 200₂₂). „დიდო ფარა ქოდოზდუ ოზიო
მუშის“ — დიდძალი ფული დაჰყარა („ქედაყარა“) მის სახლში (იქვე, 150₂).

ამგვარად, ქუაზლა ნიშნავს: ქვა-ყრა, ქვა-ყრილი. იგი ნაზმნარი სახელია.
მართლაც, ის ადგილი, რომელიც ამ სახელწოდებას ატარებს, არაჩვეუ-
ლებრივი მსხვილი ქვებითაა მოფენილი (ჩოხატაურის რაიონი, მდ. გუბაზოუ-
ლის ხეობაში. ბახმაროს მიმართულებით).

ქუაზლა-ს მსგავსად ქვა-დან ნაწარმოები სხვა ტომონიმიკური სახელებიც
იპოვება, როგორიცაა: ქვაყრილი (პროფ. ვ. თოფურიას ჩვენებით), ქვალონო,
ქვაიანო და სხვ.

მეგრ. ბარდღალი ნიშნავს: 'უაზრო, უშნო ლაპარაკს'. გურულშიაც გა-
ვრცელებულია ეს ზმნა იმავე მნიშვნელობით (იხ. „გურული კილო“, გვ. 211).
გურულში გავრცელებულია პარალელურად თანხმომთანა გადაწვევის ნიადაგზე
მიღებული ვარიანტიც იმავე მნიშვნელობით: პარტყალი (ბარდღალი || პარტყა-
ლი). გურ. „გამომიყრუა ყური მისმა ბარდღალმა“; „პარტყალის მეტი რაი
ოცის“.

სვანურში ამ სიტყვის შესატყვისია: ლი-ბერდღენი იმავე მნიშვნელობით¹.
როგორც ცნობილია, სვანური რთულბუნებოვანი ენაა და მასში სხვადა-
სხვა ენობრივი ფენი შეინიშნება: „სვანურში მკვეთრად გამოიყოფა სამი (ფენი)
მაინც (ერთი იძლევა ქართულის შესატყვის მასალას ანდა ხედება სალიტერა-
ტურო ქართულის შესატყვის მასალას; მეორე იმეორებს მეგრულ-ქანურს; მე-
სამე აფხაზურ-ადიღურ ჯგუფის ენათა სინამდვილეს უკავშირდება)“². ამის
გამო სრულებითაც არ არის გასაკვირი ის შეხვედრები, რომელთაც, როგორც
ქვემოთ ვნახავთ, ერთი მხრით, ქანურ-მეგრულ-სვანურსა და მეორე მხრით
გურულს შორის აქვს ადგილი. ეს საერთო — ზანური ენობრივი ფენია.

მეგრ. ბუნენუა ნიშნავს: 'გაუგებარ ლაპარაკს'. გურულშიაც ეს ფუძეა გა-
მოყენებული იმავე მნიშვნელობით: ბლუყუნო ან ბლუყინი.

გურ. „ისე აბლუყუნდება, კაცი ვეფერს გუუგეფს“.

სვანურში იმავე მნიშვნელობის გამომხატველი შესატყვისი ფორმაა:

ლი-ბერყენი, ბერყინი.

¹ სვანური მასალები ლახამულური მეტყველების მიხედვითაა დამოწმებული.

² იხ. ა. ო. 5. ნიკოზაძე, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938 წ.

მეგრ. ბაძლუა ნიშნავს: 'მეჩხრად და უშნოდ ღობეა'. მეგრ. „ბაძლილ ღობერი“ ნიშნავს: 'მეჩხრად და ცუდად ნალობი ღობე'. გურულში იმავე შინა-არსის გამოსახატავად გავრცელებულია: ბანძღვა. ნ ფონეტიკურადაა განვითარებული. ასე მაგ. იტყვიან: „რაცხა კი მიბანძლ-მობანძლო“, ე. ი. ცუდად მიაღობ-მოაღობა. გურულში ბანძლი იხმარება დაძველებული ღობის მნიშვნელობითაც.

მეგრ. ბეჭუა ნიშნავს: 'მაგრად გარტყმას'. გურულშიაც იგივე ფუძეა გავრცელებული იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად: ბეჭუა || ბაჭუნი. გურ. „ერთი კარქა მობეჭა“.

ქანურში ამ მნიშვნელობის გამომხატველი შესატყვისი ფორმაა: თ-ზაპუ-მეგრ. გო-ბონდლუა ნიშნავს: 'დაქსელვას'.

მეგრ. „გობონდლილი“—გაბმული ქსელი (ობობასი). გურულშიაც ამ ზმნის ფუძეა გამოყენებული იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად, მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვნებით: ბანდლუა (მეგრ. თ || ქართ. ა).

გურ. „გუუბანდლავს ობობას ქსელი“.

მეგრ. ბუჯონუა ნიშნავს 'უშნოდ ქამას'. გურულშიაც ეს ფუძეა გამოყენებული იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად: ბუჯუნა. გურ. „იბუჯუნება ცივ ქაღს“.

მეგრ. განუა ნიშნავს: „ხბო რომ მოწველამდის ძუძუებს პირს მოავლებს“. გურულშიაც ამ ზმნის ფუძეა გამოყენებული იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად, მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვნებით: მო-გე-ნება; ქან. გენი ნიშნავს: 'ხბოს'.

მეგრ. დო-ძონძუა ნიშნავს: 'დახუნძვას'; მეგრ. „დოძონძილი“ ნიშნავს: 'დახუნძული, ძალიან ქსნხმოიარე' (ხეხილი). გურულშიაც ეს ზმნაა გამოყენებული იმავე მნიშვნელობით, მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვნებით: და-ძანძვა. აქედან მიმღობა: და-ძანძული.

გურ. „ამ სხალს ქლა დაძანძული აქ ბოლები“.

მეგრ. ეკალიფუა ნიშნავს: 'აკრეფა, აღება, აწმენდა'. გურულშიაც ამ მნიშვნელობის გამოსახატავად იგივე ზმნაა გამოყენებული: აკალიფება.

მაგ. წყლისაგან ან ქარისაგან წაქცეული სიმიწდების აყენებაზე იტყვიან: ააკალიფაო.

მეგრ. გო-ზიზინაფა ნიშნავს: 'ქურპლის ზედმეტად გავსებას რაიმე სითხით' (მსუქანზედაც იტყვიან). ეს ზმნა გურულშიაც არის გავრცელებული იმავე მნიშვნელობით: გაზიზინება ნიშნავს: 'გავსებას', საქონლის ძალზე გაძლომაზედაც იტყვიან: „გაგაზიზინე ძროხაო“.

ქან. თიკუნტალი ნიშნავს: 'თავით გადაყირავებას' (იხ. ს. ჟღენტი, ქანური ტექსტები, გვ. 186). გურულში თავით გადაყირავების მნიშვნელობით იხმარება: წიკუნტალი (იხ. „გურული კილო“, გვ. 257).

გურ. „ცხრაჯერ გადაწიკუნტალდა“ ნიშნავს: ცხრაჯერ გადაყირავდა. განსხვავებას თავკიდური თანხმოვანი გეაძღვეს. სვანურში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად ციბრკგლჷ გვაქვს.

მეგრ. თხიფუა ნიშნავს: 'დასერას'. გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით.

გურ. „ითხიანება“ ნიშნავს: ისვრება (თხიფუა || თხიპვა). გურ. მოთხი-
პული || მოთხუპული ნიშნავს: 'მოდღურულს, დასვრილს'.

მეგრ. „კანტალი ღუდიში“ ნიშნავს: 'თავის ქნევას'. გურულში ამის შე-
სატყვისი გავრცელებული ფორმაა: თავის კანტური.

გურ. „თავს აკანტურეფს“ ნიშნავს: თავს აქნევს. „ყორიფელზე გიკანტუ-
რეფს თავს“—ნიშნავს ყველაფერზე გეთანხმება.

მეგრ. კაპანუა ნიშნავს: 'ტვირთვას'. გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებ-
ული იმავე მნიშვნელობით: და-კაპანება. გურ. „დაკაპანებულო ურემი“ ნიშ-
ნავს: თავმდის, ზედმეტად დატვირთული ურემი.

მეგრ. კარკაცო ნიშნავს: 'კასკასი, კისკისი'. ეს ზმნა გურულში იმავე მნიშ-
ვნელობითა და ფორმითაა გავრცელებული.

გურ. „კარკაცოფს“—ნიშნავს: კასკასობს. კარკაცი ფონეტიკური განვი-
თარების გზითაა მიღებული კასკასი-საგან. რ ხ-ს ფონეტიკური მონაცვლეა
(შდრ. ძვ. ქართული სძალი—რძალი; სძე—რძე). ც კი შედეგია მეორე ხ-ს გა-
აფრიკატებისა (შდრ. ქართ. მხხალი და ჰან. მცხული; გურ. სხვენი და ჰან.
ოცხონე). კარკაც ფუძეა გამოყენებული სევანურ: ლი-კვრკაცე-ში, რაც ნიშნავს:
'კიკანს'. სევან. კარკაცე—კიკანებს. ამავე რიგის მონაცემი უნდა გვქონდეს სევან.
კორკაცე-ში, რაც ნიშნავს: 'მყიფიან ხეელას'.

მეგრ. კეკუა || კაკუა ნიშნავს: 'წისქვილის ქვის მოპირვას', აგრეთვე
ნიშნავს: 'მატყლის წეწვასაც'. გურულში ეს ზმნა იმავე ორი მნიშვნელობით
იხმარება. იტყვიან: „ახალ შოკეილი! წისქვილიაო“, ან კიდევ: „კი დაკეილი
მატყლიაო“.

მეგრ. კვარკვალი ნიშნავს: „კანკალს“. გურულშიაც იმავე შინაარსის
გადმოსაცემად ეს ზმნაა გავრცელებული. ცნობილია ასეთი ლექსი:

„სიცივეა კვარკვალია
ქალო, შენ რამ გადაგრია,
კასტუმინს რომ დიქმეფ,
ჩოხიანი რამ დალია“ (იხ. „გურ. კილო“, გვ. 70).

მეგრ. კვირკუა || კვარკვალუა ნიშნავს: 'დახვევა, დაგორგალება'. გურულ-
ში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: და-კვირკვალება. გურ. „დაკ-
ვირკვალებული თმები აქ“—ხუჭუქი თმა, ლოკონები აქვს. შდრ. ჰანური: „კირ-
კოლერი თომა“—ხუჭუქი თმა (ს. ელენტი, ჰანური ტექსტები, გვ. 191). სევან-
ურში იმავე მნიშვნელობის შესატყვისი ფორმაა: ლი-კვირკვე.

მეგრ. ლანდუა ნიშნავს: 'კვერცხის სინათლეზე შემოწმებას ლაყე არის
ოუ არა'. გურულში ლანდვა იმავე მნიშვნელობით იხმარება.

მეგრ. ლიფუა ნიშნავს: 'გასანთელა. ტალახში ამოსერა'. გურულშიაც ეს
ზმნაა გავრცელებული ამავე მნიშვნელობის გადმოსაცემად. მაგ. ტალახით ან
ქონით გასერილზე იტყვიან: გალიფულიაო.

კურ. „ახოს კუდი ქლა გალიფული აქ ტალახით“.

ჰან. ო-მლორინუ ნიშნავს: 'ხმაძალად ყვირილს, ღრიალს'. გურულში ამ
მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: ბლორინი. მ-ს ბ-დ ფონეტიკურ ცვლა-
ლებასთან ვიკვს სექე (იხ. „გურული კილო“, გვ. 214).

კურ. „რა ვადლორინეფს, ბიკო, აბხელას“—რას ღრიალზე ამოდენას? სვა-
ნურში შესატყვისი ფორმაა: ლი-ბლლელ 'ბლავული (საქონლის)'.

მეგრ. გღ-ნიორაფა ნიშნავს: 'წყალზე კვალის დაჩენას', მაგ.: ნავის გავლის შემდეგ ან გატურვის შემდეგ. გურულში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად გავრცელებულია: განარჯა (იხ. „გურული კილო“, გვ. 216).

მეგრ. ბურტყაფი ნიშნავს: 'ფურთხვას, უშნოდ ფურთხებას'. ეს ზნა გურულშიაც არის გავრცელებული იმავე მნიშვნელობით. გურ. „იბურტყენება საშინლათ“ ნიშნავს: წამდაუწუმ უშნოდ იფურთხება.

მეგრ. პუტინი ნიშნავს: 'ჩუმიად გაბმულ ლაპარაკს'. გურულში იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: პუტუნი, გურ. „პუტუნოფხ თელი დლიე“. ამ შემთხვევაში, და სხვა ბევრ შემთხვევაში, ი-სა და უ—ს შესატყვისობა მეგრულსა და გურულს შორის ისეთ ხასიათს ატარებს, როგორც მეგრულსა და ქანურს შორის¹ (შდრ. მეგრ. თხიფუა და გურული: თხუჭვნა).

მეგრ. უუარუა ზმნას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს ისე, როგორც კურულშიაც.

მეგრ. უუარუა ნიშნავს: 1. ძალზე დაღლას, გურულშიაც იტყვიან: „დღეს ნამეტარი დეფიფერეო“, ე. ი. დავიღალეო. 2. ნიშნავს: გარტყმას და 3. დასველებას, გაწუწვას. გურულშიაც ეს ზმნა ამ მნიშვნელობით იხმარება. მაგ. თუ ვინმე მდინარეში ტანზე ჩაცმული გავა, იტყვიან: გაფვარუნდაო.

მეგრ. უღირაფა ნიშნავს: 'ქკნობას'. გურულში ამ შინაარსის გადმოსაცემად გვაქვს: უღნობა. გურ. „დამუღნარი ვარდი“—დამქკნარი ვარდი (იხ. „გურული კილო“, გვ. 240).

მეგრ. რეფუა ნიშნავს: „რაიმე საგნის დარტყმას“². გურულში როცა იმავე მნიშვნელობის გამოხატველია. გურულში ე ხმოვანს ი ენაცვლება. გურ. „თავი გუუროფა“—თავი გაუტება, გაუპო (იხ. „გურული კილო“, გვ. 71).

მეგრ. ტაკუა ნიშნავს: 'ფეხის ან ხელის რაიმე სითხეში ჩაყვრას'. ეს ზნა გავრცელებულია გურულშიაც იმავე მნიშვნელობით. გურულში იგი თავში ი ჩართვმასაც ნიშნავს.

გურ. „ტიკვა ჯობი თავში“.

მეგრ. ტაკარხალი ნიშნავს: 'ხმამალალ სიცილს'. აგრეთვე აღნიშნავს: ფრინველის გაფრენისას ფრთების ხმაურს.

გურულში ეს ზმნა გავრცელებულია იმავე მნიშვნელობით, ხოლო ფუნქნი ჩ-ს მაგიერ სისინა ჯგუფისათვის დამახასიათებელიც გვაქვს: ტაკარცალი. გურ. „ქალიშვილების ტაკარცალი“; „ქათამი ატაკარცალდა“.

სვანურში იმავე მნიშვნელობის შესატყვისი ფორმაა: ტაკარჩენ 'ტაკარცალი'.

მეგრ. ტყვაპინი ჩიშნავს: 'რაიმე საგნის წყალში ჩაყვრისას ხმაური, ან სითხეში სიარული'. გურულში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: ტყვაპუნი. გურულში ი-ს მაგიერ უ გვაქვს. მაგ. თუ ქურქელში წყალი შობრაობს, იტყვიან: „წყალი ტყვაპუნოფხო“.

მეგრ. „ტუუაპალია კვერციხი“ ნიშნავს: ლაყე კვერცხს. შდრ. გურ. „ტყვაპერა კვერციხი“.

სვანურში მეგრ. ტყვაპინი-სა და გურ. ტყვაპუნი-ის შესატყვისი გვაქვს: ტყურაპუნ იმავე მნიშვნელობით.

¹ იხ. არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შდ. ლექსიკონი, გვ. 5.

² მადლობას ვუძღვნი ანდ. თოდუას ზოგი მეგრული ზმნის შინაარსის დახუსტებრიანებას.

მეგრ. ფელეკუა (ან. თოდუას ჩვენებით) ნიშნავს: 'გახლეჩას, გაპობას'. გურულში შესატყვისი ფორმაა: გა-ფელეკება იმავე მნიშვნელობით.

მეგრ. ფითქუა ნიშნავს: 'ამოგანგვლა რაიმე ფხვნილით, ფქვილით, პულ-რიოთ'.

მეგრ. აგოფითქილი ნიშნავს: პულრწასმული. გურულშიაც შეფითქვლა ნიშნავს: 'შეთეთრებას, პულრის წასმას'.

მეგრ. ფუჟაფი ნიშნავს: 'ნელი წვა'. გურულში იმავე მნიშვნელობის შესატყვისი ფორმა გვაქვს: პუჟა. გურ. „ცეხლი პუჟავს“—ცეცხლი ჩაქრობაზე. გურულში აარაღელურად იხმარება: პუჟუნი იმავე მნიშვნელობით (იხ. „გურული კილო“, გვ. 239).

მეგრ. ლაჭუა ნიშნავს: 'კრეკა'.

გურულშიაც ეს ზმნა გამოყენებული იმავე მნიშვნელობით.

გურ. „თმაი მიაღნუჟა ან შიაღნუჟა“ ნიშნავს: თმა მიაკრიჟა ან შეაკრიჟა. გურულში გვაქვს უ-ნ-არო ფორმა(ც)-ღუჟვა.

სვანურში შესატყვისი ფორმაა: ნე-ღმეჟ ნიშნავს: მატყლის ნაკრეკს, ან ფართლის პატარა ნაპერს (შდრ. გურ ნაღუჟნი იმავე მნიშვნელობით).

მეგრ. ღვანკალი ნიშნავს: 'ძლივ-ძლიობით, სუსტად სვლა'. მეგრ. ღვანკალი, გარდა ამისა, ჰქვია ჰიის მაგვარ წყლის პატარა ცხოველს (პროფ. არნ. ჩიქობავას ჩვენებით).

გურულში ღანკალი ნიშნავს: სუსტად, 'ძლივ-ძლიობით სვლას'.

გურ. „ძულე ეღანკალება“ ნიშნავს: ძლივს დადის, სუსტადაა.

სვანურში შესატყვისი ფორმა გვაქვს: ღი-ღჯრკანელ იმავე მნიშვნელობით 'სუსტად სვლა', ნაზამორ, დასუსტებული საქონლის სვლაზედაც იტყვიან.

ჰან. თ-ღრიკუ ნიშნავს: 'მობრას, დახრას'.

ჰან. „მოდრიკი ჯინიჰი“—'დახარე (მობარე) კისერი'. გურულში იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: მო-ღრიკვა. გურ. „წულეღი მომღრიკა“—წაღები დასველების შემდეგ მზეზე ან ცეცხლზე რომ გაშრება და მოიგრიხება, იმაზე იტყვიან.

მეგრ. ღო-შხაფათუა || ღო-შაფათუა ნიშნავს: 'ერთბაშად გაჟლეტა, დახოცვა'. გურულშიაც ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: ღა-შხამფა-ღება. მ ფონეტიკურადაა განვითარებული. გურ. „ჰუჰუღები დაშხამფაღდენ“—წიწილები დაიხოცნენ (ერთბაშად რაიმე ავადმყოფობის გამო). „შვილები ღუღუშხამფაღდა“—შვილები დაეხოცა, გაუწყდა (უფრო ხშირად წყველის დროს იხმარება).

მეგრ. ციკჰონუა || წიწჰონუა ნიშნავს: 'ცოტ-ცოტა კამას'. გურულშიაც ციკჰნა || წიწჰნა იმავე მნიშვნელობით იხმარება.

გურ. „ისე იწიწჰნება, კაცს გულზე შამოუა“ (შდრ. წიწჰათაი ჰამა, გ. შარანიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 87).

გურულში გავრცელებულია ცუცჰნა ვარიანტიც იმავე მნიშვნელობით.

ჰან. თ-ცხომუ ნიშნავს: 'სხლევა, გასხლევა'. გურულში ამ ფორმის შესატყვისი ფორმა გვაქვს: სხეჟვა იმავე მნიშვნელობით.

ჰან. „სუმე კოჩი-თი გოცხომუ“—სამი კაციც მოკლა („გასხება“) (იხ. ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები, გვ. 202). გურ. „ბეოლის დასხეჟვა“ ნიშნავს: თუთის ხის ტოტების დაჭრას.

აღსანიშნავია, რომ ქანურის ცხ კომპლექსის შესატყვისი გურულში გვაქვს სხ კომპლექსი. გარდა ხსენებული მაგალითისა, შეიძლება დასახელებულ იქნეს სხვა მაგალითებიც. მაგ.: ქანური ო-ცხონე-ს შესატყვისი გურულში გვაქვს: სხვენი 'სამზარეულო სახლის ქერები და ის არე საერთოდ, რომელიც მოთავსებულია სახლის სახურავსა და საცეცხლურს შორის' (იხ. „გურული კილო“; გვ. 244). ქანური მცხული-ს შესატყვისი გურულში გვაქვს: სხალი. მ იკარგვის, ან ზოგჯერ ფშვინვიერდებუ და ვლებულობთ: ფსხალი (იხ. „გურული კილო“, გვ. 247); (შდრ. ხი-სხლი და დი-ცხირი).

შეიძლება ამავე რიგის მონაცემი გვექონდეს სვანურ: ლი-კაცხურე-ში, რაც ნიშნავს 'სხეპვას'.

მეგრ. „კუჩხი განიკინუ“ ნიშნავს: 'ფეხი გაფშია'.

გურულში ამის შესატყვისი გვაქვს: ფეხი ვააჩიკინა იმავე მნიშვნელობით.

ქან. ო-ჩხოტალუ ნიშნავს: 'გასხლეა' (შდრ. ო-ცხოპუ).

გურულშიაც ეს ზმნაა გამოყენებული იმავე მნიშვნელობით: გა-ჩხოტვა.

გურ. „ბეოლის გაჩხოტვა“ ნიშნავს: თუთის ტოტებიდან ფოთლების გაცლა, დაყრევინება (იხ. „გურული კილო“, გვ. 27). მეგრულში იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: ოცხოტალე და ოჩხოტალე-ც (დოც. მ. ხუბუას ჩვენებით).

სვანურში შესატყვისი ფორმაა: ლი-ჩხვტი, რაც ნიშნავს: 'ხეხილის ფოთლების დაბერტყვას მაგ. კოლოკის სროლისას'. ნიშნავს: საქონლის აკაფსვასაც.

მეგრ. წარწალი ნიშნავს: 'მოდრაობას' მაგ. „ქარი იწარწალუ“—ქარი ქრის (მოდრაობს). გურულშიაც წარწალი ნიშნავს: 'მოდრაობას, შრომას'. გურ. „თელი დღეი წარწალოფს“—მთელი დღე შრომობს, არ ისვენებს.

გურულში იხმარება ასეთი ვარიანტიც: წანწალი იმავე მნიშვნელობით.

რ-ს მაგიერ ნ გვაქვს (შდრ. მეგრ. „ენის ტანტალი“, გურ. „ენის ტარტალი“).

მეგრ. წკაპუა ნიშნავს: 'გამშკრივებას'. გურულშიაც გა-წკაპვა იმავე მნიშვნელობით იხმარება.

გურ. „გაწკაპულიყვენ ხიდზე“—ხიდზე ჩამშკრივებულიყვენ.

სვანურში შესატყვისი ფორმა გვაქვს: ლი-წკაპუნე იმავე მნიშვნელობით.

ნავ. იტყვიან ფოლაქების მწკრივზე დაკერების შემთხვევაში.

✓-მეგრ. წკვარწკვალი ნიშნავს: 'წვეთებად დენას'.

ქან. „რუმდის უფი ჯინიქიშე დოლოწურულამტუ“—რუმდის კისრიდან ოფლი ჩამოსდიოდა წურწურით (ს. ჟლენტი, ქანური ტექსტები, გვ. 214).

გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით. გურულში

ამ ზმნის ორი ვარიანტი არსებობს: მეგრულის შესატყვისიცა და ქანურის შესატყვისიც. გურ. „ოფლი მო-წკვარწკვალოფს“—ოფლი მოსდის ღვარად (შდრ.

მეგრ. წკვარწკვალი). გურ. „ოფლი მო-წურწკულოფს“—ოფლი მოსდის ღვარად

(შდრ. ქან. დოლო-წურულამტუ) (იხ. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. გვ. 87

წურწკული).

მეგრ. წკაპუა ნიშნავს: 'კობტად გამოწყობას, მორთვას'. მეგრ. „გემორ-

წკიპილი ო გემოწკიპილი კოჩი“—კობტად მორთული კაცი.

გურულშიაც მო-წკაპვა ნიშნავს: 'კობტად მორთვას, გამოწყობას'. „გა-

მოწყაპული“—მორთული, გამოწყობილი.

სვანურში შესატყვისი ფორმა გვაქვს: ლი-წკაპუნე იმავე მნიშვნელობით.

როგორც ცნობილია, ისტორიულად სხვადასხვა დღესასწაულებზე გურულებსა და მეგრელებს შორის სხვადასხვა სახის თამაში იმართებოდა. ერთი ასეთი სახის თამაში იყო: ჭაკუნო. იგი მეტად გავრცელებული თამაში ყოფილა როგორც გურიაში, ისე სამეგრელოშიაც. თამაში შემდეგში გამოიხატებოდა: „ბურთის მაგვარად გათლიდნენ ხეს, შემდეგ დათლიდნენ გრძელ ჯოხებს, რომლებსაც თავები დამსხვილებული ჰქონდა. ამ დამსხვილებულ თავს ხის ბურთს გაატყამდნენ და ამნაირად თამაშობდნენ ჭაკუნს“ (იხ. „გურული კილო“, გვ. 258).

მეგრ. ჭაკუნა ნიშნავს: 'ქექვა, წვრილად დაჭრა'. გურულში იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად იხმარება: ჭიჭკა.

გურ. „შემის დაქიჭკენა“—შემის წვრილად დაჭრა. სვანურში იმავე მნიშვნელობის გადმოსატყვამად იხმარება ლი-მწკვრე 'შემის ძალიან წვრილად დაჭრა'.

მეგრ. ჭიჭე ნიშნავს: 'პატარა, ცოტა'.

ქანურში შესატყვისი ფორმაა: ჭუტა, ჭუტუტა იმავე მნიშვნელობით.

ქან. „არ ჭუტუტა ნჯა რენ-ჯა“—ერთი პატარა ხე არისო (ს. ჯღენტი, ქანური ტექსტები, გვ. 215). ამ სიტყვის ფუძე გამოყენებულია ერთ გურულ ზმნაში: შო-ჭიჭავება, რაც ნიშნავს: 'ეკონომიას, მოცოტავენას' (იხ. „გურული კილო“, გვ. 235).

გურ. „ჭიქეთ იხმარე“, ან კიდევ: „რომ გუუსვი ხელი, ცოტა მოგეჭიჭავებია“. „ჭიქო-ჭიქო იხმარე, თვარა ქე ჩაგელევაჟ ხელში“ (გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 88).

მეგრ. გო-ჭიჭინაჯა ნიშნავს: 'გულის მოსვლას', ან კიდევ: 'გულის წასვლას'. გურულშიაც ეს ზმნაა გამოყენებული იმავე მნიშვნელობით.

გურ. „გაჭიჭინდა“—'გული მოუვიდა, გაბრაზდა', „ბალანე ვადჭიჭინდა“—ბავშვს გული წაუვიდა (ბავშვს ტირილისა და ხველის დროს ემართება ხშირად).

მეგრ. ო-ჭინახე ნიშნავს: 'საწნახელს'. გურულში წნეხის აღსანიშნავად სწორედ ეს ფუძეა გამოყენებული. გურ. ჭნეხა ნიშნავს: წნეხა (იხ. „გურული კილო“, გვ. 77).

მეგრ. ჭონჭუა ნიშნავს: 'მრავალჯერ დაკრება ძველის ძველზე'.

მეგრ. „ჭონჭილი“—ნაჭრებისაგან შეკერილი ტანსაცმელი ან სხვა რაიმე. გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით, თუმცა გურულში იგი ზოგჯერ ცუდად დაკერებულსაც ნიშნავს. გურ. „შუჭონჭავხ საშინლათ“ (შდრ. გ. შარაშიძის, გურული ლექსიკონი, ჭინჭვა გვ. 88).

მეგრ. ჭანჭუა || ჭაჭუა ნიშნავს: 'ჭექვა, ჭყლეტა'.

მეგრ. „წურძენიში ჭყანჭყუა“—ყურძნის წნეხა.

გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით. მაგ. გურ. „გეგჰარჭყე“ ნიშნავს: გავიჭყლიტე.

აქაც ფონეტიკურად შენაზარდ ნ-ს მაგიერ რ გვაქვს (იხ. „გურული კილო“, გვ. 218). მაგ. თუ შიშივე ტვირთი მიაქვს კაცს იტყვიან: „გეგჰარჭყა კაციო“.

სვანურში შესატყვისი ფორმა გვაქვს: ლი-მჭუუნე 'ჭყლეტა'.

სვან. „მტიშ ლი-მჭუუნე“—მატლის გაჭყლეტა.

მეგრ. ჭყაპუა ნიშნავს: 'წყლის მოძრაობით გამოწვეულ ხმაურს' (შდრ. ტყაპუნო).

ეს ზმნა გურულშია ც არის გავრცელებული იმავე მნიშვნელობით. მაგ. ათუ ეყხსატმელში წყალია შესული და მოძრაობს, იტყვიან: „ფეხში წყალი მი-ქუაპუნოფსო“ (ზღრ. ქუაპმალი, გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 89).

მეგრ. კუორინი ნიშნავს: 'გაწყრომა'. გურულშია ც ეს ფუძეა გავრცელებული, ხოლო იგი უფრო ხშირად ნიშნავს: „ლორის ყვირილს“ (იხ. „გურული კილო“, გვ. 259). გურულში გავრცელებულია ამ სიტყვის გამეღერებული ვარიანტიც: ჯლორინი იმავე მნიშვნელობით.

მეგრ. დო-ჯგვაჯგვაფა ნიშნავს: 'ძძიმე საჯნის რაიმეზე დაცემა'. გურულშია ც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით, ხოლო ქართული სათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვნებით: და-ჯგვაჯგვაფა. გურ. „ღე-ეჯგვაჯგვა საწყალი“—ნიშნავს ჯდომით დაეცა.

ქან. ო-ჯგიალუ ნიშნავს: 'ხმაურით სელა'.

ქან. „ცხენი დუმანის: ატერი ჯგმაღერი ქომოთუ“—ცხენი ქარივით („ნი-სლივით“) ჩქარა ჯლიგინით წოვიდა („ქე მოვიდა“) (ს. ჟლენტი, ქანური ტექსტები, გვ. 217).

გურულშიც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით.

გურ. „მო-ჯლიგინოფს“—ნიშნავს: 'ხმაურით მოდის'.

მეგრ. ჯორგუა ნიშნავს: 'რაიმეს სიმძიმის ქვეშ მოქცევა'. გურულშიც ჯორგვა, დაჯორგვა იმავე მნიშვნელობით იხმარება (იხ. „გურული კილო“, გვ. 222).

გურ. „ქარი მუუჯორგა“—ქარი მიუხურა (ქარზე რაიმეს მიდებით).

სვანურში შესატყვისი ფორმაა: ლი-ჯორგე იმავე მნიშვნელობით.

ქან. ო-ხარხალუ ნიშნავს: 'დუღილს'.

ქან. „ხარხალერი წყარი აობეს დო დოქვეს ქჩინი“—ადუღებული წყალი გადაავლეს და დაწვეს დედაბერი (ს. ჟლენტი, ქანური ტექსტები, გვ. 141, 1). გურულში შესატყვისი ფორმაა: ხუარხუალი იმავე მნიშვნელობით. გურ.

„წყალი ხუარხუალოფს“—ნიშნავს: 'წყალი დულს'.

მეგრ. ხუარხუალი ნიშნავს: 'მოძრაობას, დაუდევრობას'.

გურულშიც იხმარება ხუარხუალი ამ მნიშვნელობით. იტყვიან მაგ. „წყი-ლი მიხუარხუალოფს უბეშიო“.

მეგრ. ხუანცალი ნიშნავს: 'განძრევას, მოძრაობას' (ზღრ. ხუარხუალი).

გურულშიც ხუანცალი იმავე მნიშვნელობით იხმარება (იხ. „გურული კილო“, გვ. 261). იტყვიან მაგ. „თებზი ხუანცალოფსო“ ან კიდევ: „ბალანე ხუანცალოფსო“.

სვანურში შესატყვისი ფორმაა: ლი-ხურცნელ 'ხვანცალი'.

მეგრ. გო-ხიკინაფა ნიშნავს 'ძალიან გახმობას, გაშრობას'. გურულში იმავე მნიშვნელობის შესატყვისი ფორმაა: გახიკინეფა. მაგ. მკადის კეცზე კარგად გამოცხობის შემთხვევაში იტყვიან: „მკადი გახიკინებულიაო“.

მეგრ. ხიჩუა ნიშნავს: 'კბეჩა'. გურულში ეს ზმნა გავრცელებულია ხშირად ფორმით და იმავე მნიშვნელობით, თუმცა ზოგჯერ უწნოდ კბეჩას ნიშნავს. გურ. „იხმიჩეფა“—იკბეჩება.

ქან. ო-ხლიბუ ნიშნავს: 'მოსმა, მოხერება'. „არ მოხლიბუ ხუთ ფარა რენ-მა“—ერთი მოხერება ხუთი ფული ღირსო („არისო“) (ს. ჟლენტი, ქანური ტექსტები, გვ. 203). მეგრულში შესატყვისი ფორმაა: ხუპუა იმავე მნიშვნელობით.

გურულში გავრცელებული შესატყვისი ფორმაა: ხვლეპა 'მოსმა, უშნოდ მოსმა'. გურ. „ხარივით იხვლიპება“.

სვანურში შესატყვისი ფორმაა: ლი-ხვლიპი 'ხვრეპა'.

ზემოგანხილული გურული თავისებური ზმნები, როგორც ვნახეთ, მხოლოდ მეგრულ-ქანურის ნიადაგზე იხსნება. ეს კი უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ გურულში მეგრულ-ქანური ფენის საგრძნობი მარაგის არსებობის შესახებ.

ზემოგანხილული მასალები იმ მხრივაც არის საყურადღებო, თუ რა სახე მიიღო გურულში შესულმა მეგრულ-ქანურის შიშინა ფენამ სისინა ფენის სინამდვილეში. მეგრულ-ქანური ფენის გამოყოფა გურულის ენობრივი მასალებიდან იმ ფაქტის წინაშე გვაყენებს, რომ გურულში შესული მეგრულ-ქანურის შიშინა ფენა იპდენად ძლიერი ყოფილა, რომ მას ზოგ შემთხვევაში კიდევ დაუჩრდილავს გურულის ძირითადი ფენა.

ფონეტიკური შენიშვნები სვანეთის ქართულ წარწერებზე

ცნობილია, რომ სვანურ ენას თავისი საკუთარი დამწერლობა არ ჰქონია ისტორიულად და არც ახლამდე აქვს. ამიტომ სვანურის ენობრივი მოვლენების განხილვისას საკითხი წყდება ნხოლოდ სვანურის ცოცხალი დიალექტებისა და მოძვე ქართველური ენების მონაცემების საფუძველზე. ცხადია, ყოველ ტექსტს, სადაც სვანობები შეინიშნება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სვანური ენის ისტორიისათვის.

1910 წელს ქვემო და ზენო-სვანეთში ექსპედიციაში ყოფნისას აკად. ექ. თაყაიშვილმა ბევრი წარწერა გადმოიღო და ამოიკითხა სვანეთის ეკლესიების კედლებიდან და ეკლესიებში დაცული ნივთებიდან. ყველა ეს წარწერა გამოცემულია ექ. თაყაიშვილის ნაშრომში: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (პარიზი, 1937 წ.)¹.

ამჟამად ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი წარწერის შესახებ გავაკეთებთ ფონეტიკურ შენიშვნებს. კერძოდ, ისეთ წარწერებს შევხებით, რომლებშიაც უდავოდ სვანობებია მოცემული და რომელთა წაკითხვა ექ. თაყაიშვილის მიერ ჩვენ საექვოდ არ მიგვაჩნდა. სვანობები წარწერებში აიხსნება იმით, რომ დიდი უმრავლესობა ქვაზე თუ ნივთზე ოქრომბედლობით გამოყვანილი ქართული წარწერებისა ადგილობრივი სვანების მიერ არის შესრულებული.

ექ. თაყაიშვილის მიერ გადმოღებულ ქართულ წარწერებში განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს სვანურში ფართოდ გავრცელებული დისიმილაციური გამჟღავნების წესის დადასტურება. ამ ფონეტიკურ მოვლენას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ სიტყვაში ორი მკვეთრი, ორი ფშვინიერი ბგერა, ან კიდევ მკვეთრი და ფშვინიერი შეხედება ერთად².

ოსური ენის ხშულებში, როგორც ეს გ. ახვლედიანმა დაადგინა, დისიმილაციური გამჟღავნება რეგრესულია. სვანურში კი დასტურდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული დისიმილაციური გამჟღავნება. მაგ. წმ. კვირიკეს ეკლესიას³ სვანები უწოდებენ ლაგურკა-ს; ბქვ. წარმოთქმით: ლაგურიკა. ამ სიტყვაში ლა- თავსართია, ხოლო გურიკ კვირიკე-ს სვანური ვარიანტია დისიმილაციური გამჟღავნების საფუძველზე მიღებული. იგივეა ლაშხ. ლი-გურიკი შოა; ბქვ. ლი-გურიკე თევ; ქართ. კვირიკობის თვე. ანალოგიური შემთხვევები სვანურში საკმაოდ რაოდენობით დასტურდება, მაგ., ქართ. კაკალ-ი. სვ. გაკ და სხვ. მისთანები.

სვანურში ორი ყრუ ფშვინიერის სიტყვაში შეხედრისას პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღავნების დაბტი პირველად ვ. თოფურიამ შენიშნა.

¹ ქვემოთ შემოკლებით „არქ. ექსპ.“.

² შტრ. გ. ახვლედიანი. სწულთა დისიმილაციური გამჟღავნება ოსურ ენაში: თბ. უნტის შრომები, XVIII, 1941 წ., გვ. 43—44.

³ აშენებულია მაღალ შთაზე კალაში, ზენო-სვანეთში.

მისი „სევანური ენის“ 65-ე გვერდზე შენიშვნაში საილუსტრაციო მაგალითებად დასახელებულია: ლაშგარი (<ლაშქარი), კიშგარ (<ჭიშქარი), კოშგი (<კოწკი), წისკვილ (<წისკვილი-ი), სგელ (<სქელ-ი).

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ფაქტები დასტურდება სევანეთში ნაპოვნ ქართულ წარწერებშიაც. მაგ., სოფ. დაბიშში (ქვემო სევანეთი) ქვის ძველი ეკლესიის დასავლეთის კედელზე, პეტრესა და პავლეს გამობატულ ფიგურას აქვს წარწერა: „ბეტრე, პავლე“ („არქ. ექსპ.“ გვ. 124). „ბეტრე“ ფორმაში რეგრესულ-დისიმილაციური გამეღერების ფონეტიკური პროცესია ასახული. (მდრ. ფშ., ხევს.: ბატარა პატარა'ს, ნაცვლად, ანჟკიდევ: სენ. ბაპ<პაპა).

აქვე აღნიშნავთ, რომ დისიმილაციური გამეღერების ანალოგიური შემცხვევები დასტურდება პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულს „სევანეთის საისტორიო ძეგლებშიაც“. მაგ.: XV საუკუნის მეორე მეოთხედში დაწერილ ერთერთ აქტში ვკითხულობთ: „წ ღმრთისა თავსდებობითა. მას ჟამსა, ოდეს ბატრონმან გვილაღატეს ხერგიანთა“¹. ბატრონმან მიღებულია დისიმილაციური გამეღერებით პატრონმან ფორმისაგან. „მე ცაიშელი მთავარი ებისკოპოსი დანიელი...“ (იქვე, 28, 2) (ებისკოპოსი<ებისკოპოსი) და სხვ.

სოფ. დაბიშის ეკლესიის დასავლეთის კედელზე იკითხება აგრეთვე მეორე ასეთი წარწერა: „სამხლო აბრამის“. „სამხლო“ მიღებულია ფორმისაგან „სამღვთო“ შემდეგი ფონეტიკური ცვლილების გზით: გ'ინის დაკარგვას ხელი უნდა შეეწყოს ღ-ს თ-სთან რეგრესული ასიმილაციისათვის: სამღვთო>სამღთო>სამხოთ, ხოლო ამის შემდეგ ორი ყრუ ფშვინვიერის ერთად შეყოს გამო ხო კომპლექსი პროგრესულ-დისიმილაციური გამეღერებით იქცა ხდ კომპლექსად: სამხოთო>სამხლო.

ეპ. თაყაიშვილი იქვე აღნიშნავს, რომ დაბიშის ეკლესიის კედელზე გამოხატულია კიდევ ერთი ფიგურა სამღვდლო ტანისამოსით და სახარებით; წარწერა აქვს: „სდღუბანუ“. ვგონებ, არხილიაკონი სტეფანე ივლისსმება“ (იქვე, 123). „სდღუბანუ“ უთუოდ სტეფანეს სევანური ვარიანტია. აქ საყურადღებოა როგორც თანხმოვანთა, ისე ხმოვანთა დაწერილობაც. „სდღუბანუ“-ში ხდ კომპლექსი შეიძლება მიგვეღოს ხტ კომპლექსისაგან. ჯერ პროგრესული ასიმილაციის გზით ხტ>ხო, ხოლო შემდეგ დისიმილაციური გამეღერების საფუძველზე ხო>ხდ-ს.

ანალოგიური ფონეტიკური პროცესის გავლის შედეგად არის მიღებული სევანურში დადასტურებული ქრისტე (<ქრისტე). საშუალო საფეხური „ქრისტო“ სევანურს წარწერებშიაც დასტურდება. მაგ., სოფ. ჩაბიანის (უშგული) ღვთისმშობლის ეკლესიაში დაცულ მთავარანგელოზის მიქაელის ხატზე ასონთავრული წარწერით იკითხება:

1 ქ. წო მთერნგლ
 ოხო: შეაწყლე: მა
 შენებელი შენა: სო
 ფელა ესე: ცენა: დე
 5 დნა და მამანა ყვლ
 სნა (sic) და: მესე: ექმენ:
 წამენ ქრისტეს დლ
 8 ეს მას: განკითხეს

ქ. წმიდა მთავარანგელ-
 ოხო: შეიწყალე მა-
 შენებელი შენი სო-
 ფელი ესე ცენა, დე-
 დანი და მამანი, ყოველ(ნი)
 კაცი, და მესე ექმენ
 წინაშენ ქრისტეს(ა) დლ-
 ეს(ა) მას განკითხისას(ა).

¹ პ. ინგოროყვა, სევანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკ. II, ტექსტები, 1941 წ., გვ. 15:

ამ წარწერასთან დაკავშირებით ექ. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ „სიტყვა „ქრისტე“ ვადმოცემულია ჩვეულებრივ სევანური წარწერებისა, როგორც „ქრისტე“ („არქ. ექსპ.“, გვ. 142—143). „ქრისტე“ ფორმა ხშირად დასტურდება სევანთის XIV—XV საუკ. საინსტორიო ძეგლებშიაც: „დიდებაი იესუს ქრისტესისა“ (55, I). „დიდებაი შობასა ქრისტესისა, დიდებაი სათლასა ქრისტესისასა“ (55, 2), მაგრამ ამის პარალელურად გვხვდება: „ქრისტესისა ლმერთსა ჩენსა“ (38, 3), „ქრისტეს პირითა“ (47, 7) და სხვ. მსგავსი მონაცემი გვაქვს ხევისურულში დადასტურებულ ფორმებში: ზღველი სტველის, ან სთველის ნაცვლად (შდრ. ვაჟა: სთველი, III, 276, 35) და ზღვა სტვა, ან სთვას ნაცვლად. ამ შემთხვევაში ფონეტიკური პროცესი ხევისურულში უფრო შორს არის წასული. სტ კომპლექსი ასიმილაციით იძლევა სთ კომპლექსს. დისიმილაციური გამჟღერებით სთ > სღ-ს. ხევისურული ამაზე არ შეჩერდება და რეგრესული ასიმილაციით სთ > ზღ-ს (შდრ. ხევს. ზველი < სველი < სქელი).

რაც შეეხება „სღუბანუ“-ში ფ-ს გამჟღერებას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პროგრესული ასიმილაციის შედეგია (შდრ. წარწერებში „დეგანოსი“ ნაცვლად დეკანოზისა, „არქ. ექსპ.“ 93: ან კიდევ: „ხუცისა ქელბაგია ნისა“ სენ. საისტ. ძეგლები, 120).

კიდევ უფრო საყურადღებოა „სღუბანუ“-ში ხმოვანი ე-ს გრაფიკულად უ-თი გამოხატვა. როგორც ამას არა ერთხელ აღნიშნავს ექ. თაყაიშვილი, წარწერებში თ და უ გრაფიკულად ერთნაირი ნიშნით არის გამოხატული. ძალიან ხშირად ასეა ეს „სევანეთის საინსტორიო ძეგლებში“ გამოქვეყნებულ ტექსტებშიაც. მაგრამ ექ. თაყაიშვილის მიერ ვადმოცემულ წარწერებში რამდენიმე შემთხვევა დასტურდება, როდესაც ე ხმოვანი უ-თია ვადმოცემული გრაფიკულად. ვარდა „სღუბანუ“-სა დაბიშის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში იკითხება: „ივანუს თავის ქოთა“ (= ივანეს თავის კეთა). მეორე ადგილს იკითხება: „მეძინუბის ჯათი“ (= მიძინების ხატი). ამ წარწერის მიხედვით ცხადად ჩანს, რომ წარწერის შემსრულებელმა ქართული ცუდად იცის და ამიტომ ბუნებრივად იბადება ასეთი კითხვა: ხომ არ არის ამ ფაქტში გამოხატული სევანური ლაბიალიზებული ხმოვნების დაწერილობა? ამ კითხვას კიდევ უფრო მეტი საფუძველი აქვს იმის გამოც, რომ ასეთი დაწერილობა ვრცელდება არა მხოლოდ ე-ზე, არამედ ი-ზედაც. მაგ., იმავე ეკლესიის სამხრეთის კედელზე იკითხება: „სუმონ“. ეს ფორმა და ამის მსგავსი სხვა ფორმები დღესაც დასტურდება სევანურ წარმოთქმაში: სუმონიშ (ბზ. 12, 29) 'სიმონობა' (დღესასწ.). წ'ურ (ბზ. 74, 15) 'წირვა'. ოფნი (სენ. პოეზ. 278, 54) < იფნა. თუთს (ბზ. 14, 11) 'თითოს'. უმეწაჲი II იმეწაჲი (ბზ. 272, 28) 'როგორც' და სხვ. მისთ.

ყურადღებას იქცევს წარწერებში რამდენჯერმე დადასტურებული ფორმა „სალტარი“ ნაცვლად „საყდარი“-სა. ასე, მაგ., სოფ. საყდარში (ჩოლური) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დასავლეთის კედელზე ექ. თაყაიშვილს გარეცხვის შემდეგ ამოუკითხავს ასომთავრული წარწერა:

ამ სალტარი | სა დევანო სა ზოსიმეს შნს ღმთ

ავტორი შენიშნავს: „ეს ასე წერია, როგორც აქ მოგვყავს, ესე იგი სალტრისა საყდრის მაგიერ, დევანოსა დეკანოზის მაგიერ“ („არქ. ექსპ.“ 93). „სალტარი“ გვხვდება აგრეთვე სოფ. ჯახუნდერის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერაში. წარწერა ხუცურია და იკითხება ასე:

წო გ'ი ჯ'ნდლო შე ახნაურნი... აღაშენა სალტარი და...

უქარაგმოდ: „წმიდაო გიორგი ჯახუნდლისაო, შეიწყალე აზნაურნი... აღაშენა სალტარი (sic) და...“ („არქ. ექსპ.“ გვ. 106).

„სალტარ“-ში, ჩვენი აზრით, შემდეგ ფონეტიკურ ცვლილებას აქვს ადგილი: ჯერ უნდა მომხდარიყო ყ-ს მეზობლობაში პროგრესული ასიმილაციით დ-ს ტ-დ შეცვლა ყდ>ყტ. ამის შემდეგ უთუოდ მოსალოდნელი იყო დისიმილაციური გამეღვრება ყ-სა და ტ-ს ერთად შეხვედრის გამო და, მართლაც, რეგრესულ-დისიმილაციური გამეღვრების საფუძველზე საყტარი>სალტარი ფორმას. წესით ყ-ს გამეღვრებას უნდა მოეცა მღვრის ფარინგალი ლ¹, მაგრამ წარწერის შემსრულებელს გრაფიკულად მხოლოდ ლ ასოთი შეეძლო გამოეხატა იგი. აღსანიშნავია, რომ სოფ. ჯახუნდრის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში ასეთი ფორმაც იკითხება: „სალდარსა“ („არქ. ექსპ.“ გვ. 93—94).

„სალდარი“ პროგრესული ასიმილაციითაა მიღებული „სალტარი“ ფორმიდან. სვანეთის წარწერებში დადასტურებული „სალტარი“ მშვენივრად ხსნის გურულსა და იმერულში დადასტურებულ ფორმას: სახტარი. ამ უქანასკნელში ზ რეგრესული ასიმილაციითაა მიღებული ლ-საგან ტ-ს მეზობლობაში. სახტარი შემდგომი განვითარებაა სვანეთის წარწერებში დადასტურებული სალტარი ფორმისა. ამ სიტყვის ფონეტიკურად ცვლილების სურათი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: საყდარი>საყტარი>სალტარი>სახტარი.

გარდა ამისა, საყურადღებოა აგრეთვე წარწერებში დადასტურებული ფორმა „ანგელოძი“ ნაცვლად ანგელოზისა. სოფ. ნაცულის მთავარანგელოზის ეკლესიაში დატულია მთავარანგელოზის მიქაელის ხატი წარწერით:

ქ. მთ
ვრ
ნავ
ლძი:
შევე
დრა
ნა: ივნ
ესუ
ლთა: ამ.

უქარაგმოდ: „მთავარანგელოძი (sic), შეიწყალე ვედრანა ივანე სულითა, ამინ“ („არქ. ექსპ.“ გვ. 127).

იქვეა კიდევ ერთი ასეთი წარწერა: „მთვრგზძი (sic) მქლ“. „მთვრგზძი“-ს გრაფიკაში მოცემულია ის კონტამინაცია, რომელსაც ამ სიტყვის დაწერისას ჰქონია ადგილი დამწერის ცნობიერებაში. წარწერაში დადასტურებული „მთავარანგელოძი“ ლაშხური დიალექტის ენობრივ სინამდვილეს ასახავს. ლაშხური დღევანდელი წარმოქმითაა: თარიძელ (შდრ. ბზ. თარინგზელ [ბზ. 16, 11], ბქვ. თარგლეზერ). „მთავარანგელოძი“-ში მოცემულია ზ-ს აფრიკატიზაცია, რაც ირც ისე იშვიათია სვანურში (შდრ. ქართ. ზღვა, სენ. ძულვა და სხვ.).

უეჭველად სვანისშია მოცემული სოფ. ყიბიანის (უშგული) ღვთისმშობლის ეკლესიაში დატულ მთავარანგელოზის მიქაელის ხატის წარწერაში, სა-

¹ იხ. ჩვენი: მღვრის ხშული ფარინგალის საკითხისათვის სვანურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 7, 1946 წ. [აქვე, გვ. 31 — 36 — რედ.]

დაც „კაცნი“-ს ნაცვლად წერია „ქასნი“- ექ. თაყაიშვილი ამასთანადაკავშირებ-
ბით წერს: „მე-ნ სტრიქონში აშკარად წერია კ ს ნ ა (=ქასნი, კაცნის მაგიერ)“
(„არქ. ექსპ.“ გვ. 142).

სვანურში ქართული ც-ს შესატყვისად დეზაფორიკატიზებული ს სხვა
შემთხვევებშიაც დასტურდება, მაგ.: ლხმ. ვესკჷცხ<ქართ. ვაცკაცი,
მეგრ. ოჩ-ო-კოჩ-ი. ლხმ. სურავ<ქართ. ცურვა (ზღრ. ბზ. ტკიციღ ||
ტკისღ 'მართლა'. ლხმ. კეცნჷნი || კესნჷნი 'ადგ. სახელწ'. და მისთ.).

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს დაბიშის ეკლესიის წარწერაში მოხსენებუ-
ლი „ჯვარცმა“, რომელიც გრაფიკულად გადმოცემულია ასე: „ჯ რ ი ს მ ა“
(„არქ. ექსპ.“ გვ. 123).

ინტერესს მოკლებული არაა წარწერებში მოხსენებული ზოგიერთი ტო-
პონიმიკური სახელის ფორმა. ასე, მაგ., ლაშხეთის მინერალური წყლებით
განთქმული დღევანდელი მუაში ერთ-ერთ წარწერაში მოხსენებული მოჰა-
ში ფორმით. სოფ. ჩუკულის ეკლესიაში დაცულ ბოყევერზე იკითხება:

„მოჰელსა გურეის: გუმმოჯე: დ: აცხენე,

ესე იგი:

მოჰელსა გურეის გაუმარჯეე და აცხოენე“ („არქ. ექსპ.“ გვ. 118).

„მოჰაში“ ფორმა იმითაა საყურადღებო, რომ მას, ერთი მხრით, დაცული
აქვს ა ხმოვნის წინ ჰ. დღეს არც ამ ადგილის სახელწოდების და არც სხვა
შემთხვევაში ლაშხურში ხმოვნის წინ ჰაე არ დასტურდება, ყველგან გადაშე-
ნებულა. მეორე მხრით, საყურადღებოა ის ფონეტიკური ცვლილება, რომე-
ლიც ხმოვნებში მომხდარა: ოა კომპლექსს აღმავალი დიფთონგიზაციისაკენ
ტენდენციით მოუცია უა (ზღრ. დიალ. მოგა>მუა; ვანოა>ვანუა და სხვ.).

სოფ. ჯახუნდრის წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე ხუცური
წარწერა იკითხება:

წო გ'ი ჯ'ნდ'ლო შ'ე ახნაურნი...

ალაშენა სალტარი და...

უქარაგმოდ: „წმინდაო გიორგი ჯახუნდლისაო, შეიწყალე ახნაურნი... ალაშენა
სალტარი (sic). და...“ („არქ. ექსპ.“ გვ. 106).

ამ წარწერასთან დაკავშირებით ექ. თაყაიშვილი შენიშნავს: „როგორც
ჩანს წარწერიდან, წინეთ სოფლის სახელი ჯახუნდელი ყოფილა“.

„ჯახუნდელი“ ფორმა გეგვდება აგრეთვე ამ სოფლის ეკლესიაში დაცულ
ღვთისმშობლის ხატის წარწერაში:

წო მღვთის მშობელო ად'ე ახნაურნი

შ'ე ს'ფელა ჯ'დ'ლა („არქ. ექსპ.“ გვ. 108).

უქარაგმოდ: „წმინდაო მღვთის მშობელო, ადიდე ახნაურნი, შეიწყალე სოფე-
ლი ჯაჰუნდელი“ (იქვე).

არაა გამორიცხული საწინააღმდეგო შესაძლებლობაც, რომ „ჯახუნდე-
ლი“ ფორმა გარკვეული ფონეტიკური ცვლის შედეგი იყოს (ზღრ. ფშ. ხან-
ჯარი, ვაეა, I, 224; ქართ. ლიტ. ხანჯალი).

ექ. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ხსენებული ხატი XVI საუკუნეს ეკუთვნის.
სოფ. სეტის (მესტია) ეკლესიაში დაცულ დროშაზე მსხვილი ასომთავ-
რული წარწერით იკითხება:

წა იონა ლტრისა (sic).

ანასთან დაკავშირებით ექ. თაყაიშვილი შენიშნავს: „სიტყვა „ლატარი“ ეხლანდელი „ლატალის“ მაგიერად გვხვდება ლატალის ეკლესიების წარწერებშიაც“ (...არქ. ექსპ.“ გვ. 273).

„ლატარი“ ფორმა ხშირად გვხვდება სვანურს XV საუკუნის აქტებშიაც: „სრულიად მულახელთა და მულახის შესავალთა, ლატარელთა და ლატარის შესავალთა“ (სვნ. საისტ. ძეგლები, გვ. 33, 107). ან კიდევ: „მაცხოვრისა ლატარისა თაუსდებობითა“ (იქვე, გვ. 81, 1)¹.

თუ მართლა „ლატარი“ უფრო ძველი ფორმაა, მაშინ დღევანდელი „ლატალი“ პროგრესული ასიმილაციით იქნება მიღებული, მაგრამ შესაძლებელია პირიქითაც ვივარაუდოთ: „ლატარი“ დღევანდელი „ლატალი“-დან იყოს მიღებული პროგრესული დისიმილაციის გზით. ამას გვაფიქრებინებს „ლატალის“ ნესამე—განსხვავებული ფორმა, რომელიც წარწერებშია დადასტურებული. სოფ. მაცხოვრის (ლატალის თემი) ეკლესიაში დაცულ ვერცხლის ჯამზე შესრულებულ წარწერაში იკითხება:

ქ. შენ.: სამებით.. ქებულო.. და.. ერთ არსებით.. თაყუანის..
ცემულო.. მაცხოვარო.. ლატანისო (sic)...“ (არქ. ექსპ.“ გვ. 358).

„ლატანი“ ფორმა უკვე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ სიტყვაში მომდევნო ლ მერყევია და პროგრესული დისიმილაციით ის ხან რ-ს სახითაა წარმოადგენილი და ხან ნ-ს სახით.

ექ. თაყაიშვილი დღევანდელი „მულახის“ ნაცვლად ყოველთვის წერს „მულაყი“ ფორმას. ჩვენ ამ ფაქტმა დაგვიანტერესა იმდენად, რამდენადაც წარწერებში ჩვეულებრივ და დღევანდელს წარმოთქმაშიაც დადასტურებულია „მულახი“; მხოლოდ ერთ წარწერაში, რომელიც ეამუშის ეკლესიაში დაცულ ვერცხლის სურაზეა შესრულებული, იკითხება: „მულაყთას“. წარწერა 1667 წლისაა (არქ. ექსპ.“ 258). „მულახის“ ნაცვლად „მულაყის“ ხმარებაც არ ჩანს არაკანონზომიერი მოვლენა, რადგან სვანურში არის შემთხვევა, როდესაც აუსლაუტის ზ-სა და ლ-ს ნაცვლად დასტურდება ყ. მაგ., ბზ. ყაზჷყ, ლშხ. ყაზჷყ 'ყაზახი', ლშხ. ლნტ. ყაჩაყ 'ყაჩალი' (შდრ. მეგრ. იარაყი 'იარალი').

დასასრულ, წარწერებში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ფორმა— „ძმანთა“, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება. ეს ფორმა გვხვდება ჩუქულის ეკლესიაში დაცულ მთავარანგელოზის ხატის მხედრულ წარწერაში, იმავე ეკლესიაში დაცულ მაცხოვრის ხატის წარწერაში და სხვაგანაც.

„ძმანთა“ ფორმაში შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ ორმაგ მრავლობითთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამ ფორმაში უფრო იმ მოსაზრების დადასტურება უნდა გვქონდეს, რომელიც არნ. ჩიქობავამ გამოთქვა „ქანურის გრამატიკულ ანალიზში“. ის წერს: „დასავლური ქართული კილოების—გურულისა და ქვემოინერულის—ძმან-ებ-ი, დან-ებ-ი, სიძენ-ებ-ი“... შემოხსენებულ ქანურ და მეგრულ ფუძეთა შესატყვის ქართულ ფუძეებს უნდა წარმოადგენდნო“ (გვ. 62) (შდრ. ჯუმაღ-ფე-ე, დაღ-ფე-ე). ამდენად, „ძმანთა“ ფორმაში „ძმან-“ ფუძედ უნდა მივიჩნიოთ, ხოლო -თ(ა) მრავლობითი რიცხვის ფორმანტად. ერთი ამისი

¹ შდრ. „სვანურ საისტორიო ძეგლებში“ დადასტურებული ფორმები: „ლაღვერს და უშქულს“... (6, 3), „ლარვერსა და უშქულს“... (7, 2), „უშქულსა და ლარველს“ (7,2) „უშქულსა და ლალუვერს“ (გვ. 9).

ანალოგიური მაგალითი დადასტურებულია „სვანეთის საისტორიო ძეგლებში“, მხოლოდ არა თანთან მრავლობითთან, არამედ ვბ¹თანთან: „თქუენი ბიძანები თვალია და ივანე...“ (გვ. 31, 1).

წარწერებში ხშირია ორთოგრაფიული ხასიათის რყევა და ზოგჯერ აშკარა შეცდომებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამისი მიზეზია ის, რომ წარწერის შემსრულებელი, ადგილობრივი სვანი, სუსტად ფლობს ქართულ ენასა და დამწერლობას. ამით უნდა აიხსნას წარწერებში სწორი ფორმების პარალელურად ასეთი ფორმები: „პათი“ (გვ. 123), „პატი“ (გვ. 280), „მეოჲ“ (= მეოხ) (გვ. 235, 256 და ა. შ.). არის შემთხვევა, როდესაც ჩ გრაფიკულად ჰ-თია გადმოცემული: „მევენსა“, „გერპოდეთ“ (გვ. 178) და სხვ.¹ უფრო მასობრივია წარწერებში o ხმოვნის x გადმოცემა. ესა და სხვა ამ რიგის საკითხები სპეციალურ შესწავლას საჭიროებენ. ორს წარწერაში დასტურდება ზედმეტი ანუ „ხორც-მეტი“ o-ნები, რომელსაც ექ. თაყაიშვილი მეგრულიზმებად მიიჩნევს (გვ. 297), მაგრამ ეს ინები ისეთ კონტექსტში გვხვდება, რომ მისი „მეგრულიზმებად“ მიჩნევა გაკვირდებოდა. ასეთია, მაგ., „რომელმანი სიტყვითი“, „ძითურთი“, „ძემანი“, „მეოხი მექმენი“ და სხვ. მისთანები (გვ. 297; 318).

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, მიუხედავად რიგი ორთოგრაფიული გადახვევებისა, სვანეთის ქართულ წარწერებში უდავოდ დასტურდება სვანიზმები, რომელთა გათვალისწინებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრით, სვანური ენის ისტორიისათვის და, მეორე მხრით, დღევანდელი ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენებში უკეთ გააქვეყნისათვის.

1947 წ.

¹ შესაძლებელია აქ პალეოგრაფიულ მოვლენასთანაც გვაქვს საქმე. შეად. აკ. შანიძე. მაზიტისძის ჩონი: ჩვენი მეცნ. № 11—12, 1924.

რ ფონემა მებრუნლ-ჰანშრუი

ჯერ კიდევ ნ. მარმა და ი. ყიფშიძემ მიაქციეს ყურადღება ქანურ-ნი რ-ს გაუჩინარების შემთხვევებს და ამის გამო მათ რ ზოგჯერ კუთხოვან ნახევარკავებში (რ') აქვთ ჩასმული. ამ ფაქტზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება არნ. ჩიქობავამ მის მიერ ჩაწერილ ტექსტებსა და სპეციალურ გამოკვლევაში. ის წერს: „პირველ ყოვლისა აღსანიშნავია რ-ს დასუსტება-დაკარგვა; ეს ხდება ხმოვნებს შორის და ს თანხმოვნის წინ; პროცესი გავრცელებულია ხოფურში და ვიწურ-არქაბულში, ამ უკანასკნელიდან უპირატესად არქაბულში; მოვლენის გავრცელების კერას ხოფური უნდა წარმოადგენდეს, ყველაზე ხშირია ქალებისა და ბავშვების მეტყველებაში“. შემდგომ ის დაწვრილებით აღწერს ამ ფაქტს. „ზოგჯერ აღნიშვნა ქირს, ისეთია გარდამავალი მდგომარეობა: არც რ-ა, მაგრამ სულ არაფერიაო, მაინც არ ითქმის; „ქანური ტექსტების“ I ნაკვეთში ასეთ შემთხვევაში ფრჩხილებში ჩასმული რ-ს ხმარება გვინდოდა, მაგრამ შემთხვევათა სიმრავლის გამო ეს არ მოხერხდა, ამიტომ მეტ წილ შემთხვევაში რ დაეტოვეთ, თუკი მისი არსებობა ოდნავ მაინც იგრძნობოდა; რ-ს ხმარებაში მამაკაცების მეტყველებაში ერთგვარ რყევას აქვს ადგილი: ერთი და იგივე პირი ხან ხმარობს მას, ხან -- არა; თუ თავის ლაპარაკს თვალყურს ადევნებს, ცდილობს იხმაროს; სარფელ ალი აბდულ-ოლლისაგან ჩემ მიერ ჩაწერილი ტექსტები საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ შეგნებული ცდაც, — ალი აბდულ-ოლლი ცდილობდა რ არ დაეჩრდილა გამოთქმისას, — სათანადო შედეგს არ იძლევა, რ-ს დასუსტების პროცესი ძლიერ არის გამოხატული.

ალი აბდულ-ოლლის თქმით ჩაწერილს პატარა ამბავში „ხოჯა ადანაში ილუ“¹² თხუთმეტობედ სიტყვაში გვაქვს რ ხმოვნებს შორის, რ ყველგან არის დაკული, მაგრამ ამბავში „ხოჯაქ ქონაგნუ“¹³ ხმოვნებს შორის რ-ს შენახვის 22 შემთხვევაზე მოდის რ-ს დაკარგვის 16 შემთხვევა: რ-ს დაკარგვას მთქმელი შეგნებულად გაურბოდა, მაგრამ მოზრდილი ამბის თხრობისას უფრო ძნელი აღმოჩნდა ამ ფონეტიკური მომენტისათვის თვალყურის დევნება და ურავო ფორმებიც მოხშირდა“ [1].

არნ. ჩიქობავას ეს დაკვირვება და ჩატარებული ენობრივი ექსპერიმენტი საეხებით სწორად ასახავს საქმის ვითარებას და ამიტომ მოვიყვანებ ის აქ მთლიანად.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოვლენა სცილდება ქანურ-რის დიალექტობრივ წრეს: იგი უთუოდ ზოგადფონეტიკური ხასიათისაა.

ქანურში ფონემა რ-ს ბუნებისა და მასთან დაკავშირებული ფონეტიკური საკითხების გარკვევისათვის საჭიროა პასუხი იქნეს გაცემული შემდეგ

კითხვებზე: ა) მართლა აქვს თუ არა ამ შემთხვევაში ადგილი რ-ს დასუსტება-დაკარგვას; ბ) რ-ს გაუჩინარება ხდება მხოლოდ ხმოვნებს შორის და ხ თანხმოვნის წინ, თუ სხვა პოზიციებშიც; გ) ყოველთვის იკარგვის თუ არა რ; თუ არ იკარგვის, რა პოზიციაში ინარჩუნებს მას ქანური?

არნ. ჩიქობავას საკმაო რაოდენობის მაგალითების მოყვანით დადგენილი აქვს, რომ ქანურში რ იკარგვის ხმოვნებს შორის და ხ თანხმოვნის წინ. მაგ., რომ ავიღოთ ასეთი ფრაზები: „აქ გუი ენ; ჯიგეი ეუი ენ... (აქ გული არის, ფილტვი ორი არის“ [2], გვ. 159,35). ამ ექვსიტყვიან ორ ფრაზაში ხუთ სიტყვაში რ უნდა იყოს, მაგრამ წარმოთქმაში არ ისმის. უნდა ყოფილიყო: აქ გური რენ; ჯიგერი ეური რენ...

ასეთ შემთხვევებში მეგრულში რ საკმაოდ მტკიცეა და წარმოთქმაში რაიმე რყევას ადგილი არა აქვს (შდრ. მეგრ. გური, რე, ეირი და ა. შ.).

ქანურში რ-ს სხვადასხვა პოზიციაში სპეციალურმა შესწავლამ იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ ქანურში რ-ს გაუჩინარება დასტურდება არა მარტო ხმოვნებს შუა და თანხმოვან ხ-ს წინ, არამედ სხვა სპირანტ თანხმოვანთა წინაც. ასე მაგ., ხშირია შემთხვევა რ-ს გაუჩინარებისა ლ, ხ, ჭ სპირანტებთან.

ერთსა და იმავე დროს არსებობს ასეთი პარალელური ფორმები: ოღარ-ღალუს ქოგაოქკუ („ლაპარაკი დაიწყო“, [2] გვ. 66, 13), იქვე: ოღაღალუს ქოგაოქკუ (66,1).

ბულული („მსხვილად დაფქული სიმინდი, ლერლილი“). ეს ფორმა მომდინარეობს ბურლული საგან; დაღალიტა (<ღარღალიტა „ჯირკვლების ავადმყოფობაა, უფრო ხშირად ყელში“); წილუ (<წირლუ, „საქონლის მუცელზე გაზრდილი სოკო, ხორცმეტი“). ოლიდინუ (<ოლიდინუ „მალლის ღრწა“); ღოღანი (<ღორღანი თურქ. „საბანი“); ოხიხინუს ქოგაოქკეს („ხიხილი დაიწყეს“), პარალელურად დასტურდება: ოხიხინუს ქოგაოქკეს, [2] გვ. 157,16); მახვა (<მარხვა „ნაკვერცხალი“ (შდრ. ნ. მარი: მარხვა); კეჭი (<კერჭი, „კანაფი“); კაჭი (<კარჭი ბერძ. „ლურსმანი“); სუჭა (<სუჭრა, იქვე: 65,32, იქვე: სუჭრა 65,33) და სხვ.

ამასთან ერთად გამოირკვა, რომ უკანანისმიერთა (გქქ), წინანისმიერთა (დთტ, ძცწ, ჯჩქ) და ბაგისმიერ (ბფჰმ) ხშულთა წინ ქანურში რ საკმაოდ მტკიცედ არის დაცული. ამ პოზიციებში რ არ უჩინარდება. მაგ.: ბურგოლი („მუხლი“, [2] გვ. 159,34); ბერგი („თოხი“); დერგულა („ქოთანი“ იქვე: 129,22); არგუნი („ნაჯახი“, იქვე: 129,16); სარგანა („მოგრძო, თევზია“, იქვე: 150,1); ქურქი („ქურქი“, [1] გვ. 45,30). ქურქუტეფე („ნაგულები“, [2] გვ. 136,10); თურქიში („თურქის“ იქვე: 116,2); ფორკა („ქალის ტანსაცმელი“, იქვე: 151,2); პარკი („სიმინდის ტარო“, იქვე: 136,17); კარკალა („მწარე კვახი“, იქვე: 135,15); კარდალა („კარდალი“, იქვე: 141,13); კორდი („ბელტი“, იქვე: 136,27); დერდი („ღარდი“); გვერდი („ნახევარი“). ამ სიტყვაში ზოგჯერ დ-ს გაუჩინარება ხდება, მაგრამ რ წარმოთქმაში შენარჩუნებულია მიუხედავად იმისა, რომ იგი ორ ხმოვანს შუა რჩება. მაგ.: არ წანა ღო გვერი („ერთ წელნახევარი“, [1], გვ. 27,32); არ ღო გვერი წანა („ერთ-ნახევარი წელი“, [3] გვ. 73,27); ქორტუ („იყო“, [2] გვ. 158,1); ქარტალი („წერილი“ იქვე: 161,24); ხორცი („ხორცი“ იქვე: 141,7); ბერწეული („ბროწეული“, [1] გვ. 52,9); მერწი („ყუნწი, ლერწი“); ოხორჯა („ქალი, დიასახლისი“, [2] გვ. 160,2); ხარჯი


(„ხარჯი“ იქვე: 146,5); ფორჩა („პერანგი“, იქვე: 150,19); ქაურქა („ქინქრაქა“, იქვე: 154,3); ბურბალი („ბორბალი“, იქვე: 149,11); ჩარბი („ტუჩი“, იქვე: I, 159,27); ქორბა („მუცელი“, იქვე: I, 142,26). შერბეთი („შარბათი“, იქვე: 143,25); სარფიშა („სარფისკენ“, იქვე: 146,1); თერმონი („ბეჭმეზით გაკეთებული ფელამუში“, იქვე: 159,10), ხურმა („ხურმა“, იქვე: 158,16); ღორმა („ხერელი“, იქვე: 159,25) და სხვ.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ასეთი ფაქტებიც: ქანური კიბირი („კიბილი“), ფუქირი („ყვავილი“) ხშირად წარმოდგენილია: კიბიო და ფუქიო სახით, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გადასმა არის მომხდარი, რტკიცედაა დაცული ბ-სა და ქ-ს წინ, მაგ.: კირბი ([1], გვ. 106,32), ფურქი (იქვე: 92,34) (შდრ. მეგრ. ორქო < ოქრო).

უკანაენისმიერ და წინაენისმიერ ხშულთა წინ ქანურში რ დაცულია. ასეა ეს საერთოდ ქართველურ ენებში. კიდევ მეტი შეიძლება ითქვას: ქართველურ ენებში საერთოდ, და კერძოდ ქანურში. არის შემთხვევები, როდესაც ხშულთ თანხმოვანთა წინ რ განვითარებულია. მაგ.: ქართ. (დიალექტ.) არღილი (ადგილი), სენ. (უშგ.) არგითე (< აგითე „სახლში“), მარწვენ (მაწონი), სენ. (ჩბხ.) საკპრცხ („საკაცე, ჯალამბერი“), ქართ. (დიალ.) არტაქა (< რუს. ортак) და სხვ.

მეგრ.-ქან. მარქვალი („კვერციხი“) მომდინარეობს ფორმისაგან: მაქვალი. რ ფონეტიკური დანართია (არნ. ჩიქობავა), შდრ. მეგრ. ქირქა (ქიქა). ქან.: „დიდო ფარა-თი მორგაპტუ“ — ბევრ ფულსაც იგებდა ([2] გვ. 111,10). მორგაპტუ მომდინარეობს ფორმისაგან: მორგაფტუ; რ აქაც განვითარებულია. ქან. ქართო (< ქატო, იქვე, 136,15) და სხვა.

სარფული რ-ს ბუნება რომ ზუსტად გამოვევს, ამისათვის ჩავატარეთ მისი პალატოგრამული მეთოდით შესწავლა. პალატოგრამულმა მონაცემებმა გვიჩვენა რომ სარფული რ-ს წარმოთქმისას ენის წვერის ვიბრაცია არ ხდება—




ფიგ. 1.

ენის წვერი დუნე მდგომარეობაშია. იგი არ არის მოხრილი და ნუნებისაკენ მიმართული, ისე როგორც ამას ადგილი უნდა ჰქონდეს ნორმალური რ-ს წარმოთქმისას. ამიტომ სარფული რ-ს პალატოგრამული სურათი მეტად თავისებურია და შესამჩნევად განსხვავდება იგი სხვა ენათა რ-ს პალატოგრამებისაგან.

სარფული რ-ს წარმოთქმისას (ფიგ. 1) ენის გვერდითი კიდეები მაგარ სისაზე შეხების ძალზე ვიწრო ზოლს ტოვებს. ენის შეხების ზოლი უფრო ფარ-

თომა მაგარი სასის წინა ნაწილში, ეშვებისა და მცირე ძირითადი კბილების არეში. ენის წინა ნაწილის ზურგი იწვევს ზევით და ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასაზე იწვევს საკრელი ლატერალური კბილების არეში, ოდნავ ფართოვდება მცირე ძირითადი კბილების არეში და შემდგომ შეხების ზოლი ისევ ვიწროვდება მაგარი სასის ბოლომდის. ამის მიხედვით სარფული რ აკად. ლ. შჩერბას მიერ აღწერილ ჩქამიერ, ე. ი. შ-სებურ რ-ს უფრო მიაგავს [4].



ფიგ. 2.

გამოირკვა, რომ ამ სახის რ არ ახასიათებს არც მეგრულს და არც სხვა ქართველურ ენას. ასე მაგ., სარფული რ-ს პალატოგრამისაგან საგრძნობლად განსხვავდება მეგრული ენის ბანძური თქმის რ-ს პალატოგრამული სურათი (ფიგ. 2).

მეგრული რ-ს წარმოთქმისას ენის წვერის ვიბრაცია ნათლად ჩანს და ამის გამო მაგარი სასის წინა ნაწილში, ნუნების არეში, ენის შეხების კვალი აღბეჭდილია. ამ შემთხვევაში მეგრული რ-ს პალატოგრამული სურათი უფრო მიაგავს ს. ერშოვისა და ვ. ბოგოროდიცკის რუსული პ-ს პალატოგრამას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რუსული პ უფრო ალვეოლებთან იწარმოება, ვიდრე ნუნებთან. ამიტომ მეგრული რ-ს წარმოთქმისას არტიკულაცია უფრო წინაა, ვიდრე რუსული პ-ს წარმოთქმისას.

მეგრულში ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ხ-ს წინ ლ ხშირად რ-დ იქცევა. მაგ.: ჩილი („ცოლი“), მაგრამ ჩირს („კოლს“). ქობალი („პური“), მაგრამ ქობარს („პურს“) და მისთ¹.

ქანური რ რამდენიმედ ინგლისურ რ-ს მოგვაგონებს. როგორც ცნობილია, ინგლისური რ არავიბრანტი ბგერაა, ენის წვერის ვიბრაცია არ ხდება. ინგლისური რ-ს წარმოთქმისას ენის წვერსა და ალვეოლებს შორის და ენის უკანა ნაწილსა და რბილ სასას შორის საკმაოდ ფართო არე აქვს პერსიკოსასვლელი. ამიტომ, რომ ინგლისურში ხმოვნის შემდეგ რ მას ერწყმის, რ-ს ვოკალიზაცია მოსდის [5].

როგორც ზემოთ ვნახეთ, სარფული რ-ს პალატოგრამული მონაცემებიც ასეთია. ამიტომ, ჩვენი აზრით, ბუნებრივი იქნება ქანურში რ-ს დასუსტება-

¹ სარფში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ასეთმა ფაქტმა: სარფელი ქალები ქაძმებს ისე კი არ უხმობენ, როგორც დასავლეთ საქართველოში იციან „რ-რ-რ-რ“-თი, არამედ ბაძმის ფრუტუნით, ისე როგორც ცხენს უხმობენ დასავლეთში.

დაკარგვის შესახებ კი არ ვილაპარაკოთ, არამედ მის ეოკალიზაციაზე. რ-ს გაუჩინარება კანურში ხმოვანსა და ხმოვანს შორის, ან ხმოვანსა და სპირანტს შორის შედეგია ე. წ. ასიმილაციური ტენდენციისა. რ-ს დუნე არტიკულაცია კანურში შეერწყმება წინა და მომდევნო ხმოვნის ან კიდევ წინა ხმოვნისა და მომდევნო სპირანტის არტიკულაციას. ამიტომაც, რომ იგი წარმოთქმაში დაჩრდილულიც გვეჩვენება. ნამდვილად კი ენობრივს ფსიქოლოგიაში იგი არსებობს პოტენციულად. ეს რომ ასეა, ამაზე მიუთითებს ის, რომ თუ მთქმელს ჩვენ გავამოკრებინებთ, მაშინ იგი მას გააცნობიერებს და უთუოდ წარმოთქვამს. დღეს კანურში არსებული პარალელური ფორმები ამის დამადასტურებელია.

ამ შემთხვევაში რომ გარკვეულ ენობრივ რეფლექსთან გვაქვს საქმე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რ-ს ხმოვნებს შორის გაუჩინარებისას ხმოვანთა ცვლილება არ ხდება, რაც ასე დამახასიათებელია კანურისათვის ანალოგიურ შემთხვევებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანურში რ-სთან თავისებური ასიმილაციური და დისიმილაციური პროცესებია დაკავშირებული.

A. ასიმილაცია

კანურში ხშირია შემთხვევა, როდესაც ნ ენაცვლება რ-ს. ნ. მარმა ფორმებში: ანდლა (<არდლა), ეუნდლა (<ეურდლა), ვინდლა (<ვითდლა) და მისთანებში ნ მიიჩნია განვითარებულად უ და ი ხმოვნების შემდეგ მომდევნო დ-ს წინ [6].

ი. ყიფშიძემ თავის ნაშრომში „დამატებითი ცნობები კანური ენის შესახებ“ გამოთქვა აზრი: ხომ არ აჯობებდა ეს მოვლენა აგვეხსნა ნ. მარმის ან ვე მოწოდებული მოსაზრებით, რომ ამ შემთხვევაში ნ-ს ჩართვას კი არ აქვს ადგილი, არამედ იგი ენაცვლება, ბგერათა მონაცვლეობის კანონის თანახმად, იორითად რ-ს. ასეთი მონაცვლეობა გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ მომდევნო დ-თი, რომელმაც ხელი შეუწყო, რეგრესული ასიმილაციის კანონით რომ შეეცვალა წინამდებელი რ ცხვირისმიერ ნ-დ [7]. ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ. რომ რ პლუს წინაენისმიერი ხშული, რეგრესული ასიმილაციის კანონით, გვაძლევს ნ პლუს წინაენისმიერ ხშულს (შდრ. ანდლა <არდლა; ეუნდლა <ეურდლა და ა. შ.). ამ წესის საილუსტრაციო მასალა განსაკუთრებით ხელშესახებია კანურში და სვანურში.

მაგ. კან. ბუნდლა („ბურტყლი“) მიღებულია რეგრესული ასიმილაციით ბუნდლა* საგან (შდრ. მეგრ. ბურდლა, ქართ. (დიალ.); ბუნდლა); კან. ფენწე || ფენწო, მეგრ. ფერწო („ლოკოკინა“) (შდრ. მეგრ. გინძე || გირძე). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა რ-ს ნ-სთან ასიმილაციის ასეთი ფაქტი: იბინან < იბირან: „ბერეფქ იბინან“ — ბავშვები მღერიან ([2], გვ. 125.8).

სვანურში დასტურდება ასეთი პარალელური ფორმები: ლზმ. ლიქორტე || ლიქონტე 'მრუდება, ღუნვა'; ლზმ. ლიცგრცხენი, ლზხ. ლიც-გნცხენი 'ხმაური რაიმეს დამეავებისას. ცუცხუნი'.

ლზმ., ჩხხ. ლენწყვი, ლზხ. ლეურწყული 'გასაბილწებელი'.

ბქვ. კინტილ, ლზხ. კირტ || კირტილ 'ნაფლეთი, ნაგლეჯი, ნაკუწი'.

ლზმ. გვანჯალ, გურ. გვარჯალია/ე 'მოზრდილი, ზორბა'; სვან.

ფანჩხ, მეგრ.-კან. ფერჩხი, ქართ. -(დიალ.). ფარჩხი 'წერილი შეშა' და სხვ.

B. დისიმილაცია

ქანურის არქაბულსა, ვიწურსა და ათინურს კილოკაეებში ერთ ფუძეში ორი რ ჩვეულებრივ წარმოითქმის უდისიმილაციოდ. ამ ფაქტზე ჩვენ მიუყოითბდით ჯერ კიდევ ჩენი „ქანური ტექსტების“ შესავალში. კერძოდ, არქაბულში იშვიათად განიცდიან დისიმილაციას სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსები: -არ-, -ურ. (=ქართ. -ელ-, -ულ.) და მიმლეობის -ერ- სუფიქსი ისეთ სიტყვებში, რომლებსაც ფუძეში რ გააჩნიათ. მაგ.: ო რ ქ ა რ ი 'ორქელი' (სოფ. ორქე), ა რ ქ ა ბ უ რ ი 'არქაბელი', ქ ა რ მ ა თ უ რ ი 'ქარმათელი' [8].

ი. ყიფშიძისა და არნ. ჩიქობავას ვიწურ-არქაბულსა და ათინურს ტექსტებში ანალოგიური ფაქტები უხვად დასტურდება, თუმცა ძალიან იშვიათად გვხვდება დისიმილაციანი ფორმებიც. სანიშნოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: „თფიკ ექენდი სურური (ვიწური) ([3]) გვ. 55,14); „მუსტაჰა კალაჯატ-ოღლი. მანასტერური“ (იქვე, 61,9); „მესუდ ფეჟლევან-ოღლი, დავრორი“ (იქვე, 68,26); მორდერი 'მოზრდილი' (იქვე, 76,25); ონჯლორჯარი 'სირცხილიანი' (იქვე, 47,1); დერდჰარ-დერდჰარი 'დარდიან-დარდიანი' (იქვე, 91,22); დიცხირარი 'სისხლიანი' (იქვე, 76,23); ოხრასკირი 'ცოლისძმა, მახლი' ([1], გვ. 110,33); ოხრასურე 'ცოლისდა, მული (იქვე, 111,2, შდრ. იქვე, ოხრასულე 102,6); ბრიწერი 'დახეული' (იქვე, 100,20); მევიხირარე 'მოვიპარაე' (იქვე, 96,2); ბძირარე 'ენახაე' (იქვე, 96,1); ღურერი 'მკედარი' (იქვე, 87,22); ბღურარე 'მოეკვდები' (იქვე, 87,10); კორერი 'შეხეული, შეკრული' (იქვე, 83,27); მცორარე 'გაეცრი' (იქვე, 26,25) და სხვა მისთ.

აღსანიშნავია, რომ ამ დიალექტებში ნასესხები თურქული სიტყვები: თექრარ ('ეკლავ'), ბარაბერ ('ერთად') და მისთ. დისიმილაციას არ განიცდიან.

ამისაგან განსხვავებულია ის დისიმილაციური ტენდენცია, რომელიც ახასიათებს ხოფურ კილოკავს საერთოდ და კერძოდ სარფულ თქმას. სარფული ფუძეში შეხვედრილ ორ რ-ს ვერ იტანს და ერთ მათგანს უთუოდ ლ-დ აქცევს. ასე მაგ., ზემოთ დასახელებული ოხრასურე სარფულში პროგრესული დისიმილაციით წარმოდგენილია ოხრასულე ფორმით ([2], გვ. 160,7). ჩვენ მიერ შეკრებილ სარფულ ტექსტებში პარალელურად ამ ფორმისა დადასტურებულია: ოხასულე. ამ შემთხვევაში დისიმილაციის შემდეგ რ-ს ვოკალიზაცია მოსვლია. ასეთი ფონეტიკური ცვლებადობის გზითაა მიღებული შემდეგი სარფული სიტყვები: მექკიელი ('გაქკილი'); იგი მომდინარეობს ფორმისაგან: მექკირერი. ჯერ პროგრესული დისიმილაციით უნდა მიგველო: მექკირელი, შემდეგ რ-ს ვოკალიზაციით — მექკიელი. გოკიელი ('შეხეული') მიღებულია ფორმისაგან გოკირერი. პროგრესული დისიმილაციით: გოკირელი, შემდგომი ვოკალიზაციით: გოკიელი.

თხიამული ('თხილამური') მიღებულია ფორმისაგან: თხირამური (შდრ. ქან. თხირი) პროგრესული დისიმილაციით: თხირამული, შემდგომ რ-ს ვოკალიზაციით: თხიამული.

ასევე ფორმა: უგჟაელი ('უქველი'. [2], გვ. 27,10) მომდინარეობს ფორმისაგან უგჟარერი > უგჟარელი > უგჟაელი.

მგაინელი („ატირებული“, [1], გვ. 10,5). ეს ფორმაც ამ გზითაა ნი-
ლებული: მგარინერი > მგარინელი > მგაინელი (შდრ. იქვე: მგა-
რინელი, 10,11; სარფული: მგაინეი).

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მორდელი ფორმა ([2] გვ.
109,16), რომელიც მიღებულია პროგრესული დისიმილაციით მორდერისა-
გან, მაგრამ სარფულში დისიმილაციის შემდგომ რ-ს ვოკალიზაცია არ წარ-
მოშობილა, რადგან იგი დ ხშულის წინ არის მოქცეული (იხ. ზევით): მორ-
დელის ნაცვლად მორდელის არ წარმოთქვამენ.

განხილული მაგალითების მიხედვით ერთი მეტად საყურადღებო დასკვნა
შეიძლება გვაკეთოთ: სარფულში დისიმილაციური პროცესი წინ უსწრებს
რ-ს ვოკალიზაციის პროცესს. დისიმილაცია უფრო ძველი მოვლენაა სარფულ-
ში, რ-ს ვოკალიზაცია კი უფრო გვიანდელი.

საფიქრებელია, რომ სიტყვებში ხრაკეი (<ხრაკერი „მოხრაკული“),
მშქირონეი (<მშქირონერი „შშიერი“) მონდრიკეი (<მონდრიკერი
„მოლუნული, მოკაული“), მგაინეი (<მგარინერი „მტირალი“) და მისთა-
ნებში რ-ს ვოკალიზაციას ხელი შეუწყო დისიმილაციურმა პროცესმა.

სარფული რ-ს პალატოგრამულ შესწავლასა და რ-სთან დაკავშირებული
ასიმილაციური, დისიმილაციური და ვოკალიზაციური პროცესების გათვალის-
წინებას იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ სარფული რ საგრანობლად პალატა-
ლიზებული თანხმოვანია. ამაზე მიუთითებს რ-ს იოტად გარდაქცევის ხშირა
შემთხვევები და რ-ს პალატოგრამული სურათიც.

რაც შეეხება რ-ს ვოკალიზაციას, იგი შედარებით ახალი ფონეტიკური
მოვლენაა კანურში. კერძოდ, სარფულში იგი ამჟამადაც მოქმედი პროცესია.

დამოწმებული ლიტერატურა

1. არნ. ჩიკობავა. კანურის გრამატიკული ანალიზი. თბილისი, 1936 წ., გვ. 21 — 22.
2. არნ. ჩიკობავა. კანური ტექსტები, თბილისი, 1929 წ.
3. ი. ყიფშიძე. კანური ტექსტები, თბილისი, 1939 წ.
4. Л. В. Щербя. Фонетика французского языка. Ленинград, 1939, стр. 71.
5. O. Jespersen. Lehrbuch der Phonetik, Leipzig, 1932, S. 41, 250.
6. Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка. С.-Петб., 1910, стр. 20.
7. И. Книшндзе. Дополнительные сведения о чанском языке, С.-Петб. 1911, стр. 2.
8. სურგი ელენტი. კანური ტექსტები. არქაბული კილოკავი. თბილისი, 1938 წ., გვ. XIV.

ქართ. ფოლადი; მეგრ. ეზინდუ || ქან. ეზდუ, ქართ. აზიდა; მეგრ. დინდარი, ქართ. მდინდარი და სხვა.

ღ-ს წინ ნ-ს განვითარება ქართულშიც დასტურდება: ძვ. ქართ. წმიდა, ახალ. ქართ. წმინდა. დიალექტებში: კახური ხშიანდი (შღრ. ლიტ. ხშიადი); ასევე: ქანდარი || ქადარი: ბრუნდი (შღრ. ლიტ. მრუდი).

ნ (|| მ) ვითარდება თ-ს წინ:

მეგრ. ანთასი, ქართ. ათასი; ქან. ნთომა, მეგრ. თომა, ქართ. თომა; მეგრ. თანთარი, ქართ. თათარი; მეგრ. კუნთხუ, ქართ. კუნთხე; მეგრ. უნთო, ქართ. უთო შღრ. სენ. (ჩბხ.) ონთოჲ; მეგრ. ყვინთელი, ქართ. ყვითელი; მეგრ. წუნთი, ქართ. წუთი. მეგრ. ჩინთი, ქართ. ჩითი; მეგრ.-ქან. ნთხორუა || თხორუა 'თხრა'; ქან. ნთხირი || თხირი, ქართ. თხილი; ქან. ნთხა || მთხა, ქართ.-მეგრ. თხა; ქან. მთუგი || თუგი, ქართ. თავგი; ქან. მთვირი || თვირი, მეგრ. თირი, ქართ. თოფი და სხვა.

ქან. „მთუგ“-სა და „მთვირ“-ში თ-ს წინ ნ-ს ნაცვლად მ არის განვითარებული. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ქანურში ნ-ს პარალელურად ხშირია მ-ს განვითარების შემთხვევებიც.

ქართულ სალიტერატურო ენაში თ-ს წინ ნ-ს განვითარების ფაქტი დასტურდება შემდეგ მაგალითში: ნ-თხევა, მაგ. „სტრემლები ნთხეულა“.

ნ (|| მ) ვითარდება ტ-ს წინ:

მეგრ. ონტკა, ქართ. ოტკა (← რუს. нодка); ქან. მონტკორი, მეგრ. მონტყორი, ქართ. მატყლი; სენ. (ლშხ.) კეტინტილა, ქართ. კედლიტილა; მეგრ. ხანტუა, ქართ. ხატვა; ქან. ანტამა, ქართ. ატამი; მეგრ. დონტირა, ქართ. დატევა; მეგრ. კენტი, ქართ. კეტი; მეგრ. კინტირი || კენტგრი, ქართ. კიტრი, დიალ. კინტრი (შღრ. სენ. კინტირი); ქან. მტუტა, ქართ. ტუტა; ქან. მტი, მეგრ. ტილი, ქართ. ტილი, სენ. ტიშ; ქან. მტკური || მტკუი || მტკორი || მტკოი, მეგრ. ტყარი, ქართ. ტყიურა.

„მტუტა“-სა, „მტკურ“-სა და „მტი“-ში ტ-ს წინ ნ-ს ნაცვლად მ არის განვითარებული (შღრ. ძვ. ქართ. ტრედი, ახ. ქართ. მტრედი).

ნ (|| მ) ვითარდება ძ-ს წინ:

მეგრ. ნენძი || ნეძი 'ნიგოზი'; ქან. ონძირუ, მეგრ. ძირაფა 'პოვნა'; მეგრ. მონძღვარი, ქართ. მოძღვარი; ქან. დანძი || დაძი 'ეკალი'; მეგრ. ბონძორი || ბოძორი 'ცხოველთა ბეწვი' (შღრ. ქართ. ლიტ. ნძრევა: „ხელი გაანძორია“. გურ. გამოეღვინძა, ლიტ. გამოეღვიძა. ქართლურსა და კახურში ძ-ს წინ ნ-ს ნაცვლად ზოგჯერ მ ვითარდება, მაგ. ქართლ. მძვირი, კახური მძვალი და სხვ).

ნ (|| მ) ვითარდება ც-ს წინ:

ქან. ნცხენი, ქართ. ცხენი; ქან. ნცომი, ქართ. ცომი; ქან. ოცხოჯი || ონცხოჯი || ოცხეჯი 'სავარცხელი'; ქან. ონცხოტუ || ოცხოტუ 'მოწყვეტა, მოგლეჯა'; ქან. ონცხონე || ოცხონე 'სხენი, ჰერი' ქან. ნცილა, ქართ. ცილა; ქან. მილინცია, ქართ. მილიცია (შღრ. დიალ. მი-

ლინცია); ჰან. მურუნცხი || მურუცხი, მეგრ. მურიცხი 'ვარსკვლავი';
ჰან. მცა || ნცა, მეგრ. ცა, ქართ. ცა; ჰან. დინცხირი || დიცხირი
'სისხლი'; ჰან. მცუდი, ქართ. ცუდი, ჰან. მაშცუდალე 'მატყუარა'.

მსგავსი მაგალითები ქართულ დიალექტებშიც მოიხსენება, მაგ.: ქართ.
მცხვარი, მემცხვარი, მცისაო, მცაში (ცისაო, ცაში). აქარ.-გურ.
სიმცრუე, გამომცხადება და მისთ.

ნ (|| მ) ვითარდება წ-ს წინ:

მეგრ. ანწი, ქართ. აწი; სენ. წინწილ, ქართ. წიწილა; მეგრ. ზენ-
წარი, ქართ. ზეწარი; ჰან. ნწი || წარი 'ძუა'; ჰან. ნწანერი || წანე-
რი, ქართ. წლიანი, წლისა; მეგრ. ეწერი, ქართ. ეწერი; მეგრ.-ჰან.
ნწოლა || წოლა 'ვერტილი'; მეგრ. ნწევარამი, ქართ. წევარამი, მეგრ.
ინწრო, ქართ. ეწრო (შდრ. დიალ. ინწრო); მეგრ. მეწყერი, ქართ.
მეწყერი; ჰან. მწყუფი || მწუფი, ქართ. წყვილი; ჰან. მწკირი ||
მწკიი || მწირი, მეგრ. რწყილი, ქართ. რწყილი (შდრ. გურ. მწვა-
ლება, იმწვალა || ინწვალა, სიმწყნარი, გამწყნარდა, ქვ. იმერუ-
ლი: დამწყებულობა (დაწყებულება) და სხვ.

ნ (|| მ) ვითარდება ჯ-ს წინ:

მეგრ. გონჯი, ქართ. გოჯი; ჰან. ნჯუმა, მეგრ. ჯიმა 'ძმა'; მეგრ.
ქვინჯე, ქართ. (დიალ.) ქვიჯა 'როდინი'; ჰან. ნჯუმუ || ჯუმუ 'მარი-
ლი'; ონჯუმალე 'სამარილე' (შდრ. მეგრ. ჯიმუ), ჰან. მანჯურა-
ნი || მანჯურანი 'მეორე'; მეგრ. მანჯა, ქართ. მაჯა; მეგრ. გონჯამა ||
გოჯამა 'კარის ვალება'; მეგრ. ლანჯი || ლაჯი 'კობიტი'. მეგრ.-ჰან.
ნჯა || მჯა || ჯა 'ხე'; მეგრ.-ჰან. ტორონჯი || ტოროჯი 'მტრელი'; ჰან.
გენი || ჯენი || ნჯენი 'ხბო'; მეგრ. სუფიქსები: -ონჯ(←ოჯ), -ენჯ(←ეჯ).
მაგ. ქომონჯი 'ქმარი'; ორცხონჯი 'საეარცხელი', ოხვენჯი 'საჯდო-
მი' და სხვ. ჰან. მჯვეში || ნჯვეში, მეგრ. ჯვეში, ქართ. ძველი, სენ.
ჯვინელ; მეგრ. ინჯრა, ქართ. იჯრა (შდრ. დიალ. ინჯრა); მეგრ.
ჰან. სინჯა, ქართ. სიძე (შდრ. გურულში ჯ-ს წინ ნ (|| მ)-ს განვითარება:
მჯავრი, ნჯავრობს, გამჯავრდა და სხვ.).

ნ ვითარდება ჩ-ს წინ:

მეგრ. სინჩხე, ქართ. სიცხე; მეგრ. უნჩაში || უჩაში, ქართ. უხუ-
ცესი; მეგრ. დანჩხირი || დჩხირი 'ცეცხლი'; მეგრ. ნჩურუა || ჩუ-
რუა 'ცურვა'; სენ. ჩინჩილდ, ქართ. ჩილი; მეგრ. კალანჩხა || კანანჩხა
'კალათი'; ჰან. ნჩალა || ჩალა, ქართ. ჩალა, ჰან. ნჩხომი || ჩხომი
'თევზი'; ჰან. ვიტონჩხორო || ვიტონჩხორო 'ცხრამეტი'; ჰან. ნჩხვარი ||
ნჩხვაი, მეგრ. ჩხვერი 'ლომი' (შდრ. ქართ. დიალ. ტუნჩი || ტური,
ყუნჩი || ყური და სხვ.).

ნ (|| მ) ვითარდება ჰ-ს წინ:

მეგრ. ყანჰი, ქართ. ყაჰი; მეგრ. ჰანჰყუა || ჰაჰყუა 'ჰყლეტა';
მეგრ. კონჰი, ქართ. კოჰი (საკეტი); მეგრ. ვანჰარი, ქართ. ვაჰარი;
მეგრ.-ჰან. მონჰვა, ქართ. (დიალ.) მოჰვა 'კრახი'; ჰან. მჰიმა, მეგრ.
ჰვიმა, ქართ. წვიმა; ჰან. მჰითა || ჰითა, მეგრ. ჰითა, ქართ. წითე-
ლი; ჰან. მჰიფე, მეგრ. ჰიფე, ქართ. წვრილი და სხვ.

ასევე საყურადღებოა შემთხვევები ზ ფჰ-ს წინ მ (|| ნ)-ს განვითარებისა.

მ (|| ნ) ვითარდება ბ-ს წინ:

მეგრ. ომბოლი, ქართ. ობოლი; სენ. დანბალ, ქართ. დაბალი; მეგრ. ტაბაჩა || ტაბაჩა || ტაშბაჩა, ქართ. დამბაჩა, (თურ. ტაბაჩა); მეგრ. ტომბა || ტობა, სენ. ტომბ. ქართ. ტბა; სენ. ბიშბილ, ქართ. ბიბილო; მეგრ. ლიმბორი || ლივორი 'ანწლი'; მეგრ. ყაშბარი, ქართ. ყავარი (უკანასკნელ ორ მაგალითში ჯერ უნდა მომხდარიყო ვ-ს ქცევა ბ-დ და შემდეგ ბ-ს წინ მ-ს განვითარება) და სხვა.

ქან. ფინბილი || ფიშფილი || ფიშბილი, 'წვეერი'; მეგრ. შამბი, ქართ. შაბი (შდრ. დიალ. შამბი); ქან. ბომბულა || ბობოლა, ქართ. ობობა; მეგრ. ბობოთი || ბომბოთი 'სოფლის სახელია'; (შდრ. იქვე: ბომბუას ხინჯი — ბომბუას ხიდი); ქან. ობლორინუ || ომბლორინუ 'ბლავილი'; მეგრ. ფუძე: ბარ || მბარ ← ნბარ 'ქროლა'; ქან. კობო || კომბო 'გულები'; ქან. ძლაბულერი || ძლაშბულერი 'ნაყვავილარი სახე' (შდრ. ქართ. ციმბირი (← Сибирь); გურ. გომბაქი, ლიტ. ქოთაკი. ქართლური: მბალი, აქარ-გურ. კახაშბალი, მბილი და სხვ.).

მ (|| ნ) ვითარდება ფ-ს წინ:

ქან. ოფამფე, მეგრ.-ქართ. ოფოფე; ქან. ფამფარი || ფამფაი || ფანფარი 'ბიბილო მამლისა'; სენ. სტამფილო, ქართ. სტაფილო; ქან. ფუფული || ფუშფული, ქართ. (დიალ.) ფუშფული 'მუწუკი' და სხვა. (შდრ. ქართული დიალექტებიდან: იმერ.-გურ. შხუშფლვა (← შხეფი), აქარ-გურ. ყოლამფერი, რამფერი, უმფროსი და სხვ.).

მ ვითარდება პ-ს წინ:

მეგრ. კუმპული || კოპული 'ისარი'; ქან. ამპოური, ქართ. აპეური (შდრ. დიალ. ამპოური); ქან. უშპა, ქართ. უპე 'ქიპი' (საბა); მეგრ. კამპარი || კაპარი 'ჯონჯოლი'; მეგრ. ლუპუა || ლუმპუა, ქართ. ლუპვა (შდრ. აქარ. დალუშპვა (თავისა), გურ. ჩაყლაშპა, სამპყრობილე, მეგემპყრობი და მისთ.).

ნ ვითარდება გ-ს წინ:

მეგრ. მანგარი, ქართ. მაგარი; მეგრ. მანგიორი, ქართ. მაგიერი; ქან. ნგზა || გზა, ქართ. გზა; მეგრ. ანგურა, ქართ. აგური (შდრ. დიალ. ანგური, ენგური); მეგრ. ანანგერი || ანანგერი || ონანგერი, ქართ. უნაგირი; მეგრ. იანგეე, ქართ. იგავე; ქან. ნგრესთა || გრესთა 'ქეცი'; მეგრ. დონგი || დონგვი, ქართ. მდოგვი, (შდრ. ქართ. დიალ. ანგრე, მონანგროე და სხვ.). ლიტერატურულ ნგრევა' ში ნ განვითარებული ჩანს.

ნ ვითარდება კ-ს წინ:

მეგრ. შიანქარი, ქართ. შიქარი; მეგრ. ნქალუა || ქალუა 'ქეღვა'; ქან. ნქორ., მეგრ. კილ- || კირ-'მთქნარება'; სენ. ჭოქერ 'ოქრო' — ლგნქროფე 'მოოქვრილი'; ქან. ქინ- || ნქინ || ქირ- || ნქირ-'ქნევა'; მეგრ. ქილუა || ნქილუა 'იეტიალი'.


ნ ვითარდება კ-ს წინ

მეგრ. კანკვი || კვაკვი; ქართ. კაკვი; ქან. ნკილა || კოლა || კი-
ლა 'კლიტე', ნკილერი 'დაკეტილი'; მეგრ. ზანკალი || ზაკალი 'ზაა';
მეგრ.-ქან. მონკა || მოკა 'მძიმე'; ქან. ნკერა || კერა, ქართ. კერა ქან.
ნუ ნკუ || ნუკუ 'პირი' და სხვ.


პალატოგრაფული მონაცემების ანალიზი

მეგრული ღ-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეები მაგარ სასაზე შე-
ხების ვიწრო ზოლს ტოვებს მაგარი სასის როგორც წინა, ისე უკანა ნაწილში
ბოლომდის (ფიგ. 1).


პალატოგრაფული სურათი იმაზე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში ღ სა-
კმაოდ მაგარი თანხმოვანია. ასევე ცალკე წარმოთქმული ნ-ს პალატოგრაფა
(ფიგ. 2) იმას გვიჩვენებს, რომ იგი საშუალო ენერგიულობით წარმოებული




ფიგ. 1.



ფიგ. 2.




ფიგ. 3.




ფიგ. 4.


ბგერაა და, როგორც ქვემოთ ექსპერიმენტული მონაცემებით დავრწმუნდებით,
მისი ტენდენცია უფრო პალატალობისაკენაა, ვიდრე სიმაგრისაკენ. სამაგიე-
როდ, შესამჩნევად უფრო ფართოა ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ
სასაზე მეგრული ნღ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ნღიი („ღვი“) (ფიგ. 3).




ფიგ. 5.



ფიგ. 6.



ფიგ. 7.




ფიგ. 8.


ამ შემთხვევაში ცხვირის რეზონანსი საკმაოდ ცვლის ღ-ს არტიკულა-
ციას, ბგერა პალატალიზებული ხდება, წარმოთქმის ენერგიულობა საგრძობ-
ლად იცვლება შერბილებისაკენ, რაც აკუსტიკური შთაბეჭდილებითაც აღ-
ვილი შესამჩნევია.

რასაც ღ ს და ნღ-ს პალატოგრაფების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს,
იმასვე ადასტურებს შემდეგი პალატოგრაფების შედარება: ტ-სა (ფიგ. 4) და
ნტ-ს (ფიგ. 5), ნთ-სა (ფიგ. 6); ძ-სა (ფიგ. 7) და ნძ-ს (ფიგ. 8); ც-სა (ფიგ. 9)
და ნც-ს (ფიგ. 10), წ-სა (ფიგ. 11) და ნწ-სი (ფიგ. 12).


ამ პალატოგრაფების შედარების საფუძველზე ერთი გარკვეული კანონ-
ზომიერება ჩანს: დამოუკიდებლად წარმოთქმული თითოეული ხშულის არტი-
კულაცია განსხვავდება ენის მაგარი სასისთან შეხებით იმავე ხშულისაგან, რო-
დესაც მას ცხვირისმიერი ელფერი უჩნდება ნ-ს სახით.




ფიგ. 9



ფიგ. 10.



ფიგ. 11.




ფიგ. 12.


კიდევ უფრო მეტია პალატალიზაციის ხარისხი იმ შემთხვევაში, როდესაც ცხვირისმიერი ელფერი უჩნდება ჯ ჩ ჰ აფრიკატებს.

ჯ-ს პალატოგრაფით (ფიგ. 13) ირკვევა, რომ ენის წინა ნაწილის ზურ-
გის შეხება მაგარი სასის წინა და უკანა ნაწილზე ოდნავ უფრო ფართოა,
ვიდრე შესატყვისი ძ-ს წარმოთქმისას. სამაგიეროდ, საკმაო სიფართოვის კვალს
ტოვებს ენის გვერდითი კიდეების არტიკულაცია მაგარი სასის წინა და უკანა
ნაწილზე ნჯ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ნ ჯ ა 'ხე' (ფიგ. 14).


ამ კანონზომიერებას ადასტურებს: ჩ-სა (ფიგ. 15) და ნჩ-ს (ფიგ. 16),
ჰ-სა (ფიგ. 17) და ნჰ-ს (ფიგ. 18) პალატოგრაფების შედარებითი ანალიზი.




ფიგ. 13.



ფიგ. 14.




ფიგ. 15.




ფიგ. 16.

კიდევ უფრო გაზრდილია პალატალიზაციის ხარისხი, როდესაც გ ქ კ
უკანაენისმიერ ხშულებს უჩნდება ცხვირისმიერი ნ.


მეგრულ გ-ს პალატოგრაფით (ფიგ. 19) ირკვევა, რომ გ-ს წარმოთქმისას
უკანა ენის ხშვა რბილ სასისთან იმდენად უკან ხდება, რომ მხოლოდ მცირე
შეხების კვალი რჩება სიბრძნის კბილების არეში.




ფიგ. 17.



ფიგ. 18.



ფიგ. 19.




ფიგ. 20.

სამაგიეროდ, ნგ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ნ გ არ ა ('ერილი')
(ფიგ. 20) იმდენად ფართოა ენის შეხება მაგარი სასის წინა და უკანა ნაწილ-


ზე, რომ მხოლოდ პატარა წრისებრი ადგილი რჩება შეუხებელი მაგარი სასის ცენტრში.

ასეთსავე კანონზომიერებას გვიჩვენებს კ-სა (ფიგ. 21) და ნკ-ს (ფიგ. 22) პალატოგრამები.

ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებით ნათლად დადასტურდა ა. ც ა გ ა რ - ლ ის მოსაზრება მეგრული ნ-ს პალატალიზებული ბუნების შესახებ, როდესაც იგი წინ უძღვის ხშულებს. ოღონდ ა. ც ა გ ა რ ე ლ ს არაფერი აქვს ნათქვამი ამ პოზიციაში მოქცეულ ხშულთა ბუნების შესახებ. ცხვირისმიერიან ხშულებში საგრძნობლად შესუსტებულია წარმოთქმის ენერგიულობა. ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით ისინიც პალატალიზებული ბუნებისანი არიან. ამ შემთხვევაში ე. წ. საურთიერთო პალატალიზაცია დასტურდება.



ფიგ. 21.



ფიგ. 22.

ბუნებრივად იბადება კითხვა ამ მოვლენის ახსნისა. გასარკვევია, რა ნიადაგზე ვითარდება ნ (|| მ), რატომ ნ (|| მ) ვითარდება ხშულთა წინ და არა სხვა თანხმოვანი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რომ გავვიადვილდეს, მოვიყვანოთ ვ. ბოგოროდიცკისა და გ. პანკონჩელი-კალციას მოსაზრებები.

ვ. ბოგოროდიცკი საკმაოდ დიდი ხნის ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის შედეგების განზოგადების საფუძველზე ასეთ დასკვნას იძლევა: ყრუ ხშული თანხმოვნები კუნთების უფრო მეტ დაკვიპულობას საკვიროებენ, ვიდრე მკვდრი ხშულები, ხოლო ეს უკანასკნელნი უფრო მეტი დაკვიპულობით წარმოითქვიან, ვიდრე ცხვირისმიერები პროცესი ვ. ბოგოროდიცკის ასე აქვს წარმოდგენილი: $n > m > x$; $m > l > h$. მისი აზრით, ეს პროცესი წარმოთქმის ფიზიოლოგიური პირობებით აიხსნება. კერძოდ, ყრუ ხშულთა წარმოთქმისას არტიკულაციური დაბრკოლება იმდენად ენერგიული უნდა იყოს, რომ მთელი ამოსუნთქული ჰაერნაკადის მოწოლა უნდა შეაკავოს, ხოლო მეერთა წარმოთქმისას ჰაერნაკადის მოწოლა გაცილებით ნაკლებია იმის გამო, რომ ჰაერნაკადის გადაშუშავება პირველად სახმო სიმებში ხდება, ჰაერნაკადის მოწოლაც შემცირებულია; ცხვირისმიერ თანხმოვანთა წარმოთქმისას კი ჰაერნაკადის მოწოლა კიდევ უფრო შემცირებულია, ვინაიდან ნაწილი ჰაერისა იგზავნება ცხვირის ღრუში [2].

ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ხშულ თანხმოვანთა წარმოთქმისას ხშვის გადალახვას აიოლებს ჰაერის ნაწილის ცხვირის ღრუში გაგზავნა, რის გამოც ხშულთა წინ ნ (|| მ) ვითარდება.

დაახლოებით მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. პანკონჩელი-კალციას. იგი ხშულთა წარმოთქმაში გარკვეულ ფაზებს აღნიშნავს. აეტორის აზრით, ზოგიერთ ენაში ხშულმსკდომ ჯგერათა წარმოთქმისას პირველ ფაზაში ნაწილი ჰაერისა ცხვირში გადის და ნაწილი ჰაერნაკადისა კი იმავე

დროს დახშულობას გადალახავს. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ფაზებს ისე შევიგრანობთ, როგორც მთლიანს. ასეთ შემთხვევაში ხშულმსკდომი არ წარმოითქმის ცხვირისმიერი ელფერის გარეშე, რის შედეგადაც წარმოიშვებიან ბგერათშეერთებანი: *mb, nd, ng* და ა. შ. [3].

იკვება, რომ ამ სახის ტენდენცია უცხო არ არის კავკასიური ენებისთვისაც. ა. დირი აღნიშნავს, რომ *d*-ს ადვილად უჩნდება წინ საყრდენი *n*: *anɔɣa* 'მზე' (ყაბარდოული *ძოყა*), აგრეთვე *d*-თი დაწყებულ რთულ ბგერებთან. მაგ. *anɔɣɔq* (←თურქ. *oɣuq*). უბიხური ამ თვისებას, როგორც ჩანს, იზიარებს ჩერქეზულთან ერთად, რომლის შესახებაც პ. უსლარი ამბობს, რომ ჩერქეზულის პოეზიაში „ ხშირად წარმოითქმის იქ, სადაც მას პროზაში სრულებით არა აქვს ადგილი, მაგ. *andɔɣe* ნაცვლად *adɔɣe*-სი [4].

კ. მაინჰოფი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს ამ მოვლენის შესახებ აფრიკის ენების მონაცემთა მიხედვით. აფრიკის ჯგუფის ენებშიც დასტურდება *n*-ს განვითარება *kt* *n*-ს წინ. ამ ენებში ხშულთა წინ *n*-ს განვითარებას უფრო შესამჩნევი მოდიფიკაცია გამოუწვევია ხშული თანხმოვნებისა, ვიდრე ეს ქართულურ ენებში გვაქვს [5]. როგორც კ. მაინჰოფი შენიშნავს, აფრიკის ჯგუფის ენებში *kt* *n*-ს წინ *n*-ს განვითარებას ხშულები სპირანტებად უქცევიან.

ქართულურ ენებში და კერძოდ მგერულ-ქანურში ხშულთა წინ *n* (|| მ)-ს განვითარების ხშირი შემთხვევები მშვენიერი ილუსტრაციაა გარდამავალი ბგერის დამდგარ ბგერად გარდაქცევისა. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ხშულმსკდომ ბგერებს იმპლოზიის მომენტში ცხვირისმიერი ელფერი ერთვის. რათა ექსპლოზიის მომენტის გადალახვა გაადვილდეს, მავრამ შემდგომ ეს ცხვირისმიერი ელფერი დამოუკიდებელ დამდგარ ბგერად გვევლინება.

ციტირებული ლიტერატურა

1. А. Пагарели. Мингрельские этюды. II. 53—56.
2. В. А. Богородицкий. Наблюдения посредством мышечного чувства над произношением звуков русского языка. Казань. 1906 г., 8 (ცალკე ამონაბეჭდი).
3. G. Panconcelli-Calzia. Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft, 1921, S. 70.
4. A. Dirr. Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, 1926, 35.
5. C. Meinhof. Der Wert der Phonetik für die Allgemeine Sprachwissenschaft: Vox, Heft 1/2, 1918, 51—52.

ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის
ძირითადი საკითხები
(ექსპერიმენტული გამოკვლევა)

I. შესავალი

ბგერითი ანუ სიტყვების ენის მატერიალურ ენობრივ გარსში გრამატიკის წყალობით ყალიბდება ადამიანის აზრი. აქცენტუაცია მატერიალური ენობრივი გარსის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.

ენის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ შედგენილობასთან ერთად აქცენტუაცია და ინტონაცია მეტყველების მთლიანობას ქმნის და მას მუსიკალობას აძლევს.

როგორც ცნობილია, წარმოთქმის ორგანულ ელემენტს ინტონაციური ელფერი წარმოადგენს. ბგერა კი ის მასალაა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ინტონაცია.

ამავე დროს წინადადებაში, ფრაზაში ინტონაციურ ელფერს დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა სწორად გააზრებისათვის. ასე მაგალითად, ყველასათვის ცნობილია ის ენობრივი ექსპერიმენტი, რომლის მიხედვითაც წინადადებაში გააზრებულ სიტყვებს სულ სხვაგვარი ინტონაციური ელფერი აქვს, ვიდრე იმავე სიტყვებს ლექსიკონში რომ ამოვიკითხავდით. ხშირად ერთნაირი დაწერილობის ფრაზების გააზრებაც ხდება იმის მიხედვით, თუ რა ტონაციით წარმოვთქვამთ მათ. ამ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, ინტონაცია და მახვილი აფიქსის მაგივრობის გამწევი საშუალებაა.

ცნობილია, რომ მახვილი ყოველი ენის აუცილებელ ელემენტს შეადგენს. აქცენტუაციური ინდივიდუალობის გამო მახვილის ტიპი ენებისა თუ დიალექტების მიხედვით განსხვავებულია. ზოგ ენაში იგი შესამჩნევად ენერგიულია, ზოგ ენაში კი — სუსტადაა გამოჩინებული, რაც ზოგიერთ ავტორს საბაბს აძლევდა ამ ენებში მახვილის არსებობა უარეყო. ან მისი ადგილი სიტყვაში არასწორად განესაზღვრა.

ქართული ენის მახვილის ბუნებისა და მასთან დაკავშირებული რიგი ისტორიული საკითხების შესწავლა ქართველური ენათმეცნიერების ერთ-ერთი მთავარი აქტუალური ამოცანაა.

ქართული სალიტერატურო ენის ყოველმხრივი დამუშავება და განვითარება გულისხმობს სწორი წარმოთქმის საკითხების დამუშავებასაც, კერძოდ, ქართული ბუნებრივი აქცენტუაციის დამკვიდრებას.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ორთოეპიისა და, კერძოდ, აქცენტუაციის საკითხების სრულყოფილი დამუშავება შესაძლებელია ქართული დიალექტების წარმოთქმის ძირითადი საკითხების გათვალისწინებით. ეს ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, უნდა გაირკვეს, თუ როგორია ქართული სალი-

ტერატურო ენის აქცენტუაციის მიმართება ქართული დიალექტების აქცენტუაციასთან.

ამ შრომაში განხილულია ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ქართული ლიტერატურული ენის აქცენტუაციის მარჯანიზებელი ფუნქცია ორმარცვლიან, სამმარცვლიან, ოთხმარცვლიან, ხუთმარცვლიანსა და ექვსმარცვლიან სიტყვებში და ამის საფუძველზე დადგენილია სალიტერატურო ენის ფონეტიკური სტრუქტურისათვის დამახასიათებელი მელოდიკის ძირითადი ფორმები. გარდა ამისა, ცალკეულ სიტყვათა ექსპერიმენტული მონაცემები შედარებულია წინადადებათა ექსპერიმენტულ მონაცემებთან და გაცემულია პასუხი კითხვაზე — გამოიყოფა თუ არა ფონეტიკურად ქართულ ფრაზაში ცალკეული სიტყვა.

აგრეთვე განხილულია ტონის მოძრაობა კითხვითსა და ძახილის წინადადებებში ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე¹.

II. ქართული ენის მახვილის კვლევის ისტორიიდან

დღემდე ქართული ენის მახვილის კვლევა სამი მიმართულებით მიმდინარეობდა:

ა) რომელ მარცვალს ხედება მახვილი;

ბ) როგორია ქართული მახვილის ტიპი და

გ) რა გავლენა ჰქონდა მახვილს ძველი ქართული ენის სტრუქტურაზე, კერძოდ, სიტყვებში მარცვალთა რაოდენობის ცვლებადობაზე.

რა თქმა უნდა, სამივე ეს საკითხი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ქართული ენის მახვილს სხვადასხვა ავტორი შეხებია ენათმეცნიერული მიზნით, ან კიდევ ქართული ლექსის მეტრიკის საკითხების კვლევასთან დაკავშირებით².

ჩვენს თემასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა რამდენიმე ავტორის მოსაზრებანი, რომლებიც შემდგომში ქართული აქცენტუაციის კვლევას დაედო საფუძველად.

ჯერ კიდევ პ. იოსელიანმა თავის ქართული ენის გრამატიკაში აღნიშნა, რომ მახვილი ანუ, როგორც იგი უწოდებს, პროსოდია „საზოგადოდ არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს, თუ რომელთა მარცვალთა (ლექსთა) შინა ჯერ არს გამოღება გრძლად და რომელთა მოკლედ“³.

აქ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ტერმინი „პროსოდია“, რომელიც, ისე როგორც სხვა ჩვენი გრამატიკული ტერმინები, ბერძნულიდან მომდინარეობს (προσῳδία) და გულისხმობს მახვილიან და უმახვილო, ანუ გრძელ

¹ ამ შრომის ექსპერიმენტული ნაწილი შესრულებულია მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში (გამგე პროფ. ვლ. არტემოვი). მეთოდები და აღწერილობა იხ. Лаборатория экспериментальной фонетики и психологии речи, 1950 г.

² ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორია ვრცლად აქვს მიმოხილული ა. გაწერელიას. იხ. „მნათობი“, 1947 წ., № 9; 1948 წ., № 1; 1948 წ., № 3.

³ პ. ი. ი. ს. ე. ლ. ა. ნ. ი. პირველ-დაწყებითი კანონი ქართული საზოგადოებისა. 1840 წ.,

და მოკლე მარცვალთა წარმოთქმის სისტემას. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ტერმინი „გამოღება“, რომელიც მახვილისა და მისი ატრიბუტების გამოსახატავად იხმარებოდა.

აღსანიშნავია, რომ ცოტა უფრო გვიან ნ. ჩუბინაშვილი ქართული მახვილის სისტემას ასე უწოდებს: „ქართულის პროსოდისათვის, ანუ გამოღებისა“¹.

პ. იოსელიანი და ნ. ჩუბინაშვილიც კლასიკური ენების ვერსიფიკაციის მიხედვით იყენებენ ტერმინს „გრძელ მარცვალს“ და გულისხმობენ მასში იმ მარცვალს, რომელზედაც სათანადო ხმის ამალღებით ფონეტიკური მწვერვალი იქმნება. პ. იოსელიანი წერს: „გრძელი მარცვალი არს იგი, რომელსა ზედაცა ამალღდების ხმა“ (იქვე, გვ. 145). ნ. ჩუბინაშვილი იმეორებს პ. იოსელიანის აზრს და თავის მხრით დასძენს, რომ სიტყვაში ქართული მახვილის სისტემის მიხედვით ერთი მარცვალი მახვილიანია (გრძელია) და დანარჩენი უმახვილოა (მოკლეა): „გრძელი მარცვალი არს იგი, რლსა ზადა ამალღდების ხმა და თვითოეულსა ლექსსა შა იქმნების ერთი გრძელი, ხ სხვანი მოკლენი“².

ნ. ჩუბინაშვილი სავესებით სამართლიანად აკრიტიკებს ზოგ ავტორს, რომელიც ფიქრობს „ქართულსა ენასა არა აქვს პროსოდიაო“. ავტორი დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ „თვითოეულსა ენასა პროსოდია აქვს ესრეთ მიუცილებლად, ეა ნაწილნი სიტყვისანი, ხ მესტიხობისა თს არს, ეა სული ბორცთათს“ (იქვე, გვ. 52).

ნ. ჩუბინაშვილი, ადარებს რა ქართული ენის მახვილს ბერძნულ და სლავურ ენებში მოქმედ მახვილს, სავესებით სამართლიანად გახაზავს ქართული მახვილის სპეციფიკურ ბუნებას. ავტორი წერს: „ესე მართალ არს, რლ ქართულის ენის პროსოდია არა ეგრეთ ძნელ არს, ეა ბერძნულისა ანუ სლავენურისა, რლთაცა თვითოეულსა ლექსსა შინა დასმულ არს გრძელთა ზა მარცვალთა ნიშნად მახვილი, სადაცა ჯერ არს ამოღება ხმისა, და ამით მრავალჯერ განირჩევიან მნიშვნელობანი ლექსთანი, მაგალ., მყნა ტანჯვა, მყნა ფქვილი“ (იქვე, გვ. 53).

ამ შედარებიდან ავტორს ფრიად საყურადღებო დასკვნა გამოჰყავს: „...თუმცა ქართულსა ენასა აქვს ესრეთივე თვისება, აღ საგონებელ არს, უადვილესი ყთა ენათა, რაოდენნიცა არიან ქყანასა ზედა, და ესრეთ კანონნიცა პროსოდისანი ჰქონან ფლ მცირენი და უადვილესნი“ (გვ. 53).

პ. იოსელიანი და ნ. ჩუბინაშვილი ხმის ამალღების წესებს განიხილავენ ქართულის ერთმარცვლიანსა და მრავალმარცვლიან სიტყვებში.

მათი აზრით, ერთმარცვლიანი სიტყვები წარმოითქმიან ხმის ამალღებით ანუ გრძლად, მაგ., მე, შენ, ძე, ხმა, ძმა, ფრთა და სხვ.

ორმარცვლიანსა და სამმარცვლიან სიტყვებში პირველი მარცვლები არიან გრძელი, ხოლო დანარჩენი მოკლეებია, მაგ., მამა, მეფე, კაცი, მოძღუარი, ტაძარი, დიდება, მდინარე და სხვ.

¹ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. С.-Пб., 1894. Т. I, вып. 3, гв. 52.

² იქვე, გვ. 52.

ოთხ, ხუთ, ექვსსა და მეტმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მესამე მარცვალი ნიადაგ არის გრძელი, მაგ., განათლება, ბედნიერება, განმანათლებელი, წარმოვლინებული და სხვ.

ამ წესს ემორჩილება ყველა ის სიტყვა, რომლებშიც მარცვალთა რაოდენობა იზრდება ბრუნების ან მიმოხრის საფუძველზე, აგრეთვე კომპოზიტები, მაგ., კაცი, კაცისაგან, კაცობრიობა, ვამსუბუქებ, აღმასრულებელი, კაცთმოყვარე, ქველისმოქმედება და სხვ.¹

აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. ჩუბინაშვილის დებულება იმის შესახებ, რომ ზოგჯერ შეიძლება შეერთდეს ორი და სამი სიტყვა, ისე წარმოითქვას როგორც რთული სიტყვა და ხმის ამაღლების მიხედვით დაიყოს მრავალმარცვლიან ერთეულებად. ავტორი წერს: „სტიხთა შა ზოგჯერმე ორნი და სამნი ლექსნი შეერთდებიან ესრეთ, ვა რთულნი, ანუ ერთი ლექსი მრავალ-მარცვლიანი დაიდების ვა განყოფილი, მიხედვითა ხმის ამაღლებითა, საზომი ამათი ადვილად განისამზღურების ყურადღებითითა წაკითხვითა ძველთა მესტიხეთა წიგნთათა“ (იქვე, გვ. 54).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნ. ჩუბინაშვილის ამ დებულების გავლენა ჩანს ს. გორგაძის „სინტაქსური ჯგუფისა“ და ნ. მარის „სამახვილო კომპლექსების“ დებულებებზე.

ს. გორგაძემ ჯერ კიდევ 1912 წ. თავის „ქართულ წყობილსიტყვაობაში“ გამოთქვა ასეთი მოსაზრება: „ცოცხალ საუბარში, როცა სიტყვები ერთმანეთს სხვადასხვა სინტაქსური წესით უერთდება, მახვილი ერთგვარ შემაკავებელ ძალად ხდება, საკომბინაციო დასაბამად იქცევა: რამოდენსამე მეზობელ სიტყვას ერთ ჯგუფად უყრის თავს და მთელ ამ სინტაქსურ ჯგუფში თვითონ ბოლოდან მესამე მარცვალზე ბინავდება. ეს სინტაქსური ჯგუფი ამ შემთხვევაში თითქოს ერთს რთულ სიტყვას წარმოადგენსო“².

ნ. მარი თავის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში“ ასეთ სიტყვათა კომპლექსს უწოდა „სამახვილო კომპლექსები“ (ударные ком-плексы), რომლებშიც მახვილის საფუძველზე სიტყვები ერთიანდებიან, იქცევიან პროკლიტიკებად და ენკლიტიკებად და წარმოითქმებიან როგორც მთლიანი³. თუ მერამდენე მარცვალზეა მახვილი სიტყვაში, ნ. მარი ამის შესახებ ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა:

ორმარცვლიან სიტყვებში კაცი, შვილი, ფერჯი, ჩემი და მისთანებში მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალიო.

ნ. მარი ბუნებრივად მიიჩნევდა მრავალმარცვლიანი სიტყვების ორგვარი აქცენტუაციით წარმოთქმას — მახვილის დასმას ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზე, მაგალითად:

ქართველი ან ქართველი
მწერალი ან მწერალი
შევირდეს ან შევირდეს
ურბნისი ან ურბნისი

¹ კ. იოსელიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 145—146: ნ. ჩუბინაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 53.

² ს. გორგაძე. ქართული წყობილსიტყვაობა. 1912 წ., გვ. 13—14.

³ Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Л., 1925 г., გვ. 14.

ქუთაისი ან ქუთაისი
მარგალიტი ან მარგალიტი
აღმავსწნებელი ან აღმავსწნებელი და სხვ.

ამასთანავე ნ. მარმა აღნიშნა, რომ ოთხსა და ხუთმარცვლიან სიტყვებში შეიძლება ორი მახვილის არსებობა — ბოლოდან მეორე ან მესამე და უკანასკნელ მარცვლებზე, მაგ., მარგალიტი, მავსწნებელი. მანვე აღნიშნა, რომ ორ-მახვილი აუცილებელია იქვს და მეტმარცვლიან სიტყვებში. მაგ. აღმავსწნებელი (იქვე, 13).

6. მარის ამ მოსაზრებათა გავლენით ს. გორგაძეს თავის „ქართულ ლექსში“ გამოთქმული აქვს შემდეგი მოსაზრებანი:

1. ერთმარცვლიანი სიტყვები მახვილს ატარებენ ე. წ. „სამახვილო კომპლექსებში“, მაგრამ იქაც არა ყოველთვის, არამედ განსაზღვრულ პირობებში.
2. ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე ზის, მაგ., დედა, მამა, რყო, მხრო და სხვ.
3. სამმარცვლიანი სიტყვები მახვილს ატარებენ ბოლოდან მესამე მარცვალზე, მაგ. ამოდი, გორასა, სრცივეს, გორავესა, პრაბეთს, რრსტევან.
4. ოთხმარცვლიან სიტყვებში, ავტორის აზრით, მახვილი სამი საბაზ გვხვდება:

ა) ბოლოდან მესამე მარცვალზე: სიყვარული, სიხარული, მარგალიტი.

ბ) თუ სიტყვის თავში ორი ხმოვანი ერთმანეთს მისდევს, მაშინ მახვილი მეოთხე მარცვალზეა: სანიღუმლო, საუბარი, წაიყვანა, საერობო. შირბინა, შირიყვანა და სხვ.

გ) დასაშვებია ორი მახვილის არსებობა — ბოლოდან მეორე და მეოთხე მარცვლებზე: ზევით-ზევით, ნელა-ნელა, მალა-მალა, უგზო-უკვლოდ და სხვ.

5. ხუთმარცვლიან სიტყვებში ორი მახვილი სავალდებულოა: ერთი მთავარი ბოლოდან მესამე მარცვალზე და მეორე, დამხმარე მახვილი — ბოლოდან მეხუთე მარცვალზე: აშენებელი, გულისხმირი და სხვ.

6. ექვსმარცვლიანი/სიტყვებიც ორ სავალდებულო მახვილს ატარებენ — ბოლოდან მესამე და მეექვსე მარცვლებზე: აღმავსწნებელი, აშენებელისა, გულისხმირისა და სხვ.¹

არნ. ჩიქობავამ ქართულია და მეგრულ-ქანურის ენობრივი მონაცემების შედარებითი კვლევის საფუძველზე საყურადღებო დებულებები წამოაყენა იმის ნათელსაყოფად, თუ ისტორიულად ქართული ენის ირესპ. ქართველური ენების) მახვილი როგორი ტიპისა უნდა ყოფილიყო, ან მერამდენე მარცვალზე მოუდიოდა იგი სიტყვებს. მასვე განხილული აქვს, თუ რა გავლენა ჰქონდა მახვილს ძველი ქართული ენის სტრუქტურაზე, კერძოდ, მახვილის გავლენით როგორ იცვალა მარცვალთა რაოდენობა სიტყვაში.

არნ. ჩიქობავამ დაადგინა, რომ ძველ ქართულში მახვილი ისმებოდა ბოლოდან პირველ მარცვალზე და თავკიდური მარცვლის ხმოვანზედაც. ამის მიხედვით დღეს სხვადასხვა შედეგი გვაქვს: „ინტენსიური მახვილის შქონე ორი დიალექტობრივი (თუ ენობრივი) ფენა ძველ ქართულში ფაქტია: ერთი

¹ ს. გორგაძე, ქართული ლექსი, 1930 წ., გვ. 3—5.

უბიკრატესად ბოლო მარცვალზე სვამს მახვილს (ძმა), მეორე უბიკრატესად — თავ-მარცვალზე (თაფ-ლ, რე ქ-ლ)¹.

„მახვილი არ იყო ფიქსირებული, არამედ — მოძრავი“².

ავტორი გამოდის იმ უდავო დებულებიდან, რომ ძველ ქართულში რამდენიმე დიალექტობრივი თუ ენობრივი ფენაა შენიშნული და ყველას მახვილის მხრივ ერთნაირი ვითარება ვერ ექნებოდა.

ავტორი ფიქრობს, რომ მახვილის გადანაცვლება უკანასკნელი მარცვლიდან წინა მარცვალზე მეორეული, ახალი მოვლენაა. მისი აზრით, მეგრულში მახვილმა ადგილი იცვალა მას შემდეგ, რაც ქანური და მეგრული ერთუროს დასცილდნენ³.

გარდა ამისა. არნ. ჩიქობავამ დაადგინა, რომ ძველ ქართულში მოქმედ ინტენსიურ მახვილს გარკვეული გავლენა ჰქონდა სიტყვათა აგებულების ანუ მარცვალთა სტრუქტურის შეცვლაზე. ისტორიულად ორმარცვლიანი ფუძეებიდან მივიღეთ ერთმარცვლიანი ფუძეები ბოლოკიდურ თუ თავკიდურ მარცვლებზე მახვილის არსებობის შედეგად⁴.

არნ. ჩიქობავა, განიხილავს რა სრულხმოვნობის საკითხს ქართველურ ენებში, დაასკვნის: სრულხმოვნობა მეორეული მოვლენა კი არაა, არამედ ამოსავალი ვითარებააო. სრულხმოვნობა ქართულისთვისაც ისტორიულად ისეთივე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო, როგორც დღეს მეგრულ-ქანურისთვისაა. ქართულმა ვერ შეინარჩუნა იგი მახვილის მიზეზით⁵.

ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: ძველ ქართულში მახვილთან შინაგან კავშირში იყო ხმოვნის დაკარგვა სიტყვის ფუძეში თუ აფიქსებში და ეს პროცესი გრძელდებოდა მანამდე, სანამ მახვილის დასუსტება და მისი სტაბილიზაცია არ მოხდა გარკვეულ მარცვლებზე.

არნ. ჩიქობავა, ადარებს რა ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ვითარებას მახვილის მხრივ, წერს: „ახალი ქართული სალიტერატურო მეტყველება უთუოდ განსხვავდება ძველი ქართულისაგან მახვილის საკითხში: მოხდენილად შენიშნა პ. შუხარდტმა: მახვილის მხრივ ახალი ქართული მოგვაგონებს ზღვას ლელვის შემდეგო (8, გვ. 14) — მახვილის მწვერვალები მოიშალა, სიტყვის ფონეტიკურ ზედაპირზე მახვილიანი და უმახვილო მარცვლების სხვაობა ოდნავ შესამჩნევია“⁶.

არნ. ჩიქობავამ აკად. ლ. შჩერბას მიხედვით ახალ ქართულში მოქმედ მახვილს „რიტმული ჯგუფის მახვილი“ უწოდა. მისი აზრით, რიტმული ჯგუფის მახვილი ნთქავს სიტყვის მახვილს, გაბმულს მეტყველებაში ცალკეულ სიტყვათა მახვილი იჩრდილება. ავტორი, ადარებს რა ფრანგულისათვის დამახასიათებელ რიტმულ მახვილს ახალ ქართულში მოქმედ მახვილს, დაასკვნის: „ჩით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ახალ ქართულში მახვილი“

¹ არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 3, 1942 წ., გვ. 299.

² იქვე, გვ. 298.

³ იქვე, გვ. 194.

⁴ არნ. ჩიქობავა, ნაივლის საკითხისათვის..., გვ. 196—197; მისივე, სახელის ფუძის უცვლელი აგებულება ქართველურ ენებში, 1942 წ., გვ. 108.

⁵ იქვე, გვ. 129.

⁶ არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის..., გვ. 299—300.

ვილის საკითხი, პირველ ყოვლისა, არის „რიტმული ჯგუფის“ (ფრაზის) მახვილის საკითხი: მახვილის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, ფრაზაში უნდა იქნეს დასმული და გადაქრილიო¹.

1/ გ. ახვლედიანმა ქართული ენის მახვილზე მრავალი წლის დაკვირვების შედეგად მიღებული მოსაზრებანი, რომლებიც მის არაერთხელ გამოთქვამს ლექციებში თუ საჯარო მოხსენებებში, საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“. ის ფიქრობს, რომ ორმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალი, ხოლო სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილს ატარებს ბოლოდან მესამე მარცვალი.

გ. ახვლედიანი უარყოფს ნ. მარის დებულებას იმის შესახებ, რომ სამმარცვლიან სიტყვებში თითქოს მახვილი მეორე მარცვალზე შეიძლებოდა. ის წერს: „რაც შეეხება დებულებას, რომ მრავალმარცვლიან სიტყვაში (მაგ., ქართველი, მარგალიტი) მახვილი შესაძლებელია მეორე მარცვალზე ბოლოდან (ქართველი, მარგალიტი), ამას არ ადასტურებს ჩვენი დაკვირვება: მთავარი სიტყვათმახვილი ქართულ მრავალმარცვლიან სიტყვაში შესაძლებელია მხოლოდ მესამე მარცვალზე ბოლოდან“².

გ. ახვლედიანმა პირველმა განიხილა ქართულში თხრობითი, კითხვითი და ძახილის ტიპის შესიტყვებებში მახვილის საკითხი ინტონაციასთან დაკავშირებით და ფრიად საყურადღებო მოსაზრებანი გამოთქვა.

ავტორის აზრით, თხრობითი ტიპის ყველა შესიტყვებისათვის დამახასიათებელია დამევალი ინტონაცია.

კითხვით ინტონაციაში ავტორი არჩევს ორ ძირითად ტიპს. ერთში არ მონაწილეობს კითხვითი სიტყვა (ჩხუბი მოვივიდა?), ამ ტიპის ინტონაცია აღმავალია. მეორეში კითხვითი სიტყვა მონაწილეობს (რას ამბავია?). ამ ტიპის ინტონაცია დამევალია შესიტყვების ბოლოს, ოღონდ შესიტყვების შიგნით ტონის გაძლიერება და ოდნავი აწევა შეინიშნება. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ინტონაცია იმდენად დამევალი არაა, რამდენადაც ის თხრობით შესიტყვებაშია. ამ შემთხვევაში ინტონაცია უფრო მაღალია, ვიდრე თხრობითისა³.

ავტორის დაკვირვებით, ძახილის შესიტყვებაში მახვილი ჩანს მეტწილად შესიტყვების შიგნით და არა მის ბოლოს⁴.

როგორც ზემოთ დაერწმუნდით, ყველა ავტორი იმ აზრისაა, რომ ორმარცვლიან სიტყვებში მახვილის მატარებელია ბოლოდან მეორე მარცვალი. ასევე ყველა ავტორის მიერ აღიარებულია, რომ სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მესამე მარცვალი. მხოლოდ ნ. მარი ფიქრობდა, რომ ლიტერატურული წარმოთქმით ბუნებრივია მრავალმარცვლიან სიტყვებში მახვილის დასმა ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვლებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. მართან ერთად ამ აზრს დღეს ზოგიერთი სხვა ავტორიც გამოთქვამს:

¹ არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის..., გვ. 300.

² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. 1949 წ., გვ. 135—136.

³ იქვე, გვ. 140.

⁴ იქვე, გვ. 141.

ქართულში სამმარცვლიან, ოთხმარცვლიან და მრავალმარცვლიან სიტყვებს ზოგიერთ შეთხვევაში მახვილი უხის ბოლოდან მეორე მარცვალზე¹.

ამ დებულების საფუძველი რომ უფრო გასაგები იქნეს, განვიხილავთ ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის დიალექტების აქცენტუაციასთან მიმართების საკითხს.

III. ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის დიალექტების აქცენტუაციასთან მიმართების საკითხი

მართალია, იშვიათად, მაგრამ დღეს სალიტერატურო წარმოთქმის გვერდით ვხვდებით ისეთ წარმოთქმასაც, რომელიც დამახასიათებელია ქართული ენის გარკვეული დიალექტებისათვის. ირკვევა, რომ, მრავალმარცვლიან სიტყვებს მეორე მარცვალზე რომ მოუდის მახვილი, ეს როგორც წესი ქართულ დიალექტთა გარკვეული ჯგუფიდან მომდინარეობს. ერთი, ქართულის სუსტად მცოდნე პირი სავსებით სწორად შენიშნავდა: რატომ არის რომ სიტყვაში „იქნება“ ზოგჯერ ო-ზეა (იქნება) მახვილი და ზოგჯერ ე-ზეა (იქნება).

ის ფაქტი, რომ ქართულ სამმარცვლიან სიტყვებში მახვილი შესაძლებელია დაისვას ბოლოდან მესამე ან მეორე მარცვლებზე, თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ქართულ სალიტერატურო წარმოთქმაში ორგვარი აქცენტუაციის ბრძოლის პროცესი ჯერ კიდევ საბოლოოდ დამთავრებული არ არის.

ნ. მარმა მრავალმარცვლიან სიტყვებში შესაძლებლად რომ მიიჩნია მახვილის დასმა მეორე მარცვალზე, ამით მან ქართული სალიტერატურო წარმოთქმის აქცენტუაცია გაათანაბრა იმ აქცენტუაციასთან, რომელიც გარკვეულ დიალექტთა შემონატანს წარმოადგენს სალიტერატურო წარმოთქმაში. ნაძღვილად კი ასეთი წარმოთქმა სალიტერატურო წარმოთქმის ნორმად ვერ ჩაითვლება.

მართალია, ქართული დიალექტების აქცენტუაცია სათანადოდ არ არის შესწავლილი, მაგრამ ის მასლა, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, გვაძლევს იმის მტკიცების უფლებას, რომ ქართულ დიალექტთა გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელია მრავალმარცვლიან სიტყვებში მახვილის დასმა ბოლოდან მეორე მარცვალზე, გარკვეულ ჯგუფს კიდევ მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის.

არნ. ჩიქობავამ სპეციალურს გამოკვლევაში „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ დაადგინა, რომ „ტონის მოდულაციაზე დამყარებული ტონური მახვილი“ მთიულურში სიტყვებს მეორე მარცვალზე მოუდის².

ჩვენ ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ მთიულური, მოხეური და ხევსურული. ჩვენ მიერ 1949 წელს წაკითხული მოხსენების ერთ-ერთი დებულება ასეთი იყო: „მთის კილოებში ადგილის მიხედვით ტონის მოდულაციაში არაა განსხვავება.

ეს თავისებური აქცენტუაცია სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის. თუ მარცვალთა რაოდენობა გადიდდება ბოლოდან, მაშინ აქცენტუა-

¹ მ. მ. რევილიძე. ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები. 1949 წ., გვ. 112.

² ა. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. IV, 1924 წ., გვ. 333—348.

ცია ისევე მეორე ადგილზე გადაინაცვლებს“. ასევე მარცვალთა რაოდენობა
თუ შემცირდება ბოლოზე, მაშინ მახვილი წინ გადმოინაცვლებს.

სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

მთიულური:

კ ა ლ ო, მაგრამ: კ ა ლ ო შ ი. ა რ ა ფ ე რ ი, მაგრამ: ა რ ა ფ ე რ ს.

ქ ვ ე შ ე თ ი, მაგრამ: „ჯ ა რ ტ ბ ი ი ღ გ ის ქ ვ ე შ ა ს“ (=ქვეშეთის).

ზ ე ე ი თ, მაგრამ: ზ ე ე რ თ ა.

სოფლების სახელწოდებანი ასე წარმოითქმის ადგილობრივ: ნ ა დ ი ბ ა ნ ი,
ნ ა ლ ო რ ტ ე ი, ხ ა რ ხ ე თ ი, ე ო ე რ ნ ი, გ ვ ი დ ა ქ ე და ს ხ ე.

ხევსურული:

„შენ საით მისდინარ? — ჯ უ თ ა ს ა ო ო .“

„უ თ ხ რ რ დ ი, უ თ ხ რ რ დ ი, ჩ ა მ ა ი ა რ ა ს ო“

„შ ვ ა ნ ა ნ ის (მთა) ს ე ვ ა მ (=სიომ) და უ ბ ტ რ ა ო“

„ძ ა ლ ლ ე ბ მ ა ა რ და გ გ ლ რ ჯ ა ს. წ კ ე პ ლ ა ი წ ა ი ყ ვ ა ლ ე“
(=წაიყოლე).

მეორე თურმეობითის აღწერით ფორმებში მესამე პირის ნიშანი ო იქცევა
ვ-დ იმის გამო, რომ მახვილი წინამავალ მარცვალზეა, მაგ.: „ერთ მონა-
დ რ რ ე ყ ო ფ ი ლ რ ყ ვ“. „ის ერთხან (=ერთხელ) ს ა ნ ა დ რ ო ლ წ ა ს უ -
ლ რ ყ ვ“.

სუბიექტური მესამე პირის ნიშანი ა ზმნებს ეკვეცება წინამავალი მახვი-
ლის გავლენით, მაგ.:

„წ ყ ა ლ ს გ ა ჯ დ“ (=გაქდა).

„ჩ ი დ ს გ ა ჯ დ“ (=გაქდა).

„ერთ ქვესურ მ ა ვ რ დ ს ტ უ მ რ ა დ ჯ უ თ ა ჩ ი“: „ა გ ვ ის ტ რ შ ი ა ი, ა მ
მ თ ე ბ ზ ე ჩ ა მ ო ვ ა თ ო ვ ლ ი“ და სხვ.

მოხეური:

„კ ი ვ ო რ დ ა და კ ი ვ ო რ დ ა, ს უ ლ ა ქ ო თ ე ბ დ ა ი ქ ა უ რ ო ბ ა ს ა ო“.

„ძ რ ი ა ლ გ უ ლ ა ბ ე ზ ა რ ი მ თ ა ა ყ ი ნ ვ ა რ ი“

„ა რ შ ა ი ძ ლ ე ბ ა, რ ო შ ე მ ო ვ რ დ ე“.

„ი ქ ი ქ ნ ე ბ ა“, „ქ ი შ ტ ე ბ ი შ ა შ ი ნ დ ე ს“.

„ვ ა ჯ ა ლ ე მ ა შ ი ნ ვ ე თ ო ფ ი, ა ლ ე ქ ს ი მ ა ც ა ჯ ა ლ ა თ ო ფ ი“.

„რ ა ბ ე დ ე ნ ა ო“ (=რა ბედენაა!) და სხვ. მისთ.

ჩვენი დაკვირვებით, გურულ-აქარულსაც ამ ტიპის აქცენტუაცია ახასია-
თებს. გურულის წარმოთქმაში ვ-ს ნაცვლად სრული უ წარმოითქმის შემდეგ
სიტყვებში: გ ა მ ი შ ე ა ს (=გამიშვას), დ ა დ ე ტ ე ნ (=დადეეს) საცხა ალბათ:
თ ქ ე ა (=თქვა), გ ი თ ქ ე ა მ ს (=გიოთქვამს), ს უ ა მ ს (=სუამს), შ ე ს ე ა მ ს
(=შესვამს), მ ო თ ქ ე ა მ ს (=მოთქვამს).

ამ და ამის მსგავს სიტყვებში ვ-ს ნაცვლად იმიტომ წარმოითქმის უ,
რომ იგი მახვილის მატარებელია (შდრ. მეგრული ქვეშირებითი მეორე მა
ფ თ ქ ე ა, ს ი თ ქ ე ა, თ ი ქ თ ქ ე ა ს)¹.

¹ მე ვთქვა, შენ თქვა, მან თქვას.

ასევე მეორე მარცვალა მახვილის მატარებელი სიტყვებში: რ ვ ა ი (ზღრ. მეგრ. რუო (ბრუო), ცხ რ ა ი, ხ ვ ა ლ ე;

„მერ ც ე ლ ა ნ ძ ე“, ქ ო ნ რ ე ნ“ (=ჰქონიათ); ფრაზა: „კ ა ი ს ა ლ ა კ ა ი ყ ო ფ რ ლ ა“ ნათლად ასახავს გურული მეტყველებისათვის დამახასიათებელ აქცენტუაციას.

აქარულში ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ტოპონიმიკური სახელწოდების „ქობულეთის“ წარმოთქმამ. ადგილობრივ წარმოთქვამენ: ქ ო ბ ზ ლ ე თ ი, ქ ო ბ ზ ლ ე თ ე ლ ი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მეორე მარცვალზე მახვილის დასმის შედეგად რედუქცია მოსდის უ ხ მოვანს (ზღრ. ხვანური: (ბზ.): ჯ ო ჯ ხ ე თ (←ჯოჯოხეთ-ი), მე ზ ვ ბ ე ლ (←მეზობელ-ი), დ ე დ ფ ა ლ (←(დედოფალ-ი), დ ე დ ბ ე რ (←დედაბერ-ი); ხ ე ვ ხ უ რ უ ლ ი: შ კ მ ე ბ ი (←სკამებ-ი), შ ტ ვ ლ ე ბ ი (←სტოლებ-ი რუს.) და სხვ. მისთ.).

მეორე მარცვალზე მახვილის დასმის ტენდენცია ჩვენ მიერ დადასტურებულია სვანურში¹.

ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე არნ. ჩიქობავას მიერ დადასტურებული ფაქტი ქანურის ათინურსა და არქაბულ კილოკავებში: „...ათინური და აქა იქ არქაბული ტექსტების ჩაწერისას დადასტურებულ იქნა ტონური მახვილის (თუ ტონური მახვილის ტიპის ხმის ამაღლების!) არსებობა ქანურში; მისი ადგილი გარკვეულია: თითქმის ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (იშვიათად — უკანასკნელზე); ეს მოვლენა სრული ანალოგონია იმისა, რაც მთიულურსა და ზენო რაქაში, — გლოლა, კიორა, ღებში — გვაქვს; ქართულს კილოებში იგი ფართოდ გავრცელებული მოვლენის ნაშთს წარმოადგენს; მეგრულში ნაშთიც კი არსად ჩანს; მით უფრო საყურადღებოა მისი დადასტურება ქანურში“².

მეორე მხრით, ქართლ-კახური დიალექტის ამ თვალსაზრისით წინასწარმა შესწავლამ ნათლად დაგვარწმუნა, რომ ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციასთან ყველაზე უფრო ახლოს დგას ქართლ-კახური დიალექტის აქცენტუაცია თავის ძირითად მომენტებში. ისე როგორც ქართულ სალიტერატურო წარმოთქმაში, ქართლ-კახურშიც სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილის მატარებელია ბოლოდან მესამე და შემდეგი მარცვლები და არა მეორე მარცვალი.

ჩვენი დაკვირვებით, სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილის დასმის მხრივ ქართლ-კახურსა და სალიტერატურო წარმოთქმაში საერთო სისტემა შეინიშნება.

გ ლ ო ბ ს რ ა ი ო ნ ს:

„იმ სოფელს ძ ე ვ ე რ ა კ ვ ი ა“.

„ს ა ს ა ჯ ე ბ ი ს შ ე ტ ა ნ ა ი კ ა რ ხ ლ ე ბ შ ი“.

„შ ე რ თ უ ლ ი“ (სოფ.), „რ მ ა ნ ა ც ი ც ი ს ა დ ი ო დ ე ბ ა ი“ (მეჯუღამ).

„ა ლ ე ი ხ ე ა რ ი“, „ჩ ე მ დ რ რ შ ი ა ნ ა მ თ ი ა რ ი ყ ო“, „რ რ ა ს ი კ ი ლ ო მ ე რ გ ო“ (შაქარი).

¹ ჩვენი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები. 1949 წ., გვ. 96—112.

² არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი. 1936 წ., გვ. 42.

„ჩემი სმშობლო ქვეყანა
სრფელი ვარინია
ლრახვის პირზე მდებარე
ყველაფრით გვარინია“¹.

ხაგურამო:

„არიან ბედუქაძეები, „ბეგრები ვართ“, „წადი, მონახე“, „აბო-
ლოა, სულ ახლოა“, „ყველამ რცოდა“, „ააყენეს ფიხზე“ აქაური
იყო“, „გალანანი არტყია“. „სიცხემ დიდი მოსავალი გაგვრცულა“.
ადგილობრივ ადგილის სახელწოდებანი ასე წარმოითქმიან: „მეჯგორ-
ხევი II მეჯრუხევი“, „ბერშეული II ბერშეული“.

გვარები: ჯავახრშვილი, ლალიშვილი, გონელშვილი, კეჩ-
ხუშვილი, ვართუმაშვილი, უნდილშვილი და სხვ. მისთ.

კახური:

კახელის წარმოთქმაში: „ყვარელი“, „სრნალი“, „ანაგა“ (სოფ.)
და მისთანებში მახვილიანია ბოლოდან მესამე მარცვალი.

რაც შეეხება გურჯაანი, მაჩხაანი, მეღაანი და მისთანათა წარ-
მოთქმას, მახვილიანია ბოლოდან მესამე მარცვალი, ოღონდ წარმოთქმაში
ერთიანდება მესამე და მეორე ერთნაირი ხმოვნები და მახვილს ორივე ერთად
იღებს.

ექვი არაა, რომ ამ თვალსაზრისით ქართული დიალექტების აქცენტუა-
ციის საფუძვლიანი შესწავლა ქართული სალიტერატურო წარმოთქმის მნიშ-
ნელოვან საკითხებს გადაწყვეტს.

IV. ქართული სალიტერატურო ენის მახვილის ტიპის საკითხისათვის

ქართული სალიტერატურო ენის მახვილის ტიპის განსაზღვრის საკითხი
დღემდე სადავოა. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა შეხედულებისაა ამ საკით-
ხის შესახებ. მკვლევართა დიდი უმრავლესობა ანგარიშს არ უწყევს ქართული
მახვილის სპეციფიკურ ბუნებას და განიხილავს მას ინდოევროპულ ენათა მახ-
ვილის თვალსაზრისით.

ასე მაგალითად, კ. დოდაშვილი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან
წლებში წერდა: „ბერძნულ-ლათინურში ხმის ამაღლება მდგომარეობს ხმოვნის
მკაფიოდ გამოთქმაში, ჩვენსა და რუსულ-გერმანულში კი ძალდატ.ნებითი
ფილტვებიდამ ჰაერის ამოქშინვაში. ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი ხმის
ამაღლება ექსპირატორულია, ბერძენ-რომაელებისა კი ხრომატიული“².

ს. გორგაძე თავის „ქართულ წყობილიტყვაობაში“ შეეცადა ქართული
მახვილი განესხვავებინა ინდოევროპულ ენათა მახვილისაგან. ის წერს: „მარ-
თალია, ქართული მახვილი ისე მკაბე არ არის, როგორც ზოგიერთს ეგრო-

¹ ისარი ხმოვნებზე აღნიშნავს, რომ მესამე მარცვლის წინა ხმოვნები დაახლოებით იმ
იმაღლეზე წარმოითქმის, რა სიმაღლეზედაც ბოლოდან მესამე მარცვალი წარმოითქმის.

² კ. დოდაშვილი, ქართული ლექსწყობა. „ივერია“, 1890, № 209, გვ. 3.

პულ ენასა სხვევია, მაგრამ ზომიერი ხნის ამაღლება ქართულ სიტყვებშიც წარმოებს¹.

ს. გორგაძე თავის „ქართულ ლექსში“ აღნიშნავს, რომ ქართული მახვილი „ბუნებით ექსპირატორულიაო“. ამ შეხედულებას სხვა ავტორებიც იზიარებენ².

არნ. ჩიქობავამ ძველი ქართულის ენობრივი მონაცემების საფუძველზე დაასკვნა, რომ „უქანასკნელ მარცვალზე დინამიკური მახვილის ქონა გარკვეული დიალექტისა თუ ენობრივი წრისათვის სრულიად უცილობელი ფაქტი ჩანს“³.

„მახვილი იყო ინტენსიური, დინამიკური“⁴. ის ფაქტი, რომ ძველ ქართულში მახვილი მოუდიოდა სიტყვებს ბოლო მარცვლებზე და თავიკიდურ მარცვლებზედაც, არნ. ჩიქობავას აფიქრებინებს, რომ მახვილი იყო მოძრავი, არა-ფიქსირებული.

გარდა ამისა. არნ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ, ალბათ, ისეთი კილოებიც იყო, რომელსაც ჰქონდა არა დინამიკური მახვილი, არამედ — მუსიკალური: ღუძეფუძეშველობა ამ კილოს შემონატანია ძველ ქართულში⁵. არნ. ჩიქობავა ამ საკითხის შესახებ საბოლოოდ ასე დაასკვნის: „ბოლოს და ბოლოს რა უნდა ვივარაუდოთ ქართველური ენებისათვის წარსულში — დინამიკური მახვილი თუ მუსიკალური? ერთიცა და მეორეც! უკეთ: ზოგში ერთი, ზოგში — უპირატესად მეორე“⁶.

გ. ახვლედიანი ფიქრობს, რომ ქართულში დღეს მოქმედი სიტყვათმახვილა დინამიკურია, მაგრამ ძლიერ სუსტი, „უფრო სუსტი, ვიდრე ფრანგულში... და მით უმეტეს, როგორც რუსულში“⁷ ან კიდევ: „ჩვენი დაკვირვებით, სალიტერატურო ქართულში დღეს სუსტი დინამიკური სიტყვათმახვილია დომინანტი, მაგრამ მასში ჩანს აგრეთვე ტონურობის ელემენტი“⁸.

საყურადღებო შეხედულებანი აქვთ გამოთქმული ქართული მახვილის ბუნების შესახებ პ. ფოგტისა და ე. ზელმერის. ე. ზელმერმა სპეციალური ექსპერიმენტული გამოკვლევაც კი უძღვნა ქართულ მახვილს⁹. ეს ექსპერიმენტული მონაცემები იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მათ დაადასტურეს პ. ფოგტის მოსაზრებანი ქართული მახვილის შესახებ.

პ. ფოგტის აზრით¹⁰, ქართულ ენას არა აქვს არც ექსპირატორული და არც ცმინდა მუსიკალური მახვილი. ავტორი ფიქრობს, რომ ქართული წარმოთქმა მონოტონურია და მარცვლის რიტმი იქმნება ხმის მსუბუქი აწვეით. ზოგიერთ მარცვალში შეინიშნება სუსტი ექსპირატორული მახვილი. პ. ფოგტი

¹ ს. გორგაძე, ქართული წყობილისიტყვაობა. 1912 წ., გვ. 10—11.

² შტრ. ა. გაწერელია, მახვილი ქართულ ლექსში. „მნათობი“, 1947 წ., გვ. 90; დრ. ბ. მრეველი შვილი. ქართული სასცენო მეტყველების საფუძველები.

³ არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის..., გვ. 197.

⁴ იქვე, გვ. 298.

⁵ იქვე, გვ. 299.

⁶ იქვე.

⁷ გახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები. გვ. 132.

⁸ იქვე, გვ. 136.

⁹ Ernst W. Selmer. Georgische experimentalstudien. Oslo, 1935.

¹⁰ H. Vogt. Esquisse d'une grammaire du géorgien moderne. Oslo, 1936.

ისეთ შემთხვევებსაც ითვალისწინებს, როდესაც შესაძლებელია მახვილმა გადაინაცვლოს ფრაზის საერთო რიტმის შესაბამისად.

ე. ზელმერი ჰ. ფოგტის თეორიულ მოსაზრებათა შესამოწმებლად განიხილავს 39 ქართული სიტყვის მელოდიკის სტრუქტურას და იმ დასკვნამდის მიდის, რომ ქართულში არ დასტურდება არც დინამიკური და არც წმინდა მუსიკალური მახვილი. ის წერს: „ქართულს რომ არ გააჩნია მკაფიოდ გამოჩინებული არც დინამიკური და არც მუსიკალური მახვილი, ეს დასტურდება ჩემი ექსპერიმენტული მონაცემებითაც“-ო¹.

ქართული ლექსიკის მელოდიკის მრუდების სტრუქტურის შესწავლის საფუძველზე ე. ზელმერი შემდეგ დასკვნამდის მივიდა:

„ტონის აღმავლობა და დამავლობა ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაზებია ქართული ლექსიკური მახვილის მელოდიკის მრუდის სტრუქტურაშიო“².

ე. ზელმერის ექსპერიმენტული მონაცემებიც ნათლად ადასტურებენ ორმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მეორე მარცვალზე სუსტი დინამიკური მახვილის არსებობას შემდეგ სიტყვებში: ბ რ ი ნ ჯ ი, ქ ე რ ი, ჯ ე რ ი, ე ტ ლ ი-შ ე ხ ტ ა, კ ა ტ ო, მ ა ტ ყ ლ ი, მ ა რ წ ყ ვ ი, გ ო გ ო, ო რ თ ქ ლ ი და ს ხ ე.³

გარდა ამისა, ე. ზელმერს მახვილის ადგილი განხილული აქვს რამდენიმე სამმარცვლიანი სიტყვის მიხედვით. ს ლ ი კ ვ დ ი ლ ი, პ ე პ ე ლ ა, კ ო ჯ ო რ ი, ბ ო ქ ლ ო შ ი და ს ხ ე.⁴

ექსპერიმენტული მონაცემები ნათლად ადასტურებენ, რომ ყველა სამმარცვლიან სიტყვაში მახვილიანია ბოლოდან მესამე მარცვალი.

სამწუხაროდ, ე. ზელმერს ოთხმარცვლიანი სიტყვებიდან ერთადერთი „ჯოჯოხეთი“ აქვს ჩაწერილი და გაანალიზებული⁵. ოთხზე მეტ მარცვლიანი სიტყვები მას არ ჩაუწერია და არც რაიმე მოსაზრება გამოუთქვამს მათ შესახებ.

ე. ზელმერის ოთხმარცვლიანი სიტყვის „ჯოჯოხეთის“ მელოდიკის მრუდი მეტად საყურადღებო სურათს იძლევა. მესამე და მეოთხე მარცვლები ერთ, სიმალეზე წარმოითქმიან. ტონის მოძრაობის გარდატეხა მესამე მარცვლიდან იწყება და თანდათანობით ეშვება მეორე და პირველ მარცვლებზე.

ე. ზელმერმა ქართული ლექსიკის მელოდიკის მრუდების დანალიზისას ერთ მეტად საინტერესო მომენტს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. ქართულში მახვილიან მარცვალს თან ახლავს ტონის მოძრაობის გარკვეული მალლობი, რომელიც ტონურობის შედეგია და ქართული წარმოთქმის არსებით ნაწილს წარმოადგენს. ე. ზელმერი მელოდიკის მრუდის ამ მალლობს უწოდებს „Hochlage“-ს. ეს ის მალლობია, რომელიც თან სდევს პირველ მახვილიან მარცვალს. სქემის სახით ე. ზელმერს იგი ასე აქვს წარმოდგენილი:



¹ E. Selmer, იქვე, გვ. 7.

² იქვე, გვ. 22.

³ იქვე, გვ. 11—20.

⁴ იქვე, გვ. 13—21.

⁵ იქვე, გვ. 22.

წარმოდგენილ სქემაში მარცვლის ცენტრია I და II. AB ტონის აღმავლობის ხაზია. კულმინაციურ წერტილს B წარმოადგენს. BC ტონის დამავლობის ხაზია¹.

ექსპერიმენტული ფონეტიკის მონაცემებმა ცხადყოფს, რომ იმ ენებშიც კი, სადაც სიძლიერის მახვილი ვაბატონებულია, ის ამავე დროს შვიდრო კავშირშია ტონის სიმალესთან. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ლ. შერბას დასკვნა, რომელიც მას რუსული წარმოთქმის ფრანგულთან შედარების გზით გამოჰყავს. ლ. შერბა აღნიშნავს, რომ რუსებს ჰგონიათ, ფრანგები თითქოს „მღერიან“ დეკლამაციის, ან ნელი საჯარო ლაპარაკის დროს. ნამდვილად კი პირიქითაა. თუ „სიმღერის“ შესახებ ვიტყვით, მაშინ უნდა დავადასტუროთ, რომ რუსები „მღერიან“ გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ფრანგები². ლ. შერბა ამით კიდევ ერთხელ გახაზავს რუსულში მოქმედი დინამიკურ-მუსიკალური მახვილის ბუნებას. რუსული მახვილის მუსიკალურ მომენტზე განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ვ. ბოგოროდიცკიმ³ და ვ. ვსევოლოდსკი-გერნგროსმა⁴. ამ ავტორთა მტკიცებით ბგერის სიძლიერე რამდენადაც დამოკიდებულია ამპლიტუდაზე, იმდენად სიმალეზედაც არის დამოკიდებული. მათი აზრით, კავშირი ამ ორ ელემენტს შორის განუყოფელია.

გერმანულშიც კი, რომელიც დინამიკური მახვილის თითქოს ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენდა, ე. ზივერსის აზრით, მახვილიან მარცვალთა წარმოთქმა დაკავშირებულია ტონის გარკვეულ მოდულაციასთან. კიდევ მეტი, მისი დაკვირვებით, გერმანულში ყველგან ერთნაირი წარმოთქმა არაა. მაგ., ჩრდილო გერმანულში მახვილიანობა ტონის აწევასაც იწვევს, ხოლო სამხრულ გერმანულში კი მახვილის შემთხვევაში ტონის დამავლობას აქვს ადგილი⁵.

ბ. პაული გერმანული მახვილის შესახებ პირდაპირ ამბობს, რომ იგი დინამიკურ მუსიკალურია⁶.

ო. ნიკონოვა კიდევ უფრო შორს წავიდა, როცა მან ასეთი დებულება წამოაყენა: „გერმანულში სიტყვის მახვილი მუსიკალურ-დინამიკურია“⁷.

თუ რუსული და გერმანული მახვილის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ის მხოლოდ დინამიკურია, მით უმეტეს არაერთი საფუძველი არა გვაქვს ქართულში მოქმედ მახვილს ვუწოდოთ მხოლოდ ექსპირატორული ანუ დინამიკური.

მკვლევართა მიერ ევროპული ენების მიმართ დადგენილია, რომ მახვილი სხვადასხვა ძალისაა იმის მიხედვით, თუ ბოლოდან მერამდენე მარცვალს მოუდის იგი. ასე მაგალითად, საერთო სლავეურის მიმართ ა. შახმატოვს ასეთი

¹ E. Selmer, იქვე, გვ. 24—25.

² Л. В. Шерба, Фонетика французского языка. 1939, гв. 116.

³ В. Богородицкий, Экспериментально-фонетическое изучение природы русского ударения. гв. 2.

⁴ В. Всеволодский-Гернгросс. Теория русской речевой интонации. Пет., 1922 г., гв. 75.

⁵ Ed. Sievers. Rhythmisch-melodische Studien. Heidelberg, 1912, гв. 110.

⁶ Н. Paul. Deutsche Grammatik. Band I, 1916, гв. 50—57.

⁷ О. Н. Никонова. Ударение в немецком языке: Памяти академика Льва Владимировича Шербы. 1951, гв. 207.

აზრი აქვს გამოთქმული: საერთო სლავურში მუსიკალურ-ექსპირატორული მახვილი ცნობილი იყო მხოლოდ ერთმარცვლიან სიტყვებში და ორმარცვლიან სიტყვებში თავიდან პირველ მარცვალზე; ყველა სხვა მარცვალი წარმოითქმოდა ექსპირატორული მახვილით¹.

ამგვარად, ა. შახმატოვის აზრით, საერთო სლავურში მუსიკალურ-ექსპირატორული მახვილის გვერდით არსებობდა წმინდა ექსპირატორული მახვილი და ამ უკანასკნელმა შეცვალა პირველი.

ა. შახმატოვს ეს პროცესი ასე აქვს წარმოდგენილი: ბოლო მარცვალთა დასუსტება შედეგია მახვილიან მარცვლებზე ექსპირატორული მახვილის გაძლიერებისა; ამან კი გამოიწვია მახვილიანი მარცვლის უფრო დაბლა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ძლიერად წარმოთქმა, ვიდრე წინათ წარმოითქმოდა. ამ გზით წინანდელი მუსიკალური მახვილი შეიცვალა მუსიკალურ-ექსპირატორულით².

დაახლოებით ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული ს. გორგაძეს. ქართული მახვილის სიძლიერის შესახებ მან თავის დროზე ასეთი დებულება წამოაყენა: „ერთი სიტყვით ქართული მახვილის ინტენსივობა იმდენად დიდია, რამდენადაც იგი სიტყვების ბოლოდან დაშორებულია და პირიქით — რამდენადაც მახვილი სიტყვის ბოლოს უახლოვდება, მისი ინტენსივობაც თანდათან კლებულობსო“³.

დღეს ყოველი მკვლევარი დარწმუნებულია, რომ რუსული ენის დინამიკურ-მუსიკალური მახვილი თვისობრივად განსხვავდება ქართული ენის დინამიკურ-მუსიკალური მახვილისაგან. რუსულ მახვილს ახასიათებს მთელი რიგი ისეთი სპეციფიკური ნიშნები, რომლებსაც მოკლებულია ქართული ენის მახვილი. ასე მაგალითად, რუსულში დინამიკურ-მუსიკალური მახვილის წყალობით სიტყვა იყოფა ორ სხვადასხვა ნაწილად — მახვილიან და უმახვილო ნაწილად. პირველი ძლიერი ნაწილია, ხოლო მეორე — სუსტი. სიტყვის ასეთი მახვილი ქართულში არაა. რუსულში ინტენსიური მახვილის შედეგად მახვილიანი ხმოვნები ინარჩუნებენ სრულ სახეს, ხოლო უმახვილო ხმოვნები რაოდენობრივად მცირდებიან და გაურკვეველ ხმოვნებად იქცევიან. ქართულში მახვილიან და უმახვილო ხმოვანთა ასეთი დაპირისპირება არ არსებობს.

ცნობილია, რომ რამდენადაც ენაში სუსტია ინტენსიურობის მახვილი, იმდენად ხმოვნები უფრო ინარჩუნებენ თავიანთ სრულ სახეს. ამ მხრივ ქართული მახვილი უფრო უახლოვდება ფრანგული მახვილის ტიპს, ვიდრე რუსულისას, გერმანულისა და ინგლისურისას.

ლ. შჩერბა ადარებს ფრანგული ენის მახვილს რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენათა მახვილს და დაასკვნის: „სერიოზული განსხვავება ფრანგული მახვილისა რუსული, გერმანული და ინგლისური მახვილისაგან იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავება მახვილიანსა და უმახვილო მარცვლებს შორის ამ ენებში უფრო თვალსაჩინოა, მაშინ როდესაც ფრანგულში ნაკლებ შესამჩნევია:

¹ А. Шахматов, К истории ударений в славянских языках. Известия II отд. АН, т. III, (1893), кн. I, гл. 10.

² იქვე, გვ. 12.

³ ს. გორგაძე, ქართული ლექსი. გვ. 126.


თუ კურადღებით არ აკვირდებით, ყველა მარცვალ გეჩვენებათ თანაბარმანვილიანი¹.

ამ შრომის ექსპერიმენტული ნაწილის მიზანია გაარკვიოს ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს მოქმედი მახვილის ბუნება. საჭიროა დავადგინოთ ის სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციას ახასიათებს.

ექსპერიმენტული ნაწილი

1. ორ- და მრავალმარცვლიან სიტყვათა მელოდიკის მრუდების ანალიზი

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საანალიზო ქართული სიტყვები და წინადადებანი ჩაწერილია მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის ელექტროაკუსტიკური აპარატის საშუალებით. ამ აპარატის უპირატესობა იმაშია, რომ ის საშუალებას იძლევა ერთსა და იმავე დროს სინქრონულად ვიკვლიოთ ხმოვნის როგორც სიმაღლე, ისე სიძლიერეც. ქართული მახვილის სიმაღლისა და სიძლიერის მომენტების გარკვევა, ექვს არაა. სრულ წარმოდგენას მოგვცემს ქართული მახვილის ბუნების შესახებ.



ამ ორმარცვლიან სიტყვაში მელოდიკის მრუდის სტრუქტურა ასეთია²:

ა) პირველი მარცვალი [დე] წარმოითქმის გარკვეულ სიმაღლეზე და ტონის მოძრაობა თანაბარზომიერად მიიმართება. ამის შესატყვისად სიძლიერის მომენტიც გადიდებული ჩანს.


ბ) მეორე მარცვალი [და] წარმოითქმის დამავალი ტონით, შესატყვისად სიძლიერეც მნიშვნელოვნად მცირდება და ნულამდე დადის.

ამ მონაცემების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მახვილიანია პირველი მარცვალი [დე].


ამ კანონზომიერებას ადასტურებს სხვა ორმარცვლიან სიტყვათა ექსპერიმენტული მონაცემებიც.

¹ Л. В. Щ е р а, Фонетика французского языка. გვ. 84.


² გაბმული ხაზით შესრულებული მრუდი სიმაღლის მაჩვენებელია, წყვეტილი ხაზით შესრულებული მრუდი — სიძლიერისა.




შელოდიკის მრუდის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალი. აღსანიშნავია ისიც, რომ „მამაში“ სიმალლისა და სიძლიერის მომენტსაც რამდენიმე დარღვის ინლაუტის სონანტი მ.



ამ სიტყვის შელოდიკის მრუდის მიხედვით მახვილიანი პირველი მარცვალია [შვი].




ამ სიტყვაშიაც მახვილი პირველ მარცვალზეა [ნა].




მახვილიანია პირველი მარცვალი [უ].

მახვილიანია პირველი მარცვალე [შო]; მეორე მარცვალეში მ სონანტი, ისე როგორც სიტყვაში „შამა“, სიმაღლისა და სიძლიერის მომენტს რამდენიმედ ზრდის, რაც ნათლად ჩანს მელოდიკის მრუდების მიხედვით.



6.

ამ სამმარცვლიანი სიტყვის სიმაღლისა და სიძლიერის მრუდები საყურადღებო სურათს იძლევა:



7.

ა) პირველ მარცვალეში [სამ] ტონი აღმავალია და გარკვეულ მწვერვალს ქმნის. ამის შესაბამისად სიძლიერის მომენტიც სათანადოდ გაზრდილია;


ბ) მეორე მარცვალეში [შო] ტონი თანდათანობით დამავალია. სიძლიერის მომენტი კი პირველი მარცვლის თანაბარზომიერია;

გ) მესამე მარცვალეში [ბლო] ტონი თანდათანობით დამავალია, სიძლიერის მომენტიც საგრძნობლად მცირდება.

ამ მონაცემებით ცხადია, რომ მახვილიანია პირველი ანუ ბოლოდან მესამე მარცვალე.

კიდევ უფრო საყურადღებო ჩანს სიძლიერის მრუდი. სიძლიერის თვალსაზრისით თანაბარმახვილიანებია პირველი [სამ] და მეორე [შო] მარცვლები, მესამე მარცვალეში [ბლო] სიძლიერე დამავალია. ამ კანონზომიერებას იმეორებენ ქვემოთ განხილული სამმარცვლიანი სიტყვათა მელოდიკის მრუდები.


ამ სიტყვის სიმაღლისა და სიძლიერის მრუდები იმეორებენ „სამშობლოს“ სიმაღლისა და სიძლიერის მრუდების სურათს.



8.

ირკვევა, რომ ტონურობის თვალსაზრისით მახვილიანია პირველი ანუ ბოლოდან მესამე მარცვალი. ამას ადასტურებს სიძლიერის მრუდიც, ოღონდ სიძლიერის მიხედვით ბოლოდან მეორე და მესამე მარცვლები თანაბარზომიერი სიძლიერით წარმოითქმიან.

„კოჯორი“ ჩაწერილი და გაანალიზებული აქვს ე. ზელმერსაც, ოღონდ მას მოცემული აქვს მხოლოდ მელიოდიკის მრუდი, რომელიც ემთხვევა ჩემი მელიოდიკის მრუდს¹.



9.


ამ მონაცემების მიხედვითაც მახვილიანია ბოლოდან მესამე მარცვალი. სიძლიერის თვალსაზრისით თანაბარი სიძლიერისაა ბოლოდან მესამე და მეორე მარცვლები.

მეთათე მელიოდიკის მრუდის მიხედვით თანაბარმახვილიანია ბოლოდან მესამე და მეორე მარცვლები.

ოთხმარცვლიანი სიტყვის (მრუდი 11) სიმაღლისა და სიძლიერის მრუდების სტრუქტურა ასეთ სურათს იძლევა.

ა) პირველ მარცვალში [ა] ტონი თანდათანობით აღმავალია, შესატყვისად სიძლიერის მომენტიც გაზრდილია;

ბ) მეორე მარცვალი [ხა] აგრძელებს პირველი მარცვლის აღმავლობის ხაზს და ქმნის ფონეტიკურ მწვერვალს, შესაბამისად სიძლიერის მომენტიც გაზრდილია;




10.

გ) მესამე მარცვალი [ლუ] წარმოითქმის დამავალი ტონით, სიძლიერის მომენტი კი პირველი და მეორე მარცვლების თანაბარზომიერია;

¹ ზღრ. E. Selmer. Op. cit., გვ. 21.

დ) მეოთხე მარცვალში [ხი] ტონი დამავალია, სიძლიერის მომენტი ეცემა.




11.

ამ მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ ფონეტიკური მწვერვალი ბოლოდან მესამე მარცვალზეა. ამ ფონეტიკური მწვერვალის შექმნაში მეოთხე მარცვალში მონაწილეობს, ამდენად მესამე და მეოთხე მარცვლები ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან. ამას ადასტურებს სიძლიერის მომენტის გათვალისწინებაც. მეოთხე, მესამე და მეორე მარცვლები ერთნაირი სიძლიერით წარმოითქმიან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი მომენტიც: მელოდიკის მიხედვით ტონის დაშვება იწყება მესამე მარცვლიდან მეორე და პირველ მარცვლებზე; ინტენსივობის მრუდის მიხედვით სიძლიერე ეცემა მეორე მარცვლიდან პირველ მარცვალზე.


მსგავს სურათს გვიჩვენებენ სხვა ოთხმარცვლიან სიტყვათა მელოდიკის მრუდები.

მეთორმეტე მრუდის მონაცემებით ირკვევა, რომ ფონეტიკური მწვერვალი ბოლოდან მესამე მარცვალზეა. ფონეტიკური მწვერვალის შექმნაში მონაწილეობს მეოთხე მარცვალშიც, მესამე და მეოთხე მარცვლები ერთი საერთო




12.

მახვილით წარმოითქმიან. სიძლიერის მომენტი ერთნაირია მეოთხე, მესამე და მეორე მარცვლებში. ამგვარად, „ჯოჯოხეთის“ ექსპერიმენტული მონაცემები ემთხვევიან „ახალუხის“ ექსპერიმენტულ მონაცემებს.




13.

ამ სიტყვის მელოდის მიხედვითაც ნათლად დასტურდება, რომ ბოლოდან მესამე და მეოთხე მარცვლები ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან.




14.

ამ მონაცემებით ფონეტიკური მწვერვალი ბოლოდან მესამე მარცვალზეა; მესამე და მეოთხე მარცვლები ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან. ისე როგორც წინა ოთხმარცვიან სიტყვებში, ტონის სიმაღლის დამავლობა მესამე მარცვლის ბოლოდან იწყება, სიძლიერის დამავლობა კი — მეორე მარცვლის ბოლოდან.




15.

ამ მელოდის მრუდის მიხედვით მესამე და მეოთხე მარცვლები ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან.



16.

ამ მონაცემებითა ც ფონეტიკური მწვერვალი ბოლოდან მესამე მარცვალზე: მესამე და მეოთხე მარცვლები ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან.



17.

ამ ხუთმარცვლიან სიტყვაში სიმაღლისა და სიძლიერის მრუდები შემდეგნაირი აგებულებისაა:

ა) პირველ მარცვალში [მა] ტონი აღმავალია, სიძლიერეც შესაბამისად გაზრდილია;

ბ) მეორე მარცვალში [სწა] ტონი ფონეტიკურ მწვერვალს ქმნის, სიძლიერე პირველი მარცვლის თანაბარზომიერია;

გ) მესამე მარცვალი [ვლე] წარმოითქმის პირველი მარცვლის სიმაღლეზე; სიძლიერე პირველი და მეორე მარცვლების თანაბარზომიერია;

დ) მეოთხე მარცვალი [ბე] წარმოითქმის თანდათანობით დამავალი ტონით. სიძლიერეც თანდათანობით კლებულობს;


ე) მეხუთე მარცვალში [ლი] ტონი დამავალია, სიძლიერე ნულს უდრის.

ამ მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ მახვილიანი მარცვლებია ბოლოდან მესამე, მეოთხე და მეხუთე მარცვლები. ფონეტიკური მწვერვალი მეოთხე მარცვალზეა და ყველა ისინი ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან. ისე როგორც ოთხმარცვლიან სიტყვებში, აქაც ტონის სიმაღლის გარდატეხა მესამე მარცვლის ბოლოდან იწყება.



18.


ამ მონაცემებით ფონეტიკური მწვერვალი ბოლოდან მეოთხე მარცვალზეა; მესამე, მეოთხე და მეხუთე მარცვლები ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან. ამ სიტყვის ექსპერიმენტული მონაცემები საყვებით ემთხვევიან წინა ხუთმარცვლიანი სიტყვის („მასწავლებელი“) ექსპერიმენტულ მონაცემებს.



19.

ისე როგორც წინა ხუთმარცვლიან სიტყვებში, ამ სიტყვაშიც ფონეტიკური მწვერვალი ბოლოდან მეოთხე მარცვალზეა; მესამე, მეოთხე და მეხუთე მარცვლები ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან.

მეოცე მრუდის მონაცემებიც ადასტურებენ, რომ ბოლოდან მესამე, მეოთხე და მეხუთე მარცვლები ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან, ისინი თანაბარმახვილიანებია.



20.

ოცდამეერთე ექვსმარცვლიანი სიტყვის სიმაღლისა და სიძლიერის მრუდები ასეთ სურათს იძლევა:



21.

ა) პირველი მარცვალი [აღ] წარმოითქმის აღმავალი ტონით, შესაბამისად სიძლიერის მომენტიც იზრდება;

ბ) მეორე მარცვალში [მა] ტონი პირდაპირი ხაზით მიიმართება თანაბარზომიერად, სიძლიერე კიდევ უფრო გაზრდილი ჩანს;

გ) მესამე მარცვალი [შე] წარმოითქმის მეორე მარცვლის სიმაღლეზე, სიძლიერეც პირველი მარცვლის თანაბარზომიერია;


დ) მეოთხე მარცვალი [ნე] წარმოითქმის მესამე და მეორე მარცვალთა სიმაღლეზე, სიძლიერეც წინა მარცვლის თანაბარზომიერია;

ე) მეხუთე მარცვალში [ბე] ტონი დამავალია, სიძლიერეც საგრძნობლად მცირდება;

ვ) შეექვსე მარცვალში [ლი] ტონი დამავალია, სიძლიერე ნულს უდრის. ამ მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ბოლოდან მესამე, მეოთხე, მეხუთე და შეექვსე მარცვლები თანაბარმახვილიანებია, ისინი ერთი საერთო მახვილით წარმოითქმიან; სიძლიერის მრუდიც ამას ადასტურებს.

ისე, როგორც ოთხსა და ხუთმარცვლიანებში, ექვსმარცვლიან სიტყვაშიც ტონის სიმაღლის გარდატეხა მესამე მარცვლის ბოლოდან იწყება და თანდათანობით ეშვება ბოლოდან მეორე და პირველ მარცვლებზე. ამ მხრივ ექვსმარცვლიან სიტყვაში ტონის მოძრაობა არ განსხვავდება ტონის მოძრაობისაგან ხუთ-, ოთხ- და სამმარცვლიან სიტყვებში.

ამ კანონზომიერებას იმეორებენ სხვა ექვსმარცვლიან სიტყვათა ექსპერიმენტული მონაცემებიც.



22.

ამ მონაცემების მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ თანაბარმახვილიანია ბოლოდან მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მარცვლები, ისინი ერთი საერთო რიტმიკული მახვილით წარმოითქმიან. ამ მხრივ „გამეზარდაშვილი“-ს ექსპერიმენტული მონაცემები სავსებით ემთხვევიან „ალმაშენებელი“-ს ექსპერიმენტულ მონაცემებს.

ქართულ მრავალმარცვლიან სიტყვათა მელოდიკისა და სიძლიერის მრუდების ანალიზით ნათლად გამოირკვა, რომ მრავალმარცვლიან სიტყვებში მარცვლები წარმოითქმიან თითქმის თანაბარზომიერი სიძლიერით გარდა ბოლო პირველი და მეორე მარცვლებისა. ამავე დროს ტონის სიმაღლეს მსუბუქი მოდულაცია ახასიათებს.

ამ მონაცემების მიხედვით ქართული აქცენტუაციის არსებით მომენტს შეადგენს სიძლიერის ერთგვარობა და ტონის სიმაღლის მსუბუქი მოდულაცია.

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებით არ დადასტურდა ნ. მარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სალიტერატურო წარმოთქმაში თითქოს ბუნებრივია მრავალმარცვლიან სიტყვებში მახვილის მეორე მარცვალზე დასმა.


გარდა ამისა, ჩვენმა ექსპერიმენტულმა მონაცემებმა არ დაადასტურეს ნ. მარისა და სხვა ავტორთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ოთხ, ხუთ და ექვსმარცვლიან სიტყვებში მოქმედებდეს მთავარი და თანამახვილი. ნათლად დადასტურდა, რომ მრავალმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მესამე და შემდეგი მარცვლები თანაბარმახვილიანებია, ისინი ერთი საერთო რიტმიკული მახვილით წარმოითქმიან. მთავარი და თანამახვილის არსებობა არ შეეფერება ქართული მახვილის ბუნებას. ეს უფრო ინდოევროპულ ენათა მახვილის ბუნებას ეგუება.

VI. თხრობითი წინადადება

მრავალმარცვლიან სიტყვათა ექსპერიმენტული მონაცემების შედარებით წინადადებათა ექსპერიმენტულ მონაცემებთან კიდევ უფრო საინტერესო სურათი ირკვევა.

ქართულ წინადადებაში, ფრაზაში ცალკეული სიტყვები ფონეტიკურად არ გამოიყოფა. ამ შემთხვევაში მრავალმარცვლიან სიტყვათა მრუდის სურათს თითქოს იმეორებს ცალკეული წინადადებებისა და ფრაზების მრუდები.

ასე მაგალითად, მელოდიკის მრუდის „გამეზარდაშვილი“ (№ 22) შედარება მელოდიკის მრუდთან: „გამეზარდა შვილი“¹ (№ 23) ნათლად ადასტურებს, რომ ფრაზაში სიტყვები „გამეზარდა“ და „შვილი“ ფონეტიკურად არ გამოიყოფიან. განსხვავება ამ ორ მელოდიკის მრუდს შორის მხოლოდ მასშია, რომ № 22 მელოდიკის მრუდის მიხედვით ტონის მოძრაობის გარდატეხა ხდება თანდათანობითი დაშვებით მესამე მარცვლიდან მეორე და პირველ მარცვლებზე, ხოლო № 23 მელოდიკის მრუდის მიხედვით, ვინაიდან ბოლო სიტყვა „შვილი“ ორმარცვლიანია, ტონის მოძრაობის გარდატეხა მეორე მარცვლიდან იწყება და თანდათანობით ეშვება პირველ მარცვალზე.



23.


№ 24 წინადადების მელოდიკის მრუდის სტრუქტურა ასეთ სურათს იძლევა:

ა) პირველი მარცვალი [ვა] აღმავალი ტონით წარმოითქმის, ამის შესატყვისად სიძლიერის მომენტიც იზრდება;

ბ) მეორე მარცვალი [ნო] ფონეტიკურ მწვერვალს ქმნის, სიძლიერის მომენტი პირველი მარცვლის თანაბარზომიერია;

გ) მესამე და მეოთხე მარცვლები თანაბარზომიერი სიმაღლითა და სიძლიერით წარმოითქმიან;

დ) მეოთხე მარცვლიდან, ე. ი. ბოლოდან მესამე მარცვლიდან, იწყება ტონის მოძრაობის გარდატეხა და ტონი თანდათანობით ეშვება მეხუთე და მეექვსე მარცვლებზე.




24.

ამ ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ექვსმარცვლიანი წინადადების მელოდიკის მრუდი სავსებით იმეორებს ექვსმარცვლიანი სიტყვის მელოდიკის მრუდის სურათს. ისე როგორც მრავალმარცვლიან სიტყვებში, ამ წინადადებაშიც ტონის მოძრაობის გარდატეხა ბოლოდან მესამე მარცვალზე იწყება და თანდათანობით ეშვება. მესამე მარცვლის წინამარცვლები კი თითქმის ერთ სიმაღლეზე და ერთნაირი სიძლიერით წარმოითქმიან, ზოგჯერ ტონის მსუბუქი ამალღებით.


¹ ეს მაგალითი აღებულია მ. ი. მუსხელიშვილის შრომიდან.

№ 25 წინადადების მელოდიკის მრუდი საეხებით იმეორებს № 24 მელოდიკის მრუდის სურათს. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მარცვლები თითქმის ერთ სიმაღლეზე და ერთნაირი სიძლიერით წარმოითქმინან. ტონის მოძრაობის გარდატეხა აქაც ბოლოდან მესამე მარცვალზე იწყება და თანდათანობით ეწეება.




25.

№ 26 წინადადებაშიც ტონის მოძრაობის გარდატეხა ბოლოდან მესამე მარცვლიდან იწყება და თანდათანობით ეწეება.



26.

№ 27 წინადადების მელოდიკის მრუდის მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ ტონის მოძრაობის გარდატეხა იწყება მესამე მარცვლიდან, ისე როგორც ეს ზემოთ განხილულ თხრობით წინადადებებში გვეკონდა.



27.

№ 28 წინადადების მელოდიკის მრუდი¹ მეტად ორიგინალურ სურათს გვიჩვენებს. ერთგვარი წვერების ჩამოთვლისას ნათლადაა გამოხატული პაუზებისა და მახვილიანობის მომენტები.

ამ წინადადების ექსპერიმენტული მონაცემებიც ნათლად ადასტურებენ ზემოაღნიშნულ კანონზომიერებას, რომ ტონის მოძრაობის გარდატეხა იწყება მესამე მარცვლიდან. გარდა ამისა, ეს მონაცემები ადასტურებენ ორ- და სამ-მარცვლიანი სიტყვების ექსპერიმენტული მონაცემების შედეგებს. კერძოდ, ვინაიდან სიტყვები: „ახტა“, „დახტა“ სათანადო პაუზებითაა გამოყოფილი, ამიტომ ისინი ფონეტიკურად დამოუკიდებელი ერთეულებია და მავილიც

¹ № 28 და № 29 მელოდიკის მრუდები იხ. მე-100 გვერდზე.

მკვეთრადაა გამოხატული ბოლოდან მეორე მარცვლებზე, ისე როგორც სამ-მარცვლიან სიტყვაში „მივიდა“ მახვილი და ფონეტიკური მწვერვალიც ბოლოდან შესამე მარცვალზეა.


№ 29 ლექსად დაწერილი წინადადების მელოდიკის მრუდი უახლოვდება წინა № 28 წინადადების მელოდიკის მრუდის სურათს, ილონდ ტონის აწევისა და დაწევის უფრო დიდი დიაპაზონი ახასიათებს.

წინადადების ერთგვარი წერები სათანადო პაუზებითაა გამოცალკევებული. ამ წინადადების მთელ მანძილზე ერთნაირი სიმაღლის ფონეტიკურ მწვერვალებს ქმნიან მესამე, მეცხრე და მეთოთხმეტე მარცვლები. აღსანიშნავია ის, რომ ტონის მოძრაობის დამავლობა იწყება ბოლოდან მესამე მარცვლიდან, მეორე და პირველ მარცვლებზე ტონი დამავალია. პირველი მარცვლის დაბოლოება აღმავალია, რაც, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას ლექსის ფორმით და მასთან დაკავშირებული პროსოდიულობით. სიძლიერე გაზრდილია სათანადო ფონეტიკური მწვერვალის შესაბამისად.

VII. კითხვითი წინადადება

ამ ტიპის წინადადებებში ტონის მოძრაობა განსხვავებულია იმის მიხედვით, წინადადებაში მონაწილეობს თუ არა კითხვითი სიტყვა. წინადადებაში ყველაზე უფრო მაღალი ტონაციით წარმოითქმის ის სიტყვა, რომელზედაც კითხვის სიმძიმის ცენტრია. დანარჩენი სიტყვები წარმოითქმებიან დამავალი ტონით. კითხვით წინადადებაში ტონის აღმავლობის ინტერვალი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ეს თხრობით წინადადებაშია.


აკად. ლ. შჩერბა კითხვითი წინადადების თხრობითისაგან განსხვავებას ასე ახასიათებს: „კითხვითი ფრაზები იმით განსხვავდებიან თხრობითისაგან, რომ ისინი საერთოდ ტონით უფრო მაღალია, მაგრამ, რაც მთავარია, უკანასკნელი მარცვალი სინტაგმისა ანუ რიტმიკული ჯგუფისა კითხვით წინადადებებში წარმოითქმის ძლიერი აღმავლობით, ნაცვლად თხრობითი წინადადებისათვის დამახასიათებელი დამავალი ტონისა“¹.



30.

ამ კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ მონაწილეობს. ამიტომ ტონის მოძრაობას თანდათანობითი აღმავლობა ახასიათებს.

¹ Л. В. Щ е р б а, Фонетика французского яз., гл. 121.



31.

ან კითხვით ფრაზაში კითხვითი სიტყვა მონაწილეობს, ამიტომ მელოდიკის მრუდის სურათი ასეთია:

ა) კითხვითი სიტყვის პირველი [სა] და მეორე [და] მარცვალე წარმოთქმის ერთ სიმაღლეზე, სიძლიერის მომენტი ორივე მარცვალეში თანაბარ-ზომიერია:

ბ) ბოლო მარცვალე [ვარ] წარმოითქმის ტონის თანდათანობითი დამავლობით. შესაბამისად სიძლიერეც თანდათანობით კლებულობს.

№ 32 წინადადებაში ისე, როგორც წინა კითხვით შესიტყვებაში („სადა ვარ?“); დამავალი ტონი ისეთი არაა, როგორც თხრობით წინადადებაშია, არამედ უფრო მაღალია. ამ მხრივ ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემები სავეც-



32.

ბით ადასტურებენ გ. ახვლედიანის დაკვირვებას: „...კითხვითი შესიტყვების შიგნით (რა ა მზავია?) სიძლიერე ჰარბობს სიმაღლეს. ამავე ტიპის შესიტყვებაში, როგორც ითქვა, ინტონაცია დამავალია, მაგრამ არა იმ სიდაბლემდე, როგორც თხრობითში, ე. ი. კითხვითი შესიტყვების მეორე ტიპის ინტონაცია უფრო მაღალია, ვიდრე თხრობითისა“¹.

თხრობით წინადადებათა („შაქარი ტკბილია“, „ვანო ბეჯითია“) ექსპერიმენტული მონაცემების შედარება კითხვითი წინადადებების („სადა ვარ?“, „რა ა მზავია?“) ექსპერიმენტულ მონაცემებთან სავეცებით ადასტურებენ გ. ახვლედიანის ზეწოთ მოყვანილ მოსაზრებას.

№ 33 ფრაზა რამდენიმე კითხვის შემცველია². ინტონაციის მოძრაობის სურათიც მრავალფეროვანია:


განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ბოლო ფრაზის („არ ოცნებობთ?“) ნელოდიკის მრუდი ძირითად მომენტებში იმეორებს პირველი ფრაზის („არა ვაქეთ აზრი?“) მელოდიკის მრუდის სურათს.

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. გვ. 140.

² მელოდიკის მრუდი იხ. მე-100 გვერდზე.

№ 34 შესიტყვების მელოდიკის მრუდი ასეთ თავისებურებას გვიჩვენებს: ა) პირველი მარცვალი [კა] წარმოითქმის აღმავალი ინტონაციით, სიძლიერის მომენტიც შესაბამისად გაზრდილია;

ბ) მეორე მარცვალი [რი] წარმოითქმის პირველი მარცვლის სიმაღლეზე, სიძლიერეც პირველი მარცვლის თანაბარზომიერია;



34.

გ) მესამე მარცვალი [გა] წარმოითქმის უფრო მაღალი ტონით, ვიდრე წინა მარცვალი. ეს მარცვალი ფონეტიკურ მწვერვალს ქმნის, სიძლიერეც წინა მარცვლების თანაბარზომიერია;

დ) მეოთხე მარცვალში [მი] ტონის მოძრაობა დამავალია, სიძლიერეც წინა მარცვლის თანაბარზომიერია;

ე) მეხუთე მარცვალში [ლე] ტონის მოძრაობა კიდევ უფრო დაბლა ეშვება, სიძლიერის მომენტიც თანდათანობით კლებულობს.

ამ კანონზომიერებას ასახავენ ძახილის წინადადების სხვა მელოდიკის მრუდებიც.

№ 35 წინადადების ექსპერიმენტული მონაცემებით ნათლად ჩანს¹, რომ ძახილის წინადადებას ქართულში ფონეტიკური მწვერვალი შესიტყვების შიგნით აქვს და არა დასაწყისში ან ბოლოში.


№ 36 ძახილის წინადადების მელოდიკის მრუდიც გვიჩვენებს, რომ ტონის მოძრაობა აღმავალ-დამავალია.

№ 35 და № 36 ძახილის წინადადებებში მკვეთრად განსხვავებულია ემფატიკურ სიტყვათა შესიტყვების („დიდებული რამ არის“, „შიშს რა გააფლავებს“) წარმოთქმა არაემფატიკურ სიტყვათა შესიტყვების („ეგ მყინვარი“, „ჩემს გულში“) წარმოთქმისაგან. პირველი წარმოთქმის მაღალი ინტონაციით, მეორე კი — დამავალი, დაბალი ინტონაციით.


№ 37 ფრაზაში ტონის მოძრაობა ასეთ სურათს იძლევა: „მოდი“ მიმართვის ფორმაა და მასში ტონის აღმავლობა ფონეტიკურ მწვერვალს ქმნის; „გაეთხოვნოთ სიშინლი!“ ძახილის ინტონაციით წარმოითქმის და ტონის მოძრაობა დამავალია.

№ 38 წინადადების მელოდიკის მრუდი საყურადღებოა იმიტომ, რომ ტონის მოძრაობა გაძლიერებულია ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „თუ გილალატო“, „დედაო“. ეს უკანასკნელი ჩართული სიტყვაა და მასში ტონის მოძრაობა

¹ № 35 და № 36 მელოდიკის მრუდები იხ. აქვე 98-ე გვერდზე, ხოლო № 38 მრუდისა — მე-100 გვერდზე.



35




36

განსაკუთრებულ ფონეტიკურ მწვერვალს ქმნის, იგი ამავე დროს სათანადო პაუზებითაა გამოყოფილი. „ნუმც დაეიმარხო შთამია!“ წარმოითქმის ძახილის წინადადებისათვის დამახასიათებელი აღმავალ-დამავალი ტონის მოძრაობით.

ფეიქრობთ, რომ ზემოთ განხილული სხვადასხვა ტიპის წინადადებათა მელოდიკის სტრუქტურის ანალიზი ნათლად ააშკარავებს ქართული აქცენტუაციის ინდივიდუალურ სახეს.

ქართული წინადადების მელოდიკის მრუდების შედარებამ გ. ტორსუევის რუსული და ინგლისური სათანადო ტიპის წინადადებათა მელოდიკის მრუდებთან¹, ნათლად გვიჩვენა ტონის მოძრაობის საერთო ტენდენციებთან ერთად შესაძინევად განსხვავებული ტენდენციებიც.



37.

ქართულში, ისე როგორც რუსულშიც, არსებობს აზრის განმასხვავებელი ორი სახას ტონის მოძრაობა—აღმავალი და დამავალი. დამავალი ტონი უმთავრესად გამოხატავს აზრის დასრულებას, ხოლო აღმავალი ტონი კი—აზრის დაუსრულებლობას.

ქართულში, ისე როგორც რუსულშიც, დამავალი ტონით წარმოითქმიან თხრობითი, ძახილისა და ისეთი კითხვითი წინადადებანი, რომლებშიც კითხვითი სიტყვები მონაწილეობენ. აღმავალი ტონით წარმოითქმიან კითხვითი წინადადებანი, რომლებშიც კითხვითი სიტყვები არ მონაწილეობენ და აგრეთვე კითხვით-ძახილის წინადადებანი.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული აქცენტუაცია განსხვავდება რუსულისა და სხვა ევროპულ ენათა აქცენტუაციისაგან იმით, რომ ქართულ თხრობით წინადადებაში მახვილიანი მარცვლები უმთავრესად ტონის მოძრაობის თითქმის ერთნაირ სიმაღლეზე ან ხმის მსუბუქი აწვეით წარმოითქმიან და მათი დიფერენციაცია რიტმიკულია. ტონის სიძლიერის თვალსაზრისით, ქართული აქცენტუაციის არსებით მომენტს შეადგენს სიძლიერის ერთგვარობა ანუ თანაბარზომიერება. ამიტომაცაა, რომ ქართული თხრობითი წინადადება შედარებით უფრო მონოტონურ შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთი რამ უცხოა რუსული ენის წარმოთქმისათვის. ქართულ თხრობით წინადადებაში ტონის დამავლობის საერთო ტენდენცია უფრო თანდათანობითია, რუსულსა და ინგლისურში ტონის დამავლობის საერთო ტენდენცია მკვეთრია.

¹ Г. Торсуев. Предварительное сообщение об экспериментальном сравнении английской и русской интонаций: Экспериментальная фонетика и психология в обучении иностранному языку, под редакцией проф. В. А. Артемова, 1940 г., стр. 173—199.




28



29



33



38

ქართული თხრობითი წინადადების მელოდიკის მრუდების ანალიზით ქართული აქცენტუაციის კიდევ ერთი მეტად საყურადღებო თავისებურება გამოიჩინა:

გ. ტორსუევის დასკვნით, რუსულსა და ინგლისურში დამავალი ტონის მოძრაობის შემთხვევაში პირველი მახვილიანი მარცვალ წარმოითქმის აღმავალი ტონით და წინადადებაში იგი ჩვეულებრივ ყველაზე უფრო მაღალია მახვილიან მარცვლებს შორის. შუაში მოქცეული მარცვლები კი წარმოითქმის უფრო დაბალი ტონით, ვიდრე პირველი მახვილიანი მარცვალი. ქართულში კი ეს ასე არ არის. პირველი მახვილიანი მარცვალი უფრო დაბალი ტონით წარმოითქმის, ვიდრე მომდევნო უმახვილო მარცვალი. პირველ მახვილიან მარცვალს თან ახლავს ტონის მოძრაობის გარკვეული მალლობი. ეს მალლობი ტონურობის შედეგია და ქართული წარმოითქმის არსებით ნაწილს შეადგენს. ამ საყურადღებო მომენტს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. ზელმერმა მიაქცია ყურადღება ქართული მახვილის ექსპერიმენტულ გამოკვლევაში.

ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებით ნათლად დადასტურდა ის აზრი, რომ ცალკე სიტყვაში ტონის მოძრაობა განსხვავებულია ტონის იმ მოძრაობისაგან, რომელიც იმავე სიტყვას ფრაზაში აქვს. ეს იმიტომ, რომ ქართულ ფრაზაში ცალკეული სიტყვა ფონეტიკურად არ გამოიყოფა.

დ ა ხ კ ვ ნ ე ბ ი

აქცენტუაციის მაორგანიზებელი და საკომუნიკაციო ფუნქციის ექსპერიმენტულმა კვლევამ ქართული ენის ორმარცვლიან, სამმარცვლიან, ოთხმარცვლიან, ხუთმარცვლიან და ექვსმარცვლიან სიტყვებში, თხრობითს, კითხვითსა და ძახილის წინადადებებში შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა:

1. ორმარცვლიანი სიტყვების მელოდიკის მრუდებით თვალსაჩინოა ის, რომ მახვილის მატარებელია ბოლოდან მეორე მარცვალი. მასთან მეორე მარცვალზე ტონის ამალებას თან ახლავს ტონის სათანადო გაძლიერებაც. პირველ მარცვალზე ტონი დამავალია.

2. სამმარცვლიან სიტყვებში მახვილის მატარებელია ბოლოდან მესამე მარცვალი. მეორე და პირველ მარცვლებზე ტონი თანდათანობით ეშვება. სიძლიერის მომენტი მესამე და მეორე მარცვლებს ერთნაირი აქვთ, განსხვავება მხოლოდ ტონის სიმაღლეშია.

3. ოთხმარცვლიან სიტყვებში მახვილის მატარებელია ბოლოდან მესამე მარცვალი, ოღონდ მესამე მარცვალს ტონის მოძრაობის საყრდენად აქვს მეოთხე მარცვალი, ტონის მოძრაობა მეოთხე მარცვალსაც მოიცავს. ამიტომ მახვილიან მარცვლებად უნდა მივიჩნიოთ მეოთხე და მესამე მარცვლები. მეორე და პირველ მარცვლებზე ტონი თანდათანობით ეშვება. აქაც ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მეოთხე, მესამე და მეორე მარცვლები ერთნაირი სიძლიერით წარმოითქმის, განსხვავება ტონის სიმაღლეშია.

4. ხუთმარცვლიან სიტყვებში მეხუთე, მეოთხე და მესამე მარცვლები თითქმის ერთნაირი სიძლიერით წარმოითქმის. ოდნავი მოდულაცია შეინიშნება ტონის აწევაში. მესამე მარცვლიდან ტონი თანდათანობით ეშვება მეორე და პირველ მარცვლებზე.

5. ექვსმარცვლიან სიტყვებში ტონის მოძრაობა ძალიან მიაგავს ხუთ-მარცვლიანი სიტყვების ტონის მოძრაობას. თითქმის ერთნაირი. სიძლიერითა და სიმალლით წარმოითქმიან მეექვსე, მეხუთე, მეოთხე და მესამე მარცვლები. მეორე და პირველ მარცვლებზე ტონი თანდათანობით დამავალია.

6. ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით ნათლად გამოიჩვენა, რომ ქართული აქცენტუაციის არსებით მომენტს შეადგენს სიძლიერის ერთგვარობა გარდა პირველი და მეორე მარცვლებისა (მრავალმარცვლიან სიტყვებში) და ტონის სიმალლის მსუბუქი მოდულაცია.

7. მრავალმარცვლიან სიტყვათა ექსპერიმენტული მონაცემების წინადადებათა ექსპერიმენტულ მონაცემებთან შედარებით გამოიჩვენა, რომ წინადადებაში, ფრაზაში ცალკეული სიტყვები ფონეტიკურად არ გამოიყოფა. მრავალმარცვლიან სიტყვებში ტონის მოძრაობა ძალიან მიაგავს ფრაზაში ტონის მოძრაობას. ისე როგორც მრავალმარცვლიან სიტყვებში, ფრაზებშიც მარცვლები წარმოითქმიან ერთნაირი სიძლიერითა და ტონის სიმალლის მსუბუქი მოდულაციით; ტონის მოძრაობის გარდატეხა იწყება მესამე მარცვლიდან და თანდათანობით ეშვება მეორე და პირველ მარცვლებზე. მახვილიანსა და უმახვილო მარცვლებს შორის დიფერენციაცია რიტმიკულია. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ქართულში საქმე გვაქვს „რიტმიკული ჯგუფის“ მახვილთან.

8. ქართულში დამავალი ტონით წარმოითქმიან თხრობითი, ძახილისა და ისეთი კითხვითი წინადადებანი, რომლებშიც მონაწილეობენ კითხვითი სიტყვები; აღწავალი ტონით წარმოითქმიან ისეთი კითხვითი წინადადებანი, რომლებშიც არ მონაწილეობენ კითხვითი სიტყვები, და აგრეთვე კითხვითი ძახილის წინადადებანი.

9. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მრავალმარცვლიან სიტყვებში მახვილი შესაძლებელია დაისვას ბოლოდან მესამე ან მეორე მარცვალზე. თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ქართულ სალიტერატურო წარმოთქმაში ორგვარი აქცენტუაციის — სალიტერატუროსა და დიალექტურის — ბრძოლის პროცესი ჯერ კიდევ საბოლოოდ დამთავრებული არ არის.

ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ძირითადი თავისებურებანი *

1. შესავალი

ლიტერატურული სწორი წარმოთქმის პრობლემას არასდროს არ ჰქონია ისეთი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც დღეს აქვს მას. ლიტერატურული ზეპირმეტყველების ფართო მასებში გავრცელებისათვის არასდროს არ ყოფილა ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც ამჟამად არის. სოფლად და ქალაქად ლიტერატურული ენით ხორციელდება აგიტაცია-პროპაგანდა, ლექციები და მოხსენებანი. ლიტერატურული ენა არის სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სკოლის, თეატრის, ხმოვანი კინოს, რადიოს ენა.

სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენ ვისმენთ ლიტერატურულ ენას, რომელიც წარმოთქმის მხრივ უნდა იყოს სრულყოფილად დამუშავებული და უნაკლო.

ქართული ლიტერატურული ენა იყო და არის ერთადერთი საერთო და ერთიანი ლიტერატურული ენა ყველა ქართველური და, ნაწილობრივ, არაქართველური ტომებისათვის. დღეს ქართული ლიტერატურული წარმოთქმა საერთო, ერთიანი და სავალდებულოა ყველა მათთვის, ვინც ბავშვობიდან შეიტვისა ქართული, მეგრული, სვანური, აფხაზური და კიდევ სხვა ენების დიალექტების წარმოთქმის თავისებურებანი. ამიტომ ლიტერატურულ წარმოთქმაზე დიალექტური წარმოთქმის გავლენის გარკვეული კვალიც შეიმჩნევა. ეს გავლენა ჩანს როგორც ცალკეულ ბგერათა წარმოთქმაში, ისე ბგერათა შეერთების, შერთვისა და შერწყმის მოვლენებში, აგრეთვე აქცენტუაციასა და ინტონაციასა.

ჩვენს სოციალისტურ წყობილებაში ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებულობის ნიადაგის ლიკვიდაცია განსაკუთრებით უწყობს ხელს ლიტერატურული ენის ადგილობრივ დიალექტებზე ინტენსიურად გავლენას. ქალაქისა და სოფლის ყოფაცხოვრებითი პირობების შეთანასწორება ხელს შეუწყობს ამავე დროს ქართული ადგილობრივი დიალექტების თავისთავადობის თანდათანობით დაკარგვას და მათ გაქრობას. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც ლიტერატურულ ენაზე ქართული დიალექტების გავლენა შეინიშნება. ეს გავლენა იმით აიხსნება, რომ ლიტერატურის, მეცნიერებისა და საერთოდ კულტურის განვითარებაში დღეს მშრომელთა ფართო მასებიდან გამოსული პირები იღებენ აქტიურ მონაწილეობას. ამიტომ ერთიანი და საერთო მართლწარმოთქმის თეორიის დამუშავება-განვითარება ამჟამად აქტუალურსა და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

* წავითხუთია მოხსენებად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე 1952 წ. 20/XII.

აკად. ლ. შჩერბა სამართლიანად აღნიშნავდა, რომ უმართებულო წარმოთქმა არა მარტო კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს, არამედ ზოგჯერ მეტყველებას ძნელად გასაგებს ან გაუგებარს ხდისო. ის, ვინც საწარმოთქმო მოქმედების მკაფიოობას უურადლებას არ აქცევს, მისი წარმოთქმის გაგონებითი ეფექტიც არადამაკმაყოფილებელია. თუ ამას ზედ ერთვის მეტყველების აჩქარებული ტემპიც, მაშინ ასეთი მეტყველება მეტად ძნელი მოსასმენი და აღსაქმელია.

როგორც ცნობილია, არსებობს წარმოთქმის სხვადასხვა სტილი, ეს იმის მიხედვით, თუ ვის მიემართავთ, რა პირობებში ვლაპარაკობთ, ან რა მიზნით. მაგ., სხვადასხვა სტილით წარმოვთქვამთ, როცა ბავშვს მიემართავთ ან ჩვენთვის მახლობელ პირს, ერთ კაცს ველაპარაკებით, თუ დიდ აუდიტორიასთან გვაქვს საქმე. აკად. ლ. შჩერბა აღნიშნავს, რომ სხვადასხვა სტილი ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო ლექსიკურად და სინტაქსურად, არამედ ფონეტიკურადაც¹.

აკად. ლ. შჩერბა წარმოთქმის ორგვარ სტილს ასხვავებს: ჩვეულებრივ სალაპარაკოსა და სრულს ანუ როგორც ავტორი უწოდებს სიტყვის „იდეალურ ფონეტიკურ შედგენილობას“. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ წარმოთქმას, როდესაც არტიკულაცია განსაკუთრებით მკაფიოა, სიტყვის ყოველი მარცვალი წარმოითქმის ზუსტად და გამოკვეთილად. აკად. ლ. შჩერბა წერს, რომ სიტყვის იდეალური ფონეტიკური შედგენილობა იქ არის, სადაც იგი არ უპირისპირდება მშობლიური ენის ფონეტიკას².

ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმას ძირითადად სრული სტილი ახასიათებს იმის გამო, რომ ორთოპეია ნაკლებ არის დაშორებული ორთოგრაფიას. ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას რუსულისა და სხვა ენების მიმართ. ქართულში ჩვეულებრივი სალაპარაკო სტილის ნიმუშებია, მაგ., ბძენი, ბძანება, ნაცვლად სრული სტილისა: ბრძენი, ბრძანება; (შდრ. გაზ(რ)დილი, ახალგაზ(რ)და, სადღეგ(რ)ძელო, შეებ(რ)ძოლა და სხვ.); რედუსირებულად წარმოითქმის: გვერ(დ)წითელი ნაცვლად გვერდწითელისა; ცოტა უკ(ლ)და: ძალ(ლ)ს „ძალს დაუძახე“ ძალ(ლ)ყურძენა, ნაცვლად: ძალლს. ძალლყურძენა; შდრ. სახს (სახში), კაი (კარგი), ძაან (ძალიან), ჯამთელი (ჯანმრთელი); ვარი, საშვალო, შვაგული, ნაცვლად სრული სტილით წარმოთქმულისა: უარი, საშვალო, შუაგული. ქართული სალიტერატურო ნორმების მიხედვით უნდა იწერებოდეს და წარმოითქმოდეს: ვუთხარი, ვულკანი, გავოცდი, შევეუდექი, თავური და სხვ. მისთანები; შდრ. ჩვეულებრივი სალაპარაკო სტილით წარმოთქმული: (ვ)უთხარი (ვ)ულკანი, გა(ვ)ოცდი, შე(ვ)უდექი, თა(ვ)ური და სხვ.

ქართული ლიტერატურული წარმოთქმის საკითხებს სხვადასხვა დროს ბევრი ავტორი შეხებია და საყურადღებო მოსაზრებანი გამოუთქვამთ. ამ საკითხებს შეეხება სილ. ხუნდაძის, პროფ. გ. ახვლედიანის, პროფ. ა. შანიძის, პროფ. არნ. ჩიქობავას, პროფ. ე. თოფურაის, ს. გორგაძისა და სხვ. ავტორთა

¹ Л. В. Щербя, Фонетика французского языка, 1948, გვ. 19.

² Л. В. Щербя, О разных стилях произношения и об идеальном фонетическом составе слова: Записки Нефилологического общества при СПб. ун-к., VIII, 1915, გვ. 344.

შრომები. პროფ. გ. ახვლედიანის შრომებში: „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“ (1938 წ.), „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949 წ.) და სხვა სპეციალურ წერილებში ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ბევრი საკითხია დასმული და მეცნიერულად გადაწყვეტილი. პროფ. ა. შანიძე ქართული ლიტერატურული წარმოთქმის საკითხებს ეხება თავის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ (1953 წ.) და „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920 წ.).

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე: „სალიტერატურო ქართულის ნორმები“ I; ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1947 წ.), „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (I, II). პირველ ტომს დართული აქვს პროფ. არნ. ჩიქობავას ვრცელი „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, სადაც ქართული ლიტერატურული წარმოთქმის საკითხებზე სათანადოდ არის გამახვილებული ყურადღება.

მიუხედავად არსებული მდიდარი ლიტერატურისა, ქართული ლიტერატურული წარმოთქმის თეორიული და პრაქტიკული საკითხები ჯერ კიდევ სათანადოდ დამუშავებული არ არის და სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში „ორთოეპიის“ შესატყვისად იხმარება „სწორი წარმოთქმა“ ანუ „მართლწარმოთქმა“. ანტონ პირველი იყენებდა ტერმინს „მართლ-უბნობა“. სილოვან ხუნდაძე კიდევ ხმარობდა ტერმინს „სწორენა“. ს. ხუნდაძის შრომას ასე ჰქვია: „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ (1927 წ.).

როგორც ცნობილია, წარმოთქმის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს, შეადგენს საწარმოთქმო მოქმედება და გაგონებითი ეფექტი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში „წარმოთქმის“ ორგვარი გაგება არსებობს—ვიწრო და ფართო. ვიწრო გაგებით „წარმოთქმა“ გულისხმობს როგორც ცალკეული ბგერების წარმოთქმას, ისე ბგერათა შეერთების, შერთვისა და შერწყმის საშუალებებს, რომლებიც ყოველ ენაში თავისებურია. ფართო გაგებით „წარმოთქმა“ გულისხმობს მოცემული ენის შინაარსის ენობრივი გამომხატველობის ყველა საშუალებებსა და მათი გამოყენების დამახასიათებელ ხერხებს, რომლებსაც ურთიერთგაგებინებისათვის ვიყენებთ. ამ ფართო გაგებით „წარმოთქმა“ გულისხმობს მოცემული ენის დანაწევრებული ბგერების შერთვას, შერთვისა და შერწყმას სიტყვაში და წინადადებაში, მათთვის დამახასიათებელი წარმოთქმის: რიტმიკულობით, მელიდიკური სტრუქტურით (აქცენტუაციითა და ინტონაციით) და ა. შ.

ქვემოთ ჩვენ ტერმინ „წარმოთქმას“ ფართო გაგებით ვიყენებთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ლიტერატურული ენა საერთო და ერთიანია, ეს არ შეიძლება ითქვას ყოველთვის წარმოთქმის შესახებ. ლიტერატურულ ენათა განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ერთიან ლიტერატურულ ენას შესაძლებელია მსხვილი ცენტრების მიხედვით გამოუმუშავდეს რამდენიმე განსხვავებული წარმოთქმა. ასე, მაგალითად, გარკვეული ხნის განმავლობაში, მოსკოვეური წარმოთქმისაგან განსხვავებით, ლენინგრადში წიგნური „ასობრივი“ წარმოთქმის გავლენით გამოუმუშავდა ოდნავ თავისებური წარმოთქმა. აკად. ლ. შჩერბა ამის შესახებ შემდეგს წერდა: «В самом деле, если литературный язык является при всем своем разнообразии безусловно

ნამ-თო ერთნაირი, თო ჟიოთო ნიკაკ ველჲა სკაზათო პროინაოშიენიე. ჟიო სარავედიანო კონეჩო დამ ფრანუზოკო იჲჲკო თაკ ჯე, თაკ ი დო რუსოკო. ვ ლენინგრადე, თაპრიმერ, თოვრათ ნემჲკი, დეფკი, ა ვ მოსკოვე თოვრათ (თიი თო კრაიშეი მერე თოვრათი) ნემჲკი, დეფკი, თიი თოვრათ კუპალ-სა, ჯესაღა, ა დრუგე—კუნალსა, ჯესაღა; თიი თოვრათ ვოჲჲკი, დრუგე — ვოჲჲკი, თრეთი — ვოჲჲკი; თიი თოვრათ კირპიჩნიი, დრუგე — კირპიჩნიი, თიი თოვრათ თაშკი, დრუგე—თაშკი ი. ჲ.¹

რაც შეეხება ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმას, მას დღეს ასეთი განსხვავებული ცენტრები არა აქვს, სამაგიეროდ, ლიტერატურული წარმოთქმიდან გადახვევა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკე მშობლიური დიალექტის ძლიერ გავლენას განიცდის და არ არის სათანადოდ დაუფლებული ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ძირითად წესებს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ისტორიულად რამდენიმე ლიტერატურული ცენტრის არსებობამ გარკვეული კვალი დაამჩნია ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ნორმების შექმნასა და განვითარებას². ეს საკითხი არაა შესწავლილი და იგი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. შესაძლებელია, ძველ ქართულში დადასტურებული ერთი და იმავე სიტყვის დაწერილობისა და წარმოთქმის ვარიანტების არსებობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს.

ცნობილია ისიც, რომ წარმოთქმა ერთ ადგილზე კი არ დგას, არამედ ევოლუციას განიცდის, ვითარდება თანდათანობით. ამიტომ ამა თუ იმ ენის წარმოთქმის ნორმები ყოველთვის მუშავდება ლიტერატურული ენის განვითარების მთელ მანძილზე. რამდენადაც ლიტერატურული ენა მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონეა, იმდენად მისი წარმოთქმითი მხარე უფრო დამუშავებული და დახვეწილია, ისე როგორც მისი გრამატიკული წყობაც. ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ისტორია ამ მხრივ მეტად საყურადღებო მდიდარ მასალას იძლევა. ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ფონეტიკური ნორმა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი იყო, რამაც ხელი შეუწყო წარმოთქმის ვარიანტების წარმოშობას. როგორც ირკვევა, მათი რიცხვი გაცილებით უფრო მეტი ყოფილა ძველსა და საშუალო ქართულში. ვიდრე ახალ ქართულშია. ამ მხრივ საკმარისია მივუთითოთ საბას ლექსიკონზე, სადაც წარმოთქმის ასეთი ვარიანტებია დადასტურებული: სიტკბო//სიტყბო; ბუვი//ბუ; ბუწკი//ბუწყი „დაბალი ჩირკვი“; განბძარვა//გაბზარვა; გზღარბი//გძღარბი; დასდებელი//დაზდებელი — ესე არს სიტყვა შეწყობილი საქმისა მისთჳს თქმული“; მღღელი//მღვდელი; ქელამუში//ფელამუში//თელამუში; (შდრ. მთქნარება//ფთქნარება); ხლდომა//ხლტომა და სხვ. მისთ.

ი. იზნაიშვილის მიერ შედგენილ „ქართული ოთხთავის სიმფონია—ლექსიკონში“ ასეთი პარალელური ფორმებია დადასტურებული: ადგილდადგილდა//ადგიდადგილდა; დასჯა//დაშჯა; დაშდომა//დაშთომა; დაქშვა//დაქსვა; მასკულავი//ვარსკულავი; მბრწყინვალი//ბრწყინვალი; მქკშა//ქკშა; ლაღად-ყო//ლაღატ-ყო; კურკერ-ი//კურკელ-ი და სხვ. მისთ.

¹ М. В. Ильичев, Фонетика французского языка, 1948 გვ. 15.

² შდრ. ა. შანშიძე, გიორგი მთაწმინდლის ენა, იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით. 1946 წ.

ქართული ლიტერატურული ენის ისტორიის ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ ფონეტიკური სტილი ისტორიულად საგრძნობლად შეცვლილა. საკმარისია დავასახელოთ ხანმეტი და ჰანმეტი ძეგლების არსებობა, რაც ამავე დროს ლიტერატურული წარმოთქმის სხვადასხვა ნორმებზე მიუთითებს.

მაგ.: ხ ა ნ მ ე ტ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი თ :

ხიყო
ხდევ
ხუპათიოსნეს
დახეცეს
ნუ დახწვრ

ჰ ა ე მ ე ტ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი თ :

ჰიყო
ჰდევ
ჰუპათიოსნეს
დაჰეცეს
ნუ დაჰწვრ და სივ.

გარდა ამისა, ძველი ქართული ენის წარმოთქმის ნორმა რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება ახალი ქართული ენის წარმოთქმის ნორმისაგან, ეს ნათლად ჩანს შემდეგი შედარებიდან:

ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი :

ფერჯი
კერჯი
მფრინველი
ტრედი
ბერძული (ენა)
განსქდა // განსთქდა
ვეცხლი
ზროხა
ზახილი
სიზრქე
მარცხლ
წინაწარმეტყველი
იწრაფა
ტფილი
წმიდა
მოსპოლეა
მონყუედა
გზღარბი//გძღარბი
გრგოლი
კიცკ
გრკალი
გრწყილი
გრჯლა
კრკილა („საინოდ სანახავი“)
მქრქალი („ფერნაკლები“)
ქრცხილი
ანგაჰრება
ჰრომი
ჰამბავი
ჰავი
ჰაზრი
ჰარე
ჰასაკი
ჰრული („მცირე რამ ძილი“)
დღედმდე
სიკუდიდმდე

ა ხ ა ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი :

ფეზი
ხერხი (მოხერხება)
ფრინველი
მტრეჯი
ბერძული
გასკდა
ვერცხლი
ძროხა
ძახილი
სისქე
მარცხნივ
წინასწარმეტყველი
ისწრაფა
თბილი
წმინდა
მოსპობა
მონყვეტა
ზღარბი
რგოლი
კვიცი
რკალი
რწყილი
რჯლა
კრიალა
მკრთალი
რცხილა
ანგარება
რომი
ამბავი
ავი
აზრი
არე
ასაკი
რული
დღემდე
სიკვდილამდე

თხოვადმდე
ყვილმდე
ჯოჯოხეთადმდე
სოფლითგან
ქალაქითგან
სახლსახედა
სახლსაშინა
კაცმან
ძმანან

თხოვამდე
ყვილამდე
ჯოჯოხეთამდე
სოფლიდან
ქალაქიდან
სახლზე
სახლში
კაცმა
ძმამ და მისთ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ზოგიერთი ენის წარმოთქმის სიძნელისა და ზოგიერთის კიდევ წარმოთქმის სიადვილის შესახებ. ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ ის, თუ მოცემული ენის წაკითხვის წესები მართლწერის რომელ ძირითად პრინციპს შეეფარდება — ფონეტიკურს, მორფოლოგიურსა თუ ისტორიულს. მაგ., ინგლისური წარმოთქმა ითვლება ძნელ წარმოთქმად, ვინაიდან ინგლისურში დამწერლობას, რომელიც ისტორიულ პრინციპზეა აგებული, საკმაოდ დაშორდა წარმოთქმას. ამ მხრივ ქართულში განსაკუთრებული ვითარება გვაქვს. ქართული ორთოგრაფია იმდენად სრულყოფილია, რომ იგი ძალიან ახლოს დგას ორთოგრაფიასთან. „იტონაციის გარდა, რასაც არა აქვს წერილობითი ნიშანი, — წერს პროფ. გ. ახვლედიანი, — ორთოგრაფიის თითქმის ყველა საკითხი შესაძლებელია გადაწყვედეს ორთოგრაფიის საკითხების გადაწყვეტასთან ერთად“¹.

ქართულში წაკითხვის წესები გაადვილებულია იმის გამო, რომ როგორც იწერება თითქმის ისე წარმოითქმის ან, პირიქით, როგორც წარმოითქმის თითქმის ისე იწერება. ქართული მართლწერისა და მართლწარმოთქმის ასეთი სიახლოვე ქართული ანბანის მაღალი ღირსების მაჩვენებელია და ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმას იგი ტრადიციულად ყოველთვის ახასიათებდა.

ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ქართული ორთოგრაფიისა და ორთოგრაფიის საკითხების დამუშავებასა და განვითარებას უდიდესი ამაგი დასდო, ქართული ანბანის მაღალ ღირსებას ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა. იგი უსლარსაც იმორწმებდა და წერდა: „არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით, უმეტ-ნაკლებობით გამოსათქმელად შესაფერი ასო არა ჰქონდესო. ამიტომაც მართლწერა ქართულისა ისე გაადვილებულია, ისე გამარტივებული, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზე არ მეგულებაო. საეგეობა და სისრულე ანბანისაც ამაშია და სხვა არარაში“.

ის ფაქტი, რომ ქართული ენის ფონეტიკური მხარე შედარებით ნაკლებად შეცვლილა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების პროცესში, ახსნას საჭიროებს. ქართული ენის ფონეტიკურად ნაკლებად ცვლილების მიზეზები ქართულ ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების წარმოთქმის თავისებურებაშია. ჩვენ მათ ცალკ-ცალკე განვიხილავთ.

2. მოკალაზიზმი

ქართულ სალიტერატურო ენას ხუთი ხმოვანი აქვს: ა ე ი ო უ.

ლიტერატურულ წარმოთქმაში ქართულ ხმოვანთა ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ხმოვანი წარმოითქმის სრულად

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1938 წ., გვ. 87.

და გამოკვეთილად, სრული სტილით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ლიტერატურულ წარმოთქმაში ადგილი არა აქვს არც რედუცირებულ ხმოვნებს, არც დიფთონგებსა და დიფთონგოიდებს. როგორც ირკვევა, ძველ ქართულს ამ შემთხვევაში სხვა ფონეტიკური ნორმა ჰქონდა, ვინაიდან მასში დასტურდება დიფთონგები (შდრ. გზაჲ, ქუეყანაჲ. სახეჲ (სახ(ღ), ძეჲ (ძღ), ჴზნოჲ, წყაროჲ. უკუეთუ, ძღუენი და სხვ.).

ამჟამად ქართული ფონეტიკური სტილისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა სრულად და გამოკვეთილად წარმოთქმა შეპირობებულა ქართული თავისებური აქცენტუაციით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ქართულ ხმოვანთა ცალკეულ სიტყვებსა და წინადადებებში წარმოთქმის ექსპერიმენტული მონაცემები.

მაგ.: სიტყვაში „მამა“ ინლაუტისა და აუსლაუტის ა-ს ხანგრძლიობის ექსპერიმენტული მონაცემები ასეთია: ა — 112,5 ს, ა — 125 ს. ხანგრძლიობის მიხედვით ანუ რაოდენობრივი განსხვავება უმნიშვნელოა, რაც ორივე ა-ს მკაფიოდ და გამოკვეთილად წარმოთქმის შედეგია. ოლონდ სიმალლისა და სიძლიერის მომენტების მიხედვით ეს ორი ა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. აქცენტუაციურად ინლაუტის ა ტონის უფრო გაძლიერებითა და მსუბუქად ამალღებით წარმოითქმის, ვიდრე აუსლაუტის ა. ეს იმიტომ, რომ ინლაუტის ა მახვილიანია. აუსლაუტის ა-ს წარმოთქმაში საგრძნობლად შემცირებულია სიძლიერის მომენტი. ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა ოთხმარცვლიანი სიტყვის „გალაენი“-ს ექსპერიმენტული მონაცემები. თავიდან პირველი ა-ს ხანგრძლიობა უდრის 100 ს, მეორე ა-ს ხანგრძლიობა — 75 ს, მესამე ა-ს ხანგრძლიობა — 100 ს, აუსლაუტის ე-ს ხანგრძლიობა უდრის 112,5 ს. ამ მონაცემების მიხედვით პირველი და მესამე ა-ს ხანგრძლიობის მონაცემები სავესებით ემთხვევა ერთმანეთს (100 ს), შედარებით ნაკლები ხანგრძლიობა აქვს მეორე ა-ს (75 ს), მაგრამ სიძლიერისა და სიმალლის მიხედვით სამივე ა თითქმის თანაბარზომიერად წარმოითქმის. რაც ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ერთ-ერთ არსებით მომენტს შეადგენს.

სიტყვაში „აქებელა“ თავიდან პირველი ე-ს ხანგრძლიობა უდრის 100 ს, მეორე ე-ს ხანგრძლიობა — 112,5 ს. განსხვავება უმნიშვნელოა. ორივე ე თითქმის ერთნაირი სიძლიერითა და სიმალლით წარმოითქმის. ამ შემთხვევაშიც ქართული წარმოთქმის კანონზომიერება სწორად არის ასახული.

სიტყვაში „არემარე“ ჴლაუტის ა-ს ხანგრძლიობა უდრის 137,6 ს, ინლაუტის ე-ს ხანგრძლიობა — 100 ს, ინლაუტის ა-ს ხანგრძლიობა — 150 ს, აუსლაუტის ე-ს ხანგრძლიობა უდრის 100 ს. ბოლოდან მესამე ხმოვანი ე აქცენტუაციურად ამალღებული ტონით წარმოითქმის, ვინაიდან იგი მახვილიანი ხმოვანია. ინლაუტისა და აუსლაუტის ე-ს ხანგრძლიობის ექსპერიმენტული მონაცემები ერთნაირია, სამაგიეროდ აუსლაუტის ე-ს როგორც სიძლიერის, ისე სიმალლის მომენტები საგრძნობლად შემცირებულია.

სიტყვაში „სიცილი“ თავიდან პირველი ინლაუტის ი-ს ხანგრძლიობა უდრის 125 ს, მეორე ინლაუტის ე-ს ხანგრძლიობა — 100 ს, აუსლაუტის ე-ს ხანგრძლიობა უდრის 150 ს. სიძლიერისა და სიმალლის მომენტები ინლაუტის ორივე ე-ს თითქმის ერთნაირი აქვს. აუსლაუტის ე-ს სიძლიერისა და სიმალლის მომენტები საგრძნობლად შემცირებულია.

სიტყვაში „სამშობლო“ ინლაუტის ა-ს ხანგრძლიობა უდრის 87,5 σ, ინლაუტის ო-ს ხანგრძლიობა 75 σ, აუსლაუტის ო-ს ხანგრძლიობა უდრის 75 σ. აქცენტუაციურად ა წარმოითქმის ტონის გაძლიერებითა და სათანადოდ მსუბუქი ამალღებით, ვიდრე დანარჩენი მარცვლები. მიუხედავად იმისა, რომ ინლაუტისა და აუსლაუტის ო ერთნაირი ხანგრძლიობის მქონეა, აუსლაუტის ო ხასიათდება სიძლიერის მომენტის საგრძნობი შემცირებით.

სიტყვაში „კოჯორი“ თავიდან პირველი ო-ს ხანგრძლიობა უდრის 100 σ, მეორე ო-ს ხანგრძლიობა—137,5 σ, აუსლაუტის ო-ს ხანგრძლიობა — 87,5 σ. აქცენტუაციურად პირველი და მეორე ო თანაბარზომიერი სიძლიერით წარმოითქმის, ტონის ოდნავი მსუბუქი ამალღება პირველ ო-ს ახასიათებს, ვინაიდან იგი მახვილიანია.

სიტყვაში „უცხო“ ანლაუტის უ-ს ხანგრძლიობა უდრის 150 σ, აუსლაუტის ო-ს ხანგრძლიობა—150 σ. ოლონდ საგრძნობი განსხვავებაა მათ შორის სიძლიერისა და სიმაღლის მიხედვით. ანლაუტის უ, როგორც მახვილიანი ხმოვანი, წარმოითქმის უფრო მეტი სიძლიერითა და ტონის ამალღებით, ვიდრე აუსლაუტის ო.

ქართული ლიტერატურული წარმოთქმის კანონზომიერება კარგად ჩანს ისეთ მრავალმარცვლიან სიტყვებში, როგორიცაა: „მისწავლებელი“, „აღმაშენებელი“ და მისთ.

„მისწავლებელი“-ს ხანგრძლიობის ექსპერიმენტული მონაცემები ასეთია: თავიდან პირველი ა-ს ხანგრძლიობა უდრის 100 σ, მეორე ა-ს ხანგრძლიობა—75 σ, ე-ს ხანგრძლიობა—62,5 σ, ე-ს ხანგრძლიობა 87,5 σ, აუსლაუტის ო-ს ხანგრძლიობა—75 σ. სიძლიერისა და სიმაღლის მიხედვით თითქმის თანაბარზომიერად წარმოითქმის ბოლოდან მესამე და შემდეგი წინა მარცვლები. ტონის სიძლიერისა და სიმაღლის საგრძნობი შემცირება იწყება ბოლოდან მესამე მარცვლიდან მეორე და პირველ მარცვლებზე. ასეთსავე კანონზომიერებას გვიჩვენებს ტონის მოძრაობა სიტყვაში „აღმაშენებელი“: ანლაუტის ა-ს ხანგრძლიობა უდრის 100 σ, მეორე ა-ს ხანგრძლიობა 87,5 σ, ე-ს ხანგრძლიობა—50 σ, ე-ს ხანგრძლიობა—62,5 σ, ე-ს ხანგრძლიობა—50 σ, აუსლაუტის ო-ს ხანგრძლიობა—75 σ. ამ ექვსმარცვლიან სიტყვაში ბოლოდან მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მარცვლები თითქმის თანაბარზომიერი სიძლიერითა და სიმაღლით წარმოითქმის. ტონის მოძრაობის გარდატეხა იწყება ბოლოდან მესამე მარცვლის შემდეგ მეორე და პირველ მარცვლებზე.

ამ ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით ნათლად დასტურდება, რომ ლიტერატურულ წარმოთქმაში ქართული ხმოვნები არსებით რაოდენობრივ ცვლილებას არ განიცდიან. ლიტერატურულ წარმოთქმაში ქართულ ხმოვანთა რაოდენობრივი განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ ჩვეულებრივი მოსმენით მისი დაკერა შეუძლებელია. ქართულ ხმოვნებს სრული სახე და გამოკვეთილობა ახასიათებს არამცთუ ანლაუტსა და ინლაუტში, არამედ აუსლაუტშიც კი, სადაც ხმოვნის სიძლიერისა და სიმაღლის მომენტები საგრძნობლად შემცირებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მახვილიანსა და უმახვილო ხმოვნებს შორის გამოკვეთილობის თვალსაზრისით არ ჩანს არსებითი განსხვავება.

ქართულ ხმოვანთა წარმოთქმის თავისებურებანი კიდევ უფრო ნათელია მათი არტიკულაციური დახასიათებიდან.

ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებით¹ ქართული ა არტიკულაციურად უფრო წინ წარმოებული ხმოვანია, ვიდრე რუსული, ფრანგული და გერმანული ა. ტიპოლოგიურად ქართული ა ო. იესპერსენის მიერ მოხსენიებულ პირველ ტიპს განეკუთვნება², რაც ნათლად დასტურდება რენტგენოგრაფიებით.

ქართული ა რომ უფრო წინა წარმოებისაა არტიკულაციურად, ვიდრე რუსული ა, ეს შენიშნული აქვს ფონეტიკურ-დაკვირვებითი მეთოდის გამოყენებით პროფ. გ. ახვლედიანს.

აკად. ს. ჯანაშიამ ეს საკითხი თავის დროზე სპეციალური კვლევის საგანი გახადა. ის წერდა: „ქართ. ა არის შედარებით ვიწრო ხმოვანი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ ენებთან შედარებით, სადაც ან რამდენიმე სხვადასხვა ა მოიპოვება, ან არადა ერთადერთ ა-ს აქვს უფრო ღია გამოთქმა: როგორც, მაგ., რუსულში“³.

როცა ს. ჯანაშია ქართულ ა-ს ვიწრო ხმოვანად მიიჩნევდა. ჩვენი აზრით, სივიწროვეში ის გულისხმობდა ქართული ა-სათვის დამახასიათებელ წინა არტიკულაციას. ეს რომ ასეა, ს. ჯანაშიას შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს: „რუსულ-ქართული მრავალრიცხოვანი პარალელები ცხადად მოწმობენ, რომ ქართ. ა სწორედ თავისი სივიწროვის გამო ძალიან ხშირად თავის შესატყვისად რუსულში პოვებს არა „ა“-ს, არამედ „ე“-ს და პირუქუ“ (იქვე).

ს. ჯანაშიას თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მოჰყავს ისტორიული წყაროებიდან ამოკრეფილი მრავალი ფაქტი. მათგან დავასახელებთ რამდენიმეს:

ქართულიდან ნასესხები სიტყვები რუსულში:

შავერდა	шеверда
მაჭავარიანი	Мачверянов
ზაგემი	зегемь
შარვაშიძე	Шервашидзе
ათაბაგი	Атабек
ფეშანგი	Пешенга
ოჩამჩირე	Очмчпыр
ბასლათი	Беслетка და სხვ.

ანალოგიური სახის შესატყვისობა აქვს დადასტურებული ს. ბერნშტეინს რუსულის ა-სა და გერმანულის ე-ს შორის. ს. ბერნშტეინის მტკიცებით, იმის გამო, რომ რუსული ა საშუალო ან ზოგჯერ წინა წარმოებისაა და რადგან გერმანულში ანალოგიური ხმოვანი არ მოიაზრება, ამიტომ გერმანულში მას აღიქვამენ როგორც ე-ს⁴.

ყოველგვარი ცდა ქართული ა წარმოითქვას არტიკულაციურად საშუალო ან უკანა წარმოებით გამოიწვევს ლიტერატურული ქართულის ბუნებრივ წარმოთქმის შეცვლას, ასეთი სახეშეცვლილი ა შეინიშნება, როდესაც ქართუ-

¹ იხ. ს. ქლენტი, ქართული ვოკალიზმი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მონაბე. ტ. VIII, № 4, 1947 წ. [ქვე, გვ. 24 — 30 — რედ.]

² O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, Leipzig, 1932, გვ. 162.

³ სალიტერატურო ქართულის ნორმები, I, გვ. 62.

⁴ Сергей Бернштейн, Вопросы обучения произношению. Москва, 1937.

ღის ცუდად მცოდნე სვანი ისეთ ქართულ სიტყვებს წარმოთქვამს, რომლებიც ა ხმოვნის შემცველია. ეს იმიტომ, რომ სვანურში ა ნეიტრალური ტიპის ხმოვანია და მას ზოგჯერ უფრო უკანა წარმოებაც ახასიათებს¹. ჩვენი დაკვირვებით, დაახლოებით ასეთივე წარმოებისა ა ქართული ენის მთის კილოებშიც.

ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში უნდა ვერიდოთ ა-ს იოტირებულ სახით წარმოთქმას, როგორც ამას მეგრულ წარმოთქმაში აქვს ადგილი.

ლიტერატურული ა უნდა იყოს სუფთა და შეურეველი. იგი თავისუფალი უნდა იყოს როგორც ფშვინვიერი, ისე ძლიერი შემართვა-დამართვისაგან. ქართული ლიტერატურული ა, ისე როგორც ყველა ქართული ხმოვანი, ხასიათდება ნელი შემართვა-დამართვით².

ქართველურ ენათა ისტორიული მონაცემებით დასტურდება, რომ ფშვინვიერი შემართვა-დამართვა ქართველურ ენათა ფონეტიკური სტილისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ყოფილა. ამას ადასტურებს, ერთი მხრით, ძველი ქართულის მონაცემები და, მეორე მხრით, ქართველურ ენათა ცოცხალი დიალექტების მონაცემები. ამასთან დაკავშირებით პროფ. გ. ახვლედიანი წერს: „როგორც ჩანს, ქართულში ძველად უფრო გავრცელებული იყო ხმოვნის ფშვინვიერი შემართვა, ვიდრე დღეს: ამას მოწმობს ხმოვნის წინ ჰ-ს თანდათან გადაეარდნა დამწერლობაში“³ (შდრ. პიყო. ჰამბავი, ჰავი, ჰახრი, ჰასაკი და მისთ.).

ქართველური ენებიდან ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის ხელშესახებ მასალებს იძლევა დღეს სვანური ენის ბალსემოური და ბალსქვემოური კილოები და ქანურის ვიწურ-არქაბული კილოცავე⁴.

ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებით ნათლად დადასტურდა, რომ ქართულ ხმოვანთა წარმოებაში გარკვეულ კანონზომიერებას აქვს ადგილი: ქართული ა-ს, როგორც ძირითადი ხმოვნის, წინა წარმოება ამავე დროს განსაზღვრავს წინა რიგის ხმოვნების ე, ი-ს არტიკულაციურად უფრო წინა წარმოებას, ხოლო ქართული ო და უ არტიკულაციურად უფრო ნეიტრალური წარმოების ხმოვნებია, ვიდრე ღრმად უკანაენისმიერნი.

ქართული ე ხმოვანი წარმოთქმის არა ისე დახურულად, როგორც რუსული „ე“ და არც იმდენად ღიად, როგორც ფრანგული „ე“. ლიტერატურულ წარმოთქმაში უნდა ვერიდოთ ე-ს დახურული სახით წარმოთქმას, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში (შდრ. გურ.-იმერ. აერი კაცი და მისთ.), სვანურსა და მეგრულ წარმოთქმაში. ლიტერატურულ წარმოთქმაში შედარებით ყველაზე ნაკლებ ცვლილებას განიცდის ი ხმოვანი, თუ ის წარმოთქმულია სრული სახით. ი-ს გადახრა იოტისაკენ შესაძლებელია ხმოვანთა წინ ან ხმოვანთა შემდგომ, როგორც ამას ზოგიერთი დიალექტის წარმოთქმაში აქვს ადგილი (შდრ. ქართლური: მამაჲ დედაჲ და მისთ.).

¹ ჩვენი: ქართული ვოკალიზმი, გვ. 254.

² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 107.

³ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 160.

⁴ ჩვენი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 122.

აღსანიშნავია, რომ ი-ს წინ ყოველი თანხმოვანი ლიტერატურულ წარმო-
თქმაში მზარია (შდრ. დიდი. თითი, ტიტინი, ლილე, მიმინო
და ა. შ.).

ქართული ა არტიკულაციურად უფრო წინ წამოწეული ხმოვანია, ვიდ-
რე მეგრულში, სვანურში და რუსულში. ამიტომ ქართულ ა-ს ჩვენ ვუწოდებ
ნეიტრალური წარმოების ხმოვანი. ქართული ა-ს წარმოთქმისას ხახის კედ-
ელსა და ენის უკანა ნაწილს შორის საკმაო სიდიდის სარეზონანსო არეა
შექმნილი. ასეთია ა სიტყვებში: ორი, სორი, გოგო, ობოლი და მისთ.

უნდა ვერიდოთ ე. წ. დახურული ანუ დიფთონგიდური ა-ს წარმოთქ-
მას. ამ სახის ა წარმოთქმის ქართულ დიალექტებში და მას ჩვეულებრივ
დახურულობის საფუძველზე უვითარდება ვანი, მაგ.: ვორი, ვორმო, ვოცი
და მისთ.

აკად. ლ. შერბას აღწერილობით ნორმალური რუსული ი დიფთონგო-
იდურია, რომლის შემართვა ყ-სებურია და შემდეგ ეწყობა ორგანოები ი-ს
წარმოსათქმელად¹ (შდრ. რუს. Ойра — ქართ. ვოლა).

რუსული ი ქართულ ა სთან შედარებით ღრმად უკანაენისმიერია. ქარ-
თული ა-ს წარმოთქმისას ბაგეები ოდნავ მომრგვალებული და სუსტად აქტი-
ურია. საერთოდ, ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმას ახასიათებს ბაგეების
ზომიერი აქტიურობა. ლიტერატურულ წარმოთქმაში უნდა ვერიდოთ რო-
გორც ბაგეების უმოკმელობასა და სიზარმაცეს. ასევე ზედმეტად აქტიუ-
რობასაც.

ქართული უ ხმოვნის პროფილები ნათლად ადასტურებენ, რომ იგი, ისე
როგორც ქართული ა, არტიკულაციურად ნეიტრალური წარმოებისაა. ა-სთან
შედარებით უ უფრო ვიწრო ხმოვანია, უ-ს წარმოთქმისას ბაგეები უფრო
მომრგვალებულია და წინაა წამოწეული. ვიდრე ა-ს წარმოთქმისას.

ლიტერატურულ წარმოთქმაში უნდა ვერიდოთ ხმოვნის წინ ანლაუტში
ან ინლაუტში უ-ს ვინისებურად წარმოთქმას, როგორც ამას დიალექტებში
აქვს ადგილი. მაგ.: უნდა წარმოთქვას უარი, უარესი და არა: ვარი,
ვარესი: საშუალო, შუაგული, შუამავალი, შუა და არა: საშვა-
ლო, შვაგული, შვამავალი, შვა და მისთ.

ქართული ლიტერატურული წარმოთქმის აქცენტუაციისა და ინტონა-
ციის შესახებ აქ არაფერს ვამბობთ. ვინაიდან ეს საკითხები განხილული
გვაქვს ნაშრომში: „ქართული ლიტერატურული აქცენტუაციის ძირითადი
საკითხები“, რომელიც იბეჭდება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანოში:
„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. ტ. V.

3. კონსონანტიზმი

რამდენადაც ქართულ ხმოვანთა წარმოთქმა მარტივია, იმდენად უფრო
მეტი სირთულის შემცველია თანხმოვანთა წარმოთქმის ნორმები. ქართულ
თანხმოვანთა სისტემა წარმოთქმის მხრივ მთელი რიგი სპეციფიკურობით
ხასიათდება.

პირველ ყოვლისა განვიხილავთ ქართულ თანხმოვანთა წარმოთქმის სა-
შეულებრივ სისტემას.

¹ Л. В. Шерба, Фонетика франц. яз. стр. 47.

თანხმოვანთა სამეულბერივი სისტემა ქართული წარმოთქმის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას შეადგენს.

ბ	ფ	პ	ჯ	ჩ	კ
ღ	თ	ც	გ	ქ	ც
ძ	ც	წ	—	ჩ	ყ

ამათგან პირველ რიგში შემავალი მელერი ხშული თანხმოვნებია, მეორე რიგში—ყრუ ფშვინიერი ხშულებია და მესამე რიგში—ყრუ მკვეთრი ხშულებია ანუ აბრუბტივები.

ა. მუღერი ხშული თანხმოვნები

ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში, ისე როგორც საერთოდ, მელერობის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. შენიშნულია, რომ ქართულში უფრო ნაკლებია მელერობის ხირისხიანობა, ვიდრე, მაგ., რუსულში.

პროფ. გ. ახვლედიანი ამ საკითხის სპეციალურად კვლევამ შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: „ქართული მელერი ხშულები (აქ გ დ ბ) ნაკლები მელერობისანი არიან, ვიდრე რუსულისა, და აკუსტიკურად უფრო უახლოვდებიან ამ მხრივ რუსულის б т п^1 (შდრ. გუგუნიავა, რომელსაც ენობრივად რუსი ალიქვამს როგორც күкүнава ; ბოდოკია— Потокия და სხვ.).

აღსანიშნავია ერთი ასეთი ფაქტიცი: XVII საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულში თურქ მოგზაურს ევლია ჩელების არაბული ტრანსკრიფციით ჩაუწერია ქართული და მეგრული სატყეები. რაც მთავარია, ქართულისა და მეგრულის მელერი ხშულები მას ალექვამს ყრუ ხშულებად, მაგ., გოგო ე. ჩელების ჩაწერილი აქვს კოკო ფორმით; ბეოლა—ფეოლა; აქფათონი—აქ ბატონი; ჩაღლი—ძაღლი; კადმოფრუნდი—გადმობრუნდი და სხვ.²

ფრანგი ენათმეცნიერი ე. ვანდრიესი ზოგიერთ ენაში მელერობის ხარისხიანობის ნაკლებობას იმით ხსნის, რომ, მისი აზრით, არსებობენ ენები, რომელთაც ახასიათებთ თანხმოვანთა წარმოთქმა სახმო სიმების „ლიაობით“. მაგ., გერმანულს, ხოლო ზოგი ენა თანხმოვნებს წარმოთქვამს სახმო სიმების „დაკეტილი“ მდგომარეობით, მაგ., ფრანგული.

ე. ვანდრიესის აზრით, მთავარი განსხვავება ფრანგულ და გერმანულ მელერ ხშულებს შორის მასშია, რომ გერმანული მელერი ხშულები უფრო ნაკლებ მელერნი არიან, ვიდრე ფრანგული მელერი ხშულები. ეს იმიტომ, რომ გერმანულში მელერი ხშულების წარმოთქმის მომენტში სახმო სიმების ვიბრაცია უფრო გვიან წარმოიშეება, ვიდრე ფრანგულში. მაგ., როდესაც ფრანგს გერმანული „ბა“, „და“, „გა“ ესმის, იგი მას ალიქვამს, როგორც „პა“, „ნა“, „კა“-ს³.

ფ. ენგელსს ამის დამადასტურებელი ერთი დამახასიათებელი მაგალითი მოეპოვება: „მაგალითად, ბერნეს (Berne) შემთხვევა; თავის წერილებში პარი-

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 68.

² С. Джикия, *Georgica-turcica*, I, Евля Челеби о мингрельском и грузинском языках: Советское языкознание, II, 1936, გვ. 109—126.

³ Ж. Вандриес. Язык, გვ. 41.

ზიდან ის ჩიოდა, რომ ფრანგებს თითქოს არ შეუძლიათ ხ და p გაარჩიონ ერთმანეთისგან, რადგანაც დაეინებით ფიქრობდნენ, რომ თითქოს მისი გვარი, რომელსაც ის Perne-დ წარმოთქვამდა, p-ზე იწყებოდეს¹.

პროფ. ვ. ვირმუნსკის მიერ აღწერილი თავისებური მელერი ხშულები (Lenes), რომლებიც ახასიათებს თანამედროვე სამხრულ, შუა და ზემოგერმანულს დიალექტებს, დასტურდება ქართული ენის ბარის კილოებში, განსაკუთრებით დასავლურ კილოებში. ამ მხრივ განსხვავებული ვითარება გვაქვს მთის კილოებში, სადაც მელერობის ხარისხიანობა გაცილებით უფრო მეტი ჩანს, ვიდრე ბარის კილოებშია. ქართული ენის ბარის კილოებში მელერობის ხარისხიანობის ასე საგრძნობლად შემცირებას არ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმას. ეს გავლენა უთუოდ შეიმჩნევა.

ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში მელერი ხშულების სხვადასხვა პოზიციაში (ანლაუტში, ინლაუტში და აუსლაუტში) ექსპერიმენტულმა შესწავლამ და ამ მონაცემების სვანურისა და მეგრულის მელერი ხშულების ექსპერიმენტულ მონაცემებთან შედარებამ ნათლად გვიჩვენა, რომ ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში მელერ ხშულებს ანლაუტში სრული მელერობა არ ახასიათებს, ან თუ ახასიათებს, ძალიან სუსტია. ანლაუტში მოქცეულ მელერ ხშულებს ქართულში სახმო სიმების ვიბრაცია არა თავიდანვე ეწყებათ, არამედ ცოტა მოგვიანებით, ამიტომ ხშირად სრული მელერობის ნაცვლად ვიღებთ ნახევრად მელერობას. დაახლოებით ასეთივე ვითარებაა მეგრულშიც, სვანურში კი ანლაუტის მელერ ხშულებს სრული მელერობა აქვს.

ინლაუტში მელერ ხშულებს ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში სრული მელერობა აქვს, ოღონდ უმეტეს შემთხვევაში მელერობა სუსტი რხევებით ხასიათდება.

რაც შეეხება აბსოლუტურ ბოლოში მოქცეულ მელერ ხშულებს, ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში ეს ყველაზე სუსტი პოზიციაა მელერი ხშულებისათვის. ეს ასე არაა სვანურში, სადაც მელერი ხშულები აბსოლუტურ ბოლოში ინარჩუნებენ მელერობას ან ნაწილობრივ ჰკარგავენ მას².

ქართულ მელერ ხშულთა აბსოლუტურ ბოლოში წარმოთქმის რამდენიმე შემთხვევა უნდა განვიხილოთ.

1. ერთმარცვლიანსა და ზოგ ორმარცვლიან სიტყვებში აბსოლუტურ ბოლოში მელერი ხშულები წარმოთქმაში ძირითადად ინარჩუნებენ მელერობას და ზოგჯერ მხოლოდ ნაწილობრივ თუ ჰკარგავენ მას. მაგ.:

დი დ: გაუმარჯოს დი დ ს ტ ა ლ ი ნ ს! „დიდ“-ში აბსოლუტურ ბოლოში დ არ ყრუვდება (არ წარმოითქმის: დით! შდრ. დიდი).

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Т. XVI, стр. 436.

პროფ. ვ. ვირმუნსკი სხვანაირი გერმანული მელერი ხშულების შესახებ წერს: „В современных средненемецких и южнонемецких диалектах b d g утратили звонкость и являются слабыми глухими (lenes) b d g. Согласно этого типа занимают промежуточное положение между обычными (сильными) глухими (fortes) и звонкими, соединяя отсутствие звонкости, свойственное глухим, с менее интенсивной (слабой) артикуляцией, характерной для звонких. В большинстве современных верхненемецких диалектов звонкие и глухие в целом ряде случаев совпадают в этом промежуточном произношении“ (В. М. Жирмунский и др., История немецкого языка, Л., 1958, стр. 113).

² ჩვენი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 153—156.

ასევე, ჩვენნი აზრით, ამ სახის დ წარმოითქმის სიტყვაში დიად: დიად სამშობლოს! იმავე მიზეზის გამო ამ ორმარცვლიან სიტყვაში აბსოლუტურ ბოლოში დ-ს ნაცვლად არ წარმოითქმის თ: დიათ! (შდრ. დიადი სამშობლო!)

ასევე მგლერობას დ ძირითადად ინარჩუნებს აბსოლუტურ ბოლოში სიტყვაში: ფრიად (შდრ. ფრიადი). აბსოლუტურ ბოლოში ლიტერატურულ წარმოთქმაში გ ჩვეულებრივ არ ყრუვდება შემდეგ სიტყვებში: შემდეგ (შდრ. დიალ. შემდექ), ალაგ-ალაგ, რარიგ, ამხანაგ და სხვ. ასევე ერთმარცვლიან სიტყვებში ლიტერატურულ წარმოთქმაში აბსოლუტური ბოლოს მგლერი ხშული ძირითადად ინარჩუნებს მგლერობას შემდეგ სიტყვებში: სად (შდრ. დიალ. სათ), რად (შდრ. დიალ. რათ), ყრუდ (შდრ. დიალ. ყრუთ), ხედ (შდრ. დიალ. ხეთ), კლდედ (შდრ. დიალ. კლდეთ), ძნად (შდრ. დიალ. ძმათ), დად (შდრ. დიალ. დათ), ცად (ატანილი) (შდრ. ცათ), რიგ, შიგ, ზეგ, ზოგ და მისთ.

2. ლიტერატურულ წარმოთქმაში დ არ ყრუვდება, თუ იგი აბსოლუტურ ბოლოშია და მას ნ, ლ, რ, მ უძღვის უშუალოდ წინ, მაგ.: მანდ, ოლონდ გინდ, ავწმენდ, გაავწმენდ, წავწყმენდ, წაიწყმენდ (სულს), ხმას გავეკმენდ. გვერდ-გვერდ, ადგილდ-ადგილდ // ადგილდ-ადგილდ (ძვ. ქართ.). იერუსალემდ (ძვ. ქართ.) და სხვა.

ზემოთ განხილულ შემთხვევაში მგლერი ხშულები აბსოლუტურ ბოლოში ძლიერ პოზიციამია და ამიტომ ლიტერატურულ წარმოთქმაში ისინი ძირითადად მგლერობას ინარჩუნებენ.

3. არის შემთხვევათა დიდი უმრავლესობა, როდესაც მგლერი ხშულები ლიტერატურულ წარმოთქმაში ძირითადად ჰქარგავენ მგლერობას აბსოლუტურ ბოლოში. ეს აბსოლუტური ბოლოს შედარებით უფრო სუსტი პოზიციამა. მაგ.: დიდად, კარგად. ხშირად, ზოგადად, მეზობლად, მახლობლად, შავად, თეთრად, წითლად და მისთანებში ლიტერატურულ წარმოთქმაში გვეხვით ე. წ. ყრუ mediae. პროფ. გ. ახვლედიანი, რომელმაც ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, წერს: „ის არ არის დ და არც თ: ის არის ბგერა, რომლის ბუნება ამგვარია: წინაენისმიერი, ყრუ, უფშინეო: მოკლედ: წინაენისმიერი ყრუ mediae“¹.

ამ ტიპის თანხმონებები მგლერი ხშულისათვის საკირო არტიკულაციით წარმოითქმინან, ოლონდ უხმოდ, ყრუდ, სახმო სიმების აქტიური მონაწილეობის გარეშე. ყრუ mediae-ს საშუალო ადგილი უქირავს ჩვეულებრივ ყრუ ფშინეიერსა და მგლერ თანხმონებებს შორის. მათ სახმო სიმების ღიაობა და ფშინევა არ ახასიათებს ისეთი, როგორც ყრუ ფშინეიერებს აქვს, ამავე დროს არც მგლერია იგი; ვინაიდან მგლერობის მომენტი გამჭრალაია. ასეთი ყრუ mediae ისმის ზოგჯერ ლიტერატურულად წარმოთქმულ სიტყვებში: წინააღმდეგ (შდრ. დიალ. წინააღმდექ) და მისთ. არის შემთხვევები, როდესაც გ-ს ყრუ mediae-ს თვისებებიც დაუკარგავს და ქ-ს თვისებები შეუძენია. ასეთ შემთხვევებში გარკვევით ისმის ყრუ ფშინეიერი ქ, მაგ.: ადექ (<ადეგ), დადექ (<დადეგ), ვკრეფ (<ვეკრებ) და მისთ². დასავლურ

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 355.

² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 356.

დიალექტებში აბსოლუტურ ბოლოს მეღერ ხშულებს ყრუ mediae-ს თვისებები მთლიანად დაუკარგავთ და ყრუშეშინვიერებად ქცეულან.

ლიტერატურაში საესებით დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ ისტორიულ-მორფოლოგიური ვითარების გათვალისწინებით მიმართულებით ბრუნვაში უნდა იწერებოდეს ღონი და არა თანი¹.

როგორც ცნობილია, თავის დროზე სილ. ხუნდაძემ გარკვეული მოსახრება წამოაყენა იმის შესახებ, მიმართულებით ბრუნვაში ღ ვწეროთ თუ თ. ის წერდა: „ჩემი რწმენით, ყოველი გარემოება იმას ამტკიცებს, რომ ზმნისართებსა და ვნებით ბრუნვაში დაბოლოების ღ-ის ადგილი თ-მა უნდა დაიკიროს, და ეს ასეც უნდა მომხთარიყო, რადგან ქართული ენა, როგორც ყოველი სხვა ენა, გამოთქმით თანდათან მარტივდება, და თ დაბოლოებაში უფრო ადვილი გამოსათქმელია, ვიდრე ღ“².

სილ. ხუნდაძე, გარდა დასახელებული არგუმენტისა, იმითაც ხელმძღვანელობდა, რომ: „უპირატესობა ხალხის გამოთქმას უნდა მიეცეს“.

სილ. ხუნდაძე ხელმძღვანელობდა რა შემდგომი პრინციპით ორთოეპიაში, შეგნებულად უშვებდა შეცდომებს ორთოგრაფიაშიც. აი ერთი ნიმუში ზისი შრომიდან: „ჩემი მოწინააღმდეგენი ხშირათ უსაბუთოთ მეწინააღმდეგებია— და კადნიერება ზოგიერთის მათგანისა იქამდი მიდის, რომ ჩემი, თვალსაჩინოთ დასაბუთებული, თეთრი — შავათ მიაჩნიათ. და თავისი აშკარა შავი — თეთრათ“ (იქვე, გვ. 5).

სავსებით სწორია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ღ-ს დაყრუება განცალკევებულ მოვლენად კი არ არის მიჩნეული, არამედ ამგვარივე ხასიათისაა ბ-ს დაყრუება—ებ და—თბ'იან ზმნებში ან კიდევ გ-ს დაყრუება აბსოლუტურ ბოლოში (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში)³. თუ თ-ს ან ქ-ს დაეწერდით ამ შემთხვევაში ან წარმოთქმამდით, ეს იქნებოდა უპირატესობის მიცემა დიალექტური წარმოთქმისათვის. რასაც სილ. ხუნდაძე მოითხოვდა და რაც ლიტერატურულ წარმოთქმას თავისი განვითარების მაგისტრალურ ხაზს ააკდენდა.

ალსანიშნავია ისიც, რომ დღეს მთის კილოებში აბსოლუტურ ბოლოში მეღერი ხშულების წარმოთქმას განსხვავებული ფონეტიკური ნორმა აქვს, ვიდრე ბარის კილოებში.

ჩვენი დაკვირვებით, ხევსურულსა და მოხეურში აბსოლუტურ ბოლოში მეღერი ხშულები წარმოითქმიან უფრო მეტი მეღერობის ხარისხიანობით, ვიდრე ბარის კილოებსა და ლიტერატურულ წარმოთქმაში.

ბ: „ქუბოზ ვიყავით, ქიშტები მოიდგსო და გარეკეს ის დედაკაცებიო“ (მოხეური).

„თოფებ ვინ დაუგრილა“ (მოხეური).

„იოსებ მაჩურიშვილი“ (შღრ. რუს. II 0 C II II).

ღ: „დიდ მთასაც შავად დავხურავთ, მზემ არ დაგვიკრას მცისამა“ (მოხეური).

¹ სალიტერატურო ქართულის ნორმები. I, გვ. 12.

² სილ. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, 1927 წ. გვ. 9.

³ სალიტერატურო ქართულის ნორმები. I, გვ. 11.

...თეთრი უყორდა ჩიქილა (თავსაფარი) შავად, დაუწყებს ლებვასაო* (მოხეური).

დ: „ჯიჯვები ქალებს ჩავაბარეთ, ჩვენ დად ნაფიცებსა“.

„მივედით ჩვენი დად ნაფიცებისას“ (მოხეური).

...მე თაოდ“ (ხევსურული).

...ჯიჯვო, მშვიდობით წამიხვედ“ (ხევსურული).

...აქ პური ძაან ნაკლებად მოდის“ (ხევსურული).

...შახვდ მაჯვევ“ (ხევსურული).

...ერთ ჭვესურ მავიდ სტუმრად ჯუთაჩი“ (ხევს.).

...ავად იყო“ (მოხეური).

...დაჯედ, გიორგი გვიამბე“ (მთიულ.).

...შინ მოვედ ჩემის ფეჯითა“ (მოხეური).

...რა გინდ? (ხევს.): ...რა ქუდ უნდოდ ჩემთან“ (ბ. გაბუური, 128, 11).

...შინ ხარაევ? კარშია გამაედ!“ (იქვე, 128, 18).

გ: ...გაიგ!“ (=გაიგე), (ხევსურული).

...დადეგ“ (მოხეური).

...მიდეგ-მოდეგ“ (მოხეური) და სხვ.

მთის კილოებში აბსოლუტურ ბოლოში მგლერ ხშულთა ასეთი მგლერობის ხარისხიანობა აიხსნება იმით, რომ მთის კილოებში მგლერ ხშულთათვის დამახასიათებელია მაგარი შემართვა და დამართვა. ამგვარი შემართვა-დამართვა ახასიათებს დღეს სვანურის მგლერ ხშულებსაც¹.

გარდა ამისა, ირკვევა, რომ წარმოთქმაში მგლერობის ხარისხიანობა ძველ ქართულში უფრო მეტი იყო, ვიდრე ახალ ქართულშია. ამას ადასტურებენ ძველი ქართულის მონაცემები:

ძველი ქართული:

განცვბრება, განცვბრდა
ნაბერწყალი
ჯლაბუა, ჩხაბუა
ტყებნა
ბორდღვა, ბორტყვა
ლოდბარი
ნაწრედი
წყვდა//წყუდა
გალატობი
გურკა//კურკა
გურტი
ჯვრიტინა
ჯმპკა

ახალი ქართული:

განციფრება, განციფრდა
ნაპერწყალი
ჩხაპუა
ტყენა
ფორთხვა
ლოტბარი
ნაწრეტი
წყვეტა
კალატობი
კურკა
კვირტი
კვრიტინა
კეპკა და სხვ.

იმის გამო, რომ მგლერთა წარმოთქმის ასეთი ნორმა აქონდა ძველ ქართულს, უცხო ენებიდან მასში შემოსულ სიტყვებში ყრუ ბევრ შემთხვევაში მგლერი სახითაა წარმოდგენილი, მაგ.:

ძვ. ქართ. ბუნაგი „ნადირთა ან თევზთ სადგური ბუდე“ (ჩუბ.) < სომხ. ბუნაკ.

¹ ჩვენი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 199.

ძვ. ქართ. გუმბათი „კამარა მალალი“ (საბა) < არაბ. *gumbha*, სპ. *kuusad*, თურქ. *kubbe*, ასირ. *qubba*ჲ.

ძვ. ქართ. კუშტაბანი „ყელისა და გულის ღილი“ (საბა) < სომხ. <კუშტაბან-აკ¹.

ძვ. ქართ. ებისტოლე „მინაწერი“ (საბა) < ბერძ. *ἐπιστολή* (იქვე).

ძვ. ქართ. კაბარკი „ისართ ქარქაში“ (საბა) < სომხ. *კაპარკ-ქ* (იქვე).

ძვ. ქართ. ზადიკი „გამოხსნა, გინა განთავისუფლება“ (საბა) < სომხ. ზატიკ (იქვე).

ძვ. ქართ. ხვადაგი//ხვასტაგი „საქონელი. და საყოლელო“ (საბა) < ფეაღ. *ხვასტაკ* (იქვე).

ძვ. ქართ. ლაგანი „დიდი თეფში“ (საბა) < სომხ. *ლაკან* (იქვე) და სხვ.

ამ მაგალითების მიხედვითაც ნათლად ირკვევა, რომ ძველი ქართულის მედერ ხშულებში მედერობის ხარისხიანობა უფრო მეტი იყო, ვიდრე ახალი ქართულის ლიტერატურულ წარმოთქმას აქვს. არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ახალ ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში მედერობის შემცირების ტენდენციას. ეს ტენდენცია ძველი ქართულის ნორმისაგან განსხვავებული ტენდენციაა.

ბ. ყრუ ხშული ფშვინვიერები

სამეულის მეორე რიგის თანხმოვნები (ფ თ ც კ ქ) ყრუ ფშვინვიერებია. მათი წარმოთქმის ფიზიოლოგიური თავისებურება მდგომარეობს სახმო სიმების ლიონაში და დამართვისას ასპირაციის განსაკუთრებით ენერგიულობაში. მათ წარმოთქმისას „ზესადგამ მილში ხშვის ან ნაპარალის მოშლის შემდეგ თან მისდევს (უმოკლესი გზით) დამართვისას სახმო სიმებში წარმოქმნილი ჩქამი (ფშვინვა ანუ ასპირაცია)“².

თუ სონორობის თვალსაზრისით განვიხილავთ, რამდენადაც უფრო მეტი ენერგიული ასპირაციითაა წარმოთქმული ყრუ თანხმოვანი, იმდენად იგი უფრო მეტი სონორობის მქონეა, მაგ.: ფ უფრო სონორია, ვიდრე ბ; თ უფრო სონორია ტ-ზე, ც—წ-ზე, ჩ—ჭ-ზე, ქ—კ-ზე და ა. შ.³.

წარმოთქმის თვალსაზრისით ყრუ ფშვინვიერები უფრო მეტი დაჰიმულობითა და არტიკულაციური ინტენსიურობით წარმოითქმიან, ვიდრე მედერი ხშულები. ეს იმით აიხსნება, რომ მედერი ხშულების წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომდინარე ჰაერნაკადი ჯერ დაკეტილ სახმო სიმებში გადამუშავდება და შემდეგ გახსნის ზესადგამ მილში შექმნილ დაბრკოლებას (დაკეტილობას).

ყრუ ხშულ ფშვინვიერთა წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომდინარე ძლიერ ჰაერნაკადს მხოლოდ ერთი ხშვის გადალახვა უხდება, ამიტომ საწარმოთქმო ორგანოებს სჭირდება უფრო მეტი ინტენსიური დაჰიმულობა, ვიდრე მედერ ხშულთა წარმოთქმისას (შღრ. ბ-ფ, დ-თ, ძ-ც, ჯ-ჩ, გ-ქ).

¹ G. Doeters, *Caucasica*, 3, გვ. 80.

² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 106.

³ იქვე.

ყრუ ხმულ ფშვინვიერთათვის დამახასიათებელი ძლიერი დამართვა წარმოქმის ენერგიულობასა და ინტენსიურობაშია.

გ. მკვეთრები ანუ აბრუბტივები

სამეულთა მესამე რიგის თანხმონენები (პ ტ წ ჰ ქ ყ) იწოდებიან მკვეთრ თანხმონენებად ანუ აბრუბტივებად. ამ თანხმონენებს სპეციფიკურ ქართულ თანხმონენებსაც უწოდებენ, ვინაიდან ისინი იწარმოებიან ყელხმულობით ანუ უსუნთქველად. როგორც ცნობილია, ხმულ თანხმონენთა ამ სახით წარმოება უცხოა რუსულისათვის¹.

მკვეთრ თანხმონენთა წარმოქმის სპეციფიკურ თავისებურებას შეადგენს ხშვისა და სკლომის ენერგიულობა ძლიერი დამართვით. პროფ. გ. ახვლედიანის დაკვირვებით, ამ თანხმონენთა "დამართვისას გვესმის მანამდე დახშული სახმო სიმების გააბობის ტკაცანისებრი ჩქამი"².

მკვეთრ თანხმონენთა დამართვისათვის საჭირო მანამდე დახშული სახმო სიმების გააბობის შედეგად წარმოშობილი მოძრაობის სურათი და ძლიერი დამართვა კარგად ჩანს ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებიდან, რომლებიც მიღებულია გრაფიკული მეთოდით. ასე, მაგალითად, ტ, წ და ჰ-ს წარმოქმის კანონზომიერება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოქმის მომენტში ნულ ხაზიდან ავარდება რა ჩამწერი კალამი პირში მყოფი ჰაერნაკადის ტალღით. კალამი მოხაზავს გარკვეული მალლობის მქონე მრუდს და ამის შემდეგ ეშვება იგი ნულ ხაზს ქვევით. წარმოქმის დამთავრების შემდეგ ჩამწერი კალამი ისევ ნულ ხაზს მიჰყვება. ჩამწერი კალამის ნულს ხაზს ქვევით ჩამოვარდნა ტ, წ, ჰ-ს წარმოქმისას ძლიერი დამართვის შედეგია³.

ეს კანონზომიერება მეორდება პ ყ ყ მკვეთრთა წარმოქმის დროსაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჰაერნაკადის ტალღა მათი წარმოქმისას უფრო შემცირებულია, ვიდრე ტ, წ, ჰ-ს წარმოქმისას. სონორობაც პ ყ ყ-ს გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე ტ, წ, ჰ-ს.

უფრო დაწვრილებით უნდა შეეჩერდეთ ყ-ს წარმოქმასზე. ქართული ყ-შეიძლება ითქვას, საფუძვლიანად არის შესწავლილი როგორც უშუალო დაკვირვებით. ისე ექსპერიმენტულად — ფარინგოსკოპიული, პალატოგრაფიული და რენტგენოგრაფიული მეთოდებით.

გამორკვეულია, რომ ყ ფარინგალური ბგერაა. პროფ. ა. ჩარგეიშვილის გამოკვლევით, ყ ბგერის წარმოქმმა მოითხოვს ენის ძირისა და ხახის კედლების აქტიურ შემკუმშველ მოძრაობას⁴. იქვე აღნიშნულია, რომ ყ არ არის წმინდა მეყსეული⁵.

ჩვენი გამოკვლევით, ყ სვანურში რადიკალურად ფარინგალური ბგერაა, ისე როგორც ე⁶. აგრეთვე რადიკალურად ფარინგალური ყ მოვისმინეთ ჩვენ

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 361—373.

² იქვე, გვ. 106.

³ ჩვენი: ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემებით: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 2, 1945, გვ. 169—171 [იქვე, გვ. 11—17—რედ.].

⁴ არჩ. ჩარგეიშვილი, ქართული თანხმონენების „ყ“ და „ჟ“ ბიომექანიკის საკითხი-სათვის: საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 8, 1946 წ., გვ. 540.

⁵ იქვე, გვ. 539.

⁶ ჩვენი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 36—37.

მოხვევთა წარმოთქმაში. მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებში: ყანბეგი, ყინვარი, ყანწი და მისთანებში მკაფიოდ ისმის სვანურისებური ყ, რომელიც ადგილის წარმოებისა და წარმოთქმის ენერგიულობით განსხვავდება ლიტერატურულად წარმოთქმული ყ-საგან.

ჩვენი დაკვირვებით, ლიტერატურულად წარმოთქმული ყ არტიკულაციურად უფრო წინ არის წარმოებული: ვიდრე სვანურისა და მოხეურის ფარინგალური ყ. ლიტერატურული ყ უფრო უველარულია, ვიდრე ფარინგალური. დღეს ყ-ს წარმოთქმის ასეთი ტენდენცია შეპირობებულია ორი გარემოებით: ერთი იმით, რომ ლიტერატურულ წარმოთქმაში ფარინგალიზაციის შესუსტება და ნაწილობრივ მოშლა უდავო ფაქტია (ზღრ. ქ-ს დაქარვეა). მეორეც, ლიტერატურულ წარმოთქმაში ამჟამად ტენდენციაა ყ-ს არტიკულაციის შესუსტებისა, რათა ამით მას უფრო მეტი „კეთილხმოვანება“ მიანიჭონ. ამ ტენდენციის შესახებ დოც. მ. მრეველინვილი წერს: „ყელბზელთა შორის არის ერთი ისეთი მძლავრი მკვეთრობის ბეგრა, რომლის წარმოთქმას ჩვენ განზრახ ვასუსტებთ სასცენო მეტყველებისათვის, მისი ზედმეტი ჩქამიერობისა და არაკეთილხმოვანობის გამო; ასეთი არის ბეგრა „ყ“. დანარჩენი ხშულები ემორჩილება მათი წარმოთქმის ძირითად თვისებას — ენერგიულობას, მძლავრობას“¹. ამის გამო მ. მრეველინვილი ასეთ რჩევას იძლევა: ყ-ს „გავარჯიშება უნდა მიმართული იყოს მისი შერბილებისაკენ“².

ჩვენ მიერ აღნიშნული ორგვარი ყ-ს არსებობის ფაქტი საეცებით დასტურდება ქართველურ ენათა ბგერითი სისტემის ისტორიით. სვანურსა და მთის კილოებში ფარინგალური ყ-ს არსებობა შეპირობებულია ფარინგალიზაციის აქტიურობით, ამიტომ მათ კ-ც დაუზიანებელი აქვთ.

ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში ფარინგალიზაცია შესუსტებულია, კ დიდი ხანია ლიტერატურულმა წარმოთქმამ და ბარის კილოებმაც დაქარვეს. ამ ფაქტმა უთუოდ იქონია გავლენა ყ-ს არტიკულაციის შეცვლაზედაც.

დ. სონანტები

სონანტებს ვუწოდებთ ისეთ სონორ თანხმოვნებს, როგორიცაა: რ, ლ, მ, ნ, ვ, რომლებიც თავიანთი ხმიერობით გამოირჩევიან ყველა სხვა თანხმოვნებისაგან. რაგვარობის მიხედვით ისინი ხშულ-ნაპრალოვანებია (ვ-ს გარდა).

რ

რ მთრთოლი ანუ ენის წვერის ვიბრაციით წარმოთქმული ბგერაა. ენის წვერი იწვევს მაღლა, ალვეოლებისაკენ და იმის მიხედვით, თუ ენის წვერის რამდენი ვიბრაცია ანუ დარტყმა წარმოიშვება, რ სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ბუნებისაა.

თუ რ-ს წარმოთქმისას ხმოვანთან, ხმოვნებს შუა, ან სპირანტებთან ენის წვერის ვიბრაცია მოიშლება, მაშინ უთუოდ რ-ს ვოკალიზაცია წარმოიშვება, როგორც ამას ადგილი აქვს ინგლისურსა და ქანურში³.

¹ მ. მრეველინვილი. ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები. 1949, გვ. 55.

² იქვე. გვ. 71.

³ ჩვენი: რ ფონემა მეგრულ-ქანურში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X. № 2, 1949 წ. [აქვე, გვ. 54 — 60 — რედ.].

აკად. ლ. შჩერბას გამოკვლევით ფრანგულ და რუსულ ენებს არ ახასიათებს ძლიერი ვიბრაციის რ. ავტორის ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, რუსულ ნორმალურ p-ს სიტყვის თავში, აგრეთვე ხმოვნის წინ და შემდეგ აქვს ერთი, ორი ვიბრაცია, ხმოვნებს შორის მხოლოდ ერთი ვიბრაცია (მაგ., *шапа*), ხოლო სიტყვის ბოლოს აქვს სამიდან ოთხ ვიბრაციამდე (მაგ., რუს *шап*). აკად. ლ. შჩერბას რუსული p მარცვლების შემდეგ მიაჩნია არა მარტო მრავალვიბრაციან ბგერად, არამედ საკმაოდ ჩქამიერ ბგერადაც, ხოლო აბსოლუტურ ბოლოში იგი ყრუ არისო¹.

ჩვენი დაკვირვებით ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმას არ ახასიათებს მრავალვიბრაციანი რ. ქართულში სიტყვის თავში, მაგ.: რა, რომ, რამდენი, რუ, რიონი და მისთანებში ლიტერატურულ წარმოთქმაში რ-ს აქვს ერთი, იშვიათად ორი ვიბრაცია. სიტყვის შიგნით თანხმოვნის წინ ან შემდეგ შეიძლება ჰქონდეს 1—2 ვიბრაცია, მაგ.: ქერძო, გაყრა, მირბის და სხვ. ასევე ხმოვნებს შუა რ-ს სიტყვაში მხოლოდ ერთი ვიბრაცია აქვს, მაგ.: შარა, ქერა და მისთ. რაც შეეხება რ-ს აბსოლუტურ ბოლოში, ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში იგი ძირითადად ინარჩუნებს თავის სონორობას და არ ყრუვდება, ისე როგორც, მაგ., რუსულში. მაგ.: ვარ, ხარ, მიერ, ძლიერ, მაგიერ, სულიერ და მისთ.

რ ყრუვდება სიტყვებში: მკვეთრ, თეთრ და მისთანებში. ასეთ შემთხვევებში, მართლაც, რუსულის აბსოლუტური ბოლოსებრი დაყრუებული რ ისმის².

ქართულ წარმოთქმაში არის შემთხვევები, როდესაც ორ თანხმოვანს შუა მოქცეული რ წარმოითქმის რედუცირებულად. მაგ. ბრძენი, ბრძანება და მისთ. დიალექტებში ამ პოზიციაში რ არც კი წარმოითქმის.

ლ

ლიტერატურული ლ-ს წარმოთქმისას ენის წვერი ებჯინება რა წინა კბილების ცოტა ზემოთ, პაერნაკადი ენის გვერდებსა და ლოყებს შუა შექმნილ ნაპრალში გამოდის. მიბჯენილი ენის წვერის მოსხლეტის შედეგად ვილებთ ლ-ს, რომლის აქუსტიკური შთაბეჭდილება არც მაგარია და არც რბილი, არამედ საშუალო. ასეთია მაგ., ლ სიტყვებში: ლალი, ლელო, ლილა, ლილვი და მისთ.. საკმარისია ლიტერატურული ლ-ს წარმოთქმისას ენის შუა ნაწილი ოდნავ ზევით წამოიწიოს, რომ ლ მიიღებს შერბილებულ ელფერს. ლიტერატურული წარმოთქმის დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ნიშნებს წარმოადგენს შერბილებული ლ-ს წარმოთქმა, რომლის წინააღმდეგაც განსაკუთრებით არის საჭირო ყურადღების გამახვილება. საკმე ისაა, რომ ლ-ს შერბილება სხვადასხვა ხარისხით წარმოებს. მეტად შერბილებული ლ ახასიათებს მეგრულ წარმოთქმას. მეგრულში ლ იმდენად რბილდება, რომ ზოგჯერ იგი თვისობრივად ახალ ბგერად, იოტად იქცევა, მაგ., მარტვილურ-ბანძურ წარმოთქმაში³.

¹ Л. В. Щербя, Фонетика французского языка, გვ. 71.

² შდრ. Л. В. Щербя, Фонетика франц. яз., გვ. 90.

³ ანდ. ჩიქობავა. კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 19.

ცნობილია, რომ ანალოგიური პროცესის შედეგად ფრანგულ სტანდარტულ წარმოთქმაში 1 საბოლოოდ გადავიდა ქ-ში¹.

ნაწილობრივ შერბილებული ლ წარმოითქმის სვანურში² და ქართულს დასავლურ კილოებში, განსაკუთრებით ქვემო იმერულში.

ლიტერატურული წარმოთქმის ტენდენცია ყოველთვის იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ლ წარმოითქმას არა შერბილებული, არამედ საშუალო. ლიტერატურულ წარმოთქმაში მაგარი ლ არაბუნებრივი იქნებოდა. ისე როგორც პალატალიზებული ლ-ს წარმოთქმაც.

მ ე ნ ი შ ე ნ ა: „სალიტერატურო ქართულის ნორმები“³. I. ვკითხულობთ: „ქართული ლ არც მაგარ რუსულ „л“-ს უდრის და არც რბილს, მაგრამ იგი უფრო ახლო დგას რბილთან. ვიდრე მაგართან. ევროპის ენათაგან ქართული ლ თავის სიღობით ძალიან ახლოს დგას გერმანულთან და იტალიურთან“ (გვ. 56).

რაც შეეხება ლ-ს ამსოლუტურ ბოლოში წარმოთქმას, შეიძლება ითქვას, რომ ის თავის სონორობას ძირითადად ინარჩუნებს, ისე როგორც რ. მაგ.: შივალ, შიხვალ, მოვკალ; სულ, მართალ (საქმეს), მალალ (კაცს) და მისთ.

მ ნ

მ და ნ ცხვირისმიერი სონორებია. მათი წარმოთქმა არაა დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეებთან და ამიტომაც ამ ბგერათა დაზიანებას იშვიათად ვხვდებით ლიტერატურულ წარმოთქმაში. ეს აიხსნება ამ ბგერათა წარმოთქმის ფიზიოლოგიური პირობებით. ასე, მაგალითად, მ ცხვირის-ნიერობასთან ერთად წყვილბაგისმიერიცაა. მ-ს წარმოთქმისას ფ-სა და ბ-საგან განსხვავებული ფიზიოლოგიური პირობები იმაში მდგომარეობს, რომ ფ-ს წარმოთქმისას არტიკულაციური დაბრკოლება იმდენად ენერგიული უნდა იყოს, რომ მთელი ამოსუნთქული ჰაერნაკადის მოწოლა დახშულმა ბაგეებმა უნდა შეაკავოს, ხოლო მქდერი ბ-ს წარმოთქმისას ჰაერნაკადის მოწოლა დახშულ ბაგეებზე გაცილებით ნაკლებია იმის გამო, რომ ჰაერნაკადის გადამუშავება, პირველ ყოვლისა, სახმო სიმებში წარმოებს. ჰაერნაკადის მოწოლაც შემცირებულია, ხოლო მ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომდინარე ჰაერნაკადის დახშულ ბაგეებზე მოწოლა კიდევ უფრო შემცირებულია, ვინაიდან ნაქი ჩამოშვებულია და ნაწილი ჰაერნაკადისა იგზავნება ცხვირის ღრუში, ცხვირის რეზონანსის წარმოსაქმნელად. წარმოთქმის გაადვილების თვალსაზრისით ასეთივე ურთიერთობაა თ, ღ და ნ თანხმოვნებს შორისაც. ამის საფუძველზე ქართულში ხშულ თანხმოვანთა წარმოთქმისას ხშვის გადალახვას აადვილებს ნაწილი ჰაერნაკადის ცხვირის ღრუში გაგზავნა, ამის საფუძველზე ხშულთა წინ ნ (//მ) ვითარდება⁴.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ხშულთა წინ ზოგჯერ ლიტერატურულ წარმოთქმაში მ და ნ განვითარებულა, მაგ.: ძვ. ქართ. ტრედი — ახ. ქართ. მტრედი; ძვ. ქართ. წმიდა//ახ. ქართ. წმინდა; თხევა; მაგრამ: „ტრემლები დაანთხია“⁴: ათავისსუფლებს//

¹ Л. В. Ил е р н а, Фonetика франц. языка, გვ. 70.

² ჩვენი: სვანური ვნის ფონეტიკის ძირითადი საკითხები. გვ. 38.

³ ჩვენი: ნ (//მ) ბგერათა განვითარების საფუძველი მეგრულ-სვანურში ხშულ-მსკდომთა წინ: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. X, № 7, 1949 წ., გვ. 453 [აქვე, გვ. 61 — 68 — რედ.].

ან თავის ფლებს; იორა, მაგრამ: „ხელი გაანძრია“ (შდრ. ქართ. ცინ-ბირი Слнры) და მისთ.

ხშულთა წინ ნ(//მ)-ს განვითარება უფრო შესამჩნევია ქართულ დიალექტებში. ეს მოვლენა კიდევ უფრო მასობრივია მეგრულ-ქანურში და სვანურში¹.

ლიტერატურული წარმოთქმა ყოველთვის უნდა მოერიდოს ამ ტენდენციის გაძლიერებას. მ და ნ უნდა წარმოითქვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მორფოლოგიურად და ფონეტიკურად გამართლებულია. ლიტერატურული წარმოთქმისათვის ასევე უჩვეულოა მ-სა და ნ-ს შერბილებულად წარმოთქმა, ოღონდ როდესაც მ, ნ ხშულთა წინ ვითარდება, მაშინ შეინიშნება ერთგვარი ტენდენცია შერბილებისაკენ.

რაც შეეხება მ-სა და ნ-ს სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში წარმოთქმას. ჩვენი დაკვირვებით, სონორობას ისინი ძირითადად ინარჩუნებენ, მაგ.: რამ, მამამ, ყრუმ, ქარლომ, ხემ, ძალიან, არიან, მოდიან, წაეიდნენ და მისთ. (შდრ. მეგრ. რენ → რე არის).

3

ლიტერატურულ წარმოთქმაში გ კბილბაგისმიერი სონანტია. დიალექტებში უმეტეს შემთხვევაში იგი წყვილბაგისმიერია (ჟ). ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, კბილბაგისმიერი ვ-ს პარალელურად არსებობდა წყვილბაგისმიერი ჟ (შდრ. ბევრი, მაგრამ: სიკუდილი, კუალი და მისთ.).

პროფ. ა. შანიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „საშუალო ქართულში დაწყევ უმარცვლო უნის აღრევა ვინთან, ამიტომ მერმინდელ ძეგლებში შეიძლება ვინს წაეაწყდეთ იქ. სადაც ძველად უმარცვლო უ იჯდა. მაგ.: „სიტყვა“ (ძველად სიტყუა), ან კიდევ პირუკუ: იქ ვნახოთ უ, სადაც ძველად უმარცვლო ვ იყო, მაგ.: „ნახუა“ „იყუნეს“ (ძველად „ნახვა“, „იყვნეს“. და მისთ.“)².

ლიტერატურულ წარმოთქმაში განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ კბილბაგისმიერი ვ-ს ნაცვლად წყვილბაგისმიერი ჟ-ს წარმოთქმას, რასაც დიალექტური წარმოთქმის გავლენის შედეგად აქვს ადგილი ხოლმე.

სონანტი ვ იწერება და მკაფიოა ლიტერატურულ წარმოთქმაში როგორც ანლაუტში ხმოვნებისა და თანხმოვნების წინ, ისე ინლაუტსა და აუსლაუტში, მაგ.: ვარ, ვაკე, ვაფი, ვერ, ვეფხვი, ვინ; ქვა, სხვა, ყვავი, ჩხავანა: მხრივ, გასწვრივ; ირგვლივ, ხანგრძლივ, ჩვეულებრივ და სხვ.

ჩვეულებრივი სალაბარაკო სტილით წარმოთქმაში ვ იჩრდილება ან სულ არ წარმოითქმის უნის წინ სიტყვებში: ვულკანი, თავური, ვუთხარი, ვუნდივარ, შევუდექი, ვუსხედით და სხვ. მისთ., ისე როგორც თ-ს წინ სიტყვებში: ვომობთ, ვავოცდი, ვოქრომკედლომ და მისთ.

ლიტერატურულ წარმოთქმაში ასეთ შემთხვევაშიც ვინი არ უნდა დაიჩრდილოს, არც მისი არტიკულაციური ზედმეტად გაძლიერებაა საჭირო. რაც ხელოვნურ შთაბეჭდილებას ქმნის.

შედარებით ჩვეულებრივზე უფრო მეტი ინტენსიურობა ახასიათებს ვინის არტიკულაციას იმ შემთხვევებში, როდესაც ზმნის ფუძე ვინით არის დაწყებული.

¹ იხ. დასახელებული ჩვენი წერილი.

² ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. 1947 წ.

ლი და მას S, პირის ნიშანი ვინი დაერთვება: ვვარაუდობ, ვვარგვივარ, ვვარ-
დებში, ვვარცხნი, ვვარჯიშობ, ვვარკობ, ვვარხშობ და მისთ.. ასეთ შემთხვე-
ვებში, გარდა არტიკულაციური ინტენსიობისა, ვინის წარმოთქმას ახასიათებს
ოდნავ უფრო მეტი ხანგრძლიობაც.

ასევე უნდა ვერიდოთ ვინის დაჩრდილვას წარმოთქმაში ოვა, ოვე, ოვი
კომპლექსებში, როგორც ამას ქართულურსა და კახურ კილოებში აქვს ადგილი¹.

ლიტერატურულ წარმოთქმაში ზოგჯერ ადგილი აქვს ვინის მეტათეზისს.
ასეთი ფორმები ლიტერატურულ წარმოთქმაში ზოგჯერ უკვე დამკვიდრებული-
ცაა, მაგ., თაყვანისცემა (<ძვ. ქართ. თაყვანისცემა). ეს მოვლენა განსაკუთ-
რებით დაკავშირებულია რ-ლ-მ-ნ სონორ თანხმოვნებთან, შდრ. თვარამეტი <
ათვრამეტი².

ჩვენი დაკვირვებით აბსოლუტურ ბოლოში სონანტი ვ წარმოთქმაში ძი-
რითადად ინარჩუნებს სონორობას, მსგავსად რ, ლ, მ, ნ-სა, მაგ.: მხრივ.
უწყვეტლივ, ხანგრძლივ, გასწვრივ, შეუჩერებლივ (შდრ. ძლივს) და მისთ.

ვ. ძლიერშემართვიანი, ძლიერდამართვიანი და ორმწვერვალიანი თანხმოვნები

როგორც ცნობილია, ბგერათა უშუალო მეზობლობაში ერთმანეთზე
მეტ-ნაკლები გავლენა, კოარტიკულაცია. საფუძველია ბგერათა შემართვა-
დამართვის ურთიერთგავლენისა. კოარტიკულაცია იმ შემთხვევაშია შესაძლებ-
ლი, თუ წინა ბგერის დამართვისა და მომდევნოს შემართვის შეხვედრა და
ამის გამო მათი შერევა³ მოხდება.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ წინა და მომდევნო ბგერების თვისებების
შერევა⁴ ყოველთვის სავალდებულო არ არის და არც აქვს მას ყველა ენაში
ადგილი. აქ საკითხს წყვეტს შემართვა-დამართვის თვისებურება. მაგ., რუ-
სულში ასეთი შერევა აუცილებელია, მაგრამ ფრანგულში ან ქართულში მას
ნაკლები საფუძველი აქვს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისიც, თუ
ბგერა რა პოზიციაშია მოქცეული: ანლაუტშია, ინლაუტში თუ აუსლაუტში.
თუ ანლაუტშია ბგერა, მაშინ მას საკუთარი აქვს შემართვისა და დაყოვნების
მომენტები, დამართვის მომენტი აქვს საზიარო მომდევნო ბგერასთან; თუ
ინლაუტშია ბგერა, მაშინ მას საკუთარი აქვს მხოლოდ დაყოვნების მომენტი.
მეზობელ ბგერებთან საზიარო აქვს შემართვისა და დამართვის მომენტები:
თუ აუსლაუტშია ბგერა, მაშინ საზიარო აქვს შემართვის მომენტი წინა-
მავალ ბგერასთან, ხოლო საკუთარი აქვს დაყოვნებისა და დამართვის მომენ-
ტები. ამგვარად, ბგერას წარმოთქმის სამი მომენტიდან შეიძლება ორი ჰქონ-
დეს: საკუთარი შემართვა-დაყოვნება (ანლაუტში) ან დაყოვნება-დამართვა
(აუსლაუტში), ან კიდევ ჰქონდეს ერთი საკუთარი და ორი საზიარო (ინ-
ლაუტში).

აქად. ლ. შჩერბამ მარცვლის თეორიაში შემოიტანა თანხმოვანთა ტიპე-
ბის შემდეგი არტიკულაციური ცნებები: ძლიერშემართვიანი, ძლიერდამართ-
ვიანი და ორმწვერვალიანი.

¹ ვ. თოფური, ქართლური, გვ. 138; არნ. ჩიკობაია, გარეკახური დიალექტოლო-
გიურად, გვ. 64: არილი, 1925 წ.

² გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძველები. გვ. 358—360.

³ იქვე, გვ. 94.

დღიერშემართვიან წარმოთქმაში აკად. ლ. შჩერბა გულისხმობს ისეთ თანხმონებს, რომელთა წარმოთქმა იწყება ძლიერი დაქიმულობით და სუსტდება ბოლოში. ამიტომ ასეთი არტიკულაციის მქონე თანხმონი ყოველთვის ენერგიულად უერთდება წინამავალ ხმონს და მასთან ერთად ქმნის მარცვალს, მაგ.: ამ, რამ, რამდენი, დიდკაცობა და სხვ.

დღიერშემართვიანი თანხმონები ჩვეულებრივ ქმნიან მარცვლის ბოლოს.

დღიერდამართვიანი თანხმონთა წარმოთქმისას არტიკულაცია დასაწყისში სუსტი დაქიმულობისაა, წარმოთქმა ბოლოს მთავრდება ძლიერი დამართვით. ამის გამო ასეთი თანხმონები უერთდებიან ყოველთვის მომდევნო ხმონებს და მარცვლის საზღვარი იქმნება მათ წინ. ამისი მაგალითია თავკიდური და ხმონებს შუა მოქცეული თანხმონები შემდეგ სიტყვებში: ჩემ, შენ, დედა, კედელი და მისთ.

ორმწვერვალიანი თანხმონები წარმოთქმიან მუსკულების ერთნაირი დაქიმულობით თავსა და ბოლოში, შუა ნაწილი კი შესუსტებულია. ორმწვერვალიანი თანხმონი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მარცვალთვასაყარზე¹, მაგ., ჩემმა, ომმა, დიდდება, ჩავვარდი და მისთ.

ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში თანხმონთა შემართვა-დამართვის ამ თავისებურებთა გათვალისწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ამასთანავე დაკავშირებული ქართული ლიტერატურული წარმოთქმისათვის დამახასიათებელი ასიმილაციის სისუსტე. ქართულში ასიმილაციის სისუსტე შენიშნული აქვს პროფ. ა. შანიძეს: „ასიმილაცია მეზობელ ბგერებს შორის ყოველთვის როდი ხდება. ქართულის ერთი ფონეტიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ერთად მდგომი სხვადასხვა რიგის ბგერები ისე გამოთქვას, რომ მათ შორის ასიმილაცია არ მოახდინოს. ამის მაგალითებს იძლევა ვ მ გ ხ პირის ნიშნების ხმარება: ჩვენთვის ისევე აღვილია ვ ბ ა რ ა ვ სიტყვის თქმა, როგორც ამათი: ვ ფ ა რ ა ვ და ვ ბ ა რ ა ვ. ასეთსავე მაგალითს წარმოადგენს: ვ წ ე რ, მ წ ე რ; გ წ ე რ, ს წ ე რ ს, ან კიდევ დ-ს ხმარება ვნებითი გვარის ზმნებში: ს ქ დ ე ბ ა (ან: ს ქ დ ე ბ ა), ა ვ ი წ ყ დ ე ბ ა და მისთ.²“

ლიტერატურულ წარმოთქმაში მეორე და ყრუ ხშული თანხმონების შეხვედრისას ძირითადი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ იშვიათად წარმოიშვას ასიმილაცია. აი მაგალითები: გამეფდა, ყეფდა, აღეშფოთდი, კვეთდა. კეთდება, მწიფდება, განცდა, გაცდენა, წაცდა, გამოცდა, გავოცდი, გათბა. თითბერი, თათბირი, თბილისი, სითბო, ცბიერი, გცემ, გცავ, გჩხრეკ, კლემამოსილი, ბანაკდება, გამსკლარი, ვტყდები (<* ვტხდები, ა. შანიძე), ყდა, ყბა, ჭდეული, ბეჭდება, მწდე („ღვინის დამსხმელი“ საბა), საყდარი, ბჭე, ბჭობა, კბენა, ტბილი, ფუჭდება, გაწბილება და სხვ.

ყველა ამ დასახელებულ და მის მსგავს მაგალითებში ყრუსა და მეღვრის შეხვედრა არ იწვევს ასიმილაციას იმის გამო, რომ ყრუ ფშვინიერებსა და მკვეთრებს ძლიერი დამართვა ახასიათებს და ისინი ამით ემიჯნებიან მომდევნო მეღვრს, ხოლო მეღვრს კიდევ ახასიათებს ძლიერდამართვიანი და ძლიერდამართვიანი წარმოთქმა (შდრ. ბჭე, ბჭობა, საბჭო, გცემ, გცავ და

¹ Л. В. Щерб а, Фонетика франц. языка, გვ. 75.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 23.

მისთ.). ამდგომე მიზეზის გამო ასიმილაცია არ წარმოიშეება ერთცნობიან კომპო-
ზიტებში, კომპოზიტის შიგნით ყრუ და მელერი თანხმოვნების შეყრის მიჯნაზე,
მაგ.: დიდკაცობა, ცუდკაცობა, ვარდკანათა (ბალახ.), დიდკბილა, ქედფაცხე-
ლი, ცუდყვავილა (სენია), არაქათამოლელუი, ბაყბაყდვეი, ბედკრული, ბეჭკა-
ნიერი, ბოროტკანზრახვა, ბუყბუყი, დაფდაფი, დიდთავა, დიდთვალებიანი,
დიდყურა, ერთდროული, ერთდლიანი, ერთკლასიანი, თვითკრიტიკა (შდრ.
ქვიტიკრი), ზურგწამხლარი, თავდებქვეშ, თვითდინება, თვითგამორკვევა,
თვითგანათლება (შდრ. ერდგული), თორმეტგოჯა (ნაწლაეი), თოფგადაკიდე-
ბული, ირიბკუთხიანი, კალათბურთი, კბილემჩამტერული, ლაფდასმული,
მეთოლკაბინეტი, მიწგანი, ნისკარტაღდებული, ლმერთგამწყრალი, შვიდწლელი
და მისთ..

შენიშვნა: როგორც ცნობილია, რუსულში მელერი და ყრუ თანხმოვნის შეფედონისა
უთუოდ ასიმილაცია წარმოიშეება: лотка (<лодка), порошна (<порошна): ზა-
ბულს მეტყველებანი: наждаком (<наш дош), (. Шерпа. 88).

ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ლიტერატურულ წარმოთქმაში,
მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც არ დასტურდებოდეს ასიმილაციაქმნილი
ფორმები, მაგ.: ქვიტიკრი (<ქვიტიკრი), სახლიდან (<სახლიდან <სახ-
ლითგან).

ლიტერატურულ წარმოთქმაში ასიმილაციისათვის უფრო ხელსაყრელი
პირობებია სპირანტებში, ვიდრე ხშულებში, მაგ.: შიმშილი (<სიმშილი),
შიში (<სიში), კიშკარი (<ბქისკარი) და სხვ.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ლიტერატურულ წარმოთქმაში სპირანტი
მომდევნო მელერი ხშულის გავლენით მელერდება, მაგ.: მიზდევს (<მისდევს):
მზგავის (<მსგავის) და მისთ. (შდრ. ძვ. ქართ. ხჯული // შჯული: სასჯე-
ლი // საშჯელი, განსჯა // განშჯა და მისთ.)¹.

ლიტერატურული წარმოთქმის ზემოხსენებული ტენდენცია კიდევ უფრო
რელიეფურად ჩანს ამჟამად მთის კილოებში, განსაკუთრებით მოხეურსა და
ხევსურულში. მთის კილოებში, როგორც წესი, კონტაქტურ ასიმილაციას არა
აქვს ადგილი ყრუ და მელერი ხშულის შეხვედრისას, მაგ.:

ცდ: ცდო (სოფლის სახელია ყაზბეგის რაიონში), ედ: ედე (მთის საბე-
ლია იქვე), გადაჯდა (გადახტა), შაჯდა (მოხდა), გავდომია, კდეებჩი (კლდეებ-
ში). „წყალს გაჯდ (გავიდა)“, „ქიდს გაჯდ (გავიდა)“ (ხევეს).

თგ: ერთგული (მოხ., ხევეს.).

თკ: ქქტიკრი (მოხ.) და მისთ.

ჩვენ მიერ დადგენილია, რომ ანალოგიური სახის წარმოთქმა ახასიათებს
სვანურს². სვანურში ყრუ და მელერ ხშულთა შეხვედრისას იშვიათად წარ-
მოიშეება ასიმილაცია. ამ შემთხვევაში მთის კილოებმა სვანურს სხვა მხრივ
გაუსწრეს: სვანურში ყრუ სპირანტისა და მელერი ხშულის შეხვედრისას კონ-
ტაქტური ასიმილაცია არ წარმოიშეება, ამიტომ სვანურში კრამლექსები:
სგ, შგ; სდ, შდ თავისუფლად წარმოიქმნის ასიმილაციის გარეშე. მთის კი-
ლოებში ეს ასე არ არის. ყრუ სპირანტისა და მელერი ხშულის ერთად შეხ-

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. გვ. 23.

² ჩვენი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები. გვ. 160.

ველოასას უთუოდ კონტაქტური ასინილაცია უნდა წარმოიშვას. მაგალითად:

- სდ > ზდ: „ბრაზი მაზდიოდა“ (მოხეური)
- „ჩვენ შეგზდევიტ“ (მოხეური)
- „დაზდებს აირს თასს“ (ბ. გაბუური, 126, 20)
- „ჯარჯი ნუ დაზდევ ჯიჭვებსა“ (მოხეური) და სხვ.

ხგ > ზგ: მზგავსი.

ჰნ > ზნ: ღნახავთო.

ჰგ > ზგ: ღგულავ, წალგვრის.

ჰბ > ზბ: ღბრუნავ და მისთ.

ამის მიხედვით ნათლად ირკვევა, რომ თანხმოვანთა გამოკვეთილობა ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა. ძლიერდამართვიანი მეღერი ხშულები რომ აქვს ქართულს, თუ ისინი აბსოლუტურ ბოლოში მოექცევიან, მხოლოდ ნაწილობრივ ჰკარგავენ მეღერობას (მღრ. ქართ. სად და რუს. с а д; რად და р а д და მისთ.).

ქართულში ამ შემთხვევაში უფრო ფრანგულსებური ტენდენცია დასტურდება: ვიდრე რუსულსებური¹.

ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმას ახასიათებს ორმწვერვალიანი ანუ გაორმაგებული თანხმოვნები².

ვინაიდან ორმწვერვალიანი თანხმოვნის წარმოთქმისას შესუსტებული შუა ნაწილია და შემართვაც და დამართვაც ძლიერია, ამიტომ გაორმაგებული თანხმოვანი წარმოთქმაში შუაზე იყოფა: ერთი შეუერთდება წინამავალ მარცვალს, მეორე—მომდევნო მარცვალს, მაგ.:

ბინდდება. ადიდდა, ავვარდი(მე)—დავვარდი, ნავთთან, არაბეთთან, მათთვის. გაყვიდდი, გამოცხადდა, ავწმენდდი, გაგვლეჯს (ის შენ), იმედლ-კარგული. იაფფასიანი, ომშა, ლომშა, პრეზიდლიუმშა, სამშაგი, სამშარცვლიანი, ანგარიშში, ჯიხაიში, ხაზზე და სხვ. მისთ.

ვ. თანხმოვანთა აქცესიური და დეცესიური კომპლექსები

ლიტერატურულ წარმოთქმისთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ პროფ. გ. ახვლედიანის მიერ დადგენილი აქცესიური და დეცესიური კომპლექსების ბუნება.

პროფ. გ. ახვლედიანმა ქართული წარმოთქმის მეტად საყურადღებო ტენდენცია დაადგინა. ეს არის მიდრეკილება ერთჟამიერობისაკენ, რომლის საფუძველზედაც კარგად იხსნება ქართული წარმოთქმის რიგი თავისებურება.

თანხმოვანთ ერთჟამიერობისაკენ მისწრაფებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კომპლექსის პირველი კომპონენტი წინა არტიკულაციითაა წარმოებული და მეორე კი უფრო უკანა არტიკულაციით. მაგ.: ბღ, ფზ, ტკ, თქ და ა. შ. ასეთ კომპლექსებში მხოლოდ ერთჟამიერი წარმოთქმა გვაქვს. დასახელებული კომპლექსები წარმოითქმიან არა ორჯერ ხშვითა და ორჯერ სკდომით, არა-

¹ Л. В. Илѣрѣа, Фонетика, французского языка, გვ. 88—89.

² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 151.

მედ ერთვამიერად. ერთჯერ ხშირად და ერთჯერ სკდომით. კერძოდ, პირველი ხშირი კარგავს თავის სკდომას. თანხმოდანთა კომპლექსის ასეთ თანმიმდევრობას ავტორი უწოდებს დეცესიურ ანუ იქითურ კომპლექსს. ავტორი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია კომპლექსში შებრუნებული თანმიმდევრობა გვეკონდეს: უფრო უკანა არტიკულაციის ბგერა კომპლექსის პირველ კომპონენტს შეადგენდეს და წინა არტიკულაციის ბგერა კიდევ კომპლექსის მეორე კომპონენტს იყოს, მაგ: ღბ, გღ, ქთ, გზ და მისთ. ასეთ კომპლექსს ავტორი უწოდებს აქცესიურ ანუ აქეთურ კომპლექსს. ასეთი ტიპის კომპლექსების წარმოქმნის ერთვამიერობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ასეთ კომპლექსებში ცალკე-ცალკე დამოუკიდებელი ხშვა-სკდომა აქვს როგორც წინამდგომ, ისე მომდევნო თანხმოდანსაც (მდრ. გღ, ქთ, ღბ და მისთ.). თუ ეს კომპლექსები ასე არ წარმოითქვა, მაშინ პირველი წევრი გაუჩინარდება¹.

თანხმოდანთა დეცესიური და აქცესიური ტიპის კომპლექსები საყურადღებოა შემართვა-დამართვის თვალსაზრისითაც.

დეცესიური კომპლექსის თანხმოდანებს (ბღ, დგ) „შემართვის მომენტი ერთვამიერი აქვთ, ხოლო დაყოვნებისა და დამართვის მომენტები თითოეულს თავ-თავისი: აქცესიურ კომპლექსში შემაჯალ თანხმოდანებს თავ-თავისი აქვთ საშივე მომენტი“².

ქართული ლიტერატურული წარმოთქმისათვის ამ დეტალის გათვალისწინებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან განსხვავებულია წარმოთქმა და პაუზები, ერთი მხრით, სიტყვებში: გ დება (ყურის), ა გ დება, ა კ ღ დება, ა კ ღ დამა, გ ბ ო ღ ე ა და მისთ. მეორე მხრით, დ გ ო მ ა, ა დ გ ი ლ ი, მ ა ტ ლ ი, ა ბ გ ა და მისთანებში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოხევეთა წარმოთქმაში აქცესიურ კომპლექსთა წარმოთქმა იმდენად თავისებურია, რომ წინმდგომი თანხმოდანს მიმდევრობე გადასვლისას აშკარად შეიშინება გარკვეული დაყოვნების პაუზა, მაგ.: ა კ ლ ი ა, კ ლ დ ე და მისთ. „კ ლ დ ე“-ში აქცესიურობის საფუძველზე კ-სა და ლ-ს შორის ხეცსურულში ე. წ. პარაზიტული ი განვითარებულა: კ ი ლ დ ე (ბ. გაბუური, პეეს. მას., გვ. 282) და სხვ.

ზ. თანხმოდანთა პარამონიული კომპლექსები

ლიტერატურული წარმოთქმის ერთ-ერთ დამახასიათებელ სპეციფიკურ კომპლექსს წარმოადგენს ქართული პარამონიული კომპლექსები. პროფ. გ. ახვლედიანმა ქართულ პარამონიულ კომპლექსებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა.

ამ გამოკვლევით დადგენილია პარამონიული კომპლექსების ორი სისტემა (A და B). ამ ორი სისტემის განსხვავება ისაა, რომ A-სისტემაში მეორე კომპონენტად მონაწილეობს ხშირად მეხუთე სამეული: გ კ ქ, ხოლო B-ში—მეოთხე წყვილგული: ლ-ზ და მეექვსე სამეულის ყ. ორივე სისტემისათვის საერთოა კომპლექსთა პირველი კომპონენტები: ბ ფ პ; დ თ ტ; ძ ც წ; ჯ ჩ ქ³. ამის მიხედვით ქართული პარამონიული კომპლექსები ასეთ სახეს იღებენ:

ბგ: ა ბ გ ა, ბ გ ე რ ა, ბ გ ო ღ ე ა;

დგ: ა დ გ ა, ა დ გ ი ლ ი, დ ა უ დ გ რ ო მ ე ლ ი, დ ა დ გ ე ნ ა, დ გ ი მ ო (საქსოვი), დ ა დ გ მ ა, დ გ უ შ ი;

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 108.

² იქვე, გვ. 108.

³ იქვე, გვ. 109. 302.

ძგ: ძგერა (გული), ეძგერა, ბიძგი, ძგიდე, აიბუძგა;
ჯგ: ჯგუფი, ჯგლეთა, ჯგრიალი, ჯგვერი;
ფქ: ფქვა, ფქვილი, ფიფქი;
თქ: თქვა, თქეში, თქორი, თქვენ, თქვლეთა, მთქნარება;
ცქ: ცქერა, ცქვიტი, ცქრიალი, ცქათვი;
ჩქ: ჩქარი, ჩქამი, ჩქერი, ჩანჩქერი, ჩქმალავს, ჩქეფს;
ჩქმეტა;

პკ: აპკი, შეპკურება;

ტკ: ტკივილი, ტკბილი, ტკეჩი, ტკიპი, ტკებნა;

წკ: წკრიალი, წკმუტუნე, წკარუნი, ძეწკვი, ბწკენა;

პკ: პკნობა, პკუა;

ბლ: ბლავის, ბლვერა, ბლვირი, ბლვეჯელი;

დლ: დლე, დლეობა, დლვება;

ძლ: გაძლა, ძლოლა, ძლვენი, მოძღვარი, მოძღვრება;

ჯლ: ჯლაბნა, ჯლიბა, ჯლანი, მეჯლანუაშვილი;

ფხ: ფხა, ფხვნილი, ფხეკა;

თხ: თხა, თხრა, თხზულება, თხლე, თხლამი, თხმელა,
საფრთხე, შემთხვევა, საკითხი, ფორთხვა;

ცხ: ცხელი, სიცხე, ცხენი, მარცხი, ცხადი, ცხარე, ცხრა,
ცხემლა, ცხოველი, ცხვარი, ცხიმი, ცხრილი, ცხრება;

ჩხ: ჩხირი, ჩხიკვი, ჩხართვი, საჩხერე, ჩხენკელი, ჩხუბი;

პყ: მოპყრობა, დაპყრობა შეპყრობა, თვალის მიპყრობა,
საპყრობილე;

ტყ: ტყე, ტყეპა, სიტყვა, ბრტყელი, ტყვე, ტყვია: ტყორ-
ცნა, უტყვი, ტყუილი, ტყუბი, ტყემალი, ტყავი,
ტყლაპი, დარტყმა, დასხვ.

წყ: წყალი, წყვეტს, წყრება, რწყილი, წყვდიადი, წყავი,
წყენა, წყრომა, წყველა, წყვილი, წყნარი, წყრთა,
მწყერი, წყარო, წყალობა, მწყემსი, წყობა;

პყ: პყივის, პყლეთა, პყაპი, გააპყიტა (თვალი), პყლიტი დასხვ.
ყველა ზემოთ დასახელებული პარმონიული კომპლექსი დეცესიურია.

მათთვის დამახასიათებელია ერთეამიერი შემართვა. ყოველ პარმონიულ კომპლექსს მხოლოდ ერთი შემართვა აქვს ორივე კომპონენტისათვის და არა ცალკე-ცალკე თითოეულისათვის¹.

პარმონიული კომპლექსის წარმოთქმა განუყოფელია. ამ სახის კომპლექსის კომპონენტებს შორის შეუძლებელია ე.წ. პარაზიტული ხმოვანი გაჩნდეს, როგორც ამას ჰუნურ-მეგრულისა და სვანურის მონაცემებიც ადასტურებენ².

აღსანიშნავია ისიც, რომ ყ მეგრულ წარმოთქმაში პარმონიულ კომპლექსებში უცვლელად არის შემონახული, სხვა ბევრ შემთხვევაში ყ → ე მოუცია. ამ ფაქტს პროფ. ალ. ცაგარელმა მიაქცია ყურადღება³.

ვინაიდან ლიტერატურულ წარმოთქმაში პარმონიული კომპლექსები ერთი შემართვითა და ერთეამიერად წარმოითქმის, ამიტომ არტიკულაციური ენერ-

¹ გ. ანჯღელიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 109.

² ჩენი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 193.

³ Ал. Цагарели, Мингрельские этюды, II, 1880, გვ. 25.

გიულობა შესამჩნევად შესუსტებულია. ლიტერატურული წარმოთქმა ვერ იგუებს ჰარმონიულ კომპლექსთა ინტენსიურად წარმოთქმას. ამ მხრივ სრულიად განსხვავებული ვითარება გვაქვს მოხეურში, სადაც ჰარმონიული კომპლექსები წარმოითქმის განსაკუთრებული არტიკულაციური ინტენსივობით, მაგ.: დავულოზნე (= დავკოცნე);

ბაჰყია (საკ. სახელია); *

კოჰყები (ხბოები);

გალაჰყებული (ატალახებული) და მისთ.

ამ სიტყვებში ტყ, ჰყ კომპლექსები, როგორც ჩანს, არა ერთი შემართვით წარმოითქმის, არამედ კომპლექსში შემავალ თითოეულ კომპონენტს თავისი საკუთარი ძლიერი შემართვა-დამართვა აქვს.

* * *

თეატრი ჩვენში, ისე როგორც ყოველი ერის ისტორიაში, მუდამ დაინტერესებული იყო და არის ლიტერატურული ენის ერთიანი და საერთო წარმოთქმის ნორმების დამუშავებით. ამიტომ თეატრი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა და იღებს ლიტერატურული ენის განვითარებაში. სანიმუშო ლიტერატურული წარმოთქმა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის სცენიდან გვესმის. დღეს თეატრთან ერთად არანაკლებ მონაწილეობას იღებს ერთიანი ლიტერატურული წარმოთქმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ხმოვანი კინო და, განსაკუთრებით, რადიო. რადიო-ქსელი დღეს იმდენად გაფართოვდა, რომ იგი თითქმის ყოველი მშრომელის განუყრელი მეგობარია ჩვენში. ამიტომ, ბუნებრივია, თუ რადიოთი უმართებულად ან განსხვავებული ნიუანსით წარმოთქმული სიტყვა ყოველ ჩვენთაგანში სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ქართული ლიტერატურული წარმოთქმის შემდგომი განვითარების ძირითადი ტენდენცია იქითკენ უნდა იყოს წარმართული, რომ ქართული ლიტერატურული წარმოთქმა რაც შეიძლება ზუსტად ასახავდეს ქართულ სრულყოფილ ორთოგრაფიას. ორთოგრაფიისა და ორთოეპიის დაახლოების ამოცანა დღეს დასმულია საერთოდ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურული ენების წინაშე და, კერძოდ, რუსული სალიტერატურო ენის წინაშეც.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1952 წ. გამოცემული „რუსული ენის გრამატიკის“ შესავალში ვკითხულობთ.

„Упрощение слишком сложных и разнообразных орфоэпических правил и частичное сближение произношения и правописания являются существенными факторами, оказывающими влияние на формирование современных орфоэпических норм“¹.

ქართულში ამ მხრივ გაცილებით უფრო ნაკლები სიძნელეებია, ვიდრე სხვა ენებში, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულში „ორთოეპიის თითქმის ყველა საკითხი შესაძლებელია გადაწყდეს ორთოგრაფიის საკითხების გადაწყვეტასთან ერთად“².

1953 წ.

¹ Грамматика русского языка, изд. АН СССР, 1952, გვ. 50.

² გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 87.

ფონემის პრობლემა საბჭოთა ენათმეცნიერებაში¹

ფონეტიკისა და, კერძოდ, ფონოლოგიის საკითხებისადმი ინტერესი თანდათანობით იზრდება და სათანადო ადგილს იჭერს საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ამის ილუსტრაციაა ფონოლოგიის საკითხებზე ახლახან ჩატარებული დისკუსია.

ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე დიდძალი ლიტერატურა შეიქმნა როგორც საბჭოურს, ისე საზღვარგარეთულ ფონოლოგიაში. მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულებანი ფონემის გაგების საკითხში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთმანეთის საპირისპირო, ერთი მხრით, დე-სოსიურ-ტრუბეცკოისა და, მეორე მხრით, ბოდუნენ-შჩერბასაგან მომდინარე საბჭოთა ფონოლოგების შეხედულებანი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფონემის გაგების საკითხში ვერც საბჭოთა ფონოლოგები შეთანხმებულან დღემდე.

ფონოლოგიის ცენტრალურ პრობლემას ფონემის განსაზღვრის, მისი არსის პრობლემა წარმოადგენს. ამ პრობლემასთან მჭიდროდ არის გადაწნული ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა ფონემისა და მისი ვარიანტების საკითხი, ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულება, ფონოლოგია და ენის ისტორიის შესწავლა, ფონოლოგიისა და მორფოლოგიის კავშირი და ა. შ.

1. ენათმეცნიერების წინაშე დიდი ხანია დგას საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არის, რომ ცოცხალ მეტყველებაში მრავალფეროვანი ბგეროვნობა (звучание) არსებობს, რომელთაც წარმოთქმაში უფრო ხშირად ვერც კი ვამჩნევთ, მაგრამ ურთიერთგაგებინებას მხოლოდ ბგერობრივი ტიპები ანუ ფონემები ემსახურება, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა სახის ბგეროვნობა. ყოველი ფონემა ხორციელდება ბგეროვნობაში, ყოველი ფონემა ბგერაა, მაგრამ ყოველი ბგეროვნობა არაა ფონემა. ამიტომ ფონემათა რიცხვი ყოველ ენაში განსაზღვრულია და მხოლოდ ისინი ემსახურებიან „სიტყვათა და მათი ფორმების დიფერენციაციას“. ბგერათა რიცხვი კი ყოველ ენაში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ფონემათა რიცხვი, მაგ., ქართულ წარმოთქმაში ზოგჯერ გვეხმის ფ (მაგ., ფფიქრობ), ყ (მაგ., შორისდებულებში), მაგრამ ეს ბგერები ქართულში დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოადგენენ, ისე როგორც რუსულ წარმოთქმაში ზოგჯერ შეიძლება გვეხმოდეს ლ (მაგ., лора), ძ, ჯ, მაგრამ არც ერთი მათგანი რუსულში ფონემას არ წარმოადგენს. ამის მიხედვით ის დასკვნაც გამოდინარეობს, რომ ფონემა მხოლოდ ამა თუ

¹ წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 24 დეკემბერს ვრცელი სახით; შემოკლებულად მოხსენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის V(XI) სამეცნიერო სესიას 1954 წ. 10 ივნისს, იხ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. იბეჭდება შემოკლებული ვარიანტით.

იმ კონკრეტული ენის ბგერით სისტემაში არსებობს და ამ სისტემის გარეშე მას აზრი არა აქვს.

კოარტიკულაციის შეუძლია ფონემის მოდიფიკაცია მოგვეცეს და ამის საფუძველზე წარმოიშვას ფონემის ვარიანტები. მაგალითად, რამ და რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება ა და ო ფონემების მიხედვით, მაგრამ ცნობილია, აპარულსა და ინგილოურში რომ წარმოითქმის რუმ-ის სახით. უ ამ შემთხვევაში ო-ს მოდიფიკაციის შედეგია, მის სახესხვაობას წარმოადგენს: მ-ს გავლენით ო დავიწროვდა და მოგვეცა უ.

ავილოთ კიდევ ერთი მაგალითი: სასაუბრო მეტყველებაში ხშირად მივმართავთ დადასტურების გამომხატველ სიტყვას დ ი ა ხ. იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოვთქვამთ მას—გაჯაერებით, ალერსით, სრული კმაყოფილებით, უკმაყოფილებით, დაბეჯითებით და ა. შ., არტიკულაციურად და აქუსტიკურად განსხვავებული იქნება ამ სიტყვის შემადგენელ ბგერათა წარმოთქმა. განსაკუთრებით მრავალფეროვანი იქნება ტონის მოძრაობა ა და ი ხმოვნებში. არტიკულაციურად და აქუსტიკურად სხვაგვარია ამ სიტყვის გახანგრძლივებით წარმოთქმა: დ ი ა ხ ან კიდევ ფუძის განმეორების შემთხვევაში: დ ი ა ხ — დ ი ა ხ. ამ სიტყვის ბოლოკიდური ხ ისტორიულად მიღებულია ღ-საგან აბსოლუტურ ბოლოში დაყრუების გზით, მაგრამ არც ეს უშლის ხელს, რომ ეს სიტყვა გამოვიცნოთ და განვასხვაოთ სხვა სიტყვებისაგან (შდრ. და დ ე გ → და დ ე ქ). ყველა შემთხვევაში ამ სიტყვის ფონემური შედგენილობა უცვლელი რჩება, გარდა ბოლოკიდური თანხმოვნისა. ისტორიულად წარმოთქმაში ბოლოკიდური მეღერი ღ და გ იძლევა ყრუ ვარიანტებს—ხ-სა და ქ-ს. ამ სახის ფონემური ცვლილება სიტყვის მნიშვნელობას ვერ ცვლის ქართულში, მაგრამ სიტყვის თავში ღ-ს წარმოვთქვამთ თუ ხ-ს, განსხვავებულ სიტყვებს მივიღებთ, მაგ., ღ ა რ ი — ხ ა რ ი. ამ შემთხვევაში, როგორც ირკვევა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოზიციას.

ყველაზე რთულსა და დღემდე სადავო საკითხს ფონემის ცნების განსაზღვრა, მისი ბუნების დაზუსტება წარმოადგენს. ფონემის პრობლემასთან კი მჭიდროდაა დაკავშირებული ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულების საკითხი. ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულება სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება იმის მიხედვით: თუ ფონემის როგორი გაგებიდან ამოვღივართ—ღე-სოსიურ-ტრუბეცკოსებურიდან, თუ ბოლუენ-შჩერბასებურიდან.

როგორც ცნობილია, ტერმინებს „ფონემა“ და „ფონოლოგია“ იყენებენ ღე-სოსიური და მისი სკოლის წარმომადგენლებიც, მაგრამ ფონემა მათ ესმით როგორც აქუსტიკურ შთაბეჭდილებათა და არტიკულაციურ მოძრაობათა ჯამი. ღე-სოსიური ფონემას ასე განმარტავს: „ფონემა აქუსტიკურ შთაბეჭდილებათა და არტიკულაციურ მოძრაობათა ჯამია“¹.

საზღვარგარეთული ფონოლოგიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის ნ. ტრუბეცკოსი შეხედულებებს საფუძვლად დაედო ღე-სოსიურისებური ფონოლოგიური კონცეფცია. ეს იქიდან ჩანს, რომ ნ. ტრუბეცკოსი ძირითადი ნაშრომი „ფონოლოგიის საფუძვლები“ აგებულია ღე-სოსიურის საენათმეცნიერო ნააზრევიდან აღებულ ორ მთავარ დებულებაზე. ერთი მათგანის მიხედვით, აუცილებელია განვასხვაოთ ენა და მეტყველება. ნ. ტრუბეცკო, ღე-სოსიუ-

¹ Де-Соссюр, Курс общей лингвистики, რუს. თარგ., 1933, გვ. 57.

რის მსგავსად, ერთმანეთს უპირისპირებს მეტყველებისა და ენის შემსწავლელ მეცნიერებას, რასაც საბოლოოდ ფონეტიკისა და ფონოლოგიის გათიშვამდე მივყავართ¹. მეორე დებულების მიხედვით: „ენაში, გარდა სხვაობისა, სხვა არაფერია“², ეს დებულებაც ნ. ტრუბეტკოს ფონოლოგიურ დაპირისპირებათა თეორიის საფუძველია.

2. ფონემის თეორიის შექმნაში რუსული მეცნიერების პრიორიტეტი დღეს საყოველთაოდ აღიარებულია.

ფონემის რაობა რომ უფრო გასაგები იქნეს, საჭიროა პატარა ისტორიული ექსკურსი მოვახდინოთ. რა აუცილებლობამ შეუწყო ხელი ფონემის ცნების ენათმეცნიერებაში შემოტანას?

რუსმა ენათმეცნიერმა ი. ბოდუენ-დე-კურტენემ გასული საუკუნის 70—80-იან წლებში პირველმა აუცილებელ საჭიროდ ცნო განესხვაებინა ანთროპოლოგიური დახასიათება ბგერისა ფსიქოფონეტიკურისაგან³.

ამით ბოდუენმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ბგერის ფუნქციონალურ როლზე და მის გამოყენებაზე ენაში. ბოდუენის აზრით, სემანტიზაცია დამახასიათებელია გამოუკლებლივ ყველა ფონემისათვის.

ი. ბოდუენ-დე-კურტენემ თავისი ფუძემდებელი შრომებით შექმნა ფონოლოგიის საფუძვლები. ეს შრომებია: „О древне-польском языке до XIV столетия“ (1870), „Некоторые общие замечания о языковедении и языке“ (1871), „Некоторые отделы „сравнительной грамматики“ славянских языков“ (1881), „Versuch einer Theorie phonetischer Alternationen“ (1895), „Тексты по введению в языковедение“ (1917) და სხვ.

ფონემასთან დაკავშირებით ბოდუენმა ამავე დროს შექმნა თეორია მორფემის შესახებაც. მისი აზრით, ფონეტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით მთელი გაბმული მეტყველება იყოფა წინადადებებად ანუ ფრაზებად, წინადადებანი—სიტყვებად, სიტყვები—მორფოლოგიურ მარცვლებად ანუ მორფემებად. მორფემები—ფონემებად⁴.

ბოდუენი აღნიშნავს, რომ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით განუყოფელია ბგერა, ფონეტიკური თვალსაზრისით განუყოფელია ფონემა, ხოლო მორფოლოგიური თვალსაზრისით განუყოფელია მორფემა⁵.

ბოდუენმა ფონემის გაგებაში შემოიტანა ბგერათა კორელაციისა და კორესპონდენციის ცნებები და ამით კიდევ უფრო გაამდიდრა ფონემის შინაარსი. იგი ფონემას ასე განმარტავს: „...Фонема есть сумма общепенных автрофонических свойств известной фонетической части слова, неделимая при установлении коррелятивных связей в области одного языка и корреспондентных связей в области нескольких языков. Иначе: фонема

¹ N. S. Trubetzkoy, Grundzüge der Phonologie, Prague, 1939, გვ. 7.

² „В языке нет ничего кроме различий“ (Де-Соссюр, გვ. 119).

³ ფონემის შესახებ მოძღვრების ისტორია ვრცელადაა მოთხრობილი ლ. ზინდერისა და მ. ნატუსევიჩის სტატიაში: „К истории учения о фонеме“, ИАН, Отд. лит. и языка, т. XII, 1953, вып. 1, გვ. 62—75.

⁴ И. Бодуэн-де-Куртенэ, Некоторые отделы „сравнительной грамматики“ славянских языков, РВВ, 2, 1881 გვ. 333.

⁵ იქვე 333.

«есть фонетическое неделимое с точки зрения сравнимости фонетических частей слова»¹.

ბოდუენი აღნიშნავს, რომ ბგერათა კორელაციისა და კორესპონდენციის ცნებების გამოსახატავად ტერმინი „ბგერა“ არ გამოდგება, საჭიროა შემოღებულ იქნეს სხვა ტერმინი—„ფონემა“, რომელიც კორელაციისა და კორესპონდენციის გარკვეული ფონეტიკური სიდიდეა და მისი ბგერასთან გაიგივება შეუძლებელიაო.

ბოდუენი ამავე დროს ფონემას განმარტავს როგორც ბგერათმონაცვლეობის კომპონენტს. მისი აზრით, ბგერათმონაცვლეობის შემთხვევაში გვაქვს არა ბგერისა ბგერასთან მონაცვლეობა, არამედ ფონემების მონაცვლეობა ფონემებთან.

ი. ბოდუენ-დე-კურტენეს ფონოლოგიურ შეხედულებებში უთუოდ მოცემულია ფონემის გაგების გარკვეული „რაციონალური მარცვალი“, ვინაიდან ბოდუენი თავის ენათმეცნიერულ შეხედულებათა შემუშავებისას ეყრდნობოდა სხვადასხვა ენის მრავალრიცხოვან ფაქტს. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ბოდუენის ზოგადენათმეცნიერული კონცეფცია, რომელზედაც მისი ფონოლოგიური შეხედულებანი იყვნენ აგებული, იდეალისტური, ფსიქოლოგისტური იყო. ენის რაობის, ენის წარმოშობისა და მისი კანონზომიერი განვითარების შესახებ ბოდუენი იდეალისტურ შეხედულებებს ავითარებდა. ფონემის ბოდუენისებურ გაგებას წარმოადგენა ედო საფუძვლად².

3. საბჭოთა ფონოლოგიის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აკად. ლ. შჩერბას ფუძემდებელ შრომებს: „Русские гласные в качественном и количественном отношении“ (1912), „О тройном аспекте языковых явлений и об эксперименте в языкознании“ (1931), „Очередные проблемы языкознания“ (1945) და განსაკუთრებით „Фонетика французского языка“.

აკად. ლ. შჩერბას ფონოლოგიური შეხედულებანი შედარებით უფრო ვრცლად უნდა განვიხილოთ.

ცნობილია, რომ ლ. შჩერბას ფონოლოგიურმა შეხედულებებმა გარკვეული ევოლუცია განიცადა.

ლ. შჩერბა ჯერ კიდევ თავის ადრინდელ შრომაში „Русские гласные...“ ბოდუენის ძლიერ გავლენას განიცდიდა. ამ შრომის შესავალში იგი წერდა: „ჩემი შრომის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს ი. ბოდუენ-დე-კურტენეს იდეები... პირველ ყოვლისა შეეჭრდებით იმის ფსიქოლოგიურ ანალიზზე, რასაც ბოდუენი უწოდებს ფონემას“.

ლ. შჩერბას აზრით, მაშინდელი ფონემა არის ჩვენი ფსიქიკური მოქმედების პროდუქტი. იგი კონკრეტული ფონეტიკური წარმოდგენაა და ამავე დროს ტიპური. ლ. შჩერბა ფონემის შინაარსის გამოსახატავად ხშირად ხმარობს გამოთქმას: „წარმოდგენა—ტიპი“.

¹ И. Бодуэн-де-Куртене, Некоторые отделы „сравнительной грамматики“ славянских языков, РФВ, 2, 1881, стр. 333.

² ეს საკითხები განხილულია თ. ბელინსკაიას საკანდიდატო დისერტაციაში: „Учение И. А. Бодуэн-де-Куртене о фонеме“, 1951.

³ Л. В. Щерб, Русские гласные..., стр. 1.

ლ. შჩერბას აზრით, ფონემები ის ვარიანტებია, რომლებიც ყველაზე უფრო ნაკლებ არიან დამოკიდებული გარემომცველ პირობაში. არსებობენ ფონემები, რომლებიც მეტად ან ნაკლებად დამოკიდებული არიან. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ფონემები წარმოვთქვათ ყველა პირობებში ერთგვარად, მაგრამ, თუ ამას ვერ ვაღწევთ და სხვადასხვა ფონეტიკური პირობების მიხედვით სხვადასხვაგვარად წარმოვთქვამთ, ეს, ლ. შჩერბას აზრით, აისნდება ჩვენს ცნობიერებაში სხვა ფონეტიკურ წარმოდგენებზე არასაკმარისად ყურადღების გამახვილებით. ბოდუენის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ასეთ შემთხვევაში „ვისრულება არ შეესატყვისება განზრახვას“. ერთ ადგილას ლ. შჩერბა იმასაც კი შენიშნავს, რომ ადამიანი გრამაფონი ხომ არ არის, რომ მეტყველების შეუჩერებელი ნაკადი ჰქონდესო. ფონემის ბუნების დაზუსტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლ. შჩერბას ერთ საყურადღებო მითითებას იმის შესახებ, რომ დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებისას ყველაზე რთულია (და ყველაზე მნიშვნელოვანიც) არა სხვადასხვა წვრილმან განსხვავებათა ჩაწერა, არამედ იმის კონსტანტირება, თუ მოცემულ ენაში აზრობლივი თვალსაზრისით რომელი განსხვავება მნიშვნელოვანია და რომელი არამნიშვნელოვანი¹.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. შჩერბა იმ პერიოდში ფონემაში ფსიქოლოგიურ შინაარსს დებდა და ფონემა მას გაგებული ჰქონდა როგორც მოცემული ენის უმცირესი ზოგადფონეტიკური წარმოდგენა, რომლის საშუალებითაც ასოციაციური კავშირი მყარდება აზრობლივ წარმოდგენებთან, იგი მაინც ყოველთვის გახანჯადა, რომ ფონემას შეუძლია სიტყვათა დიფერენციაციამზადინოსო².

ლ. შჩერბამ უკანასკნელი წლების ნაშრომებში უარყო ბოდუენის იდეალისტურ-ფსიქოლოგისტური ფონოლოგიური კონცეფცია, გაათავისუფლა მისგან ფონოლოგია, ვადაამუშავა ბოდუენის ფონოლოგიური „რაციონალური მარცვალი“ და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ეს დარგი. მან შექმნა ორიგინალური თეორია ფონემათა ვარიანტების შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორი გასაღები ფონემის გაგებისათვის ლ. შჩერბამ მოგვცა თავის „ფრანგული ენის ფონეტიკაში“. ამ შრომაში ავტორის ფონოლოგიური შეხედულებანი საბოლოო სახით არის ჩამოყალიბებული³. ლ. შჩერბა ამ შრომაში ფონემის პრობლემის გადაწყვეტის სწორ გზას რომ იძლევა, ეს საესებით დაადასტურა ფონოლოგიის საკითხებზე ჩატარებულმა დისკუსიამ.

„ფრანგული ენის ფონეტიკაში“ ლ. შჩერბას უკვე მითითებული აქვს თავის წინანდელ ფსიქოლოგისტურ შეცდომებზე. ის წერს: „Более углубленное изложение всего этого вопроса, который подан здесь в максимально упрощенном виде, будет дано мною в курсе общей фонетики, а пока могу сослаться на мое старое исследование „Русские гласные в качественном и количественном отношении“, где уже есть все основное, но где объективная суть вещей осложнена изложением психологической стороны дела“⁴.

¹ Л. В. Ш е р б а, Русские гласные..., გვ. 1.

² იქვე, გვ. 14.

³ „ფრანგული ენის ფონეტიკის“ პირველი გამოცემა გამოვიდა 1937 წ., მეორე—1939 წ., მესამე—1948 წ. და მეოთხე—1953 წ.

⁴ А. В. Ш е р б а, Фонетика французского языка, გვ. 20.

ლ. შჩერბამ თავის „ფრანგული ენის ფონეტიკაში“ მოგვცა არა მარტო ზოგადი შეხედულებანი ფონემისა და ფონოლოგიის შესახებ, არამედ ამ შეხედულებათა გამოყენებაც გვიჩვენა ფრანგული და რუსული ენების კონკრეტულ ბგერით მასალაზე. მას განხილული აქვს ფრანგულ სმოვანთა სადიფერენციაციო ნიშნელობანი და მათი დაპირისპირებანი წარმოების ადგილის, ზაგის-მიერობის, ცხვირისმიერობის, სიგრძე-სიმოკლისა და ლიაობა-დახურულობის მიხედვით. იქვეა განხილული გაბმულს მეტყველებაში ფონემათა მოდიფიკაცია და მათი ვარიანტები (სმოვანთა და თანხმოვანთა), ბგერათმონაცვლეობისა და მახვილის ფონოლოგიური მნიშვნელობა.

ლ. შჩერბას „ფრანგული ენის ფონეტიკაში“ მოცემულია სახელმძღვანელო პრინციპები საბჭოთა ფონოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის.

ლ. შჩერბა ფონემას განმარტავს როგორც ენის ბგერობრივ ტიპს („Звукковой тип“) და მას ასხეავებს ჩვეულებრივი ბგერისაგან¹.

ლ. შჩერბას აზრით, ამ ბგერობრივ ტიპს, ანუ ფონემას, შეუძლია „სიტყვებისა და მათი ფორმების დიფერენციაცია, ე. ი. ემსახუროს ურთიერთგაგებინებას“².

ლ. შჩერბას ბგერობრივ ტიპს არავითარი საერთო არა აქვს დე-სოპიუსის „ფონოლოგიურ ტიპებთან“, რომლებიც მოკლებულია იმ შინაარსს, რომელსაც ბგერობრივი ტიპი გამოხატავს. ბგერობრივი ტიპი ყველაზე უფრო სისრულითა და სიმახვილით გამოხატავს ფონემის რაობას. ფონემა ტიპიურია, ზოგადია იმიტომ, რომ მასში რეალიზებულია ცოცხალ მეტყველებაში წარმოთქმული სხვადასხვა ცალკეული, კერძო ბგერები.

ლ. შჩერბა ფონემის ღრმა და საფუძვლიანი გაგების მიზნით ასეთ თვალსაზრისს ავითარებს: ადამიანის სამეტყველო ყოველი ბგერა, მსგავსად ფიზიკური ბგერებისა, მექანიკური მოვლენაა, რომელიც ვარკვეული რხევების შედეგია. ეს ერთი მხრით. ესაა სამეტყველო ბგერის განხილვის ფიზიკური ასპექტი. მეორე მხრით, ამ ბგერას ჩვენ აღვიქვამთ ჩვენი ნერვული (პერიფერიული და ცენტრალური) სისტემის საშუალებით—ესაა ბგერის განხილვის ბიოლოგიური ასპექტი. ეს მხარე ბგერის ფიზიკურ მხარესთან მეტად რთულ ფუნქციონალურ ურთიერთობაშია. არსებობს კიდევ ბგერის განხილვის მესამე, ლინგვისტური ასპექტი. რადგან ენათმეცნიერება საზოგადოებათმეცნიერებაა³, ბგერა ამ თვალსაზრისით საზოგადოებრივი მოვლენაა. ფონემა ზოგადი მონაცემია. მასში ფიზიკური და ბიოლოგიური სხვადასხვა მხარე განზოგადებულია; მაგრამ, ლ. შჩერბას აზრით, ფონემის ზოგადობა საბოლოო ჯამით განისაზღვრება სემანტიზებულით, რომელიც კომუნიკაციაში გადამწყვეტი მნიშვნე-

¹ ლ. შჩერბას ნახმარი აქვს ტერმინი „звуковой тип“. ჩვენ სანაოთლიანად მივკვამნიან დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის ი. ლუენიციის წინადადება იმის შესახებ, რომ ვიხმაროდ „типовой звук речи“. ეს უკანასკნელი ქართულადაც უფრო მოხერხებული ჩანს: „ენის ტიპობრივი ბგერა“ ეს ტერმინი ნახმარი აქვს პროფ. არნ. ჩიქობავას თავის „ენათმეცნიერების შესავალში“: „ენის ბგერითი სისტემის ძირითად ტიპობრივ ერთეულს ფონემა წარმოადგენს“ (გვ. 174). შტრ. რუსული გამოცემა: „Основные типовые единицы звуковой системы языка и являются фонемами“ (Проф. А. С. Чикобава. Введение в языкознание, часть I, 1952 г., გვ. 173).

² Л. В. Щерба, Фонетика фр. яз., გვ. 18—19.

³ ლ. შჩერბას ნახმარი აქვს ტერმინი „სოციალური“.

ლუბისაა. ფონემის სემანტიზებული ბუნება ჩვენ საშუალებას გვაძლევს, მეტად თუ ნაკლებად განსხვავებულ ბგერებში დავინახოთ ერთი და იგივე, საერთო, ზოგადი. ყოველი ფონემის ინდივიდუალური პროფილი იმით განისაზღვრება, თუ მოცემული ენის სხვა ფონემისაგან რით განსხვავდება. ამის მიხედვით მოცემული ენის ყოველი ფონემა ქმნის დაპირისპირებულთა ერთიან სისტემას და მის გარეშე ფონემა არ არსებობს.

ფონემის ბუნებას კიდევ უფრო მეტად ჰფენს ნათელს ფონემისა და მისი ვარიანტების საკითხის გარკვევა.

4. ლ. შჩერბას ფონოლოგიურ შეხედულებებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფონემათა ვარიანტების შესახებ მოცემული ორიგინალური თეორია. ამ პრობლემას ლ. შჩერბას შრომებში საპატიო ადგილი უჭირავს. ავტორი აღნიშნავს ფონემისა და მისი ვარიანტების განსხვავების საკითხის დიდ თეორიულ მნიშვნელობას და ამავე დროს იგი ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით ფონემისა და მისი ვარიანტების პრაქტიკულად განსხვავების შემთხვევაში.

ლ. შჩერბა შრომაში „РУССКИЕ ГЛАСНЫЕ...“ აღნიშნავს, რომ ფონემის ვარიანტებად გაყოფა წარმოებს სხვადასხვა ფონეტიკური ფაქტორების გავლენით. ავტორს ეს საკითხი ახსნილი აქვს ბგერათმშობიკური მონაცვლეობის საფუძველზე. ლ. შჩერბა განმარტავს, რომ ფონემის ვარიანტები ობიექტურად წარმოქმნილი ვლინდებიან და წარმოადგენენ ბოლუენის დივერგენტებსო. ის ინასაც აღნიშნავს, რომ ყველა ვარიანტი ფონემის დივერგენტია, მაგრამ ყველა სახის დივერგენცია არ შეიძლება ჩაითვალოს ფონემის ვარიანტად.

ფონემისა და მისი ვარიანტების განსახსნავებლად ლ. შჩერბა მიმართავს ერთ ნაცად ხერხს—ფონემის გახანგრძლივებულად წარმოთქმას. მაგ., სიტყვაში „ЛЕТИ!“ ჩვენ წარმოვთქვამთ მეტად დახურულ *е-ს*. ვინაიდან მისი მომდევნო თანხმოვანი რბილია, მაგრამ *е-ს* ეს ვარიანტი არ არის დამოუკიდებელი ფონემა. საკმარისია, რომ *е* გაეხანგრძლივოთ ამ სიტყვაში, იგი მაშინვე გახდება ნორმალური, უკვე ფონემის შესატყვისი, მაგ., გაკვირვებული დამახების შემთხვევაში: „Ну, дѣти!“¹.

ყოველი დამოუკიდებელი ფონემა შეგვიძლია ისე გაეხანგრძლივოთ, რომ მოცემულ ფონეტიკურ შეერთებას არაფერი მივუმატოთ. ყოვლად შეუძლებელია იმ ელემენტების გახანგრძლივება, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი და სხვა ფონემათა ნაწილს წარმოადგენენ².

ანით ლ. შჩერბას იმის თქმა უნდა, რომ ფონემათა პოზიციური ცვალებადობისას ჩვენს ცნობიერებაში განსაკუთრებით ძლიერდება ის ელემენტი, რომელიც მუდმივ მეორდება, ხოლო დანარჩენები, რომლებიც ცვალებადია, ისინი ჩვენ მიერ შეუმჩნეველი რჩებიან. როცა ჩვენ რომელიმე ფონემას ვახანგრძლივებთ, გახანგრძლივება შეეხება სწორედ იმ ზოგად ელემენტს, რომელიც მოცემული ფონემისათვის ტიპურია, ჩვენ მას ყოველთვის ვაცალკევებთ.

ლ. შჩერბას „ფრანგული ენის ფონეტიკაში“ კიდევ ერთი მეტად საყურადღებო მითითება აქვს მოცემული ფონემისა და მისი ვარიანტების დასახსნავებლად: სიტყვათწარმოებაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში, აგრეთვე

¹ Л. В. Щерба, Русские гласные..., გვ. 15.

² იქვე, გვ. 13.

ლექსიკაში ვარიანტები არავითარ როლს არ ასრულებენო. ამიტომ მშობლიურ ენაში ისინი ჩვენ მიერ შეუმჩნეველია. რადგან ისინი მონაცვლეობენ ტიპიურ ვარიანტებთან ჩვენი არტიკულაციური ჩვევების მიხედვით. სხვა ვითარებაა, როდესაც ჩვენ უცხოური ენის წარმოთქმას ვსწავლობთ, მაშინ ჩვენ გვიხდება როგორც ფონემათა ვარიანტების შესწავლა, ასევე მათი ტიპიურ ვარიანტებთან მონაცვლეობა, ვინაიდან არა გვაქვს გამომუშავებული უცხოური ენის წარმოთქმისათვის საჭირო არტიკულაციური ჩვევები¹.

ლ. შჩერბა ფონემის ვარიანტებში ასხვავებს ტიპურს ყველა სხვა დანარჩენისაგან; იგი იზოლირებულადაც წარმოითქმის და ჩვენ მიერ მხოლოდ ეს ერთი აღიქმება როგორც ენის ელემენტი. შჩერბა პრაქტიკული ფონეტიკის ამოცანად ამ ტიპიური ვარიანტების შესწავლას მიიჩნევს, ვინაიდან ყველა სხვა ვარიანტი წარმოიქმნება მხოლოდდამხოლოდ სპეციალური ფაქტორების მოქმედების შედეგად. ამ სპეციალური ფაქტორების მოქმედება თუ მოიშლება, მაშინ ყველა ვარიანტი ისწრაფვის შეერწყას ტიპიურ ვარიანტს. ამ ტიპიურისაგან განსხვავებული ყველა სხვა ვარიანტი წარმოთქმაში ჩვენ მიერ შეუმჩნეველია: მათი მოსმენა რომ შეეძლოს, ამისათვის განსაკუთრებული ფონეტიკური წვრთნაა საჭირო. ლ. შჩერბა ფონემის ამ ტიპიურ ვარიანტსაც პირობითად ფონემას უწოდებს².

ამგვარად, ლ. შჩერბა ფონემას უწოდებს ბგერობრივ ტიპსაცა და მოცემული ბგერობრივი ტიპის ანუ ფონემისათვის დამახასიათებელ ყველაზე უფრო ტიპიურ ვარიანტსაც.

ერთი ფონემის ვარიანტების ფონეტიკური დიაპაზონი შესაძლებელია იყოს ძალიან ფართო, მაგრამ მათი სახლგარეობი მაინც შემოფარგლულია. ლ. შჩერბა ვარიანტების წარმოქმნაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ბგერათმობიციურ მონაცვლეობას და აღნიშნავს, რომ „ფონემებად ითვლებიან ის ვარიანტები, რომლებიც ყველაზე უფრო ნაკლებ არიან დამოკიდებული გარემომცველ პირობებზე“³. ამავე დროს განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ „თავისთავად იგულისხმება, აბსოლუტური სახლგარეობი ვარიანტებსა და ფონემებს შორის არ არსებობსო“⁴.

აქედან გამომდინარე. ლ. შჩერბამ ენათა ისტორიის მაგალითებზე ნათლად გვიჩვენა: თუ როგორ შეიძლება ვარიანტი იქცეს დამოუკიდებელ ფონემად და, პირიქით. დამოუკიდებელი ფონემა კიდევ იქცეს ვარიანტად.

ლ. შჩერბას ფონემა წარმოდგენილი აქვს როგორც ისტორიული კატეგორია; რომელიც განიცდის თანდათანობით განვითარებას მოცემული კონკრეტული ენის ბგერით სისტემაში.

დავასახელებთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს ქართველურ ენათა სინამდვილიდან იმის საილუსტრაციოდ, რომ ფონემას შესაძლებელია გაუჩინდეს ვარიანტი და ვარიანტი კიდევ იქცეს დამოუკიდებელ ფონემად.

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავს ყველა ის ხმოვანი აქვს, რომლებიც ქართულსა და ქანურ-მეგრულში მოიპოვება (ა ე ი ო უ), ოღონდ

¹ Л. В. Щерба, Фонетика, ф. я., გვ. 19.

² იქვე.

³ Л. В. Щерба, Русские глаголы..., გვ. 16.

⁴ იქვე გვ. 36.

ზუგდიდურ-სამურზაყანულში ი, უ და ზოგჯერ თ ფონემათა ვარიანტების საფუძველზე წარმოიქმნა დამოუკიდებელი ფონემა ჯ, მაგ., ქკრი ← ქირი — ქორი; ნკკ ← ნუკუ — ნიკაბი; კკნ ← კინუ — წნელი; ჩქჩქ ← ჩქიჩქუ — ჩვილი: კკმორთუ ← ქომორთუ — მოვიდა; კკდგოგი ← ქოდგოგი — დავაგე, დავასვე და ა. შ. ზუგდიდურ-სამურზაყანულს ეგევე ხმოვანი ჯ გამოყენებული აქვს თანხმოვანთა გასაყარად, აგრეთვე თანხმოვანთა წარმოქმნის გასაადვილებლად აბსოლუტურ ბოლოში.

როგორც აღვნიშნეთ, ჯ-ს გავრცელების არე ქანურ-მეგრულში მეტად შეზღუდულია, იგი მხოლოდ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში იხმარება, მაგრამ ეს ასე არ არის სვანურში. ჯ დღეს სვანურის ოთხსავე (ბალსზემოურს, ბალსქვემოურს, ლენტეხურსა და ლაშხურს) დიალექტს ახასიათებს; როგორც დამოუკიდებელი ფონემა. ქართულში იგი არ განვითარებულა.

ცნობილია, რომ უმლაუტიანი ხმოვნები სვანურის სამ დიალექტს ახასიათებს (ბალსზემოურს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს). უმლაუტი ფონეტიკური წარმოშობისაა ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე, მაგრამ დღეს უმლაუტიანი ხმოვნები სვანურში დამოუკიდებელ ფონემებს წარმოადგენენ. ეს რომ ასეა, ამაში გვარწმუნებს შემდეგი მაგალითების შედარება. მაგალითად, სვანურის ბალსზემოურ დიალექტში თუ სიტყვა უმლაუტიანი ხმოვანთა წარმოდგენილი, მას ერთი მნიშვნელობა აქვს, ხოლო თუ უუმლაუტოა, იგივე სიტყვა სხვა მნიშვნელობისაა:

ა ქ ა ჩ — მოკრა (ხე)	ა ქ ა ჩ — მოსკერ
ა ნ ჯ ა ბ — მოხარა	ა ნ ჯ ა ბ — მოჰხარე
ა კ რ დ — გაყიდა	ა კ რ დ — გაჰყიდე
ა კ რ ც — დაჭრა	ა კ რ ც — დასჭერ
ა შ ხ ჭ ნ — შეინახა	ა შ ხ უ ნ — შეინახე
ა შ დ უ ლ უ — დამარხა	ა შ დ უ ლ უ — დაჰმარხე და სხვ. მისთ ¹ .

ლ ა ზ გ ე — ნიშნავს ცოტა ააშენა (საარვისო ქცევა), ლ ა ზ გ ე ცოტა აიშენა (სათავისო ქცევა).

იმავე ბალსზემოურში აწმყოსა და ნამყო უწყვეტლის ფორმებს ერთმანეთისაგან უმლაუტი ასხვავებს, მაგალითად:

აწმყო

ნამყო უწყვეტელი

ი ღ რ ა ლ — მღერის	ი ღ რ ა ლ (და) — მღეროდა
ი შ დ რ ა ლ — თამაშობს	ი შ დ რ ა ლ (და) — თამაშობდა
ი ზ ე ლ ა ლ — დადის	ი ზ ე ლ ა ლ (და) — დადიოდა
ი წ რ ა ლ — იგინება	ი წ რ ა ლ (და) — იგინებოდა და სხვ. მისთ ² .

(შედრ. გერმნ. Rachen — ხახა — rächen — შურისძიება; Handel — ვაჭრობა — Händel — დავა, უსიამოვნება და სხვ. მისთ.).

ამ მაგალითების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ სვანურში უმლაუტიანი ხმოვნები დამოუკიდებელი ფონოლოგიური მნიშვნელობისაა და მათ იმდენი ძალა აქვთ, რომ შეუძლიათ „სიტყვებისა და მათი ფორმების დიფერენციალი“.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925 წ., გვ. 211.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

სვანური და ქანურის ხოფური კილოკავი არჩევს ე ხმოვნის ორ ვარიანტს—ლიასა და დახურულს. მაგ., ღია ე ისმის სვანურის შემდეგ სიტყვებში: ეს ღ რ ი—მიდის; ე ჯ ნ ე მ—მან და სხვ. მისთ. დახურული ე წარმოითქმის სიტყვებში: ა ე რ ვ ა ა—ვინც; ა ე შ დ—ათი; ა ე ც ე რ—ეცერი და სხვ. მისთ.

ქანურის ხოფურ კილოკავში ჩვეულებრივია ე-ს დახურული წარმოთქმა: ა ე ხ თ უ—ავიდა; ა ე ზ დ უ—აიღო და მისთ. ვიწურ-არქაბულსა და ათინურს კილოკავებში ამ სიტყვებში ღია ე წარმოითქმის: ე ხ თ უ, ე ზ დ უ და ა. შ. საქმე იმაშია, რომ არც სვანურსა და არც ქანურ-მეგრულში ეს ორი სახის ე დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოადგენენ, ისე როგორც არც რუსულში აქვს ღიასა და დახურულ ე-ს დამოუკიდებელი ფონოლოგიური მნიშვნელობა¹.

აღსანიშნავია, რომ ფრანგულსა და იტალიურში ამ ორი სახის ე-ს (ღიასა და დახურულს) მოუპოვებია დამოუკიდებელი ფონოლოგიური მნიშვნელობა, მაგ., იტალიური *pesca* (ე ღიაა: *peska*—ატამი), *pesca* (ე დახურულია; *peska*—თევზის ქერა) და სხვ. მისთ.

ეს ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ ის, რაც ერთ ენაში შეიძლება მხოლოდ ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენდეს, მას სხვა ენაში შესაძლებელია დამოუკიდებელი ფონოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდეს.

ქანურის ხოფურსა და ვიწურ-არქაბულ კილოკავებსა და სვანურის ბალს-ზემოურს. ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში უკანაენისმიერი ხშულები გ ქ ქ პალატალიზებულ ვარიანტებს იძლევიან: გ'ქ'ქ'-ს. ამ თანხმობაზე პალატალიზებული მოდიფიკაცია წარმოთქმაში იმდენად საგრძნობია, რომ მათ შემდგომ ტექსტების ჩაწერისას, ჩვეულებრივ, ე-ს წერენ. მაგ., ქან. ქო-გ აო ქ ქ ე ს (ჩიქ. II, 134, 8)—დაიწყეს; გ ა ა რ ი შ გ ა ე დ ვ ა ლ უ შ ე ნ ი (ჩიქ. I, 151, 28)—საქმლის დასადებად: ქ ა უ რ ქ ი (ჩიქ. I, 4, 21)—ქურქი; კ ა ა ფ უ (ყოფ. I, 36, 18)—ტურა; კ ა ე ტ ი (იქვე, 93, 30)—პატარა ჯობი და სხვ.

სვანურში პალატალიზებული გ'ქ'ქ' წარმოითქმის უმლაუტიან ხმოვანთა წინ, მაგ.: გ ა ზ ი—დანა; ქ ა შ მ—ფერფლი; კ ა წ ნ—კანი და სხვ.

ეს პალატალიზებული ფონეტიკური ვარიანტები არც სვანურსა და არც ქანურის დასახელებულ კილოკავებში დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოადგენენ.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ქანურის ათინურ კილოკავში, სადაც უკანაენისმიერ ხშულთა გ ქ ქ-ს პალატალიზებული ვარიანტები თვისობრივად ახალ ფონემებად, ენაუნისმიერ შიშინა აფრიკატებად იქცნენ:

გ → ჯ; ქ → ჩ; კ → ჭ:

ათინური ჯ ე ნ ი იგივეა, რაც ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის გ ე ნ ი—ბბო (შდრ. გ ი ნ ი):

ათინური ბ ე რ ჯ ი, ხოფ. ვიწ.-არქ. ბ ე რ გ ი, მეგრ. ბ ე რ გ ი—თობი;

„ ჩო ჩ ი, ხოფ. ვიწ.-არქ. ქ აო ქ ი—ძირი;

„ თ ი ლ ჩ ი „ „ თ ი ლ ქ ი—მელია;

„ თ ო ქ ი „ „ თ ო ქ ი—თოკი

„ ქ ა ფ უ „ „ ქ ა ა ფ უ—ტურა და სხვ. მისთ.

¹ Л. В. Щерба, Русские гласные... გვ. 15.

ქართულსა და ქანურ-მეგრულში მეორე ობიექტური პირის ნიშანია გ, სვანურში ამ ფუნქციას ჯ ასრულებს (მაკუ—მინდა; ჯაკუ—გინდა; ხაკუ—უნდა), მაგრამ მეგრულში, ყველა სხვა ქართველური ენისაგან განსხვავებით, მეორე ობიექტური პირის ნიშნებად დასტურდება გ და რ, ორივე ერთი ფუნქციისაა, ოღონდ გ ხმოვნების წინ წარმოითქმის (მაგ., სი გილუ—შენ გაქვს), ხოლო რ წარმოითქმის თანხმოვანთა წინ (მაგ., რ-კუნს—გწვავს; რ-კითხუ—გკითხა და ა. შ.).

აქედან ნათლად ჩანს, რომ არტიკულაციურადა და აკუსტიკურად განსხვავებული ორი ბგერა შესაძლებელია ერთი ფუნქციისა იყოს. ფონოლოგიაში ამ კანონს ფუნქციონალური იგივეობის ფონეტიკურ კანონს უწოდებენ.

შესაძლებელია, პირიქითაც, არტიკულაციურად და აკუსტიკურად სავსებით ერთი და იგივე ბგერები სხვადასხვა ფუნქციას გამოხატავდეს. მაგ., მეგრულში პ პირველი სუბიექტური პირის ნიშნადაც გვევლინება და პირველი ობიექტური პირის ნიშნადაც მკვეთრთა წინ. პირველ შემთხვევაში პ მიღებულია ვსაგან, მეორე შემთხვევაში—მსაგან, მაგ.: მა პ-კითხი—მე ვკითხე; მაგრამ: მა პ-კითხუ—მე ვკითხა; იგივე პირის ნიშნები ვ და მ ფშვინეიერთა წინ ფ-ს იძლევა, მაგ.: ფ-ხატუნ-ქ—ვხატავ, მაგრამ: მა ფ-თხორუნ-ს—მასაფლავებს („მითხრის“).

ქანურში სუბიექტური პირველი პირის ნიშანს ვ-ს გარკვეული ვარიანტები აქვს: ხოფურში ხმოვანთა წინ ვინია: ვ-ილი—წავედი; ვიწურ-არქაბულში ზ დასტურდება: ბ-ილი—წავედი; მკვეთრთა წინ ვ'ცა და მ'ც იძლევა პ-ს: პ-კითხი—გკითხე, ხოლო ფშვინეიერთა წინ დასტურდება ფ: ფ-ხერ—ვხივარ.

თუ ფონემისა და მისი ვარიანტების შიგნითადად განმარტებიდან გამოვალთ, მაშინ ფონემებად უნდა მივიჩნიოთ ამ შემთხვევაში ვ და ზ, რომლებიც ყველაზე უფრო ნაკლებ არიან დამოკიდებული გარემომცველ პირობებზე. ყველაზე ტიპურიც ვარიანტებს შორის ეს ორია: ვ და ზ; პ და ფ წარმოთქმაში ბგერათბოზიციური მონაცვლეობით შეპირობებულ ვარიანტებს წარმოადგენენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ენის ისტორიაში დადასტურებული მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნების ფონეტიკური ვარიანტები.

როგორც ცნობილია, ქართულ სალიტერატურო ენას V—VII სს-ში ახასიათებდა ხანმეტობა, მაგ., ხ-ზი. ხ-დგა, ხ-იხილო; ხ-ერქუა, ხ-ესმა, ხ-აქუს, ხ-იყო და სხვ. მისთ.

VII საუკუნიდან ხანმეტობა ჰემეტობამ შეცვალა ყველგან: სადაც წინათ ხ იყო მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნებად, ამიერიდან ჰემე დაიჭირა მისი ადგილი, ოღონდ ჰაესაც ვარიანტი უჩნდება ხ-ს სახით წინანუნისმიერისა და ენანუნისმიერი ბგერების წინ; მაგ., ჰ-ყვირი, ჰ-კვეთ, მაგრამ ს-წიწნი, ს-ცხოვრობ, ს-ტირი და სხვ. მისთ. შიშინა ბგერების წინ კიდევ ს ზოგჯერ ახალ ვარიანტს იძლევა შ-ს სახით: შ-ჯღები, შ-ჩიქნი და მისთ¹.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. 1953 წ., გვ. 178.

ბ || ჰ || ს || უ ვარიანტები აკუსტიკურად და არტიკულაციურად ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან. ყველა მათ საერთო აქვთ სიყრუე და სპირანტობა. აღსანიშნავია,

ქართულში პირის ნიშნების ისტორია არა მარტო იმ მხრივია საინტერესო, რომ მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნებს რა მდენიმე ვარიანტი აქვს, არამედ უფრო მეტად იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნები ერთი და იგივე ბგერებია, ისინი ომონიმებს წარმოადგენენ, ფუნქციონალურად კი სხვადასხვა პირებს გამოხატავენ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ლ. შჩერბამ ფონემისა და მისი ვარიანტების გაგების საკითხში ბევრი ახალი შეიტანა. იგი ფონემას ისტორიულ კატეგორიად თვლიდა და, ხელმძღვანელობდა რა ისტორიული პრიციპით, ვარიანტების წარმოშენლ ძირითად ფაქტორად ბგერათმობიციურ მონაცვლეობეს მიიჩნევდა, მაგრამ ფონემისა და მისი ვარიანტების ურთიერთობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მან ვერ მოგვცა ვერც თავის პირველ ფუნდამენტალურ შრომაში „Русские гласные...“ და ვერც უკანასკნელ კაპიტალურ შრომაში „Фонетика французского языка“. ეს რომ ასეა, ლ. შჩერბას შემდეგი მსჯელობიდან ჩანს: იგი ბგერობრივ ტიპს ფონემას უწოდებს და ამავე დროს ფონემის ტიპიური ვარიანტის სახელწოდებადაც ფონემას იყენებს და იქვე აღნიშნავს, რომ, თუ საჭირო შეიქნება, მაშინ ამ ორ ცნებას განვასხვავებთ¹.

თანამედროვე საბჭოთა ფონოლოგიაში საყურადღებოა ისეთი ახალი ცნებების შემოტანა, როგორცაა „ვარიანტი“ და „ვარიაცია“.

ეს ცნებები სპეციალური მნიშვნელობით საბჭოთა ფონოლოგიაში რ. ავანესოვმა და ვ. სიდოროვმა შემოიტანეს რუსული სალიტერატურო ენის ფონოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით². „ვარიანტი“ და „ვარიაცია“ გამოყენებული აქვთ თავიანთ შრომებში ა. რეფორმატსკისა³ და ა. გვოზდევსკის⁴.

რ. ავანესოვი და ვ. სიდოროვი „ვარიაციას“ განმარტავენ როგორც პოზიციით შეპირობებული ფონემის მოდიფიკაციის ძირითად სახეს. ვარიაციები ერთ ფონემას განეკუთვნებიან და დისტინქტური დაპირისპირებისათვის არ გამოდგებიან, ვინაიდან ისინი ფონემის ძირითადი სახის ბგერის სინონიმებს წარმოადგენენ. ვარიაციის შემთხვევაში მოცემული ფონემის ბგეროვნობა არ ემთხვევა სხვა რომელიმე ფონემას.

ავტორები ვარიაციის ნიშნად ასახელებენ რუსულ ხ-ს, რომელიც н-ს მოდიფიკაციას წარმოადგენს მაგარი თანხმოვნების შემდგომ.

ვარიაციის ნიშნად გამოდგებოდა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული გ და რ, რომლებიც მეგრულში მეორე ობიექტური პირის ნიშნებად იხმარებიან, ოღონდ ერთი ხმოვნის წინ წარმოითქმის და მეორე—თანხმოვნის წინ.

გ. ახვლედიანი „ვარიაციის“ შესატყვისად იყენებს ტერმინს „ტოლფუნქციანი სახესხვაობა“⁵. იგულისხმება, რომ ეს ბგერითი სინონიმები ტოლფუნქციანია.

რომ ჰ და ს ევერე ენაშიც წარმოადგენენ ერთი ფონემის ვარიანტებს (Л. Р. Зиндер, Существует ли звук рчи? ИАН СССР. Отд. лит. и языка, 1948, т. XII, вып. 4, გვ. 302).

¹ Л. В. Щербач, Фонетика фр. яз., გვ. 19.

² Р. И. Аванесов и В. Н. Сидоров, Очерк грамматики русского литературного языка, 1945, გვ. 42—44.

³ А. А. Реформатский, Введение в языковедение, 1947 г.

⁴ А. Н. Гвоздев, О фонологических средствах русского языка, 1949 г.

⁵ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 275.

რ. ავანესოვისა და ვ. სიდოროვის განმარტებით, ვარიანტი წარმოადგენს პონიციურად შეპირობებული ფონემის მოდიფიკაციის ისეთ სახეს, როდესაც ერთი ფონემა ბგერობრივად ემთხვევა მეორეს, ქმნის ბგერობრივ ომონიმებს¹.

ავტორებს რუსული ენიდან საილუსტრაციო მაგალითად მოჰყავთ: луг—лук (ორსავე შემთხვევაში წარმოითქმის лyx).

გ. ახვლედიანი ვარიანტის შესატყვისად იყენებს ტერმინს „უტოლფუნქციო სახესხვაობა“.

ვარიანტის საილუსტრაციო ნიმუშად გამოდგებოდა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული სუბიექტური პირველი პირის ნიშნის ვ-სა და ობიექტური პირველი პირის ნიშნის მ ს მოდიფიკაცია მეგრულში—მკვეთრთა წინ მ-ს სახით, ხოლო ფშენიფიერთა წინ ფ-ს სახით. ვარიანტის ამ გაგებას გამოხატავს ნ. ტრუბეცკოის „დაპირისპირებათა ნეიტრალიზაცია“ და ს. შაუმიანის „შერეული ფონემა“.

ნ. ს. შაუმიანმა ბევრი საკითხი აღძრა თავის სადისკუსიო წერილში „ფონემის პრობლემა“². მეორე წერილში „ფონოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“³ მან პასუხი გასცა დისკუსიის დროს წამოჭრილ ზოგიერთ საკითხს. ს. შაუმიანი შეეცადა სტრუქტურალისტური ფონოლოგიის დებულებანი განევითარებინა. იგი ყოველმხრივ ცდილობს საზღვარგარეთელი და საბჭოთა ფონოლოგების შეხედულებათა გათვალისწინებით გამონახოს ახალი გზა ფონემის პრობლემის გადასაწყვეტად, მაგრამ ამას ვერ აღწევს, ვინაიდან ძირითადად დგას ნ. ტრუბეცკოის ფონოლოგიურ შეხედულებათა პოზიციაზე. ის წერს: „В области изучения звуковой стороны языка я считаю Н. С. Трубецкого своим прямым учителем. В основе отстаиваемой мной фонологической концепции лежат идеи Н. С. Трубецкого“⁴.

საბჭოთა ფონოლოგებმა არ გაიზარეს ს. შაუმიანის ფონოლოგიური შეხედულებანი. იგი ამ შემთხვევაში მარტოკა აღმოჩნდა.

ს. შაუმიანმა შემოიტანა ე. წ. „შერეული ფონემის“ ცნება, რომელიც, ავტორის აზრით, ნ. ტრუბეცკოის „დაპირისპირებათა ნეიტრალიზაციის“ შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

ცალკეულ ენათა ბგერითი სისტემების ფონოლოგიური განხილვისას ძირითად საშუალებას ფონემათდაპირისპირებანი წარმოადგენენ. ყველა მატერიალური ნიშნეულობით ფონემათდაპირისპირებანი სიტყვათგანმასხვავებლობით ფუნქციას ასრულებენ. ფონემები ერთმანეთს შესაძლებელია დაუპირისპირდნენ სხვადასხვა ნიშნეულობის მიხედვით, მაგ., მღერობა-სიყრუით; წარმოების ადგილით, ხშულობა-ნაპრალოვნობითა და ა. შ.⁵.

¹ Р. И. Аванесов и В. Н. Сидоров, Очерк грамматики русского литературного языка, гл. 43.

² С. К. Шаумян, Проблема фонемы, ИАН СССР. Отд. лит. и языка, т. XI, вып. 4, 1952 г.

³ С. К. Шаумян, О некоторых вопросах фонологии, ИАН СССР. Отд. лит. и языка, т. XII, вып. 5, 1953 г.

⁴ С. К. Шаумян, О некоторых вопросах фонологии, гл. 541.

⁵ ფონემათა დაპირისპირებანი ქართული ენის ბგერითი სისტემის მაგალითზე ვრცლად აქვს განხილული პროფ. გ. ახვლედიანს. იხ. მისი ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 289—291.

ფონემათდაპირისპირებანი ძლიერსა და სუსტ პოზიციას ემყარება. პოზიციას კი საერთოდ ქმნის საწარმოთქმო სიბრძნის გარემოცვა. ძლიერ პოზიციაში ფონემა მთელ თავის სრულ სახეს გამოავლენს სხვა ფონემებთან დასაპირისპირებლად. სუსტ პოზიციაში კი ფონემა სხვა ფონემებთან დასაპირისპირებელ ნიშნეულობას კარგავს და ე. წ. ნეიტრალიზაცია ანუ დეფონოლოგიზაცია წარმოიშობა. ამ შემთხვევაში ფონემის ბუნებას მისი განპირობებულობა განსაზღვრავს. მაგ., ქართულში ძლიერ პოზიციაში თუ წარმოთქმის **თ**, იგი სუსტ პოზიციაში შეიძლება იქცეს **ფ**-დ, მაგ., **მაწონ**-ი—**მაწვნ**-ის, **ნიგოზ**-ი—**ნიგვზ**-ის, **მინდორ**-ი—**მინდვრ**-ის და ა. შ. ცხადია, რომ **თ**-ს ფონოლოგიური ნიშნეულობა ამ შემთხვევაში შეიკვეცა. **თ**-ს, როგორც ხმოვანს, მარცვლის შექმნის უნარი აქვს, მაშინ როდესაც **ვ**-ს ეს უნარი არა აქვს. ხმოვანი სუსტ პოზიციაში იქცა თანხმოვნად.

სუსტ პოზიციაში ბგერის ცვალებადობის პროცესი შესაძლებელია მივიღეს მინიმალურ ფონეტიკურ სიდიდემდე ან მთლიანად დაიკარგოს იგი, მაგ., იგივე **თ** სუსტ პოზიციაში ზოგჯერ აღარც **ვ**-ს იძლევა, ეკარგვის უნაშთოდ. **ფოთოლი**—**ფოთლ**-ის **გოდორ**-ი—**გოდრ**-ის, **ობოლ**-ი—**ობლ**-ის და სხვ. მისთ.

სუსტ პოზიციაში ენების დიდი უმრავლესობა მღერ თანხმოვნებს ყრუ თანხმოვნებად აქცევს წარმოთქმაში და აბსოლუტურ ბოლოში ე. წ. ომონიმები წარმოიშობა, მაგ., რუს. **ауг—уа** (ორივე შემთხვევაში წარმოთქმის **уа**) **рид—рид** (ორივე შემთხვევაში წარმოთქმის **рид**) და ა. შ. ის, რაც ზემოთ ითქვა, ფონოლოგიის მონაპოვარია და მის ოქროს ფონდს შეადგენს. ამის გამო ზოგიერთი სახლვარგარეთელი ფონოლოგი ფონოლოგიას პრაქტიკულ ფონეტიკასაც კი უწოდებს.

მაგრამ აქედან იწყება აზრთა სხვადასხვაობანი, რომელნიც შეეხებიან ფონემისა და მისი ვარიანტების რაობას, ვარიანტების ფონეტიკურ დიააზონს, ფონემის არსებითსა და არაარსებით ნიშნეულობას, ომონიმების საკითხს, ფონეტიკურისა და მორფოლოგიური კრიტერიუმის ურთიერთობას ფონოლოგიაში და სხვ. მისთ.

ასე, მაგალითად, რ. აენესოვისა და ვ. სიდოროვის „ვარიაციისა“ და „ვარიანტის“ თეორიის მიხედვით, რუსულ სიტყვეებში **рид** და **рид** ბოლოკიდური **д** და **р** წარმოთქმის ერთნაირად ყრუდ—**к**-დ. პირველ შემთხვევაშია ფონემა **д**, ხოლო მეორეში—**р**. როცა **д** მომდინარეობს **р**-საგან, მაშინ **р**-ს ვარიანტი არის **к**. ს. შაუმიანის „შერეული ფონემის“ მიხედვით კი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე „შერეული“ ფონემაა **к/р**, ვინაიდან იგი თავის თავში **к**-საც აერთიანებს და **р**-საც. „შერეულ ფონემას“ **к/р**-ს აქვს ორი ვარიანტი: **к** და **р**. ავტორის აზრით, მოცემულ მაგალითში ადგილი აქვს არა მარტო ფუნქციონალურს, არამედ ფიზიკურ შერევასაც¹.

ავტორის მტკიცებით, „შერეული ფონემა“ წარმოიქმნება მხოლოდ სუსტ პოზიციაში, სადაც ფონემათა რიცხვი მცირდება. მაგ., რუსულ ენაში ძლიერ პოზიციაში თუ ვასხვავებთ ექვს მაგარ ხშულ ფონემას: **Б, Г, Т, Д, П, Н**, აბსოლუტური ბოლოს სუსტ პოზიციაში ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ სამი ხშული ყრუ ფონემა: **К, Т, Р**².

¹ С. К. Шаумян, Проблема фонемы, გვ. 338.

² С. К. Шаумян, О некоторых вопросах фонологии, გვ. 536.

„შერეული ფონემის“ ცნება სავსებით სამართლიანად იქნა შეკცრად გაკრიტიკებული და უარყოფილი საბჭოთა ფონოლოგების მიერ, ვინაიდან იგი ახალს არაფერს იძლევა ნ. ტრუბეცკოის „არქიფონემების“ ცნებისაგან განსხვავებით¹.

როგორც ცნობილია, ნ. ტრუბეცკოის აზრითაც, რუსულში აბსოლუტურ ბოლოში *ჩ*, *ჩ*-ს ნაცვლად გვაქვს არქიფონემა *T*; *ჩ*, *ჩ*-ს ნაცვლად—არქიფონემა *K*; *ჩ*, *ჩ*-ს ნაცვლად—არქიფონემა *II*. ნ. ტრუბეცკოის განმარტებით, არქიფონემა წარმოადგენს იმ განსხვავებულ ნიშანთვისებათა ერთობლიობას, რომლებიც საერთოა ორი ფონემისათვის. არქიფონემა რეალიზდება „დაპირისპირებათა ნეიტრალიზაციაში“.

7. საზღვარგარეთულ ფონოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფონემის არსებითსა (რელევანტურსა) და არაარსებით (ირელევანტურს) ნიშნულებათა განსხვავებას. რამდენადაც ფონემა დაპირისპირებათა წევრია, ამდენად ფონემის განსაზღვრისას უმთავრესია ის, რაც ფონემას ასხვავებს დაპირისპირებათა სხვა წევრისაგან. ამ გაგებით ფონემა ბგერის არსებითს ნიშანჩვისებათა ფონოლოგიურ ერთიანობას წარმოადგენს². არსებითი ნიშნულობა ამავე დროს ფონემათა სადიფერენციაციო ნიშნებია. ამ ავტორების აზრით, ბგერის არაარსებითი ნიშნულობანი ფონოლოგიას არ აინტერესებს, მას უნდა სწავლობდეს ფონეტიკა.

ფონემის არსებითი და არაარსებითი ნიშნულობის შესახებ თავისი იდეალისტური მოსაზრება ყველაზე უფრო დამახასიათებლად გამოთქმული აქვს ამერიკელ ფონოლოგს ლ. ბლუმფილდს. იგი ბგეროვნობის საერთო მასიდან გამოპყოფს მხოლოდ გარკვეულ სადიფერენციაციო ნიშნულობას, რომელიც ყოველ ენაში სპეციფიკურია და სწორედ ის შეადგენს ფონემას. ამ გაგებით ფონემა ბგერა კი არ არის, არამედ იგი მხოლოდ ბგერის თვისებაა, რომელიც გამოიყოფა ბგეროვნობის არაარსებითი მასიდან, ისე როგორც არაარსებითია წითელი ფერის სიგნალისათვის მისი სახე და ფორმა, რომლის მიხედვითაც შემანქანე მატარებელს აჩერებს. წითელი ფერის სიგნალის არსებითს თავისებურებას, ბლუმფილდის აზრით, შეადგენს მხოლოდ „სიწითლე“ და სხვა არაფერი³.

საზღვარგარეთელი ფონოლოგები ფონემის ასეთმა გაგებამ მიიყვანა ფონემის მატერიალური და ფუნქციონალური მხარის გათიშვამდე. ს. შაუმიანი შეეცადა ამ ყალბი დებულების საბჭოურ ფონოლოგიაში დამკვიდრებას, მაგრამ იგი დამსახურებულად იქნა გაკრიტიკებული. ფონემის რაობის სრულყოფილად და ამომწურავად განსაზღვრისათვის არსებითია ფონემის ყველა მატერიალური ნიშნულობა.

8. როცა ფონემის მატერიალურსა და ფუნქციონალურ მხარეზე ვმსჯელობთ, კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრება ხოლმე. საკითხი ომონიმებს შეეხება. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ სიტყვა რა და რა ფონემებისაგან შედგება:

¹ А. Н. Гвоздев, О фонологии „смешанных фонем“, ИАН СССР. Отд. лит. и яз., 1953 г., т. XII, вып. I, стр. 49—61; აგრეთვე ლ. ზინდერისა და მ. მატუშკევიჩის სტატია, იქვე, გვ. 75.

² N. S. Trubetzkoy, Grundzüge der Phonologie, 1939, გვ. 35.

³ А. А. Реформатский, Проблема фонемы в американской лингвистике: „Ученые записки Московского городского пединститута“, 1941, т. V, стр. 105.

პირველ ყოვლისა, უნდა მოვისმინოთ იგი. მხოლოდ მოსმენით (ან წაკითხვით) შეგვიძლია გავარკვიოთ ამა თუ იმ სიტყვის ფონემური შედგენილობა, შესაძლებელია სიტყვის მნიშვნელობა არც კი ვიცოდეთ. ვთქვათ, წერა-კითხვის არმცოდნე პირმა მოისმინა სიტყვა „რეაქცია“. იგი ამ სიტყვის ფონემურ შედგენილობას გაარჩევს და განასხვავებს მას, ვთქვათ, სიტყვისაგან „რედაქცია“. ამ ორი სიტყვის განმასხვავებელი მხოლოდ დ ფონემა არის. წერა-კითხვის არმცოდნემ „რეაქცია“ რომ მოისმინა და მისი ფონემური შედგენილობა გაიგო, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მან იცოდეს ყველა ის მნიშვნელობა, რომელიც ამ სიტყვას აქვს, ვთქვათ, ისტორიკოსისათვის, ქიმიკოსისათვის ან ფსიქოლოგისათვის, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ფონემებს თითქოს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია არ ჰქონდეს¹. ასეთი გაგება უარყოფს ფონემის რაობას და მას წარმოგვიდგენს უბრალო ფიზიკურ ბგერად. ეს მოსაზრება საბჭოურ ფონოლოგიას არსებითად უპირისპირდება, ვინაიდან ფონემას აქცევს უშინაარსო ბგერად. ენაში ბგერობრივი ომონიმები არსებობს, ისე როგორც სინონიმებიც არსებობს, მაგრამ ომონიმების რიცხვი მაინც მეტად განსაზღვრულია ყოველ ენაში. ომონიმებიდან ბევრი ფონემის მოდულიკაციის საფუძველზეა მიღებული, მაგ., ქართული ხერხი (მოხერხება, რომელიც მომდინარეობს ფორმისაგან: ქერკი) და ხერხი (იარალი), ან კიდევ: ხელი (რომელიც მომდინარეობს ფორმისაგან: ქელი) და ხელი (გიეი) და სხვ. მისთ.

აკად. შჩერბამ თავისი მრავალრიცხოვანი შრომებით ნათელყო, რომ:

...В языке утилизуются звуки не просто как физические или физиологические явления, а как элементы языка, имеющие или по крайней мере могущие иметь значение“².

განსაკუთრებით საყურადღებოა აკად. ლ. შჩერბას დებულება იმის შესახებ, რომ ფონემა პოტენციულურად არის აზრის მატარებელი. საბჭოთა ფონოლოგების მიერ ეს დებულება საყოველთაოდ აღიარებულია და მიღებული. იგივე აზრია გატარებული საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „რუსული ენის გრამატიკის“ შესავალში: „Лингвистическая природа отдельных звуков речи определяется тем, что каждый из них может что-то значить в данном языке, и термин фонема введен именно с целью подчеркнуть это обстоятельство“².

9. ერთ-ერთ სადისკუსიო საკითხს წარმოადგენს ფონოლოგიისა და მორფოლოგიის კავშირის საკითხი: საჭიროა თუ არა ფონოლოგიაში მორფოლოგიური კრიტერიუმი? რიგი ავტორებისა (ს. შაუმიანი, ა. გეოზდევო, ვ. ლიტკინი, ა. სმირნიცკი, ლ. ზინდერი და სხვ.) არ მიიჩნევენ საჭიროდ მორფოლოგიურ კრიტერიუმს ფონოლოგიური სისტემის კვლევისას. რიგი ავტორებისა კი (რ. ავანესოვი, ვ. სიდოროვი, ა. რეფორმატსკი, მ. პანოვი და სხვ.) აუცილებელ საჭიროდ თვლიან მორფოლოგიურ კრიტერიუმს ფონოლოგიური კვლევისას.

საფუძველს მოკლებული არაა პროფ. ს. ბერნშტეინის მოსაზრებაც, რომელიც, ერთი მხრით, ფონემას განმარტავს როგორც უმცირეს ბგერობრივ

¹ შდრ. Л. Р. Зиндер, Существует ли звуки речи? გვ. 302.

² Л. В. Щерба, Очередные задачи..., გვ. 185.

³ Грамматика русского языка, I. 1952 г., გვ. 12.

ერთეულს, რომელიც ემსახურება სიტყვათგანსხვავებასა და სიტყვათგამოცნობას, ხოლო, მეორე მხრით, ფონემას იგი მიიჩნევს როგორც მორფემის უმცირეს ბგერობრივ კომპონენტს, რომელმაც შეიძლება განიცადოს სახეცვლილება პოზიციური პირობების მიხედვით¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ბოდუენ-დე-კურტენე თავის დროზე აღნიშნავდა, რომ „მორფემები ბგერებად კი არ იყოფიან, არამედ ფონემებად“². ამით ბოდუენმა ხაზი გაუსვა ფონემების მორფემებთან მჭიდრო კავშირში შესწავლის აუცილებლობას.

ჩვენ არ მივგანჩნია სწორად ზოგიერთი საბჭოთა ფონოლოგის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს აკად. ლ. შჩერბა უარყოფდა მორფოლოგიურ კრიტერიუმს ფონოლოგიაში³.

აკად. ლ. შჩერბა ხშირად მიმართავდა მორფოლოგიურ კრიტერიუმს, რომ ფონემის რთული ბუნება ამ გზით კიდევ უფრო ნათლად გაერკვია. ლ. შჩერბა ჯერ კიდევ თავის აღრიხდელ შრომაში „Русские гласные...“ წერდა: „Безусловно самостоятельными гласными фонемами русского языка являются а, е, и, о, у. Что касается ы, то это в значительной мере менее самостоятельная фонема, находящаяся в иптимных отношениях с и, которого оно является как-бы оттенком. Происходит это потому, что ы никогда не употребляется в виде отдельного слова, никогда не стоит в начале слова и возможно лишь после „твердых“ согласных, после которых оно заменяет этимологическое и, как, например, [выграх]=в играх, [сываном]=с Иваном; наконец—и это самое главное—морфологически оно в некоторых случаях идентично с и, как, например: вод-ы, душ-и, земли“⁴.

ამის მიხედვით, ნათლად ჩანს, ლ. შჩერბა ამა თუ იმ ბგერის ფონოლოგიური მნიშვნელობის დადგენისას მორფოლოგიურ კრიტერიუმს რა მნიშვნელობას ანიჭებდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს ყველაზე უმთავრესია“⁵.

მოუფიქრებლად კიდევ მეორე დამაბნელებელ ადგილს ლ. შჩერბას შრომიდან „ფრანგული ენის ფონეტიკა“⁶. ამ შრომაში ლ. შჩერბა ფონემისა და მისი ვარიანტების განსხვავების დასადგენად მიმართავს მორფოლოგიურ კრიტერიუმს, სინტაქსურსა და ლექსიკურსაც. ის წერს: „В словообразовании, морфологии и святаксисе, а также в словаре оттенки не играют никакой роли...“⁷.

10. ფონემის პრობლემასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულების საკითხი.

დე-სოსიურმა თავის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“ ფონეტიკა ფონოლოგიას დაუბირისპირა. მისი გაგებით, ფონეტიკა ისტორიული მეცნიერებაა, რომელიც უპირისპირდება ფონოლოგიას, როგორც არაისტორიულ

¹ Сергей Бернштейн, Против идеализма в фонетике, ИАН СССР, Отд. лит. и языка, 1952, т. XI, вып. 6, стр. 541—559.

² И. А. Бодуен-де-Куртене, Некоторые отделы „сравнительной грамматики“ славянских языков, стр. 333.

³ იხ. ИАН СССР, Отд. лит. и языка, 1953 г., т. XII, вып. 4, стр. 373—377.

⁴ Л. В. Щерба, Русские гласные..., стр. 50 (ხაზი ჩვენია ს.—ტ.).

⁵ Л. В. Щерба, фонетика французского языка, стр. 19.

დისციპლინას. დე-სოსიურად ამ თავის/მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ ფონეტიკა ანალიზს უკეთებს ფონეტიკურ მოვლენებსა და ბგერათმეცნიერება-ციებს, რომლებსაც დროში აქვს ადგილი; ფონოლოგია დროის გარეშეა, ვინაიდან არტიკულაციის მექანიზმში მუდამ ერთგვარი რჩება¹. დე-სოსიურს აქედან გამოაყვავს დასკვნა, რომ შეუძლებელია ერთმანეთში ავირიოთ ორი სხვადასხვა დისციპლინა და ისინი ერთი ტერმინით გამოვხატოთ.

დე-სოსიურის მიერ ფონეტიკასა და ფონოლოგიის დაპირისპირება საე-სებით შეესატყვისება მის კონცეფციაში მოცემული მეტყველებისა და ენის დაპირისპირებას.

ნ. ტრუბეცკოი თავისი „ფონოლოგიის საფუძვლებში“ აღნიშნავს, რომ საჭიროა ერთის ნაცვლად ორი განსხვავებული ბგერათმეცნიერება შემოვიღოთ, მათგან ერთი შეისწავლის მეტყველების აქტს, მეორე — ენას. ორივე ბგერათ-მეცნიერებამ, შესაბამისად თავიანთი საგნისა, კვლევის საე-სებით განსხვავე-ბული მეთოდები უნდა გამოიყენოს. ბგერათმეცნიერება, რომელსაც საქმე აქვს კონკრეტულ ფიზიკურ მოვლენებთან, უნდა იყენებდეს საბუნებისმეტყვე-ლო მეცნიერების მეთოდებს, ხოლო ბგერათმეცნიერება, რომელსაც ენის ბგე-რებთან აქვს საქმე, ლინგვისტურ ანუ სოციალურ მეცნიერებათა მეთოდებით უნდა სარგებლობდეს. ამის კვალობაზე ნ. ტრუბეცკოი ბგერათმეცნიერებას სამეტყველო ბგერის შესახებ უწოდებს ფონეტიკას, ხოლო ბგერათმეცნიერე-ბას ენის ბგერების შესახებ — ფონოლოგიას².

ნ. ტრუბეცკოის ფონეტიკასა და ფონოლოგიის ერთმანეთისაგან მოწყვე-ტა პრინციპულად და პრაქტიკულად საე-სებით შესაძლებლად მიაჩნდა³.

როგორია ფონოლოგიის ფუძემდებლის ი. ბოდუენ-დე-კურტენეს, ლ. შერ-ბასა და საბჭოთა ფონოლოგების პოზიცია ამ საკითხში?

ფონოლოგია შეუძლებელია მოწყვიტოთ ფონეტიკას, ისინი წარმოად-გენენ ენის ბგერების შემსწავლელ არა ორს, არამედ ერთს დისციპლინას. მ. ბოდუენ-დე-კურტენე აღნიშნავდა, რომ ფონეტიკა შეისწავლის ყველა ფონე-ტიკურ ფაქტს როგორც ანთროპოფონიკურს, ისე ფსიქოფონეტიკურსაც, ამი-ტომ ფონეტიკა ორ ნაწილად იყოფა: ანთროპოფონიკურად და ფსიქოფონი-კურად.

ლ. შერბას არა ერთხელ მკაცრად დაუგმია ფონეტიკისა და ფონოლო-გიის გათიშვის ცდა. მისი აზრით, ფონეტიკა და ფონოლოგია ერთმანეთზე გადაწეულია განუყოფლად.

ლ. შერბა შრომაში „Очередные проблемы языковедения“ წერს: „რის წინააღმდეგაც ყოველმხრივ უნდა განვაცხადოთ პროტესტი — ესაა ფონოლო-გიის ფონეტიკისაგან მოწყვეტა ამ სიტყვის ვიწრო გაგებით“⁴.

საბჭოთა ენათმეცნიერებმა მ. მატუსევიჩმა, რ. ზინდერმა, გ. ახვლე-დიანმა, რ. ავანესოვმა, ნ. კუზნეცოვმა, ს. ბერნშტეინმა, არნ. ჩიქობავამ, ა. გვოზდევმა, ა. რეფორმატკიმ და სხვებმა პრინციპულ სიმაღლემდე აიყვა-ნეს ფონოლოგიისა და ფონეტიკის ერთმანეთისაგან მოწყვეტის საკითხი და

¹ Де-Соссюр, Курс общей лингвистики, гл. 52.

² N. S. Trubetzkoy, Grundzüge der Phonologie, гл. 7.

³ იქვე, გვ. 17.

⁴ Л. В. Щербя, Очередные проблемы языковедения, ИАН СССР, Отд. лит.

სავსებით სამართლიანად ისინი ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულებას განიხილავენ მათი მთლიანობის, განუყოფელობის ასპექტში.

ამ მხრივ მეტად საყურადღებო შედარება აქვს მოცემული პროფ. გ. ახვლედიანს: ფონოლოგიის ანუ ფუნქციონალური ფონეტიკის შექმნა წარმოადგენს ზოგადი ფონეტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, განვითარებაში ისეთსავე—თუ მეტს არა—მნიშვნელოვან ეტაპს, როგორსაც წარმოადგენდა თავის დროზე ექსპერიმენტული ფონეტიკა¹.

რას ემყარება ფონეტიკისა და ფონოლოგიის განუყოფელობის თეზისი? ამ უდავო ფაქტს, რომ ბგერის ფუნქცია შეუძლებელია მოვწყვიტოთ ბგერის ქონების მატერიას, მის ფიზიკურ ბუნებას.

ნ. ტრუბეცკოისა და მის მიმდევართა იდეალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, უპირისპირებენ რა ფონოლოგიას ფონეტიკას, ამით ბგერის ფუნქციონალურ მხარეს უპირისპირებენ მის ფიზიკურ მხარეს; ფუნქციას წყვეტენ ბგერის „ბუნებით მატერიას“, რომელიც თვით არის ამ ფუნქციის მატარებელი. ნ. ტრუბეცკოისა და მისი თანამოაზრეების მტკიცებით, ფონოლოგიამ უნდა შეისწავლოს ის ფუნქცია, რომელიც ვლინდება ფონემათა დაპირისპირებაში, ვინაიდან ყოველი ფონემა მხოლოდ დაპირისპირებათა წევრია და ამდენად წარმოადგენს იგი ფონოლოგიურ ერთეულს.

ცხადია, საბჭოთა ფონოლოგია ფონეტიკისა და ფონოლოგიის ტრუბეცკოისებურ გაგებას ვერ მიიღებს და სავსებით სამართლიანად იქნა იგი დაგმობილი დისკუსიის მონაწილეთა მიერ.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის ურთიერთობის გასარკვევად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტის გათვალისწინება. დღემდე ცალკეულ ენათა ბგერითი საისტემის შესწავლისას არტიკულაციურსა და აკუსტიკურ მხარესთან ერთად ყურადღება ექცეოდა ფონოლოგიურ დახასიათებასაც, შესაძლებელია არა ისეთი სისრულით, როგორც ეს საჭირო იყო, მაგრამ უდავოა ისიც, რომ ყოველი ენის ფონეტიკის სახელმძღვანელოში ფონოლოგიური მომენტები უთუოდ გათვალისწინებულია; სხვაგვარად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ფონეტიკური კვლევა-ძიება. ამის საილუსტრაციოდ კარგ ნიმუშს იძლევა აკად. ლ. შჩერბას „ფრანგული ენის ფონეტიკა“. ლ. შჩერბამ ამ სახელმძღვანელოს „ფონეტიკა“ დაარქვა და არა „ფონოლოგია“, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასში ვრცლადაა მოცემული ფრანგულ ხმოვანთა და თანხმოვანთა ფონოლოგიური განხილვა. ფაქტია ისიც, რომ ლ. შჩერბას „ფრანგული ენის ფონეტიკაში“ ფრანგული ენის ბგერითი საისტემის ფონოლოგიური განხილვა უფრო სრულყოფილადაა მოცემული, ვიდრე ეს სხვა რომელიმე ენის ფონეტიკის სახელმძღვანელოშია. მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ არა ფონოლოგია მოვწყვიტოთ ფონეტიკას, არამედ საბჭოური ფონოლოგიის განვითარება წავსწიოთ უფრო წინ და ამით ფონეტიკური მეცნიერების თეორიული დონე კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ.

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველი, გვ. 267.

ქართული დიალექტების წარმოთქმის თავისებურებათა შესწავლის ზოგიერთი საკითხი¹

რამდენადაც ნაირფეროვანია ქართული დიალექტების შედგენილობა, ამდენად კიდევ უფრო მრავალფეროვანი და თავისებურია ქართული დიალექტების წარმოთქმის ექსპრესიული მხარე.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავება ჩანს კილოების, კილოკაფების, თქმებისა და ქცევების მიხედვითაც. თითოეულ ამ ერთეულს აქვს წარმოთქმის თავისებური ჩვევები, ბგერათა შეჯგუფების, შერთვისა და შერწყმის თავისებური ტენდენცია, ინდივიდუალური აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებანი და ა. შ.

როგორც ცნობილია, წარმოთქმის სხვადასხვა სტილი ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო ლექსიკურად და სინტაქსურად, არამედ ფონეტიკურადაც².

წარმოთქმა ბგერითი გამოსახულების საშუალებათა მეტად რთულ სისტემას წარმოადგენს.

ენის ან დიალექტის წარმოთქმის თავისებურებათა შესწავლა გულისხმობს არა მარტო ცალკეულ ბგერათა არტიკულაციური თავისებურების შესწავლასა და დადგენას, არამედ მეტყველების ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტების შესწავლასაც, როგორცაა წარმოთქმის რიტმიკულობა, მეტყველების ტემპი, მელოდიკური სტრუქტურა და სხვ.

ქართული დიალექტოლოგიური მასალების შეკრებისას დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა ცოცხალ მეტყველებაში სიტყვის მახვილისა და, საერთოდ, სინტაქსური ფონეტიკის საკითხების შესწავლას. ამიტომ მასალებიც ძალიან მცირე რაოდენობით მოგვეპოვება.

როგორც ცნობილია, არც ქართული სალიტერატურო ენის ორთოეპიის საკითხებია სათანადოდ დამუშავებულნი. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ სალიტერატურო ენის პროვინციალიზმებისაგან გაწმენდის შესახებ. ცხადია, პროვინციალიზმებში იგულისხმება ქართული დიალექტების მიერ სალიტერატურო ენაში შემონატანი აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებანიც. ეპვი არაა, რომ ქართული სალიტერატურო ენის წარმოთქმის უნიფიკაციის საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს ქართულ დიალექტთა წარმოთქმის თავისებურებათა საფუძვლიანი შესწავლა და დამუშავება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე ჩაწერილი და გამოქვეყნებული დიალექტოლოგიური ტექსტები მიახლოებითაც კი ვერ ასახავენ დიალექტთა არტიკულაციურ, აქცენტუაციურსა და ინტონაციურ თავისებურებებსა და ნიუანსებს.

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული ენის კათედრების მეოთხე რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე 1957 წლის მაისში.

² Л. В. Ш е р е в а, Фонетика французского языка, 1948, გვ. 19.

ტექსტებში ჩვეულებრივ მოცენულია დიალექტთა ლექსიკა და გრამატიკული წყობა, მაგრამ წერილობით არაა ასახული დიალექტთა წარმოთქმის ის ძირითადი ატრიბუტები (აქცენტუაციური და ინტონაციური), რომლებიც მოცემულ დიალექტს სულს უდგამს და აცოცხლებს.

ზერელე გაცნობაც კი გურულ იმერულის, ლეჩხუმურ-რაჭულის, ქართლურ-კახურის და მთის კილოების არტიკულაციურ და ინტონაციურ თავისებურებათა და მათი სალიტერატურო ენის წარმოთქმასთან შეპირისპირება ნათლად გვარწმუნებს, რომ მეტად საყურადღებო ინდივიდუალურ თავისებურებებთან გვაქვს საქმე.

წარმოთქმის წერილობით სრულყოფილად ასახვა ყოველი დიალექტოლოგიის ფრიად საპატიო ამოცანას წარმოადგენს.

ამ რთული ამოცანის წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული ქართული ანბანის საფუძველზე სათანადო ფონეტიკური სატრანსკრიფციო ნიშნების დამუშავებასა და გამოყენებაზე. ამ საკითხის დასმისა და დროულად გადაწყვეტის აუცილებლობას დღეს ყველა გრძნობს, ვისაც საქმე ჰქონია ქართული დიალექტების შესწავლასთან.

მაგალითისათვის ავიღოთ ისეთი დიალექტოლოგიური ტექსტები, როგორცაა ბესარიონ გაბუურის „ვეესურული მასალები“, რომლებიც პროფ. ა. შანიძემ თავის დროზე სანიშნოდ გამოსცა¹. თქმა იმისა, რომ ამ მასალებში ასახულია ხევსურული დიალექტის წარმოთქმის თავისებურებანი, არ შეიძლება. ვინაიდან ეს მასალები დაწერილია თვით ბესარიონ გაბუურის მიერ. ავტორს სრულებითაც არ ჰქონდა მიზნად დასახული ტექსტებში სრულყოფილად აესახა წერილობით წარმოთქმის თავისებურებანი. მაგრამ ამ ტექსტებში რომ უნდა ასახულიყო ხევსურულისათვის დამახასიათებელი აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებანი, ეს ჩანს გამომკემლის პროფ. ა. შანიძის შენიშვნების ერთი ადგილიდანაც: „თუ რამდენად დაკვირვებულია ბესარიონი და რამდენად სანდოა მისი მასალები საენათმეცნიერო თვალსაზრისით, რამოდენადმე იქიდანაც შეიძლება გაითვალისწინოს კაცმა, რომ სახელობითი ბრუნვის მახვილიან ონს მოპყვეთს ხოლმე თავის ტანს და მომდევნო ენკლიტიკურ სიტყვას მიაკრავს ხოლმე, რომ ამით წერილობით გამოხატოს გამოთქმის თავისებურება, მაგ., „ჰკდე იქენ“, „ჯაჰე ისცივი“, „ჰარ იხყაჰ“, „მესინაე იხჰვიან“, „ნაჯალ იხვდებოდ“ და მისთ.

ასეთ შემთხვევებში სახელობითის ონი ყველგან აღდგენილია თავის ალაგას და მახვილიც ნაჩვენებია, ხოლო ენკლიტიკური სიტყვა ხაზით არის მახვილიანთა შეერთებული: „ჰკდერ-ქენ“ (205,14,16), „ჯაჰერ-სცივი“ (163,20), „ჰარ-ხყაჰ“ (139,28), „ნაჯალ-ხვდებოდ“ (192,25) და მისთ. სხვათერე ტექსტები დაბეჭდილია უცვლელად ბესარიონის კელნაწერების მიხედვით²...

შეადარებით უფრო უკეთაა ასახული წარმოთქმითი მხარე წერილობით პროფ. ა. შანიძისა და პროფ. ვ. თოფურიას მიერ გამოქვეყნებულ სვანურ დიალექტოლოგიურ ტექსტებში³.

¹ „წელიწდეული“, 1924 წ., გვ. 119—336.

² „წელიწდეული“, 1924 წ., გვ. 336.

³ სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსხემოური კილო, 1939 წ., სვანური პოეზია, I, 1939 წ.

ავტორებს წარმოთქმის თავისებურებათა წერილობით ზუსტად გამოსახატავად გამოყენებული აქვთ ისეთი ფონეტიკური სატრანსკრიფციო ნიშნები, როგორცაა ხმოვანთა სიგრძის, ხმოვანთა დავიწროების ანუ უმლაუტის, სილბოს, სანაღის, მახვილისა და სხვა ნიშნები. ოღონდ აქცენტუაციური და ინტონაციური მხარე არც ამ ტექსტებშია ასახული სათანადო სატრანსკრიფციო ნიშნებით.

როგორც ცნობილია, თავის დროზე იმავე სვანურისა და სხვა ქართველური ენების წარმოთქმის წერილობით ზუსტად ასახვაზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ნ. მარმა¹.

ალსანიშნავია აგრეთვე პროფ. გ. დიუმეზილის მიერ სანიშნოდ გამოქვეყნებული ჰანურის დიალექტოლოგიური მასალები „ჰანური ზღაპრები“². ავტორმა გამოიყენა საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი და შეძლო წერილობით ზუსტად აესახა ჰანურის არტიკულაციური თავისებურებანი. მაგ., მას ჰანური სიტყვები სატრანსკრიფციო ნიშნებით ასე აქვს გადმოცემული: „შ' ო რ“--ორი, ქო გ' ო კ' ე კ--დაიწყეს, გ' ო ნ კ ო ლ უ -- ჩაუკეტა, გ' ო ტ კ ო ჩ ა ფ უ -- გაავადებინა, გ' ე ჯ ა ნ ტ უ -- იწვა, გ' ე ხ თ უ -- ჩამოვიდა, ჩავიდა და სხვ. მისთ. ამ შემთხვევაში სატრანსკრიფციო ნიშნების გამოყენებით ავტორმა ყურადღება გაამახვილა ჰანურის წარმოთქმისათვის დამახასიათებელ თანხმევანთა და ხმოვანთა სილბოზე, მათ მოდიფიკაციაზე. ამ ტექსტებში. ისე როგორც სხვა ქართველურ ენათა დიალექტოლოგიურ მასალებშიც, არაა ასახული წარმოთქმის აქცენტუაციური და ინტონაციური მხარე.

ქართულ ცოცხალ კილოებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მთის კილოები თავისი აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებებით. ამიტომ ბუნებრივია, თუ თავის დროზე შევლევართა ყურადღება მიიპყრო მთის კილოების წარმოთქმის ამ მხარემ.

მთის კილოების აქცენტუაციას, ისე როგორც ამ კილოთა წარმოთქმის სხვა თავისებურებებსაც, პირველად პროფ. ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება.³

მთიულურში აქცენტუაციური თავისებურების გარკვევას სპეციალური წერილი უძღვნა პროფ. არნ. ჩიქობავამ სათაურით „გრძელი ხმოვნები მთიულურში“⁴. ავტორს ის ხმოვნები, რომლებზედაც ტონის მოდულაციის მწვერვალია, შავით აქვს დაბეჭდილი. იგივე გაიმეორა ავტორმა ჰანურის ათინურ ტექსტებშიც⁵.

ქართული დიალექტების აქცენტუაციურ და ინტონაციურ თავისებურებათა წერილობით ასახვის საქმეში განსაკუთრებით დიდ დახმარებას გავე-

¹ იხ. მისი წინასიტყვაობა არს ონიანის: „მეგობარენ ო ბალხარენ ეახელენ იორაჟ“. 1917: „ლუშნუ ამბარ ლგლანხუ შუმი ნინშჳ“, 1917; აგრეთვე წინასიტყვაობა მისივე პატარა ლექსიკონისა: „Извлеченне из сванско-русского словаря“. 1922.

² G. Dumézil. *Contes Lazes*, Paris, 1937.

³ А. Г. Шанидзе, Отчет о летней командировке 1913 г. в Душетской и Тиюнетской уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров, ИАН. 1913. გვ. 1071; მისივე. ქართული კილოები მთაში, „კრებული“ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, 1915 წ., გვ. 113.

⁴ არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში: ტფილისის უნივერსიტეტის მოკვებ. ტ. IV, 1924 წ.

⁵ არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი. 1936 წ., გვ. 42.

წევს აკად. ლ. შჩერბას დიალექტოლოგიური მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა და მის მიერ გამოყენებული ფონეტიკური სატრანსკრიფციო ნიშნების. ზოგჯერ უფრო გაუმჯობესებული სახით, გადმოღება. სამწუხაროდ, აკად. ლ. შჩერბას მემკვიდრეობა ამ მხრით ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

ცნობილია, რომ ი. ბუდუნენ-დუ-კურტენეს დავალებით ლ. შჩერბა მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა აღმოსავლურ ლუეციურ დიალექტს, რომელიც თავისი ნარეობით მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. ლ. შჩერბამ-ამ დიალექტზე ფრიად დიდი მუშაობის შედეგად 1915 წელს გამოაქვეყნა კაპიტალური შრომა „აღმოსავლური ლუეციური დიალექტი, ტ. I. ტექსტებითურთ“, რომელიც ავტორის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა.

ეს ნაშრომი, ერთი მხრით, ჩვენს ყურადღებას იქცევს, როგორც სპეციალური დიალექტოლოგიური გამოკვლევა, რომელიც ემყარება ავტორის მიერ შეკრებილ სანდო დიალექტოლოგიურ ტექსტებსა და მის მიერვე შესრულებულ ექსპერიმენტულ-ფონეტიკურ მონაცემებს. მეორე მხრით, ჩვენთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებოა გამოკვლევაზე დართული დიალექტოლოგიური ტექსტები და მასში გამოყენებული სატრანსკრიფციო ნიშნები. ჩვენი აზრით, დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში იშვიათია ისე სრულყოფილად და ზუსტად ჩაწერილი და გამოქვეყნებული ტექსტები, როგორცაა ლ. შჩერბას მიერ გამოცემული აღმოსავლურ ლუეციური დიალექტის მასალები. სიზუსტის მხრივ თუ რა დიდ მოთხოვნას უყენებდა ავტორი მის მიერ ჩაწერილ ტექსტებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ავტორმა თავისუფლად დაიწყო ლაპარაკი ამ დიალექტზე და ჩაიწერა ტექსტები დიდი რაოდენობით, ტექსტების ადგილზე მეორეჯერ შემოწმებამ დაარწმუნა ავტორი, რომ მასალა ჩაწერილი იყო სავსებით არადაშავდა და დაარწმუნდა. ლ. შჩერბა ამის მიზეზებსაც ასახელებს; მას პირველად არ აქონდა საკმაო გამოცდილება და ამავე დროს არახელსაყრელ პირობებშიც უხდებოდა მუშაობა¹.

ლ. შჩერბას ლუეციურ დიალექტოლოგიურ ტექსტებში წერილობით ზუსტად არის ასახული წარმოთქმის ყველა მხარე. მასში ასახულია როგორც ცალკეულ სიტყვათა, ისე სინტაქსური ფონეტიკის ყველა ძირითადი საკითხი. ავტორი წინასიტყვაობაში გასაღებსაც იძლევა ტექსტების ზუსტად წასაკითხავად. იქვე მოცემულია სატრანსკრიფციო ნიშნების სისტემა ხმოვნებისა და თანხმოვნებისათვის ცალ-ცალკე.

ავტორი განმარტავს: ორი დახრილი პარალელური ხაზი (//) აღნიშნავს პაუზას, ერთი დახრილი (/) ხაზი — ტონის დაცემას. "აღნიშნავს უფრო ძლიერ დინამიკურ მახვილს, ხოლო ' — უფრო სუსტ დინამიკურ მახვილს. — გამოხატავს მუსიკალურ მახვილს, რომელიც შეერთებულია სუსტ დინამიკურ მახვილთან.

ლ. შჩერბა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ტრანსკრიფციაში კითხვითი და ძახილის ინტონაციების გამომხატვას.

ავტორი კითხვითი ინტონაციის გამოსახატავად წინადადების თავში და

¹ Л. В. Щербач. Восточнолуижское наречие. т. I. 1915, гл. XVII.

ბოლოში იყენებდა კითხვით ნიშანს, ოღონდ გადაბრუნებული სახით და ერთ-მანეთის მიმართ პირშეკეულად (j—i).

ძახილის ინტონაციის გამოსახატავად ავტორი მიმართავდა წინადადების თავში და ბოლოში გადაბრუნებული ძახილის ნიშნების დასმას (j—i). ზოგჯერ ერთ წინადადებაში შესაძლებელია მოცემული იყოს ძახილისა და კითხვითი ინტონაცია და მათი სათანადო ნიშნებით გამოხატავს.

ეს ნიშნები წინადადების თავში და ბოლოში იმიტომ ისმება, რომ წამკითხველმა წინადადებას ერთბაშად მისცეს სათანადო ინტონაცია¹.

აკად. ლ. შჩერბა ბევრს ზრუნავდა წარმოთქმითი მხარის წერილობით მოწესრიგების საკითხებზე. მისი შრომები ამ დარგში საყოველთაოდ ცნობილია. მას ამავე დროს სწამდა, რომ უნივერსალური ფონეტიკური ანბანი, რომელიც იდეალურად გამოხატავდეს წარმოთქმას, შეუძლებელია არსებობდეს. მისი აზრით, ანბანი იმდენი უნდა იყოს, რამდენი ენაცაა, ვინაიდან ძნელია ორი აბსოლუტურად იდენტური ბგერა იპოვოს სხვადასხვა ენაში².

ლილავაძის წარმოთქაზა მუშაობის მეთოდების შესახებ

როგორც ცნობილია, დიალექტის ფონეტიკური აგებულების შესწავლის ძირითადი მეთოდია თვითდაკვირვება-საუბრის მეთოდი, ოღონდ ამ შემთხვევაში დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფონეტიკოსის გამოცდილებას. წარმოთქმა-დაკვირვებაში წერტანას. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მიზნისათვის ყელაზე უფრო ხელსაყრელია დიალოგის ფორმის წარმოთქმაზე დაკვირვება. ამ შემთხვევაში უფრო ნათლად ჩანს მეტყველების ბუნებრიობა. სიტყვათშემოქმედება, ფორმების ნაირსახეობა და აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებანი და მათი ბუნებრივობა. ამჟამად თვითდაკვირვებასთან ერთად საშუალება გვქვია წარმოთქმის თავისებურებათა შესწავლისათვის მოვიმარჯვოთ ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდებიც. კვლევის ექსპერიმენტული მეთოდი საშუალებას გვაძლევს, დიალექტის წარმოთქმის თავისებურებებს უფრო ღრმად ჩავწვდეთ და გავაანალიზოთ ისინი. ასე, მაგალითად, ამჟამად დიალექტის წარმოთქმის თავისებურებათა ზუსტად ჩაწერა მოსახერხებელია მაგნიტოფონით. დღეს ბაზარზე ბევრი სხვადასხვა სისტემის მაგნიტოფონი იშოვება. ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით გამოსადეგია სავლე მაგნიტოფონი. ჩვენთვის საინტერესო დიალექტის წარმოთქმის მაგნიტოფონზე ფიქსაციის შემდგომ საშუალება გვეძლევა ყველა საინტერესო საკითხის კვლევა ჩავატაროთ ლაბორატორიის პირობებში. ამიტომ სანდო მასალის მოპოვება და მისი სწორად ჩაწერა, ბუნებრივია, განსაზღვრავს კვლევა-ძიების მთელ შემდგომ მიმართულებას. კარგად შერჩეული და მოპოვებული ექსპერიმენტული მასალა, ექვი არაა, არა ერთი და ორი გამოკვლევის საფუძველი შეიძლება გახდეს.

დიალექტურ ზღვა მასალაში რომ გავერკვეთ და დასახული ამოცანა წარმატებით შევასრულოთ, ამისათვის საჭიროა ადგილობრივი საუკეთესო მთქმელების შერჩევა. ეს ერთ-ერთი რთული ამოცანაა, რომლის წინაშეც დგება ყოველი ჩვენთაგანი, როცა სავლე მუშაობას შეუდგება.

¹ შტრ. О. Н. Никонова, Основы немецкого произношения, 1938, გვ. 26.

² Л. В. Шербва, К вопросу о транскрипции, 1912 г., გვ. 2.

ცნობილია, რომ ყველას წარმოთქმა არ გამოხატავს დიალექტის თავისებურებებს, არ ითვლება ტიპიურ წარმოთქმად. საუკეთესო მთქმელი ის არის, ვისაც დიალექტისათვის დამახასიათებელი ტიპიური წარმოთქმა აქვს და ამავე დროს მკაფიო და გამომეტყველია მისი წარმოთქმა. მთქმელის წარმოთქმას არ უნდა ახასიათებდეს ოდნავ ორგანული ან ფუნქციონალური დეფექტი.

მთქმელმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იცოდეს ჩვენი ენათმეცნიერული მიზანი, რისთვის ვესაუბრებით მას, ან რისთვის ვწერთ მის მეტყველებას.

მთქმელი რომ ბუნებრივ პირობებში ჩავაყენოთ, ამისათვის საკიროა მასთან დაახლოება. მთქმელს სანამ „უცხოლ“ მიაჩნხარ, იგი ენაში ბევრ რაიმეს შეგნებულად ასხვაფერებს თუ ამახინჯებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი დეტალი აკად. ლ. შჩერბას დიალექტოლოგიური მუშაობიდან. იგი აღნიშნავს: მე თანდათანობით დავუახლოვდი რამდენიმე გლეხის ოჯახს, ვებმარებოდი მათ კარტოფილის თხრაშიც, რისთვისაც გასამრჯელოსაც ვიღებდი და ამით ვცდილობდი, მათ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან ახლოს ვყოფილიყავიო.

ასევე სასვებით მართალია პროფ. ა. ბელიჩი, როცა იგი წერს: „Сколько труда и усилий нужно для того, чтобы заставить человека крестьянина говорить своим обычным языком и не поргить его умышленно“¹, ან კიდევ „Я не знаю,— წერს იგი,— где бы требовалось столько прашденного такта и осторожности, как в этом деле“².

სასურველია, რომ მთქმელი ორი სახის გვეყავდეს. ერთი, რომლისაგანაც მასალას ვიწერთ, და მეორე, რომელიც დაგვეხმარება ჩაწერილი მასალის ადგილზე შემოწმებაში. რა თქმა უნდა, ამისათვის საკირო მონაცემებიც უნდა ჰქონდეს მთქმელს.

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებათა საილუსტრაციოდ მე მიიღია მოვითხროთ ერთი ჩემი ექსპედიციის შესახებ. ექსპედიციის მიზანი იყო მთის კილოების წარმოთქმაზე დაკვირვება.

ყაზბეგში ყველაზე უფრო ტიპიური წარმოთქმის მქონენი აღმოჩნდნენ ალექსი ჩოფიკაშვილი და გოგი ბურდული. ორივე ყაზბეგში დაბადებულია და აღზრდილი ადგილობრივ კილოზე. მე ბედნიერი შემთხვევა მომიცა იმ მხრივაც, რომ ეს ორი ახალგაზრდა თითქმის ერთი თვის განმავლობაში ჩემთან იყო. მათგან ვიწერდი მასალებს, ერთად ვმოგზაურობდით ახლომახლო, თუ შორეულ სოფლებში და ამით საშუალება მეძლეოდა ჩამეწერა მათი ურთიერთ შორის საუბარი მაშინ, როდესაც ისინი სრულიად ბუნებრივ პირობებში იყვნენ ჩაყენებული. გარდა ყაზბეგის ახლომახლო სოფლებისა, წარმოთქმაზე დაკვირვება ჩავატარეთ კარკუჩაში და ჯუთაში (ხევსურულ წარმოთქმაზე).

როცა კარკუჩას ვუახლოვდებოდით, ერთი მთქმელი მეუბნებოდა: „კარკუჩალები ცოტას წაიკვესურლებენო“. ისიც დაამატა, რომ „დედაჩემი აქაველიაო“³.

¹ А. И. Белич, Мысли о собирании диалектологического материала, Изв. Отд. русс. языка и словестности имп. АН, 1913 г., т. XVIII, кн. I, стр. 232.

² იქვე, გვ. 234.

³ როცა დედამისი სახლს შივადქვით, სახლში არავინ აღმოჩნდა, სამუშაოზე წასულიყვნენ. მაშინ მთქმელმა იხუმრა: „წიწილის დამკლავიც არ ჩანსო“.

ექსპედიციაში ყოფნისას დაკვირვება ვაწარმოეთ აგრეთვე მთიულურის ნეტყველებაზე სოფლებში: მლეთა, ქვეშეთი. ნალორევი, ნადიბანი, ხარხეთი. ჟოჟონი და გვიდაქე.

პირველ ყოვლისა, შევხებით ცალკეულ ხშულთა წარმოთქმისა და სიტყვაში ორი ხშულის შეერთებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს. ამ მხრივ. მთის კილოები უთუოდ საყურადღებო ახალ მასალას იძლევიან.

ცნობილია, რომ ხშულთა წარმოთქმისას სხვადასხვა ენაში იმპლოზია-ექსპლოზიას მეტ-ნაკლები ენერგიულობა ახასიათებს, ან კიდევ სიტყვაში ორი იშულის შეერთებისას (tk) შეიძლება ექსპლოზია ახასიათებდეს როგორც პირველ, ისე მეორე ხშულსაც (როგორც ეს, მაგალითად, რუსულშია: актер), შეიძლება ზოგ ენაში პირველმა ხშულმა დაკარგოს თავისი საკუთარი სკდომა ამ კომპლექსში (როგორც ეს, მაგალითად, ინგლისურშია: actor)¹.

ქართული სალიტერატურო ენისათვის პროფ. გ. ახვლედიანის მიერ დადგენილია, რომ, თუ კომპლექსი დეცესიურია, მაშინ წარმოთქმის მიდრეკილება ერთეამიერობისაკენაა და ამიტომ ასეთი კომპლექსები წარმოითქმებიან არა ორჯერ ხშვითა და ორჯერ სკდომით, არამედ ერთეამიერად. ერთჯერ ხშვითა და ერთჯერ სკდომით; კერძოდ, პირველი ხშული კარგავს თავის სკდომას, ისე როგორც ეს ინგლისურშია. რაც შეეხება ქართულ აქცესიურ კომპლექსებს, მასში შემავალ ხშულებს თავათვისი აქვთ იმპლოზია-ექსპლოზიის მომენტები².

მოხუერში ხშულთა წარმოთქმას განსაკუთრებული ენერგიულობა ახასიათებს შედარებით ლიტერატურული და ბარის კილოებში წარმოთქმისთან. იმპლოზია-ექსპლოზიის მომენტები ხშულებში იმდენად ენერგიულია, რომ შესამჩნევი ტკაცანის თანხლებით წარმოითქმებიან ისინი.

როგორც ცნობილია, მოხუერში და, საერთოდ, მთის კილოებში ჯარი შემონახულია და ფარინგის აქტიურობაც მთის კილოებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია დღეს. ხშულები ჯჱ, გქკ, ჯჩჰ, ძცწ, დტრ და პფჰ აქცესიურს კომპლექსებში. მახვილიან ხმოვანთა წინ წარმოითქმებიან კანსაკუთრებით ძლიერი დამართვით, მაგ.: „ქული დამიქნია ალექსიმმა, ვაჯალე მაშინვე თოფი... ეგრე წამოიდეს ჯიჭვებში ქოთივე. ალექსისაკე, როგორც დაბარებულები... ალექსიმმა აჯალა თოფი... ოთხი-ხუთის ჯლახე, სამი მაქლა“.

ამ პატარა ნაწყვეტში, გარდა იმისა, რომ ე მახვილიანი ა-ს წინ (ვაჯალე, აჯალა) განსაკუთრებული ენერგიულობით წარმოითქმის, აქცესიურ კომპლექსებშიც კვ (ჯიჭვები), ჯლ (ჯლახე) ე იმავე აქუსტიკურ შთაბეჭდილებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ჯლ და კლ აქცესიურ კომპლექსებში ლ-ც საგრძნობლად მაგარია: მაქლა, აქლია, კლოვ. კლდე. „კლდეში“ კ-სა და ლ-ს შუა დაყოვნება დამართვისას იმდენად საგრძნობია, რომ ხეცურულში მათ შორის პარაზიტული o განვითარებულა: კილდე. (შდრ. გლ კომპლექსის წარმოთქმა საკუთარ სახელში: გლახაი).

ჯლ აქსეციურ კომპლექსშიც იგივე აქუსტიკური შთაბეჭდილება გვაქვს, მაგ.: ჯლდე—მთის სახელწოდება: „ეს ქიშტები დარიალას რო გასცდეს, ჯლეს შეეფარნეს“. „შვიდ ნეფესა გაჯლომია ურთიერჩი ბქობა“, „ისრი როგორღაც

¹ Г. П. Торсуев, Фонетика английского языка, 1950, გვ. 18.

² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949 წ., გვ. 108.

მაკდა, რო სიკვდილი თავადვე უძახობდა... „რამ და მაკდა და რამ ჩაიღინეს იქა, არ ვიცი...“ „მე რო იმასთან ვთამაშობდი, ქეთოს ბრაზი მაზდიოდა. იმის გულიც არ ვაწყენინე და ისაც კი გადმოვიკვდინე“. „ალექსი გადაჯდა პირველად და ორი დაღ ნაფიცო რო ათამაშა, მამრე თავისი შეყვარებული არ გადიკვინა!“

ბავშვი ღობეზე ასულიყო, ძირს ვერ ჩამოსულიყო და ტირილით იძახდა: „ჩამამაჯღრნე! შდრ. ხევსურული წარმოთქმით: წყალს გავჯღ, „ქიდს გავჯღ“ (ჯუთა). ჯღ აქცესიურ კომპლექსში ასევე საყურადღებოა ის, რომ ასიმილაცია არ წარმოიშვება არც ერთ შემთხვევაში. ასიმილაციას ამ შემთხვევაში ხელს უშლის კომპლექსში შემავალი თითოეული ბშულის საკუთარი ენერგიული იმპლოზია ექსპლოზია. სოფლის სახელწოდებაში „ცლო“ ღ ინარჩუნებს სრულ მელერობას ყრუ ფშენიერი ც-ს უშუალო მეზობლობაში.

ჩვენი დაკვირვებით, მოხეურში წარმოთქმული ყ ფარინგალურია (ყანწაი, ყინჩად, ყინვარი, ყახბეგი, ყუროს მთა და სხვ. მისთ.) და არა უგულარული, როგორც ეს ლიტერატურულ წარმოთქმაშია¹.

აქცესიურ ყღ კომპლექსში ასევე გამოირჩევა განსაკუთრებით თითოეული ბშულის იმპლოზია-ექსპლოზიის ენერგიულობა, შდრ. ყღა, საყღარი და სხვ. მისთ. აღსანიშნავია, რომ ამ მიზეზით არც ამ კომპლექსში წარმოიშვება ასიმილაცია მოხეურში. ეს ფონეტიკური წესი კღ კომპლექსშიც უშლის ხელს ასიმილაციის წარმოშობას: „ყუროს კღეებჩი გადავა, ჩაუსაფრდება ჯიჭვსაო...“

ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ მოხეურში და, საერთოდ, მთის კილოებში ბშულთა წარმოთქმის მოქმედი ფონეტიკური კანონის შედეგად არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება, რომ გ აბსოლუტურ ბოლოში ყრუედებოდეს და კ-ღ იქცეოდეს, როგორც ამას სალიტერატურო ენასა და ბარის კილოებში აქვს ადგილი. მაგ.: დაღეგ (შდრ. ლიტ. დაღექ); დაღგე (შდრ. ლიტ. დაღექი), მიღეგ-მოღგე (მოხეური) და სხვ.

გძ, გჩ და გღ აქცესიურ კომპლექსებშიც წარმოთქმის იგივე კანონზომიერება გვაქვს, რაც ზემოთ აღვნიშნეთ: საგძარი, შირაგჩი, საგღარღე („კარების შიგნიდან ჩასაკეტი“) და სხვ.

ამ ფონეტიკური წესის გამო არც ღ ყრუედება აბოლუტურ ბოლოში: „ავად იყო“, „დაღ ნაფიცო“, „ღიდ მთასაც შავად დაეხურავთ, მზემ არ დაევიკრას მცისამა“ და სხვ. (შდრ. წარმოთქმა: ავათ, შავათ, დათ და სხვ. მისთ)- მოხეურში ღჩ კომპლექსი თავისუფლად წარმოთქმის ასიმილაციის გარეშე: „ღედას ში ფერღი მაჭვედა ტყვია“ (ლაპარაკია ღედალ ჯიხეზე).

რაც შეეხება პარამონიულ კომპლექსებშიც ბშულთა წარმოთქმას, მთის კილოებში ამ შემთხვევებშიც შეიმჩნევა ლიტერატურული ენისაგან განსხვავებული ნორმა. კერძოდ: ღღ, თხ, ტყ; ძღ, ცხ, წყ; ჯღ, ჩხ, ქყ დეცესიურ კომპლექსებში შემავალ ბშულთა იმპლოზია-ექსპლოზია წარმოთქმის განსაკუთრებული ენერგიულობით ხასიათდება. ამიტომ სალიტერატურო ენაში ამ კომპლექსებისათვის დამახასიათებელი საურთიერთო პალატალიზაცია მთის კილოებისთვის უცხობა.

მაგ.: ღღ: „თამაშობაში ერთი დაველლოშნე“, „მაშინვე გადაეხვივნა და ჩადღღოშნა“.

¹ იხ. ჩვენი: ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 134.

თხ: „ართხმო“ (სოფელია), „ართხმოს წყალი“.

ტყ: „დავტულოშენ“ (=ჩავეკონენ).

ჩხ: „ძალსა არ დეეკირა გერთი თათარი და ჩხარდა და ჩხარდა“.
„სამმა დობტურმა გამჩხლიკაო“, ამბობდა ას ხუთი წლის ვახა სუ-
ჯაშვილი.

ქვ: „კოქეები“ (=ხბოები), „ბაქეისას მივრდეთ“, „გალაქეებულ“
(=ატალახიანებული, ტალახიანი).

ხმოვანთა წარმოთქმაში განსაკუთრებით აღსანიშნავია მოხეურში უმლა-
უტიან ხმოვანთა ტიპის ჩამოყალიბების ტენდენცია. მაგ. მოხეურ „მამრე“-ში
(=მემრე) ა-ს წარმოთქმა უფრო უახლოვდება უმლაუტიან ა-ს, ვიდრე ჩვეუ-
ლებრივ ა-ს (შდრ. ხევს. მემრ.): „მამრე წამოვიდა ზევისაკენ ყორანი“...

„მამრე კი, როგორც ჩვენი ადათ-ჩვევა იყო, —უფროს დავუძახეთ“.

უმლაუტიანი რ წარმოითქმის შემდეგ სიტყვებში: „ჩვენ კი პაიქ-ბან
დულნი უნა გრგეჯადა“, „დრგოძახეს“ (=დაგვიძახეს). „კული ჩა-
მოუნრსკე ცხენსა თორრ, წყალჩი რო გავალით, დრგოსველებს. მაიტა ქის-
ტურად ჩამოუნრსკავ“... „ბატკანი დრგოკლა“ (=დაგვიკლა). „დავალა-
ყრე“ (=დავალბე) —დალაყრება—დალბობა ტყავეულისა და ა. შ.

უმლაუტიანი უ წარმოითქმის შემდეგ სიტყვებში: „ქუთკირი“, „ქა-
ლებთან ჩხუბი სირცხულია“, „გაგრაი კარტხანის თავა სულტი სთესია“
(=სვილები). „წუტკუტილი“ (=წისკვილი) და სხვ. მის.

აქვე შევეხებით მთის კილოების აქცენტუაციისა და ინტონაციის ზო-
გიერთ საკითხს.

ხევსურულს, მოხეურსა და მთიულურს, აქცენტუაციის მხრივ, ბევრი
საერთო აქვთ, მაგრამ არის ისეთი მომენტებიც, რომლებიც თითოეულ მათ-
განს ინდივიდუალურ სახეს აძლევს და ამის მიხედვით აქცენტუაციის შედეგად
განსხვავებულია.

ამ მხრივ, საერთოდ მთის კილოებს, მართალია, ნაშთის სახით, მაგრამ
მაინც ბევრი ისეთი თავისებურება შემოუნახავს, რომლებიც ბარის კილოებში
დღეს უკვე დაჩრდილული ან სრულებით გაქრალია.

ტიპოლოგიურად მთის კილოებში მოქმედი მახვილი ტონის მოდულა-
ციაზეა დამყარებული, რომელიც ამავე დროს შეერთებულია სუსტ დინამიკუ-
რობასთან. ოღონდ დინამიკურობის მომენტი უფრო ძლიერია ხევსურულში.
ნაკლები სიძლიერისაა მოხეურში და კიდევ უფრო სუსტია მთიულურში. ეს
მოსაზრება მახვილის მოქმედების შედეგებითაც დასტურდება, მაგ.: ხევს. „ერთ-
მონადირე ყოფილყყ, ის ერხან“ (=ერთხელ) სანადიროდ წასულყყ-
შრდ. მთიულური: „ის კაცი მონადირე ყოფილყყ“. მოხ. —ცოტაი წამთვრალ-
ყოფილყყ და მისძინებყყ“.

ამ შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ხევსურულში იმდენად ძლიერია
დინამიკურობის მომენტი, რომ ბოლო თ ხმოვანი თანხმოვანდ იქცევა წინა-
მაგალ მარცვალზე მახვილის დასმის გამო. ეს ასე არაა მოხეურსა და მთი-
ულურში.

თუ რომელ მარცვალზეა მახვილი მთის კილოებში, ამ კითხვაზე შეგვიძ-
ლია დაბეჯითებით ვუპასუხოთ, რომ იგი ძირითადად ბოლოდან მეორე მარც-
ვალზე მოუდის სიტყვებს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მახვილი ბო-
ლო მარცვალზეა ზოგჯერ. მაგ., უფორმო სიტყვებში: მა შ შ, თ ო რ რ, მა შ ნ ნ.

მამრე და სხვ. კავშირებითის ფორმებში: წაიღას (= წაილოს), მიმართვის ფორმებში: რაი გინღათ, რაი გიყიღათ! და სხვ. მისთ.

ზოის კილოებში მახვილს ამავე ღროს სინტაქსური მარგანიზებელი ძალა აქვს. მაგ. მთიულ. „ცხორში გადიღორ ვარ“, „არ ეყოფრღვარ“, „შინ ლივღორვარ“. „კიღურაის არღ შკამს“ (პურისა), „ჯორთვკე“— ეს კომპოზიტი მიღებულა აქედან: ჯვართ ვაკე. მახვილი აქ სიტყვათა გამაერთიანებელი ჩანს.

ზენოთ გარჩეულ ხევსურულ მაგალითებში: „ჯაკერ--სკმიე“. „ქარ-ხყავ“ და მისთანებში ჩინებულად ჩანს მახვილის სინტაქსური ძალა.

ჩვენი აზრით, მახვილის მარგანიზებელი ძალა მთის კილოებში იმაშიც ჩანს, რომ ფრანის ბოლოს მოქცეული სიტყვის მეორე მარცვალზე მახვილი ყველაზე უფრო გამოჩინებულად ისმის. მაგ.:

„წავიღა ჩვენი ფრშტა“. როცა შეეცვალეთ წინადადების წევრთა წყობა, მაშინ მოქმედმა ასე წარმოთქვა: „ჩვენი ფრშტა წავრღა“, „ქანტორა იქ არი ჩქენი“, „მთვარე როცა ტყვის ფრად იქტირება, ავიღარი რცის“, „ამ წყალს ჩვენ არაგვს ვტყვით“, „მეჯავრება ყინვარი, ერთი ღუნია კაცი დანტკა“, „ჯარები იღვის ქვენას“, „ძმა იყო ჩემი“ (შღრ, „ჩემი ძმა იყო და სხვ. მისთ.). ეს საკითხი კიდეც დამატებით შეწავლას მოითხოვს, ვინაიდან არის შემთხვევები, როდესაც ეს წესი ირღვევა. შღრ. არნ. ჩიქობავა: „ტონურ მახვილიანი სიტყვები (ქანურის ათინურში—ს. ე.) აქა-იქ ურევია, ისიც ზოგს ფრანაში. ამ მარიაეც ეს მოვლენა მთიულურ „გრძელ ხმოვნებს მოგვაგონებს“ (ქან. გრ. ანალოზი, გვ. 42).

განსაკუთრებით იქცეეს ყურადღებას ის გარემოება, რომ მეორე მარცვალზე მახვილის დასმის ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ, თუ ბოლოდან მარცვალთა რაოდენობა გაიზრდება, მახვილი ისევ მეორე მარცვალზე გადაინაცვლებს, ან კიდეც, თუ ბოლო მარცვალი მოიკვეცება, მაშინ მარცვალი წინ, მეორე მარცვალზე გადმოიწევს, მაგ. კალო, მაგრამ კალოში (კალოში ცხორს პარსავღენ“), გვიღსქე, მაგრამ: გვიღაქელი, ყვეღსნი (სოფლის სახელია), მაგრამ მთას ქქვია: „ყვეღათ მთა“, „არაფერი“, მაგრამ „არაფერს“, „ქვეშეთი“, მაგრამ „ქვენას“ და სხვ. მისთ.

ასევე საინტერესოა კითხვის გამომხატველი ინტონაცია. ამ მიზნით ჩვეულებრივ ემატება კითხვის ა, ოღონდ მახვილი ისმის ბოლოდან მეორე მარცვალზე, მაგ. „ყაჩაღდა?“ (=ყაჩაღად?), „ვინა?“ (=ვინ?), „დიღხანსა“ (=დიღხანს?), „რომენი?“ (=რომელი?), „არ გინდა შტენღა? (ეკითხება მეურმეს, რომლის ურემიც აღმართში ვერ აღის), „რაი ეშმაკაი მაგივიღა?“ „შეა (=შე?) (ჯუთა), საღ მრვას ენათელსმე? (ჯუთა).

ჩემს კითხვაზე, თუ ეს პატარა ბიჭები რატომ ეწევიან, ის შემეკითხა: პაპირღსა? (მღეთა). ამ მხრივ საყურადღებოა პროსოდიული ა-ს დამატება ბოლოში სიტყვებისათვის და მახვილის დასმა ბოლოდან მეორე მარცვალზე, მაგ. „ეს ქაღები წამოვიღეს ყაზბეღსა“; კითხვაზე: შენ საით მისღრნარ? პასუხი იყო: ჯუთსა.

კითხვაზე: ვისი წითელი ძროზა დაღის ყანაში?

პასუხი—იმედათა (იმედასი). „ჩეეტანა ღუშთსა“.

კითხვაზე: ნიკო საღ მიხვალ!—აქით—ზევრთა (შღრ. ზევით).

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ეს პროსოდიული ა ტონის მოძრაობის გამართვისა და დასრულებისათვის იყოს საჭირო.

მთის კილოებში თავისებურია მიმართვისა და ძახილის ინტონაციაც: მაგ.: ჯუთაში საკუთარ სახელს „მიხეილ“ მიმართვაში წარმოთქვამენ: მიხრელ! (შდრ. გაბრელ!) „შენი კენესამე!“ (მლეთა) (შდრ. ლიტ. შენი კენესამე) „რაი ბედენა!“ „ქვა ბედენა არი!“ (ვინ იცის, რას იწონისო!). „ნასყრ და! სპიჩკაი არა გაქჟჷ“ „გივრგი მააცქირე!“ (=გიორგი გამოახედე), „რას ბრძანებთ!“; „აჰა, ძალებმა არ დაგგლიჯას. წკებლავა წაიყვანლე“, „უთხრადი, უთხრადი, ჩამაიარას!“ (ჯუთა), და სხვ.

ამ მცირე შენიშვნების მიხედვითაც ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მდიდარი დიალექტების წარმოთქმის თავისებურებათა შესწავლას. ამ მიმართულებით დიალექტოლოგთა მუშაობა უნდა გაძლიერდეს.

1958 წ.

ზოგიერთი სიახლე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის.
ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო-კვლევით
ლაბორატორიაში

I. პნევმო-ოსცილოგრაფია

ჩვენს ლაბორატორიაში პირველად საბჭოთა კავშირში კონსტრუირებულია მეტყველების ფოტო-გრაფიკული მეთოდით ჩამწერი აპარატი, რომელიც ცვლის კიმოგრაფს.

როგორც ჩატარებული ცდებით დადასტურდა, ჩვენ მიერ მიღებულ პნევმო-ოსცილოგრაფას კიმოგრაფსთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობა აქვს იმის გამო, რომ მექანიკური ბერკეტი შეცვლილია ფოტოოპტიკური საშუალებით. ჩაწერა წარმოებს შლეიფიანი ოსცილოგრაფით (МПО—2 ან უფრო გაუმჯობესებული ტიპის Н—102) კინოფირზე ან ფოტოოსცილოგრაფიულ ქალაღზე.

ცნობილია, რომ ჩვენი წარმოქმნის პნევმატიკური ჩანაწერები კიმოგრაფულ მრუდებზე ვერ ასახავენ ჰაერნაკადის რხევებისა და საწარმოთქმო ორგანოების დაქიმულობის ხარისხიანობის სრულ სურათს. ერთი ნაწილი რხევებისა რეგისტრაციის გარეშე რჩება ისეთი მექანიკური საშუალებების გამოყენების გამო, როგორცაა გამურულ ქალაღზე ჩამწერი კალმის სუსტი მოქმედება და სხვა მექანიკური დაბრკოლებები.


ამიტომ არც ისე დიდი ხანია, რომ მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიებში გადავიდნენ მეტყველების ელექტროაკუსტიკურ ჩაწერებზე მიკროფონისა და შლეიფიანი ოსცილოგრაფის გამოყენებით.

შლეიფიანი ოსცილოგრაფით ჩაწერის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ჰაერნაკადის რხევები, რომლებიც წარმოიქმნებიან საწარმოთქმო აპარატში, გადაეცემა მიკროფონს, სადაც ეს რხევები გარდაიქმნებიან ელექტრორხევებად და გადაეცემა ამის შემდეგ მაგნიტურ ველს (არეს), რომელშიც მოთავსებულია შლეიფი. შლეიფის ცენტრში პატარა სარკეა დამაგრებული, რომელიც არეკლავს მისკენ მიმართულ სინათლის სხივს და პრიზმისა და სარკის რთული სისტემა სხივს აგზავნის ფოტოფირზე¹, მაგრამ ოსცილოგრაფის გამოყენებას მეტყველების გრაფიკული მეთოდით შესწავლისათვის არსებითი ნაკლოვანებანიც აღმოაჩნდა. ამ ნაკლოვანებათა შესახებ თავიანთი მოსაზრებანი ნათლად ჩამოაყალიბეს დოც. ი. სუნცოვამ, ლ. პროკოპოვამ და ვ. სკვორცოვამ. ეს ავტორები სწორად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ

¹ И. П. Сунцова, Л. И. Прокопова, В. А. Скворцов, К вопросу о применении шлейфового осциллографа в экспериментально-фонетических исследованиях, Киевский государственный университет им. Т. Г. Шевченко, XII научная сессия, тезисы докладов (ცალკე ამონაბეჭდი).

ოსცილოგრაფიულ ჩანაწერებში ძნელია ბგერებს შორის საზღვრის დადგმა, ვინაიდან ოსცილოგრაფი გარდამავალი ბგერების ფიქსაციასაც აწარმოებს¹, მაშინ როდესაც ბგერებს შორის საზღვრის დასადგენად გაცილებით უფრო გამოსადეგია პნევმატიკური ჩანაწერები. ხსენებულ ავტორები, ითვალისწინებენ რა პნევმატიკური და ოსცილოგრაფიული ჩანაწერების დადებითსა და უარყოფით მხარეებს, საბოლოოდ ასეთ დასკვნას იძლევიან: „ორივე აპარატი მეტყველების რეგისტრაციისათვის მთავარი და აუცილებელი მოწყობილობაა ენათა ბგერების სისტემების კვლევისას“².

ჩვენ წინაშე საყვებით ბუნებრივად დაისვა კითხვა, ხომ არ შეიძლება პნევმატიკისა და ოსცილოგრაფის კომბინირებული გზით შექმნა ისეთი აპა-



სურ. 1

რატისა, რომელიც თავიდან აგვაშორებდა პნევმატიკური და ოსცილოგრაფიული ჩანაწერების ნაკლოვანებებს.

ასეთი აპარატი მართლაც შექმნა თედორე ნიკანოროვა³. მან ოსცილოგრაფის შლიეფი გადააქეთა შემდეგგვარად: შლიეფს მოაცილა მაგნიტი და ელექტრონული მონტაჟი, დარჩა მხოლოდ საფუძველი, მონტაჟ-ჩონჩხი ოპტიკური ლინზით (პატარა სარკით). განთავისუფლებულ ადგილას მან ჩასვა მარეის კაფსული, რომელსაც რეზინის მეშვეობით აქვს გადაკრული და რომელიც დაკავშირებულია ამრეკლავ პატარა სარკესთან. ეს უკანასკნელი დამაგრებულია ბრინჯაოს საკიდარზე.

№№ 1, 2 და 3 სურათების მიხედვით შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიით გადაკეთებული შლიეფის სქემის შესახებ:

- 1—მარეის კაფსული
- 2—პატარა ბერკეტი
- 3—მონტაჟისა და ჩონჩხის საფუძველი
- 4—პატარა სარკე

¹ И. П. Сунцова, Л. И. Проколова, В. А. Скворцов, К вопросу о применении шлейфового осциллографа в экспериментально-фонетических исследованиях, Киевский государственный университет им. Т. Г. Шевченко, XII научная сессия, тезисы докладов (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 5.

² იქვე.


³ სათანადო შლიეფები თ. ნიკანოროვა ლენინგრადში დაამზადა. იგი სპეციალური მივლინებით მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში მუშაობდა ჩვენი უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში.

5—ბრინჯაოს საკიდარი

6—ლინზა


7—პატარა მილაკი, რომელიც იღებს ჰაერნაკადის რხევებს ყელის კაფსულიდან და ამბუშურიდან.

№ 4 სურათზე ნაჩვენებია ამბუშურის ფორმა. იგი გამოყენებულია პირის ჰაერნაკადის რხევების მისაღებად, ოღონდ მას დამატებული აქვს ჰაერნაკადის



სურ. 2

კადის მარეგულირებელი ხრახნი (1) და რეზინის საცობი (2), რომლებიც ზედმეტი ჰაერის გამოშვების საშუალებას იძლევიან.




სურ. 3

№ 5 სურათზე მოცემულია ხორხის კედლების რხევების მიმღები, ე. წ. ყელის კაფსული. იგი შედგება მემბრანაგადაკრული ორი (მარჯვენა და მარცხენა) კაფსულისაგან (1), რომლებიც შეერთებულია ორკაპა რეზინიან მილაკთან (2).

№ 6 სურათი წარმოადგენს დროის აღმნიშვნელი პნევმო-ელექტრომაგნიტური გადაცემის სქემას. იგი შედგება ელექტრომაგნიტური კოქისაგან (1),


ლუზა-ვიბრატორისაგან (2), პნევმოკაფუსულისაგან (3) და პნევმატიკური რეგისტრატორის გადამცემისაგან (4).

მუშაობის პროცესში შესაძლებელი შეიქნა კიდევ ერთი სიახლის შეტანა კონსტრუირებულ აპარატში: ამბუშურის შიგნით ჩასმულ იქნა მიკროფონი



სურ. 4

ისე, რომ ერთდროულად, პარალელურად მოეწყოა ელექტროაკუსტიკური და პნევმატიკური ჩაწერა და ამის შედეგად მივიღეთ პნეიმო-ფლიქტრო-ოსცილოგ-




სურ. 5

რამა, რომელიც უთუოდ ახალ მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ექსპერიმენტულ ფონეტიკაში. პნევმო და ელექტროაკუსტიკური სინოპტიკური ჩანაწერები საშუალებას გვაძლევს ამ ორი მეთოდის ურთიერთკონტროლისათვის. გარდა ამისა, საანალიზო მასალა ერთდროულად იწერება მაგნიტოფონ-ზედაც (МАГ—8). ეს კიდევ საშუალებას იძლევა საანალიზო მასალის სწორად ჩაწერისა და წარმოთქმის შემოწმებისათვის.

ამჟამად ჩვენს ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში 500-ზე მეტი სიტყვაა ჩაწერილი და გაანალიზებული ამ მეთოდით. მიღებული შედეგების მიხედვით გამოირკვა, რომ პნევმო-ოსცილოგრამა წარმოადგენს გაუმ-


ჯობესებულ საშუალებას მთელი რიგი ძირითადი ფონეტიკური საკითხების კვლევისათვის, როგორცაა: ქართული სპეციფიკური თანხმოვნების, ე. წ. ყელზშულების (ანუ აბრუპტივებისა) და ფარინგალების შესწავლა, ქართულ-ქართველური ჰარმონიული და არაჰარმონიული კომპლექსების (დეცესიურისა და აქცესიურის) ბუნების გარკვევა, მარცვალთვასაყარის საკითხის კვლევა, თანხმოვანთა და ხმოვანთა ხანგრძლივობის, ძლიერი, რბილი და ფშვინვიერი შემართვა-დამართვის შესწავლა და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ღღემღე ვერ იქნა და ვერ მივიღეთ ქართული სპეციფიკური მკვეთრი თანხმოვნების ანუ აბრუპტივების (პ ტ წ კ ყ ს) და მკვეთ-




სურ. 6

რი ჰარმონიული კომპლექსების (ტყ, წყ, ქყ-ს) სასურველი ექსპერიმენტული მონაცემები. იმის გამო, რომ აბრუპტივები წარმოითქმინან პირის სუსტი ჰაერნაკადით, პირის მრუდზე ჩვეულებრივ უმნიშვნელო მოძრაობა აღინიშნებოდა,



სურ. 7. პაპა ქიქა (გ. დოლიძის ნიხედით: ელექტრო-კიმოგრაფია)

ყელის მრუდი კიდევ ვერ ასახავდა სრულ სურათს ხორხის მოძრაობისა და მისი დაქიმეულობისას, რომელიც შეინიშნება აბრუპტივთა ყელზშვის დროს.



სურ. 8. პაპა ქიქა (პნეემო-ოსცილოგრაფია)¹


ამ მხრივ დოც. გ. დოლიძის მიერ ელექტრო-კიმოგრაფიული მეთოდით ჩაწერილი აბრუპტივთა ექსპერიმენტული მონაცემებიც ვერ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი².

¹ პირველი (S) და მეოთხე (L) მრუდებია პნეემო-ოსცილოგრაფისა, მესამე (S) და მეოთხე (L) — ელექტრო-ოსცილოგრაფისა, მეხუთე მრუდი დროის აღმნიშვნელია.

² გ. დოლიძე, К вопросу об артикуляционных аберутивах (смыслов-гортанных) в грузинском: Филологический сборник, I, თსუ-ს გამოცემა. გვ. 415—420.

ამეამად ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. პნევმო-ოსცილოგრამა აბრუპტივთა არტიკულაციას საუცხოოდ ასახავს:

პ და ტ-ს ელექტრო-კიმოგრაფიული მრუდების (ნახ. 7) შედარება პნევმო-ოსცილოგრაფიულ მრუდებთან (ნახ. 8, 9, 10) ნათლად გვიჩვენებს, თუ



სურ. 9. ტ ზ (პნევმო-ოსცილოგრამა)

რამდენად უფრო გაუნჯობესებულად და სრულყოფილად ასახავს აბრუპტივ პ და ტ-ს ბუნებას ანევმო-ოსცილოგრამა.


სურ. 11 მოცემული პნევმო-ოსცილოგრამა¹ იმითაა განსაკუთრებით საყურადღებო, რომ იგი კარგად ასახავს ფარინგალური აბრუპტივის ყ-ს წარ-



სურ. 10. ტატა tala (ანევმო-ოსცილოგრამა)



სურ. 11. ყ გ (პნევმო-ოსცილოგრამა)



სურ. 12. ტყლაპი tqlapi (პნევმო-ოსცილოგრამა)

მოთქმისას ყელში დაკიმულობისა და სკდომის სურათს. რასაც კიმოგრამებზე ვერ ვიღებდით.


სურ. 12, 13, 14 პნევმო-ოსცილოგრამები ასახავენ ტყ და პკ კომპლექსების წარმოქმნას, ელექტრო-ოსცილოგრამა ასახავს გარდამავალ ბგერებსაც.

¹ ამ შემთხვევაში ნიკოლოფონი გამოთიშულია. საექსპერიმენტო-საველე მუზაობის პირობებში ნიკოლოფონს გამოთიშავეთ სპეციალური კაბინის უკონლობის გამო.


ფარინგალური ჯ-ს ყველაზე საუკეთესო პნევმოგრაფული ჩანაწერი, რომელიც დღემდე მოგვეპოვებოდა, მოცემულია სურ. 15-ზე. მისი შედარება პნევმო-ოსცილოგრამებთან (სურ. 16, 17) ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად



სურ. 13. მატელი matqli (პნევმო-ოსცილოგრამა)



სურ. 14. აპი apki (პნევმო-ოსცილოგრამა)



სურ. 15. კ კ (პნევმოგრამა)



სურ. 16. კ კ (პნევმო-ოსცილოგრამა)



სურ. 17. მუვლი mtsqi (პნევმო-ოსცილოგრამა)



სურ. 18. ხე xe (პნევმო-ოსცილოგრამა)

გაუმჯობესებული ჩაწერის ტექნიკასთან გვექვს საქმე. პნევმო-ოსცილოგრაფია სრულყოფილად ასახავს არა მარტო პირის ჰაერის რხევებს, არამედ ხახის კუნთების დაკვიმულობისა და მოძრაობის სურათსაც.

II. პალატო-ფოტოგრაფია

ჩვენმა ლაბორატორიამ შექმნა აპარატი, რომელიც ცვლის ხელოვნურ სასას. ახალი აპარატი მარტივია და ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახავს ენის მკაფარ სასასთან შეხების კვალს.

როგორც ცნობილია, ინდივიდუალური ხელოვნური სასის დამზადება მთელ რიგ რთულ პროცესთან არის დაკავშირებული. მისი დამზადება ჩვეულებრივ კბილის ტექნიკის სახელოსნოებში წარმოებს და საკმაო დროს მოით-



სურ. 19. პალატოფოტოგრაფია ქართული გ-ს წარითქმისას.

ხოვს, ეს ერთი მხრით. მეორე მხრით, პირის ღრუში ჩასნული ხელოვნური სასა, რაც უნდა თხელი იყოს იგი, მაინც უცხო სხეულია და, ალბათ, ნაწილობრივ მაინც ახდენს გავლენას არტიკულაციაზე.

ახლად შექმნილი მოწყობილობა ფოტო-გადაღებით ცვლის ხელოვნურ სასას.

მისი მოწყობილობა და გადაღების პრინციპი ასეთია: ცდისპირი ჯდება სკამზე, რომელსაც გაკეთებული აქვს კბილის ექიმების მიერ გამოყენებული თავის მისაყრდენი, რათა წარმოთქმის შემდგომ გადაღებისას ცდისპირმა თავი არ გაანძრიოს.

თვით აპარატი შედგება რამდენიმე საცვლელი სარკისაგან, რომელთა მორგება ცდისპირისათვის ხდება მისი სასის ზომისა და პირის ფორმის მიხედვით. ამავე დროს გამოყენებულია ფოტოაპარატი „ზენიტის“ მარკისა, რომლითაც გადაღება წარმოებს სარკეში ასახული სასისა დაახლოებით 20—25 სანტიმეტრის დაშორებით. სასას აშუქებს პატარა რეფლექტორი 6—12 ვოლტიანი ლამპით. სარკე, ფოტოაპარატი და რეფლექტორი დამაგრებულია შტატივზე, რომელიც თავის მხრივ ბორბლებით დაყრდნობილია პატარა რელსიან ურიკაზე, რათა შეიძლებოდეს აპარატის წინ და უკან მოძრაობა. აპა-

რატის მოძრაობა იმისათვისაა აუცილებელი, რომ ექსპერიმენტის წინ პირის ღრუში ხდება სარკის მორგება და ფოკუსის დაყენება ფოტოაპარატისათვის. ამის შემდგომ მოწყობილობას მოვაშორებთ ცდისპირს ისე, რომ შევძლოთ დაეფაროთ ცდისპირის სასა საკმელი ფხვნილით. ფხვნილის ფერი რაც შეიძლება მეტად კონტრასტული უნდა იყოს. ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა კაკაოს ფხვნილი, რომელსაც ფერიც კარგი აქვს ფოტოგადაღებისათვის და ცდისპირსაც სიამოვნებს. ბგერის წარმოქმნისთანავე (ისე, რომ საწარმოთქმო ორგანოები აღარ უნდა გაანძროს ცდისპირმა) პირს აღებს ცდისპირი, მიუხაზლობით წინასწარ დაყენებულ სარკეს, რომელშიც აისახება ენის სასასთან შეხების კვალი; მისი მომენტალურად გადაღება ხდება ფოტოფირზე.

III. ინტონოგრამა

ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მრავალფეროვანი ინტონაციური თავისებურებების კვლევისათვის ჩვენმა ლაბორატორიამ, სპეციალური დაკვეთით, მიიღო ახალი აპარატი, რომელიც შექმნილია მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სახელოსნოს მიერ.

აპარატი ინტონაციის ჩაწერას აწარმოებს მაღალგრძნობიერ კინოფირზე წლეიფიან ოსცილოგრაფით. ოსცილოგრამის პირველი მრუდი ასახავს ინტენსივობას, მეორე—ძირითად ტონს, მესამე—ძირითადი ტონის იმპულსს, ხოლო მეოთხე მრუდი აღნიშნავს დროს. აპარატი ამჟამად გამოცდის პროცესშია. შეშავდება სათანადო ინსტრუქციებიც.

„ინტონოგრაფზე“ ჩანაწერების დამუშავება ჩვეულებრივ ლაბორატორიულ პირობებში ხდება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ექსპედიციის პირობებში ადვილსატარებელი მაგნიტოფონებით ჩავიწეროთ ჩვენი დიალექტების ინტონაციური თავისებურებანი და მათი დამუშავება „ინტონოგრაფზე“ ვაწარმოოთ ლაბორატორიულ პირობებში.

კვლავ თანხმობების ჰარმონიულ კომპლექსთა შესახებ

ქართულში ჰარმონიული კომპლექსები თეორიულად და ექსპერიმენტულად საკმაოდ სრულყოფილად არის შესწავლილი. პროფ. გ. ახვლედიანმა ამ კომპლექსებს სპეციალური შრომა მიუძღვნა¹. მან თანხმობანთა ჰარმონიული კომპლექსების ორი, A და B, სისტემა დაადგინა:

A			B		
ბგ	— ფქ	— ჰკ	ბღ	— ფხ	— ჰყ
ღგ	— თქ	— ტკ	ღღ	— თხ	— ტყ
ძგ	— ცქ	— წკ	ძღ	— ცხ	— წყ
ჯგ	— ჩქ	— ჰკ	ჯღ	— ჩხ	— ჰყ

ამ ორი სისტემის პირველი კომპონენტები ერთნაირია, ხოლო მეორე კომპონენტებით ისინი განსხვავებულია ერთმანეთისაგან, კერძოდ, A სისტემას მეორე კომპონენტებად აქვს გ-ქ-კ, ხოლო B სისტემას ღ-ხ და ყ შესაბამისად.

ქართულ თანხმობანთა ჰარმონიული კომპლექსები ექსპერიმენტულად შეისწავლა მეცნ. კანდ. ნ. ქუთელიამ და საყურადღებო შედეგები მიიღო². ავტორმა დაამტკიცა, რომ ჰარმონიულ კომპლექსთა კომპონენტებს ახასიათებს საკმაოდ ძლიერი საურთიერთო პალატალიზაცია.

თანხმობანთა ჰარმონიული კომპლექსები მეტრ-ნაკლებად ყველა ქართველურ ენაში დასტურდება.

შედარებით-ისტორიული ძიება ნათლად ვვიჩვენებს, რომ ქართველურ ენებში ჰარმონიულ კომპლექსთა წარმოქმნას საფუძვლად საკმაოდ ძლიერი ტენდენცია ჰქონია. განსაკუთრებით ქართულსა და ქანურ-მეგრულში. შედარებით-ისტორიული ძიებით ისიც დასტურდება, რომ ეს კომპლექსები უფრო გვიანდელი წარმოშობისაა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წყალ- (←წალ-), ძეწკუ (←ძეწკუ, შდრ. ჯაჭუ), წანელ- (←წნელ), ცეცხლ- (←ცეცლ-), ცხვირ-მწყეხ-³, მეგრ. რწყეხა. კან. ონკედუ, ჰეიში ფუძეებში ყ. კ, ხ ფონეტიკურად განვითარებულია ჰარმონიულ კომპლექსთა წარმოქმნის მიზნით⁴. (შდრ. კირიონი: კვეცი (კვერცხი), ნწალი (წწალი), ხიცვალი (სირცხვილი)⁵.

¹ Г. С. Ахвледиани, Две системы гармонических смывных в грузинском языке; Памяти акад. Л. В. Щербы, Ленинград, 1951, стр. 113—116; მისივე, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 301—307.

² Н. С. Кутелия, Экспериментально-фонетическое исследование двух систем гармонических комплексов в грузинском языке: Фонетический сборник, 1, 1959 г. გვ. 329—363.

³ არნ. ჩიქობავა. ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 18. მისივე, სახელის ფუძის უფლებსი აგებულება ქართველურ ენებში გვ. 130.

⁴ შდრ.: ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, კ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მებოლობაში: საქართველოს არქივი, წიგნი II, გვ. 186.

⁵ კირიონი. სალექსიკონო მასალა: ძველი საქართველო, ტ. II, 1913 წ.

პარმონიულ კომპლექსთა წარმოქმნაში ასიმილაციური და დისიმილაციური წარმოშობის გარკვეული კანონზომიერებაც შეინიშნება. ასე, მაგალითად, ოუ პარმონიული კომპლექსი პირველი მარცვლის შედგენილობაშია და იმავე სიტყვის მომდევნო მარცვალშიც გაჩნდება იგი, ნაშინ პირველი მარცვლის პარმონიულ კომპლექსს დისიმილაციური დაკარგვა მოსდის, ე. ი. მარტივდება კომპლექსი. რგორაც წესი, იკარგვის პარმონიული კომპლექსის მეორე კომპონენტი, მაგ. ბლარტის პარალელურად გვაქვს ბარტყი: კახ.: ამობლარტვა—მცენარის ფესვიდან ბლარტების ამოყრა“ (კახ. ლექს.), შდრ. ბუღარტი (ვ. ბერიძე); მაგრამ არ დასტურდება ბლარტყი ფორმა. (შდრ. ბლარტობა—ბარტყობა). ბლარტუნის პარალელურად იხმარება ბარტყუნი, მაგრამ არ დასტურდება: ბლარტყუნი. ქართულში ასევე დასტურდება პარალელური ფორმები: ბლარტანი და ბარტყანი „მალლიდან დაბლა ჩამოვარდნისა და დაცემის ხმა“ (განნ. ლექს.). კახურში ბარტყანის გვერდით არსებობს ბლურტუნი „დავარდნისას გამოცემული ხმა“ (კახ. ლექს.). დიალექტებში ძუძუთუხის პარალელურად იხმარება ძუძუთური (ვ. ბერიძე). საბასა და დ. ჩუბინაშვილს დადასტურებული აქვთ ასეთი პარალელური ფორმები: საბა: წყირთლი || წირთხლი || წართხილი || წყრთილი; დ. ჩუბ.: წირთხი, წირთხელი || წყრთილი („კარის ამყოლი ზღურბლი“). იმერ. წათხი || წყათი (ბ. წერეთელი). ლენხ. ჭუვარტლი, ინგ. კორტკლ („ჭუვარტლი“); გურულში დასტურდება პარალელური ფორმები: ბლორტიალი || ბორტყიალი „მალლობიდან ან ხიდან გაჭირვებით ჩამოსვლა, სხეულის დაკაწრება და დაბევეით“ (შარ., შდრ. ჩუბ. აბლოტება და ბლოტვა).

ფრ. ნაისერი ფიქრობს, რომ ბურტყლი მომდინარეობს ფორმისაგან: ბლურტლი¹ (შდრ. გაბებლილი—გაბეყილი)².

კირონს დადასტურებული აქვს პარალელური ფორმები: ბლურტუნა და ბურტყუნა („ცხვირში მოლაპარაკე“) და მისთ.

ქართველურ ენებში ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც თავკიდური მარცვლის პარმონიული კომპლექსი ასიმილაციური წარმოშობის ჩანს. ასეთი კომპლექსები განსაკუთრებით ახასიათებს მეგრულს და ქართულის ზოგიერთ დიალექტს, არ დასტურდება იგი ქანურსა და სვანურში.

მაგ.: მეგრ. დგვინდგვი, კან. დინდგუ, დუნდგი („ფისი“, ი. ყიფშიძე).
მეგრ. ჭიჭკატია, ჯგოჯგია, კან. დიჭკუ, დუმჭკუ („ჭიანჭველა“).

მეგრ. ჩიჩქუ, კან. ჩიჩქუ („ჩვილი“, შდრ. ძვ. ქართ. ჩჩული).

მეგრ. თხითხუ, კან. თითხუ, სვან. დტხელ („თხელი“).

მეგრ. ჩიჩქონუა, ქართ. ჩიჩქნა („თხრა“).

მეგრ. ჩხონჩხი („თირკმელი“), ქართ. ჩონჩხი.

მეგრ. იჯგვიჯგვინანს („უხეშად ტლანქად გამოიყურება“), გურ. ჯიჯგვი („ძვალმსხვილი“).

მეგრ. ცხაცხუ, ქართ. ცაცხვი.

¹ Fridrich Neiser, Studien zur georgischen Wortbildung. 1953 გვ. 72.

² იჭვი, გვ. 62.

³ არნ. ბიჭობაეა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. 1942. გვ. 24—25.

მეგრ. ცხუცხინი („მაქრის ღუღილის ხმა“), ქართ. ცუცხუნი, შუხუნი.

მეგრ. ცხორცხალი, ქართ. ცოცხალი.

მეგრ. ნაცხაცხელი, ქართ. ნაცინცხალი.

მეგრ. წაუნწი, წაუწი („ძუნწი“), ქართ. წუწი.

მეგრ. წყუწყუტი („ფეხის ან ხელის გული“).

მეგრ. ჰაჰჰა, გურ. ჰეჰჰა („ჰრა, დაჰრა“).

მეგრ. ცხორცხება („სწაელება“).

მეგრ. ჰკირჰკინი, ქართ. ჰრიჰინი.

მეგრ. ჰჰანჰჰა („ჰყელტა“) და მისთ.

ტ. გუდავას მეგრულში ბუნებრივი კომპლექსის განმეორების (ასიმილაციის) საილუსტრაციოდ დასახელებული აქვს:

ძგიძგონუნს—ძიძინს: ცქიცქონუნს—ციცქინს;

წკიწკონუნს—წიწკინს; ძგაძგუნს, ცქაცქუნს,

წკაწკუნს („ღეპავს, აქუცმატებს“): ჯგაჯგუნს, ჩჰაჩჰუნს, ჰჰაჰკუნს („ღეპავს, ჩეხავს“)¹ და სხვ.

რამდენიმე ტიპობრივი მაგალითი დასტურდება ქიზიყურში. მაგ.:

ჩინჩინილი, ჩინჩინილი „ჩინჩინი“. ცეცხლის გასაღვიძებლად მუგუზლების შენძრევა ან საჩხრეკით ჩხრეკა“ (მენტ.); დონდგოლი, დგონდგოლი „ჩოჩოლი, ხმაურობა არეულობის დროს“ (იქვე); ჰინჰყილი; ჰყინჰყილი—ჰინჰყილი, აყალ-მაყალი“ (იქვე); ჰანჰყარი, ჰყანჰყარი „ჰანჰყალი“, შდრ. იმერ. ჰენჰყერი (იქვე); წყალთაწყუ „აუარებელი, ბევრი ზღვა“ (იქვე); გურ. წურწყალი, წყვარწყალი (გ. ბერიძე; „წურწური“) და სხვ.

ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემები ნათლად მიუთითებენ პარა-მონიულ კომპლექსთა წარმოქმნის სიახლეზე, მაგ.:

იმერ. ბოღრო—ბლორი („დიდი ღრუ, ფულღრო“); პუნტულა—პუტკუნა: გაპუნტულეზული, გაპუტკუნეზული („მსუქანი“); კახ. დღვრიე, ქიზ. მღღვრიო, ლეჩხ. მღღვრიე („მღვრიე“, შდრ. კან. ონღღვარუ—„ამღვრევა“); ბრჰალი—ბრჰყალი (საბა); იფურჩნების (ვეფხ. ტყ. 1598—3)—იფურჩნება; ფჩილი—ფჩჩილი (საბა); დაქნობა—დაქკნობა (საბა); ბორტვა—ბორტყვა—ბორღვა (ჩუბ.); ლუტუ—ლურტყი („ლორთქოში“, გ. ბერიძე); ჯიჯინი—ჯიჯყინი (ჩუბ.). გურ. ჯიჯლინი, დიდლინი. ტიტყინი, ტიქყინი; თუშ. წყრე ← წრე (ძვ. საქ., II, 138); ინგ. წკლინტ ← სკინტლი: ინგ. ჰკილ—ჰკიკი (მეტათეზისით); ინგ. წუნწკლა („წუწწა“); ინგ. ჰორტკლ—ჰვარტლი, ლეჩხ. ჰვარტლი; გურ. ჰიჰვი, იმერ. ჰაჰკვი (მხალეულია; გ. ბერიძე); ჰრტალი—ჰვრტალეზა („კამ-კაშა, ბრწყინვა, ეღვარება“, ჩუბ.), ლეჩხ. ბურჰველა, ბურჰყველა („ჰიანჰველა“, მ. ალავეძე); ჰიანჰყველა—ჯინჰყველი (ჩუბ.); ლეჩხ. ჰუილი, ჰუუული „ჰაერში გასროლილი ისრის ან ჯოხის გამოცემული ხმა“ (მ. ალავეძე); ფშ. ჰუანტი—ჰაოზი². ინგ., გურ. ფრეწა—ფხრეწა; ვარცილი (საბა)—ვარცხლი (დიხლ.); წლაპუნი—წკლაპუნი (პირის); ატლაშუნეზს—ატყლაშუნეზს (შოლტს);

¹ ტ. გუდავა. ხმაბძვის ერთი სახეობა მეგრულში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1958, გვ. 15—16.

² ა. ლეკიაშვილი, ივრისნეური ფეაური: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული. I, გვ. 174.

ქიზ. გამოტყვერენა, გამოტყვერენა: „ეგ საიღამლა გაშააჲყვერინე?—საიღან განო-
აძვირინე, გამოაჩინე“ (მენტ.); ქიზ. გამოცინცქველა ← გამოცინცველა (მენტ.); ძვ.
ქართ. ჯავილი—ჩხავილი; მწალტე—მწკლატე (ჩუბ.); გურ. მწატე (ცხარე,
მონწარო), ქიზ. მწლაკე, მწკლარტე („მლაშე-მეივე-მწარესავით“, მენტ.) კახ.
წინწყალი—(„წყვითი“), ქიზ. წყრეტა ← წრეტა (მენტ.); დაწუწვა—დაწუწვა
(ვ. ბერიძე); წრომი—წყრომი („პოტი“, ჩუბ.); მოწლე—მოწყლე (იქვე); ქიზ.
აწყაჲვა—აწაჲვა; წაწყაჲვა—წაწაჲვა („წართმევა“, მენტ.); ცმუტვა—ცქმუტ-
ვა (საბა); ცუცუნა—ცუცქუნა (ჩუბ.); გურ. ტურტლი, ტურტული, ტურტყი
(შარ.); ყაბ-ყაჲყი („მცირე თოვლი“ (საბა) შდრ.: მენტ. ყაჲყი); წნელი—წნე-
ლი (შდრ. მეგრ. ჰინუ.); წვერი, წყვეთი, წვერტი, წყენტა (ვ. ბერიძე); ბუჯუ-
ნი ბუჯგური („წალმა—უკულმა ტრიალი, რისამე ძებნა“, იქვე); პაწაწინა—
პაწაწინა (ჩუბ.); ქდე (საბა), ხეც. ქიზ. ჰადე; ღვეღვეში (მეტათეზისით)
ღღვეში ← გრღვეში (ვ. ბერიძე); ბოცორი—ბოცქვერი („ბაჲია“, იქვე); გურ.
ღინწყული („ხმარებაში დაღუული დანა“, შარ.) ღინწი (საბა); არწყლი („შვი-
ღანწლა“, ალავ.) შდრ. კან. ანწყლი; წბერვა—წყბერვა („ღვინის გამოხდა“,
ვ. ბერიძე); ხიაჲა—თხიაჲა („ქათმის ავადმყოფობა“, იქვე); ჰაჲვა, ჰლაჲვა,
ტყლაჲვა („ჰაჲვა, შტომევა“, იქვე); ჩიკინი—ჩხიკინი (იქვე); წუნწლი, წუნწკ-
ლი, წურწკლი, წირწკლი („ოფლით ან წყლით დასველებული მწვირი“, ალავ.)
და მისთ.

ქართულისა და მისი დიალექტების მონაცემების შედარება ქანურ-მეგრ-
ულისა და სვანურის მონაცემებთან კიდევ უფრო საყურადღებო მასალას
იძლევა. მაგ.:

ქართ. ბუ ქანურსა და მეგრულში პარმონიული კომპლექსითაა წარმოდ-
გენილი: ბლუ, ოღონდ მეგრულში მას ბ მოეყვეცა და ლუ წარმოითქმის. ასევე
წარმოითქმის იგი ქანურის ათინურ კილოკავში.

ქართ. ანწლი ქანურში წარმოითქმის ანწყლი ფორმით (შდრ. კან. ინქირა).

ქართ. ცინტალი ქანურში წარმოდგენილია წკინტალი ფორმით (ჩიქ., I,
153, 26).

ქართ. ჯ-ოზნ-ება-ა, კან. მეგრ. ჯგ-ინ, რჯგ-ინ (შდრ. ლექს. 435).

ქართ. ბიჯ-ი, ბიჯგ-ი, მეგრ. ბიჯგ-ი ოზოზიჯი („ურმის წინ—სადგერი“) მე-
ბიჯგაჲა („შებიჯგება“). მეგრულში დასტურდება ასეთი პარალელუ-
რი ფორმებიც: გეგე, ჯეგე, ჯგეგე („წმ. გიორგი“) სვან. ჯგრაშ.

ქართ. მოცვანცვალე; მეგრ. მოცვაცვალე (მაგ. ტურა).

ქართ. ღაწვი, მეგრ. ღაწკი.

ქართ. მღვრიე, კან. მღირი—მზირი, ბღირი. (შდრ. კან. ანჰარია || ანჰკარია
„პატარა თევზია“).

ქართ. მხცოვანი (შდრ. ძვ. ქართ. ხცე) მეგრულში გადასმულია და წარმოდ-
გენილია პარმონიული კომპლექსით: ცხვანე, რცხვანე (რ განვითარე-
ბულია).

ქართ. (დიალ.) ღრიჰინი („ქრიალი“) მეგრულში წკ პარმონიული კომპლექსი-
თაა წარმოდგენილი: ღირწყინი. ქართ. (დიალ.) ნიჩვირი, ჩიჩვირი
(„ბაგე“) მეგრულში წარმოდგენილია ნაჩვი, ლეჩვი ფორმით, კან,
ლეშქი, ლეშკი.

ქართ. მ-წუთხე, შდრ. იმერ. წათხი, წყათი (ბ. წერ.).

ქართ. ცეხვას შესატყვისია მეგრული ჩხვარუა.

ქართ. ხხ კომპლექსი ქანურ-მეგრულში იძლევა ცხ კომპლექსს:

ქართ. ხხენი, ქან. თცხონე, მეგრ. ცხენი, ცხენი, ცხენდი;

ქართ. მ-სხალი, ქან. მ-ცხული-ი; ქართ. სიხლი, ქან. დიცხირი.

გურ. სხაპი, ქან. ცქაპი („ჩიტის მახე“); ქართ. სახხარა.

ქან. მემცხვერი, მეცხული, მეგრ. ხარსხალი (შდრ. ლექს. 59).

ქართ. (დილა.) ფურჩნი, მეგრ. ფურცინ, ფურცინ—(შდრ. ლექს. 331).

ქართ. მაჩვ-ი, ქან. მუნჩქ-ი, მუნჩხ-ი, მუნჩყ-ი (იქვე, 90).

ქართ. წინდი-სა-წინდ-არ-ი, ქან. მა-წინდი-ი, მეგრ. მა-რ-წინდი-ი („ბეჭედი“, იქვე, 179).

ქართ. ჩუე-ნა. ქან. ჩქუნ||ჩქი||შქუ, მეგრ. ჩქი, ჩქ (იქვე, 123) (შდრ. ქართ.

ჩე-მი, ქან. ჩქი-მი||შქი-მი, მეგრ. ჩქი-მი, სვან. მიშვულ, იქვე, 123).

მეგრულ-ქანურში საყურადღებოა ასეთი პარალელური ფორმების არსებობა: მეგრ. ბატი||ბატო („კამეჩის შვილი, ღოღო“), კკალიო||ჯღვლიოკი („კლანჭი“), კიტილია||ჩხოტირია („ბავე გაქრილი“), ურწუმე||ურწკუმე („ულრანი, გაუვალი ადგილი“).

ქან. მქუ||ქინძყვალა („შიგნული, ნაწლავი“), ფსკოლი//ფუნცკოლი („სიმინდის ფოჩი“), ლიმხონა||ლიმხენანა („გმიშრალი“).

ქანურში მხ კომპლექსი ასიმილატიით იძლევა ფხ პარმონიულ კომპლექსს: მხენი—ფხენი („თითისტარი“), მხუჯი—ფხუჯი („მხარი“), მხორ ფხორ: ვიმ-ფხორ („გვამ“), მხოლურა—ფხოლურა („ხელიკი“). ასევე მხ კომპლექსი იძლევა ფხ კომპლექსს: წობხ-||წიბხ- წოფხ-||წიფხ-: ოწოთხუ („გამოწყობა, განწყობა“).

ქანურშივე დღეების სახელწოდებანი წარმოდგენილია გვიან განვითარებული პარმონიული კომპლექსებით: ბჟაჩხა („კვირა“); ბჟაშ დლა—ბჟაშლა—ბჟაშხა—ბჟაჩხა (შდრ. მეგრ. ბჟაშხა); ამ გზითაა მიღებული: თუთაჩხა („ორშაბათი“, შდრ. მეგრ. თუთაშხა); ჯუშაჩხა („ოთხშაბათი“, შდრ. მეგრ. ჯუშაშხა), ჩაჩხა („ხუთშაბათი“ შდრ. მეგრ. ცაშხა, ჩაშხა).

ხოფურ კილოკავში შკ კომპლექსისაგან განვითარებულია პარმონიული ჰკ კომპლექსი: პიჰკუჰა („პირადმა“) მიღებულია პიჯიშ კუჰა საგან. უწუჰკულე უწუ-შკულე... („...მას შემდეგ, რომ უთხრა“), არ ხაატოკკულე—საატოშკულე („ერთი საათის შემდეგ“. შდრ. დიალ. ხკ წყ: ხონიხკენ; ხონიწყენ: ტყიხკენ. ტყიწყენ და სხვა). მეგრ. წკალა||წკელა||წკუჰა თანდებულები მომდინარეობს: კალა||კელა||კუმასაგან ნათესაობითი ბრუნვის ელემენტის შ-ს დართვით¹. (შდრ. ქან. ჩხამი, მეგრ. შხამი ქართ. შხამი, სხამი (საბა), ქან. ჩქვა, მეგრ. შხვა, ქართ. სხვა და ა. შ.).

ქართულთან და ქანურ-მეგრულთან შედარებით სვანურში პარმონიული კომპლექსების შექმნისადმი ტენდენცია სუსტია, თუმცა რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი იქაც დასტურდება. მაგ.: მეგრ. ძულე („ძალიან“) სვანურში პარმონიული ძლ კომპლექსითაა წარმოდგენილი: ძღვღ („ძალიან“). ქართ. წმინდას შესატყვისია სვანურში (ლაშხ.) წყვლიან, ლხმ. წყილიან; ქართ. ჰაობი, სვან. (ბზ.) ჰყიბ, ბქვ. ჰყიბ; ქართ. ჰვარტლი, სვან. (ლშხ.) ჰყვარტ:ჰყვარტაი-

¹ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV; ენიმის მონაბე, ტ. I, 1937, 119—121.

ლარ (სვან. პოვზ. 206.33, „ქვეარტიანეტი“): ლხმ. ვესკაცხ. მეგრ. ოჩოკოჩი, ქარო. ვაცკაცო: ლშხ. ხაკაცხ. ლახმ. საკაცხ. (*საკაცე*), ბზ. ბქვ. ხელმწიფხ— ხელმწიფე: ბზ. ჰაბტკ—აბკი და სხვ.

დასკვნა

1. თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები მეტ-ნაკლებად ყველა ქართველურ ენაში დასტურდება. ასეთი კომპლექსების შექმნის ტენდენცია ყველაზე უფრო შეინიშნება ქართულსა და ქანურ-მეგრულში. უფრო სუსტია ეს ტენდენცია სვანურში.

2. თანხმოვანთა ჰარმონიულ კომპლექსთა წარმოშობის ასიმილაციური და დისიმილაციური კანონზომიერებაც დასტურდება. ასიმილაციური წარმოშობის ჰარმონიული კომპლექსები განსაკუთრებით დამახასიათებელია მეგრულისა და ქართულის ზოგი დიალექტისათვის, ხოლო დისიმილაციური დაკარგვა ახასიათებს ქართულის ჰარმონიულ კომპლექსებს.

3. შედარებით-ისტორიული ძიება და ქართველურ ენათა დიალექტების ნონაცემები ნათლად მიუთითებენ თანხმოვანთა ჰარმონიულ კომპლექსთა მეორეულ, უფრო გვიანდელ წარმოშობაზე.

1959 წ.

შორისდებული ახალ სალიტერატურო ჰარტიულში

ქართული და კერძოდ ახალი ქართული სალიტერატურო ენა განსაკუთრებით მდიდარია შორისდებულებით. როგორც ცნობილია, სხვა მეტყველების ნაწილებისაგან შორისდებულები გამოირჩევიან და ქმნიან თავისებურ სისტემას. ამის გამო ზოგიერთი ავტორი შორისდებულის მიჩნევას მეტყველების ნაწილად საცილობლადაც კი თვლის.

ფრანგი ენათმეცნიერი ე. ვან დ რ ი ე ს ი შორისდებულებს სამართლიანად მიაკუთვნებს „აფექტურ“ მეტყველებას და განასხვავებს მას „ინტელექტუალურისაგან“¹.

შორისდებული ადამიანის რთულ ემოციებსა და სულიერი განწყობილების ექსპრესიას ვადმოგვცემს. შორისდებულებს ხმის საკუთარი მოდულაცია და ინტონაცია ახასიათებს. ამიტომ აფექტური ელფერი, ინტონაციური ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულებს გაცილებით უფრო მდიდარი აქვთ, ვიდრე სხვა მეტყველების ნაწილებს. გარდა ამისა, შორისდებულს ხშირად თან ახლავს ექსტ-მიმიკური მოძრაობებიც. სამაგიეროდ შორისდებული მოკლებულია ნომინატიურ ფუნქციას, მატერიალურ მნიშვნელობასა და გრამატიკულ გაფორმებას. ცალკეული შორისდებული უდრის სიტყვა წინადადებას: „შორისდებულები წარმოადგენენ სიტყვათა და წინადადებათა ეკვივალენტებს“ — წერს ვ. ვ ი ნ ო გ რ ა დ ო ვ ი².

ჩვეულებრივ შორისდებული წინადადების წევრს არ შეადგენს. ის წინადადების წარმოთქმაში გამოიყოფა განსაკუთრებული ინტონაციით, ხოლო წერაში — მძიმით.

შორისდებულთა სემანტიკა მდიდარია და მრავალფეროვანი. ის შეიძლება გამოხატავდეს აღტაცებას, სიხარულს, სიამოვნებას, მოწოდებას, კმაყოფილებას, ზიზღს, დაწუნებას, მოულოდნელობას, ტანჯვას, ვნებიანობას, ჩივილს, მუქარას, წყენას, მწუხარებას, ტკივილს, დანაზებას, საყვედურს, გაკიცხვას, ნატურას, ვაკვირვებას, გაქირდვას, დაცინვას, ნიშნისგებას, აკრძალვას, წაქეზებას, გამბედაობასა და სხვ.

შორისდებულთა კლასიფიკაციის უმთავრესი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე შორისდებული შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობისა იყოს³. მის მნიშვნელობას კონტექსტი განსაზღვრავს. ასე, მაგ., „უი“ უმთავრესად გამოხატავს მწუხარებას, წყენას, მაგრამ ამავე დროს სხვა კონტექსტში მან შეიძლება გამოხატოს აღფრთოვანება, სიხარული; მაგ.: „უი, ქა, საწყალო ტორუა“ (ვადა); „უი, მეხი კი დაგვეს მაგ უხეირო თავზე“ (ი. ჰავჭ.); მაგრამ „უი, შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულში“ (ი. ჰავჭ.)... ასევე საპირისპირო

¹ Ж. Вандриес, Язык, русский язык, Москва 1937, стр. 135.

² В. В. Виноградов, Современный русский язык, II, Москва 1938, стр. 569.

³ А. Шахматов, Синтаксис русского языка, вып. II, 101.

მნიშვნელობის გამოხატველია შორისდებულები: „უჰ“, „ოხ“, „ოჰ“, „ჰჰ“ და სხვ. მაგ.: „უჰ, რა შემეშინდა“ (ნინოწვილი); „უჰ, უჰ, რა მტკიცე მუხლები“ (იქვე), მაგრამ „უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები“ (ი. ქავჭ.); „უჰ, უჰ, უჰ! რა ტკბილია!—ტუჩების ცმაცუნით და სიამოვნებით ვიძახდით ყველანი“ (შ. არაგვისძე)... „ოხ, ოხ! მიწველეთ, მომკლა!“ (ქ. ლომთ.), მაგრამ „ოხ, ჩემო თვალის ჩინო!“ (შ. არაგვისძე)... „ოჰ, როგორ ცივა და მსუსხავი ქარიც უბერავს“ (შექსპ. „ჰამლეტი“), მაგრამ „ოჰ! გაბადრულო მთვარე!“ (ალ. ქავჭ.)... „ჰჰ, ჰჰ, ჰჰ! დაიგმინა ქალბატონმა“ (ნინოწვილი), მაგრამ „ჰჰ! ჩაიცინა მოხვევმა“ (ი. ქავჭ.) და სხვ.

ემოციური ხასიათის შორისდებულებიდან უნდა განვასხვაოთ იმპერატიული ხასიათის შორისდებულები; მაგ.: „ეი, მსახურნო! დაანზადეთ სანადიმოდ ყოველივე“ (ალ. სუმბათაშვილი, „ნალატი“), შდრ. „ჰეი, დიდი სეირი იქნება“ (იქვე); „ჰეი, ძამიებო, საყვარლებო, ლამაზებო, მშვენნიერებო...“ (ქ. ლომთ.)... „ჰაჰ, კუდიანებო, ჰაჰ! თქვენი სვით და თქვენი ჭამით...“ (იქვე).

ზოგიერთი ავტორი, მაგ. H. Paul-ი¹, E. Schwentner-ი² ემოციის გამოხატველ შორისდებულთა გვერდით განიხილავენ ე. წ. ონომატოპოეტურ ბგერით კომპლექსებსა და სიტყვებს, რომლებიც ხმის მიბადვის საფუძველზე არიან წარმოშობილნი. ჩვენ ასეთი ბგერითი კომპლექსები და სიტყვები შეგნებულად არ შევიტანეთ შორისდებულებში და ისინი ცალკე გამოვყავით.

ქართულ შორისდებულთა აგებულება

ფონეტიკურად შორისდებული ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ის ასოებით გადმოიციება. შორისდებულს წერაში მხოლოდ მიახლოებით გადმოვცემთ.

ქართულში შორისდებული, ისე როგორც სხვა ენებში, უმეტესად ერთი ან რამდენიმე ხმოვნისაგან შედგება. შესაძლებელია ხმოვანს თან ახლდეს თანხმოვანიც. შორისდებული, როგორც აღამიანის რთულ ემოციათა გამოხატველი, უსათუოდ გულისხმობს ხმოვნურ ელემენტს, რადგანაც ტონის მოძრაობა—მისი აწვე-დაწვევის გამოხატვა—მხოლოდ ხმოვნის საშუალებით ხერხდება. ზოგჯერ შორისდებული წერაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს უხმოვნოდაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სავარაუდოა თანხმოვანთან ერთად ე. წ. ნეიტრალური ხმოვანი (ჟ) იგულისხმებოდეს, რაც წერაში გამოხატული არაა.

შორისდებული შესაძლებელია შედგებოდეს მხოლოდ ერთი ხმოვნისაგან; მაგ.: „ა, აბდულავ, ა, სამურავ!“ (ვაჟა). ტონის მოძრაობისა და აფექტური ელფერი გასაძლიერებლად შესაძლებელია შორისდებული პირობითად ორი ან სამი ერთნაირი ხმოვნით იყოს გადმოცემული: „აა, მიგიხვი, ახლა როგორ იქნეოდა საქმე“ (ნინოწვილი); „აა, თვადო, კუქს ნუ შეიყვან, თვარა ადრე დაბერდება“ (იქვე)... „ააა, მშიშარავ, მშიშარავ“ (შ. არაგვისძე.); „ააა, მოიშიწველე იმ ადგილს, სადაც გაქ დაკოდილი“ (ნინოწვილი). ხშირად ხმოვან ა-ს წინ უძღვის ყელისმიერი სპირანტი ჰ; მაგ.: „ჰა, ყურა, ჰა!—დაუძახა მოძღ-

¹ Prinzipien der Sprachgeschichte, 1909, გვ. 179.

² Die primären Interjektionen in den Indogermanischen Sprachen, Heidelberg, 1924, გვ. 35.

ვარმა“ (ყაზბეგი); „ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი“ (აკ. წერეთელი)... შესაძლებელია ა-ს მოსდევდეს ჰ; მაგ.: „აჰ... ლევან!—წარმოსთქვა იმან“ (ყაზბეგი); „აჰ, გოჯასპირ ხასიაშვილმა ქვრივი კი არ შეირთო“ (კლდიაშვილი). ხმოვან ა-ს შესაძლებელია წინ უძლოდეს ან მოსდევდეს უკანანისმიერი სპირანტი ხ; მაგ.: „ახ, რა კარგია!.. ახ... რა... კარგია!“ (შ. არაგვისპ.).... „აახ!—თავისდა უნებურად წამოიკენეს!“ (შ. არაგვისპ.).... „ააახ!—ფეხზედ წამოვარდნით წამოიძახა საშინელი ხმით ტიტაკომ“... (შ. არაგვისპ.). ხშირად ამ შორისდებულს პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ დაერთვის: „ა ხმე!—კბილების ხრქილით და თავის გაქნევით წამოიძახა...“ (ყაზბეგი). ზოგჯერ შეძახილის შორისდებული წარმოდგენილია ა და უ ხმოვანთა შეერთებით: „ა უ, ბედშავო ჩემო თავო“ (ყაზბეგი); „ა უ, რას მეუბნები“ (იქვე)... შესაძლებელია „ა უ“-ს ჰ უძლოდეს წინ: „ჰა უ: კუდიანებო, ჰა უ! თქვენი სეით და თქვენი ჭამეთ, ჩვენსა ჯვარი დაგვიწერეთ, ჰა უ, კუდიანებო, ჰა უ!“ (ქ. ლომთ.) შესაძლებელია ხმოვან ა-ს წინ უძლოდეს კბილბაგისმიერი ვ; მაგ.: „ვა, დარეჯან, მამა გიცხონდათ“ (ვაჟა); „ვა, დალოცვილო, რაღასა ჯავრობ“ (ვაჟა). ზოგჯერ შორისდებული „ვა“ ჰ-ს გაიჩენს ბოლოში: „ვაჰ, დედას ჩემის მტრისასა“ (ვაჟა); „ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად...“ (ალ. ჭავჭავაძე). ხშირად ეს შორისდებული პირველი პირის ნაცვალსახელს „მე“-ს დაერთავს: „ვაჰმე, ჩემო სიტყვის მომნიჭებელო“ (ვაჟა); „ვაჰმე, ვაჰმე! ჩვენო მამალო!—ტირისის ხმაზედ ამბობდნენ ბავშვები“ (ვაჟა). ხმოვანის შეცვლის საფუძველზე ეს შორისდებული „ვოჰმე“ ფორმითაც გვხვდება: „ვოჰმე, ვოჰმე, ჩემო ნიკორა კამეჩო!“ (ვაჟა). დადასტურებულია „ვოჰჰმე“ ვარიანტიც: „ვოჰჰმე, ვოჰჰმე, რა მაგონდება. თავში დამკრავს ერუანტელი და ფეხებში გამეარდება“ (ვაჟა). არის შემთხვევა, როცა მხოლოდ „ვა“ დაერთავს „მე“-ს: „ვამე, შორის მყოფსა ვენსა“ (ალ. ჭავჭავაძე). ვ-ს შემცველია „ვაი“; მაგ.: „ვაი, საწყალო! ვაი, საწყალო!—შემოირტყა ივანემ თავში ხელი“ (ნინოწილი); „ვაი, ვაი, ვაი! აკი ვენაცვალე იმას იენა-პირნი“ (ვაჟა). ვაი, მისი ჭირივე, რამხელა გაზრდილა“ (ლალიონი); შდრ. „ჰაი, ჰაი, რომ ვენახე,—უპასუხა ბიჭმა...“ (ყაზბეგი). „ვაი“-ს შესაძლებელია ა ხმოვანიც გაუჩნდეს წინ: „ავაი, ჯაჯალაუ! რას სჩადი?“ (ყაზბეგი); „ცოტა ხანს შემდეგ ვილაცა დედაკაცმა კენესით და ხმის კანკალით წარმოსთქვა: „ავაი!“ (ყაზბეგი).

შორისდებული შესაძლებელია ე ხმოვანზედაც იყოს აგებული: „ე, შეხედე, შე კაცო, თუ ვცდები! თუ სისულელეს გეუბნები! ე, შეხედე, ე, თუ ვცდები... ე, რავე ეტყობა! ახლაც ვერ ხედავ!“ (კლდიაშვილი). ხშირად ეს შორისდებული გაორმაგებული და გასამმაგებელი სახითაა წარმოდგენილი; მაგ.: „ეე, ლმერთო, იცი კიდე რას გეხვეწები?“ (ვაჟა); „ბიჭო, ბეჯახო, სად ხარ, ეეე!“ (ვაჟა). ხშირად ხმოვან ე-ს წინ უძღვის ჰ: „ჰე!—ნიშნის მოგებით წარმოსთქვა გიორგიმ“ (ყაზბეგი); „ჰე, ლმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანი-სა“... (რუსთაველი); „ჰე, მამულო სასურველო“ (გრ. ორბელიანი). ასევე შესაძლებელია ჰ მოსდევდეს ე ხმოვანს: „მე კი, ეჰ!—მწარედ ჩაიქნია ხელი და მოსხლეთით დაეშვა ტახტზედ“ (შ. არაგვისპ.); „ეჰ, ძმავ, წადი შენ შენს გზაზე სინდერით“ (გრ. ორბელიანი); „ეჰ. ჯანი გავარდეს, ათი იყოს“ (ი. ჭავჭავაძე)... „ეეეჰ! რა კაცია და...“ (ვაჟა). შესაძლებელია ეს შორისდებული ე და ი ხმოვანთა შეერთებით იყოს წარმოდგენილი: „ეი, მსახურნო! დამაადგეთ სანადიმოდ ყოველივე“ (ალ. სუმბათაშვილი, „ლალატი“); „ეი, უფროსო“ (იქვე).

„ე-ს“ შესაძლებელია ჰ უძლოდეს წინ; მაგ.: „ჰეი, ჰეი!—ნაღვლიანად წამო-
იძახა მან“ (კლდიაშვილი); „ჰეი, დამიებო, საყვარლებო, ლამაზებო, მშვენიერ-
ებო!...“ (ვ. ლომთ.)... ე-ს შესაძლებელია წინ უძლოდეს კბილბაგისმიერი ვ
და მოსდევდეს ჰ; მაგ.: „ვეჰ!“—დაიყვირა, კულ ნიშანს ვხედავ...“ (ავ. წერეთ-
ელა)... ხშირად ე-ს წინ უძღვის ან მოსდევს უკანანისმიერი სპირანტი ხ:
„შენ სტყუი. შენ უნდა დაისაჯო... ხე! ხე! ხე! ამიტომ მიბრძანდი კარცერ-
ში“ (ვ. ლომთ.); „ხე, ხე, ხე!—ხეხეხეხეხეხე უფროსი,—ხე. ხე, ხე!“ (იქვე)...
„ე-ე-ე ხ!“—ამოსკდა გულის სიღრმიდან და გულჩათუთქულმა თვალები მიხუჭა“
(წ. არაგვისპ.); „ე-ე-ე ხ! მართლა და რა სულელი გამოვდექი“ (იქვე).

შორისდებულის საფუძვლად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ი ხმო-
ვანი: „ი ი ი ი. რა ძაან ღვინოა“ (შ. არაგვისპ.). მსგავსად ა და ე ხმოვნებისა,
შეიძლება ი-ს წინ უძლოდეს ან მოსდევდეს ჰ; მაგ.: „ჰი, ვენაცვალე ღმერთ-
სა!—ეტყოდა ხოლმე ქმარს ელისაბედი. ჰი, ვენაცვალე! ჯერ ჩემზე უკეთესი
უნდა წევროთ და მერმე ჩემთვის ნიშნი მოეგო! ჰი, ვენაცვალე ღმერთსა!“
(ი. ქავჭ.); „ჰი, შე ბაიუშო, იქნება ხელი მოიჭერი“ (ვაჟა); „ჰი, ჰი, ჰი! მიყ-
ვარს. მა რა?“ (ვ. ლომთ.)... „იჰ, იჰ! რა გემრიელია“ (შ. არაგვისპ.); „იჰ,
ბედნიერი ქვეყანა ყოფილა გურია, კნიაზ!“ (ვ. ლომთ.). ზოგჯერ ი-ს უკანანის-
მიერი სპირანტი ხ უძღვის წინ; მაგ.: „ხი, ხი, ხი!—ჩეხიბითხითე, როცა ეს
მიოხრა“ (შ. არაგვისპ.). შესაძლებელია ამ შორისდებულს ჰაეც დაერთოს:
„ხიჰ! სისულელე!.. ღრეკით უბასუხა შეშლილმა“ (შ. არაგვისპ.) ხშირად ი-ს
წინ უძღვის კბილბაგისმიერი ვ და მოსდევს ჰ; მაგ.: „ვ ი ა!—უნებლიეთ წამო-
იძახა, როდესაც უეცრივ თვალი მოჰკრა თავის დამბნედავს...“ (შ. არაგვისპ.);
„ვ ი ჰ, ავეტიქ, ნეტავი ჩემს გულში ჩაგახედა“ (ალ. ჭავჭავ.); „ვ ი ჰ, ნეტავი რას
ამბობ?“ (იქვე). შესაძლებელია ეს შორისდებული ბოლოვდებოდეს სპირანტ
შ-ზე; მაგ.: „ვ ი შ, რა დილაა, რა დილაა, ღმერთო ჩემო“ (ვ. ლომთ.). არის
შემთხვევა, როდესაც ი-ს წყვილბაგისმიერი ფ მოსდევს: „ი ფ! ი ფ!.. დამიხე-
დეთ, დამიხედეთ მთის მებატონის შვილს“ (ყაზბეგი); „ი ფ!.. შენი კირიმე,
წენი, ჩემო ბიძა“ (კლდიაშვილი).

ხშირად შორისდებულად გამოყენებულია ო ხმოვანიც; მაგ.: „ო, ო, ეგ
დიდი საქმეა“ (ი. ქავჭ.)... „ო ო ო, გაუმარჯოს ჩვენს თამადას!.. ურაა!—დაი-
ძახეს თითქმის ყველამ ერთად“ (შ. არაგვისპ.). ისე როგორც ა, ე, ი ხმოვ-
ნიან შორისდებულებთან, ო-საც შესაძლებელია წინ უძლოდეს ან მოსდევდეს
ჰ; მაგ.: „ჰო, ჰო, ჰო, ჰო, რა პურ-ღვინოა“ (ნინოშვილი)... „ჰო ო, შენი
კირიმე, ღმერთო!“ (ვაჟა). ეს შორისდებული ზოგჯერ ო და ი ხმოვანთა შეერ-
თებითაა წარმოდგენილი: „ჰ ო ო, საზარო საშინელო უსჯულოებაე!“ (შექსპ.
„ჰამლეტი“); „ჰ ო ო, ბნელო ღამე, მეჯავრები მე“ (ი. ქავჭ.)... ო-ს მოსდევს
ჰ; მაგ.: „ო ჰ, ო ჰ! ვაჰმე, მოვკვდი, დედას ჩემო, აღარავინა ხართ ქრისტიანი“
(ვაჟა); „ო ჰ, ნეტავი კი მაშინ თქვენთან მეც ეყოფილიყავ“ (შექსპ. „ჰამლე-
ტი“)... ხმოვან ო-ს შესაძლებელია წინ უძლოდეს ან მოსდევდეს უკანანისმიერ-
ი სპირანტი ხ; მაგ.: „ხ ო, ხ ო, ხ ო! რა კარგი რამაა...“ „ო ხ! ჩემო თვალის
ჩინო“ (შ. არაგვისპ.); „ო ხ, ო ხ, მიშველეთ, მომკლა, მომკლა!“ (ვ. ლომთ.)...
ამ დროს მუცელამ შიმშილიც იგრძნო და ერთი ღრმად ამოიხვნეშა: ო ო ხ,
დედაე!“ (ვაჟა).

შორისდებულია უ ხმოვანიც; მაგ.: „კირილე, ბატონო კირილე!.. უ... უ“
(კლდიაშვილი); „უ! უ! უ!—გუგუნებდა ტუსაღთა ბრბო და ტალღებად იწე-
ბო“

და წინ“ (შ. არაგვისპ.)... „უუ! უუ! უფრო უარესად წაიგმინეს ტუსაღებმა-
 (იქვე). ხშირად უ-ს წინ უძღვის ან მოსდევს ჰ; მაგ.: „ჰუ, ჰუ, ჰუ—განგებ ჩა-
 ახველა თედომ“... (შ. არაგვისპ.)... „ჰუ უ!.. ჩემდა უწებურად მაგრად ამოვი-
 სუნთქე“ (შ. არაგვისპ.)... „უჰ, უჰ!.. რა ნაირად ყინავს!“ (იქვე); „უჰ, უჰ,
 უჰ! ეგ ღორის სუკები“ (ი. ქავჭ.). არის შემთხვევა, როდესაც „უ-ს წყვილბა-
 გისმიერი ფ მოსდევს; მაგ.: „უ-უ ფ! როგორ მოღუშა წარბები, როგორ გა-
 ჯავრდა!“ (ქ. ლომთ.); „უ ფ, რა გრილი ღამეა“ (ნინოშვილი). ზოგჯერ შო-
 რისდებული წარმოდგენილია უ და o ხმოვანთა შეერთებით; მაგ.: უი, შენ კი
 ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულში“ (ი. ქავჭ.); „უი, უი! დახე იმას, იმ წყეულს...“
 (იქვე). ამ შორისდებულს შესაძლებელია პირველი პირის ნაცვალსახელი „მე-
 დაერთოს; მაგ.: „უი მე, უი მე!—იყვირა დარიკომ და გამწარებული ლოყაზედ
 ხელს ირტყამდა, —უი მე... უი მე... ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა!“ (კლდია-
 შვილი). მთელ რიგ შემთხვევაში უ-ს წინ უძღვის წყვილბაგისმიერი ფ; მაგ.:
 „ფუ, შე ვერანო!—წამოიძახა თედომ და ხველა აუვარდა“ (შ. არაგვისპირე-
 ლი); „ფუ, შეგაჩვენოს ღმერთმა“ (ქ. ლომთ.). შესაძლებელია ეს შორისდებუ-
 ლი „ფუი“ სახით იყოს წარმოდგენილი; მაგ.: „ფუი, დალახერა ღმერთმა“
 (ი. ქავჭ.); „ფუი, ფუი, —საჩქაროდ გადაათურთხა და ხელეზი გაასახესა...“
 (შ. არაგვისპ.). არის წმინთხვევა, რდესაც ამ წორისდებულს წინ o მიუძღვის:-
 მაგ.: „თ ფუ ი!—სიბრაზით გადაათურთხა დათუამ და თვალეზი დახუჭა“ (შ.
 არაგვისპირელი).

ზემოგანხილული შორისდებულების მიხედვით ერთი მეტად საინტერესო
 მოვლენა ირკვევა: შორისდებულებში ხმოვანთა წინ ჰაე დატულია მაშინ, რო-
 დესაც ქართულში გარდა „ჰაერ“ და „ჰაეა“ სიტყვებისა ჰაე ხმოვნის წინ
 იკარგება. ვფიქრობთ, რომ შორისდებულებში ჰ-ს გაჩენა ხმოვანთა წინ ხმო-
 ვნის ფშვინიერი შემართვის საფუძველზე უნდა მომხდარიყო და ხმოვნის წინ
 მისი შენარჩუნებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ რთული ემოციური გრძობის
 ინტენსიურობას, რომელსაც შორისდებულთა წარმოთქმისას აქვს ადგილი¹.
 ამის გამო შორისდებულები ჰ-ს აუსლაუტშიც ინარჩუნებენ და ინლაუტშიც:
 მაგ.: „აჰა, თენდება ის დიდი დღე, ძნელი საამბოდ“ (გრ. ორბელიანი); „აჰა.
 გული გამიჯნურდა, მიჰხლომია ველთა რბენა“ (რუსთაველი)... „აჰუ, დააცი
 ყოფილხარ“ (ყაზბეგი)... „ეჰე, როგორ გაიგო, კაცო, მკითხავე ზომ არა ხარ?“
 (ვაჟა); „ეჰე, დიდი ძალა აქვს სოფელსა“ (ვაჟა)... „ვეინ ხარ, ეჰე, მშენიე-
 რო, მიხველი სითა“ (გრ. ორბელიანი)... „ოჰო, ოე!—სოქვა კვლავ გოგოლან
 გამზიარულეულმა“ (ვაჟა); „ოჰო!—გაიკვირვა ბევიამ“ (ყაზბეგი)².

თუმცა იშვიათია ასეთი მაგალითები, მაგრამ მაინც ვგვხვდება, როდესაც
 შორისდებული ერთი ან ორი თანხმოვნითაა წარმოდგენილი უხმოვნოდ. ასე,
 მაგ., თუ გარკვეული სულიერი განწყობილების გამოსახატავად (გმინვა, ჩაცი-
 ნება) ჰაერნაკადის დენა ცხვირის გზით ბდება და არა პირიდან, მაშინ წარმო-
 ეთქვამთ შორისდებულს: ჰჰ, რომელიც შერწყმულ ცხვირისმიერ ფშვინიერ
 ბგერას წარმოადგენს; მაგ.: „ჰჰ, ჰჰ, ჰჰ!—დაიგმინა ქალბატონმა“ (ნინოშვი-
 ლი).

¹ ს. უდენტო, ხმოვანთა ფშვინიერი შენართვა სეანურში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის
 შიგნით, ტ. VI, 1945, № 5 [აქვე, გვ. 18—23—რედ].

² არის შემთხვევა, როდესაც მწერალი შორისდებულს არასწორად აკვებს; მაგ.: „უჰ უ,
 უჰ უ, უჰ უ. ემაზიან, ემებენ ერთი ნეორეს...“ მართალია, უ ხმოვანი ძაბილის შორისდებულია,
 მაგრამ ვინაიდან ორ ერთნაირ ხმოვანს ჰ ჰყოფს, იგი ძაბილის შორისდებულად ვერ გამოდგება-

ლი); „ჰმ!—ჩაიციან ოფიცერმა“ (ი. ქავჭავ.). შორისდებული ზოგჯერ წერაში ერთი თანხმონითაც არის გამოხატული; მაგ.: „როდის ვისესხე, რომ შავიმოწყმებია, ჰ?“ (შ. არაგვისპ.); „უჟ!.. ჰმ!.. უეტრივ წამოიკენესა ბერამ და ქვითინი მორთო“ (შ. არაგვისპ.). ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ თანხმონითან ერთად ვგულსხმობთ ე. წ. ნეიტრალურ ხმოვანს (გ-ს), რომელიც წერაში არ გადმოიცემა. ასევე ზოგჯერ შორისდებულად გამოყენებულია მხოლოდ ხ; მაგ.: „სსსს!.. ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა დირექტორმა“ (ქოლა ლომთათიძე); „სსსს!.. ჩუმთ! ტყუილია ირჯები, ვერსად წახვალ!“ (ლალიონი). ეს შორისდებული შესაძლებელია ტ-სა და ხ-ს შეერთებითაც იყოს წარმოდგენილი: „ტს! არ გაბედო მეორეჯერ ჩემთან ეგენი!—წაულაპარაკა მასწავლებელმა მოწაფეს“ (ქ. ლომთ.).

გარდა ზემოაღნიშნული ბგერითი კომპლექსებისა, შორისდებულად გამოყენებულია სიტყვები:

აბა; აბა-ბა-ბა; მაგ.: „აბა, მღვეარი, აბა, მღვეარი!—ჰყვირიან“ (ვაჟა)... „აბა-ბა-ბა, რა ძალლი ყოფილა ეგ დალოცვილი“ (ვაჟა); „აბა-ბა-ბაა! რამოდენა ხალხი წავიდა“ (ვაჟა). გვხვდება „აბა“-ს ვარიანტიც ამა: „აბა, შეგლახავ. შენ მაგას როგორ მიბედავ...“ (ვაჟა). „აბა“ ზოგჯერ გაძლიერებულია „ბა“ შორისდებულის დართვით: „აბა ბა, დათიკო, შენ ხომ ამისთანობა ძალიან გეხერხება“ (ნინოშვილი); „აბა ბა, გაეწიოთ“ (იქვე). ზოგჯერ „აბა“-ს პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ ერთვის; მაგ.: „აბამე, აბამე, რანაირი ღონიერია“ (შ. არაგვისპ.); „აბამე, ონისე!—წამოიძახა ერთმა და ყველამ თოფები ჩამოუშვეს“ (ყაზბეგი).

ვაშა: „გამარჯვება მძლეველ ჯარსო! ვაშა! ვაშა! იმათ ღვაწლსა...“ (ავ. წერეთელი); „მე ვმღერი პროლეტარიატის საერთაშორისო ჰიმნს! ვაშა! ვაშა! დაჰკარით ტაში, დაჰკარით ტაში, ამხანაგებო!“ (ქ. ლომთ.).

ურა (რუს.): „ურა, ურა!—დაიღრიალა ხალხმა და იმათაც შესტყორცნეს ნაღლა ჩაბალახები“ (ქ. ლომთ.); „ურა!—დაიყვირა ლუარსაბმა...“ (ი. ქავჭავ.).

ჭერი: ეს სიტყვა დღეს შორისდებულია, მაგრამ წარმოშობით კი ზნაა და ნიშნავს იმასვე, რასაც რუს. *марш* (—ფრანგ. *marche*). ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა დადასტურებული აქვს ინგილოურში მ. ჯანაშვილს („ჭერი“—იარე!). როგორც ირკვევა, ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ქართულ სალიტერატურო ენაშიც; შდრ. „აბა, ბიჭო, ტანთ ჩაიცივი და სკოლისკენ ჰერი, ჰერი“; „შელას დრო დარჩა, შეხტა, ერთბაშად ხელი სტაცა ქალს, შეიგდო კულზე და ჰერი, ბიჭო! გასწია და რა გასწია“ (ვაჟა).

ერიჰა: „ერიჰა, მოაყვივი შენებურად რახუნს!“ (ნინოშვილი); „ერიჰა მგონია, შენ კიდევ შეგყვარებია,—გაეხუმრა დედა თავის ქალს“ (იქვე)... „ერიჰა“ შედგენილი შორისდებული უნდა იყოს: ერი+ჰა. პირველი ნახევარი იგივე „ჰერი“ ჩანს, ბოლო ჰ დაკარგულა. თავკიდურ ჰ-ს დაკარგვა შეიძლება „აა“-ს დართვით იყოს გამოწვეული (*ჭერიჰა → ერიჰა).

ყოჩაღ: „ყოჩაღ, ყოჩაღ!—დაიძახეს დევებმა და ისეთი მზიარულება შეეჯმნა, რომ სულ მალა-მალა ხტოდნენ“ (ვაჟა); „ყოჩაღ, კოდალა! ბარაქალა...“ (ვაჟა).

დილილმე: „დილილმე, დილილმე, ხვალ ჩურჩხელებსა ვჭამო, გონინაყსაც ვჭამო“ (შ. არაგვი); „დილილმე“ შედგენილი შორისდებულია: დილილ+მე, რას უნდა ნიშნავდეს პირველი ნახევარი, ჩვენთვის უცნობია.

აფსუს (სპარ.): „აფსუსს, აფსუსს! წისკვილო! თედეს ამავო!“ (ვაჟა); „აფსუსს, ბადრისა და უსუპის ჯიშო, როგორ წამხდარხართ და გაფუჭებულხართ“ (ვაჟა).

ოლოლო: „ოლოლო შენ, ვერ გამოიცან“ (ი. ჭავჭავაძე).

ბიკო! ბიკოს!: „ჭერი, ბიკო! გასწია და რა გასწია“ (ვაჟა); „ბიკოს! მოსულა?“ (ხალხური).

ჭოვ (აქარ. შეგვეცილი ბიკო): „ჭოვ და—მე ქალი მინდა, ქალს მე უნდებვარ, შენ ვინ ხარ, შენ თითონ ჩიმომეთხოვე მეთქი“ (ჭ. ლომთ.).

ქა (←ქალო): „ქა, ეგ ბიკი ისე არ უცქერის მა ქალსა, თითქოს შექმნა უნდოდესო“ (ვაჟა); „უი, ქა, საწყალი ტორუა“ (ვაჟა).

ბარაქალა (არაბ.): „ბარაქალა, ჩემო დათო!“ (ი. ჭავჭავაძე); „ბარაქალა, ბარაქალა, შენი ერთგულება მეც არ მაფიწყდება“ (ყაზბეგი).

ბეჩა (←ბედშავი): „ბეჩა! დედაკაცი ყოფილა!“ (ყაზბეგი); „ბეჩა! რაღა მკლავ?“ (შ. არაგვის.); „ბეჩა უ! ერთაი, ერთაი მაინც მაკოცე...“ (ყაზბეგი).

ოჯო (←ვაჟო): „ოჯო, ცარიელი ფულიც აფერი არაა, თუ კაცი თითონ არ ვარგა“ (ლალიონი); „რა საქმეა ახლა იმისთანაი, ოჯო? აი ადგილი ამასობაში ქე ჩაველია ხელში“ (იქვე); -მისწერე, ოჯო, ვიშონი თუ არა, მაინც ასე სჯობს“ (იქვე).

დახე (←დახედე); „დახე, დახე, თქვენი ქირიბე! ეს რა მოიგონა“ ი, ჭავჭავაძე); „დახე. სადა ყოფილხარ“ (ალ. სუმბათაშვილი, „ლალატი“).

ქიტა: „შეშინებული ბავშვები საშინელი წივილით გარბოდენ იქით-აქეთ (და იმალებოდენ, მაგრამ მარინე პოულობდა მათ, დაღუნებდა თავს, გაუჭვრეტდა, თითქო კატა ჩიტს ემარვისო, „ქიტა“—დაიძახებდა და გაიქცეოდა დამალულ ბავშვისაკენ, რადგან მარინე თავისი „ქიტას“ ძახილით შორიდანვე ატყობინებდა ბავშვს მოვდივარო, ბავშვი ასწრობდა გაქცევას და სხვა ადგილზე დამალვას“ (ნინოშვილი).

სუ (←სულე); ამ სიტყვას ჩვენი უურადლება მიაქცია პროფ. ვ. ბერიძემ¹. ეს უქანასკნელი ფორმა ჩვეულებრივ გავრცელებული სიტყვაა ქართლსა და კახეთში და იყენებენ მას ბავშვის გასაჩუმებლად. „სულე“ ვეფხისტყალანშიც გვხვდება:

„ეტყოდა: „სულე, რამე გიყავ. კაცი ვარ, ადამიანი“ (ტ. 257)².

საბას დადასტურებული აქვს: „სულელვა—ცხენთ დასამშვიდებელი სტუნენა“ და „დასულეზა—დაჩუმება“. დღეს ეს შორისდებულად ქცეული სიტყვა ჩვეულებრივ „სუ“ ფორმით იხმარება; მაგ.: „სუ, სუ, ნაჩაღნიკმა არ გაიგონოს“ (ნინოშვილი); „სუ, ჩუმიდ მეთქი!“ (ვაჟა). ამ შორისდებულს ხ შემდგომ ბოლოში გასჩენია: „სუსსს!.. ჩუმიდვე უპასუბა. ელისაბედმა“ (ყაზბეგი).

ჩუპრი-ჩუპრი: „ჩუპრი-ჩუპრი, ჩუპრი-ჩუპარ. ჩუპრი დარეჯანსა! ურა! აი გიდი, ქუდი ჭერში“ (ი. ჭავჭავაძე).

იმე (იმერ. ციმე): „შე კაცო, შენთან რომ მოვიდე და უცხო კაცი მომყვეს, ჩემი კეთილი, საწყენად დაგიჩრება?.. ა, მითხარი, თუ ძმა ხარ?.. კარში

¹ ვ. ბერიძე. „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო: ტფ. სახ. უნ. შრომები, ტ. III. 1935, გვ. 156.

² შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კ. კიკინაძის გამოცემით.

გამომავლები?— იმ ე. (კლდიაშვილი); „იმე, რაღა ვთქვა... რითი გადაგხადო. მაგიერი“ (იქვე).

ბევრი ქართული შორისდებული ბგერითი კომპლექსისა და ხშირად სემანტიკის მხრივაც მსგავსია ევროპულ ენებში ხმარებული შორისდებულებისა. ამაში რომ დაერწმუნდეთ, დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

გერმ. ach, პოლ. ach, პოლონ. ach, ჩეხ. ach, რუს. ах¹; შდრ. „ახ, რა კარგია!.. ახ... რა... კარგია!“ (შ. არაგვისპ.).

მსგავსად ქართულისა, გერმანულსა და ზოგ სხვა ევროპულ ენაში ა და ი ხმოვნიან შორისდებულებს ფსევინიერი შემართვის საფუძველზე უვითარდებათ h: მაგ.:

გერმ. ha! ha! ინგ. ha, halloo, პოლანდ. ha, ha, პოლონ. ha, ბერძ. ἦ; შდრ. რუს. ха; შდრ. „ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი“ (აკ. წერეთელი).

გერმ. hai, ძვ. ინდ. hai, ძვ. ფრანგ. hai, რუმ. hai; შდრ. „ჰაი, ჰაი, რომ ვნახე, უპასუხა ბიჭმა“ (ყაზბეგი).

გერ. hei, ლათ. hei, რუმ. hei, ინგ. hey, ჩეხ. hey; შდრ. „ჰეი, ჰეი— ნაღვლიანად წამოიძახა მან“ (კლდიაშვილი).

გერმ. ho, ესპ. ho, ho, ინგ. ho, ჩეხ. ho, ho, რუმ. ho, ახ. ფრანგ. ho; შდრ. „ჰოო, შენი ქირიმე, ღმერთო“ (ვაჟა).

გერმ. hi, hi, hi, ესპ. hi, hi, რუმ. hi; შდრ. „ჰი, ჰი, ჰი! მიყვარს, მარა?“ (კ. ლომთათიძე).

გერმ. hu, hu; შდრ. „ჰუუ... ჩემდა უნებურად მაგრად ამოვისუნთქე“ (შ. არაგვისპ.).

გერმ. aha, ჩეხ. aha; შდრ. „აჰა! გული გამიჯნურდა, მიძხლომია ველთარბენა“ (რუსთაველი).

რუს. ух: „Ух, жарко!“ (Некрасов); შდრ. „უჰ, უჰ... რანიირად ყინავს“ (შ. არაგვისპ.).

რუს. уу: „Уу, два похоронных удара!“ (Некрасов); „Уу, шепье! знакомые звуки!“ (იქვე); შდრ. „ჰუ, გამოხტა აგერ მწყერი“.

გერმ. uff, uph, ფრანგ. ouf, ბერძ. ὤπ, რუმ. uf; შდრ. „უფ, რა გრილი ღამეა“ (ნინოშვილი).

ბერძ. φῦ, ლათ. fue, fū, გერმ. pfui, ესპ. fu, რუს. тьфу; შდრ. „თფუი! — სიბრაზით გადაფურთხა დათუამ და თვალები დახუტა“ (შ. არაგვისპ.).

გერმ. hm, შვედ. hm, hum, ძვ. ინდ. hūm, რუს. гм; შდრ. „ჰმ! აგიუმისოდ ვიციოდი მე“ (ნინოშვილი).

გერმ.: weh: „Weh! Weh! Weh! sie kommen Bitter Tod“²; „Weh! Weh! Du hast sie zerstört“... შდრ. „ვეჰ!“ — დაიყვირა, ცულ ნიშანს ეხედავ“ (აკ. წერეთელი) და სხვ.

ამ შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ყოველ ენას სპეციფიკურ შორისდებულებთან ერთად მოეპოვება ისეთებიც, რომელნიც მსგავსნი არიან სხვა ენაში არსებული შორისდებულებისა. იბადება კითხვა: ამ შემთხვევაში ხომ არა გვაქვს საქმე სესხებასთან ან გავლენასთან? ვფიქრობთ, რომ არა. ამ სხვა-

¹ E. Schwentner. Die primären Interjektionen in den Indogermunischen Sprachen. Heidelberg 1924, გვ. 17.

² Goethe. Faust, Teil I, II, 1938.

დასხვა სისტემის ენებში (გვულისხმობთ ქართულსა და ინდოევროპულ ენებს) ბევრითი კომპლექსის მხრივ და ზოგჯერ სემანტიკურადაც მსგავსი შორისდებულები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულყვნენ. ჩანს, სხვადასხვა ენას რთულ ემოციურ გრძნობათა გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალა გამოუყენებია. ეს გარემოება ნაწილობრივ უნდა აიხსნას ამ ფსიქიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებებით, რომელნიც შორისდებულთა სათუფველს შეადგენენ და მას სხვა მეტყველების ნაწილთაგან განასხვავებენ. მდლდარი ანტონატიურ-ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულებს სხვადასხვა ენაში ერთნაირ ხმოვანთა ან ერთნაირ თანხმოვანთა და ხმოვანთა შეერთებით გამოუხატავს, მაგრამ ეს სრულერთადაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ შორისდებულის სესხებას ადგილი არ აქონდეს. ასე, მაგ.: შეიძლება დავსახელოთ რუსულიდან ქართულში შემოსული: უ რ ა ა! ბ რ ა ე ო! ს ო მ მ უ რ ი დ ა ნ — ა ჯ ს ლ ს! თურქულიდან: ი ა ლ ა პ! და სხვ. ევროპულ ენებს და კერძოდ რუსულს ინგლისურიდან უსესხებია შორისდებულად ქცეული სიტყვები: с том! а. н. о! თათრულიდან რუსულში ნასესხებია: аиша და სხვ.

შორისდებული წინადადებაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შორისდებული დამოუკიდებელი სიტყვა-წინადადებაა. ამიტომ ის ყოველთვის გამორიყთა წინადადებისაგან წარმოთქმაში განსაკუთრებული ინტონაციით, ხოლო წერაში — შიშით.

ბევრ შემთხვევაში შორისდებული ნომინარეობს მეტყველების სავაწილებისაგან, ასე, მაგ.: „დახე, დახე, თქვენი კირიძე, ეს რა შოიგონა“ (ი. ქავჭ.). ამ წინადადებაში „დახე“ შორისდებულია და მომდინარეობს იგი ზმნისაგან „დახედე“; ან კიდევ: „ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი“: „ჩუ“ წარმოდგა ფორმისაგან: ჩუმაღ. ზემოხსენებული ფორმა კიტა უთუოდ მიღებულია ქერეტა-საგან; ზმნური წარმოშობისაა შორისდებული: ჰერი, სუ (—სულე) და სხვ. წოდებითი ფორმის სახელებისგან მომდინარეობენ შორისდებულები: ქა, რომელიც სიტყვა „ქალო“-ს შეკვეცილი ფორმაა, ბეჩა (←ბედწავო), თჯო (←ვაჟო), კოვ (←ბიჭო: აქარ.), ბიჭო. ბიჭოს! და სხვ.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრ შემთხვევაში შორისდებული დღეს წინადადების წევრად (ქვემდებარედ ან დამატებად) გვევლინება!; მაგ.: „ურა აა! — დაყვირა ლუარსაბმა და, რადგან გულდნა იწვა. თავისებურად ტახტზედ ერთი ფეხიც აიწვირა მალლა და მანამ „ურა“ არ ვაათავა, ფეხი არ ჩამოულია“ (ი. ქავჭ.). ამ მაგალითში პირველი „ურა“ შორისდებულია, მაგრამ მეორე „ურა“ შორისდებული კი არ არის, არამედ შორისდებულის სახელწოდებაა და წინადადებაში ის დამატების როლს ასრულებს. გაუთლელს ჩეჩენს, როგორც ჩენა გეგონია, პირი შოურიდებია, ზიზლით გადაუფურთხებია და თვალების ცისკენ მიქცევით წამოუძახნია: ი ა ლ ა პ! მაგრამ ეს „ი ა ლ ა პ!“ უნდა გაგეგონათ, რა ხმით წარმოუთქვამს იმას“ (ყაზბეგი). ამ მაგალითში პირველი „ი ა ლ ა პ!“ შორისდებულია, მეორე — შორისდებულის სახელწოდებაა. და-

1 А. И. Германович, Междометие как часть речи: „Русский язык в школе“, 1941, № 2, გვ. 30; შდრ. ა. შან ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვ. 1. თბილისი 1942, გვ. 76.

ბაღებაა. „ფმატაძე რომ ბრაზობდა და მისძახოდა „ჭაი-ჭუის“ ტყესა და ველ-სა...“ (ვაჟა). აქ „ჭაი-ჭუის“ შორისდებულის სახელწოდებაა, დამატებაა. „ჭაი-ჭაა, ჭაი-ჭაა“-ს ძახილით ერთმანეთს აღარ ვაცლიდით“ (შ. არაგვისპ.).— „ჭაი-ჭაა“ ამ წინადადებაში დამატებაა. „მჯლის გულში ჩაკვრით დაიძახეს -ე აჭი“ და საჩქაროდ გავიდნენ“ (ყაზბეგი). „ეაჭი“ დამატებაა სახელობით პრუნვაში დასმული. „ეაის გავეყარე, უის შევეყარეო“—„ეაის“, „უის“ დამატებებია ნიკეში დასმული. „ლუარსაბს იამა და რომ უკან არ ჩამორჩეს ალერსში, თითონაც უჩქმითა და ზედ ტკბილის ხმით და ღიმილით „ჭი“ და-ატანა“ (ი. ჭავჭავ.). „ჭი“ ამ წინადადებაში დამატებაა. „როდესაც მიუახლოვ-დნენ, -ეაი-ზე“ -უი“ მეტი დაერთოთ“ (აკ. წერეთელი). აქ „უი“ ქვემდებარეა. ხოლო „ეაი“- დამატებაა. „გაჩნდა „ჭაი-ჭუი“, აფრინეს კაცი მეფეს-თან (ვაჟა). „ჭაი-ჭუი“ ამ წინადადებაში ქვემდებარეა; ხოლო „ჩვენ ჯერ გავ-ჯავრდით, „ჭაი-ჭუის“ ვიძახდით, მაგრამ ბოლოს ვსდუმდით“ (ვაჟა)—„ჭაი-ჭუი“ დამატებაა. „მაგრამ უბრალო „ევიში“ საქმეს ვერ შევლოდა“ (ყაზბეგი)— „ვიში“ აქ ქვემდებარეა. „ევი შენს მოსეს“ (ი. ჭავჭავ.). აქ „ევი“ ქვემდებარეა და სხვ.

ზემოთ მოხსენებულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ქართულში შორისდებული შესაძლებელია აგებული იყოს ა ე ი თ ან უ ხმოვანზე ან კიდევ დიფთონგებზე: აი, ეი, თი, უი. ხმოვნებს შესაძლებელია წინ უძლოდეს ან მოსდევდეს სპირანტები: ყელისმიერი ჰ ან უკანანის-მიერი ხ, ან კიდევ: კბილბაგისმიერი ვ და წყვილბაგისმიერი ფ. ზოგჯერ ტონის მოძრაობისა და აფექტის გასაძლიერებლად ხმოვნის გაორმაგებასა და გასაზრდავებას აქვს ადგილი.

2. არის მავალითები, თუმცა მცირე, როდესაც შორისდებული გადმოცე-ნული უხმოვნოდ ერთი ან ორი თანხმოვნით (მაგ., ჰ! ჰმ!). ასეთ შემთხვევაში წარმოთქმაში საგულისხმებელია ე. წ. ნეიტრალური ხმოვანი.

3. ჰაე ქართულში ხმოვანთა წინ ჩვეულებრივ იკარგება (გარდა „ჰაერ“, „ჰაეა“- სიტყვებისა), მაგრამ იგი შორისდებულებში ხმოვანთა წინ თუ შემდეგ და ხმოვანთა შორის შენარჩუნებულია.

4. ქართული შორისდებულები ბევრ შემთხვევაში მომდინარეობენ სხვა ნეტყველების ნაწილთაგან; მაგ.: „დახე“, „ჭიტა“, „ჭერი“, „სუ“, „ქა“, „ბიქო“, „ოჯო“. „ბეჩა“ და სხვ.

5. ბევრი ქართული შორისდებული ბგერითი კომპლექსისა და სემანტიკის ნორიაც მსგავსია ინდოევროპულ ენებში ხმარებული შორისდებულებისა. ისანი ამ სხვადასხვა სისტემის ენებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა ჩანაყალიბებულიყვნენ.

6. აღსანიშნავია, რომ შორისდებული წინადადებაში, როგორც სახელ-წოდება, გვევლინება ქვემდებარედ და დამატებად.

«მეფხისტყაოსნის» სვანური ვარიანტი

1. ტარიელ.
2. ნესტან-დარეჯან.

წინამდებარე «მეფხისტყაოსნის» ორი სვანური ვარიანტი ჩაწერილია ჩემ მიერ 1937 წ. ზაფხულს ზემოსვანეთში. პირველი: «ტარიელ» ჩაეწერე 80 წ. მოხუცისაგან—ნესტორ ნიჭარაძისაგან (სოფ. უშგული), მეორე: «ნესტან-დარეჯან» ჩაეწერე 88 წ. მოხუცისაგან—თაისა (თეიმურაზ) ქალდანისაგან (სოფ. მულახი).

ორივე ვარიანტი შინაარსის მხრით თითქმის იმეორებენ ერთი მეორეს, ოღონდ პირველი ვარიანტი უფრო ვრცელია.

წინამდებარე ვარიანტები მნიშვნელოვანია მით, რომ, ჯერ ერთი, ეს ვარიანტები განსხვავებულია დღემდის ცნობილ ყველა ხალხური ვარიანტისაგან, მეორე მნიშვნელობა მათ სვანურობაშია.

ამ ვარიანტების მოკლე შინაარსი ასეთია:

სილოვან (ქეჟავაზ) კეისარი და აფრასიონ კეისარი კარგი მეგობრები არიან. ორივეს ცოლები ორსულად ჰყავთ. სილოვანსა და აფრასიონს მოუხდათ ომში წასვლა. ერთმანეთს შეჰპიციეს: თუ ვაჟები დაებადებოდით, ძმები უნდა გამხდარიყვნენ, თუ ქალები დაებადებოდით, დები უნდა გამხდარიყვნენ, [ხოლო, თუ ქალ-ვაჟი დაებადებოდით, ცოლ-ქმარი უნდა გამხდარიყვნენ]. სილოვან კეისარი ომში მოკლეს. აფრასიონ კეისარი დაბრუნდა (მეორე ვარიანტის მიხედვით: აფრასიონ კეისარი დაიღუპა ომში და სილოვანი დაბრუნდა). აფრასიონ კეისრის ცოლს ქალი შეეძინა. სილოვანისას—ვაჟი და დაარქვეს ტარიელი. ტარიელი მეტად ძლიერი ვაჟაკი გახდა. აფრასიონ კეისარი თავის ქალიშვილს სხვაზე რომ ათხოვებდა, ტარიელს წამოსძახეს: შენ თუ კარგი ვაჟაკი ხარ, შენს საცოლოს მოსძებნიდიო, ამაღამ მისი ქორწილიაო. ტარიელი წაეიდა სახლში, დედამისს გამოაცხობინა პური. პური მთლად გამომცხვარი არ იყო. ტარიელმა შემოაძრო გარე-კანი და ცხელი ცოში დედას მიაღო ძუძუებზე ორივე მხრიდან. დედას უთხრა: მითხარი, მყავდა თუ არა საცოლო, თუ არ მეტყვი, ძუძუებს დაგწვავო. დედამ სიმართლე უთხრა: სილოვან და აფრასიონ კეისრები შეფიცული ყოფილან; თუ ქალ-ვაჟი დაებადებოდით, ცოლ-ქმარი უნდა გამხდარიყვნენო. აფრასიონის ქალი შენი საცოლოა. მისი ქორწილი ამაღამ არისო. ტარიელი წაეიდა იქ, სადაც ნესტან-დარეჯანის ქორწილი იყო. ნესტან-დარეჯანი ჯვარს იწერდა არაბეთის ხელმწიფის შვილზე. ტარიელი არაბეთის ხელმწიფის შვილს წააეღებს ხელს ფეხში და მექორწილეთ დაუწყებს ცემას ამ კაცით; იმდენს სცემს, რომ მხოლოდ ფეხი შერჩება ხელში. ტარიელი ნესტან-დარეჯანს სახლში წამოიყვანს და ქორწილს გადაიხდის. ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს უსაზღვროდ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ნესტან-დარეჯანი ტარიელის საწოლ ოთახში არ

შედის. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიყვარულს ქაჯი უწლის ხელს. ტარიელი წაეა მკითხავთან. იგი ურჩევს: კილოზანი გააკეთე და შიგ ნესტანი ჩასვიო. მეორე დღეს ნესტანი ქაჯებს შეაფურთხებს და შენთან დაწვებაო. ტარიელი მოიქცევა მკითხავის რჩევის თანახმად, მაგრამ ნესტან დარეჯანს კილოზნით ქაჯები გაიტაცებენ. ტარიელი დაეძებს ნესტან-დარეჯანს, მაგრამ ვერსად ნახულობს. დედა ეტყვის ტარიელს: წადი შენს იმა ავთანდილთან და ის დაგეხმარება სატრფოს ძებნაშიო. მასთან ეტყვის კიდევ: ბებიას სამი მერცხალი ჰყავს, თუ ისინი ვერ გაიგებენ ნესტან-დარეჯანის ამბავს, მაშინ მისი ძებნა ფუჭიაო. (მეორე ვარიანტის მიხედვით სამი მერცხლის მაგივრობას სამი ქაჯი ასრულებს, რომლებიც ავთანდილის დედას ჰყავს სკივრში დამწყვედული). ავთანდილი და ტარიელი ესტუმრებიან ბებიას. ბებია ადის კოშკის თავზე, თან აიტანს კოლოფს, რომელშიაც სამი მერცხალია. დედაბერი მერცხალს ეტყვის: სანამ კოშკის სახურავიდან ხაწვიმარი წყლის წვეთი მიწაზე დაეცემოდეს, მანამდის ზღვა და ველი დაიარე და ტარიელის ცოლის ამბავი გაიგეო. მერცხალმა ზღვა და ველი სულ დაიარა. გაიგო: ნესტან-დარეჯანი ცოცხალია და სხვა ვერაფერი გაიგო. ამის შემდეგ დედაბერმა მეორე მერცხალი გაუშვა და უთხრა: სანამ მცხობელი დამრგვალებულ პურს გამოსაცხობად შედებდეს, მანამდის ზღვა და ველი დაიარე და ტარიელის ცოლის ამბავი გაიგეო. წავიდა მერცხალი და გაიგო. რომ ნესტან-დარეჯანი ცოცხალია, სხვა ვერაფერი გაიგო. დედაბერმა შემდეგ მესამე მერცხალი გაუშვა და უთხრა: სანამ ლოყაზე ჩამოსული ცრემლი მიწაზე დაეცემოდეს, მანამდის ზღვა და ველი მოიარე და გაიგე ტარიელის ცოლის ამბავიო. გაფრინდა მერცხალი და გაიგო: შავი ზღვის შუაგულში ნესტანი ქაჯებს ჰყავთ დამწყვედული ქაჯეთის კოშკში. მერცხალი ავთანდილს და ტარიელს ურჩევს, ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად თან წაიყვანონ ფრიდონი. ავთანდილი ფრიდონს სთხოვს დახმარებას, მაგრამ ფრიდონი იწყენს. ავთანდილმა სხვა ვერაფერი მოუხერხა ფრიდონს და ჯოჯი მოჰპარა. ავთანდილს გზიდან ბულა გაეკცა და ფრიდონს ამბავი შეატყობინა. ფრიდონი ძალზე განირისხდა. ბულა დაკლა და შეწვა, გამოუდგა ავთანდილსა და ტარიელს. ფრიდონი ამოძრობს ნაძვის ხესა და ესერის ავთანდილსა და ტარიელს. ავთანდილი ფრიდონს პატივებს სთხოვს. ტარიელი ამას არ კადრულობს. ბოლოს ფრიდონი მათ იცნობს. წაიყვანს სახლში და დიდ პატივს სცემს.

ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი გაემგზავრებიან ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად. მიადგებიან ზღვის პირს, ავთანდილი და ფრიდონი დაიჭერენ „კუჩირტილპარ“-ს¹ და მასზე შესხდებიან. „კუჩირტილპარ“-ს ზღვაზე ისე შეუძლია გავლა, როგორც ხმელეთზე. ტარიელი „კუჩირტილპარ“-ზე შეჯდომას არ იკადრებს და ფეხბაფეხ შეტოპავს, ის დროა, უნდა დაიხრჩოს ტარიელი, შევლას ავთანდილს სთხოვს. ავთანდილი ეტყვის: მე ვერას გიშველი, დიდ უფალს შეევედრეო.

ტარიელი პირველად არ კადრულობს დიდი უფლის შევედრებას, მაგრამ ბოლოს მაინც შეევედრება. დიდ უფალს გაუხარდება ტარიელის ხვეწნა და ზღვას ისე გაუმეგრებს, რომ ტარიელი თავისუფლად გაივლის ზედ და მივა ქაჯეთის კოშკის ძირამდის. ავთანდილი და ფრიდონი მათუფლებით ავლენ კოშკის წვერზე. დიდი ომის შემდეგ ნესტან-დარეჯანს გამოიხსნიან. ტარიელი

¹ „კუჩირტი“ რაღაც ჯადოთაძერი ცხოველია, რომლის სახელი ქართულად ვერ მიიხრებს

და ნესტან-დარეჯანი ხედებიან ერთმანეთს. ბოლოს ტარიელს მთავარი ქაჯი მოუსწრებს და ფეხებს შეუბრუნებს: ტარიელს ქუსლები წინ და თითები უკან მოექცევა. ფრიდონი გაუსწორებს ფეხებს ტარიელს. მოჰყავთ სახლში ნესტან-დარეჯანი ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს. გზაში ავთანდილი და ფრიდონი ნესტან-დარეჯანს შეაშინებენ. ნესტან-დარეჯანს პირიდან საში ქაჯი წავარდება. ტარიელმა ორი მოკლა და მესამე არ მოკლა. ეს მესამე ქაჯი გადაიქცა ყორხად და გაფრინდა. ამის შემდეგ ფრიდონი გადაიხდის დიდ ქორწილს და ტარიელს, ნესტან-დარეჯანსა და ავთანდილს დიდი საჩუქრებით გაისტუმრებს. გზაზე ტარიელს. ნესტან-დარეჯანს და ავთანდილს შეხედებათ ქორი. ქორი მათ შესძახებს: ნესტან-დარეჯანი ავთანდილმა მოძებნა და მას ეკუთვნისო. ვინც ეს გააძვლავნოს. ქვად გადაიქცესო. ქორის სიტყვები მხოლოდ ავთანდილს ესმის, სხვას — არა. ქორი ტარიელს ბექზე უნდა დაჯდომოდა და ბექი უნდა გაეხმო, რომ ავთანდილმა მოუქნია ხნალი და შუაზე გაქრა. ეს ტარიელმა იწყინა. მაშინ ავთანდილმა ქორის ნათქვამი გაამჟღავნა და გადაიქცა ქვად. ტარიელი იტყვის: ამის შემდეგ ჩემი სიცოცხლე აღარ ღირსო, აიღებს ხმალს და ჩამოეცმება ზედ.

ნესტან-დარეჯანი ზის მკვდრებს შორის და ტირის. ამ დროს ბაყაყი გამოჩნდება. ნესტან-დარეჯანი მას ზურგზე ტყავს გაუქაწრავს. ბაყაყი ნესტან-დარეჯანს ეტყვის; „შე ბოზო, შენი ბოზობით ორი თავადი დაღუპეო“. ბაყაყი მოგლეჯს იქვე ბალახს, წაისვამს ზურგზე და ტყავი გაუმრთელდება.

იმ ბალახით ნესტან-დარეჯანი ტარიელსა და ავთანდილსაც აცოცხლებს.

მეორე ვარიანტის მიხედვით, როდესაც ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ფრიდონისგან მოდიან, გზაში შევარდენი შეხედებათ და ეტყვის: ნესტან-დარეჯანი ავთანდილის მოძებნილია და ავთანდილს უნდა ჰყავდესო. ეს ვინც გააძვლავნოს, ქვად გადაიქცესო. ავთანდილი შევარდენის ნათქვამს გაამჟღავნებს და ქვად გადაიქცევა. ამის შემდეგ ნესტან-დარეჯანი დაორსულდება და ვაჟი შეეძინება. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი წავლენ მკითხვეთან და სთხოვენ რჩევას, თუ როგორ შეიძლება ავთანდილის ვაცოცხლება. მკითხვეი ურჩევს მათ: თქვენი ვაჟი დააკალით გულზე ავთანდილს. თბილი სისხლით დაბანეთ ავთანდილი და ვაცოცხლდებაო. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი მკითხვეის რჩევას თანახმად მოიქცევიან და ავთანდილს ვააცოცხლებენ. ამის შემდეგ იწყება მათი ბედნიერი ცხოვრება.

1. ტარიელ*

ლემზერეე ხიშდ ი ამიუ არიხ სილვან (ქექეაუზ) კენსარ ი აფრასტან კენსარ. აღმარს ლიხ მალტარ აფხნეგარ. აღმარს ლახხვა აერქედლშ ლანაე ხარხ. აღმარს ლშშაშლთე ხარხ აერქედლშ ლეზი. უშბტარ ლახლეერანხ ეჯეი, ერე მინე ლახხვას ქყენტარ ახთენენხ, ლახტბაე ლახსე ი აერქედლშ ჰე დინალ — ლაჟიდლა ლესუხ. ანაღს ეჯეი ლშშაშლთე ი სილვან კენსარ ჩუადგარხ, აფრასტან კენსარ ლგარ ანტახ. აფრასტან კენსარს დინა ახთენან ი სილვანს—ჰყინტ. ანაირისღეხ ი ტარიელ ათეხხხ, ტარიელს ახფას ძღღე ქაბიგე. ლეეა მარ ესღრი ი ლეეა ხატყცი ჩი ი ლექტა მარ ესღრი, ლექტა ხატყცი ჩი. ამეი აფრასტან კენსარს ხავარუნდა

* მადლობას ვუცხადებ ბ. გუჯეჯიანს, რომელმაც ტექსტი შეამოწმა ენობრივად ზუსტად ნაწერის მხრით.

ო ქანდწონლე მიჩა გეხალ დინა. ფედისა დემ აძრ.იმის მოშ ხაყლა ტარიელს ი ჯვედიანან ლახტურლხ: ჯა როქე ჰე იოჩა ჰაბივე ლი, ლო მიჩა ხეხემი ქვერწილ ბაზი ესერ ლი ი ერისუ ვხთხნალ! ალა სვანვად ი ხაქვე მიჩა დის, ერე: ხარდენა როქე აძრ მიჩ ლეხხური!—მიჩ როქე მეჩი მუ ხარდენა, ჩუ როქე აღდავარ ლი ი ჩუ ოთშდლუვახ. ათხე ატახ ჰა ი ლევა აძრ ესერი ი ლევა ხატყცი. ლექშა აძრ ესერი ი ლექშა ხატყცი. ფედის დემ აძრ ხობდავი ი ჯვედიანან ჰა ხატურლიხ:—მიჩა ხეხემი ქვერწილ ბაზი როქე ლი ი ერისუ ესერ ვხთხნალ. სვად ანვად აღა, ჰაბივე, მიჩა დითე ი ხაქვე: ხიად, ტებდი დეარუ ოხენაყე! ქოხნაყე ი ჰა ლინყე მამა ახლამუნე ი თი ანბივე ი სვა ლახდე მიჩა დის ლუსტურს ერხან-ამხან ი ხაქვე: ხოცხენდელს ი ლუსტურს ხაშხი, მადეე ჰემეა აძრ ხორი ლეხხური, ქან ხაქვე.—მიჩან ესერ ცოდ ხარ, მიჩა ამი მუქენსგს. მიჩ როქე ხამა მრდე აძრ ხერდოლ. სილევან ი აფრასტან როქე ლემარლიხ ძღდე მალტარ. ეჯაძრ ესერ ერ ლაშაღლთე ანჩედხ, ერქას ლახხეა დერქედაშ ლანავ ათსედახ ი ეჯაძრ ხარახ უშხურ ლემბანე, ერე ჰე ქყენტარ ვხთენენხ ი ლო ლახტუა ლემარლესეხ ი ჰე დინალ ვხთენენხ—ლაედლია ი ჰე აშხუ ქყინტი ი მერმა დინა ვხთენენხ, ერქას ხეხე-ჰაშ ხეყვეს ლემარლესეხ. მიჩ როქე დიდაბუ ათვედა ლერბათე ი სილავანს ქყინტი ახთენენა. აფრასტანს—დინა გეხალ. ეჯა ხავკარგნდა როქე მერქს ი ჰა ოთწურლა ი ეჩი ქვერწილ ესერ ლი ბაზი.—ეხარ ესერ, ააღო ჯა ერავ უხად მამა იგნი. დემ ფიშვედა მიჩა დი, ხავკანბენ ტარიელ, მარე ამნემ, ტარიელდ, ლიზი მამა ადჟომე, ანმარან ხოჩამდ ი აჩად. ამი ლეხხური ხოშვემინა არბეთი ხელწიფი გეხალს. ჩუ სგურხ ქვერწილ-მარე მავ ი სვანად ერხვეთესგა. სვა ლახსგურდა განხანჩუ, ოხგუდიორდა ქიშხს არაბეთი ხელწიფი გეხალს, ლაყედნე ალა ლაყარდ ი მექვერწილ-მარე მავ უანხვიტ ლაყარს, ქიშხილდ გარ ლახხად ტოტისგა. ხაფხეკ ნესტან-დარეჯანს ი ანვიდ მიჩა ქორთე, ამეჩუ აჩეძინხ ქვერწილ. ეჯეი მალტარ ლიხ ტარიელ ი ნესტან-დარეჯან, ერე ხოშა მალატ მამა ხაკურ. ძღდე ხალატ ტარიელ ი ლაყეგართე ეში მად აჩად ნესტან.

ქანჯ ოთშყანდ ნესგაჩუნ. ერქას ანვად ტარიელ ქაშთე. აჩად ი ლახტურედლა, ერე: ამეი როქე ხალატ მიჩა ხეხეს ი ლაყეგართე მად ანჩედლი მიჩა. ქანდ ლოხთონე, ერე მიჩ ლახ ესა ჩუ ოთშვედა მიჩაშთე ლიქედ. ათხე როქე ჯაჲ ჰა ხე-ქენი ტკიცს. ააღო კიბდურეშუ ესერ ანტაბე ი სვან ადგენე მიჩა ხეხე ერხანუ. ეჯა როქე ბერეპ ჯაქვარშე თნე ლაშთელგერე, ერე ლიც სვანჩუ დოსა აჩეს, ქანე ადიე ი ლეცისგა ჯაქვეშ ჩუნე ათხე; მერმა ლადელ ქაჯარს ჰა როქე ადტებნი ი სვა ხეყენლურეი ერხნლო. ანვად ტარიელ ი ამეი ჩუნეინ. ნესტან-დარეჯან სვადგენე კიბდვენთე ი ლეცე პილთე ჩუათხე ჯაქვარშე: „ფისურე ესერ ხაბახ ქაჯარს!“ ანვად ი ქანდცხტუახ ნესტან-დარეჯან. აჩად მერმა ლადელ ტარიელ ლეცეთენე ი დე კიბდვენ ახხვირდა ი დე ნესტან. ოხბინე-ლითხელი, სერ ძუ-ღურეში ი ლეცე სათათე ნესგა ასგურდა. ძანგ ბარ უწვენად დესა აცურირ. დეშმა ანმეკრე მიჩა ხეხემიშ. მიჩა დიდ ხაქვე, ერე: აჩადლუ ესერ ავთანდილშთე,—მიჩა მუხევათე, ლოხმარჯვი როქე ეჯა ლათსელს. ტარიელდ ავთანდილ ან-ერე: ააღო მიჩა დადამთურე ესერ აჩად. ხაქვე მიჩა დიდ: ეჯას როქე სემი შდავალ ხორი, ეჯაძრ დომის ანმეკრიხ, ერქას ციქედ ლიხ მინე ლითხელი. ლოხვერდახ უნსტარ ტარიელ ი ავთანდილ ი აჩადხ მინე დადამთე. ათხინდენდა მინე დადას. ვოხშამ ოხმარე ხოჩა. ვოხშმობა დარეგ ხარხ ი ავთანდილდ ხაქვე ტარიელს ტოტრე ლიბარ.

ტარიელდ ხაქე ავთანდილს: ქა როქე ჰე დომე პდბარე, სგა ლახბიქუქუე კუ-
ანდს. ავთანდილ ქანდბარე შიარ. ტარიელდ მიჩა მუხეზა ხაქე, ერე: ჟი დომე
ანკედ ლეზუეზს, სგა ქესერ ლახბიქუქუე ქვანდს. ბაზი ამეი ადგეზანს, ძინარს ავგეან
მინე დადა, ქაჩანდ მურყუემე შდულედ, ქანკიდ კოლეფ, სემი შდავალ ხორი ამე-
ისგა. ხაქე: ჰე მიშგუთი ლალაპაჯ, ლალშომ ხოშა უდლანდ—შდაუტლანდ, ვოდე ლჯან-
ჩანჩიუ ბანდერე გომთიეუ აპი, ერქად ძულტუშ-ი ველი ნესგა მავე პთინი. ტარი-
ელი ხეხე ლჯან არდენდს, ჰა ლჯან, ეჯა მრმა სხმეჯრა, ერჟურ ლატახ მინა
ჯარ. აჩანდ შდავალ,—ძულტუშ-ი ველი ნესგა მავე ადრეზუნი. ალა ჟი სხმეჯრე, ერე
ლჯან არი ი იშგენ დეშმა სხმეჯრე. სგანტახ მიჩა პატრონთე. ხაქე მიჩა პატრონს,
ერე ათყეჩინს ერე ლათხელს. ალა როქე ქოხმეჯრა, ერე ლჯან ჩუბარი ი იშგენ დე-
შმა ოხმეჯრა. ათხე აფიშედ მერმე შდავალ.—ჲ, მიჩა შდავალანდ: ვოდე მერბიელ
დჯარს ლაქეფათესგა სგა ხადი, ერქად ძულტუშ-ი ველი ნესგა მავე პდრეზინე ი ტარი-
ელი ხეხე ლჯან არდენდს, ჰა ლჯან, ერე სხმეჯრე. აჩანდ ალა შდავალანი ი ეჯა
ქ' სხმეჯრე, ერე ლჯან არი ი იშგენ დესამა. ათხე აფიშედ მენსე შდავალანდ: ე,
მიჩა ლალაპაჯ, ლალშომ, მიჩა ხოხეზა შდავალანდ, ვოდე ამსეალდს ყაბეხანჩიუ ქინ
ხოშედენი გომთიეუ, ერქად ძულტუშ-ი ველი ნესგა მავე პდრეზინე ტარიელი ხეხე
ლჯან ლესეს, ეჯავი ქ' სხმეჯრე ი ლჯან ლესეს—ეჯავი ქ' სხმეჯრე. აჩანდ
შდავალანდ. მეშხა ძულეა ნესგაჲსგა. ქაჯრე: ი მურყუემე ლჯე. ამესგა ხაყახ
ქაჯარს ლანავ ნესტან-დარეჯან. აშხე შდულისგა სგანანდ ი მერმაქა ქ' სტახს.
ქანძეჯრე, ერე ნესტან ანესგა ხაყახ ქაჯარს ი სგანტახ ეჯა მიჩა პატრონთე.
ხაქე მიჩა პატრონს: ერითან ნომმავ როქე სმევედ, ერე მიჯნემ დომე სხმეჯრე.
ხოჩა როქე ხარხ მიჩა ლამაპანას, ერე სვითე ოთქონის მშვიდებიანდ. მეშხა
ძულეას ნესგაჲსგა, ქაჯარს როქე ხაყახ ლანავ ქაჯრე მურყუემისგა. ჰ'ესერ
ეჯლაჲ შუხად დომე იგინხ, ერქა როქე ვოფრიდონსუ ათგერანხს. ეჯან ჩემის
ესერ ლასშიდს, ადო მინს როქე მამა ხამედახ ერავ ლეზი. სხმარანხს ტარიელ
ი ავთანდილ ი აჩანდ ვოფრიდონიშთე. ავთანდილს ხაქურ,—ხაქევეს ტარიელს,
სგან ლახგერანხს, ეჯა ტარიელს ათქუშგდენდა. იშგენ დეშმა ანჯერე ავთან-
დილდ ი ჯუეგ ოთლე ვოფრიდონს. ბულტა ოთინანდ ჟეშედ ი სგა ლახანან
კორს ვოფრიდონს. ვოფრიდონს ხაქე: ჯუეგ როქე მერეს ოთლა მიჩანდ ი
ქ' სხმარანხს მენვარ. ვოფრიდონდ ბულტა ჩუესთიშედ ი ჩვანკი ი ქ' სტახე; ალა
შენეი ლანე ლახობდ, სხლავე ჟეშეინ. ლახყეფი ლუმირ, ახთიშედ ტარიელს ი
ავთანდილს. ერქა ალაჲარდ ტუბითესგა ხოსკენხ. ტუბიხს ქა ხეპოგი ერხანუ-ამბანუ. ჲ,
ტარიელ, მიშგუთი მუხეზე, სგალჯერენდ, ადო გუადანეშე, —ხაქე ავთანდილდ
ტარიელს. ტარიელდ ხაქე: ერხან აშ ამდანეშას, ერე სგა მამა ხევეჯრანლ. ტარიელდ
მანდ ლახმეგედ ლიჯერანლ, ქანტახ ჟეშედ. ავთანდილდ ჩუესთიქუე, სგა ლახგერან
ვოფრიდონს. ვოფრიდონ მიჩა შგურლა როქე მამა ხარახ ალა, მარე ხოშა გუმბი
მუხეზე როქე ხორი ი ერე ტარ როქე ლი. ვოფრიდონდ ხაქე: ატ, საბრალ ესერ
მიჩა ლირდე! ჰე ტარიელ ი ავთანდილ ესა ლესეს, ძღედ ლერბეთ როქე ლახუნ-
გუამენახ მინე ლჯემანდ ვეშეინ ლიქემ, ალაჲარდ სგა ლახგერანხს ჯევეს ი ქ' ათ-
ქონუნეს ჟეშედ, სგანდრე მიჩა ქორთე; მიჩა ქორისგა ძღედ პატრიცემა ხაყერ.

ავთანდილდ ოლანბუე ვოფრიდონს ტარიელი ხეხემი ლიქარავი ი ხაშგუ-
მინ ლიმურჯი. ქ' სხმარანხს ვოფრიდონ: ენხეი ლელანი ბამბი ქიპ ლახყედანე,
მერმე ბერეშე. ადბინეს ლეზი სამემ: ტარიელდ. ავთანდილდ ი ვოფრიდონდ.
ქ' აჩანდს აულეპ პილთეფი, ამეჩუნ ვოფრიდონდ ი ავთანდილდ კვირტილარ:
ანგრეხს. მინე რანალ ჩუათუშობს. ალაჲარსა, კვირტილარს, იულეა მეჯარ ხარხ.

ტარიელდ მად იშვედ კვირტრლმ ლისგურიე. ესღრის ძულეაქა, კვირტრლმარ, ესღრის ი იშვემადე გიმეი, ამეი იხელმალხ ი ტარიელ ჩუაჩანდ ლანკუთხათეჩუ. ავთანდილს ხაქე ტარიელდ: ავთანდილ. მიშგუ მუხებე, მიწად მა, ადო ხეიდ-ვაში... — მი დეშ იმის ჯიწა ხოშა ფუსდს ათკვრან, ეჯა ჰემის ჯიწა. ხოშა ვუხანაბუნსდი ლიგვრალ მად იშვედ ტარიელდ: ხოშა ფუსდ როქე მამ რირი ნინაშდ ხოშა. მისმამდ აჩანდ ი ყითათეუ ესთუბე, თხუმი გარ ხოწვა ლცხან-ვი. — ავთანდილ მიშგუ მუხებე, მიწად მა, ადო ხეიდვაში. — მი დეშ იმის ჯიწა ი ხომარ ფუსდს ათკვრან ი ეჯა ჰემის ჯიწა. ექას ათკვრან ხომამ ფუსდს ტარიელ. მალენ როქე მიჩანდ ხოშა ლიხ, ლახმანდუე! ტარიელი ლიგვრალ ეჯხმე ათხედენდა ხომამ ფუსდს, ერე ძულეა ო'ხმეჯარე ტარიელს, ინეივამ კვირტელმარ ესღრის ძულეაქა, ეჯეი ესღრი ტარიელენ. რაშს ხასგურ ი სგა ალაქე ქაჯეთი მურყემმ ძირთესგა. ამეჩუ ლახტემხ ტარიელს ბამბი ქიპი ლღაბ. ადკუმარ ტარიელდ, შდულეარს ეი ხაჯიდ, ქა დეშ ადღეზე მერმახანჩუ. ამეინ ავთანდილდ ადკუმარ, მარე ქა დეშ ადღეზე მერმახანჩუ. ადკუმარ ვოფრიდონდ, აშხუ შდულისგა სგადღეზე ი მერმა შდულქა ქანტიხ. ათბეხ ამის ბერეს ქიპ, ჟადიეხ ალმ. ბერეს ქიპ, ო'ათქვამხ ალ ქიპს ი სემი მამ ო'აჩანდ მურყუამთეი; ტარიელ ადგენეხ ჩუქუმან ყორეი, ეიქან ალაპარ ხეიტეხ ქაჯარსა, ვოფრიდონ ი ავთანდილ. ჩუქენ ტარიელ ხეიტე ქაჯარს. ეჯეი ანხეიტხ ქაჯარ, ერე ზისხი ლქარშე ძულეა ო'ანგუეშლან. ქანაარეხ ალ მურყუმ, ქაჯარ ო'ანხეიტხ. ტარიელ ხეწად მიჩა ხეხეს ნესტან-დარეჯანს. ტარიელ ეჩას ხოსგდი. ახლაკ ლქან ქაჯ ი ტარიელს ქვშხარ ო'ახსიპუნალე, ჰაგუმარ სეუებნავ ხაყერ ი ფხულარ ტეშემაგ. — ავთანდილ მიშგუი მუხებე, მიწად, ადო კირი მამედ დარ ამთხანან. — ავთანდილს მუხება ექა დო მაყლას, ე ტაბეგს ერ ლასგურდად ი ქუბანდ მამბეკუხას. ამეი ჩუ ანვანდ ვოფრიდონ ი ავთანდილ, ტარიელს ქვშხარ ო'ახმე-წენალეხ. ტარიელ ი ნესტან-დარეჯან ათცხორაჩანხ უშხუმარ ი ჩუ დეშმა აყლურეხ. ეჯეი ათხედენხ უშხუმარე ლიწედ. ჩუანვანდ მურყუმახანჩუ ძულეათესგა. ტარიელდ დარეჯანი ანჯიდ. ხაქეხ ტარიელს, ერე მინ როქე სევებინ ადრის ი მიჩა ხეხეს ქაჯარს ო'ახშიდტინიხ ი მიჯნემ ლგარ ნოსანუ აფიშედ. ტარიელი ი მიჩა ხეხე უეშეინ ესღრის. ალაპარა, ვოფრიდონ ი ავთანდილ, ბოგჩუქენ ჩუბ-თახეხ. ესღრის ბოგქა ტარიელ ი მიჩა ხეხე დარეჯან. ესტურლდელეხ ვოფრი-დონდ ი ავთანდილდ: სემი ახკვარტინეხ ჰარტეი ლეგუბთუ ქაჯარ. აორი ჩუად-ვარ ტარიელდ, მესმე მად ადსერ ლედგარიდ. ასიპდა ლუამალდ ქაჯ ი ქანად. აჩანდ ვოფრიდონი ქორთეი ტარიელ, ავთანდილ ი ნესტან-დარეჯან.

ვოფრიდონდ ქეერწილ ხაყერ, დღედ საჩუქვარშე აფიშედ ტარიელ ი ავ-თანდილ ი დარეჯან. ქანად ვოფრიდონიშხანქა, ესღრის მინდორ ლეეა. ამე-ლექუბა ანორი ლგარუევენ ცხაკე. ამელეეა აორი ლახუბაე ანდრის: ტარიელ ი ავთანდალ. — ხეხე ავთანდილმ ნათხალუ ლიხ ი ავთანდილს ერე ოხჯემრა. ტარიელს ბარჯეი ო'ესტეგენი. ბარჯს ჩუ ოთახეკენი, ჩოთფერი. ხესე ავთანდილმ ნათხალუ ლიხ ი ავთანდილს ოხჯემრა. აერდემად ალა ქანდუშხას, ეჯა ბაჩდ ი ნექუხსდუ ალსეელი. ალა ავთანდილს სგა ხესმი ამე ამბავ ი ტარიელს მამა. ვოდემ ჩიქად ტარიელს ბარჯეი ხეგნი, ექად ავთანდილდ ოხუეი დაშნამ ი ჩუადგარ ცხაკე. ეჯა ტარიელს ათსსტკენდა. — იმლა როქე ოთკვანდტინა მიჩანდ ამგეამ ლამდრალ. ათხე ო'ანხირანხ. ტარიელს ექა ხაქე ავთანდილდ: ჯამ ხოშა გუიმიშ ამ გარ ლიხ, მიჩ ამე ამბავ როქე სგა ხესმი, მარე მიჩ მამა. — ადო იმ როქე ხატული, — ტარიელდ ხაქეე ავთანდილს. ათხე მიჩა ცოდუ

ესერ ხნარ: ავთანდილდ ხაქვე ტარიელს: ცხავეს როქე ხოქვა: ამელეფა როქე
აორი ლახტბა ანღრიხ, ხეხე როქე ავთანდილმ ნათხნლუ ლი ი ავთანდილსუ
ოხვეგრა. ტარიელს ბარჯეი ეესტეგენი, ბარჯს ჩოთხეკენი, ჩოთფერი, ეერეზად
ალა როქე ქნდუშხას, ეჯა როქე ბაჩდუ ალსიპელი. ავთანდილ ბაჩდ ესსიპდა
ი ქნდგურნან განთე. ტარიელდ რაქე: — აალო მიჩა მუხეზაბურ მამა როქე ხევე-
დენი? ე'ანკიდ ხმალ ი ეესცელგურან ამეი. ტარიელდ ჩუ ადგარ თხუმი.

ნესტან-დარეჯან იგუნი, ჩუ სგურ ლვდგარუ ნესგაჩუ. ამეკა ანსკინე აფხედ,
ლოხსეე ამის ჩაფლმ კაცხ შეყლეფა ტუფ ე'ახტუქუიფ. ხაქვე აფხედ ნესტან-და-
რეჯანს: ჰე ჯა ბეზუ ი ჯა ფრავ, მიჩა ნაბოზალუ ესერ მარუ თავენდს ხეთრა.
ქნდსკინე აფხულდდ განთე. ანქუიკ ბალახ, ესდე შეყეი, ხოჩა ლახტახ, ადო
ხოდრა მამა. ათხე ნესტან-დარეჯანდ ლახტუმ გვი ალ ბალახს. ანხურე ამნე
ხტუმ, აერალი ი ხაქმინე ტარიელს ი ე'ანსელტე. — ოხ, მიჩ როქე მახან დაგრა
მამ ხერი, მიჩა მუხეზაბურ როქე ჯა მამა იგნი. ნიშვე როქე ხაყლუნი, ეი როქე
ანგოჩეიხ ეჩასრ. ანხურე ბალახ, აერალის ი ხაქმინეხ აეთანდილს. ე'ანსელტეხ
ავთანდილრ. ათხინდენდახ ი სგანახდ მინე დადუშოტესგა, დადად ლახხიადალ
აჩემინ ი ქვერწილ ტარიელიშ. ვოდ ეჩეჩუნ დო ალლაკენდ ნამ შვე ზურალ ი
ლუმეშარი, ეჩქად ნოსამეე ლოგეზიგა!

2. ნესტან-დარეჯან

არდა სილევან კენსარ ი ალას ხნდ ლამალთე ლეზი. აფრასუანსრ დანავ
ოთსად ხეხე. ათხე ლახხუა დანავ ოთსადხ, ლო ქუინტი ო დინა ახთენანხ ი
ალმარ ჩუანდხეხეკუამანხ. აფრასუან კენსარ ჩუადღვენან. სილვან ქენსარ აგით
ანტახ, მარე ნესტან-დარეჯან ტარიელს მად ლახტუმ ხახტდ. ათხე მამ ხაყრის?
ნესტან-დარეჯანს ხაყლუნი ტარიელიშდ ი ქა დარ მოშ აქესგო. ანტახბეხ კიბ-
დუენ ი სგადგენეხ ამხეთესგა ნესტან-დარეჯან, სგადკვარხ ძულეათემსგა. აჩად
ტარიელ ლაფურთალთე; ე'ახწინდა სოფლი ბოფმარს. კანკე ხაქიდ აშხუ
ბეფეშს: „ხოჩა ტარიელ ჰე ხი, ბახი ისგუა ხეხევი ქვერწილ ლი“. აჩად ტა-
რიელ, ეჩქა ეჩრ კეშ სტიბდა. ხატეტ კეშმარს ი ქა ხაქიდ ქუედთე ამ მაყალ-
შუ ა, ტარიელიშ, მიჩა ხეხე კიბდუენთე ადგენეხ ი ძულეათე ადკვარხ. ესხტდხ
ამეჩუ ქაჯარალ ი ე'ანტიხს დაჩქალეთი მურყუამთეი. ათხე აჩად ტარიელ ლათ-
ხელთე. ამეჩუ ავთანდს ათსდ. ავთანდი დიდ ლოხელუ ი ლაცინორდ ესსიპე.
ანვად ავთანდ აგითე ი ლამქვედა: „დდე მარ ლამსუ ალმ, მიშგუა ლამქუნა
ბაჩარქა ქოსსკინა ი ნალარს სგანჩუ ოთშინა?“ ათხე ავთანდი დიდ ტარიელ
ე'ანგენე. „მამ ეჯწეხენდა ამოთან?“ — ავთანდლ ხაქე ტარიელს — მამ ემწეხენ-
და-ე ამოთან ხეხე მარ ლოთხელი. ავთანდი დის სემი ქაჯარალ ხობ სკვირისგა.
ანფიშდლ მამუნე უდილ, ვოდე კეი დამარ ეი იკეხროლდენდს, ეჩქად ცადაქვე-
ყანა მამ ათონინ ი ახმევერ ესამა. ამნემ ამეი ჩეემინ ი ანტახ ი ხაქე: „მამა-
გუტუმ ახეგევერ“. ანფუშდლ მერმე უდილ, ლამყინასგა დირი ლისალალდ
ცადაქვეყანა მამ ათონინ ი ახმევერ ესამა. ამნემ მამ ჩუანდინე, მარე დესამა
მოშ ანმევერ ი რაქე: „მამაგუტუმ ახმევერ. ანფიშტდ მესმე უდილ ვოდე მურ-
ყუამანჩუ ანდგო გიმთეჩუ ანკეს, ეჩქად ცადაქვეყანა ჩუათონინ, ვოდე დოსამა
ახმევერა, ეჩქად აგითე ნოს' ანკე, აგითე ანვად ი ლახქვედდახ: ოხმევერ, ესერ
ესამა? ამნემ ლახტიხ: დაჩქალეთი მურყუამისგა საყახ ქაჯარალს“.

— ლეჩედლ ავთანდ — ხაქე ტარიელდ, ესლოხ ათხე, ეანხენგარეხ ყურარუ-
ლარ ი აჩადხ. ათხე ალმარდ ფრიდონს კუირტი ჯუეე ოხქუთენეხ. მინ ჩუათ-

პაეხ. ათხე ლახნანდს ამეკა ფრიდონს ი სგა ხატილს ფაყვარ. ათხე სგა ლამდ-
ვერხ მუხებად ფრიდონ. ათხე სგაწჳჳჳჳ ფრიდონდ, აეთანდს ი ტარიელს სანდილ
ხანენე. ათხე ანვად ალაჲ, კურიტალ ოსტილ ლალსგურად. ათხე ალას ტარიელ
მად ახსგურდა, აჩად ათხე ი ძულვაქა ხარხ ლეზი. ათხე ფრიდონ ი აეთანდ
იხელწლხ ძულვაქა კურიტალშე ტარიელ ყვარტილს ხასგურ დემ ლგრი ამეკა
ი ათხე ანვად ფრიდონ ი სგა ხატეტი ი ჟი ლამთქამტენე. ათხე ადჳჳჳჳ დაქა-
ლეთი მურყუამმეყ. ტარიელ სგა ნდგენეხ ჟუბე ლარდათე. ადქუპარ ყაჯი კეიქ
მურყუამ ჟიქანქა ი აშხტანტენ აეთანდ ათქამ ი მგრამახანეი ტარიელ ათქამ
მურყუამთეი ი სგაჩად. შდურგვლისგა ი ათხე შენ ხაყახ კიბდუენისგა ქაჯ-
რასლ ნესტან-დარეჯან. ქაჯრასლ ჟ'ანხტიტხ ი ეშხე ჩოთჩანდ. ეჯა ჩუაჩად ი ტა-
რიელს ჰაგუტარ ქანჳინე. ათხე ქანჳ ანრეყხ ნესტან-დარეჯან. ეჩუნლო ჩუანვად ტა-
რიელშითე, ხაქე ტარიელდ აეთანდს: მარ ხი, მამ ხი? ათხე დო ხი მიშგუთათან?
ნამ ქაჯრასლ ჟ'ონხტიტდ ი სი აშხე ქაჯდ ჰაგვარ ქაჯჳინე. ათხე ნესტან-და-
რეჯან აეთანდდ ლამთქამტენე ი ანვადხ ფრიდონშითესგა. ათხე ფრიდონდ
საჩქვარ ლახტენე. ანლოხ ათხე ნესტან დარეჯან, აეთანდ ი ტარიელ. მუწულ
ლახხტენდხ ალამარს სგუტეხინისგა. — ათხე ამლექაჳ ანვადენი ლგუგ ჩაჳ ი ტა-
რიელს ჩუადდწჳში. ხეხე აეთანდი ნათხალტ ლი ი აეთანდს ხერი. ალა ერგვად
ქამუშხას, ეჯა ქუთულარგნეუ ბაჩვდლჳ ელსიბელი. აჯალ სგა ლახხტენდხ შაუ-
რდელ.

ათხე ამლექაჳ ანვად ლგუგ შაურდელ, ტარიელი გუქა ადსკინე. — ნესტან-
დარეჯან აეთანდს ხერი. ალა ერგვად ქამუშხას, ეჯა ლარტყანეუ ბაჩვდლჳ ელსი-
ბელი. ბაზი ლაჳამეყ დემაჳ ანსგახ ი ამჳ სედნიხ მურყუამისგა. ტარიელ
ვიდიერ გუტენიშ ლი. ჟუბე ლაგუტანდას დემ იგნი. თხუმამ ლაგუტანდათე
ღგრი. ეჩე ხამთქვახ ქაჯარ ი ტარიელს ჩუადდწჳშიხ. „ხეხე აეთანდი ნათხალტ
ლი ი აეთანდს ხერი“. ათხე ანვად ამლექაჳ შაურდელ ი ტარიელ ჩუადდწჳშე.
ეთანდდ ხაქე: „ხეხე ესერ მიჩა ნათხალტ ლი ი მიჩ ხერი. ალა ერგვად ქამუ-
შხას, ეჯა ლარტყანეუ ბაჩვდლჳ ელსიბელი“. ი ბაჩვდ ელსიბდა ლარტყანეუ.
ათხე ალ' ესერ ვიდიერ გუტენიშ ლი ი ჟუბე ლაგუტანდას დემ იგნი ი თხუმამ
ლაგუტანდათე ღგრი ი ეჩე ქაჯრასლ ჩუადდწჳშის ტარიელს. ალა ერგვად
ქამუშხას, ეჯა ბაჩვდლჳ ელსიბელი! ათხე ჩუადდლანტან ნესტან-დარეჯან. კყინტ ანთე-
ნან. ტარიელ ადჳჳჳჳ მელთერთე. მელთერდ ლოხთონე: კყინტგეზალ ჟ'ესსიბდ
გუამარეი ი ეჩე ზისხტეუ ჩუათბარალედ აეთანდ. ჩუადდბარალეხ ეჩე ზისხტე
ეთანდ. ხოჩანდ ლატახ. ათხე სგანვად აეთანდიშთესგა. ამნემ საჩქვარ ლახტენ
ი ქაფიშდლჳ ეჯეი. ეჩუნლო ჩუადდგანხ ი არდახ დიდებულდ ი ხოჩანდ.

E. W. SCRIPTURE - ისეული ბრაფიკული მეთოდი

1875 წლის დასაწყისში პარიზის დიდ ფიზიოლოგთან, პროფ. Marej-სთან გამოცხადდა ლინგვისტური საზოგადოების დელეგაცია იმის გასაგებად, შესაძლებელია თუ არა გრაფიკული მეთოდით შესწავლილი იქნეს ის რთული და მრავალმხრივი მოძრაობანი, რომლებზედაც დამოკიდებულია ადამიანის მეტყველება. კერძოდ, საკითხი ეხებოდა იმას, შესაძლებელია, თუ არა ობიექტური ჩანაწერი მივიღოთ იმ აქტებისა, რომლებსაც სხვადასხვა ბგერის არტიკულაციის დროს აწარმოებენ გულმკერდი, ხორხი, ენა, ბაგეები.

ცნობილია, რომ Marej-მ და Rosapelly-მ ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეტყველების შემსწავლელი სპეციალური აპარატების გამზადებითა და მრუდების მიღებით. დღესაც, მაგ., ხორხის კედლების რხევების ჩამწერი კაფსულა და ბაგეების მოძრაობის ჩამწერი იარაღი ამ ავტორების სახელებს ატარებენ (პირველი Marej-ის ეკუთვნის, მეორე Rosapelly-ის).

გრაფიკულ მეთოდს ნამდვილი სრულყოფილი სახე Rousselot-მა მისცა. მან 1896 წელს პარიზში დააარსა ექსპერიმენტული ფონეტიკის პირველი ლაბორატორია და ამის შემდეგ ფონეტიკა მძლავრი საყრდენი შეიქმნა ენათმეცნიერებისა და, კერძოდ, ზოგადი ფონეტიკისა.¹

ამ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე მეორე დიდი მოამაგე გაუჩნდა ექსპერიმენტულ ფონეტიკას E. W. Scripture-ის სახით. დღეს Rousselot-ის სახელთან ერთად Scripture-საც იხსენიებენ და მეთოდს „Rousselot-Scripture-ის მეთოდს“ უწოდებენ.

პროფ. Scripture ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი და მისი პრეზიდენტია (ეს საზოგადოება დაარსებულ იქნა 1928 წ. აპრილში, პაავაში). ამავე დროს იგი 1930 წლიდან ხელმძღვანელობს ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების ორგანოს „Zeitschrift für Experimental—Phonetik“-ის გამოცემას.

პროფ. Scripture-ის გამოკვლევები უმთავრესად შეეხება ხმოვნის ბუნებას, მეტყველების მელოდიკასა და მახვილის საკითხს, ენის ნევროლოგიასა და ლექსთწყობის საკითხებს.

აქ ჩვენ პროფ. Scripture-ის მხოლოდ გრაფიკულ მეთოდს ვეხებით.

¹ აღსანიშნავია, რომ Rousselot-ს კვლევის ობიექტი ევროპული ენების გვერდით ქართული ენაც გახდა. კერძოდ, თედო სახოკიას პარიზში ყოფნის დროს Rousselot-ს მისგან ჩაუწერია გრაფიკულად ქართული სიტყვები. ამ სიტყვების ანალიზი Rousselot-ს მოცემული აქვს თავისი Principes de Phonetique Experimentale-ის მეორე ტომში, გვ. 863—868. Rousselot-ს იქვე მოცემული აქვს ქართულის წინა და უკანანისმიერ თანხმოვანთა პალატურაგამები (გვ. 867).

E. Scripture-მა გრაფიკული მეთოდი Rousselot-ის შემდეგ კიდევ უფრო განავითარა და უფრო მგრძობიარე სახე მისცა მას, აი, როგორ ახასიათებს ამ მეთოდს F. Jauvrin-ი: „Die graphische Methode wurde von Scripture auf einem höheren Grad der Empfindlichkeit, Genauigkeit und Händlichkeit gebracht“. E. Scripture-მა სპეციალური აპარატურაც კი შექმნა მეტყველების ობიექტურად შესასწავლად (ამ აპარატურის მოდელი Homan-ს ეკუთვნის). E. Scripture-მა შეძლო ბგერის ხანგრძლიობა, სიმაღლე და წარმოთქმის სიზუსტე მათემატიკური ზედმიწევნობით განესაზღვრა. მან სპეციალური თეორიაც კი შექმნა ზოგად ფონეტიკაში, რომელიც „მოლეკულარული თეორის“ სახელწოდებითაა ცნობილი. E. Scripture-ის ეს თეორია მის გრაფიკულ მეოღღზეა დაფუძნებული.

E. Scripture-ს თავისი შეხედულებანი გრაფიკული მეთოდის შესახებ ძირითადად ჩამოყალიბებული აქვს ნაშრომში: „Anwendung der graphischen Methode auf Sprache und Gesang“, Leipzig, 1927. ავტორს ზოგი დებულება განწმორებული და უფრო გავრცელებული აქვს სხვადასხვა სპეციალურ წერილებში¹. E. Scripture-ის ძირითადი ამოსავალი დებულება ასეთია: აზრის გამოხატვა

¹ გარდა დასახელებული ნაშრომისა, ჩვენ ხელთ გვქონდა E. Scripture-ის შემდეგი ნაშრომები:

ა) „Der Molekularbau des russischen Sprachlauts ШТШ (ш)“ (Zeitschrift für Exp.-Phonetik, Bd. I, H. 3-4, 1932, 164-170).

ბ) „Die Natur der Vokale“ (Zeitschrift für Exp.-Phonetik, Bd. I, H. 1, 3, 4, 1930-1932; 16-33; 115-146).

გ) „Zur Psychophysik und Physiologie der Vokale“ (Zeitschrift für Sinnesphysiologie, Bd. 58, 1927).

დ) „Sprachneurologische Mitteilungen I (Archiv für Psychiatrie und Nervenkrankheiten“, 1930, 825-835).

ე) „Versformeln und Betonungsprinzipien bei Hardy und Kirling“ („Die Neueren Sprachen“, 1928, 122-126).

ვ) „Experimentalphonetische Untersuchungen über den Bau der deutschen Verszeile“ (Extrait des Archives Néerlandaises de Phonétique Expérimentale. Tome IV, 1929, 1-9).

ზ) „Die neue Metrik“ (Archiv für d. ges. Psychologie, Bd. 64, H. 3/4, 1928, 463-474).

თ) „Experimentale Untersuchungen über die Metrik in Beowulf“ (Archiv f. d. ges. Psychologie, Bd. 66, H. 12, 1928, 203-215).

სხვა ავტორთა ნაშრომებიან, რომლებიც E. Scripture-ის მეთოდს ეხებიან, ან E. Scripture-ის მეთოდითაა საკითხი დამუშავებული, ხელთ გვქონდა:

ა) F. Jauvrin, Die Herstellung von Sprachinskriptionen (Zeitschrift für Exp.-Phonetik, Bd. I, H. I, 1930-1932, 1-8).

ბ) F. Jauvrin, Experimentalphonetische Beobachtungen über die Ataxie (Zeitschrift f. Exp.-Phonetik, 34-35).

გ) A. Elkschek, Untersuchungen über den ШТШ-Laut im Jiddischen (Zeitschrift f. Exp.-Phonetik, 47-55).

დ) B. Suksena, Experimentalphonetische Analyse eines Satzes im Awadhi [Hindi] (Zeitschrift f. Exp.-Phonetik, 9-15).

ე) F. Jauvrin, Experimentalphonetische Untersuchungen über die Sprache der Epileptiker (Zeitschrift f. Exp.-Phonetik, 52-62).

ვ) T. Dave, Experimentalphonetische Analyse eines Satzes im Gujrati [Hindi] (Zeitschrift für Experimental-Phonetik, 110-114).

შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებებით. ასე, მაგალითად, წარმოდგენა რო-
მელიმ „სახლის“ შესახებ შეგვიძლია: 1. სურათით, 2. სიმბოლოებით, როგო-
რიცაა, მაგ., ჩინური იდეოგრაფები, 3. ისეთი რთული სიმბოლური ნიშნებით,
როგორიცაა სიტყვა „სახლი“, 4. წარმოთქმული სიტყვით, ან კიდევ 5. მისი
გრაფიკულად წარმოდგენა. სურათი, ჩინური სიმბოლოები, დაბეჭდილი სიტყვა
„სახლი“, ან იგივე გრაფიკულად წარმოდგენილი იქნება იდეოგრაფა. გრაფი-
კულად გამოხატული ენობრივი ერთეული კი განსხვავდება სხვა იდეოგრაფები-
საგან იმდენად, რამდენადაც ის არის ზუსტი მათემატიკური განსაზღვრა იდეო-
ფონიისა, ანუ ენობრივად გამოხატული აზრისა.

ფსიქოლოგიური საფუძველი იდეოფონიის ცნებისა იდენტურია ენობრივი
მოლეკულის ფიზიკური ცნებისა. წარმოთქმული წინადადება არა მხოლოდ
იდეოფონია, არამედ ენობრივი მოლეკულაც.

ავტორის აზრით, სიტყვა „ენა“ (Sprache) ორგვარი მნიშვნელობა აქვს:
შინაგანი ენა, ანუ ენობრივი აზრი („*Lauguage*“ ინგლისურად) და წარმოთქმუ-
ლი ენა („*Sprech*“ ინგლისურად). შინაგანი ენა წმინდა ფსიქიკურია, წარმოთ-
ქმული კი—წმინდა ფიზიკური.

მეტყველებითი მოძრაობების შედგენა გარეგანი, ანუ წარმოთქმული
მეტყველება. ენობრივი აქტი პაერნაკადის საშუალებით აშკარადდება. ავტორი
მთავარ ამოცანად ისახავს ამ გარეგანი მეტყველების რეგისტრაციასა და
განალიზებას.

პირიდან ამომდინარე პაერნაკადი შედგება ორი ნაწილისაგან: ეროი.
პაერნაკადის მთლიანი მასის მოძრაობისაგან (*Massenbewegungen der Luft*)
და მეორე, პაერნაკადის ნაწილაკების რხევებისაგან (*Schwingungen der Luft-
partikelchen*). პაერნაკადის მასის მოძრაობა არც ვრცელდება და არც გაი-
გონება. ამას *E. Scripture* უწოდებს ენის პელარომულ ელემენტს (*Pela-
romische Elemente*), ხოლო რაც შეეხება პაერნაკადის ნაწილაკების რხევებს,
ისინი პირიდან ვრცელდებიან და კიდევ გაიგონებიან. ეს რხევები ენობრივი
მოძრაობებია. შესაძლებელია მათი ჩაწერა გარკვეული მანძილის სიშორით—
ფონოგრაფით, მიკროფონით, ოსცილოგრაფით, ფილმებზე და ა. შ. *E. Scrip-
ture* ენის ამ მხარეს უწოდებს ტელერომულ ელემენტს (*teleromische
Elemente*).

ენის ეს ორი განსხვავებული ელემენტი შესაძლებელია ჩაწეროთ სხვა-
დასხვა მეთოდებით: ა) ტელერომული, ანუ პირიდან დაშორებულ მანძილზე
(*Fernmethode*) და ბ) პელარომული, ანუ პირიდან ახლო მანძილზე (*Nahmeth-
hode*). ამ უკანასკნელი მეთოდით ჩაწერის შემთხვევაში პაერნაკადის მასის
მოძრაობა უშუალოდ პირიდან გადაეცემა ამბუშურისა და რეზინის მილების
საშუალებით ჩაწერა აპარატს.

ავტორი ფიქრობს, რომ ყოველი ენობრივი მოძრაობა შედგება სულ
მცირე სამი ძალის შეჯამებისა.

1. აუცილებელ მოძრაობათა შესასრულებელი იმპულსი, 2. ინელ დაბრკო-
ლებათა შესრულება და 3. დაბრკოლებათა გადასალახავი იმპულსი. ამ სამ
ფაქტორს ავტორი უწოდებს—*Endymia*, *Antidymia* და *Anadymia* (*dymia* ლა-
პარაკის დროს გამოყენებული ენობრივი ენერგია).

ამასთან დაკავშირებით ავტორს შემოაქვს ცნებები „ენის კინეტიკა“
(*Sprachkinetik*) და „მეტყველების დინამიკა“ (*Sprechdynamik*).

კინეტიკა, როგორც ვიცით, მოძღვრება მოძრაობის შესახებ. ენის კინეტიკა კი არის მოძღვრება ცხვირიდან და პირიდან ჰაერის მოძრაობის შესახებ. წარმოთქმული მეტყველება შედგება მხოლოდ ჰაერის მოძრაობისაგან.

„მეტყველების დინამიკა“ არის მოძღვრება სხეულებრივი (körperlichen) და ფსიქიკური პროცესების შესახებ მეტყველებითი მოძრაობისას.

ფსიქიკური ენობრივი ძალის ქვეშ—ამბობს ავტორი—უნდა ვიგულისხმოთ ყველა სულიერი მოძრაობანი. გარდა ფსიქიკური ძალისა არის კიდევ ერთი ძლიერი, გაბატონებულიც კი, არააცნობიერი, ანუ ქვეცნობიერი ძალა.

ფსიქიკურისა და ნერვულის ურთიერთობის საკითხი ავტორს ასე აქვს წარმოდგენილი: ფსიქიკური ძალა თავის ენობრივ გამოხატულებას პოულობს ნერვული სისტემის ძალის ამოქმედებაში. მაგრამ ნერვული სისტემა მკვდარი ინსტრუმენტი კი არ არის, რომლის საშუალებითაც რაც შინაგანია (Die Seele) გამოიხატება, ისე როგორც მუსიკოსი კლავიშებზე დაკვრით წარმოშობს ჰანგებს. ნერვულ სისტემაში ძვეს არა მარტო თავმოყრილი ავტოგენური გამოცდილება ინდივიდისა, არამედ აგრეთვე ყველა ცხოველის ფილოგენეტური წარსულიც.

ნერვული სისტემის მოქმედება მეტყველების დროს არა იმაში მდგომარეობს, რომ ფსიქიკურ იმპულსს მოძრაობაში მოჰყავს იგი, არამედ იმაში, რომ ფსიქიკური იმპულსის განვითარებით იგი თავისი საკუთარი ძალით აღიზნება. ავტორი დაასკვნის: წარმოთქმული მეტყველება მთლიანად და თავისი ნაწილებით პროლუქტია ნერვული სისტემისა. მეტყველების მრუდი რეგისტრაციაა ნერვული სისტემის მოქმედებისა.

E. Spricture-ის ენის მოლეკულარული თეორიის ცნება გულისხმობს, რომ ყოველი წარმოთქმული შედგება ენობრივი ატომისაგან, რომლებიც ერთმანეთთან სხვადასხვა რიგით არიან შეკავშირებულნი. ცნებები „ენობრივი მოლეკულა“ („Sprachmolekül“) და ენობრივი ატომი („Sprachatom“) წმინდა ფიზიკური ცნებებია. ავტორის განმარტებით, ყოველი ცალკე წარმოთქმული ერთეული იქნება ენობრივი მოლეკულა. მაგ., შა ცალკე წარმოთქმული ენობრივი მოლეკულაა. სიტყვა „მამა“-ც ენობრივი მოლეკულაა. ისე, როგორც ასეთი წინადადება: „დღეს ძალიან კარგი ამინდია“.

ენობრივი მოლეკულა შენდება სხვადასხვა ენობრივი ატომებისაგან. ენობრივი მოლეკულა წარმოადგენს ენობრივი ატომების სინთეზს. ამიტომ ყოველი ენობრივი მოლეკულა შეიცავს ენობრივი ატომის ხუთ თვისებას: ხანგრძლიობას (Dauer), სიძლიერეს (Stärke), სიმაღლეს (Tonhöhe), კვალიტეტს (Qualität) და სიზუსტეს (Genauigkeit). ენობრივი ატომთა ჯგუფი ერთმანეთთან თანაბრად შეკავშირებულნი ვაძლევენ ბერას ისე, როგორც ატომთა ჯგუფი ქმნის სიტყვას. მაგრამ ატომთა შედგენილობა სიტყვისა სხვადასხვაგვარია ბიროვნების, დიალექტისა და ენების მიხედვით. ავტორს მოჰყავს ასეთი მაგალითი: სიტყვაში Vater სამხრელი გერმანელის წარმოთქმაში t-ს დაყოვნება ხანგრძლივია და მას მოსდევს ძლიერ გადიდებული ამოსუნთქვა. ჩრდლო გერმანელის წარმოთქმაში t-ს დაყოვნება უფრო მოკლეა და გადიდებული ამოსუნთქვაც უფრო ძლიერი და ხანგრძლივია, t-ს ამიტომ ასპირაცია მოსდის. ფრანგი t-ს წარმოთქვამს ამოსუნთქვის გარეშე. თუ სიტყვაში

ორი ერთნაირი ბეგრაა, არ შეიძლება ძინი ერთმანეთს საეცებით ჰგვანდნენ გრაფიკულად. გააჩნია, რა პოზიციამა ბეგრა მოქცეული¹.

შესაძლებელია ბეგრა ორი ატომისაგან შედგებოდეს, შეიძლება სამისაგან და ა. შ. მაგ., ავტორი განიხილავს სიტყვა „pape-ს კომოგრამას და ამბობს, რომ „ა“ ორი ატომისაგან შედგება — დამავალი ჰაერნაკადისა და აღმავალი ჰაერნაკადისაგან რხევებითურთ. მეორე „ჟ“ კი წარმოდენილია სამი ატომით: იმპლოზიით. დაყოვნებითა და ექსპლოზიით. „ე“ აგრეთვე შედგება ერთი დამავალი და ერთი კიდევ აღმავალი რხევებიანი ჰაერნაკადისაგან. ესა თუ ის მრუდი წარმოადგენს ერთ მოლეკულს, რომელიც შეიძლება რამდენიმე ატომისაგან შედგებოდეს.

E. Scripture სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას წინადადების მელოდიკაზე და განიხილავს სინტაქსური ფონეტიკის საკითხებს გერმანული და ინგლისური წინადადებების მისალაზე (იხ. Anwendung... 57—71).

ავტორი მათემატიკური სიზუსტით არკვევს ტონის მოძრაობას თხრობითს, კითხვითსა და ძახით წინადადებებში და ამის საფუძველზე ადგენს მელოდიკისა და ხანგრძლიობის ქარტებს და ენერჯის ცხრილებს (Energie-tabelle).

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის E. Scripture-ს იმ მხრივ, რომ მან გრაფიკული მეთოდი მოიმარჯვა ისეთ დარგებში, როგორცაა ვერსიფიკაცია და მეტყველების ნეკროლოგია.

E. Scripture-მა გრაფიკული მეთოდის საფუძველზე სრულიად ახალი შეხედულებანი ჩამოაყალიბა ლექსთა წყობის საკითხების შესახებ.

გრაფიკული მეთოდის კვლევის საგანს მხოლოდ წარმოთქმული ლექსი შეადგენს. ჩაწერის მეთოდი ასეთია: წარმოთქმული ლექსი იწერება გრამაფონის ფირფიტაზე, ხოლო შემდეგ მიღებული მრუდის ფირფიტადან გადაწერა ხდება. მრუდის მასშტაბისა და მიკროსკოპის საშუალებით გაზომვისა და გაანალიზების საფუძველზე, ავტორი ადგენს მელოდიკის ქარტას, ენერჯის ცხრილს (ბეგერის ხანგრძლიობა, სიძლიერე, ტონის სიმაღლე, სიზუსტე, კვალბეტი და ენერგია).

ავტორი ასხვავებს ლექსის ფორმის ფიზიკურ მხარესა და ფსიქოლოგიურ სტრუქტურას. ლექსის ფორმის ფიზიკური მხარე გულისხმობს, რომ წარმოთქმული ლექსი ჰაერნაკადის მოძრაობისა და რხევებისაგან შედგება. აქედან გამომდინარე ავტორი შემდეგ წესს ადგენს:

1. წარმოთქმული ლექსის სტრიქონში ნაკადი ენის ენერჯისა თანაბარზომიერად რხევადი და განუწყვეტელია. ტერფსა და ტაქტს არა აქვს ადგილი. ლექსის ტერფებად დაყოფა არ შეესაბამება სინამდვილეს.

2. ლექსის ენერჯის ნაკადის სიძლიერე ცვალებადია ყოველთვის და თანაბარზომიერად ერთმანეთს ენაცვლებიან ე. წ. ძლიერი და სუსტი რეგიონები (Regionen). ენერჯის მწვერვალს ადგილი არა აქვს.

3. ლექსის ენერჯის ნაკადი დაახლოებით ერთმანეთისაგან თანაბარი დამორებით ალაგებს ცენტროიდებს (სიმძიმის ცენტრებს). დრო ორ ცენტროიდს შუა არის რიტმიკული პერიოდი.

¹ იხ. ჩვენი: E. Scripture-ის მეთოდით შესრულებული „ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემებით“. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. VI, № 2, 1945 წ. 168—175 [აქვე. გვ. 11—17—რედ].

4. ენერგიის სიდლიერის რეგიონში ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი ხმოვანი ძეგს. ცენტროიდი ამ ხმოვანზე მოდის. ეს ხმოვანი ცენტროიდის ხმოვანია. ცენტროიდებს შუა ძეგს სუსტი ხმოვნები, მათ შუა ხმოვნები ეწოდება.

ავტორის გაგებით ლექსის ფსიქოლოგიური სტრუქტურა შემდეგში მდგომარეობს: ლექსის ნაკადი—როგორც რეგისტრირებული ლექსის მრუდი—უმცირეს ნაწილაკებად, ენობრივ ატომებად იშლება. ძირითადი წესი ასეთია:

1. ენერგია დამოკიდებულია ხუთ ფაქტორზე: გაზრდილი ხანგრძლიობა, ბგერის გადიდებული სიდლიერე, ტონის ამალღება, დიდი სიზუსტე მეტყველებისა და საუცხოო ტემპი.

2. ინგლისურსა და გერმანულ ლექსში ჩვეულებრივ ეს ხუთი ფაქტორი ერთსა და იმავე დროს მოქმედებს. გადიდებული ენერგიის რეგიონი შეიცავს ჩვეულებრივ უფრო ხანგრძლივს, უფრო ძლიერს, უფრო მაღალს, უფრო ზუსტსა და საუცხოო კვალიტეტიან ატომს. ინგლისური და გერმანული ლექსი არა კვანტიტატურია, არა ინტენსიურობის ლექსია, არამედ ენერგიის ლექსია ყველა ხუთი ფაქტორით.

3. ამ ხუთი ფაქტორიდან ყველა თანაბრად არ იცვლება. ენერგიის ტალღა შეიძლება არსებობდეს ხანგრძლიობის გაუზრდელად, მეორე შემთხვევაში ბგერის სიდლიერე არ იყოს გადიდებული და ა. შ. ენერგიის სიდლიერე დამოკიდებულია ყველა ამთ ჯამზე (იხ. Die neue Metrik, გვ. 464—466).

ზემოთქმული რომ უფრო გასაგები იყოს, აქვე განვიხილავთ იმ ფორმულებსა და სქემებს, რომლებსაც E. Scripture იყენებს ინგლისური და გერმანული ლექსის გაანალიზებისას.

ლექსის სტრიქონი, როგორც ეცით, შედგება ხმოვნებისა და თანხმოვნებისაგან. ყოველი ენერგიის სიდლიერის მრუდში წარმოდგენილია მხოლოდ ხმოვანი. ის ხმოვანი, რომელზედაც ცენტროიდი მოდის, ცენტროიდის ხმოვანია (Zentroidenvokal). ლექსის სტრიქონში, ენერგიის სიდლიერის საფუძველზე, ეს ცენტროიდები ქმნიან მწკრივს. ცენტროიდები დროის თანაბარზომიერი დაშორებით არიან განლაგებულნი. სტრიქონში ცენტროიდის ხმოვნებს შორის ძეგს სუსტი ხმოვნები (Schwachvokale), რომლებსაც შუა ხმოვნები (Zwischenvokale) ეწოდება. ორი წერტილი სქემაში /:/ აღნიშნავს ენერგიის სიდლიერეს, ცენტროიდიც მასზე მოდის. ერთი წერტილი ./ აღნიშნავს ენერგიის სისუსტეს—ეს შუა ხმოვანია. ფორმულა, რომელსაც ავტორი იძლევა, ასეთია:

Z—რაოდენობა ცენტროიდისა, S—რაოდენობა ძლიერი ხმოვნისა, W—რაოდენობა სუსტი ხმოვნისა, V—რაოდენობა ორ ცენტროიდს შორის მდებარე ხმოვნისა, q—შეფარდება ძლიერისა სუსტ ხმოვნებთან S/W. k. \nearrow = პირველი ხმოვანი სუსტია, უკანასკნელი ძლიერი. k \searrow = პირველი ხმოვანი ძლიერია, უკანასკნელი სუსტი. k \rightarrow S პირველი და უკანასკნელი ხმოვანი ძლიერია. Zg—რაოდენობა არაბუნებრივი მახვილისა, Zu—რაოდენობა ბუნებრივი მახვილისა (იხ. Experimentalphonetische Untersuchungen über den Bau der Deutschen Verszeile, გვ. 2).

ამ სქემისა და ფორმულების მიხედვით რომ განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი სტრიქონი, შემდეგ სურათს მივიღებთ:

„ნახეს უცხო, მრყმე ვინმე“:

/ / / / /
: : : : : .

ფორმულა ასეთია: $Z=4, S=4, W=4, V=1, q=\frac{1}{4}, k=\sqrt{2}$

მაგრამ სულ სხვა სქემას იძლევა კ. მაყაშვილის შემდეგი ლექსი:

„ბრწყინაედენ სანთლები შიგ.“

ფორმულა ასეთია:

/ / /
: : : .

ავტორის აზრით, ლექსის ფორმა მკიდროდაა დაკავშირებული მის შინაარსთან.

ზემოთქმულის საფუძველზე E. Scripture სასტიკად ილაშქრებს ნეტრიკის ძველებური გაგების წინააღმდეგ. ის წერს, რომ ლექსის მრუდებზე დაფუძნებული მეტრიკა მკვეთრად უპირისპირდება მეტრიკის ჩვეულებრივ გაგებას. როგორც ლექსის სტრიქონის მრუდი გვიჩვენებს, წარმოთქმული ლექსის სტრიქონი შედგება ენობრივი ენერჯის განუწყვეტელი ნაკადისაგან. დაყოფას არა აქვს ადგილი. ტერფი და ტაქტი უსაფუძვლო ფიქციაა—„Versfüße und Takte sind Fiktionen ohne Grundlage“, წერს ავტორი. მართალია, მახვილიანი გაგრძელება გვაქვს, მაგრამ არავითარა მახვილიანი ადგილი ან მწვერვალი. მახვილის სიმძიმე ცენტროიდებშია გამოხატული. ინტერვალი, ანუ რიტმიკული პერიოდი მეზობელ ცენტროიდებს შორის დაახლოებით მუდმივია. „Auftakt“, „katalektisch“, „akepholisch“—და სხვ. ისეთი ცნებებია, რომლებიც არარსებულ ტერფს განეკუთვნება და ამიტომ მათ არავითარი აზრი არა აქვთ. თუ როგორ შეცდომაში ვარდებიან ლექსთწყობის სპეციალისტები გრაფიკული მეთოდის მოუმარჯვებლად, ავტორი ამის საილუსტრაციოდ განიხილავს რამდენიმე მაგალითს (იხ. Experimentalphonetische Studien über die englische Verszeile, 89—90). ავტორი თავის ახალ შეხედულებებს ლექსის უორმის შესახებ უწოდებს „Die neue Metrik“.

* * *

E. Scripture-ს ენის ნევროლოგიის საკითხებზე მუშაობა ჩაუტარებია ჯერ კიდევ 1908 წ. ნიუ-იორკის ერთ-ერთ კლინიკაში. უფრო გვიან ეს მუშაობა ლონდონში გაუგრძელებია და 1925 წ. ვენაში გადაუტანია. ავტორი შენიშნავს, რომ მეცნიერება ენის ნევროლოგიის შესახებ ჯერ კიდევ დასაწყისის სტადიაშია, მაგრამ ფუნდამენტალური პრინციპი უკვე დადგენილია: წარმოთქმული მეტყველება მთლიანად და თავისი ნაწილებით პროდუქტია ნერვული სისტემისა. მეტყველების მრუდი არის რეგისტრაცია ნერვული სისტემის მოქმედებისა. ნერვული სისტემის დაავადება, ავტორის აზრით, გამოიხატება ხშირად—შეიძლება ყოველთვის—კუნთების მოქმედების მოშლილობაში. გრაფიკულ მეთოდს კი ენის ნევროლოგიაში ის მიზანი აქვს, რომ ზუსტად ჩაწეროს ეს მოშლილობა. პათოლოგიური ცვალებადობა შესაძლებელია შევხვდეთ ატომის ხუთივე თვისებას.

ავტორი არჩევს ბავშვური დამბლით დაავადებულის მიერ წარმოთქმული სიტყვის: Hippopotamus კიმოგრამას. ამ მრუდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ

კნობრივ ატომთა ყველა თვისება არანორმალურია. H არის მეტად ძლიერი და მეტად ხანგრძლივი. 11-ს ახასიათებს რხევები და არა აქვს ექსპლოზია. პირველი ო გადაქარბებით ძლიერია. მეორე p-ს მეტად ხანგრძლივი გაბერილი ექსპლოზია ახასიათებს და ა. შ. ბოლოკიდურ s-ს მეღერობა ახასიათებს და ზომაზე ფართოა. ამის საფუძველზე შედგენილი ხანგრძლიობის ქარტა ნათლად გვიჩვენებს, რომ არანორმალობასთან გვაქვს საქმე (იხ. Anwendung... გვ. 85).

ავტორს იგივე Hippopotamus ჩაწერილი აქვს 65 წლის მოხუცისაგან, როგელსაც აქვს პროგრესული Bullbärparalyse. ამ სიტყვის შემადგენელი პეგრების ყოველი ატომი არანორმალობას გვიჩვენებს. ამიტომ მეტყველებაც აოანათელია, იგი ბურღლუნისებურია. ეს იმიტომ, რომ, დაასკვნის ავტორი, კვალიტეტი. ანუ ტემბრი მეტად შეცვლილია. ხმოვანი ნაწილობრივ ფშვინვი-ერია, თანხმოვნები შეიცავენ ყალბ თვისებებს, ყოველი თვისება ენობრივი ატომისა ბათოლოგიურია.

სხვადასხვა სახის ავადმყოფთა მეტყველების მრუდების განხილვის სა-ფუძველზე E. Scripture-ს გამოაყავს დასკვნა, რომ გრაფიკული მეთოდი დიაგ-ნოსტიკის დამხმარე საშუალებადაც შეიძლება გამოდგეს. მელოდიკური ქარ-ტები და ენობრივი განტოლებანი სხვადასხვაგვარია დამბლის, ეპილეფსიისა და სხვა შემთხვევებში. ამ მეთოდის მომარჯვებით E. Scripture-მა შეძლო ერთ-ერთ პოსპიტალში სიმულაციის შემთხვევების გამომელავნებაც კი.

ასეთია მოკლედ E. Scripture-ს დიდი დამსახურება გრაფიკული მეთო-დის სრულყოფის საქმეში. მნიშვნელოვანია ის შედეგები, რომლებიც მან მიი-ღო გრაფიკული მეთოდის გამოყენებით ენისა და ლექსთწყობის საკითხების შესწავლაში.

ქართული ხალხური სიმღერების ენისა და დიალექტური
მეტყველების შრთიერთობისათვის

საკითხი ხალხური სიმღერების ენისა და ადგილობრივი დიალექტური
მეტყველების ურთიერთ მიმართების შესახებ არ არის ახალი. მას საკმაოდ
დიდი ხნის ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ამ საკითხების კვლევას განსაკუთ-
რებული ყურადღება მიაქცია ჩეხმა ავტორმა ი. ჰოშეკმა.

რუსული ხალხური სიმღერების რიტმიკული მახვილის გრამატიკულ მახ-
ვილთან ურთიერთობის საკითხებით ცხრაასიან წლებში დაინტერესდნენ აკად-
ო. კორში და ე. ჩერნიშოვი.

ამ საკითხებს სხვადასხვა დროს ეხებოდნენ რ. იაკობსონი და პ. ბოგა-
ტირიოვი, რომელთაც ისინი კვლავ წამოჭრეს და დღეისათვის განსაკუთრებით
აქტუალურ საკითხებად აქციეს¹.

1. თუ რა დიღია ამჟამად ჩვენში ენათმეცნიერული ინტერესი ხალხური
სიმღერების ენის შესწავლისადმი, ამის შესანიშნავ ნიმუშს იძლევა ა. შანიძის,
ვ. თოფურიასა და მ. გუჯაჯიანის მიერ გამოცემული „სვანური პოეზია, I“,
რომლის წინასიტყვაობაშიაც ვკითხულობთ: „ასეთ პირობებში (ისტორიული
ძეგლების უქონლობისას—ს. ე.) გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება გაქვეყნებულ
ტექსებს, ანდაზა-გადმოცემებსა და ძველიდანვე მომდინარე ხალხურ სიმღერა-
ლექსებს. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას სვანური სიმღერების შესახებ,
რომლებშიც დატულია, ერთი მხრივ, ფუძისეული ხმოვნები, ამჟამად უკვე
რედუქციის ძალით ამოღებული სვანურის სამ დიალექტში (ბალსწემოურსა,
ბალსქვემოურსა და ლაშხურში) და, მეორე მხრივ, ის უძველესი ფორმები სახე-
ლებისა და ზმნებისა, რომლებიც უნდა ყოფილიყო აღრინდელ სვანურ მეტყ-
ველებაში“².

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ავრეთვე ა. შანიძის მიერ გა-
ნოცემული „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული“, სადაც ნათქვამია:
„ლექსს მთაში კიდევ აქვს შერჩენილი ძველი ხასიათი, შესრულებულ იქნეს
მუსიკალურად. ე. ი. სიტყვები გალობით იქნეს წარმოთქმული, ან დამღერე-
ბულ იქნეს ფანდურზე, ხშირად მესამე ელემენტთან შეერთებით, პლასტიკას-
თან, ტაშის-ჭკრითა („ტოშ-ფანდური“) და ცეკვა-თამაშობით“...³

¹ P. O. Якобсон. О соотношении между песенной и разговорной народной
речью. „Вопросы языкознания“, № 3, 1962, გვ. 87—92.

² И. Г. Богатырев. Язык славянских народных песен в отношении к диалект-
ной речи, იქვე, გვ. 75—85.

³ სვანური პოეზია, I. თბილისი, 1939, გვ. VIII. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად
თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯაჯიანმა.

⁴ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული. თბილისი, 1931 წ. გვ. 022.

ა. შანიძე სწორად აღნიშნავს, რომ „ენათმეცნიერისათვის აქ ბევრია საყურადღებო როგორც გრამატიკის მხრით, ისე ლექსიკისა“¹.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ, თუ ქართველურ ენათა დიალექტების თავისებურებათა შესახებ, ერთი მხრივ, და ქართულ-ქართველურ უძველეს სიმღერებზე, მეორე მხრივ, სპეციალური გამოკვლევები მოგვებოძება, სამაგიეროდ არც ერთი გამოკვლევა არ არსებობს ისეთი, რომელიც ამ დიალექტებისა და სიმღერების ენობრივსა და რიტმიკულ-მელოდიკური თავისებურებების მიმართებებს განიხილავდეს და მათი მელოდიკური ორნამენტების შედარებებს იძლეოდეს. ეს ფრიად დიდი მნიშვნელობის საკითხი სპეციალისტ-მკვლევარს ელოდება.

2. რუსული ხალხური პოეტური შემოქმედების ისეთი დიდი სპეციალისტი, როგორიც პ. ბოგატირიოვა, რუსული ხალხური სიმღერებისა და ხალხური ეპოსის ენის შედარების საფუძველზე დაასკვნის: „სიმღერების ენის შედარებას საგმირო ეპოსის ენასთან იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თავისი ლექსიკური, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით საგმირო ეპოსისა და სიმღერების ენა რამდენადმე განსხვავდება იმ კუთხის ადგილობრივი მეტყველებისაგან, სადაც ისინი ჩაწერილა“².

რ. იაკობსონის აზრით, სიმღერების ენასა და კუთხურ მეტყველებას შორის მსგავსების ხარისხი დიდად განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა სახის მხატვრულ ჟანრთან გვაქვს საქმე. ლირიკაში გადასრა ადგილობრივი ენობრივი ნორმებიდან უფრო ნაკლებია. რაც შეეხება საგმირო ეპოსის ენას (ი. წ. ბილინების ენას) და ადგილობრივ მეტყველებას შორის განსხვავებას, იგი გაცილებით უფრო დიდია. საგმირო ეპოსის ენა ყველაზე არქაულია იქ, სადაც ენობრივი გადმონაშთები დაცულია ლექსის პროზოდული მოთხონილებით, აგრეთვე მათ გამოვლინებას ხელს უწყობს მეტრული ზომაც³.

3. ქართული ხალხური სიმღერების ენის შედარება ქართული ადგილობრივი დიალექტების თავისებურებებთან გვიჩვენებს, რომ მათ შორის განსხვავება მართლაც რომ შესამჩნევია. ხშირია შემთხვევა, როდესაც ქართული ხალხური სიმღერების ენა სცილდება ამა თუ იმ დიალექტის ფარგლებს და იგი ინტერდიალექტური უფროა, ვიდრე დიალექტური.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხალხური სიმღერის ტექსტი კარგი ლიტერატურული ენითაა შესრულებული. მე მხედველობაში მაქვს ისეთი სიმღერების ტექსტი, როგორიცაა:

ქ ა რ თ ლ - ქ ა ხ უ რ ი „ზამთარი“:
„ზამთარი ვარდსა დააქნობს,
ფურცელი ჩამოცვივავო,
ლამაზი ქალის თვალთავან
ცრემლები გადმოსცივავო“⁴.

მ ო ხ ე უ რ ი „არალაღე“:
„ვაეკაცო, ტურფად გაზრდილო,
დიდ გორას აეწონები,

¹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხვესურული, თბილისი, 1931 წ., გვ. 025.

² Русское народное поэтическое творчество, под редакцией П. Г. Богатырева, 1954, გვ. 8.

³ Р. О. Якинсон, О соотношении между песенной и разговорной народной речью.

⁴ გრ. ჩიიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, თბილისი, 1960, გვ. 157.

ვინც განახავს, დედათ ნაშობი,
ყველა კაცს მოეწონებო¹.

მესხური „კოროველა“:

„შენ, ჩემო გუთნის დედაო,
ხარი გიბია მტრედაო.
სიმღერა კარგი გცოდნია
ლასდახი ზედი-ზედაო“² და ბევრი სხვა.

4. ჩეხი ავტორი ი. ჰოშეკი, რომელმაც 1894 წელს შეკრიბა დიალექტოლოგიური მასალები და სიმღერები პოლიტიკური რაიონის აღმოსავლეთსა და სამხრეთ ნაწილებში, სოფლებში ეტიმოლოგისა და როგოზნაში, რომლებიც ნორავიას ემეზობლებიან, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ენა ყველა ხალხური სიმღერისა, რომლებიც მან გაიგონა აღნიშნულ სოფლებში, განსხვავდება იმ დიალექტისაგან, სადაც იგი ჩაწერილა. ი. ჰოშეკის დაკვირვებით, ისეთი სიმღერები, რომლებიც ადგილობრივი დიალექტისაგან არ განსხვავდება, ძალიან ცოტაა. ასეთი მხოლოდ შაირები და პატარა-პატარა სიმღერებია. სოფ. ვიტოოვესში, ავტორის თქმით, 68 სიმღერიდან მხოლოდ 5 სიმღერაა, რომელიც არ განსხვავდება ადგილობრივი დიალექტისაგან. ეს 5 სიმღერა ორი თუ ოთხი ტაეპისაგან შედგება თითოეული. სოფ. როგოზნაში 36 სიმღერიდან მხოლოდ ორი არ განსხვავდება ადგილობრივი დიალექტისაგან; ერთი მათგანი სამტაეპიანია, მეორე — ოთხიანი³.

5. ამ თვალსაზრისით გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიმღერების ტექსტების შესწავლა საყურადღებო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ასე, მაგალითად, ზ. ჩხიკვაძის მიერ 1896 წ. გამოქვეყნებული 35 სიმღერიდან⁴ 5 სევანურია, 2 მეგრული, დანარჩენი 28 ქართული სიმღერის ტექსტი შორდება დიალექტურ მეტყველებას, ინტერდიალექტურია. ამ სიმღერების ენა ლიტერატურულ ენას უფრო უახლოვდება, ვიდრე რომელიმე დიალექტს.

ი. კარგარეთლის მიერ 1909 წელს გამოქვეყნებული ქართლ-კახური და გურული 16 სიმღერიდან⁵ მხოლოდ ორ სიმღერაშია აღბეჭდილი დიალექტური ფორმები, დანარჩენი 14 სიმღერის ტექსტის ენა ინტერდიალექტურია.

ზ. ფალიაშვილის მიერ 1909 წელს გამოქვეყნებულ ქართული ხალხური სიმღერების კრებულში, რომელშიც მოთავსებულია იმერული, გურული, რაჭული, სევანური და ქართლ-კახური სიმღერები, სულ 40 სიმღერაა. აქედან 17 სევანურია. დანარჩენი 23 ქართული ხალხური სიმღერიდან მხოლოდ ერთი სიმღერა ასახავს ორიოდ კახურ დიალექტურ ფორმას⁶, დანარჩენი ინტერდიალექტურია.

¹ გ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა. თბილისი, 1960, გვ. 59.

² იქვე, გვ. 426.

³ J. Hošek. O pomoru jazyka pi-ni narodnich k mistnimu nareči, „Rozpravy česke akademie cisare Trantska yosefa pro vedy, slovesnost a umeni v Praze“ Tr. III, VI, 1. 1897. 20—21. იხ. П. Г. Богатырев, язык славянских народных песен в отномении к диалектной речи, „Вопросы языкознания“. № 3, 1962, გვ. 42.

⁴ ზ. ჩხიკვაძე, საღამური, სახალხო სიმღერები. თბილისი, 1895 წ.

⁵ ი. გ. კარგარეთელი, ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები, თბილისი, 1909 წ.

⁶ ზაქ. ფალიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების კრებული, თბილისი, 1909 წ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ი. კარგარეთლის მიერ გურიაში (სოფ. ბახე-
ში) ჩაწერილი სიმღერა „ოთხმოცი წლის ბებიაო“ და ზ. ფალიაშვილის მიერ
ქ. ოზურგეთში ჩაწერილი სიმღერა „ღელი ოღელი ოღელა“ ერთი და იგივე
სიმღერაა, ტექსტი სხვადასხვა პირის მიერ არის ნათქვამი და ამდენად განსხ-
ვავებულია. ოღონდ პირველი ასახავს გურულ დიალექტურ ფორმებს, მეორე
კი—არა.

ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა მაინც პროფ. გრ. ჩხიკვაძის
„ქართული ხალხური სიმღერა, 1“, რომელიც დიდი მოცულობის, კაპიტალურ
შრომას წარმოადგენს¹. წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ „...სიმღე-
რების ქართულ ტექსტებში. როგორც ნოტებზე მიწერისას, ისე ცალკე გად-
მოტანის დროს, დაკულია ყოველი დიალექტური თავისებურებანი“.

პროფ. გრ. ჩხიკვაძის „ქართული ხალხური სიმღერა“ შეიცავს 207 სიმღე-
რის ტექსტს. აქედან ხევსურულია 16, თუშური—5, ფშაური—7; მოხეური—9,
მთიულური—6, ქართლური—80, კახური—78, მესხური—6 სიმღერა. დიალექ-
ტურ ფორმებს ამთავან მხოლოდ 22 სიმღერა ასახავს. დანარჩენი სიმღერების
ტექსტის ენა ინტერდიალექტურია.

ვლ. ახობაძის მიერ 1961 წელს გამოქვეყნებული „ქართული აპარული
ხალხური სიმღერები“ შეიცავს 69 სიმღერას. მათგან მხოლოდ ათიოდე სიმ-
ღერა ასახავს თითო-ორიოლა აპარულ-გურულისათვის დამახასიათებელ დია-
ლექტურ ფორმას.

6. ჩვენს სინამდვილეში სიმღერების ენიდან ვიწრო დიალექტური (ფონე-
ტიკური, მორფოლოგიური) ფორმების განდევნასა და ინტერდიალექტის შექ-
მნას ხელს უწყობს სიმღერების არაჩვეულებრივი მიგრაცია ერთი კუთხიდან
მეორეში. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი კუთხის სიმღერებს
მეორე კუთხეში მღერიან და, პირიქით. ასეთ შემთხვევაში არამცთუ სიმღე-
რის ენა განიცდის ცვლილებებს, არამედ თვით სიმღერის აგებულებაც კი.
პროფ. დ. არაყიშვილს ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტი მოჰყავს:
„ა. ბენაშვილის კრებულშიც მოთავსებულია ორი გურული სიმღერა, მაგრამ:
სამწუხაროდ, არაა აღნიშნული, სად მღერიან მათ. ერთი მათ შორის „ოსა
ათარადაო“ ასე იწყება, როგორც ორხმოვანი მეგრული სიმღერა „ოისა ივა-
რა“, მხოლოდ ეს გურული სიმღერა უფრო განვითარებულია, ამასთან სამხ-
მოვანია“².

ზ. ფალიაშვილი ზემოსვანეთის სოფ. ეცერში ჩაწერილ „თამბილ ღე-
ფაშო“-თან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ, მართალია, ეს სიმღერა სვანეთშია
ჩაწერილი, მღერიან სვანურ ენაზე, მაგრამ, თუ მელოდიების მიხედვით ვიმს-
ჯელებთ, იგი უდავოდ ლეჩხუმურიაო³.

ისიც არაა ინტერესმოკლებული, რომ ზ. ფალიაშვილს იმერული სიმღერა
„ოდელია“ ჩაწერილი აქვს ზემო სვანეთში, უშგულში, ხოლო მეორე იმერული
სიმღერა „პორი დელა“—კახეთში, სოფ. სანიორეში. ი. კარგარეთელს სინ-
ღერა „მივალ გურიაში“ ჩაწერილი აქვს დაბა სენაკში და ა. შ.

სიმღერების ენას ინტერდიალექტურს იმიტომ ვუწოდებთ, რომ მათში

¹ სამწუხაროდ, სამი ტომიდან უკარგობით მხოლოდ პირველი ტომია გამოცემული.

² დ. არაყიშვილი, დასავლეთ საქართველოს სიმღერათა კილოს წყობა, 1954, გვ. 40.

³ ზაქ. ფალიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების კრებული, გვ. 30.

უფრო ხშირად წაშლილია ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი, მაგრამ ამ სიმღერების ენა ქართულ სალიტერატურო ენის დონემდე მიიწევს ვერ განვითარებულა, რაც კარგად ჩანს სიმღერების ენაში ნახმარ ხელოვნურ ფორმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებში. აგრეთვე თავისებურ ლექსიკაში.

ასე, მაგალითად, „ინდი-მინდის“ აქარულ ვარიანტში გვხვდება თურქული წარმოშობის სიტყვა და ხელოვნური ფორმებიც:

„ინდი-მინდი, ფერად შინდი,	შენ სიყვარულს არ შევინდი
გადმომყევი, გადმოფრინდი,	სიყვარული თუ რომ გინდი.
მიაწია დრო იქინდი,	მოფართქალდი, მომფრინდი“ ¹ .

„იქინდი“ თურქული წარმოშობის სიტყვაა და. ნიშნავს სამხრობისას შესრულებულ მესამე მუსლიმანურ ლოცვას (სამხრობის დროსაც აღნიშნავს იგი).

„ინდი მინდის“ გურულ ტექსტში ამის მსგავსი ფორმები არ დეტურდება:

„ინდი მინდი ფერად შევინდი,
გადმოხედი, გადმობრწყინდი.
უქვდავების წყარო მასვი,
განმინათლე თვალთა ბინდი“².

7. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართული ხალხური სიმღერების ენის ტექსტებში აქა-იქ იმ კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმებიც არის აღბეჭდილი, სადაც ეს სიმღერები ჩაწერილია, მაგ.:

ქართლ-კახური: „გლესამ და გლესამ ნამგალო...“³

ქართლური: „სახნისმა სთქვა—ქვეშენეთში (ქვესკენელში)

ვარ, მზისა შუქი მენატრება“ („ოროველა“, იქვე, 90).

„ცარიელ პურზედა მკლამდა“... („მაყრული“, იქვე, 199).

კახური: „ამლამინდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო, ჰე...“

(„ქვერული“, იქვე, 253).

„რამდენი ჯოხი მოგარტყა მაგ ცხვირის ნეშტოზედაო
(ნესტოზედაო)“ („სიმღერა მელორისა“, 276).

„ჩემი ტვირი (სტვირი)- ქამანჩანი“ („გიხდება სიმხიარულე“,
იქვე, 398).

„ბევრს ნუ იტირებთ და თავს ნუ იტკენავთ და“...

(„ალზევან წაველ“, იქვე, 279).

ხევსურული: „მე ვერსად ვერ წაოლ მარტოაი, დედო!“

(„დათვლა-ტირილი“, იქვე გვ. 26).

„რაქე დაწუხებულე ბიო ორთ...“ („ძახილით ტირილი“,
იქვე, 25).

მოხეური: „სად იყავ, ფილიაურო, ნაქადს რომ ცორი (ცვარი)
სდებია!“ („მოხეური ფანდურზე“, იქვე, 64).

¹ ვლადიმერ ახოზაძე, ქართული აპარული ხალხური სიმღერები, თბილისი, 1961, გვ. 122.

² ზაქ. ფალიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები, გვ. 30.

³ გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. 112—275.

გურული: „მივალ გურიაში, მარა
 სული სულ მთლად გეიპარა...“¹
 „ჩეიცივი და დეიხურე“ („ოთხმოცი წლის ბებიაო“).
 ეესხური: „მრეკლემა დაუქნია, მხრეები დაათალაო...“²
 აქარული: „პაწა გოგო, შინ შემოდი,
 თვარა ტურა წავიღებს.
 ჯიბაში მაქ თეთრი ყუთი,
 მაკოცნიე ოცდახუთი“³
 „... გლენმა კაცმა მითხუაო
 დღეს მითხუა—ხვალ მიეყავარ,
 არ მიეყობი თავის ნებით,
 მომიტაცა, წამიყვანა,
 ცხრაი მთაი ზურგით მზიდა“... და სხვა.

ბ. ქართული ხალხური სიმღერების შედარება ადგილობრივი დიალექტების მეტყველებასთან ააშქარავენს რიგ სხვა ფონეტიკურ სხვაობასაც. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებში ლექსის მეტრული ზომა ფუზისეულ ხმოვნებს იცავს რედუქციისაგან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივი დიალექტისათვის დამახასიათებელია რედუცირებული ფორმები:

ქართლური: „... კარზედ გვიდგანან ცხენები,
 დატყვრამეს ლავამთ რვალები,
 ჩვენც თქვენსა მოლოდინშია
 აღარ მოგვწონან ხმალები“⁴...

როგორც ცნობილია, ქართლურში წარმოითქმის „ხმლები“ და არა „ხმალები“. ეს უკანასკნელი რედუქციისაგან დაიცვა ლექსის მეტრულმა ზომამ, ისე როგორც ქვემოთ მოტანილი ლექსის ფორმავით:

თუშური: „ტირიან თუშის ქალები—
 არ მოგვივიდნენ ქმარები,
 იქნება დაზვდნენ ლეკები,
 დააყრევიენეს თავები“⁵.

ქართლური: „არ მინდა ქინძი, ქონდარი,
 არც ნიახური მხალადა,
 არც მინდა წითელი კაბა,
 არც ბერი კაცი ქმარადა“⁶.

ურედუქციო ფორმა „ქმარადა“ შეპირობებულია ლექსის მეტრული ზომით და სხვ.

¹ ი. გ. კარგარეთელი, ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები, გვ. 30.

² გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. 432.

³ ვლ. ახობაძე, ქართული აქარული ხალხური სიმღერები, გვ. 163.

⁴ გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. 173.

⁵ იქვე, გვ. 35.

⁶ იქვე, გვ. 232.

9. სპეციალისტების დაკვირვებით სიმღერის ენისათვის, განსხვავებით სასაუბრო და სალიტერატურო ენისაგან, განსაკუთრებით დამახასიათებელია ზმოვანთა იოტაციისადმი ძლიერი ტენდენცია. იოტაცია შეიძლება შევხვას სტროფის თავიდან მოვანს ან ტაქსის შიგნით ორი ხმოვნის შეერთების შედეგად, აბსოლუტურ ბოლოს და ა. შ.¹

ქართული ხალხური სიმღერები იოტაციის კარგ ნიმუშებს იძლევა, მაგ.: „მაღალი, მაღალი, მაღალი და!“² ... („ურმული“)

„მაგათ უჭირავთ სიმაგრე
ყურონისა და ხლისაო,
ცხენები დააყრვეინეს,
ცხენები მეცხვარისაო...“³ (მოხეური „დაძახილი ფანდურზე“).
„ბებოს თეთრო მანდილო,
მხრებზედ წამოსასხამო,
ნათლიას ავ და ვარდო
ცხვირში სასუნებელო!“⁴
„... ჰეჲ, ლურჯა, გაოჰრდა, ცხენ
ოჯერიოჲ, იჰე, ჰე, ჰია, ჰა,
პატრონის ჯელჩი დაუცდელიოჲ!...
გენაცვალოს შენი მამიდაიოჲ...“ (ხევსურული „ხმით ნატი-
რალი“)

მსგავსი მოვლენები დასტურდება სვანურსა და ქანურშიც:

სვანური: „თამარ დედფა“ ლ, თაჲმარა“ლი...“ (სვანური პოეზია)

„ყანსავ ყიფჲანე, ყანსავ ყიფჲანე...“ და ა. შ.

ქანური: „ჰეჲ, ჰეჲ, ჰეჲამო, ჲამო, ჰემო ჰეჲამო,
ჰეჲ, ჰეჲ, ჰეჲამო, თოფხაჩქათლო ბიგზალათ“⁵ და სხვ.

10. ქართული ხალხური სიმღერების ენაში ყურადღებას იქცევს ისეთი ფონეტიკური ცვლადობა, როგორცაა ლაბიალურ ხმოვანთა დელაბიალიზაცია. ეს მოვლენა მუსიკის მცოდნეების მიერ ბევრ ენაშია შენიშნული და იგი სასიმღერო წარმოთქმის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს. ამ ტიპის ზმოვანის სახეცვლილება დასტურდება მესხურ სიმღერაში „მუმლი მუხასა“. ამ სიმღერაში სიტყვა „მუმლი“ წარმოდგენილია „მამლი“ სახითაც:

მუხა წონწილა, შენ ბიჰო,
მამლი მუხასაო.
მუხის ნადგომსა, შენ, ბიჰო,
მუმლი მუხასაო.
წყალი დგებოდა, შენ, ბიჰო,
მამლი მუხასაო,

¹ П. Г. Богатырев. Язык славянских народных песен в отношении к диалектной речи, 79.

² გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. 96.

³ იქვე, გვ. 62.

⁴ იქვე, გვ. 280.

⁵ იქვე, გვ. 23.

⁶ ს. ყდენტი, ქანური ტექსტები, არქაბული კილოჯავი, თბილისი, 1938, გვ. 154.

შიგ რომ თევზი მოცურავდა,
მუშლი მუხასაო.
იმასაც დაჭერა უნდა,
მუშლი მუხასაო.
რითა და რითა, შენ, ბიკო,
მუშლი მუხასაო,
მოსეს ბადითა, შენ, ბიკო,
მამლი მუხასაო... და ა. შ.¹

ამ მესხურ „საფერხულ“ სიმღერაში 11 ჯერ გვხვდება „მუშლი“ და 11 ჯერვე „მამლი“.

11. ირკვევა, რომ რამდენადაც უფრო ძველია ესა თუ ის სიმღერა, იმდენად იგი უფრო ღარიბია სიტყვიერი მარაგით და ამავე დროს ასეთი სიმღერების ტექსტები შეიცავენ ბევრ გაუგებარ სიტყვას. ამ მხრივ საეხებით სწორ მოსაზრებას გამოთქვამს აკაკი გელოვანი, როდესაც წერს: „ყველას როდი ესმის სიმღერის ენა. თვითონ ჩვენ, სვანებს, არ გვესმის ბევრი ჩვენი სიმღერის ენა, სიტყვა და აზრი. კარგ სმენასთან ერთად ამას კარგი გულისყურიც უნდა; რათა ცოცხალ ბგერებში დაკარგული სიტყვები შევიცნოთ“².

ცნობილია მკვლევართა აზრი იმის შესახებ, რომ გურულ „აბა დელიში“, „დელი, დელისა“ და მისთანებში „დელი“ ლექსების აღმნიშვნელი სიტყვა უნდა იყოს (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი).

გაუგებარ სიტყვათა ხმარება და მისი თამაში განსაკუთრებით დამახასიათებელია სიმღერების ენის მისამღერი ფორმებისათვის. მაგ.:

„... შარი-შური, შარი-გოგდი,
მაქოშია, შუქურ მაქო,
გოგო, შუშანაო“...³

„... ლივრი, ლივრი, ლივრი, ქალო,
ლიახო, ლიახო, ჰო“...⁴

ამ რიგისაა: „დალა“, „ვოდილა“, „არალო“, „დალალე“, „ვარი ვარალე“, „ართარალო“, „დიელო“, „არუნანო“, „არ ნანო“ და მისთ.

12. ენათმეცნიერული თვალსაზრისით სიმღერების ენის გრამატიკულსა და ლექსიკურ თავისებურებებთან ერთად განსაკუთრებით საინტერესოა რიტმიკული და მელოდიკური თავისებურებების შესწავლა. ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, უფრო შემოფარგლული, შეზღუდული სახითაა შეტყველები წარმოდგენილი, ვიდრე ლექსებსა და სიმღერებში.

სიმღერებისა და მეტყველების რიტმიკულ-მელოდიკური მხარე გარკვეულ უროთიერთობაშია ერთმანეთთან. ზოგჯერ დამთხვევებია, მაგრამ ხანდახან საგრძნობი სხვაობაც შეინიშნება. საერთოდ კი ისტორიული განვითარების პროცესში სიმღერებისა და მეტყველების რიტმიკისა და მელოდიკის საუროთიერთობა ძლიერი გავლენა უნდა ვივარაუდოთ.

¹ გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. 435.

² აკაკი გელოვანი, „ზმის სიმღერა“, საბჭოთა ხელოვნება, 1962, № 5. გვ. 76.

³ გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. 459.

⁴ იქვე, გვ. 226.

ასე, მაგალითად, თუ ავიღებთ ჩვენი წარმოთქმის ისეთ ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს, როგორცაა მეტყველების ტემპი, ხშირად ხალხური სიმღერისა და ადგილობრივი დიალექტის მეტყველებაში ამ კომპონენტის მეტნაკლები დამთხვევა შეინიშნება.

პროფ. დ. არაყიშვილი, დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა კილოს წყობის ანალიზთან დაკავშირებით, გურული სიმღერების შესახებ წერს: „გურული სიმღერა თავისი სიმკვირცხლის, სიმხნევისა და სიმძაფრის მეოხებით რამდენადმე განცალკევებით დგას სხვა ქართველურ შტოთა სიმღერებისაგან... ამ ქართველური შტოს სიმღერას ახასიათებს საკუთარი თავისებურებანი, რაც თვით მუსიკის ხასიათით გამოიხატება. უმრავლეს თავის სიმღერებში გურულს არ შეუძლია ნშვიდად გამოსთქვას საკუთარი სულოერი განცდები და, როგორც იტყვიან ხოლმე, ერთ ადგილზე იდგეს. ის მუდამ მოძრავი, მკვირცხლი და გრძობა მორეულია, ამიტომ მისი სიმღერების ტემპიც, უმეტეს შემთხვევაში, არაჩვეულებრივად გიჟმაგი და მოძრავია“¹.

ვისაც ბუნებრივი გურული მეტყველება მოუსმენია, იგი ამავე სიტყვებს გაიმეორებდა გურული მეტყველების ტემპის შესახებაც. ანალოგიურ დასვენამდე მიგვიყვანდა ქართლ-კახური, რაჭული და სხვ. ხალხური სიმღერებისა და ადგილობრივი კუთხური მეტყველების ტემპის შედარება და შესწავლა.

13. აკად. ლ. შჩერბა, მართალია, გაკვრით შეეხო მეტყველებისა და სიმღერის მელოდიკის ურთიერთობის საკითხს ფრანგული და რუსული ენების მასალების მიხედვით, მაგრამ მის მოსაზრებებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის კვლევისათვის. ავტორმა მეტყველებისა და სიმღერის მელოდიკის საერთო და განსხვავებული არსებითი ნიშნები მოკლედ ასე ჩამოაყალიბა: „მეტყველების მელოდიკის“ ქვეშ იგულისხნება ხმის მუსიკალური მოძრაობა მეტყველების დროს. მეტყველების მელოდიკა სიმღერისაგან იმით განსხვავდება, რომ მეტყველების დროს ხმა ყოველთვის სხლტება, აკეთებს რა გაბმულ „glissando“-ს მაშინ, როდესაც სიმღერებში იგი მოძრაობს ამა თუ იმ გამის საფეხურების მიხედვით თავისი განსაკუთრებული, მაგრამ ზუსტი რიტმებით“².

აკად. ლ. შჩერბა იმასაც კი ითვალისწინებს, თუ ვინ უფრო მეტი ხმის მოდულაციით ლაპარაკობს—რუსები თუ ფრანგები. რუსებს ჰგონიათ, რომ ფრანგები თითქმის „მღერიან“ ლაპარაკის დროს, ნამდვილად კი რუსები მეტყველებისას გაცილებით უფრო მეტად „მღერიან“, დაასკენის ავტორი. შჩერბა რუს მოსწავლეებს პრაქტიკულ რჩევასაც კი აძლევს, რომ მათ ფრანგულად უნდა ილაპარაკონ, რაც შეიძლება თანაბარზომიერად და ხმის ამალღება-დადაბლება აწარმოონ მხოლოდ მახვილიან მარცვლებზე.

ლ. შჩერბას მთელი ამ მსჯელობიდან ზოგადი ხასიათის დასკვნაც გამოჰყავს, რომ მეტყველების ფრაზებს ახასიათებს მელოდიკური მოლიანობა, რომელიც მეტნაკლებად ანალოგიურია მუსიკის მელოდიკური ფრაზისა³.

¹ დ. არაყიშვილი, დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა კილოს წყობა. 1952, გვ. 23.

² А. В. Щербя, Фонетика французского языка, 1953, გვ. 122.

³ Там же, ст. 122. დრუბენის ტექნიკური უნივერსიტეტის „შორს მუშავებული ტექნიკის ინსტიტუტში“ ჩვენ საშუალება გვიონდა მოგვემხ.ნა, 1952 წ. ოქტომბერში, დოქტ. ვალტერ ჩენერის მიერ კონსტრუირებული აპარატით, ჯერ ჩვეულებრივი ნეტყველების ტექსტი, შემდეგ მელოდიკაწართნეული იგივე ტექსტი, ე. წ. „მონოტონური ნეტყველება“ და

14. ქართულ ხალხურ სიმღერებს შორის ისეთი სიმღერებიცაა, რომელთა მელოდიკა შემოფარგლულია, არ განვითარებულა დროთა ვითარებაში და ისინი თბრობითი მეტყველების მელოდიკას უფრო მიემსგავსებიან. ასეთი სიმღერების მუსიკალური ენა უაღრესად მარტივია. პროფ. გრ. ჩხიკვაძეს ამის ნიმუშად მოჰყავს ხევსურული ერთხმიანი სიმღერები: „... ზოგიერთი ხევსურული ერთხმიანი სიმღერის ინტონაციური მხარე, — წერს პროფ. გრ. ჩხიკვაძე, — ჯერ კიდევ არ არის ჩამონაკეთული, ხოლო მათი წყობა ნათლად გამოკვეთილი. ზოგჯერ ისინი აღზნებული მეტყველების ინტონაციებს მოგვაგონებენ, ვიდრე გამოუმუშავებულ მელოდიას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მათი აღნაგობის არქაულობა. გლისანდური ინტონაციები და ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშნები მიგვითითებენ მათ განუვითარებლობაზე და წარმოშობის სიძველეზე“. ამის ნიმუშად დასახელებულია „მთიბლური“, „ქორწილის სიმღერა“ და სხვ. ავტორი იქვე განაგრძობს: „... არსებობს აგრეთვე ხევსურული ერთხმიანი სიმღერების სხვაგვარი ტიპიც — უფრო გარკვეული, მაგრამ ერთფეროვანი და მელოდიის მხრივ შემოფარგლული, რომელიც ამასთანავე თბრობითი ხასიათის მეტყველებას მიემსგავსება“¹.

ჩვენი აზრით, აქ კარგად არის შედარებული ხევსურული სიმღერისა და მეტყველების მელოდიკა ერთმანეთთან და სწორი დასკვნაცაა გამოტანილი ამის საფუძველზე.

ხევსურული სააკვნო „ნანების“ განხილვასთან დაკავშირებით ანალოგიური დებულება აქვს გამოთქმული თამარ მესხს. ამავე დროს ის იძლევა ამ დებულების ნაწილობრივ განვითარებასაც².

15. ისიც ცნობილია, რომ მეტყველების სხვადასხვა სახესა და ეანს მელოდიკურობა მეტ-ნაკლები ხარისხით განსხვავებული აქვს. მაგ., სასცენო მეტყველებისათვის უფრო მეტი მელოდიკური მიმოქცევაა დამახასიათებელი, ვიდრე ჩვეულებრივი, ყოველდღიური მეტყველებისათვის. ამიტომაც იყო, რომ კ. სტანისლავსკი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ აქტიორის ხმა ლაპარაკის დროსაც სიმღერისებურად უნდა ჟღერდეს³.

ქართული ხალხური სიმღერებისა და ქართული პოეზიის „თაფლივით ტკბილი მელოდიები“ მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა, უფრო შემოფარგლული სახით, ქართული ელასიკური პროზისა და სასაუბრო ცოცხალი მეტყველების თავისებურებებშიც მქალავდება ხოლმე.

ქართული მეტყველების მუსიკალობისათვის არა ერთსა და ორ ავტორს მიუქცევია ყურადღება. ასე, მაგალითად, მ. კელენჯერიძე თავის წიგნში „ლექსწყობა ანუ წყობილსიტყვაობა“ განსაკუთრებით ამახილებს ყურადღებას ქართული ანდაზების მუსიკალურ წყობაზე, „სადაც სიტყვა ზარივით რაკრაკებს ჰარმონიულად, მელოდიურად“⁴ (შდრ. „ფერი — ფერსა, მადლი — მღერტ-

ბოლოს იგივე ტექსტი. გაზრდილი სიმღერის მელოდიკით. მეტყველებას ჰქონდა სრულიად განსხვავებული იერი და ელფერი პირველ, მეორე და მესამე შემთავებაში. ეს იმის ნიხედვით. თუ როგორია იყო მელოდიკის ხასიათი (არამელოდიკურობა, მოკარბებული მელოდიკა და ა. შ.). ასეთ ექსპერიმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს სიმღერისა და მეტყველების მელოდიკის ურთიერთობის შესწავლისათვის.

¹ გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. XV.

² თანაარ მესხი, ქალთა სიმღერები, საბჭოთა ხელოვნება, № 6, 1962, გვ. 73.

³ იხ. К. С. Станиславский, Собрание сочинений, т. III, 1954, გვ. 61, 81.

⁴ ქართული პოეტიკის ქრესტომათია, 1954 წ. გ. მიქაძის რედაქციით.

სა“, „დედინაცვალი, თვალში ნაცარი“, „არა გყავდეს მოახლეო, თავი მოი-
მოახლეო“ და მისთ.).

გრ. ყიფშიძე სპეციალურად მსჯელობს ქართული ენის მუსიკალური წყობის შესახებ: „თაფლსა და შაქარს ანბობ, იტყვიან ხოლმე, როცა არა მარტო ლაპარაკის საგანი უნდა მოუწონონ მოუბარს, არამედ თვით კილოცა, უნარი უბნობისა. მაშასადამე, უღვესოდ მოლაპარაკესაც შეუძლიან თავისი სიტყვა-პასუხი კეთილზმოვან პქნან და ესოდენ კეთილზმოვან და ტკბილგასა-გონი, თითქო თაფლი და შაქარი გაურეგია შიგო. ასეთ სასიათსა და თვისე-სებას აძლევს ლაპარაკს, უბნობას კეთილად დაწყობა სიტყვებისა და წინადა-დებათა. კეთილად დაწყობა კი ჰგულისხმობს ერთგვარის სამუსიკო ზომის მიცემას, რიტმის ხმარებას“¹.

ხალხის სიმბრძნეა გამობატული ისეთ ანდაზებში, როგორიცაა: „შინ ნათ-ქვამი სიტყვა კარში კაცს არ გამოადგებაო“. „ტკბილი სიტყვით ზთის ირენი მოიწველაო“ და ა. შ.

16. ჩვენი აზრით, ქართული ხალხური სიმღერების ენა რიტმიკული მახ-ვილის საუცხოო ნიმუშებს იძლევა.

ქართულ ხალხურ სიმღერებში რიტმიკული მახვილის ერთ-ერთ ნიშან-დობლივ გამობატულებას წარმოადგენს ცალკეული სიტყვების ან სიტყვათა კომპლექსის განმეორება. რიტმიკული მახვილის გამობატვის ეს ხერხი ქართულ სიმღერებში ფართოდ არის გამოყენებული. გარდა ამისა, ამ მიზნით ქართულ ხალხურ სიმღერებში ხშირად გამოყენებულია აგრეთვე „და“ ნაწილაკი, რო-გორც დამატებითი მარცვალი. სიმღერის პროცესში შესაძლებელია სიტყვა გაიხილინოს და რიტმიკულობამ მათ შორის „და“-ს ჩართვა მოითხოვოს:

„მოგვყავს და მოგვი (და) ხარიან -რა გა(და)ტირებდარო?...
დედალ-მამალი (და) ხობობი“. ყველამ (და) სულმა, სულ (და)
დგმულმაო...“ და მისთ.

რიტმიკული მახვილის გამოსახატავად ქართულ ხალხურ სიმღერებში გამოყენებულია სხვადასხვა სახის შორისდებულიც და ა. შ.

ერთ-ერთ ქართულ ხალხურ ლექსში „შორ“ ფუძის განმეორება მოხდე-ნილად არის გამოყენებული რიტმიკულობის გამოსახატავად:

„ნუ იცინი, ნუ მაცინებ,
თორემ დაგვატორებნო,
სიყვარულს რომ შეგვიტყობენ,
და გეაშო რიშორებენო“.

რიტმიკული მახვილის მატერიალური პრინციპის გამოსახატავად ვროსა და იმავე დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმეორებაც, „და“ ნაწი-ლაკიცა და შორისდებულიც, როგორც ეს, მაგალითად, მოცემულია სიმღერაში „ჩაუხდეთ ბარათაშვილსა“:

„ჩაუხდეთ(და), ჩაუხდეთ
ბარათაშვილსა, ჰე
მოვტაცოთ(და), მოვტაცოთ,
წამოვიყვანოთ, ჰე,

¹ გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. VI.

თვალ-ეუეუნა(და), თვალ-ეუეუნ
 თეთრი ქალიო, ჰე,
 მოგვდევა(და), მოგვდევა
 ჩენი სიდედრო, ჰე,
 ნუ მოგვდევა(და), ნუ მოგვდევა.
 ჩენო სიდედრო, ჰე,
 არ არის (და), არ არის
 შენი ვალიო, ჰე!¹

შორისდებულები, სიტყვათა და მათი ნაწილების განმეორებანი და დამატებითი ნაწილაკი „და“, აგრეთვე პროსოდული ხმოვნები, ერთად აღებული, თუ როგორ აძლიერებენ გამომხატველებით ძალას და თუ როგორ ქმნიან რიტმიკული მახვილის შესანიშნავ ნიშნებს, ეს თვალნათლივ ჩანს კახური სასიმღერო ტექსტიდან „სიმღერა მელორისა“:

„შენ ჩემო (და ღორო აბა) ღორო ქედავო,
 თორმეტის (და გოკის აბა) გოკის დედავო,
 გაგზაენე (და საბა აბა) საბალახოზე,
 კვირინჩხეთის (და ბოლო აბა) ბოლოზედაო.
 იქიდან (და გამო აბა) გამოპარულხარ,
 დამღვარხარ (და ყანებ აბა) ყანებ ზედაო.
 შეგიტყობს (და ყანის აბა) ყანის პატრონი,
 გასცვივა (და შაშხანს აბა) შაშხანს ბრავგანი.
 საწყალი (და ბიკი აბა) ბიკი მელორე,
 იძახის (და ეპა აბა) „ეპა, ეპაო!“
 ნეტავი (და ღორო აბა) ღორო გიპოვნო,
 დავაჯდე (და ქეჩო აბა) ქეჩოზედაო,
 რამდენი (და ჯოხი აბა) ჯოხი მოგარტყა,
 მაგ ცხვირის (და ნეშტო აბა) ნეშტოზედაო“².

17. სიტყვის ან სიტყვათა კომპლექსის განმეორება სასაუბრო მეტყველებაშიც დიდ როლს ასრულებს რიტმიკული ჯგუფის წარმოქმნისა და ექსპრესიულობის გაზრდისათვის, მაგ.:

- „—ჩანჩურ, მაგრა დადექ, მაგრა დადექ!“ (მ. ჯავახ. 1,8).
- „—უკან, უკან, უკან! აბა, განი. განი!“
- „—აჯობა. აჯობა! გააშველეთ!“
- „—ბიჭია, ბიჭია!“
- „—არაფერი... ღმერთმანი არაფერი... ისე, რა ვიცი, ღმერთმანი“.
- „—არაფერი... ღმერთმანი არაფერი. მესეჯერ გაიმეორა ნუცამ“ და სხვ.

გარდა ამისა, ქართული ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი ნაწილაკი „და“, რომელიც დაშატებით მარცვალს ჰქმნის, საერთო ჩანს ქართველური ტომების სიმღერებისა, ლექსებისა და ანდაზებისათვის. მაგ., „და“ ამ ფუნქციით გამოყენებულია სვანური სიმღერების ენაში:

¹ გრ. ხსიკვაძე. ქართული ხალხური სიმღერა, გვ. 164.
² იქვე გვ. 276.

„პოე-და ლილე და: დიდება თარინგლახელს,
ვოე-და ლილე, პო!“¹

„სააი-პოდი და... მურაბეგის და“ რეზოჩანდა.
სააი-პოდი და... იმარელე, შენთე...“²

„სააი-პოდი და... მურზაბეგს ვერავინ სჯობდა.
სააი-პოდი და... ემზადება, ო, სვანეთისაკენ...“.

ნაწილაკი „და“ ამ ფუნქციით დასტურდება მეგრულის ანდაზებში, მაგ.:

„ხეარას ხეარა ვა დუუძახი და, აშო ქედოგოძახუნია“³

(„ქაჩალს ქაჩალი თუ არ დაუძახე და, აქეთ დაგიძახებს“)

„თუნთქ მეგერიასე და, ბაბა დუუძახია“

(„დათვი თუ მოგერიოს და, მამა დუუძახე“).

„ზაფანა ვა გიქკომენ და, პიჯი მუქე მერქუ?“

(„პილპილი თუ არ გიქამია და, პირი რამ დაგწვა?“) და სხვ.

როგორც ჩანს, ნაწილაკი „და“ ამ ფუნქციით ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობს სიმღერებისა და ლექსების ენაში. ამაზე მიუთითებს, ისიც, რომ მეგრულ-ქანურის სასაუბრო მეტყველებაში ამ ნაწილაკს შეესატყვისება „დო“, მაგ. ქან.: „...ოხოწონაფუ ავეას შემოხენ“—ა დო“⁴ („...გააგებინა შემბლზე მაზისო“ და“).

მართალია, არახშირად. მაგრამ „და“ ნაწილაკი ამ ფუნქციით ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაშიც იხმარება ქართულში რიტმიკული მახვილის გამოსახატავად: „ქურდს რა უნდა და, ბნელი ლამეო“ (ანდ.), „მე კი ასე შემაქცია -და...“ (ი. ჭავჭავაძე, II, 268), „აბა, წუთისოფლის ანგარიში ეგ არის და...“ (იქვე, 141), „დედაკაცობაც ეგ არის და“ (იქვე, 133), „—ეგა სთქვა და...“ (იქვე, 208), „კარგი ერთ და“ (მ. ჯავახი), „აქო-და“ და სხვ.

ზემოთქმულის მიხედვით ირკვევა, რომ ქართული ხალხური სიმღერების რიტმიკული მახვილის შესწავლას მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს ქართული ენის რიტმიკული მახვილის ბუნების გარკვევაში საერთოდ. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო განამტკიცებს აკად. თ. კორშის მიერ ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში გამოთქმული დებულება იმის შესახებ, რომ რიტმიკული მახვილი ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული უძველეს გრამატიკულ მახვილთან და მის პირობებში უნდა წარმოშობილიყო. აკად. თ. კორში ამის შესახებ წერდა: „Последний случай есть так пазыпаемая энклиза (подчинение предшествующему ударению, как в прозе „на водъ“, „не да“, „ты брат“, он мол“, „до Петра дня“). Только здесь это энклиза грамматическая, а там—ритмическая, хотя коренящаяся, вероятно, в условиях древнего грамматического ударения...“⁵

აკად. თ. კორშის დიდ დამსახურებას შეადგენს რუსული ენის მასალების შესწავლის საფუძველზე გრამატიკულსა და რიტმიკულ ენკლიზას შორის გან-

¹ სვანური პოეზია. 1. გვ. 14.

² იქვე, გვ. 314.

³ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка. 1914. მეგ. ტექსტ. გვ. 182.

⁴ ს. ელენტი, ქანური ტექსტები, არქაბული კოლოკაი, 1938, გვ. 7.

⁵ Ф. Е. Корн, Об ударениях в русских песнях и стихах: Сб. Отд. русского языка и словесности Имп. АН, 1902 г. т. 70. გვ. 207.

სხვაგვების დადგენა, რიტმიკული მახვილის ფესვების ძიება გრამატიკული მახვილის პირობებში. ამ დებულებას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს რიტმიკული მახვილის ისტორიის გარკვევისათვის საერთოდ.

რუსული სიმღერების მახვილის შესახებ ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული ვ. ჩერნიშოვსაც. ამავე დროს იგი თავის მხრით დასძენს, რომ რიტმიკული მახვილი რუსულ სიმღერებში არ არის სიძლიერის მახვილი, იგი უფრო მეორეხარისხოვან მახვილს მიემსგავსება. ვ. ჩერნიშოვი აქ მოსაზრებას იმით ასაბუთებდა, რომ მის ჩანაწერებში რიტმიკული მახვილი ზოგჯერ მოუდის სახეცვლილ ხმოვნებს, რომელთა მიღება! შეიძლებოდა მხოლოდ უმახვილო პოზიციაში¹.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე რამდენიმე ახალი საკითხი გვინდა დავაყენოთ:

1. ქართული ხალხური სიმღერების ენობრივ თავისებურებებთან ერთად ღრმად და საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ სვანური და მეგრულ-ქანური სიმღერების ენობრივი თავისებურებებიც და ამ გზით გავარკვიოთ მათი მიმართება ადგილობრივ კუთხურ მეტყველებასთან. ეს კი საშუალებას მოგვცემს სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, ქართველური ტომების სიმღერების ენასა და ადგილობრივ კუთხურ მეტყველებაში რა საერთო და განსხვავებული ენობრივი მოვლენები გვაქვს, სად არის შემონახული უფრო მეტი არქაიზმები, სადა გვაქვს ნეოლოგიზმები და ა. შ.

2. ქართველური ტომების სიმღერების ენის ადგილობრივ დიალექტებთან ურთიერთობის გარკვევა ამავე დროს უნდა მოჰფენს სიმღერების მიგრაციის რთულ საკითხს. შესაძლებელი იქნება იმის გარკვევა, თუ მიგრაციის შემთხვევაში სიმღერის რომელი ენობრივი თავისებურება იკარგება ახალ გარემოში, სხვა ენობრივ კოლექტივში და რომელი ენობრივი მოვლენა უფრო გამძლეა და არ იკარგება.

3. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ამიერიდან კიდევ უფრო მეტი მასშტაბითა და მეტი ინტენსიურობით უნდა გაჩაღდეს მუშაობა ქართველური ტომების სიმღერებისა და დიალექტოლოგიური მასალების შეკრებისა, დამუშავებისა და მეცნიერული პუბლიკაციისათვის. სამწუხაროდ, ძველად გამოცემული სიმღერების ტექსტებში გაპარულია არსებითი ხასიათის შეცდომები.

4. ამ საკითხების კვლევის მაღალმეცნიერულ დონეზე დაყენება საჭიროებს ენათმეცნიერთა, მუსიკის მცოდნეებისა და ფოლკლორისტთა ერთობლივ მუშაობას.

¹ В. Чернышев, Ударение в песнях, записанных А. Косоговым. Ритмическое ударение в русских песнях, там же, стр. 203.

3. ა. არტიომოვის „ექსპერიმენტული ფონეტიკა“¹

პროფ. ვ. არტიომოვი თითქმის სამი ათეული წელია ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიას ხელმძღვანელობს მოსკოვის I უცხო ენათა ინსტიტუტში. „მრავალი წლისა და მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგად—წერს პროფ. ვ. არტიომოვი—ჩვენს ლაბორატორიაში გამომუშავებულ იქნა ზოგიერთი მეთოდი და ხერხი ენის ბუნებრივი შედგენილობისა და ინტონაციის ექსპერიმენტულ-ფონეტიკურად შესწავლისათვის. ეს შრომა მიძღვნილია მათი განხილვისადმი“².

ამ ლაბორატორიამ დღემდე თავისი შრომების ათამდე ტომი გამოაქვეყნა. გარდა ამისა, მასში დამუშავდა 40-ზე მეტი დისერტაცია ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, რომელთა დიდი უმეტესობა გამოქვეყნებულია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ეს ლაბორატორია საბჭოთა კავშირის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიებს შორის ყველაზე უფრო მდიდარია მოწყობილობით. იგი ელექტროაკუსტიკური და რადიოტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე შექმნილი აპარატურით არის აღჭურვილი. კერძოდ, მეტყველების ჩამწერი ელექტროაკუსტიკური აპარატი რეკორდერით ამ ლაბორატორიაშია შექმნილი პროფ. ვ. არტიომოვის ხელმძღვანელობით³.

პროფ. ვ. არტიომოვს ენათმეცნიერთა წრეები და მკითხველთა უარყო საზოგადოება იცნობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით ექსპერიმენტული ფონეტიკისა და ფსიქოლოგიის დარგებში. ავტორის ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევებიდან აღსანიშნავია: „Экспериментальная фонетика и психология в обучении иностранному языку“ (1940 г.), „Новая электроакустическая установка для регистрации речи“ (1940 г.), „Лаборатория экспериментальной фонетики и психологии речи“ (1950 г.), „Рентгенологическое изучение речевой артикуляции“ (ვ. ვინზნურთან ერთად), „Изучение звукового состава речи“ (1954 г.), „К вопросу об интонации русского языка“ (1953 г.), „Об интонации“ (1953 г.). „Психология речи“, „Восприятие и понимание речи“ და სხვ.

პროფ. ვ. არტიომოვის მიერ ახლახან გამოცემული „ექსპერიმენტული ფონეტიკა“ შედგება შესავლისა და რვა თავისაგან. წიგნს თან ახლავს დასკვნები და დამატებები: ა) ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტის ორგანიზაცია, ბ) მაგნიტოფონის კაბინეტის ორგანიზაცია. აგრეთვე თან ერთვის

¹ В. А. Артемов, Экспериментальная фонетика, Москва, 1955 г., 228 გვ.

² იქვე, გვ. 19.

³ Проф. В. А. Артемов, Новая электроакустическая установка для регистрации речи: Экспериментальная фонетика и психология в обучении иностранному языку, т. I, 1940, გვ. 210—218.

ბალაოგრაფია რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ლიტერატურისა და საგნობრივი საძიებელი. წიგნში დაბეჭდილია კარგად შესრულებული სამოცამდე საილუსტრაციო ფოტომასალა და სქემები.

გარდა იმისა, რომ ავტორი ვრცლად განიხილავს ენის ბგერით თავისებურებებსა და ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის საკითხებს, იგი ამავე დროს იძლევა ექსპერიმენტულ-ფონეტიკური მეთოდების სისტემატიკას.

ავტორი ექსპერიმენტულ ფონეტიკაში ამჟამად და წინათ გამოყენებულ მეთოდებს აჯგუფებს და აღწერს მათ დადებითსა და ნაკლოვან მხარეებს. I ჯგუფში შეყავს სომართური და ფიზიოლოგიური მეთოდები: ბალატოგრაფიული მეთოდი, საწარმოთქმო გარე და შიგა ორგანოების არტიკულაციის ფოტოგრაფირება (შიგა ორგანოებისა ორგრაფიის საშუალებით). სამეტყველო სუნთქვის პნევმოგრაფიული მეთოდით ჩაწერა და ანალიზი და რენტგენოგრაფიული მეთოდი. II ჯგუფში განხილულია ელექტროაკუსტიკური მეთოდები: ფირფიტაზე ჩაწერა სპეციალური დაზვის საშუალებით, მაგნიტოფონის ფერომაგნიტურ ლენტზე ჩაწერა, ელექტრომაგნიტური რეკორდერით ჩაწერა, ოსცილოგრაფიული ჩაწერა და ენის ბგერითი შედგენილობის ანალიზი, ენის ფონეტიკური შედგენილობის სპექტროგრაფიული ანალიზი. III ჯგუფის მეთოდებში განხილულია ექსპრესიული მეთოდები: მოლაპარაკის მეტყველების, ეესტისა და მიმიკის სინქრონულად ჩაწერა. განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა ამ გზით ინტონაციის შესწავლა. ინტონაციის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკის სახის, ეესტებისა და სავარაუდოდ მთელი სხეულის პოზის კინოგადაღებას.

გარდა ამისა, ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თვითდაკვირვების, ენობრივი მასალის ანალიზისა და საუბრის მეთოდებს.

იმის მიხედვით, თუ რა ამოცანა დასახული და კვლევის რა ბირობები გააქვს, უნდა შერჩეულ იქნეს ის მეთოდი, რომელიც ყველაზე უფრო წარმატებით გადაწყვეტს დასმულ ამოცანას. ექსპერიმენტულ-ფონეტიკური მეთოდის შერჩევა, მისი გამოყენება და ამავე დროს კვლევის ორგანიზაცია მეტად რთული საქმეა, რომელიც გულისხმობს ექსპერიმენტატორის კარგ მომზადებასა და საქირო ჩვევების გამომუშავებას ექსპერიმენტის მაღალ დონეზე დატენებისა და ჩატარებისათვის.

პროფ. ვ. არტიომოვი რჩევასაც კი იძლევა, თუ ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევისას რა შემთხვევაში რომელი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ. ანუ, მაგალითად, ხმოვანთა და თანხმოვანთა ფონემების შესწავლისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მეთოდი. მაგრამ ცალკეული საკითხების კვლევისას უპირატესობა ეძლევა ერთ-ერთ მათგანს. მაგ., ხმოვნის ფორმანტების შესწავლა აშკარად წარმოებს ოსცილოგრაფიითა და სპექტოგრაფიით, ხმოვნის ძირითადი ტონის სიმაღლე, ინტენსიობა და ხანგრძლიობა—ელექტროდინამიკური რეკორდერის გამოყენებით. ცალკეულ ხმოვანთა და თანხმოვანთა წარმოთქმისას ჰაერნაკადის მოცულობა შესწავლება პნევმატიკური მეთოდით, ხმოვნის ხანგრძლიობა შეიძლება პნევმატიკური და ელექტროდინამიკური რეკორდერის საშუალებებით. ხმოვნის არტიკულაცია შესწავლება კინორენტგენის გადაღებით, ატრატიკური რენტგენის გადაღებით, მიკროფოტო აპარატით, პალატოგრაფიული მეთოდითა და სხვ.

თანხმოვანი ფონემები შეისწავლება სპექტროგრაფითა და კინორენტგენის გაღებებით, პალატოგრამული მეთოდით; აგრეთვე არტიკულაციის ფოტო-გაღებებით. თანხმოვანთა ასპირაციას ვსწავლობთ პნევმატიკური აპარატებით. თანხმოვანთა გამქლევება და დაყრუება შეისწავლება ელექტროდინამიკური რეკორდერისა და პნევმატიკური საშუალებებით, თანხმოვანთა სილბო-სი-მავრე—რენტგენის გაღებებითა და პალატოგრამებით და ა. შ.

ინტონაციის კვლევის ყველაზე კარგი აპარატია ამჟამად ელექტროდინამიკური რეკორდერი, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ ზუსტი მონაცემები ინტონაციის ფიზიკური თვისებებისა: ძირითადი ტონის გერცებში მოქრობისა, წარმოთქმის ინტენსიობის ამპლიტუდისა. ობერტონებისა 2500 გერცის ფარგლებში და წარმოთქმის ხანგრძლიობისა მილისეკუნდებში და ა. შ.

როგორც ცნობილია, ფონეტიკაში ექსპერიმენტის დამკვიდრება მოხდა პნევმატიკური მეთოდის საფუძველზე. აეტორი ვრცლად ჩერდება პნევმატიკური მეთოდის ნაკლოვანებებზე და აღნიშნავს იმ უპირატესობებს, რომლებიც ელექტროაკუსტიკურ მეთოდებს აქვს მასთან შედარებით.

თავის დროზე აკად. ლ. შჩერბასაც, რომელიც შეუდარებელი ოსტატი იყო პნევმატიკური მეთოდის, კარგად ჰქონდა შეგნებული ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ამ მეთოდს აქვს და ამიტომაც იყო, რომ წერდა: -თუკი ცოცხალ მეთყველვებს ჩაეწერდით მექანიკური აპარატებით, როგორც ეს ახლო მომავალში იქნება შესაძლებელი, ჩვენ განეცვიფრდებოდით იმ შეცდომათა სიმრავლით, რომლებსაც ჩვენ უშვებთ ფონეტიკასა. მორფოლოგიასა, სინტაქსსა და ლექსიკაში¹.

პროფ. ვ. არტიომოვს თავისი დებულების საილუსტრაციოდ შესადარებლად მოჰყავს რუსული სიტყვის „направление“-ის პნევმატიკური და ელექტროაკუსტიკური რეკორდერით ჩაწერისა და ანალიზის საფუძველზე შედგენილი ბელოდიკისა და ინტენსიობის მრუდები (გვ. 170, 172).

პნევმოკიმოგრამისა და ელექტროკიმოგრამის შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ განსხვავება საგრძნობია. ელექტროკიმოგრამაზე ნათლად ჩანს, თუ რამდენად ზრდის სიტყვაში „направление“ ინტენსიობის მომენტს სონორების I-სა და II-ს მონაწილეობა მაშინ, როდესაც პნევმოკიმოგრამაზე ამ თანხმოვანთა ინტენსიობა ასახული არ არის და ნაჩვენებია მხოლოდ ხმოვნების ინტენსიობის სურათი.

ექსპერიმენტული ფონეტიკის შესახებ დღემდე რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული მდიდარი ლიტერატურიდან პროფ. ვ. არტიომოვის წიგნი გამოირჩევა იმით, რომ მასში ვრცლად არის განხილული და აღწერილი ენის ბგერითი შედგენილობის შესასწავლად გამოყენებული ელექტროაკუსტიკური, რადიოტექნიკისა და რენტგენოლოგიის ახალი მეთოდები. გარდა ამისა, აეტორი თავისი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის გამოცდილებიდან იძლევა ნოვაციურ საყურადღებო რჩევასა და ახალ იდეებსაც კი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის კიდევ უფრო სრულყოფისათვის. აეტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მიღწევები, რომლებიც ამ უკანასკნელად ექსპერიმენტულ-ფონეტიკურმა კვლევამ მოიპოვა თანამედ-

¹ Л. В. Шерба, О тройном аспекте языковых явлений и об эксперименте в языкознании, ИАН СССР, Отл. обществ. наук, 1931. № 1, гв. 125—126.

როვე ელექტროაკუსტიკური, რადიოტექნიკისა და რენტგენოლოგიის მეთოდების გამოყენების საფუძველზე“ (გვ. 6).

პროფ. ვ. არტიომოვის მთელ წიგნს წითელი ზოლივით გასდევს მტკიცება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ეტაპზე ფონეტიკოსი ღრმად და საფუძვლიანად უნდა იყოს განსწავლული არა მარტო ენათმეცნიერებაში, არამედ ისეთ მომხრეებშიც, როგორცაა ფიზიკა, ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია.

ავტორი ფიქრობს, რომ ექსპერიმენტულ-ფონეტიკურ კვლევაში აუცილებელია გავარჩიოთ მეტყველება (речь) და ენა (язык). „მეტყველების გარეშე არ არსებობს „ენა“, ენა არის ურთიერთგაგებინების საშუალება, ხოლო მეტყველება არის პროცესი ურთიერთგაგებინებისა ენის საშუალებით“. „ენა შეიძლება შესწავლილ იქნეს მხოლოდ მეტყველების მეშვეობით; მხოლოდ მეტყველებაში შეიძლება ვიპოვოთ და განვსაზღვროთ მოცემული ენის განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი“ და ა. შ.

ენობრივი მასალების ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ანალიზის მთავარი მიზანია დადგენილ იქნეს ენის ფონეტიკური აგებულების ზოგადი კანონები.

პროფ. ე. არტიომოვი, აკად. ლ. შჩერბას მოსაზრებებზე დაყრდნობით, ფონეტიკის მთავარ ამოცანად თვლის:

1. შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ მოცემული ენის ფონეტიკური შედგენილობა, კერძოდ, ის ფონემები, რომლებსაც ენა ასხვავებს.
2. მოცემულ იქნეს მათი სრული აღწერილობა.
3. აღვსუსხოთ და დავახასიათოთ ფონემის ყველა ვარიანტი, რომლებიც წარმოქმნილა მოცემულ ენაში.
4. განვსაზღვროთ ფონემათა ვარიანტების წარმოქმნის პირობები და
5. ავსნათ მათი წარმოქმნის მიზეზები¹.

განსაკუთრებით საყურადღებოა პროფ. ვ. არტიომოვის მიერ საქმად ვრცლად დახასიათებული და განმარტებული ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის ის ეტაპები და აუცილებელი პირობები, რომლებიც მოცემულია სარეცენზიო წიგნში. ავტორი ყველა ამ პირობას 15 მუხლად აყალიბებს:

1. აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს საკვლევი პრობლემა შესასწავლი ენის ფონეტიკისა ზოგადენათმეცნიერული და სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით.

2. ასევე აუცილებელია, შესწავლილ იქნეს საკითხის ისტორია და თანამედროვე ვითარება.

3. ვიწრო და კონკრეტული საკითხი უნდა იქნეს დასმული საკვლევად და წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ მისი გადაწყვეტის ყველა შესაძლებლობა.

4. უნდა შევქმნათ ცდისათვის აუცილებელი ექსპერიმენტული მოწყობილობა. ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ცდის სწორი ორგანიზაცია გულისხმობს არა მარტო სპეციალურ აპარატურასა და მოწყობილობას, არამედ ექსპერიმენტატორის დიდ გამოცდილებასა და ოსტატობასაც.

¹ Л. В. Щ е р б а. Русские гласные в качественном и количественном отношении. СПб., 1912. гл. 20.

5. საექსპერიმენტო მასალა წინასწარ უნდა იყოს მომზადებული (შერჩეული და მანქანაზე გადაბეჭდილი).

6. ასევე აუცილებელია წინასწარ შერჩევა დიქტორებისა, რომლებიც საკვლევი ენის წარმოთქმას ორთოეპიულად სრულყოფილად ფლობენ და აუდიტორებისა, რომლებიც წარმოთქმული მასალის სწორ დაკვირვებასა და შეფასებას მოგვეცემენ.

7. წინასწარ უნდა იქნეს შედგენილი ცდის ჩატარებისათვის საჭირო ინსტრუქცია დიქტორებისა და აუდიტორებისათვის, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

8. ცდის ჩატარების მთელი პროცესი გულისხმობს ექსპერიმენტატორის ნამდვილ რთულ შემოქმედებითს მუშაობას.

9. ცდის მიმდინარეობა დაწვრილებით უნდა აისახოს ოქმში დაწესებულების, თემის, მასალის, ცდაში მონაწილეთა პირების ჩვენებითა და სხვა.

10. მიღებული შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი დამუშავება და ცხრილებისა და სქემების სახით წარმოდგენა.

11. მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახვა.

12. მიღებული შედეგების საფუძველზე დასკვნების ფორმულირება.

13. მიღებული შედეგების თეორიული მნიშვნელობის დასაბუთება.

14. მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა და პრაქტიკაში დანერგვის საშუალებანი.

15. შეძლებისდაგვარად უნდა შემოწმდეს მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენებაც (უპირატესად მშობლიური და უცხოური ენის შესწავლისათვის).

დამატებებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეტანილია ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მავნიტოფონის კაბინეტების ორგანიზაციის საკითხები. ავტორი ვრცლად მოგვითხრობს მკვლევართა კოლექტივის შექმნაზე და კაბინეტის თანამედროვე აპარატებითა და მოწყობილობით აღჭურვაზე. იქვეა ჩამოთვლილი ყველა ის აპარატი, რომლებიც უნდა დაიდგას კაბინეტში და მოცემულია აპარატურის განლაგების სქემები.

წიგნის ეს ნაწილიც დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტის ორგანიზაციის საქმეში.

მეტად საჭირო და სასარგებლოა აგრეთვე თანდართული ბიბლიოგრაფია რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული ექსპერიმენტული ფონეტიკის ლიტერატურისა და სია იმ დისერტაციებისა, რომლებიც დამუშავებულ იქნა პროფ. ვ. არტიომოვის ხელმძღვანელობით ლაბორატორიაში.

სარეცენზიო წიგნის გაცნობის შემდეგ განსაკუთრებით იგრძნობა ის, რომ, სამწუხაროდ, ავტორი შეზღუდული ყოფილა წიგნის მოცულობით. ამაზე თვით ავტორიც ჩივის (გვ. 20), ამიტომ ბევრი საკითხი ისეა დასწული, რომ მას სათანადო გაშუქება ვერ მიუღია წიგნში. წიგნის შესავალში ექსპერიმენტული ფონეტიკის ბევრი კლასიკოსი მხოლოდ ჩამოთვლილია და არაფერია ნათქვამი მათი დაშლახურების შესახებ ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარების საქმეში. ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარების მოკლე ექსკურსიც კი არ არის მოცემული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთში ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარების შესახებ მოცემულ ცნობებს.

ავტორი იწყებს მ. ლომონოსოვის ფონეტიკის შესახებ შეხედულებათა განხილვით, უფრო ვრცლად განიხილავს ა. ვოსტოკოვისა და ბოდუენ-დე კურტენეს ფონეტიკურ შეხედულებებს და განსაკუთრებით გახაზავს ვ. ბოგოროდიცისა და ლ. შჩერბას დიდ დამსახურებას ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის განვითარების საქმეში. ჩამოთვლილია აგრეთვე ექსპერიმენტულ ფონეტიკაში დღეს ნაყოფიერად მომუშავე საბჭოთა ენათმეცნიერებიც.

ცნობილია, რომ ექსპერიმენტული ფონეტიკა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, შეიქმნა და ჩამოყალიბდა ენათმეცნიერებაში და, კერძოდ, ფონეტიკაში ექსპერიმენტული ანუ იარაღობრივი მეთოდის გამოყენების საფუძველზე. ენათმეცნიერების ამ დარგის წარმოშობასა და განვითარებაზე ძლიერი და კეთილსასურველი გავლენა აქონდა მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორცაა ექსპერიმენტული ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1875 წლის დასაწყისში პარიზის დიდ ფიზიოლოგთან პროფ. მარეისთან გამოცხადდა ლინგვისტური საზოგადოების დღევანდელი იმის გასაგებად, შესაძლებელია, თუ არა გრაფიკული მეთოდით შესწავლილი იქნეს ის რთული და მრავალმხრივი მოძრაობანი, რომლებზედაც დამოკიდებულია ადამიანის მეტყველება. კერძოდ, საკითხი შეეხებოდა იმას, შესაძლებელია თუ არა ობიექტური ჩანაწერი მივიღოთ იმ აქტებისა, რომლებსაც სხვადასხვა ბგერის არტიკულაციის დროს აწარმოებენ გულმკერდი, ხორხი, ენა და ბაგეები¹.

ცნობილია ისიც, რომ გამოჩენილმა ფიზიოლოგებმა მარეიმ და როზაპელიმ ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეტყველების შემსწავლელი სპეციალური აპარატების გამზადებითა და მრუდეების მიღებით. დღესაც, მაგალითად, ხორხის კედლების რხევების ჩანწერი კაფსულა და ბაგეების მოძრაობის ჩანწერი იარაღი ამ ავტორების სახელება ატარებენ (პირველი მარეის ეკუთვნის, მეორე—როზაპელის).

გრაფიკულ მეთოდს ფონეტიკაში ნამდვილი სრულყოფილი სახე რუსლომ მისცა. მან 1896 წელს პარიზში დაარსა ექსპერიმენტული ფონეტიკის პირველი ლაბორატორია და ამის შემდეგ ფონეტიკა მძლავრი საყრდენი შეიქმნა ენათმეცნიერებისათვის.

რუსლოს ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში შესრულებული შრომები შეჯამებული სახით ორ კაპიტალურ ტომად გამოიცა სათაურით: „Principes de Phonétique expérimentale“ (I, 1—638 გვ.; II, 641—1252 გვ., პარიზი, 1924).

აღსანიშნავია, რომ რუსლოს კვლევის ობიექტი ევროპული ენების გვერდით ქართული ენაც შეიქნა. კერძოდ, თედო სახოკიას პარიზში ყოფნის დროს რუსლოს მისგან ჩაუწერია გრაფიკულად ქართული სიტყვები. ამ სიტყვების ანალიზი რუსლოს მოცემული აქვს თავისი შრომის მეორე ტომში (გვ. 863—868), რუსლოს იქვე მოცემული აქვს ქართული ენის წინა და უკანანებისმიერ თანხმოვანთა პალატოგრაფებიც (გვ. 867).

რუსლოს ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში მიიღო წრთობა რუსული ენათმეცნიერების ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა და

¹ იხ. С. Ершов, Графический метод: Ученые записки Казанского университета, кн. 11. 1901, гв. 157.

ექსპერიმენტული ფონეტიკის უბაღლო ოსტატმა, როგორც იყო აკად. ლ. შერბას.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარიზში ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის დაარსების პერიოდში რუსეთში ექსპერიმენტულ-ფონეტიკურა კვლევა-ძიება გააჩნდა ვ. ბოგოროდიცემ. მის მიერ ყაზანის უნივერსიტეტთან შექმნილმა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიამ დიდი როლი შეასრულა რუსეთში ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის განვითარების საქმეში. ამ ლაბორატორიაში შესრულდა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი შრომა. რომლებიც შეეხებოდა რუსული და თათრული ენების ფონეტიკის ექსპერიმენტულად კვლევას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ვ. ბოგოროდიცის ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევები: „Заметки по экспериментальной фонетике“ (1896 г.), „Гласные без ударения в русском языке“ (1880 г.), „Курс экспериментальной фонетики применительно к литературному русскому произношению“ (იგი სამ წიგნად გამოვიდა—I, 1917 წ., II, 1922 წ., III 1922 წ.), „Фонетика русского языка и свете экспериментальных данных“ (1930). ამ უკანასკნელ შრომაში შეჯამებული სახითაა წარმოდგენილი პროფ. ვ. ბოგოროდიცის მიერ რუსული ენის ფონეტიკის მრავალი წლის განმავლობაში კვლევის შედეგები. გარდა ამისა, შრომაში განხილულია ექსპერიმენტული ფონეტიკის კვლევის მეთოდები და ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის საკითხები.

ყაზანის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის შემდეგ ჩვენში ყველაზე მდიდარი და შინაარსიანი ისტორიის მქონეა ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებული აკად. ლ. შერბასის სახელობის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში დამუშავდა ლ. შერბასის საყოველთაოდ ცნობილი ექსპერიმენტული გამოკვლევები: „Русские гласные в качественном и количественном отношении“ (1912 г.), „Фонетика французского языка“ (1937). ეს უკანასკნელი შრომა დღემდე ხუთჯერ გამოიცა ხელახლა.

აკად. ლ. შერბასის უდიდესი დამსახურება მიუძღვის არა მარტო საბჭოთა კავშირში ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევა-ძიების განვითარებაში, არამედ ამ დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეშიც. აკად. ლ. შერბასის ექსპერიმენტულ-ფონეტიკური სკოლა განვლეს დღეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე სპეციალისტებმა: პროფ. ლ. ზინდერმა, დოც. მ. მატუსევიჩმა (ლენინგრადი), დოც. ვ. სოკოლოვან (მოსკოვი), პროფ. გ. ახვლედიანმა, პროფ. ს. ჟღენტმა (თბილისი), დოც. ი. სუნცოვამ (კიევი), დოც. ე. მამულევამ (ბაქო) და სხვ.

აკად. ლ. შერბასის სახელობის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში დამუშავდა და მომზადდა ისეთი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევები, როგორცაა: ლ. ზინდერისა და მ. მატუსევიჩის: „Экспериментальное исследование фонем пхвского языка“ (1937 г.), ვ. სოკოლოვანს, „Фонетика таджикского языка“ (1949) г.), ლ. ზინდერის „Общая фонетика“ (1955 г.). ეს უკანასკნელი შრომა წარმოადგენს ავტორის სადოქტორო დისერტაციას. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ექსპერიმენტულ ფონეტიკას (იხ. დაბეჭდილი ავტორიფერატი). პროფ. ლ. ზინდერმა 1956 წელს

კანონაქვეყნა: „Гласные корейского языка“, სადაც პნემმატიკური და სპექტოგრაფიული მეთოდებითაა შესწავლილი კორეული ენის ხმოვანთა სისტემა.

რუსლოს შემდეგ საზღვარგარეთ ექსპერიმენტულ ფონეტიკას ისეთი დიდი მოამბევები გამოუჩნდნენ, როგორიც არიან ე. სკრიფჩერი და გ. პანკონჩელი-კალცია.

პროფ. ე. სკრიფჩერი ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელია და მისი ყოფილი პრეზიდენტი (ეს საზოგადოება ჯაოსებულ იქნა 1928 წ. აპრილში, პააგაში). ამავე დროს იგი 1930 წლიდან ხელმძღვანელობდა ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების ორგანოს: *Zeitschrift für experimental-Phonetik*-ის გამოცემას.

პროფ. ე. სკრიფჩერის გამოკვლევები უმაჯრესად შეეხებოდა ხმოვნის აუნებას, მეტყველების მელოდიკასა და მახვილის საკითხებს, ენის ნერვოლოგიას, მეტყველების პათოლოგიასა და ლექსთწყობის საკითხებს.

ე. სკრიფჩერმა გრაფიკული მეთოდი რუსლოს შემდეგ კიდევ უფრო განავითარა და უფრო მგრანობიარე სახე მისცა მას. მან სპეციალური აპარატურაჲ კი შექმნა მეტყველების ზუსტად ჩასაწერად (ამ აპარატურის მოდელი *Homman*-ს ეკუთვნის). ე. სკრიფჩერის სახელთანაა დაკავშირებული ზოგად ფონეტიკაში „ენის მოლეკულარული თეორიის“ შექმნა¹. თავისი შეხედულებანი გრაფიკული მეთოდის შესახებ ე. სკრიფჩერს ძირითადად ჩამოყალიბებული აქვს ნაშრომში: „*Anwendung der graphischen Methode auf Sprache und Gesang*“ (1927). ამ შრომაში გამოთქმული ზოგიერთი დებულება ავტორს განმეორებული და უფრო გავრცობილი აქვს მრავალრიცხოვან სტატიებში.

ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰამბურგის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის ნაყოფიერი მუშაობა პროფ. გ. პანკონჩელი-კალციას ხელმძღვანელობით.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს ამ ლაბორატორიაში დამუშავებულმა და გამოქვეყნებულმა გ. პანკონჩელი-კალციას ექსპერიმენტულ-ფონეტიკურმა შრომებმა: „*Das Hamburger experimentalphonetische Praktikum*“ (1922), „*Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft*“ (1924), „*Über Palatogrametrie*“ (1918) და სხვ.

ამჟამად ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევები სისტემატურად იბეჭდება ჟურნალში: „*Zeitschrift für Phonetik und allgemeine Sprachwissenschaft*“, რომელსაც სცემს ბერლინის აკადემია. უკვე გამოცემულია ამ სერიის 9 ტომი.

აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ქ. ოსლოს ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია, სადაც სხვა საინტერესო შრომებთან ერთად ქართული აქცენტუაციის შესახებაც კი დაიწერა ე. ზელმერისა და ჰ. ფოგტის მიერ გამოკვლევა: „*Georgische experimentalstudien*“, ოსლო, 1935.

საქართველოში ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევა-ძიების განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ამ 30 წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. გ. ახვლედიანის მიერ დაარსებულმა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტმა.

¹ ჩვენი ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემებით: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შთანბე. ტ. VI, № 2, 1945 წ. [იქვე, გვ. 11—17—რედ.]

უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის კათედრაზე (გამგე პროფ. გ. ახვლედიანი) და კაბინეტში მომზადდა მთელი რიგი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური შრომებისა, რომლებიც შეეხებოდა ზოგადი და ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხების კვლევას. მათგან აღსანიშნავია პროფ. გ. ახვლედიანის „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“ (1937 წ.), „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949 წ.), „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“ (1956 წ.) და სხვა სპეციალური გამოკვლევები. ჩვენნი: „სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“ (1949). ეს შრომა ნაწილობრივ დამუშავდა აკად. ლ. შჩერბას ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში აკად. ლ. შჩერბას ხელმძღვანელობით; „ქანურ-მეგრულის ფონეტიკა“ (1953 წ.), „ქართული ენის ფონეტიკა“ (1956 წ.); ეს უკანასკნელი შრომა ნაწილობრივ დამუშავდა მოსკოვის I უცხო ენათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში.

გარდა ამისა, ჩვენი უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის კათედრა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ზოგადსა და ექსპერიმენტული ფონეტიკის დარგში ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა აღზრდის საქმეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შეფობა და საქმიანი დახმარება, რომელიც მოსკოვის ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიამ იკისრა პროფ. ვ. არტიომოვის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის კურსის გავლისას ამ ლაბორატორიაში მუშაობდნენ, დისერტაციები მოამზადეს და დაიცვეს ჩვენი უნივერსიტეტის ასპირანტებმა ლ. გამსახურდიამ—„Сравнительный анализ фонем грузинского и английско-го языков“ (1953 წ.), გ. დოლიძემ—„ქართული ენის თანხმოვნები“ (1954 წ.), ნ. ქუთელიამ—„ქარმონიულ კომპლექსთა ორი სისტემა ქართულში“ (1955), შ. შათირიშვილმა—„ფონოლოგიის ზოგიერთი ძირითადი საკითხი“ (1954 წ.), გარდა ამისა, სხენებულ ლაბორატორიაში დამუშავებული საკითხების საფუძველზე აფორმებენ დისერტაციებს: თ. ციბაძე—„ბგერათშეერთებანი ქართულში“ და თ. აბზიანიძე—„ქართულ მეღერ ხშულებში მღერობის ხარისხიანობა“.

აღნიშნულ ლაბორატორიაში დაამუშავა თავისი სადოქტორო დისერტაცია: „Фонетика даргинского языка“ (1956 წ.) დოქ. შ. გაფრინდაშვილმა, აგრეთვე მანვე გამოაქვეყნა ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევა: „ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 7). ავტორს ამ შრომაში მოუმარჯვებია კვლევის ახალი, თითქოს გაუმჯობესებული—ველო-პალატო-დენტოგრაფული მეთოდი¹.

¹ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შ. გაფრინდაშვილის მიერ მიღებული შედეგები ვერ იმსახურებენ ნდობას. ავტორი ამტკიცებს, რომ მისი „ექსპერიმენტული მონაცემები არ დასტურდება ლაბორატორიული თანხმობათა ლაბორატორიული არტიკულაციით. ეს გარემოება შეუძლებელს ხდის მეფეს ცნობილი დებულების გაზიარებას ბაგისმიერთა ვითომცდა ველოარული ბუნების შესახებ“ (გვ. 259). ავტორის ექსპერიმენტული მონაცემები ამ საკითხში აკად. ლ. შჩერბას მოსაზრებებსაც უარყოფენ. ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის და თავისი „ექსპერიმენტული მონაცემების“ საფუძველზე აკად. ლ. შჩერბას სხვა დებულებასაც ასწორებს. „უნდა შევნიშნოთ, რამე ლ. შჩერბა გადაკარბებით აფასებს ამ „ველოარული ფოკუსის“ მნიშვნელობას შ თანხმოვნის არტიკულაციისას და სხედველობიდან რჩება ენის წვერის თავისებური მდგომარეობის როლი ქვედა წინა კბილების მიმართ, რითაც შიშინის ფიგურა შეპარობებული. „ველოარული ფოკუსი“, ბავალთა, სისინა თანხმოვნებსაც გააჩნიათ...“ (გვ. 261). ავტორის ვერც ეს დებულება უძლებს ნაცნობ კრიტიკას. „ენის წვერის თავისებური მდგომარეობა ქვედა კბილების

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, სარეცენზიო წიგნი უმთავრესად იმყარება და ასახავს მოსკოვის I უცხო ენათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში ჩატარებულ მუშაობასა და მის მიღწევებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სახელწოდებით გამოცემულ შრომაში ვრცლად უნდა იყოს წარმოდგენილი საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიებში მოპოვებული შედეგები, გამოცდილების ანალიზი და მათი განზოგადებანი.

სასურველია, ავტორმა წიგნის ხელახალი გამოცემისას შეავსოს და განაწილოს ის თავები, რომლებიც წიგნში ახლა ასე მოკლედ არის წარმოდგენილი.

პროფ. ვ. არტიომოვის „ექსპერიმენტული ფონეტიკის“ ამ სახითაც გამოცემა უთუოდ მისასალმებელია და იგი შეჯაღ სასარგებლო წიგნს წარმოადგენს ექსპერიმენტული ფონეტიკის დარგში მომუშავე პირთა და ყველა მათთვის, ვინც ამ დარგით დაინტერესებულია.

1956 წ.

მიმართ" შესაძლებელია შ-ს წარმოთქმისასაც გვექონდეს და ს-ს წარმოთქმისასაც მაგრამ ეს „შიშინა“ სოულადაც ვერ შეგნის ასეთი „შიშინი“ შეიძლება წარმოიქმნას და გაპლიორდეს ენის უკან ნაწილის ხტრის მალა აწეკობს თ და იქ „მე არე ფოკეია“ შექანთ. რაც შეეხება შ. გაფრინდაშვილის მტკიცებას ითა შეახებ, რომ „ე არე ფოკესი“ შეიძლება სისინებ-საც ჰქონდეს, ეიცა არაა სწორი. თუ სისინა თანაოენებს „მორე ფოკესი“ გაუჩნდა, ის სისინა კი აღ რ ენება, არაჰედ შიშინა ნარევი სისინებია და ასეთი თანხმონები უნდა გავარჩიოთ სტეფა სისინებისაგან.

გაგეგმარია, თუ რად დასკირდა შ. გაფრინდაშვილს პროფ. ვ. ახლუდიანის მიერ ჩვენს ფონეტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინების „აქეთურისა“ და „იქეთურისა“ ანუ, რაც იგივეა „აქეთურისა“ და „დეესიურის“ შეცვლა ააალი ტერმინებით: „გარეთური“ და „შინთეთური“ ისე, რამ არც კი უთითებს პროფ. ვ. ახლუდიანზე. რით სჯობია შ. გაფრინდაშვილს ტერმინები იმ ტერმინებს, რომლებიც დღევანდელი იმპარება?

შ. გაფრინდაშვილს ლაბიო-ველარინგული რთული პროცესი და მისი შედეგები მეტად მარტვად აქვს წარმოდგენილი და აპიტომ ჩვენი „სეპეკო ენის ფონეტიკის ძირითად საკითხებსა“ და „სეპეკო-ნეგროლის ფონეტიკაში“. ძოცემულ ამ საკითხის ახსნაში წინააღმდეგობას ხედავს. საგნე იპაშია, რამ ჩვენა ავტორი, ალბ.თ. ავიწყებუა ის ცნობილი კეშმარ ტება, რომ ესა თე ის ფენეტიკურა პროცესი შესაძლებელია რამდენ მე ფონეტიკური ფაქტორის შედეგი იყოს კერძოდ, სადავო ფონეტიკური პროცესის წარმოქმანაში მონაწილეობს ლაბიოველარინგულია. ლაბიო-ლარინგულია. და ამავე დროს ამ პროცესს ხელს უწყობს შიშინა თ ნაპონათა რჩეუკისა. ნობა, მაკამ მათი წარმოქმნის საერთო საფუძველი მინც ლაბიოველარინგულია (იხ. ჩვენი: ქართული ენის ფონეტიკა. გვ. 187).

შ. გაკონინდაშვილს „ექსპერიმენტული ფონეტიკის“ სრულებითაც ვერ აღვუვინ ა. მეგეს. ლ. წეიბასა და სხვთა ცნობილ დებულებებს. ასეთმა „ექსპერიმენტულმა“ ნონაცემებმა თვით ავტორი უნდა დაფრკოს, რათა ხელაღებით არ უარყოს ის, რაც ბეცნაერებაში უკვე დადგენილი და მოპოვებულია.

ფართოდ გამოვიყენოთ ტექნიკური საშუალებანი ენების
მეცნიერული კვლევისა და სრულყოფილად
დაუფლებიანთვის

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა სასწავლო ლაბორატორია. სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიის ორგანიზაცია მიმდინარეობს მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე დონეზე, კერძოდ, ელექტროაკუსტიკური, რადიოტექნიკური და კინორენტგენოლოგიური მიღწევების საფუძველზე და ამით მტკიცე ბაზა შეიქმნება ამ დარგში სამეცნიერო და სასწავლო მუშაობისათვის. ახალი აპარატურითა და შესაფერისი სპეციალისტებით ლაბორატორიის შევსება საჭიროებს სისტემატურ ზრუნვასა და ყურადღებას. ამჟამად ამ დარგში სამი ასპირანტი მზადდება (გ. ნებიერიძე, გ. ჭარელიშვილი და ი. თევდორაძე). ასპირანტი გ. ნებიერიძე 10 თვით მივლინებულია პრადის უნივერსიტეტში, სადაც იგი მუშაობს ამ დარგში მსოფლიოში გამოჩენილი დიდი ფონეტიკოს-ექსპერიმენტატორის პროფ. ბოგუსლავ ჯალას ხელმძღვანელობით. ამ დარგში წარმატებით დაიცეს საკანდიდატო დისერტაციები ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერებმა: ლ. ვამსახურდიამ, ნ. ქუთელიამ, თ. ბაქრაძემ, თ. აბზიანიძემ და სხვ. გარდა ამისა, ექსპერიმენტული ფონეტიკის ტექნიკას წარმატებით ეუფლება რამდენიმე ჩვენი ლაბორანტი.

ენების მეცნიერულ კვლევასა და სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. ამის საფუძველზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა ენათმეცნიერების ახალი დარგი—ექსპერიმენტული ფონეტიკა. ჩვენში ამ საგნის აიონერია აკად. გ. ახვლედიანი, რომელმაც 1930 წ. თბილისის უნივერსიტეტში დააარსა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტი. მან დიდი მუშაობა ჩაატარა ამ დარგში კადრების მომზადებისა და ტექნიკურ მოწყობილობათა შესაძენად. ამ საკვებს იგი დღესაც დიდი ენთუზიაზმითა და მზრუნველობით ეწევა.

ტექნიკის არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპით განვითარების შედეგად ამჟამად განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ტექნიკური საშუალებების გამოყენებამ ენების კვლევასა და სწავლებაში როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მისი დარგების გარეთაც.

ამ მხრივ საყურადღებოა ნ. კრუპსკაიას წერილი „ვ. ლენინი უცხოური ენების სწავლების შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „სრავდაში“ (1937 წ. 5.1X). ამ წერილში ნ. კრუპსკაია ივრნებს იმის შესახებ, რომ 1908 წ. ზაფხულში, ვ. ლენინის მეორედ ემიგრაციის დროს, იგი მოეწყო ტენევაში ექსპერიმენტი კურსებზე. ეს კურსები მოწყობილი იყო იმ უცხოელ პედაგოგთათვის, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში დრანგულ ენას ასწავლიდნენ. ნ. კრუპსკაია

წერს, რომ იგი ვ. ლენინს მოუყვა კურსებზე უცხოური ენების სწავლების ახალი მეთოდების შესახებ, რომ აქ სწავლების ცენტრში იყო ფონეტიკა, სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მასწავლებლის მშობლიური ენის თავისებურებებს, ხშირად ეწეობოდა საუბრები სკოლისა და მახლობელი ექსკურსიების პირობებში და, რაც მთავარია, კურსებზე ფართოდ იყო გამოყენებული სწორი ფრანგული მეტყველების გრამატიკის ფირფიტებზე (ლინგაფონური) მოსმენა და ა. შ. ვ. ლენინი ძალიან დაინტერესდა ამ მეთოდებით. მოიწონა და აღნიშნა მათი ფართოდ გამოყენების აუცილებლობა, დასძინს ნ. კრუჰსკაია.

ეს იყო ამ ნახევარი საუკუნის წინ. მას შემდეგ ენების ზეციერულ კვლევასა და სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებას ფართო გზა მიეცა და შედეგებიც საყოველთაოდ ცნობილია.

მრავალი წლის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ენების სწავლების არსებული მეთოდები სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდების გამოყენების საფუძველზე.

უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების თაობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებში შითითებულია ენების სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ გამოყენებაზე.

სტატისტიკური გაანგარიშებით საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებამ უცხოური ენების სწავლებაში დაახლოებით 40-იდან 60%-მდე გააადვილა უცხოური ენების დაუფლება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ენის სწავლებაში მხედველობით აღქმასთან ერთად ჩართულ იქნა მოსმენა.

ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ენების სწავლებაში ხელსაყრელ პირობებს უქმნის სტუდენტს, რათა იგი ხანგრძლივად იმყოფებოდეს იმ ენობრივ გარემოცვაში, რომელსაც იგი ეუფლება ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრებით. მიღებული ცოდნის განმტკიცება და სწორი წარმოთქმის ჩვევების გამომუშავება მას შეუძლია ლაბორატორიულ პირობებში თავის თავზე დამოუკიდებელი, ინდივიდუალური მუშაობით, ლინგაფონური ლექცია-გაკვეთილებისა და სანიმუშო წარმოთქმის ჩანაწერების მოსმენით. თითოეული ჩვენგანი საკუთარი წარმოთქმის შეცდომებს მხოლოდ მაშინ ვიგებთ, როდესაც ჩვენს წარმოთქმას ჩავიწერთ და ჩვენვე მოვისმენთ.

აკად. ლ. შჩერბა, რომელიც მშობლიური და უცხოური ენების სწავლების თეორიისა და პრაქტიკის გამორჩენილი სპეციალისტი იყო, აღნიშნავდა: მთელი უბედურება ისაა, რომ ჩვენ ვერ ვისმენთ, თუ ზოგჯერ როგორ ვამახინჯებთ წარმოთქმას; რადგან არ გვესმის ჩვენ მიერ წარმოთქმული, ამიტომ გვეგონია, რომ ყოველთვის სწორად წარმოვთქვამთ. ხშირად უხეში შეცდომები, რომლებიც ხელს უშლის ურთიერთგაგებინებას, წარმოთქმის ხასიათისაა, ვიდრე გრამატიკულია, დაასკვნის აკად. ლ. შჩერბა. ამიტომ მთავარია, მივალწიოთ ენების სწავლების რაციონალიზაციას. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტმა სისტემატური ვარჯიშის შედეგად უნდა შეძლოს მოსმენით კარგად განასხვავოს სწორი წარმოთქმა არასწორი წარმოთქმისაგან. ამის მიღწევა არც ისე ადვილია, მაგრამ უამისოდ უცხოური და მშობლიური ენების აქტიურად დაუფლება შეუძლებელია.

ჩვენს უნივერსიტეტში თუ ამ რამდენიმე წლის წინ მშობლიური და უცხოური ენების ბგერითი სისტემებისა და წარმოთქმის სწავლება ვერ იდგა სათანადო დონეზე, ამჟამად სულ სხვაგვარი ვითარება გვაქვს: გამოქვეყნდა გ. ახვლედიანის პირველხარისხოვანი შრომები ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის დარგში, მომზადდა და დაცულ იქნა რამდენიმე შეპირისსაჩრებითი ექსპერიმენტული ხასიათის საკანდიდატო დისერტაცია—ინგლისურ და ქართული ბგერითი სისტემებისა (ლ. გამსახურდიასი), გერმანული და ქართული ბგერითი სისტემებისა (თ. ბაქრაძისა), რუსული და ქართული ბგერითი სისტემებისა (თ. ბელინსკაიასი) და ა. შ., რომლებმაც განსაკუთრებით შეუწყვეს ხელი ამ ენების ბგერითი სისტემებისა და წარმოთქმის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას.

ამიერიდან ყველა იმ ენის ფონეტიკური კურსი. რომლებიც უნივერსიტეტში ისწავლება, აგრეთვე ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა წაიკითხება ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის აუდიტორიებში (აუდ. № 110, 154, 155). ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობა უზრუნველყოფილი იქნება საწარმოთქმო ორგანოების სადემონსტრაციო სურათებით, სხვადასხვა ენის ხმოვანთა და თანხმოვანთა ფონეტიკური სისტემების ცხრილებით, ტრანსკრიფციების სხვადასხვა ნიმუშებით. დიაფოლემებით, ხმოვანი სასწავლო ფილმებითა და სხვა საპირო მასალებით.

ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო ბაზა იქნება სტრუქტურული და გამოყენებითი ენათმეცნიერების განყოფილების სტუდენტთათვის.

ჯერჯერობით ლაბორატორიას აქვს სამი აუდიტორია ლინგუოლოგიური კაბინეტის მოწყობილობით, 20 მაგნიტოფონური კაბინა, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სპეციალობათა მიხედვით მოისმინონ ქართული, მეგრული, ქანური და სვანური დიალექტების ჩანაწერები, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული, არაბული და სპარსული ენების ფირებზე ჩაწერილი ლექცია-გაკვეთილები, სიტყვის გამოჩენილი ოსტატების წარმოთქმა, საგნის მასწავლებლისა და თვით სტუდენტთა მაგნიტოფონური ჩანაწერები. ლაბორატორიის ბგერის ჩამწერ სტუდიასა, კაბინებსა და გადაწერ კაბინეტებში ტარდება მეტყველების ფირებზე ჩაწერა და გადაწერა, ხოლო აუდიტორიებსა და კაბინეტში წარმოებს მაგნიტოფონური ჩანაწერების მოსმენა როგორც ჯგუფურად (ხმის გამაძლიერებლის საშუალებით), ასევე ინდივიდუალურად (ყურმილების საშუალებით).

ლაბორატორიის ერთ-ერთი აუდიტორია (№ 154) სპეციალურად არის მოწყობილი სინქრონული თარგმანებისათვის ქართულიდან სხვა ენებზე და პირიქით.

ლაბორატორია დიდ დახმარებას გაუწევს უცხოური ენების ახალგაზრდა მასწავლებლებს, რათა ისინი სწორ წარმოთქმას სრულყოფილად დაეუფლონ და შემდეგ კარგად ასწავლონ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ენების ლექტორთა წინაშე დგება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანა—ენების სწავლების მეთოდები დაამუშაონ და გააუმჯობესონ ლაბორატორიული მუშაობის პირობებში.

უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო და სასწავლო ლაბორატორიის გადაუდებელი ამოცანაა, ამავე დროს, ფართოდ გაშალოს მუშაობა ქართველური და კავკასიური ენების დიალექტების მაგნიტოფონური ჩაწერისა და ფონოთეკების შესადგენად. ამით კი მტკიცე საფუძველი შეექმნება მეცნიერულ კვლევა-ძიებას ამ დარგში. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად აუცილებელია ლაბორატორიის თანამშრომელთა და ქართველი და კავკასიური ენების კათედრების წევრთა ერთობლივი ინტენსიური მუშაობა.

სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ლაბორატორიას მკიდრო ურთიერთობა აქვს გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების მიზნით სამეცნიერო ლიტერატურის გაცვლითა და ზოგჯერ ლაბორატორიის მუშაკთა ურთიერთმივლინებით საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ექსპერიმენტული ფონეტიკის მთელ რიგ ცნობილ ლაბორატორიებთან, როგორცაა: ლენინგრადის უნივერსიტეტის აკად. ლ. შჩერბას სახელობის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია (გამგე პროფ. ლ. ზინდერი), მოსკოვის I უცხოურ ენათა ინსტიტუტის (გამგე პროფ. ვლ. არტიომოვი), კიევის უნივერსიტეტის (გამგე დოც. ირ. სუნიცოვა), უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის (გამგე დოც. ლ. ბლიზნიჩენკო), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ენის ინსტიტუტის (გამგე პროფ. ვისოტსკი), ყაზანის უნივერსიტეტის (გამგე დოც. ლ. ზლატოუსოვა), ერევნის უნივერსიტეტის (გამგე პროფ. რ. სევეაკი), პრალის უნივერსიტეტის (გამგე პროფ. ბ. ჰალა), ბერლინის უნივერსიტეტის (გამგე პროფ. გ. შაიერი) ლაბორატორიები.

ეკვი არაა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებითა და მზრუნველობით ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის მუშაობა ახლო მომავალში უპასუხებს იმ მაღალ დონეს, რომელიც თბილისის საენათმეცნიერო სკოლას აქვს.

აბაკი შანიძე

(დაბადების 75 წლისთავის გამო)

აკაკი შანიძეზე წერა ძნელია, ვინაიდან იგი ეკუთვნის იმ მეცნიერთა რიცხვს, რომელთა დიდი ღვაწლისა და ამაგის დაფასება მარტო მეცნიერული შრომების მიხედვით არ კმარა. ა. შანიძე, როგორც მეცნიერი და მოქალაქე, ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე მისი მდიდარი და მრავალმხრივი მეცნიერული პროდუქტია.

მან მთელი თავისი დიდი ნიჭი და დაუცხრომელი ნახევარსაუკუნოვანი კვლევა-ძიება მოანდომა ქართველი ხალხის სიყვარულს, მისი ენის, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას. ამიტომ არის, რომ მას ქართველი ხალხი, ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობა ასე დიდად აუასებს და პატივს სცემს.

1. ა. შანიძემ პეტერბურგში შესანიშნავი მეცნიერული სკოლა განვლო ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში, აღმოსავლეთმცოდნეობასა და ქართველოლოგიაში. ეს ის დიდი სკოლა იყო, რომელმაც ჩვენს სამამულო მეცნიერებას მისცა ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ს. ყაუხჩიშვილი, კ. დონდუა, ი. მარი, ვ. ფუთურიძე, უფრო გვიან ვ. დონდუა, გ. წერეთელი, ს. ჯიქია და სხვ.

ა. შანიძეს ინდოევროპულ ენათმეცნიერებასა და აღმოსავლეთმცოდნეობაში წრთობამ, ძველი კლასიკური და თანამედროვე ევროპული ენების შესწავლამ, ახლო აღმოსავლური ენების ცოდნამ სწორი ზოგადენათმეცნიერული კონცეფცია გამოუმუშავა და ფართო ენათმეცნიერული კვლევა-ძიებისათვის შეაიარაღა.

ა. შანიძემ თავიდანვე სწორად განსაზღვრა ის, რომ ქართული ენის ბუნებისა და მისი მდიდარი ისტორიის ღრმად შესწავლისათვის აუცილებელია არაბული და სპარსული ენებისა და აგრეთვე ჩვენი უახლოესი მეზობლის სომეხი ხალხის ენის დაუფლება. ქართველებსა და სომეხებს წარსულში სხვადასხვა ვითარებით გამოწვეული ისტორიული და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ არაბებთან და სპარსელებთან და მათგან ბევრი ენობრივი ელემენტი ამ გზით ერთნაირად შეითვისეს და შეისისხლბორცეს. ამავე დროს გასარკვევი იყო ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობის ბევრი საკითხიც, რომლებსაც ა. შანიძე არაერთხელ შეხებია.

2. გასაკვირი არ არის, რომ ა. შანიძემ თავისი პირველი ენათმეცნიერული ნათლობა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიღო მთის ქართულ კილოებზე—ხევსურულსა, მოხუერსა, თუშურსა, ფშაურსა და მთიულურზე—დაკვირვების შედეგად 1911—1913 წწ¹. მისი არჩევანიც სწორი იყო, ვინაიდან

¹ А. Г. Шанидзе, Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тиюнетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров. მისივე: ქართული

მთის კილოებმა დაიცივეს და შემოგვიანხეს ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო ბევრი გრამატიკული, ლექსიკური და რიტმიკულ-მელოდიკური ფორმა. ამ პირველმა საენათმეცნიერო ექსპედიციებმა განსაზღვრა ა. შანიძის დიდი პატივისცემა ენობრივი ფაქტებისადმი.

აღსანიშნავია, რომ ა. შანიძეს მას შემდგომ მთის კილოების შესწავლისადმი ყურადღება არ შეუწულებია. იგი მთიანი რაიონების ხშირი სტუმარია და არ შეიძლება რაიმე ახალი ენობრივი ფორმა არ მოიპოვოს და არ გაარკვიოს.

ამავე დროს ა. შანიძე ყოველთვის დიდ დროს უთმობდა და უთმობს ჩვენს კლასიკოსი მწერლების—ვაჟას, ილიას, აკაკის, ალ. ყაზბეგისა და სხვ. ენის შესწავლას. ამიტომაც არის, რომ მის გამოკვლევებში ასე უხვია დამოწმებანი ამ მწერალთა თხზულებებიდან. ვაჟას აკადემიურად გამოცემულ ტომებს ა. შანიძის მიერ დიდი სიზუსტითა და საქმის კარგი ცოდნით შედგენილი ლექსიკონი ამშვენებს.

ა. შანიძის ინიციატივითა და მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით ქართველოლოგიას შეემატა ისეთი დიდი მნიშვნელობის დიალექტოლოგიური ტექსტები, როგორიცაა ბესარიონ გაბუურის „ხევსურული მასალები“, რომლებიც „წელიწდეულში“ დაიბეჭდა 1924 წელს ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერ შედგენილი ლექსიკონითურთ. მეცნიერულად თუ რამდენად ზუსტად არის ჩაწერილი და გამოცემული ეს ტექსტები, სანიმუშოდ ერთ ადგილს დავიმოწმებთ: „თუ რამდენად დაკვირვებულა ბესარიონი,—წერს ა. შანიძე,— და რამდენად სანდოა მისი მასალები საენათმეცნიერო თვალსაზრისით, რამდენადმე იქედანაც შეიძლება გაითვალისწინოს კაცმა, რომ სახელობითი ბრუნვის მახვილიან ო'ნს მოკვეთს ხოლმე თავის ტანს და მომდევნო ენკლიტიკურ სიტყვას მიაკრავს ხოლმე, რომ ამით წერილობით გამოხატავს გამოთქმის თავისებურებას, მაგ. „ჰკედ იქენ“, „ჯაქე ისციოვ“, „ჯარ იხუაე“, „მესმინაე იხქვიანა“, „ნაჯალ იხედებოლ“ და მისთ. ასეთ შემთხვევებში სახელობითის ო'ნი ყველგან აღდგენილია თავის ალაგას და მახვილიც ნაჩვენებია, ხოლო ენკლიტიკური სიტყვა ხაზით არის მახვილიანთან შეერთებული; „ჰკედერ-ქენ“ (205, 14, 16), „ჯაქერ-სციოვ“ (163, 20), „ჯარ-ხუაე“ (139, 28), „ნაჯალ-ხედებოლ“ (192, 25) და მისთ. სხვაფრთხი ტექსტები დაბეჭდილია უცვლელად ბესარიონის ხელნაწერებას მიხედვით“ („წელიწდეული“, 1924, გვ. 336).

1931 წელს ა. შანიძემ გამოსცა „ქართული ხალხური პოეზიის“ I ტომი, სადაც წარმოდგენილია მის მიერ მრავალი წლის განმავლობაში მოპოვებული და მეცნიერულად დამუშავებული ხევსურული პოეზია. ეს წიგნი ქართველოლოგიაში მრავალი ახალი გამოკვლევისათვის გახდა საფუძველი და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება მისი მნიშვნელობა, ვინაიდან ქართული კილოები, საერთოდ, და მათ შორის ხევსურულიც, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში ლიტერატურული ენის დიდ გავლენას განიცდის, რაც გამოიხატება ქართული ენის ისტორიისათვის ბევრი საინტერესო ლექსიკური ერთეულისა და გრამატიკული ფორმის გაუჩინარებაში.

ა. შანიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით რამდენიმე მნიშვნელოვანი კილოს შესახებ დაიწერა გამოკვლევები, შედგა ლექსიკონები და შე-

კილოები მთაში (1915 წ.). ორივე გადმობეჭდილია ა. შანიძის შრომათა I ტომში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957 წ., გვ. 3—19.

კრებილ იქნა ტექსტები: გამოქვეყნდა თ. უთურგაიძის „თუშური კილო“ (გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, 1960 წ.), მომზადდა და რედაქცია გაუკეთდა რ. ლამბაშიძის „ინგილოურ ლექსიკონს“. რომელიც ახლო მომავალში გამოქვეყნდება, და სხვ.

3. ა. შანიძემ ქართული ენის მეცნიერულად ღრმად შესწავლისა და სალიტერატურო ენის მაღალ დონეზე განვითარებისათვის ჯერ კიდევ 1915 წელს ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი შემდეგი სახით: „აღდგეს სალიტერატურო ქართული მეტად დაქვეითებულია; მას აღორძინება უნდა. ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა ქართულის ცოდნა ისტორიულად და გეოგრაფიულად, სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა წიგნების ფურცლებზე უკვე გაქვავებული ენის შესწავლა და მასთან ერთად ცოცხალი, მოძრავი ენის (ე. ი. კილოების) გამოკვლევა. ეს ორი პროცესი ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიმდინარეობდეს“¹.

ა. შანიძის მთელი შემდგომი მეცნიერული მოღვაწეობა ზემოთ წამოყენებულ დებულებათა ხორცშესხმას წარმოადგენდა.

საყოველთაოდ ცნობილია ა. შანიძის წერისა და წიგნის გამოცემის მაღალი კულტურა. მის ვიერ გამოცემული დიალექტოლოგიური მასალები, ძველი ქართული ენის ძეგლები, სიმფონიები, ლექსიკონები და სპეციალური გამოკვლევები არა მარტო შინაარსით ხიბლავს მკითხველს, არამედ გარეგანი ტექნიკური გაფორმებითაც. ამ შემთხვევაშიც ა. შანიძე იცავს და განაგრძობს იმ კარგ ტრადიციას, რომელიც გამოუმუშავებული ჰქონდა პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლას.

ა. შანიძე თუ როგორ დიდ პატივს სცემს ენობრივ ფაქტებს, ამის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს მისი პირველი ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920 წ.). იგი ავტორის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა, რომელიც მან წარმატებით დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ ამ დისერტაციით იწყება ჩვენს უნივერსიტეტში დისერტაციების დაცვის ისტორია. ამ შრომაში ა. შანიძემ მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ძეგლების მონაცემების გვერდით უხვად გამოიყენა ქართული კილოების მდიდარი ფაქტები. ამ შრომით დიწყო ა. შანიძის საფუძვლიანი მეცნიერული იერიშები ქართული ზმნის რთული ბუნების ანალიზისა და მისი სპეციფიკური კატეგორიების გარკვევისათვის. ეს მეცნიერული იერიშები მან ბრწყინვალე გამარჯვებით დაავიკრავინა შემდგომი გამოკვლევებში. ა. შანიძის ამ მონოგრაფიის გამოსვლას დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. მასში მარჯვედ არის გამოყენებული ისტორიული თვალსაზრისი კვლევისა და ენობრივი ფაქტების გასაშუქებლად. ამიტომ იგი ფუძემდებელ შრომად იქცა ახალი გამოკვლევებისათვის ქართველთმეტყველებათაში.

4. ა. შანიძისათვის, როგორც დიდი ენათმეცნიერული აღლოს მქონე მეცნიერისათვის, განსაკუთრებით დამახასიათებელია მიაგნოს და ხელი ჩასჭიდოს ქართულ-ქართველური ენების კვლევის კარდინალურ საკითხებს, საფუძვლიანად შეისწავლოს ენობრივი ფაქტები და მოვლენები და მოგვეცეს ურყევი და სავსებით დამაჯერებელი დებულებები.

¹ ა. შანიძე. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. I. გვ. 10.

ა. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (1924 წ.)¹ სულ შეიდიოდე გვერდს შეიცავს. ამ პატარა წრომაში „წელიწადისა“ და „წელიწდელის“ ეტიმოლოგიური ძიება სანიმუშოდ არის მოცემული. ავტორს შედარებით-ისტორიული მეთოდის ოსტატურად გამოყენებით, ქართულის გარდა, დამოწმებული და გაანალიზებული აქვს მეგრულ-ქანურისა და სვანურის მონაცემებიც. აგრეთვე ამ პატარა წრომაში ავტორს წამოყენებული აქვს ქართველურენათა ისტორიის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობის რამდენიმე დებულება. ამ წრომაში ავტორმა პირველად გაარკვია რედუქციის ბუნება ქართულსა და სვანურში. ქართული ცოცხალი კილოების მიმართ მან გამოთქვა საესებით სწორი მოსაზრება: „რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ გუგუში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული“. ასევე ავტორმა დაადგინა, რომ სვანური დიალექტებიდან ლენტეხურს ურედუქციო ფორმები ახასიათებს. ბალსხემოურს კი რედუქციისანი ფორმები. ამავე წრომაში ავტორმა დასვა და კიდევაც გაარკვია რედუბლიკაციის (ფუძეგაორკეცებულ სიტყვათა) ოადაპირველი ბუნება და მათი ტიპები ქართულში. ამ პატარა წრომაში ქართველური ენების ისტორიისათვის ამდენი მნიშვნელოვანი საკითხის დასმა და ვადაწყვეტა თავისთავად ლაპარაკობს ა. შანიძის ბრწყინვალე ენათმეცნიერულ აღლოსა და ერუდიციასზე.

5. ა. შანიძის ერთ-ერთ ბრწყინვალე გამოკვლევას წარმოადგენს „უმლაუ-უი სვანურში“, რომელიც ავტორმა 1925 წ. გამოაქვეყნა. ეს წრომა ემყარება სვანური ენის დიალექტების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას. წრომაში განხილული დიდი რაოდენობის სვანური ცოცხალი ენობრივი ფაქტების საფუძველზე ავტორმა დაადგინა ფონეტიკური კანონზომიერება, რომლის აღმოჩენასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სვანურის მორფოლოგიური სტრუქტურის სწორი გაგებისა და ანალიზისათვის.

ა. შანიძემ მტკიცედ დაადგინა სვანურში უმლაუტის ფონოლოგიური მნიშვნელობა და ამავე დროს ამ ფონეტიკური კანონზომიერების ვათვალისწინების აუცილებლობა სვანური ენის ისტორიული საკითხების კვლევისა და ვადაწყვეტისათვის. ავტორმა ამავე დროს ცხადად აჩვენა, თუ უმლაუტმა, წარმოშობით ფონეტიკურმა მოვლენამ, როგორ შეარყია სვანურის მორფოლოგიური სტრუქტურა. ზოგად საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს წრომა მუდამ ღარჩება, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში ცოცხალი ენობრივი ფაქტებისადმი სწორი მეთოლოგიური მიდგომისა და ანალიზისა.

სვანური ენის რთულ ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ ბუნებას არც ერთი მკვლევარი ისე ღრმად არ ჩაწვდომია, როგორც ა. შანიძე ჩაწვდა მას. აწ წრომამ უთუოდ კარგად მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ შემდგომში სვანურის შესახებ საფუძვლიანი გამოკვლევები დაწერილიყო.

ცალკე უნდა აღინიშნოს, როგორც დიდი მოვლენა სვანური ენის შესწავლაში: ა. შანიძისა და ვ. თოფურის მიერ შეკრებილი და ორ ტომად გამოქვეყნებული სვანური ენობრივი მასალები: „სვანური პროზაული ტექსტები. I. ბალსხემოური კილო“ (1939 წ.) და „სვანური პოეზია, I“ (1939 წ.). ამ უკანასკნელს თან ახლავს ქართული თარგმანი და იგი გამოვიდა მ. გუგუჯიანის თანაავტორობით. ამას მოჰყვა „სვანური პროზაული ტექსტები. II. ბალს-

¹ ა. შანიძე. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ. 312—319.

ქვემოთური კილო“ (ვ. თოფურია, ა. დავითიანი, მ. ჯალდანი, 1957 წ.). სვანური დიალექტოლოგიური მასალების ასეთი დიდი რაოდენობით გამოცემა სვანურის შესწავლაში ახალ ეტაპს მოასწავებს.

6. ა. შანიძე მეგრულ-ქანურის მონაცემებს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს ქართველურ ენათა ისტორიის კვლევაში. ამიტომ მეგრულ-ქანურის ენობრივი ფაქტები მის გამოკვლევებში ყოველთვის საპატიო ადგილს იკავებს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი საეციალური გამოკვლევაც „*Диа паио-мегрельских сѣтѣнокса в грузинском и армянском языках*“ (1916 წ.)¹.

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1924 წელს ა. შანიძის მიერ წამოყენებულ დებულებას მეგრულისა და ქანურის ურთიერთობის შესახებ. „მეგრულის სახელწოდებით,—წერს ა. შანიძე.—ჩვენ აღენიშნავთ ერთისა და იმავე ენის ორსავე კილოს: რიონის მეგრულს (რომელიც საქართველოს ფარგლებშია მოქცეული, უმთავრესად მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს, და რომელიც საკუთრივ მეგრულის სახელით არის ცნობილი) და კოროხის მეგრულს (რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოყოლილი, უმთავრესად კოროხის მარცხენა მხარეს, და რომელიც ჩვეულებრივ ქანურის ან ლაზურის სახელით არის ცნობილი). საკუთრივ მეგრული და ქანური ერთურთის მიმართ კილოებია და არა დამოუკიდებელი ენები“².

ამ დებულების წამოყენებას იმ დროს უადრესად დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იგი უპირისპირდებოდა საენათმეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ თვალსაზრისს³.

ა. შანიძე ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქანურ-მეგრული ტექსტების დიდი რაოდენობით შეკრებასა და გამოქვეყნებას. ამ მხრივ საყურადღებოა მის მიერ შეკრებილი და ნაწილობრივ გამოქვეყნებული მეგრული ტექსტები⁴.

7. ა. შანიძე ქართული ენის სწორუბოვარი ისტორიკოსია. ნ. მარის შემდეგ ქართული ენის ძეგლებს არ ჰყოლია უკეთესი მცოდნე და გამომცემელი, ვიდრე ა. შანიძეა. „ძველი ქართული ენის ძეგლების“, „ძველი ქართული ენის კათედრის შრომებისა“ და „Caucasus Polyglottus“ სერიების დაარსებით და ერთი ათეული უნიკალური ძეგლების სანიმუშოდ გამოცემით ფასდაუდებელი ამაგი დასდო მან ქართველოლოგიას და საერთოდ მეცნიერებას, ვინაიდან ეს ძეგლები ამავე დროს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობისაა. ამ დიდ საქმეში ა. შანიძეს მხარში ამოუდგნენ მისი უახლოესი მოწაფეები: ი. აბულაძე, ივ. იმნაიშვილი და ლ. კიკნაძე, რომელთაც თავის მხრით რამდენიმე ძეგლის, სიმფონია-ლექსიკონებისა და სპეციალური გამოკვლევების გამოქვეყნებით კიდევ უფრო გაამდიდრეს ქართველმეტყველება. ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე ა. შანიძის „ნაშთები მესამე პირის

¹ ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ. 20—27.

² იქვე გვ. 3:2.

³ Н. Я. Марр, Грамматика чанского (жазского) языка, 1910. (განსაკუთრებით შესავალი). И. Кипшадзе. Дополнительные сведения о чанском языке, 1911. შტრ.: არნ. ჩიქოვაძე. ა. შანიძის გრამატიკული ანალიზი, 1936 (შესავალი).

⁴ არუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის „ლიტერატურული ძიებანი“, 1958 წ., ტ. 11, გვ. 379—393.

ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში“ და მის მიერ 1923 წ. „ჯემეტი“ ძეგლების აღმოჩენა¹. მასვე ეკუთვნის ხანშეტი პრავალთავისა (1927 წ.) და „ხანშეტი ლექციონარის“ (ფოტოტიპური რეპროდუქცია სიმფონიითურთ, 1944 წ.) გამოცემა.

ა. შანიძე ცნობილია როგორც ძველი ქართული ენის ლექსიკის ჩინებულ-ლი მცოდნე. ი. ყიფშიძისთან ერთად მან (1928 წ.) გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“. უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე იგი სათავეში ჩაუდგა „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ შედგენას, რომელიც სამ ტომს შეიცავს, განმარტებანი მოცემულია პარალელურად ქართულ და რუსულ ენებზე. უნივერსიტეტი მალე შეუდგება ამ ლექსიკონის ბეჭდვას.

ა. შანიძეს ამავე დროს დაწყებული აქვს „ქართული ენის ისტორიის კურსის“ წერა, რომლის დამთავრებასა და გამოქვეყნებას აგრეთვე მოუთმენლად ელოდებიან ჩვენი სპეციალისტები.

ა. შანიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ბულგარეთში (1949 წ.) და პალესტინაში (1960 წ.) წარგზავნილი სამეცნიერო ექსპედიციების მუშაობაში. ბულგარეთი და პალესტინა—ეს ორი უძლიერესი კულტურულ-სამწერლობო ცენტრი იყო საშუალო საუკუნეებში, სადაც ქართველთა მიერ აგებულ მონასტრებში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ქმნიდნენ მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალურ ძეგლებს. ა. შანიძის მონაწილეობა ამ ექსპედიციებში განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან ადგილზე დაათვალიერა, შეისწავლა და აღწერა ყველაფერი ის, რაც ვადაურჩა ისტორიის ქარტეხილებს. მან ბევრი საინტერესო ცნობა შესძინა მეცნიერებს². ამ მხრივ შანიძე ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო ირ. აბაშიძესა და გ. წერეთელთან ერთად პალესტინაში შ. რუსთაველის პორტრეტის აღმოჩენა და მისი ფოტოპირების საქართველოში ჩამოტანა.

მ. ა. შანიძის აზრით, ენათმეცნიერებაში, ისე როგორც სხვა მეცნიერებაშიც, ყოველგვარ პიპოთეზას აქვს არსებობის უფლება, თუ მას ენობრივი ფაქტები დადასტურებენ, ხოლო როცა პიპოთეზა ფაქტებს დაუპირისპირდება, მაშინ იგი უარყოფილ უნდა იქნეს.

ა. შანიძის მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე აღსანიშნავია ორი დიდი მნიშვნელოვანი შემთხვევა, როდესაც მისი პიპოთეზა ახალმა აღმოჩენებმა ბრწყინვალედ დადასტურეს.

პირველი შემთხვევა შეეხებოდა მის აღრინდელ შრომას „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში“³, რომელიც ავტორმა დაწერა უმთავრესად მცხეთის ჯვრის მონასტრისა და ბოლნისის სიონის უძველესი წარწერების ანალიზის საფუძველზე. ავტორის აზრით, „ოთხი ზმნის ფორმაში (ხერთვის, ხეყავ, შეხწვიე და შეხუბათ) ქართულს შემოუნახავს ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ“⁴. ა. შანიძეს ამ ფაქტების გათვალისწინების საფუძველზე სწამ-

¹ ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ. 267—301.

² ა. შანიძე, სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში და მისი შედეგები (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ., № 21).

³ ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ. 267—281.

და, რომ დასახელებულ ფაქტებს უთუოდ პარალელები გამოუჩნდებოდა. ის ამაში ღრმად დარწმუნებული რომ იყო, ეს იქიდანაც ჩანს. რომ, როდესაც 1923 წლის იანვარში, მოსკოვში ყოფნისას, კ. კეკელიძეს ერთ დილას ა. შანიძისათვის უკითხავს: „რა იქნება, აკაკი, რომ სადმე ამოგორდეს ქვა მეექვსე საუკუნის წარწერით. ასე თხუთმეტობდე სტრიქონით“, ამაზე ა. შანიძეს უპასუხნია: „სულ ხანებით იქნება სავსეთ“¹. სწორედ იმ ჰერიოდში ივ. ჯავახიშვილმა პალიმფსტეგტში ამოიკითხა უძველესი ქართული ხანნეტი ტექსტების ნიმუშები, რომლებმაც სავსებით დაადასტურეს ა. შანიძის სწორი მეცნიერული ვარაუდები.

მეორე შემთხვევა შეეხებოდა კავკასიის ალბანურ დამწერლობას.

კავკასიის ალბანელთა ენასა და დამწერლობას ა. შანიძის სახით დიდი მზრუნველი მეკვლევა ი აღმოუჩნდა.

როგორც ცნობილია, ალბანელები IV—XII სს. ცხოვრობდნენ ახლანდელი აზერბაიჯანის აღმოსავლეთ ნაწილში და მათი საზღვრები საქართველომდე და სომხეთამდეც აღწევდა. ირკვევა, რომ ალბანელ ხალხს საშუალო საუკუნეების კავკასიის კულტურულსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი როლი შეუსრულებია, მაგრამ შემდგომ ისტორიულმა ვითარებამ წაშალა ყველაფერი ეს. გარკვეული ცნობები კავკასიის ალბანელთა შესახებ შემოგვინახა სომხურმა, ქართულმა და ზოგიერთმა უცხოურმა წყაროებმა.

ალბანელი ხალხის გამჭრალი დამწერლობის შესახებ პირველი ცნობების აღმოჩენა წილად ხვდა ი. აბულაცეს. ემზიადინის სახელმწიფო მუზეუმში, XIV საუკუნის ერთ ერთი სომხური ხელნაწერის გარჩევისას, ი. აბულაცემ იპოვა ანბანთა კრებული, სადაც წარმოდგენილია ბერძნული, ასურული, ლათინური, ქართული, კოტურის, არაბული და მათ შორის ალბანური ანბანიც². ახლად აღმოჩენილი ალბანური ანბანის შესახებ ა. შანიძემ დაწერა სპეციალური გამოკვლევა: „Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки“³. ა. შანიძემ ამ შრომაში მტკიცედ გამოთქვა რწმენა, რომ შეუძლებელია ალბანელი ხალხის დამწერლობა უკვალოდ დაკარგულიყო, არ შეიძლება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ იყოს ჩამარხული დამაჯერებელი ეპიგრაფიკული მასალები, რომლებიც ახალ ცნობებს მოგვეცემენ ალბანური ენისა და დამწერლობის შესახებო⁴. ა. შანიძის ეს ვარაუდიც გამართლდა. ათი წლის შემდეგ მინგეჩაურის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები და ოთხკუთხი ქვა წარწერით, რომელიც ალბანური აღმოჩნდა⁵.

აეტიორმა ახლად მოპოვებული მასალის საფუძველზე მოგვცა ალბანური ენის ფონეტიკური დახასიათება და შეუდარა იგი უდურთა ენის ფონეტიკურ სისტემას, რის საფუძველზედაც ა. შანიძეს გამოაჭყავს მეტად საყურადღებო დასკვნა: ასეთი ფონეტიკური მსგავსება უდური და ალბანური ენებისა არ

¹ ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ. 283.

² Илья Абуладзе. К открытию алфавита кавказских албанцев. еნიკის-მოამბე. ტ. IV 1938. (ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 69—71). И. В. Абуладзе. Новые сведения о существовании письменности у кавказских албанцев: Сообщения грузинского филиала АН СССР, I, 1940, № 4, გვ. 317—319.

³ ენიკის მოამბე, ტ. IV, 1933 (ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 1—68).

⁴ იქვე, გვ. 5.

⁵ А. Г. Шанидзе. Язык и письмо кавказских албанцев: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, გვ. 168—178.

უნდა იყოს შემთხვევითი, მაგრამ, უფრო დამაჯერებელი რომ იყოს ეს დებულება, საჭიროა მეტი ლექსიკური და გრამატიკული მონაცემებით მისი გამაგრება. შესაძლებელია შემდგომმა კვლევა-ძიებამ და ახალმა გათხრებმა ა. შანიძის ეს უკანასკნელი ვარაუდიც დაადასტუროს.

აქედან უკვე ნაწილობრივ ჩანს, და სავსებით ბუნებრივია, რომ ა. შანიძის მეცნიერული ინტერესების სფეროში შემოდის ქართულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის საკითხებიც. ამ საკითხების კვლევას იგი უდგება, როგორც წინდახედული და დიდი გამოცდილების მქონე ფრთხილი მეცნიერი, რომელიც ნაადრევი დასკვნების გამოტანას ერიდება. იგი ამ შემთხვევაშიც არ ღალატობს მის მიერ თავიდან აღებული პრინციპს.

9. ა. შანიძე ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს „ვეფხისტყაოსნისა“ და მასთან დაკავშირებული დიდი კულტურულ-ისტორიული საკითხების შესწავლას. იგი ყოველთვის პირველსარისხოვან ამოცანად თვლიდა თვლის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულ ანალიზსა და მისი ენის საფუძვლიან შესწავლას. ამ მხრივ ა. შანიძეს მეტად ნაყოფიერი მეცნიერული კვლევა ბიება აქვს ჩატარებული, როგორც ტექსტის დამდგენი კომისიის წევრსა და ხელმძღვანელს.

ა. შანიძემ უთუოდ დიდი კულტურული საქმე გააკეთა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული 1712 წლის რედაქციის ხელახლა გამოცემით 1937 წელს. ამით ეს პირველი გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ ხელმისაწვდომი გახდა როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო მკითხველისთვისაც. ა. შანიძემ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემას თან დაურთო ვრცელი გამოკვლევა მისი შედგენილობისა და ვახტანგისეული ლექსიკონის შესახებაც.

ა. შანიძე „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტების საუკეთესო მცოდნეა და „ვეფხისტყაოსნის“ ენის უბადლო მკვლევარი. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემას თან ახლავს მის მიერ შედგენილი ლექსიკონი. ა. შანიძის რუსთველოლოგიური შტუდიები, რომლებიც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა „მნათობისა“ და „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ თუ სხვა გამოცემებში, დიდ მეცნიერულ შენაძენს წარმოადგენს, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულად შესწავლის საქმეში მაინც ყველაზე დიდი მონააოფარია ა. შანიძის ხელმძღვანელობით შედგენილი „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“. სიმფონია, როგორც ავტორი აღნიშნავს, ენათმეცნიერულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში თანაბრად არის წარმოდგენილი სრულანიშვნელოვანი სიტყვებიცა და დამამარე სიტყვებიც. მასში თავმოყრილია ყველა სიტყვა, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება, მასთან ჩაჩვენებია ყველა შემთხვევა მათი ხმარებისა სხვადასხვა ფორმით. სიმფონიას თან ახლავს წინასიტყვაობა, სადაც ლაპარაკია სიმფონიის აგებულებასა და ძირითად პრინციპებზე, და „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხებზე ვრცელი ნარკვევი ასეთი ვრცელი სიმფონია საფუძველთა-საფუძველია „ვეფხისტყაოსანს“ მუშაობისა და ახალი გამოკვლევების იგეგმვისათვის. უფრო ადრე შედგენილი და გამოცემული კ. კიკინაძის „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ სულ სხვა პრინციპზეა აგებული.

10. ქართული ენის შესწავლაზე ა. შანიძის მრავალ წელს მუშაობის დაგვირგვინებას წარმოადგენს მისი „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (1953 წ.).

¹ ეს წიგნი წარსადგენ, შეესებულ გაეთიხანებას ორი ნაკვთს: ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვეთი პირველი, გვ. VIII+212, 1944 წ.; ნაკვეთი მეორე, გვ. VI+273—371. 1943 წ.

ამ კაპიტალურ შრომაში თავმოყრილია ქართული ენის რთული მორფოლოგიური სტრუქტურის შესწავლის შედეგები; აქ ცენტრალურ და ყველაზე ორიგინალურ ნაწილს წარმოადგენს ზმნა და მისი კატეგორიების მიმოხილვა. ზმნის ბევრი კატეგორიის (ქცევის, მწკრივის, ჯერობის, აქტის, თანამდევრობის, ორიენტაციის, კონტაქტისა და სხვ.) აღმოჩენა ა. შანიძის სახელთან არის დაკავშირებული. ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად დაზუსტდა და ახლებურად გაშუქდა ზმნის ზოგიერთი კატეგორია (პირისა, გვარისა და სხვ.). წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მწკრივის თეორიასა და თავისებურ ზმნათა განხილვას. მწკრივის თეორიის შესახებ ავტორმა ვრცელი გამოკვლევა გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1940 წ.

გარდა ამისა, შრომაში ვრცლად და ამონწურავად არის განხილული სახელთა ბრუნებისა და თხზვის საკითხები, უღებები (ზმნიხედები, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები, ნაწევრები, შორისდებულები). ამ შრომაში პირველად იქნა ასე ფართოდ გაშუქებული ქართულ გეოგრაფიულ სახელთა აგებულება და ფორმაცვალება. ეს შრომა ა. შანიძის მეცნიერული შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს.

კითხვობთ ფაქტობრივი მასალით ამ მდიდარ შრომას და გიჟვით, მკვლევარმა როგორ ზეცო ამდენი გაეკეთებინა, რამდენის გაკეთებასაც ზოგჯერ თაობები ვერ ახერხებენ. იგი ღრმად შეიქრა ქართული ენის სტრუქტურაში და ქართული ენის შესწავლა აიწყინა იმ სიმაღლეზე, რომლის შე ახებ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ამ რამდენიმე ათეული წლის წინ. ა. შანიძე აქ გამოჩნდა, როგორც ჩინებული მცოდნე და მკვლევარი ქართული ხალხური სიტყვიერებისა და დიალექტოლოგიური მასალებისა, აწელი და საშუალო ქართული ძეგლებისა და ქართული ენის ისტორიისა, XIX და XX საუკუნეების მწერლობის ენისა და ა. შ. ყველა ამ მასალაზე დაფუძნებული „ქართული გრამატიკის საფუძვლები“.

11. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ა. შანიძის მიერ გამოყენებული კვლევა-იღების კონკრეტული მეთოდი, რომლითაც დამუშავებულია ეს შრომა. „საზოგადოდ,— წერს ა. შანიძე—საკითხი იმის შესახებ, თუ რა ემნის გრამატიკულ ფორმას და რა კატეგორიასთან გვაქვს საქმე, ან როგორია ეს კატეგორია, ნამდვილი თუ მოჩვენებითი, წყდება არა აბსტრაქტულად, სხვა ფორმებისაგან მოწყვეტით, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების მიხედვით: რა რას უპირისპირდება და რა ნიშნის მიხედვით უპირისპირდება“ (გვ. 020, ხაზი ჩვენია, ს. ე.). ეს მეთოდი ენათმეცნიერების ახალი ზონაა და მან ბრწყინვალე შედეგები მოგვცა თანამედროვე ფონოლოგიაში, რაც შეეხება გრამატიკაში მის გამოყენებას, ბევრ მკვლევარს ეს უცნელდება. ა. შანიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს მეთოდი ქართული ენის სტრუქტურის შესწავლისათვის მოხერხებულად გამოიყენა და შედეგებიც თვალსაჩინოა.

ავტორს თავისი კვლევის ეს მსარე კარგად აქვს გააზრებული და ამიტომაც არის, რომ წერს: „იერიულ ნაწილში მკითხველის ყურადღებას მიიქცევს, უთუოდ, აგრეთვე ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხი გრამატიკაში, რაც ეგრე მწვავედ დგას ენის სტრუქტურული საკითხების შესწავლის დარგში. ეს საკითხი ნრვალ კონკრეტულ მაგალითზე დასურათებული როგორც სახელებში, ისე ზმნებში. ამ საკითხის შესახებ ქარ-

თუღა ენა აუარებელ მასალას იძლევა, შეიძლება ითქვას, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე რომელიმე სხვა“ (გვ. 015, ააზი ჩვენია, ს. ჟ.).

ა. შანიძემ ქართული ენის რთული სტრუქტურის შესწავლა ზოგადი ენათმეცნიერების მაღალ დონეზე აიყვანა. მან ამ შრომაში ბუნებრივად დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ახალს აძლევს ქართული ენის სტრუქტურის შესწავლა ენის ზოგად თეორიას. „ჩემთვის უეჭველია, —წერს ა. შანიძე, — რომ არ არის სწორი, როცა ბერძნულ მედიუმს გვარის ანუ დიათეზის მიხედვით მოქმედებითისაგან გამოპყუვენ და ცალკე ადგილს უჩვენებენ. არა! ბერძნული მედიუმი, —თუ მას არა მარტო ფორმის მიხედვით დავაფასებთ, არამედ ფუნქციის მიხედვითაც, — გვარად აქტივი გამოვა და ქცევად სათავესო. ეს მზესავით ნათელია უხვი ქართული მასალების გულდასმით შესწავლის შემდეგ. მაშასადამე, ქართული ზმნა უტყუარ კრიტერიუმს გვაწვდის, რომ შევასწოროთ საუკუნეობით გადმოცემული მცდარი დებულება ინდოევროპეისტიკაში“ (გვ. 016—19).

ამ შრომაში ჩინებულად გამოჩნდა ა. შანიძის ენათმეცნიერული კვლევის ფართო პორიზონტი. საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მონაცემები შედარებულია ქანურ-მეგრულთან და სვანურთან. ზხადაგზა ზოგიერთი საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის ავტორი ქართული ენის მოვლენების შედარებას იძლევა სომხურ, სპარსულ, თურქულ, არაბულ, რუსულ, ბერძნულ და სლავურ ენებთან.

ამავე დროს ა. შანიძე ითვალისწინებს სხვა ენების გავლენასაც ქართულ ენაზე და რიგი საკითხის გაშუქების დროს სუბსტრატის საკითხსაც არ ივიწყებს.

ა. შანიძემ დიდი მუშაობა გასწია ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის დამუშავებისათვის. მის მიერ ამ დარგში ჩატარებული მუშაობა ყველაზე უფრო გამოჩნდა „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“.

ავტორის აზრით, „არ კმარა რომელიმე გრამატიკული მოვლენის სისწორით გაშუქება ან ახალი კატეგორიის დადგენა, საჭიროა მონახვა სათანადო ტერმინისა, რომელიც მოხდენილი უნდა იყოს, მოვლენას შეეფერებოდეს და მის არსებით მხარეს ნათლად ასახავდეს. ეს ადვილი საქმე როდია“. კიდევ ერთ არსებით მომენტს გახაზავს იგი: „ახალი ტერმინების შემოღების დროს საზოგადოდ სასურველია და საჭიროც, ისეთი იქნეს შერჩეული, რომ იგი ადვილად ითარგმნებოდეს სხვა ენებზედაც, ან პირდაპირ აღებულ იქნეს ისეთი, რომელსაც შეუძლია უთარგმნელად შევიდეს სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ენაზე“ (გვ. 017).

არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ქართველოლოგიის განვითარების დამამშვენებელ მეტად ორიგინალურ ნაშრომს წარმოადგენს.

12. ა. შანიძე ქართული ენის მხოლოდ თეორიული სკიოთხების კვლევით არასდროს დაკმაყოფილებულა.

მისი ზრუნვის საგანს ამავე დროს შეადგენდა გამოყენებითი ენათმეცნიერების საკითხების ფართოდ დამუშავება და ამით ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკისათვის დიდი დასმარების აღმოჩენა, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა სახის ტერმინოლოგიური და თარგმნითი ლექსიკონების შედგენაში,

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ კომისიაში აქტიურ მონაწილეობაში, სასკოლო გრამატიკების, სასწავლო ქრესტომათიებისა და პროგრამების შედგენაში საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის და ა. შ.

• განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ყოველთვის ა. შანიძის მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ კომისიაში. ამ საკითხებს მან რამდენიმე სპეციალური სტატია უძღვნა, ხოლო მის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ მოცემული მასალა ამ მიზანსაც ემსახურება.

1939 წლიდან ჩვენი საშუალო სკოლის ახალგაზრდობა ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკით“ ეუფლება მშობლიურ ენას. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ფონეტიკა, მორფოლოგია, II. სინტაქსი.

ამ ხნის განმავლობაში ა. შანიძის სასკოლო გრამატიკა ყოველწლიურად ახალი გამოცემით გამოდის და მასში ყოველთვის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ცვლილებანი შეაქვს ავტორს.

ა. შანიძემ ალ. ბარამიძესა და ილ. აბულაძესთან ერთად ჯერ კიდევ 1934 წ. საშუალო სკოლებისათვის შეადგინა სახელმძღვანელო „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“. ძველი ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა მასში ა. შანიძეს ეკუთვნის. მას თან ახლავს უძველესი ქართული ენის ნიმუშებიც. არსებობს ამ სახელმძღვანელოს რამდენიმე გამოცემა.

ა. შანიძე ამავე დროს ავტორია „ქართული ენის გრამატიკისა“, რომელიც საუნივერსიტეტო კურსს წარმოადგენს. ამ სახელმძღვანელოთი ჩვენი რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც სარგებლობენ.

13. ა. შანიძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი და მეტად საინტერესო თემაა. ალბათ, იგი მრავალში სრულყოფილად დაიწერება. არსებითად ა. შანიძის მეცნიერული ბიოგრაფია ჩვენი უნივერსიტეტის ზრდა-განვითარებასთან არის დაკავშირებული. უნივერსიტეტის არქივში დაცული მასალები ნათლად წარმოგვიდგენენ იმ დიდ როლსა და დამსახურებას, რომელიც ა. შანიძეს მიუძღვის, როგორც ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელსა და ფუძემდებელს. ა. შანიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის მუშაობაში, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი მეთაურობდა. ა. შანიძე ჩვენს უნივერსიტეტში ი. ყიფშიძესთან ერთად ქართველოლოგიის ფუძემდებელია. 1919 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა ქართული ენის კათედრას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველოლოგიაში ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების, ქართველური ენების შესწავლისა და ამ დარგში სამეცნიერო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

ა. შანიძე წლების განმავლობაში ფაქტიური ხელმძღვანელი იყო „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემისა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობის საქმის ორგანიზაციაში და შემდგომ მის განვითარებაში.

ა. შანიძის სახით უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას ყოველთვის ჰყავდა დიდი მზრუნველი, რომელიც სხვებთან ერთად ყველა ზომას იღებდა ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით დაკომპლექტებისა და მისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

14. დიდია ა. შანიძის დამსახურება ენათმეცნიერთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

თბილისის საენათმეცნიერო სკოლა დღეს თუ ასე მდიდარია ენათმეცნიერთა კადრებით და ასე მაღალია ამ მეცნიერების განვითარების დონე, პირველ ყოვლისა, ამას უნდა ვუმაღლოდეთ ა. შანიძესა და გ. ახვლედიანს, რომელთაც ენათმეცნიერული აზროვნება ჩვენში დაამკვიდრეს ნოყიერ ნიადაგზე, მაღალ დონეზე განავითარეს იგი და დღესაც, 75 წლის ასაკში, მაღლა უჭირავთ ჩვენში ქართველოლოგიისა და საერთოდ ენათმეცნიერების წინსვლისა და განვითარების ძღვევამოსილი დროშა.

ამ ხუთიოდე წლის წინ გ. ახვლედიანის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით ვწერდი და იგივე უნდა გავიმეორო დღეს ა. შანიძის მიმართაც:

„გ. ახვლედიანისა და ა. შანიძის სახელები და საქმიანობა დაუშორებელია და განუყრელია. მადლიერი ქართველი ხალხი ამ ორი პიროვნების სახელს ყოველთვის ერთიმეორისაგან დაუცილებლად იხსენიებს, როგორც ჩვენა მეცნიერებისა და კულტურის დამამშვენებელ სახელებს“¹.

1962 წ.

¹ „მნათობი“, 1957, № 12, გვ. 182.

ГЕОРГИЙ САРИДАНОВИЧ АХВЛЕДИАНИ

(К 70-летию со дня рождения)

Имя Г. С. Ахвледяни хорошо известно не только в Советском Союзе, но и за его пределами. Научная деятельность Г. С. Ахвледяни тесно связана с основанием и последующим развитием Тбилисского университета и Академии наук СССР. Он является не только пионером в области общего языковедения в Грузии, но и выдающимся деятелем грузинской науки и культуры. Его научный авторитет всегда имел благотворное влияние на развитие отечественной науки. На протяжении сорока пяти лет, вместе с остальными грузинскими учеными, он неустанно и самоотверженно выполняет почетную задачу правильной организации и проведения на высоком уровне научной работы в Университете и Академии наук.

Г. С. Ахвледяни родился в 1887 году в сел. Дерчи Кутаисского района Грузинской ССР. В 1908 году окончил грузинскую гимназию в Тбилиси, а в 1914 году — историко-филологический факультет Харьковского университета по славянско-русскому отделению. В 1915 году он был оставлен при университете „для приготовления к профессорскому званию“. Г. С. Ахвледяни был еще студентом, когда его первая конкурсная научная работа „Очерк истории гласных и носовых согласных в санскрите, в греческом, латинском и славянском языках“ была удостоена золотой медали (1913 г.). Высокая оценка этого труда была напечатана в „Известиях“ Харьковского университета в 1914 году.

Г. С. Ахвледяни прошел замечательную языковедческую школу под руководством акад. И. М. Эндзелина и проф. С. М. Кульбакина в Харькове (сравнительное индо-европейское и славянское языковедение), акад. К. Заземана (иранская филология), акад. Т. Щербатского (индийская филология), акад. Н. Марра (грузинско-армянская филология) и акад. Щербы (общая и экспериментальная фонетика) в Петрограде. Его многочисленные научные труды представляют образцы применения сравнительно-исторического метода при исследовании вопросов фонетики, грамматики и лексики и вопросов исторической топонимики.

Для Г. С. Ахвледяни особенно характерно, что он всегда умеет ценить все новое и прогрессивное в научной мысли.

Г. С. всегда с большим интересом относился к теории языка и является у нас основоположником общего языковедческого образования. Он первый читал в Тбилисском университете курс „Введение в языковедение“ на весенне-осеннем семестрах 1918 года. Его лекции были изданы Правлением студенческого союза только что организованного университета,

и они явились первым учебным пособием на грузинском языке, выпущенным Тбилисским университетом. Достоинство этой работы Г. С. заключается в том, что она в целом отражает тогдашний уровень языковедческой науки. Все три выпуска „Введения“ включают 15 лекций (из 18 прочитанных). Каждая лекция снабжена библиографией литературы на русском и иностранных языках.

„Введение“ имело большое значение в деле распространения общего языковедческого знания в Грузии: на этих лекциях воспитывались несколько поколений наших филологов. Г. С. Ахведиани, вместе с А. Г. Шапидзе, является основателем Грузинского лингвистического общества, работой которого он руководил за все время существования этого общества (с 1923 по 1932 г. г.). Общеизвестна большая заслуга Общества в деле развития языковедческого образования у нас.

Со дня основания нашего Университета Г. С. читал лекции также по древнеиндийскому языку (санскриту). Этот курс, равно как и читанные им лекции по греческому языку, также служили делу широкого языковедческого образования будущих филологов. На основе этих лекций в 1920 году была выпущена „Краткая грамматика и отрывки из классического санскрита и Ригведы со словарем“, что также входит в число первых учебников, изданных нашим Университетом.

Широкое языковедческое образование дало возможность Г. С. Ахведиани вести многогранную научную работу (грузинский и некоторые другие иберийско-кавказские языки, из индоевропейских языков — русский, древнеиндийский, древнеиранский, осетипский и др).

Черу Г. С. Ахведиани принадлежат свыше 130 научных и научно-популярных работ. Особо следует отметить большой интерес Г. С. к общей и экспериментальной фонетике, как одному из ведущих разделов языковедения. Организованный им при кафедре общего языковедения кабинет экспериментальной фонетики значительно способствовал быстрому развитию у нас этой отрасли науки и воспитанию молодых научных кадров.

Г. С. Ахведиани еще в 1922 году в своей работе „Абруптивные согласные в грузинском“ („Вестник Тбилисского государственного университета“, 1922—1923 г. г.) использовал экспериментальный метод палатографии в изучении звуковой системы грузинского языка.

Автор с помощью палатограмм абруптива „t“, глухого придыхательного „tʰ“ и звонкого „d“ ясно показал закономерность соотношения языка с твердым небом. Он впоследствии неоднократно касался проблемы грузинских абруптивных согласных, превратив проблему грузинских сплифических согласных в проблему общей фонетики. Кроме трудов грузинских ученых, данной проблеме посвящены работы проф. Е. Зиверса, акад. Л. Шербы, проф. Н. Яковлева, проф. Р. Шор, проф. Е. Поливанова, проф. Л. Зивдера и др. Проблему абруптивов с использованием экспериментальных данных убедительно разрешил только Г. С. Ахведиани.

Общей и экспериментальной фонетике посвящены работы Г. С. Ахведиани: „Вопросы общей и грузинской фонетики“ (1938 г.), „Основы

общей фонетики“ (1949 г.), „Введение в общую фонетику“ (1956 г.), удостоенное первой премии Университета, „Основные вопросы фонетики грузинского языка“ (на русском языке, 1956 г.) и другие. Автор в этих работах приводит богатый иллюстративный материал из картлевских, славянских, романо-германских, индоиранских и др. языков.

В книге „Вопросы общей и грузинской фонетики“, в которой обобщен опыт 20-летней педагогической работы и результаты фонетических изысканий автора, по новому освещен целый ряд вопросов общей фонетики. В работе, наряду с точными фонетическими наблюдениями, выдвигается много новых идей. Путем использования материала грузинского и других картлевских языков автор по-новому осветил сущность слога и вопрос слогоделения. В книге впервые даны основы созданной им теории акцессивно-децессивных комплексов согласных, которую автор впоследствии расширил и развил на основе исторического и экспериментального материала. Следует отметить, что недавние работы зарубежных авторов (Г. Кекеритца, К. Вруняера и Е. Трорке) о редукции первого компонента акцессивных комплексов согласных касаются, по мнению Г. С., только одного частного вопроса большой проблемы супераппи акцессивов. Теория акцессивно-децессивных комплексов согласных осветила много неясных вопросов звуковых изменений в разных языках. В упомянутой книге специально исследуется вопрос о грузинских гармонических комплексах, к которому Г. С. впоследствии снова возвращается. По мнению автора, эти комплексы не являются первоначальными. Г. С. установил две системы гармонических комплексов (А и В) и дал объяснение эволюции второго—заднеязычного—компонента в этих комплексах. Автор в этой книге впервые поставил вопрос о степени звонкости грузинских звонких взрывных согласных и установил, что в грузинском отмечается тенденция к снижению степени звонкости.

Важные выводы получены автором в результате изучения звукослияния и звукосочетания в грузинском. В связи с этим, автором установлены виды приступа и отступа звуков и ряд правил звукосоединения в грузинском.

Книга „Вопросы общей и грузинской фонетики“ сыграла большую роль в развитии у нас фонетической науки: новые положения, выдвинутые в этом труде, послужили отправными пунктами для ряда последующих работ грузинских языковедов.

Такой же суммирующий характер имеет книга Г. С. Ахведиани „Основы общей фонетики“ (1949 г.), являющаяся значительным достижением языковедения. В этом труде, наряду с целым рядом актуальных вопросов общей фонетики, рассмотрены основные вопросы фонологии.

Кроме ряда способов супераппи акцессивов, с именем Г. С. Ахведиани связано установление значительных фонетических закономерностей, как, напр., диссимилятивное озвончение согласных, регрессивно-диссимилятивная потеря гуттуральных согласных и др. Он первый рассмотрел вопрос об ударении в грузинском в предложениях повествовательного, вопро-

сительного и восклицательного типов в связи с интонацией и высказал весьма важные соображения, подтверждаемые экспериментальными данными.

Как ученый, обладающий большой фонетической интуицией, Г. С. всегда с особым вниманием относился к научной транскрипции звуков. В этом отношении интересны выработанные им принципы транскрипции звуков для грузинского и кавказских языков. С докладом по этому вопросу Г. С. выступил на научной сессии Отделения литературы и языка Академии Наук СССР в Ленинграде в 1940 году.

Общезвестна у нас забота Г. С. о нормализации и упорядочении вопросов орфоэпии грузинского литературного языка. С теоретической и практической деятельностью Г. С. Ахведиаши в этом направлении хорошо знакомы представители науки, литературы и сцены, с которыми он тесно связан. Г. С. является активным членом Государственной комиссии по установлению норм грузинского литературного языка.

Г. С. Ахведиаши активно участвует в деле выработки грузинской научной терминологии. В этом отношении ему обязаны разные отрасли грузинской науки: языковедение, математика, технические науки, геология и др. Много труда вложено им и в область грузинской лексикологии. Г. С. является автором нескольких словарей: Русско-грузинского словаря (I, II — совместно с доц. С. Норданшвили), Грузино-русского словаря (совместно с проф. В. Тошурпа), Словаря иностранных слов. Он состоит членом главной редакции „Толкового словаря грузинского языка“ и членом редколлегии трехтомного „Русско-грузинского словаря“.

В исследовательской работе Г. С. Ахведиаши всегда занимало почетное место исследование осетинского языка. Г. С. принадлежит целая серия исследований, завоевавшая ему имя известного исследователя осетинского языка. Среди этих работ особенно следует отметить: „К истории осетинского языка“ I (1926 г.), II (1926 г.), III (1941 г.), „К вопросу о протегическом гласном в осетинском“ (1923 г.), „Три t в осетинском“ (1923 г.), „Осетинская рукопись 1802 года“ (1927 г.), „К вопросу о гемпингованных и пазальных согласных в осетинском“ (1936 г.), „К вопросу о звонком аналлауте второго члена композита в осетинском языке“ (1940 г.), „Диссимиллятивное озвончение смычных в осетинском языке“ (1941 г.) и др.

„Избранные работы по осетинскому языку“ Г. С. Ахведиаши в расширенном и переработанном виде в настоящее время печатаются на русском языке издательством Тбилисского университета.

За плодотворную работу по научному изучению осетинского языка и подготовке кадров осетинских языковедов, в связи с семидесятилетием со дня его рождения, по указу Верховного Совета Северо-Осетинской АССР, Г. С. Ахведиаши присвоено почетное звание заслуженного деятеля науки Северо-Осетинской АССР.

Г. С. Ахведиаши всегда с большим интересом относился и к вопросам методики изучения родного и иностранных языков. В этом отношении весьма плодотворной является его теоретическая и практическая деятельность в деле усвоения молодежью русского и иностранных языков.

Его статьи и учебники для средних школ и многочисленные выступления на разных конференциях и совещаниях ставили целью улучшение преподавания языков и постановку его на высоком научном уровне. Особого внимания заслуживает в этом отношении его учебник по русской грамматике для средних школ, составленный на грузинском и русском языках и дающий возможность ученику наглядно сопоставить фонетическую систему и грамматическую структуру родного языка с системой и структурой русского языка (7-ое изд. 1958 г.).

Особо следует отметить заслуги Г. С. Ахведиани как замечательного педагога и воспитателя. Слушатели его лекций всегда испытывают большое удовлетворение ясностью его мыслей и логичностью изложения. Такой же стиль характерен и для его научных работ.

Как широко образованный ученый, он читал лекции в университете и других высших учебных заведениях по многим дисциплинам: Введение в языковедение, Общее языковедение, История лингвистических учений, Общая фонетика, Экспериментальная фонетика, Санскрит, Греческий язык, История и диалектология русского языка, Сравнительная грамматика индо-европейских языков, История западноевропейской литературы, Логопедия и др.

Трудно найти ученого, воспитавшего столь большое количество молодых научных кадров в разных областях науки, иногда довольно отдаленных друг от друга: почти все наши специалисты по общему языковедению, общей и экспериментальной фонетике, германистике, славистике, романистике, правистике, индологии, логопедии прошли школу Г. Ахведиани. Среди воспитанных им многочисленных молодых ученых многие стали общезвестными исследователями. Воспитанные им научные кадры через аспирантуру или по личной инициативе, хорошо знают, сколько труда и энергии вкладывает Г. С. в дело подготовки и воспитания молодых ученых.

Богатая отечественной и иностранной литературой библиотека Г. С. всегда открыта для нашей молодежи. Из многочисленных написанных им рецензий около ста приходится на квалификационные работы, из них около 20 — на соискание ученой степени доктора филологических наук; столько же раз Г. С. выступал официальным оппонентом на публичных защитах диссертаций. Его не раз приглашали московские и ленинградские высшие учебные заведения и научные учреждения в качестве официального оппонента по защите докторских диссертаций (А. В. Десницкой, Дж. Литтона, М. Р. Зиндера, И. В. Устинова, К. Е. Гагкаева).

Г. С. Ахведиани является большим общественным деятелем и гражданином. Общезвестны его заслуги, как одного из основателей Тбилисского университета. Вместе с инициативной группой основателей нашего университета он активно участвовал в деле создания и дальнейшего роста нашего университета и его учреждений — научной библиотеки, издательства, типографии и др. Г. С. является бессменным руководителем ка-

федры общего языкознания и членом ученых советов филологического и востоковедческого факультетов и университета.

Г. С. Ахведиани действительный член первого учредительного состава Академии Наук Грузинской ССР. Он занимал в ней ряд ответственных должностей — академика-секретаря и председателя отделения общественных наук.

Г. С. Ахведиани является одним из организаторов основания Кутаисского педагогического института им. А. Цулукидзе, Тбилисского педагогического института им. Пушкина и Тбилисского педагогического института иностранных языков. Он руководил учебной частью Кутаисского педагогического института в первые годы его существования, был директором педагогического института им. Пушкина. Г. С. Ахведиани состоит также членом ученых советов педагогического института и института иностранных языков. Здесь же надо отметить заботу Г. С. Ахведиани о воспитании научных кадров для институтов Юго-Осетии и Северо-Осетинской АССР.

Безусловно, в интонационной структуре различных языков есть общие тенденции и формы так же, как мы обнаруживаем общие тенденции и формы в синтаксических конструкциях разных языков. Но для каждого конкретного языка все же главным и определяющим является то, что для данного языка своеобразно и специфично и не повторяется в других языках. О тенденциях интонации нужно судить, исходя из общей интонационной структуры данного языка, а не отдельных его частей. Единая интонационная структура каждого языка, как его органический элемент, по нашему мнению, самобытное языковое сокровище и национальна не частично, а в целом.

Доц. д-р М. Ромпортл в своей работе „Краткая фонетика русского языка“, сравнивая мелодическую систему таких близко родственных языков, как чешский и русский, делает на основании экспериментальных данных очень важное заключение: „Существенная разница между взаимо-

¹ А. М. Пешковский, Интонация и грамматика. Избранные труды. Изд. 1959 г., стр. 176—179.

² Т. Б. Ганцкая, Интонационная организация повествовательной фразы во французском языке. Труды военного института иностранных языков, 3—4, 1953, стр. 101.

³ В. С. Любопытнова, Интонация вопросительного предложения в немецком языке. Труды военного института иностранных языков, 3—4, 1953, стр. 224.

отличиями мелодических систем русского и чешского языков, — пишет автор. — заключается в реализации целой мелодической системы. Есть очень сходные мелодические формы, или абсолютно сходные, но занимают они совершенно разные места в системе чешского и русского языков и часто становятся средствами выявления разных отношений¹.

Нам кажется, что экспериментально обоснованное положение доц. д-р М. Ромпорта правильно освещает своеобразную природу интонации и направлено против неверного толкования и понимания вопроса интонации.

Мы считаем также, что правильную позицию занимает проф. Л. Р. Зиндер. Согласно его мнению, интонация различается от языка к языку. „Можно сказать, — пишет Л. Р. Зиндер, — что интонация представляет наиболее характерный признак данного языка“².

Автор правильно обосновывает свою мысль тем фактом, что от нас часто ускользают тонкие оттенки смысла, передаваемые неизвестными нам интонационными средствами другого языка. Это случается даже при довольно хорошем знании соответствующего языка. Л. Р. Зиндер правильно подчеркивает, что именно интонацию труднее всего усваивают иностранцы³.

Это обстоятельство лишь раз подтверждает, что интонация по своей природе национальна и самобытна.

В связи с поставленным нами вопросом небезинтересно остановиться на мнении И. Ильинской и В. Сидорова, высказанном ими в статье „О сценическом произношении в московских театрах“ и выражающем, по-видимому, взгляд большинства руководителей московских ведущих театров. Вот что мы читаем в указанной статье: „Обязательной чертой „кавказского произношения“ на сцене является, кроме того, такое произнесение слов, при котором сила выдоха почти равномерно распределяется по всем слогам, и поэтому ударный слог не выделяется в общем звучании слова так резко, как это свойственно русскому литературному произношению. Эта черта произношения используется некоторыми актерами как основная для передачи кавказского колорита русской речи и оказывается для данной цели достаточной. Такова, например, речь актера, исполняющего роль Степанича в пьесе „Рассвет над Москвой“⁴.

Это утверждение, на наш взгляд, лишено научного основания. В действительности не существует ни „общекавказского произношения“, ни общекавказского ударения, ни общекавказской интонации.

В грузинском языке, действительно, происходит равномерное распределение по определенным слогам силы выдоха, согласно закону ритмической группы ударения, но это не значит, что такой тип ударения можно

¹ Д-р М. Ромпорт, Краткая фонетика русского языка, 132.

² Л. Р. Зиндер, Общая фонетика, 274.

³ Там же, 274.

⁴ Вопросы культуры речи, I, 1955, 166.

объявить „общекавказским произношением“; в других многочисленных языках Кавказа имеются совсем другие типы ударения и интонации.

Богатство и многообразие ритма и мелодии, свойственные древнейшей грузинской песне и поэзии, в большей или меньшей степени проявляется и в грузинской классической прозе и в разговорной речи.

Ритмико-мелодическое членение на отдельные единицы и объединение модуляции грузинской связной речи можно фигурально сравнить с рождением в недрах грузинской природы бурной реки. Беря начало высоко в горах, она обогащается ручейками и притоками и, достигая долины, становится широкой и свободной. Как сама река, так и ее большие и значительные притоки, до их слияния в одно целое, подчинены своим специфическим закономерностям, в зависимости от того, в окружении каких условий протекают они. В горах течение реки подчиняется совсем иным силам и закономерностям, нежели в равнине. В скалистых ущельях она обращается в пенный поднад, в долинах же протекает медленно и величаво, будто умолкнув и обретя совершенно иной характер.

Приблизительно то же самое происходит в нашей речи. Ритмико-мелодическое членение нашей связной речи на звуки, слоги, слова, ритмические группы и фразы — это притоки одной большой реки, объединяющиеся в единое целое.

Быстрый разговорный темп, скороговорку можно сравнить с падающим потоком с высокой скалы, тогда как спокойная мелодика напоминает нам мерный плеск реки, спокойно текущей по долине.

Кто не восхищался видом волнующейся реки? Игру волн реки можно сравнить с различными мелодическими вершинами нашей речи в различных контекстах и ситуациях.

Ведь и река имеет своего рода „паузы“, местами она, в водовороте, как бы намереваясь перевести дух, делает несколько поворотов, чтобы, собрав силы, быстрее пробежать по руслу. Наибольшая же „пауза“ наступает тогда, когда река сливается с морем. Этот процесс бесконечен.

Для естественного течения реки природные условия — горы, долины, леса и ущелья, скалы и водовороты — это то же, что контекст и ситуация для связной речи.

В долине река может приобрести новые ответвления, которые в конечном счете снова объединяются в одно общее целое.

Образование горных рек из маленьких ручейков и потоков и дальнейшее разветвление их на части в долине напоминают коммуникативную функцию интонации, которую она выполняет в речи: с одной стороны, объединение компонентов интонации, с другой — их членение с целью облегчения восприятия речи в процессе общения.

Из всех ученых-исследователей грузинского ударения только С. Горгадзе и Н. Я. Марр, по нашему мнению, дали наиболее правильное толкование вопроса грузинского ударения и более или менее полно выявили его специфическую природу.

С. Горгадзе еще в 1912 году в своей книге „Грузинское стихосложение“ выдвинул положение о „синтаксических группах“, а Н. Я. Марр в изданном в 1925 году труде „Грамматика древнелитературного грузинского языка“ для своеобразного грузинского ударения применил термин „ударные комплексы“. Этот же термин использовал и С. Горгадзе в своих последующих трудах.

В „Грузинском стихосложении“ (изд. 1930 года) С. Горгадзе писал: „По нашему наблюдению, в ударные комплексы группируются такие обыкновенные соседствующие слова, между которыми существует тесная и непосредственная синтаксическая связь (последологи с прилегающими к ним словами, определяющее и определяемое слова, наречие и глагол, к которому он принадлежит, вообще глагол и его дополнение и обстоятельственные слова). Отдаленные же синтаксические слова, как бы близки ни были они по положению, не образуют ударных комплексов и остаются рядом друг с другом, сохраняя свойственную каждому из них природную акцентуацию“¹.

С. Горгадзе и Н. Я. Марр, используя термины „синтаксические группы“, „ударные комплексы“, в какой-то степени раскрыли сущность природы грузинского ударения и, кроме того, произвели ряд правильных и интересных наблюдений над грузинским ударением. Однако, важных логических выводов из произведенных наблюдений они не сделали потому, что находились под сильным влиянием господствовавших в то время традиций в вопросе ударения.

Это влияние в какой-то степени сказывается и на современных исследованиях ударения.

В разработке вопроса о ритмических группах ударения и синтагмах грузинского языка мы целиком следуем основополагающим принципам академика Л. В. Щербы, выдвинутым им в труде „Фонетика французского языка“.

По нашему мнению, академиком Л. В. Щербы теоретические и практические вопросы ритмической группы ударения разработаны наиболее глубоко и основательно, и использование сделанных им выводов оказались очень полезными для изучения ритмической группы ударения грузинского языка.

Сравнение ритмической группы ударения грузинского языка с ритмической группой ударения французского языка убеждает нас в том, что, наряду с общими чертами, имеются значительные различия, касающиеся как правил использования этого типа ударения, так и его коммуникативной функции.

Различия эти следующие:

1. Ритмическая группа ударения в грузинском языке лишена той динамичности, которая характерна для ритмической группы французского языка. Ритмическая группа ударения грузинского языка слабо выражена

¹ С. Горгадзе. Грузинское стихосложение. 1930 г., стр. 8.

и скорее напоминает „ударение предложения“ чешского языка, где слово с так называемым „ударением предложения“ чаще всего обладает самой слабой интенсивностью из всех слов в предложении, как это доказано доктором А. Скаличковой.

2. Ударение ритмической группы грузинского языка лишено и количественного противопоставления гласных, что оказывает определенное влияние на общие тенденции ритмического ударения.

3. Ритмическое членение французской речи, то есть расстановка ритмических ударений, тончайшим образом нюансирует смысл речи тогда, как основная функция грузинского ритмического ударения заключается в объединении определенных слов внутри ритмической группы.

4. Основным мелодическим ядром грузинского произношения является глагол-сказуемое и различные тесно связанные с ним мелодические формы; во французском же глагол-сказуемое не имеет такого мелодического и синтаксического веса в предложении.

В грузинском, как и во многих других языках, интонация может выражать:

а) законченность или незаконченность предложения; в первом случае интонация плавно нисходящая, во втором — плавно восходящая;

б) вопрос утверждения и отрицания; в первом случае движение основного тона восходящее, а во втором — нисходяще-восходящее;

в) эмоциональную окраску речи; так называемое эмфатическое ударение усиливает произношение не только гласных, но и согласных и делает высказывание более выразительным;

г) может выражать обильными интонационными средствами многообразие нейтральной и эмоциональной речи, в зависимости от построения говорящего, именно: спокойную речь, скороговорку, перечисления, противопоставление, поучение, приглашение, убеждение, предупреждение, приказание, категорическое приказание, вопрос, полувопрос, восклицание, объявление, запрещение, ожидание, грусть, стон, недовольство, удивление, безразличие, сожаление, угрозу, брань, гнев, проклятие, громкое оплакивание, клятву, подбадривание, поощрение, просьбу-мольбу, насмешку, ласку, стеснение, таинственность, восторг и другие.

Для иллюстрации неразрывной связи ритмики и мелодики грузинского языка приведем два примера:

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია... ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც კაბუკის ტეინსა და

„Четыре года прошло с тех пор, как я находился в России и не видел моей страны. Четыре года! Знаешь ли ты, читатель, что это за четыре года — эти четыре года! Эти четыре года — фундамент жизни... Это те четыре года, которые заывают в мозгу и сердце юноши

კულში გამოჰკვანდავს ხოლმე ცხოვრე- ბუთი ჯიჟიპ...
ბის კვირტსა.

ოო, ძვირფასო, ოთხო წელიწა-
ლო!

O-o, эти драгоценные четыре
года!

(И. Чавчавадзе. т. II, стр. 10).

„Четыре года“ („ოთხო წელიწადი“) — как одна ритмическая группа в этом маленьком отрывке встречается семь раз и каждый раз произносится различной мелодикой. В первом случае эта ритмическая группа повествовательная; во втором случае носит слабо эмоциональную окраску; в третьем и четвертом случаях — „знаешь ли ты, читатель, что это за четыре года — эти четыре года!“ — мелодика экспрессивнее, что осуществляется местоименными словами: „это“ („ეს“) и „что“ („რა“); в пятом случае мелодика усиливается местоименными словами „это“ и „те“ („ეს₁ ის ოთხო წელიწადია“); в шестом — „четыре года“ произносится усиленной эмоцией: „O-o, драгоценные четыре года!“ („ოო, ძვირფასო, ოთხო წელიწადო“). Здесь, как мы убедились, наблюдается мелодическая градация одной ритмической группы „четыре года“ („ოთხო წელიწადი“). Это наглядная иллюстрация того факта, что в грузинском ритмике невозможно представить без определенной мелодики и, наоборот, мелодика обуславливается ритмикой произношения; эти две стороны неразрывно связаны друг с другом.

„—აი, გაქვებულ ცხენზედ რომ კაცი
დგება, იმ კაცზედ კიდევ კაცი, მასზედ
კიდევ კაცი ა კიდევ და კიდევა!“

„—Вот, когда на скачущую лошадь
вспрыгивает человек, на этого чело-
века еще человек, на него еще чело-
век, и еще, и еще!“

(И. Чавчавадзе, т. II, стр. 196).

В этом примере мелодика при каждой ритмической группе постепенно повышается и в конце достигает кульминационной вершины „и еще, и еще“ („და კიდევ და კიდევა“).

გურული კილო

(მონოგრაფიიდან, 1936 წ.)

გურული კილო განვითარების დღევანდელ ეტაპზე

ზოგადად აღებული გურული კილოს სურათი მეტად ნაირფეროვნად იხატება, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს მონოლითურ კილოს. განსხვავება საგრძნობია არა მარტო მთისა და ბარის მიხედვით, არამედ თემებისა და სოფლების მიხედვითაც.

ეს, პატარა ტერიტორიაზე მოთავსებული, კილო გავლენას განიცდის იმ ენებისა და კილოებისას, რომლებიც მას ირგვლივ არტყია: ჩრდილო-დასავლეთით მეგრულ-ქანური, სამხრეთ-დასავლეთით შესხური და აპარული, აღმოსავლეთიდან კიდევ განიცდის სხვა ქართული კილოების გავლენას და განსაკუთრებით კი იმერულის, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს გავლენა მექანიკური იყოს ანდა მას ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ ზონაში, რომელშიაც გურულს ამა თუ იმ ენასთან აქვს ურთიერთობა. აქ მხედველობაში მისაღებია ერთი გარემოება: ისტორიულად გურიის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონია მოსახლეობის შინაგან მოძრაობას, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას, რომელსაც უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გურული კილოს ენობრივი ცხოვრებისათვის.

ამ შინაგანი მოძრაობისას ხდებოდა ერთი თავისებურების მეორე ადგილზე გადატანა, ხოლო მას ადგილზე ხდებოდა კიდევ ახალი ენობრივი თავისებურება, ამიტომაც არის, რომ გურული შეჯვარედინების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს თავისი ნარეობით. ამ შინაგან მოძრაობას საჩუღლად წმინდა ეკონომიური ინტერესები ედვა. ასე, მაგალითად, დღევანდელი სურების მოსახლეობა სრულებითაც არ ყოფილა ძველი მოსახლეობა. მათ ამ ნოყიერ ადგილებში დასახლებას ორი, თუ ერთ-ნახევარი საუკუნის ისტორია ჰქონია. ამ ფაქტს ადასტურებს ამ მხარის მოსახლეობის სიახლე და მოხუცების გადმოცემა. ამ მოსახლეობის ღენას ადგილი ჰქონია ჩრდილო მხრიდან სამხრეთისაკენ¹. ზემოთქმულს უნდა დაემატოთ კიდევ ის, რომ გურიის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონია მოსახლეობის გარედან ღენას, რაც მშვენივრად მქლავნდება დღეს გავრცელებულ უცხო გვარების აღმნიშვნელ სახელებში².

¹ ადლობას ეუცხადებთ ნ. ბერძენიშვილს. რომელმაც დაუხარებლად გაგვიწია კონსულტაცია გურიის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

² ამას უნდა დაემატოთ კიდევ ერთი გარემოება, რასაც კილოს ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ. ეს ის, რომ ძველად საცოლე ქალები მოჰყავდათ დაზორებული კუთხეებიდან, რადგან მუხობლის ცოლად შერთვა სირცხვილად ითვლებოდა. ხშირად სამეგრელოდანაც მოჰყავდათ საცოლეები. სხვა კუთხიდან მოსულ ქალს კი მოჰქონდა იმ კუთხის ენობრივი თავისებურებანი. ამას კი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც შეილი უფრო მეტად დღის ენობრივი გავლენის კვეზა, ვიდრე მამის.

ზოგადად აღებულს გურულ კილოს ჩვენ ვყოფთ ორ დიდ ნაწილად: ზემო და ქვემო გურულად. ამ დაყოფისას, რა თქმა უნდა, თვით გურული კილოს სინამდვილიდან უნდა გამოვდვიოდეთ და ეს სინამდვილე კი ამის საფუძველს გვაძლევს. ამ შემთხვევაში, ერთი მხრით, ვეყრდნობით ლექსიკურ სხვაობას და, მეორე მხრით კი, მორფოლოგიურს. მხედველობაში მისაღებია მეტყველების ტონი. მეტყველების რიტმი, მახვილი, რაც სხვადასხვაა ზემო და ქვემო გურულისათვის: სტადიური განვითარებითაც ზემო და ქვემო გურული სხვადასხვაა. თავისი სტადიური განვითარებით ზემო გურული უფრო უახლოვედბა ქვემო იმერულს, ვიდრე ქვემო გურულს¹.

ვხვდებით მთელ რიგ სიტყვებს უფრო დამახასიათებელს ან ზემო გურულისათვის და ან ქვემო გურულისათვის. დავასახელებთ აქ რამდენიმეს:

ზემო გურული

კარავი
უჯანგარი

ბარქაში
სასიმინდე
ფისალიე
ჩაფი
ხვადავი
ხალამი
ნაკოტარა
თული
ბადაგი
სანაბერწყლე

კენცხარე
ოსპილო
კარანჩხე
კიმე
პეტრე
კაპეტი
ურჯიკი
სეირანზე გასვლა
ეაშქულამი
ჩენმა
მოგირგვლა (ლობისა)

ქვემო გურული

აგვართა
დაბურული ტყე, ურეკი (ამასთან ურეკი ტყის სახელია ნატანების მახლობლად)

ხელგობაი
ნალია/ე
ხოზიკაი
კარიკაი
საქონელი
დერგი
ნაგულია
ყაჩალა, ფირალი
მოპეტემეზებული ტკილი
მაშა
კეცის ნატეხარაი
კურის სამშრალბელი
პატარე კალათაი
კირიმე
პატარაი, პაწაი
უყი
ჯიუტი
გარე გასვლა
შემტრამი
ფეხსადგილი
თავის მორცხვა

¹ ასეთი დაყოფა: ზემო და ქვემო გურულად, მხოლოდ პირობითად შეგვიძლია მივიღოთ. მათ შორის ზუსტი საზღვრის გაკლება შეუძლებელია და ამიტომ იგი ზოგადი დაყოფაა, დაახლოებით ასე შეიძლება განაწილდეს: ქვემო გურულს უკირავს ლანჩხუთის რაიონი და ოზურგეთის რაიონი. გარდა სამხრეთ მთიანი ნაწილისა. ზემო გურულს უკირავს ჩოხატაურის რაიონი და ოზურგეთის სამხრეთ მთიანი ნაწილი. ამ დაყოფას უფრო გამოხატავს „ზემო“ და „ქვემო“ გურული. რამდენადაც იგულისხმება უფრო მთიანი და ბარიანი ნაწილები, ვიდრე „აღმოსავლური“ და „დასავლური“.

ზემო გურული

ქვემო გურული

ლაბახო	ჯეფირი
ტყის მოქნა	ტყის გაკაფვა
ხრიკი	კოპე
შელო(კვა სალამო	შეცვა სალამო
საჩხინავეი (სახლის)	საქედავეი (იტყვიან: საჩხინავესაც)
ურატა (ყურძნის დასაწნები)	ტუკი
ეწერი მიწა	ქენტუაი.

„ოფირო“ იხმარება ზემო და ქვემო გურულშიც. ზემო გურულში ნიშნავს: „ბალის ტყავისაგან გაკეთებულ როგოს ამოსათარებელს, ღვინის სისუფთავის დასაცავად“. ქვემო გურულში კი „ოფირო“ ნიშნავს: „წისკვილის ჩიბოს“ და იღვევ „კოვზისმაგვარად გათლილ ხეს ნავიდან წყლის ამოსასხამად“.

ქვემო გურულში გავრცელებულია „ქილა“; ნიშნავს: საწყაე კალათს, ომელიც იტევს ერთ ფუთს. ზემო გურულში მას არ ხმარობენ. ქვემო გურულში ხმარობენ „ბადიშს“, ზემო გურულში — „შეილიშვილს“, ქვემო გურულში „ბიბო“, ზემო გურულში „პიპკი“, ზემო გურულში „ნაჯიგე“, ქვემო გურულში „ქეტო“. ქვემო გურულში ყანის საზღვარს ეძახიან „სამანე“-ს. ზემო გურულში იგი არ იხმარება. ქვემო გურულში „ფსორს“ ეძახიან მდინარე რომ კალაპოტს დატოვებს; ზემო გურულში „ფსორი“ არ იხმარება. ქვემო გურულში „ლოლოს“ ეძახიან კამეჩის პატარა შვილს ერთ წლამდე. ზემო გურულში არ იხმარება, რადგან საერთოდ ზემო გურიაში კამეჩი არა ძყავთ. ზემო გურულში „ჩოჩო“ ჰქვია ახლად ამოღებული ყველის ჩასადებ მთხუთხ ფიცრის კოლოფს, რომელსაც ნაჩერებები აქვს. ქვემო გურულში „ჩოჩო“ არ იხმარება. ქვემო გურულში „არანაბი“ ნიშნავს მოთხრილი მიწის გადასატანად მოწყობილ ძელს. ზემო გურულში ეს სიტყვა არ იხმარება და სხვ.

ისეთი სოციალური ხასიათის ტერმინები, როგორიცაა: „სალეერობო“ და „საკაო“, ზემო და ქვემო გურულისათვის სხვადასხვაა. „სალეერობო“ იხმარება ქვემო გურულში და ნიშნავს „მიწის ბეს“, რასაც მოზიარე მიწის პატრონს აძლევდა. ეს „ბე“ იყო როგორც ფულადი, ისე ნატურის სახითაც. „საკაო“ იმასვე ნიშნავს, რასაც „სალეერობო“, მხოლოდ იგი გავრცელებულია ზემო გურულში.

მორფოლოგიური სხვაობა ზემო და ქვემო გურულისა იმაში მდგომარეობს, რომ თუ სახელებისათვის ზემო გურულში დამახასიათებელია ა ან ე დაბოლოება, ქვემო გურულში მას შეესატყვისება აი ან ეი. ეს მორფოლოგიური სხვაობა ძალიან ზუსტად არის დაცული და იგი ისე ნათლად არის გატარებული, რომ მეტყველებისას უმაღვე შეამჩნიეთ, მეტყველი ზემო გურულის წარმომადგენელია თუ ქვემო გურულის.

ზემო გურული

ქვემო გურული

უცფათა/ე	უცფათაი
ყველა/ე	ყველაი, ყველაყაი
ჩუმათა/ე	ჩუმათაი
ეზალა/ე	ეზალაი
აქანა/ე	აქანაი, აქანეი

ზემო გურული

იქინა/ე
 ბაბა/ე
 ბალანა/ე
 შენისთანა/ე
 ურემა/ე
 ცხადათე
 ლობიე
 კერია/ე
 ბებია/ე
 ბაბუა/ე
 ძამია/ე
 დაია/ე

ქვემო გურული

იქინაი, იქინეი
 ბაბაი, ბაბეი
 ბალანაი
 შენისთანაი
 ურემაი
 ცხადათაი, ცხადათეი
 ლობიაი, ლობიეი
 კერიაი, კერიეი
 ბებიაი, ბებეი
 ბაბუაი, ბაბუეი
 ძამიეი
 დაიეი.

საკუთარ სახელეებში

გაბილა/ე	გაბილაი
დათია/ე	დათიეი
დათიკა/ე	დათიკაი, დათიკეი
ვახტანგა/ე	ვახტანგაი, ვახტანგეი
პეტრია/ე	პეტრიაი, პეტრეი
ოთარა/ე	ოთარაი, ოთარეი
ნონია/ე	ნონიაი, ნონიეი
ისიდორა/ე	ისიდორაი, ისიდორეი
თამარა/ე	თამარაი
პავლია/ე	პავლიაი, პავლიეი
დათიკელა/ე	დათიკელაი და სხვ.

თუ ზემო და ქვემო გურულისათვის დამახასიათებელი დაბოლოებების წარმოშობის შესახებ დავსვამთ საკითხს, ცხადია, ისინი ერთი წარმოშობისანი არიან, მაგრამ მასში გარკვეული დიფერენციაციაცაა მომხდარი ბგერითი სახე-ცვლილების ნიადაგზე. ჯერ ერთი, აი ქვემო გურულისა ზემო გურულში შეესატყვისება ე-ს. მეორე მხრით, ქვემო გურულის ეი იგივეა რაც აი.

შ ო ნ ე ტ ი კ ა

1. ბგერათა შედგენილობის მხრით გურული ახალს არაფერს იძლევა სხვა ქართულ კილოებთან შედარებით. სპორადულად ვხვდებით ბგერებს: ჟ და უმარცვლო უ-ს ანუ უბრაჯგუს. ეს ბგერები დღეს ქართული სალიტერატურო ენის ხმარებიდან უკვე გამოსულია, მაგრამ ისინი იხმარებოდნენ ძველ ქართულში.

ა მიღებულია ი-ს ხმოვნების შემდეგ დასმითა და დასუსტებით, მას მარცვლიანობა დაკარგული აქვს. იგი პალატალი ბგერაა, რომელიც შუა ენის სასასთან მიახლოებით იწარმოება.

მართალია, გურულში ხმოვნების შემდეგ სახელობით ბრუნვაში დასმული • უმეტესად სრული სახითაა შენახული, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც

ი-სა და ზ-ს აღრევას აქვს ადგილი. უფრო სწორად რომ ვთქვათ. პროცესი იოტიზაციისაკენ არის მიმართული.

ჩვენი დაკვირვებით, ეს პროცესი შედარებით ახალი ხანისაა, მაგ., ისეთ გამოთქმებში, როგორცაა: „ბაბაჲ, ნენაჲ, ცთაჲ (ცთაჲ ბედის მენახვერეაო), ნეტაჲ და სხვ. უთუოდ ისმის ზ, თუმცე შეიძლება ზოგჯერ სხვადასხვა ადგილას სრული ი-ც წარმოთქვან.

ასევე უმარცვლო უ (უბრჯგუ) მიღებულია უ ხმოვნის დასუსტების გზით, რომელსაც მარცვლიანობის უნარი დაკარგული აქვს, დღევანდელს სალიტერატურო ენაში მის მაგიერ ყველგან ვ იწერება.

უბრჯგუ გურულში ისმის შემდეგ შემთხვევებში: ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, მაგ: ბრეჭლი, ან ბეჭრი¹, ჰხაჭს (ყყავს). თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: ყუაფი, ყუაჭიჭა, ჩოუშუენ, ჩააცუნენ, თუარ (თუარ), ჯუარი, ქუაბი, თუეი, კუალი, ორუე, შვიდუე. კუარი, თქუა, გუარი, აყუანა, ბუე, ჩუენ, თქუენ, და სხვ. უბრჯგუ ისმის ისეთ სიტყვაში როგორცაა: უარი, სადაც უბრჯგუ თავკიდურად ზის და მას ხმოვანი მოსდევს². უბრჯგუს ხმარება უფრო გავრცელებულია მთის მიდამოებში.

გურული მეტყველების ინტონაცია არაა ყველგან ერთნაირი. ამ მხრივ განსხვავებას ეპოულობთ (ტონი, მეტყველების რიტმი, მახვილი) არა თუ ზემო და ქვემო გურულს შორის, არამედ მთიან და ბარის ნაწილებს შორისაც. რომ ავიღოთ მაგალითისათვის სურების მთიანი ნაწილი ინტონაციის მხრით, განსხვავებას ეპოულობთ ზემო და შუა სურებსა და დიდვანს შორის. კერძოდ, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო შუა სურების მეტყველების ინტონაციამ³. მათი მეტყველების პროცესი განსაკუთრებული ხანგრძლივობით ხასიათდება: „შუა სურებლებმა „დანაღვლებული“ ლაპარაკი იციენ, „გათრეული“, წირვხით რომ რამე გაგითრევია, იმფერი სიტყვები იციენო“. გვეუბნებოდა ერთი ზემოსურებელი.

რამდენადაც გურული მეტყველების ინტონაცია მრავალფეროვანია და რთული, ამდენად სპეციალურ კვლევას საჭიროებს ექსპერიმენტალური ფონეტიკის სპეციალური იარაღებით⁴. ამ სირთულეს ზედ ერთვის გურულების მეტყველების სისწრაფე.

გადავიდეთ ბგერათა ცვლილებებისა და ბგერათა შესატყვისობების განხილვაზე; ეს მოვლენებიც გურულში მდიდრადაა წარმოდგენილი.

იაფეტური ენათმეცნიერების ლიტერატურაში დიდი ხანია დადგენილია ბგერათა კანონზომიერი გადასვლის რიგი, როგორც სხვადასხვა შტოს, სხვადასხვა ჯგუფის ენათა შორის, ასევე ამა თუ იმ ენის შიგნითაც, რამდენადაც შეუუჯარღინებელი, წმინდა ენა არ არსებობს. კერძოდ იაფეტურ ენათმეცნიერებაში დადგენილია ბგერათა კანონზომიერი გადასვლის შემდეგი რიგი: ვ(ვ) მ მ კ → პ → ფ. ენახოთ ბგერათა ამ კანონზომიერი სახეცვლილების მაგალითები გურულში.

¹ შლ. ავ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკა, გვ. 9.

² შლ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 63.

³ ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბერიშვილების რამდენიმე მოსაზრე. რომლებსაც ადგილობრივად „საბერიშვილოს“ ეძახიან.

⁴ ეს ამოცანა ჩვენ სხვა დროისათვის გადავდეთ.

ვ || მ: „მარსკვლავები გეფუსო ცაზე“ (resn. ვარსკვლავები): „ამამსო ტუილებით“ (შდ. მესხური: „სამსე იყო და ველარ გამეიტანა“); „ორი ღერი აიტყვა ვიცოდი და იგიც ქე დამამიწყდა“ (შდ. აჭარული: „ეხლა ერი სიტყვა წამიწყდება“); „მიწრო აქ ფეხზე“ (ვიწრო).

ვ → ბ (ვ || მ \ 3) → ბ: „თიბა აბღარში იყო შენახული და იმიზა დაღბა“; „ქე ჩუღარდა კობზი ნაცარში“; „ნადირობის სტავლა ბობშობიდან უნდა“; „თებზი ზორბათ დეიჭირა ამ კაცმა“; „ღუღუყო რწყება აკვანს“; „ქლა საფსე საბარცხლები მეიტანა“.

ვ → ფ (ვ || მ \ 3 -- ბ) → ფ: „იმ საწყალს საფსე ქონდა ყორიფელი“; „ნაფთი მუტანიენ“; „ქე გუღუწყვიტა აფშარა“ (აფშარა); „კათშირში იყო მასან“ (კათშირში).

ვ → ბ: „საჯოხბლფეს და სურბლფეს იქინე ჩხუბი ქონდენ და იმიზა ქვია ნახუბარეს ფთაი“; „ღეიპნა აი კაცი ბრინჯივით“; „მუნგრია ყბაი“; „აპა (აბა) რა უნდა ექნა“; „დაპკოლებული კაცი“ (იტყვიან ისეთ კაცზე, რომელსაც რაიმე დაშავებული აქვს); „ღეიხვანა კპი-ლები“; „ჩავარდა უშველებელ ტბაში“; „საპქოს კრება“; „ტკბილი ცხოვრება“ და სხვ.

ვ → ფ: გურულში ძალიან ხშირად ბ ყრუვდება და ლებულობს ფ-ს სახეს მაგ., ხმოვნებს შორის: „სისაფუთეს გიჩვენეფ ამინუჩი“; „გააკეთენ ჯეფირი“ (ჯეფირი). აწმყოს ფუძის მაწარმოებელი ზმნებში -ობ და -ებ გურულში ისმის როგორც -ოფ და -ეფ. ასევე მრავლობითის მაწარმოებელი -ებ გურულში მიცემით ბრუნვაში ისმის როგორც -ეფ (შდ. მეგ. -ეფ) მაგ. „თუ დამითმოფ, აგაყვავეფ, საბძანებელს დაგიმტყიეთ“; „შენ გულს ნუ მიაკარეფ“; „მოქცემ ფულეფს“, „საჯოხბლფეს და სურბლფეს“. ან ასეთი ლექსი:

„სულსა მოქცემ, სულს გაჩუქეფ,
სიყვარულით გაგასუქეფ.
ისეთ ლექსეფს დაგიმღერეფ,
გაიდონას მეიგერეფ.
ზაფრიანსა გაგაციენეფ,
ჩენგურითა დაგაძინეფ“.

ვ → ბ (მ \ 3 → ბ): მ-ს თუ მოსდევს ზღეროი სიბილანტები ზ ან ფ, იგი იქცევა ბ-დ. მაგ.: „წინდაწინ ყავდა მობზადებული“; „კარი მუუგდე, ღამე იბზირება სახში“ (ნინოშვილი); „აი გერი ქე შეიქნა ბზის უნახავი“, „ბეავე წყალი“; „ბეავე წყალზე წვევიდა სახაეროთ“.

ვ → ფ (მ \ 3 → ბ → ფ): „მომე, ბიჭო, ერი კეკალი ფსხალი“; „ქლა ღუღუთო-ვია ფთაი“; „მოსათფენათ ძნელი იყო“; „მოტყტა ფხარი“; „მიორეფ ფხრით“.

ცხვირისმიერი ბგერები მ და ნ ენაცვლებიან ერთმანეთს შემდეგ მაგალითებში: „საინი დამინტრეი“; „ანდლოული (ამღვრეული) წყალი“; „ეილო ბრენია“; „ნიქელგაბრიელ თავარანგელოზი“; „შით იყო თურმე დანწყტოული“; „სამწახელს გაზღინდა“; „რას მენდური“.

დ → ტ: როდესაც დ მკვეთრ-ხშულების კ, ყ-ს გვერდით მოხვდება, იგი მკვეთრდება და ლებულობს ტ-ს სახეს, მაგ.: „ცოცხლითე მოკტა, ისთე შიარცხინეს“; „გასკტა კტეი“ (კლდე). ამ უკანასკნელ მაგალითში ჯერ მოხდა ლ-ს დაკარგვა ორ თანხმოვანს შორის და შემდეგ დ-ს გამკვეთრება კ-ს გავლენით. „ერი მანათი რომ დააკტეს, მაინც არ მივიღეფ“; „აი კაცი დადიოდა ყოველ კვირე სახტარზე“; ტ „სახტარში“ შედგება დ-ს გამკვეთრების, ხოლო შემდეგ მომხდარია ყ-ს ასიმილაცია და მივიღეთ „სახტარი“: „ნახენ ახორში დანწყტოული ქალი“; „მოწყტა აი კაცი და დიერანცხა“. ასევე დ მკვეთრ-ხშული ჰ-ს გავლენით მკვეთრდება და იქცევა ტ-დ, მაგ.: „გუფუქტა საქმე“; „ნახა გაზეთში დაბეკტილი“; „გაქუქტა საშინელათ“.

დ → თ: ისე, როგორც სხვა კილოებში, გურულ მეტყველებაში ძალიან გავრცელებულია დ-ს დაყრუება და თ-დ ქცევა¹. მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი დ ყრუედება და ისმის როგორც თ. ცდ და ხდ კომპლექსები ისმის როგორც ცთ და ხთ. მაგ.: „ტყულა ცთილოფ“; „გამოცთები ჩააბარა“; „მე რას მაწყენს მაცთური“; „ჩემ თავზე რა არ გადამხთენია“; „სამე არ დამარცხთეს“; „გახთა ბერი მონასტრისა“; „გულის ყორყუმი მოხთი“ და სხვა.

ჟ → ჯ: ჟ-ს მაგიერ ისმის რთული ბგერა ჯ შემდეგ მაგალითებში: ა) როდესაც ჟ თავკიდურად ზის და ხმოვანი მოსდევს. მაგ.: „ჯანგიდან ქლა შექმული იყო“; „მიციინდენ ჯანდრები“; „ჯინი მქონდა“; „ჯორდანის დროს იყო“; ბ) ორ ხმოვანს შორის: „დუუპაიჯებია სახში აი კაცი“; „ორი საჯენი კაძახი“; „სტრაჯები შამომესია“.

ზ → ძ: ზ ძ-დ იქცევა, თუ მას მოსდევს ე. წ. მდინარი ბგერები, რ, ლ, მაგ.: „შიასრულა მისი განძრახვა“ (შდ. საბა: ძრახვა); „ძრუგით ამოზიდა“; „იძლადნება საშინლათ“.

ც → ზ: ოცობით თვლის სისტემაში, როდესაც ც და დ ხედებიან მეზობლობაში, ყრუ ფშვინეიერი ც მეღერდება და ლებულობს ზ-ს სახეს. მაგ.: ოზდაერთი, ოზდაორი, ოზდაათი, ორმოზდახუთი, ორმოზდაჩვიდმეტი, სამოზდახუთი, ოდხმოზდაათი და სხვა.

გ → ქ: ბგერა გ ხშირად ყრუედება და ლებულობს კ-ს სახეს²; ეს იმ შემთხვევაშია, როდესაც გ მეორე ობიექტური პირის ნიშანია. მაგ.: „ორუეს ქეშია“; „ღმერთი მოქცემსო“; „ღმერთმა რომ არ მოქცესო“; „წახვიდე უნდა ამ და ამ ხენწიფესთან, ქთხოულოფსო“; „მევეყრობი ისთე, რავაც შენ ქცემ პატისო“; „ქხარჩავ ოზდახუთ წელიწადს“; „გუნება ქლათ დამეკარქა“ და სხვ.

შ → ჩ: თანდებული ში კილოებში ზოჯჯერ გვხვდება ჩი-ს სახით (მაგ. სახჩი=სახლში). გურულში მას ადგილი აქვს შემდეგ მაგალითებში: „მიდღემჩი გაქიერებული იყო“. თშ კომპლექსი გვადლევს ჩ-ს. მაგ.: „შიარტყა ფერჩი (ფერღში → ფერთში)“; „ამინუჩი გაჩთი“; „იმი-

¹ იხ. გ. ახვლედიანი. ყრუ mediae კართულში, 1920 წ.

² იქვე.

ნუი მუუტანა“. გურულში ზმნა „ხარშვა“ წარმოდგენილია „ხარ-
ვა“-ს სახით (აქედან „ხარჩო“): „დადგა იქინე ქუაბი, საცხა ხორცი
უნდა მოხარჩულიყო“.

წ → ტ: ძალიან ხშირად სწ კომპლექსი წარმოდგენილია ხტ კომპლექსის
სახით, მაგ.: „სტორეთ უბედურს გლახა დროი მიესტროა“; „რუსეთში
ნასტავლიაო და ამით გამაბრძვიყა“ (ნინოშვილი); „გაასტორა ბერ-
დენე“, „დღეისტორამდი“ და სხვ.

11. გურულში ძალიან გავრცელებულია ასიმილაციისა და დისიმილაციის
შემთხვევების ყველა სახე: სრული, ნაწილობრივი, რეგრესული, პროგრესული.

1. ნაწილობრივი ასიმილაციის მაგალითები თანხმოვნებში: ღ ყრუფში-
ნაგების მეზობლობაში განიკლდის ნაწილობრივ ასიმილაციას და იქცევა ზ-დ,
მაგ.: „რა იქნებოდა ხეთის უქეთისი“; „გუშხამ იყო აი ამბავი“; „დაწერა
ქახალდი (წერილი)“; „ვინცხა“; „რაცხა“; „რომელიცხა“.

ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევებია: „დღუწყო შინჯვა“; „გაშქარი
შუაზე“; „მომჰამა თხარი“; „შეიყვანა გადასთომაში“ და სხვ.

2. სრული ასიმილაციის შემთხვევები: „ექელა შაშუალმა დევმა“; „გაიყვა-
ნეს შოშე (შოსე)“; „ცოციალისტი კაცია“.

3. ასიმილაცია ხმოვნებში: ა) ნაწილობრივი, მაგ.: „აზნოურშვილი“ —
(აზნაურიშვილის მაგიერ). -გულ სუფიქსი, რომელიც ნიშნავს მემკვიდრეობის
ქონებას, გურულში გავრცელებულია ოულ-ის სახით. ნაწილობრივი ასიმილა-
ციის გამო, მაგ.: „ოტიესოული“; „კენტროული“; „პაიქესოული“ და სხვ.

ბ) სრული ასიმილაცია: „საჯოხლები (საჯაოხლები)“; „გარამობა“;
„რემელი იყო“ (შდ. მესხური: „იქ დახვთა ერთი ქალი, რემელმაც უთხრა“);
„რეველი — რავალი“; „მუშოფს“; „ჭიღოობაში გამეიწვია“; „საცოდოობაში
ჩავარდა“; „მისი ვინობა“; „მოორე კვირეც გვიდა“.

გურულში მეტად გავრცელებულია პრევერბების ასიმილაცია მომდევნო
ხმოვნების გავლენით. დამსგავსება ხდება როგორც ნაწილობრივი, ისე სრუ-
ლიც¹. მაგ.:

მო-:	მოუკალით	→	მუუკალით
	მოუქნია	→	მუუქნია
	მოუკრა	→	მუუკრა
	შემოაგჯა	→	შემუაგჯა
	მოუცემია	→	მუუცემია
	მოგეკალი	→	მეგეკალი
	მოიწყინა	→	მეიწყინა
	ამოილო	→	ამეილო
ა-:	აილო	→	ეილო
	ავიდა	→	ევიდა
	აუარა	→	ოუარა → უუარა
	აუწონა	→	ოუწონა → უუწონა
	აუშენა	→	ოუშენა → უუშენა
	აუარდა	→	ოუარდა → უუარდა
	უასარულა	→	ოუსარულა → უუსარულა

¹ შდ. შ. ა უ ბ უ ა, ხემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა გვ. 11.

და-:	დაიკივლა	→ დეიკივლა	
	დაიჭირა	→ დეიჭირა	
	დაეკითხა	→ დეეკითხა	
	დაელია	→ დეელია	
	დაესიზმა	→ დეესიზმა	→ დეისიზმა
	დაეკითხა	→ დეეკითხა	→ დეეკითხა
	დაეხოცა	→ დეეხოცა	→ დეეხოცა
	დაემშვიდობა	→ დემშვიდობა	→ დემშვიდობა
	დაუძახა	→ დოუძახა	→ დუუძახა
	დაუსვა	→ დოუსვა	→ დუუსვა
	დაუყვირა	→ დოუყვირა	→ დუუყვირა
	დაუთმო	→ დოუთმო	→ დუუთმო
გა-:	გაიქცა	→ გეიქცა	
	გაიტანა	→ გეიტანა	
	გავიდა	→ გევიდა	
	გაუშვა	→ გოუშვა	→ გუუშვა
	გაუსვა	→ გოუსვა	→ გუუსვა
	გაუმეორა	→ გოუმეორა	→ გუუმიორა
	გაუხარდა	→ გოუხარდა	→ გუუხარდა
	გაუხლა	→ გოუხლა	→ გუუხლა
	გაუცხადა	→ გოუცხადა	→ გუუცხადა
	გაუჩნდა	→ გოუჩნდა	→ გუუჩნდა
წა-:	წავიდა	→ წევიდა	
	წაიყვანა	→ წეიყვანა	
	წაიძრო	→ წეიძრო	
	წაიკითხა	→ წეიკითხა	
	წაიკრა	→ წეიკრა	
	წაიტეხა	→ წეიტეხა	
	წაეჩხუბა	→ წეეჩხუბა	→ წეეჩხუბა
	წაუსვლელობა	→ წოუსვლელობა	→ წუუსვლელობა
	წაუვიდა	→ წოუვიდა	→ წუუვიდა და სხვა.
ჩა-:	ჩავიდა	→ ჩევიდა	
	ჩაიდვა	→ ჩეიდვა	
	ჩაუშვენ	→ ჩოუშვენ	→ ჩუუშვენ
	ჩაუწყვიტა	→ ჩოუწყვიტა	→ ჩუუწყვიტა
	ჩაუბერია	→ ჩოუბერია	→ ჩუუბერია
	ჩაუყარა	→ ჩოუყარა	→ ჩუუყარა
შე-:	შემოიჯინა	→ შამეიჯინა	
	შეადარა	→ შიადარა	
	შეეძინა	→ შიეძინა	
	შეატყო	→ შიატყო	
	შეუშვა	→ შოუშვა	→ შუუშვა
	შეუკურთხა	→ შოუკურთხა	→ შუუკურთხა
	შეუფუტა	→ შოუფუტა	→ შუუფუტა.

4. გარდა ამისა არის შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს ძირის ხმოვნის ცვლილებას. კავშირები რომ, რომელ, ხომ, რატომ ძირის ხმოვანს იცვლიან და ო-ს მაგიერ გვაქვს უ (ო → უ). მაგ. „ყოლი რუმარ ვითხოვო, არ იქნება“ (ეშ. მათრახი, 1921 წ. № 55, გვ. 15); „ასე რუმ“ (შდ. აპარული „ფუტრის პირიდან რუმე თავრობა დალოცილია“); „ხუმ არ მიგიყიდა“ (ეშ. მათრ., 1915 წ. № 16, გვ. 6); „ხუმ გითხარია“; „რუმელ მიწაზე იკეთეთ“; „რატუმ იკადრეთ მაგას“; ეს მოვლენა გურულში უფრო სპორადულია; ის უფრო დამახასიათებელია აპარულისა და მესხურისათვის (იხ. მაკარ ხუბუა, ზემო აპარის ენობრივი მიმოხილვა). თითქოს ასეთსავე მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი გურულში ისეთ სიტყვებში, როგორცაა: „ტუმარი“ და „ფულაქი“ (შდ. მესხური: „ფულაქი“).

5. დისიმილაცია: „არაფელი (აფელი) არ იცის“; „კაი გაჩალხულია“; „ნენი გამიწყლება“; „დელექტორი“; „აფელი არალის“ (შდ. მესხური: „აქეთ იხედება — არალის, იქეთ იხედება არალის, წყალში იხედება — არალის“); „ამელი ამ კაცმა ლივერი“ (შდ. მესხური: „ლივერით აშინამს“); „ლეფსი და ძაფი“; „ქალონის ძალით“.

III. ბგერათა გადასმის შემთხვევები: „თელი ღამე ყალაურობდა“; „მაი ჩენი სოფლის აგრამონია (აგრანომია)“; „სასიძომ ნამეტარი გაჯუარდა“; „ძულე გასხნა“; „დაახსი ნენა წყალი“; „მძრაველი კაცი იყო“; „ძანიალ კას კი იზამ“; „ყუეარია ვახეთქილი და იმიზა გამონოფა (გამოფონა)“; „გრიშის თმაი (გიშრის თმა)“; „პატივის ცემა ვერ შეიღრისია“; „ძრუგით ამოზიდა“; „ღურბელით დეიქუბლა ცაი“; „მანგალი“ (ნამგალი); ეს უკანასკნელი („მანგალი“), უფრო სწორი ფორმაა, ვიდრე დღევანდელ სალიტერატურო ენაში ხმარებული „ნამგალი“. ამ მხრივ გურულს მხარს უჭერს მესხური, სადაც, მსგავსად გურულისა, „მანგალი“ ხმარება (შდ. ლაზური — მანგალი).

IV. ბგერათა დაკარგვა: 1. ხშირია გ-ინის დაკარგვის შემთხვევები. გ-ინი იკარგვის როგორც ო-სა და უ-ს წინ, აგრეთვე თანხმოვანთა შორისაც¹. გ-ინი ამ შემთხვევაში მეტად მოირაგია გურულში ისე, როგორც სხვა ქართულ კილოებშიც: ა) გ-ინის დაკარგვა ხმოვნებს შორის: „კოლექტიობა დაარსთა“; „ბზის უნახავი აგროებდა და აგროებდა აუარებელ ოქროვერცხლს“; „ცოტა მუხლები მტკიოდა, ზეით ვერ დავბრუნდებოდი, გული სულ ამას ჩიოდა“; „წმინდა გიორგი, შენ დემიცილი“. „მაშინ ერი წლის ცყოფილიყაი“; „გვერძე მიეწეი“; „ყმათაც ვიყაი“; „ბიძაჩემს წაყეი“².

ბ) გ-ინის დაკარგვის შემთხვევები თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: „გადიწყვიტა ულაშები“; „აღისხეისავით აყუდებულა“; „არც საწყესავშო გზანიდა და არც აფერს აკეთებიებდა“; „რასაკვირელია“ და სხვ.

გ) გ-ინი იკარგვის თანხმოვნებს შორის: „მომიღელს დახრუტა გადაუწყვიტა“; „მოფერებით, მოყრულ სახით“, „ხენწიდეც ომში წასლა მუხბთა“; „მოსთა ტყეია“, „კილამ მოკტა ელანძე“; „თრამეტი მანათი“; „თექსმეტა სული“³ და სხვ.

¹ შდ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 205. შდ. ბ. ხუბუა, ზემო აპარის ენობრივი მიმოხილვა.

² შდ. ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 174.

³ იხ. არნ. ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 70.

გ-ინი, როგორც პირველი სუბიექტური პირის ნიშანი, უ-ს წინ იკარგება, მაგ.: „უთხარი, არ დეიჯერა“; „ქე შოუთვალე“; „უცხადეთ საჯაროთ“; „მაგას უჩვენეთ სიერს“.

2. რ-ს დაკარგვის შემთხვევები: გურული მეტყველება ერთად შეყრილ თანხმოვნებს ვერ იტანს და მას ამარტივებს. მით უმეტეს, თუ ან ერთად შეყრილ თანხმოვნებში მოხვდა ე. წ. მდინარი ბგერები რ და ლ. მათი ბუნება ისეთია, რომ ისინი უსათუოდ უნდა დაიკარგონ. მაგ.: რ იკარგვის, თუ იგი ორ თანხმოვანს შორისაა ან ორი თანხმოვანი მოსდევს მას. მაგ.: „სასიკტილოთ შეებძოლა“; „აქანე ყველე ზდილობიანია და შენ რეიზა გამოდი ასეთ უზღელი“; „გასცა ბძანება“; „განაგძო გზაი“; „ოენო დანაშაული“; „სახე გუუბწყინდა“; „მუუწითლე ამ ჩუენ კვტრეფსო“; „ჩადეჟთა ხენწითის შვილმა“; „ქცხვენოდეს უნდა“; „მიიდუა თავზე ხელი ბენიებით“; „გულცფელი კაცი“; „ატყტა გვინვა და მეხი“; „რაც ეს ქთამებს იღებს“ (ნინოშვილი); „სახში დამჩა“; „ქთიან შიშით“; „ბეურ ბძოლეფში გამოწთნილი“; „უშეელებელი ღმა წყალი“; „გვალი ხერხი“ და სხვ.

3. მ-ანის დაკარგვის შემთხვევები: გურულში ისე, როგორც სხვა ქართულ კილოებშიც, იკარგვის მ-ანი, როგორც სახელბთან, ასევე მიწ-ლეობბებთანაც. მაგ. „ღვდელმა ჯუარი არ დაწერა“; „მომართა შვილდისარი“; „მამა დიდარი ყაელა“; „თან მიხზობა მას წვეარი პატრონისათვის გამცემ ტერათ“; „გაცხთი სხერაღლი ბოროტ ტრისა“; „თავის ფისტო ორი ტყვიით ზურაფს დაადო კერაელა“; „ჯუაროდს თელი დლეი“; „ძიმე ჰვირთი იყო“; „ხარმა გელი ცეხლისკენ გადმუაგდო“; „მაშვინ გელმა ბიძაჩემს ეტაკა წიფზე“; „ლაშე წყალი“; „მამისი“ (მამისი); „თხლე ნაქანი“; „თუარე“; „თავრობა“. მიმლეობბებში: „კვტარი მეიყვანეს“; „გადაარო დუღარე“; „გლოვიარეთ იყვენ“. უფორმო სიტყვებში: „ყმაწვილო, იარალს რო წმენდ, არ აგვისრულო, რო გვპირდებოდი“; „ხო გითხარი, ჩემო იმაო“¹ და სხვა.

4. ლ-ს დაკარგვის შემთხვევები: ლ-ს დაკარგვის უფრო ხშირად აღდილი აქვს თანხმოვანთა შორის. ამ შემთხვევაში ლ რ-ს ბედს იზიარებს. მაგ.: „აი კაცი გადავარდა ქქემი“; „ამოსვარა სისხში“; „მივიდა ჯიანქველე თაფთან (თაფლთან)“; „მევიდა სახში“; „იყო ერი ხენწიდე“; „ციხე ამალდა“; „ბეური არ უქტა (უქლდა) ეოსვლას“; სხვა შემთხვევებში: „აკიდა ჯორს ერთი სააანე (საბალნე) ოქრო-ფერცლი“; „ღვალი ცაქე მაქ და ბილი ცაქე“ (ნინოშვილი).

5. ზ-ს დაკარგვის შემთხვევები: ზ იკარგვის ხმოვნებს შორის, მაგ.: „რა გაქ მაი (მაგი) ხელში“; „აი (აგი) კაცი“; „იი კაცი“; იკარგვის ქ-ს წინ, მაგ.: „შენ ერთი ძულე მიქონდაო“; „წაი, იი ჩემი სასახლე ქონდესო“; „მაი კაი ჰკვიანი ტყავი ქონებდა და მომყიდო“ და სხვა. ზ იკარგვის კ-ს წინ მაგ. „შენ უნდა დაკლან“ (ტექ. 111,6) და სხვა.

6. დ-ს დაკარგვის შემთხვევები: დ იკარგვის უმთავრესად ხმოვნებს შორის შემდეგ მაგალითებში: „როის მუა აი კაცი“; „ხიისთავშია (ხილისთავშია) წასული კვირაობაზე“; „წენ იმ კონკში წეი“; „ჩაი (ჩადი) ახლა თავ-ლაში“; „შენ წაი, მონახე ერთი ტრიალი მინდორი“.

¹ იხ. არნ. ჩიქობავა, გარკვევითი დიალექტოლოგიურად, გვ. 70.

7. არა მარტო ბგერების, არამედ ზოგ შემთხვევაში მთელი მარცვლების დაკარგვასაც აქვს ადგილი შემდეგ მაგალითებში: „რა იყო კიმე (კირიმე)“; „ძალი ხეარ (ხომ არ) ვარ“; „ქილამ (კინალამ) დეცა თავში“; „აფელი არ აქ-“; „ვეფერი ვერ ნახა“ „ყოლთინ (ყოველთვის) კი გააკეთეფ“: „ქორცოული“ (საყანე ადგილის სახელია საქამიასერზე), ნიშნავს ქორიძისეულს; „კვინტროული“ (ასევე საყანე ადგილის სახელია), ნიშნავს კვინტრადისეულს. „პაიპესოული“ (სოფლის სახელია), ნიშნავს პაიპადისეულს; „ქილაიც დეღე“, „ქილაიც უთაი“, ნიშნავს: „ქილადის დელეს“, „ქილადის მთას“. სიტყვა გოგოს მიმართვისას ზოგჯერ კვეცენ და წარმოთქვამენ მხოლოდ პირველ რცვალს: „რაია გო მაი“; „გო, სა მიხვალ“ და სხვ.

V. თუ ზემოაღნიშნულ მაგალითებში ადგილი ჰქონდა ბგერათა დაკარგვას, გურულში, ისე როგორც სხვა ქართულ კილოებშიც, ხდება იმავე ბგერების ჩართვა-განვითარება ისეთ შემთხვევებში, სადაც ის თითქოს არ არის მოსალოდნელი.

1. მ-ს განვითარების შემთხვევები: მ-ს განვითარებას ადგილი აქვს მკვეთრ ხშულების წ, კ, პ-ს წინ, მაგ.: „გამწყნარდა მწყესი მურია“; „ჩამკვეთა უმკვეთოთ“; „შეიყვანეს სამპყრობიღეში“; „გლახათ რაეა მეგეპპყრობი“: „ბეური იმწვალა“ და სხვ.

2. ბ-ს განვითარების შემთხვევები: ზოგჯერ მ-ს მეზობლობაში ვითარდება ბ. ამ შემთხვევაში ე. წ. გარდამავალი (დამოკიდებული) ბგერა იღებს დამდგარი (დამოუკიდებელი) ბგერის სახეს, იმ მომენტში, რომელიც საჭიროა მ ბგერიდან მის მომდევნო მეზობელ ბგერაზე გადასასვლელად¹. მაგ.: „გეიმსო ეზო სტუმბრებით“: „კამბეჩის ხელა კაძახია“; „გოგეი ხუმბარია ჩქარ-ჩქარა იპარცაედა წვერსო“; „ძან გემბრიელი იყო“; „გამბრავლდა შენი გვარი“; „მბრავლწობა“ (მრავალწობა — დღესასწაულია). გურიაში ერთი მცენარის სახელი არის: „ლუქუმბა“, მაგრამ მას ზოგჯერ ეძახიან: „ლუქუმფხას“. ამ უკანასკნელ მაგალითში ფ-ს გარდამავლობიდან დამდგარი ბგერის სახე აქვს მიღებული ისე, როგორც ზემო მაგალითებში ბ-მ მოიპოვა ეს სახე.

ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი სიტყვებში: „გამფხება“; „ლამფხობა“; „დემფხო, დემფხო, აღარ გეყავს ბატონი და აღარც გვინდა, — დაიგრიალა ხალხმა“ (ნინოშვილი).

3. რ-ს განვითარების შემთხვევები: აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ კილოში. მაგ., ქართლურში სიტყვა ხბო მრავლობითში იხმარება „ხბორები“-ს ფორმით, რაც მხოლოდობითში გულისხმობს ხბორ ფუძეს, მაგრამ მხოლოდობითში, როგორც პროფ. აკ. შანიძე შენიშნავს, „ეს ფუძე აღარსად ვხვდებ“ (გრამატიკა გვ. 35). გურულში ჩვენ გვქონდა შემთხვევა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაგვეჩირა მხოლოდობითში ფუძე ხპორ (ბ-ს მაგიერ პ. იხ. ზემოთ) ესეთ წინადადებაში: „ვის უნახავს ძროხა უხპორო“. ამ შემთხვევაში რ-ს განვითარებასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, პირიქით, ეს უნდა იყოს უფრო არქაული ფორმა (შდ. გემორ).

იქ, სადაც სამწერლობო ენაში რ არ იხმარება, გურულში ვხვდებით მას შემდეგ მაგალითებში: „მივიდენ ერ არდგილას“ (შდ. მეგრ. არდგილი); „ლუ-უწყო ლაპარაკი ამ ურცხო კაცს“; „ერი კაცი ეხვერწებოდა ღმერთს“ და სხვ.

¹ იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი და ექსპერიმენტალური ფონეტიკის ლექციები, გვ. 6.

4. სპორადულად ყრუ ფშვინიერი ფ ვითარდება შ-ს წინ. მაგ.: „ფშლუი კაცი“ (შლუი); „ფშილიკა“; „მიახობოლა ფშუკა-ფშუკა“ (შუკა); „ფშეკრის ფურცელი“ (შეკრის ფურცელი); „ფშუკურა ნიგოზი“; „ფშტვირი ღუუკრეს“; „ღუუფშტვინა პოზნმა და ღუუფშტვინეთ ჩვენც“ (ეშ: მათ., 1908 წ. № 25, გვ. 13). აღსანიშნავია გარეკახურში ერთი მსგავსი მაგალითი. სადაც შ-ს წინ ფ არის მ-ს ნაცვლად — „ფშელი“¹ (შვლის ნაცვლად).

5. ნ-ს განვითარების შემთხვევები. ნ ვითარდება წინაენისმიერ ყრუფშვინიერი ც-ს და წინაენისმიერ მეღერ ძ-ს წინ შემდეგ მაგალითებში: „მილინცია იყო“; „ანი ინძრა, ბანი ინძრა“; „გამიღვინდა მონადირეს“. ყრუ ფშვინიერი ჩ-ს წინ: „ტუნჩი“ და მკვეთრი ხშული ტ-ს წინ: „კინტრივით წაადრო თავი“; „დიპლომანტი“.

VI. ადგილი აქვს ფონეტიკურ სახეცვლილებებს შემდეგ ბგერით კომპლექსებში:

1. ოვა=უვა=უა. მაგ.: „კაი ძალუანი“; „ძალუანი გაკუქტა“; „წამუარდა ზეით“; „მოთხუა ქალი“; „წამუატანე ხელი“; „მუა მალე“.

2. ვი=უ, მაგ.: „საშინელი წუმა გევიდა“; „ძულა გააკეთა“; „აწი ტყულა ნულარ ცთილოფ“; „კუმატი (კვიმატი) დღეი“; „კუმატაი (კვიმატაი) აქ ფეხებში“ (თითების ავადმყოფობა); „გვიმბრა — გუმბრა“.

3. ვა=ო, მაგ.: „გვევიაროთ სხოგან“; „სხომის მუა“.

4. ვე=ო, მაგ.: „არ იყო მიჩოული საქმის გაკეთებაში“; „სახლის დარღოვა“ (სახლის დარღვევა).

VII. აღსანიშნავია ხმოვნების ჩავარდნის შემთხვევები მთელ რიგ სიტყვებში. ეს უფრო გავრცელებულია იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი სიტყვის ბოლოკიდური და მეორე სიტყვის თავკიდური ერთნაირი ან სხვადასხვა ხმოვანი ერთმანეთს ხვდება. მაგ.: „კი არ“, ხმოვნის ჩავარდნის ნიშანად, გავრცელებულია „კ' არ“ ფორმით. მაგ.: „ქალთან კ' არ შეიძლებოდა სხვაი დამეღარიყო“; „ნახშირი კ' არა, ხუთი ფუთი ოქრო მქონდაო“; „კ' არ ქონია, ტყულე თქუა“; „კ' არ მუუტია“; „კ' არ უთქუამს“ და სხვ.

ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი მტკიცებით ნაწილად „ქე“-სთან, როდესაც მას „არ“ მოსდევს, მაგ.: „ქ' არ (ქე არ) იუკადრისა“; „ქ' არ გამომიბეჭუა ყური“; „ქ' არ გადამაყოლა ზეთ“; „ქ' არ მომქლა კაკალი კაცი“; „ქ' არ მოსულა“; „ქ' არ წუთლია“; „ქ' არ მომქტარა“; „ქ' არ უუტეხა ჩხუბი“; „ქ' არ იყვირა“ და სხვ.

ხმოვნის ჩავარდნას აქვს ადგილი როდესაც „გადა“ (რთული) პრეფერბი და ქცევის ხმოვანი ან ვნებითი გვარის მაჩვენებელი ხმოვანი მოხვდება ერთად. პრეფერბის ბოლოკიდური ა იკარგვის, მაგ.: „ამ კაცმა გადაიკიდა (გადაიკიდა) თოფი“; „გადირიე დედაკაცო“; „ხმალი გადუტყტა“; „გადიგლო ხურჯინი ფხარზე“; „გადიარა ცხრაი ფთაი“; „გადიქტა ირემათ“ და სხვა.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

I. ბ რ უ ნ ე ბ ა

1. სახელობით ბრუნვაში ბოლოხმოვნიან სახელებს დაერთვის ი ხმოვანი (როგორც ქვემდებარეს, ასევე ამხსნელებსაც), რომელიც ზოგჯერ სუსტდება

¹ იხ. არნ. ჩი ქ ო ბ ა ვ ა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად. გვ. 70.

და 4-დ იქცევა (იხ. ზემოთ). o დაერთვის სახელობითში ოთხივე ხმოვით ფუძედამთავრებულ სახელებს.

ა-ზე: „გადაარონია ცხრაი ფთაი“; „რვაი კეკალით“; „შენ ხარ ჩემი დი, ჩემი ძმაი“; „ცაი ლუბლავს, ბზეი ბწყინავს“; „დამიცივინა თმაი გრიშის“; „დეიწყო ხნაი“; „ლუუწყენ ხეს თხრაი“; „მუუქცია ყბაი“; „დადგა ტპაი“; „რაი გაქ ხელში“; „სხუაი“; „ნეტაი, ნენაი და ბაბაი დამანებებდენ“ (ნინო-შვილი).

ე-ზე: „ამუარჩინ დიდი ხეი“; „ქტეი, ღრეი“; „დარიეი გეიქცა, ბებიეი იმის მოსანახავათ არის“ (ნინო-შვილი); „ძამიეი, დაიეი რათ შინდა“ (ნინო-შვილი); „დაგექცა კერიეი“; „აქანეი, იქინეი“; „გეიარა ორი თვეი“; „დეესხა თავზე თხლეი“; „ორი ღლეი“.

ო-ზე: „მუაწია წასვლის ღროი“; „დეიქირა ხპოი“; „მუაყარა ჩხოი“; „ჩამოყარა რკოი“.

უ-ზე: „დეესხა ბრუი“; „მევიდა აი ცრუი“; „მეხთა ყრუი“; „ფშლუი“; და სხვ.

2. ბოლოხმოვნიანი სახელები ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში თავისებურებას მით იჩენს, რომ ფუძეში კვეცადობა არ ხდება, არამედ სრულ ფუძეს პირდაპირ ერთვის ბრუნვის ნიშნები, მაგ., გვაქვს: ძმაის, დაის, ძმაით, დაით (და არა: ძმის, ღის, ძმით, ღით). მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ა) ნათესაობითი; „ყბაის ძვალი“; „დათიეის ქრისტინე“; „ვინცხაის ბრალია“; „დემიტრაის ამოგდება“; „ლევანიკაის ბატონი“; „უნაგერაის ბოგაზე“; „ზალიკაის კარაეთან“; „ზენაის ბინდი“; „ქვეყანაზე დათიკელაისთანაიცი ბეერია, ბეიკელაისთანაიცი და ლევანიკაისთანაიცი“ (ნინო-შვილი); „რეის უნდა მეშინოდეს“ და სხვ.

ბ) მოქმედებითი: „ძმაით და დაით მდიდარია“; „გათფა ბზეით“; „რეით გეიმართლეთს თავს“; „მოკაზმა ცხენი უნაგერით“; „მოთრაქენ ტუმარაით“; „გაძლა ღორი რკოით“; „კუბოით ჩამუასვენენ“ (წყველა); „ისარგებლა ღროით“; „ღლეით“ და სხვ.

გარდა ამისა, როგორც ეს დასავლურ კილოებს სჩვევია, გურულში ბოლოთანხმოვნიანი სახელების ნათესაობით, მოქმედებით და მიმართულებით ბრუნვებში ფუძის კუმშვადობა არ ხდება ფუძეკუმშვად სახელებთან. ფუძე სრული სახითაა წარმოდგენილი. მაგ.: ნათესაობითი: „ქმარის ეშინია“; „წყალის შესხმა ღუუპირა“; „ნიგოზის ძირში“; „მინდორის ბოლოში“; „ღიაკონის შვილი“; „საპონის წამალი“; „ბალის ტყაეი“; „ძვალის ავანტყოფობა“. მოქმედებითი: „ბედნიერია ქვარით და შვილით“; „ეიმყარა პირი ნიორით“; „ღვდელი ღიაკონით“; „გეიბერა წყალით“; „გაძლა ბალით, ყურძენით“; „ურემით მიზიდა“; „ძვალით დეისჩვა“. მიმართულებითში „წყალათ იქცა“; „საპონათ მუადულა“; „ღიაკონათ ნამყოფია“. გურულში სახელთა ფუძის კუმშვადობა ღღეს სამწერლობო ენის გავლენის გამო შერყეულია და შესაძლებელია აღნიშნული შემთხვევები გურულმა ზოგჯერ ფუძე შეკუმშულად წარმოადგინოს.

3. მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი დ, ისე როგორც სხვა ქართულ კილოებში, ყრუვდება და ისმის როგორც თ. მაგ.: „კაცათ არ ვარგა“; „გლახათ მეიქცა“; „წევიდა საომრათ“; „შვილათ უნდოდა“ და სხვა. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი დ სახელებს

მოკვეცილი აქვთ. ეს მოვლენა გავრცელებულია ზმნიხედებზე, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე: „როგორ“. მაგ.: „თათრულა ხომ არ ხარ გაზდილი, ღვინოს რომ არ სუამ“; „გაარტყა ვაწკაღსურა“; „წამევიდა კაძახურა“; -გააკეთე შენებურა, კარქა“; „აღარ უქნა სხომინდულა“ და სხვ.

ან კიდევ ასეთი ლექსი:

„გულს იჯერეფ ვაშკაცურა,
თუ გაგყიდოს შენ ფულეზე,
აგრე ჩუმა დედაბრულა,
თუ გიყვარვარ არ დუღუთო
ადვილა და მეგობრულა“.

4. შელოცვებში სპორადულად გვხვდება საკუთარი სახელები, სადაც მსგავსად ძველი ქართულისა, ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში უფორმოდაა წარმოდგენილი, მაგ.: „იორა თქუა“; „კურმუზო თქუა“, რადგან ასეთი მოვლენები შელოცვებში გვხვდება, ვფიქრობთ, ძველი ქართულის გავლენაა.

5. მრავლობითი რიცხვი უმთავრესად ებ-ით არის ნაწარმოები. არის შემთხვევები, როდესაც ორმაგი მრავლობითი წარმოებაა: ნ და ებ-ით, მაგ.: „ყმანები“; „მერე ბატონმა განუაცხადა: ყმანებო, თავისუფალი ხართო“; „დანები“; „მძანები“; „ბიძანები“; „მამიდანები, დეიდანები“. გვარები უმთავრესად ორმაგი მრავლობითითაა ნაწარმოები, მაგ.: „შარაშიძნები“; „ბოლქვანები“; „გოგიბერიძნები“; „ნინიძნები“; „სალუქვანები“; „მახარაძნები“; „სირაძნები“; „ქიქოინები“; „ნაკაძნები“¹ და სხვა. თავისებურადაა წარმოდგენილი მრავლობითში სიტყვა „ჩაი“; ჩა — ჩებნი“; „რა ბალახინია ჩენი ჩებნი“.

აღსანიშნავია მრავლობითის მაწარმოებელი ებ-ის წინ და ე ბოლოხმოვნიან სახელებთან ი ხმოვნის გაჩენა. ეს მოვლენა უფრო მასობრივია მესხურში და აქარულში², ხოლო გურულში მას ზოგ შემთხვევაში აქვს ადგილი, მაგ.: „ყანიები“; „ქვატიები“, „ლელები“, „მერიები“, „ბოგიები“ (შდ. მესხური „წისქვილის ქვიები“; „შამამიჯექ ფთიებზე (ფრთებზე)“; „ციხიები“ და სხვა).

ი ხმოვანი ებ-ის წინ, ჩენი აზრით, ასიმილაციით უნდა იყოს მიღებული. იმის გამო, რომ გურულში, მესხურში და აქარულში იშვიათად ხდება ფუძის კუმშვაღობა, ა და ე ბოლოხმოვნიან სახელებს როდესაც ემატებათ მრავლობითის მაწარმოებელი ებ, ხდება ასიმილაცია. მაგ.: ყანა+ები—ყანეები — ყანიები; ლულე+ები — ლელიები; ქვა+ები — ქვეები — ქვიები და სხვა (შდ. გურული: დესიზმა — დესიზმა — დესიზმა; დაეცა — დეეცა — დეეცა; შეეშინა — შიეშინა; შეატყო — შიატყო).

II. ნაცვალსახელები

გურული თავისებურებას იჩენს ზოგი ნაცვალსახელის წარმოებაშიაც:

1. მესამე პირის ნაცვალსახელი „ის“-ის მაგიერ გვხვდება ყველგან იგი || იი. იგი „ის“-ის მაგიერ ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია, კერძოდ „ვეფხისტყაოსნისათვის“.

¹ К. Дондуа, О двух суффиксах множественности в груз. яз. გვ. 61.

² იხ. მაქარ ხუბუა, ხვთ აქარის ენობრივი მიმოხალვა, გვ. 14.

ა. „იგი წავიდა, დაბრუნდა ყნა გზასა თავის წინასა“ (კარიჭაშვილის პანტოც. ხანა 954.)

ბ. „იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ შაბნარისა“ (ხანა 957).

გ. „იგი რა ჰნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს“ (ხანა 960).

გურულში: „იგი კი რაცხაა, მოდის და მოდის თანდათან“; „იგი მამა-შენია. იგი ბაბუაშენია“; „იგი წვეიდა სახში“; „მოთხარენ იგი“; „წაი და იი ჩემი სასახლე ქონდესო“; „იი რაცხა იყო, მობურღლულობდა საშინელათ-და სხვ.

2. ჩვეულებრივია ჩვენებითი ნაცვალსახელები: ა გ ი, მ ა გ ი, რომლებიც ზოგჯერ ა ი, მ ა ი-ს ფორმას იღებენ გ ბგერის დაკარგვით. მაგ.: „აი (აგი) სასმისი უნდა დიელია ყველას“; „აი აბღალე ევიდა ხეზე“; „ვისია, გოგია, მაი (მაგი) ცხენიო“; „მაი სასიხარულო არის ჩვენთვის“ და სხვ.

3. მრავლობითში სამწერლობო „ამათ“ და „მათ“-ის ნაცვლად გურულში ყველგან იხმარება „აგენი“ და „იგენი“ (შდ. ძველი ქართ. იგინი). მაგ.: „შეიძლება ვინმემ იცოდეს აგენში ჩემი მარიამი“; „დაამზადენ აგენმა ძან ბეური ოქრო“; „აბა რემელი მოქწონს აგენში“; „იგენს არ ყავდა შვილი“; „თურმე აგანის თავადობა აგი ყოფილა“ (ნინოშვილი); „იგენმა კი უთხრეს ხენწიფეს“; „აბა რა უქილარიენ იგენს“ და სხვ.

III. ზმნები

გურული ზმნები, საერთოდ, შედარებით სხვა ქართულ კილოებთან, მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. თავისებური სემანტიკის მქონე ზმნები ჩვენ ცალკე გვაქვს გამოყოფილი (იხ. ქვემოთ); აქ შევვებებით ზოგი ზმნის თავისებურ წარმოებას.

1. ზმნები: ცმევა, რთმევა, კმევა, სმევა დროთა პირველი სერიის ფორმებში იხმარება: ვაცუმ, ვართუმ, ვკაქუმ, ვასუმ ფორმით (და არა: ვაცმევ, ვართმევ, ვაქმევ, ვასმევ).

2. მოვა ზმნის გავება გურულს შერჩენილი აქვს, მსგავსად ძველი ქართულისა, როგორც აწმყო დრო (ძვ. ქართული „მოვალს“) მაგ.: „ამ დროს მუა კიდომ რაცხა კივილით“.

3. ზოგჯერ ვ ა ლ ფუძის ადგილას გამოყენებულია რ ე ბ. მაგ.: „შუაღღებე გადარებული“; „ელანზე აგერ მეზობლისას გაღვიარ“; „გაღვიართ ლობერზე“; „გულში რაჟა გევირებდი“; „გამუარე ღოქში წყალი“; „ყვავილში გამორებული“ და სხვ.

4. ქ ო ნ ე ბ ა, ისე როგორც სხვა ქართულ კილოებშიაც, თავისებურადაა ნაწარმოები, კერძოდ: მაქ, გაქ (იმის მაგიერ რომ იყოს: მაქვს, გაქვს, აქვს): „რაი გაქ ხელში“; „აფერი არ აქ“, მრავლობითში: გვაქ, გაქვენ, აქვენ.

5. ფუძე ქ ე რ გავრცელებულია ქ ა რ ფორმით. მაგ.: „ორი ხელი მამა-ქარი“; „თვითონ წვეიდა ტყეში წქნელის მოსაქარათ“; „იმ კაცს თავი მოგ-ქარი“; „ქე უნახავს აი განაქარი მუცელი“ და სხვ. (შდ. მესხ.-აქარ.: „პური მოგშქარი“).

6. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აღსანიშნავია ზოგი გარდაუვალი ზმნის აწმყო დროის შესამე პირში -ის დაბოლოება, მაგ.: „მიტომ მებრალვის ნშობელი“; „ქარქა იხარჩვის“; „ორი ქე ხართ, თუ გეშინის, მოგიმატევ მესა-

მესო“ (შდ. ვაჟა: „არ თუ გეშინის დავისა“, ტ. III, გვ. 166,22); „იზობის ბოვშის მუცელში“; „შენ სვანი ხარ, არ გემტყუნის კიდეც წახვიდე გვარზედა“; „თუ გევიგეთ, სა იმალვის“; „ყოველ მულამ სხვა ეხრიკვის“; „ჩვენ ტყეში ათასი ფირალი დეიშალვის და მე რა ღმერთი გამიწყლება“¹ (ნინოშვილი).

7. არის შემთხვევები, როდესაც სახელწმინის -ება სუფიქსის ნაცვლად -ობა იხმარება, მაგ.: „მერე დევიწყოფო“; „ყველას მორჩილება გუღუწი“; „მიძრობა მიწაში“; „რას მიპიროფ ახლა“; „ტრუალოფს და ტრუალოფს აი კაცი“²; „თრობა ყოლოდღე“ და სხვ.

8. მრავლობითი რიცხვის მესამე პირის დაბოლოება საერთოდ. გამოუკლებლივ აორისტიისა, წარმოდგენილია ენ-ით. გურულში ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სუბიექტური და ობიექტური წყობის აღრევასთან და ამიტომაც ენ დაბოლოებაა ხმარებული იმ შემთხვევებშიაც. სადაც ან ან თ დაბოლოება არის მოსალოდნელი. მაგ.: „ნენა ახლანდელი ციცეები გასუნელებული არიენ და შინ არ დგებიენ“; „არიენ კლავმარები“; „იმფერი სიტყვენი იციენ“. თ-ს მაგიერ ენ: „ნეტაი ეძინენ“; „ალარ გეყვენ“; „ფიქვეფს და ნაფვეფს ცაში ქონდენ წვერი“; „თერალი მაყრები პოდიენ და ქალი მოყავენ“; „თქვენ თუ გაქვენ, თუარა იგენს რომ აქვენ ქე ვიცი“; „ალარ გეყვენ იგი“; „რა უქილარიენ იმგენს“ და მისთ.

9. პრეფიქსების ხმარების მხრით შემდეგი მდგომარეობაა:

1. სუბიექტური პირველი პირის ნიშანი ვ-ინი უ-ნის წინ იკარგვის ზღვრლებრივ (იხ. ზემოთ).

2. სუბიექტური მეორე პირის ნიშანიც გურულში დღეს აღარ იხმარება ისე, როგორც სხვა დასავლურ კილოებში.

3. მესამე ობიექტური პირის პრეფიქსი ზოგიერთ ზმნებში დღესაც ანბარება, როგორც წარსულის ნაშთი³; მაგრამ ძალიან შესუსტებული სახით. აი, ხმარების შემთხვევები: „ამიელო ხანჯალი და მო-შ-ქრა ყველა თავები ამ დევს“; „შ-ქყვერთა და შ-ქყვერთა წელზე წყებელი“; „იმისთანაი თიაქარი შქირს თურმე, რომ დიემართება ბნედასავით გააგორებს. ზოგი იმასაც ჩივა, ბნედა შქირსო“ (ნინოშვილი, ტ. II, 239,21). ყველა ამ მაგალითში მესამე ობიექტური პირის პრეფიქსი ხ შ-დ არის ქცეული მკვეთრ-ხშულ ჰ-ს წინ. ხ გვხვდება მესამე ობიექტური პირის პრეფიქსად წინაენისმიერი ბგერების თ, ძ, ძ, წ, ც-ს წინ შემდეგ ზმნებში: „შეიტანა სარი და ს-თუთქა თავში დედაბერს“; „მოგვიდე წალდს ხელი, დავარტყი ორხელ, მარა მას აფერი არ და-ს-ტყობია“; „ძველი კაცი ფარას რომ ეისესხებდა, ვექსილათ ულაშს მეიწიქეტა და იმას მი-ს-ცემდა“; „დიდი დავილის მერე და-ს-წერა ჯუარი“; „ხალხი ერთხმად გე-ს-ძახებდა, რომე არაა საჭიროვო“; „ადგა და ქალსა შე-ს-ძახა, ქალო რამ გაგამწარაო“; „სწყენენ ჩემი მისლა და მეც ქე დევეთხუე“ (ნინოშვილი, პარტახი, 40,19). ხ თუ დ-ონით დაწყებული ზმნების წინ მოხვდა,

¹ შდ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნელის მთავარი თავისებურებანი, გვ. 212.

² იხ. ვ. თ. ფურია, კართლური, გვ. 143.

³ იხ. ამის შესახებ საციციალური გამოკვლევა: ა. შანიძე: სუბიექტური მეორე პირისა და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსები ქართულ ზმნებში. ა. შანიძის აზრით S₂ და O₂ პირის პრეფიქსები დასავლურ კილოებს არ გააჩნიათ, მაგრამ იქვე შენიშნავს: „საციციალურმა შესწავლამ შესაძლებელია გამოარაკიოს, რომ იქნებ S₂ და O₂ ზოგიერთ ზმნებში მაინც, დასავლურ კილოებსაც მოეპოვებოდეს, როგორც წარსულის ნაშთი“, გვ. 172.

მეღერდება და იქცევა ზ-დ: „მო-ზ-დის კუკი დედინაცვალს“; „ჩემ ქალიშვილს მო-ზ-დგომია და ლანძღავს“ (ნინოშვილი, ტ. II, 220,24); „ამ საქმის შესრულება ზ-დომებოდა“. ჰ, როგორც მესამე ობიექტურ პირის პრეფიქსი, ძალიან სუსტი სახითაა შერჩენილი კ და ხ ბგერით დაწყებული ზმნების წინ: „ამიღო ფიშტო და ჰ-კრა ჩემ ცხენს“; „ში კაკალ თვალში ჩა-ჰ-კრა“ (ნინოშვილი, ტ. II, 60, 27); „რავა მო-ჰ-კტომია გული“ (ტ, II, 237,18); „ნენას და ჩემ დას ავი სიტყვა არ ჰ-კაღრო“ (პარტახი, 15). „ყოლა“ ზმნა გურულში თავისებურადაა ნაწარმოები. კერძოდ, როდესაც მას მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი ჰ ესმის წინ, ხდება ყ-ს ასიმილაცია და მისი ხ-დ გადაქცევა. მხოლოდ ჰ ძალზე დასუსტებული სახით ისევე რჩება, რაც წარმოთქმაში ხ-ს ნამდვილ ხ-საგან განსხვავებულ სახეს აძლევს. მაგ. „ძალლი უკან მიხზობოდა, ყმაყოფილი კულის ქნევით“ (შდ. მესხური: „ორი ბიჭი დახზოვია“, ამ შემთხვევაში ჰხ კომპლექსი ბუნებრივია); „პატარა გოგოას ჰხაედა ერთი ცხენი“; „მამა ისთე დიდარი ჰხავს, ფულთ გაგიტენის ჯიბეს“¹.

ეგნატე ნინოშვილს ყურადღება არ მიუქცევია იმ გარემოებაზე, რომ ამ შემთხვევაში ხ-სთან ერთად სუსტი ჰაეც ისმის და მის ყველაზე ნაკლებ შერყენილს ნაწერებში და ავტოგრაფებში წარმოდგენილია ხ უპაეოდ, მაგ.: „იგი და ნენაი ერთია, იგი, რომ მიმახელოს, დანთ დამკლავს და სხვას წა-ხ-ობა“ (ტ. II, 263,18); „გვირგვინი მო-ხ-ობა ამ მეორესო“ („პარტახი, გვ. 24,21): „გა-ხ-ობოდა დედას და თითო საათს ჩუმთაი ეჩურჩულებოდა“ (პარტახი, 43,21): „ეშმაქს მი-ხ-ავს ჩემი სული და ავ საქმეს ასაქმებს“ (პარტახი, 45,18); „ერთი ფიქრიდან მეორეს გა-ხ-ობი და მერე აღარ გათავდება“ (პარტახი, 57,23); „რელიზა ვარ ცოცხალი, რელიზა არ გაე-ხ-ევი ჩემ ლუკასო“ (პარტახი, 69,5). ყველა ამ შემთხვევაში საპირთა ხ-ს წინ ჰაე იყოს დასმული, რადგან, მართალია ძალიან დასუსტებული სახით, მაგრამ გურულის წარმოთქმაში მას უთუოდ აქვს ადგილი².

IV. ზოგი თავისებურება სუფიქსურ წარმოებაში

1. -ელ სუფიქსი საერთოდ სალიტერატურო ქართულში და ზოგ სხვა ქართულ კილოშიც მაჩვენებელია ადამიანთა სადაურობის, ხოლო მისი სინონიმი -ურ იხზარება არაადამიანთა სადაურობისათვის. მაგ.: კახელი შეიძლება იყოს მხოლოდ კაცი. კახური შეიძლება იყოს ღვინო ან სხვა რაიმე უსულო საგანი. საერთოდ, სალიტერატურო ქართულში ამ სუფიქსებს გარკვეული სისტემა აქვთ. გურულში კი ისე, როგორც ზოგ სხვა ქართულ კილოში, -ელ და -ურ სუფიქსთა სემანტიკა არ არის განსხვავებული. მაგ., ამბობენ: „ლანჩხეთელი კაცი“ ან „საჯოხელი კაცი“. ასევე ჩვეულებრივად ამბობენ: „ლანჩხეთელი სიმინდი“ ან „საჯოხელი ღვინო“. ისე, როგორც სალიტ. ქართულში

¹ გურულში მესამე ობიექტური პირის პრეფიქსის არსებობას ყურადღება მიაქცია ჰ. ლომთათიძემაც, რომლის აზრითაც „ყოლა“ ზმნასთან გურულში ხ არა ყ-ს ასიმილაციის შედეგია (ხაე), არამედ იგი ჰესაგან არის მიღებული და შემდეგ მომხდარა ყ-ს დაკარგვა. აერთოდ, უნდა ითქვას: გურულში ყ-ს დაკარგვის არც ერთ შემთხვევას არა აქვს ადგილი.

² კომპარატიუ ჩაწერაში ხ ბგერისა სიტყვა „ხელში“ და სიტყვა „ხაეში“ გვიჩვენა დიდი განსხვავება, რადგანაც პირველ შემთხვევაში სუფთა ხ ბგერასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორე შემთხვევაში ხ-სთან ერთად ძალიან სუსტი სახით ჰაეც მონაწილეობს.

ამბობენ ჩვეულებრივად: „გურული კაცი“ და „გურული ლობიო“ (უნდა იყოს გურური, მაგრამ ერთი რ დისიმილაცია ქმნილია). ასევე, ჩვეულებრივად, განუსხვავებლად იტყვიან: „ასკანელი კაცი“ და „ასკანელი მიწა“ (თეთრი მიწა, ე. წ. ასკანიდი). „სურებელი“ გურულების გაგებით შეიძლება იყოს კაციც და თაფლიც, „სურებელი ხაპი“¹ და სხვ.

2. ზოგ ვენებით მიმღეობის ზმნას -ილ-ის მაგიერ -ულ აქვს გამოყენებული, მაგ.: შეკერ-ულ-ი, გათხო-ულ-ი და მისთ.

3. აღსანიშნავია სუფიქსი -ფხე, რომელიც ქალთა გვარებს აწარმოებს და უჩვენებს ქალის წარმოშობით გვარს, მაგ.: ცინცაიფხე, ლლონტიფხე, უჯმაჯურბფხე, ჯიბუტიფხე, ასათიანიფხე, ჩანტლაიფხე, იმნაიფხე, ჯიბლაიფხე და სხვ. (შდ. მეგრ. -ხე).

4. თავისებურია გურულში საკუთარ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები. ისინი განსხვავებული არიან იმის მიხედვით, აღნიშნავს დამცირებას, განდიდებას, აღერსსა, თუ კინობითობას. საკუთარ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები სხვადასხვაა ზემო და ქვემო გურულის მიხედვით. მაგ., თუ ქვემოგურულში საკუთარი სახელები ირთავენ -აი დაბოლოებას, ზემოგურულში მისი ეკვივალენტი -ე არის. მაგ., ქვემოგურულში იტყვიან: გაბილაი, ზემო გურულში: გაბილე. მსგავსად ამისა: პავლიაი — პავლეი; ისიდორაი — ისიდორე და სხვ.

ერთ-ერთი მაწარმოებელი სუფიქსი საკუთარი სახელებისა არის -ია/ე, რომელიც საერთოა ზემო და ქვემო გურულსათვის და რომელიც შეიძლება დაერთოს ყველა საკუთარ სახელს, როგორც ხმოვნით ფუძედამათავრებულებს, ასევე თანხმოვნით ფუძედამათავრებულებსაც.

ა-ზე დამთავრებული ფუძეები: კოლა-ია/ე, თინა-ია/ე, ოლა-ია/ე, კოსტა-ია/ე, ეკა-ია/ე, ნინა-ია/ე, ესმა-ია/ე და სხვა. ჩამოთვლილ მაგალითებში ია/ე-ს დართვის შემდეგ ფუძეში არავითარი ცვლილება არ ხდება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ია/ე-ს დართვისას ფუძისეული ა იკარგვის მაგ.: შაშა-ია/ე, ამბობენ: შაშა/ე. ამის მსგავსად იწარმოება: ვერია/ე და სხვ.

ე ხმოვნით ფუძედამათავრებული საკუთარი სახელები -ია/ე-ს დართვისას კარგავენ ფუძისეულ ე-ს. მაგ.: პეტრესაგან გვაქვს: პეტრია/ე. ამის მაგვარად იწარმოება: პავლ-ია/ე; თეკლ-ია/ე; მოსია/ე და სხვ.

ო-თი დაბოლოებული ფუძეები -ია/ე სუფიქსის დართვისას ჩვეულებრივ არ იკვეცებიან, მაგ.: ზაქრო-ია/ე; კატო-ია/ე; ნინო-ია/ე; სელო-ია/ე; მაშო-ია/ე და სხვა.

ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი ი ხმოვნით ფუძედამათავრებულ სახელებშიაც, მხოლოდ -ია/ე-ს დართვისას ფუძისეული ი იკარგვის ორი ერთნაირი ხმოვნის ერთად შეხვედრის გამო; მაგ.: ალათ-ია/ე; ბუფუტ-ია/ე; დომენტ-ია/ე, ამბერკ-ია/ე და სხვა.

-ია/ე ემატება უ ხმოვნით ფუძედაბოლოებულ საკუთარ სახელებსაც, მაგ.: კუკუ-ია/ე; კუკუ-ია/ე; შუტუ-ია/ე და სხვა.

კინობითის მაწარმოებელია -იკა/ე სუფიქსი. მაგ.: სიმონ-იკა/ე; მარ-იკა/ე; ელემ-იკა/ე; ზალ-იკა/ე; ივან-იკა/ე; ლევან-იკა/ე.

დამამცირებელი მნიშვნელობა აქვს სუფიქსს -ელა/ე-ს. იგი შეიძლება დაერთოს ყველა საკუთარ სახელს. მაგ.: კიკიკ-ელა/ე, მარიკ-ელა/ე; გოგი-ელა/ე; ლადიკ-ელა/ე; სოსიკ-ელა/ე; დათიკ-ელა/ე და სხვა.

¹ ამ მოვლენას გურულში პირველად ყურადღება ი. მეგრელიძემ მიაქცია.

ვფიქრობთ, ეგნატე ნინოზვილმა მეტად ოსტატურად გამოიყენა გურულში არსებული საკუთარ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები, რომ მკვეთრად გავსვა ხაზი იმ კლასური დაპირისპირებისათვის, რომელსაც ის გვიხატავს თავის ნაწარმოებებში¹.

ე. ნინოზვილი, როგორც დაჩაგრული კლასის იდეოლოგი, თავის ტანჯულ და საყვარელ გმირთა საკუთარ სახელებს დამამკირებელი სუფიქსებით ხმარობს, მაშინ როდესაც, მაღალი წრის წარმომადგენელ გმირთა საკუთარი სახელები „მოსარიდებელი“ ფორმითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ეგნატე ნინოზვილი ცოცხალ სინამდვილეს გვიჩვენებს. ერთი მხრითაა: დავით, ტარიელ, იასონ, ლევან და სხვა. მეორე მხრით კი „დაბალსისხლიანები“. „გოგია“, „სიმონანი“ „თედორიკი“, „ბავლიაი“, „ბუბუკაი“, „დათიკელი“, „ლევანიკი“, „ბესიკელი“ და სხვა².

V. თანდებულები

გურულში საქმე გვაქვს თანდებულების თავისებურ ხმარებასთან.

1. ნანათესაობითარი მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი -ის და გვაძლევს -იზა-ს, რაც მნიშვნელობით უდრის -თვის, მაგ. „ლექსის სუსტათ გამოთქმიზა“; „ჩემი გულიზა“; „ღმერთს იმიზა გუუჩენია ქვეყანა“; „ამიზა გუუზნებოლი“; „ყველუზა (ყველიზა) უთქვამს“; „ცხენიზა შეუქმოვია“; „სახლიზა მინდა“; „წყალიზა წვეიდა“ და სხვა. ამ შემთხვევაში -იზა მიღებულია ფონეტიკური სახეცვლილებების ნიადაგზე³-ის და დან. ჩვეულებრივი ახსნა ამ მოვლენისა ასეთია: ჯერ მომხდარა ყრუ სისინა ბგერის ხ-ს გამეღვრება და ზ-დ ქცევა დ-ს მეზობლობაში, შემდეგ კი მომხდარა დ-ს დაკარგვა (კაცის+და→კაციზ+და→კაცი+ზა).

2. -თვის ისე, როგორც ზოგიერთ სხვა ქართულ კილოებში, იხმარება -თვინ ფორმით, მაგ.: „მაი სასიხარულო არის ჩემთვინ“; „ოქროსთვინ“; „წყლისთვინ“; „ყანისთვინ“ და სხვა.

3. -თან თანდებული კარგავს თ ბგერას და გავრცელებულია -ან სახით. მაგ. „ეთერმა წვეიდა ბუღუამისან“: „მიწასან გაასტორა“; „სახლსან მიიყვანა“; „შეიკრიბენ ხენწიფესან“; „ნახა წყაროსან“; „შიარცხენია უფროსებსან“ და სხვა. ამ შემთხვევაში თ-ს დაკარგვა გამოწვეულია მისი მსგავსი მეზობელი ბგერის ს-ს გავლენით (მიწასთან — მიწასან).

4. გურულში აღსანიშნავია -გან თანდებულის ხმარების თავისებურება. ის ზოგჯერ იხმარება -გინ ფორმით. ეს ფორმა მითაა საყურადღებო, რომ იგი ა-ს მაგიერ ი ხმოვნითაა წარმოდგენილი (შდ. უკინ) ისეთ ორმაგ ბრუნვაში დასმულ სახელებში (ნათესაობითსა და მოქმედებითში), როგორიცაა მაგ. „ვებდგინ (ვისითგინ) ეს საქმე მომხთარა“; „ჩემდგინ ნუფერს ნუ ელი“; „მიზდგინ (მისითგინ) რა მახსოფს კაის მეტი“; „თქვენდგინ ყორიფელს მეველი“; „ხეთიზდგინ (ხეთისთგინ) დაწყველილი“; „რიზდგინ კნილა აი საქმე“. საერ-

¹ იხ. ა. შანიძე და ვ. თოფურია, ქართული ენის განაკვეთები, დაუსწრ. პედ. ინსტიტუტის გამოცემა, გვ. 5.

² ე. ნინოზვილი მეტად ოსტატურად აწარმოებს არა მარტო საკუთარ სახელებს, არამედ გვარებსაც. მაგ., ერთი მხრით: მკლაგაძე, დროიძე და სხვები; მეორე მხრით: თიშვილი, ჩანჭარაძე, ცოდვიშვილი და სხვა.

თოდ, გურულში ამ შემთხვევაში ნათესაობითის მაგიერ მოქმედებითის ბნარება ჩვეულებრივი მოვლენაა; მაგ., იმის მაგიერ რომ თქვას: წერილი მივიღე ძმისაგან, დისაგან, დედისაგან, მამისაგან და სხვა, გურული ყოველთვის ამბობს: წერილი მივიღე ძმადან, დაიდან, დედიდან, მამიდან, ბიძიდან და სხვ. შეცდომით ნათესაობითის მაგიერ მოქმედებითის სმარებას არამც თუ კილოებში. სალიტერატურო ქართულშიაც აქვს ადგილი მაგ.: „შედგება სამი ნაწილიდან“ (ნაწილითგან → ნაწილიდგან → ნაწილიდან).

5. ზემო გურულში, თუმცა სპორადულად, მაგრამ მაინც ვხვდებით - უნდ ნაწილაკს (ზოგჯერ კენ-ის სახით). მისი დანიშნულებაა აღნიშნოს დამატების მრავლობითობა²; მაგ. „ქე უთხარიყე“; „ბალნებმა გადენოსყენ ხუადავები“; „მოხიკოსყენ (კენ) ბალნებმა ფიჩხები“; „მოწიკოსყენ წყლები“; „მისიყსყენ ფულები“ და მისთ.

ს ი ნ ტ ა ძ ნ ი

გურულის სინტაქსი განსაკუთრებულს, თავისებურს არაფერს აილკება სხვა ქართულ კილოებთან შედარებით. აღნიშნავთ ზოგ მხარეს.

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხმოვნით ფუძედამთავრებული სააელები გურულში სახელობითში ირთავენ ო ხმოვანს. ამ მოვლენას, ამასთან ერთად, სინტაქსური მნიშვნელობაც აქვს სახელთა ბრუნვაში შეთანხმებისათვის, მაგ.: „გადაარონია ცხრაი ფთაი“; „ნეტაი ნენაი და ბაბაი დამანებებდენ“ (ნენა-შეილი), „გეიარა ორი თვეი“; „ჩემი დაი, ჩემი ძმამი“; „კაი ციცი“.

2. ზოგ შემთხვევაში ისე, როგორც სხვა ქართულ კილოებშიაც, სააე-საობითი ბრუნვის ხ მოკვეცილი აქვთ სახელებს, მაგ.: „მოვიდა იმ ხი ძირში“; „და აქ და ისეთ საწყლათ ცეხლი პირში“; „ვერ შეიღრისთა პატევი ცემან“; „ხარი იარალი“ (ხარის იარალი); „წვეიდა წყალზე ტანი საბანათ“ და სხვა.

3. გარკვეული სინტაქსური მნიშვნელობისაა ზმნების წინ დასმული ქე ნაწილაკი, რომელსაც მტკიცებითი მნიშვნელობა აქვს. ქე ხაზს უსვამს რაიმეს შესრულებას და აძლიერებს მის მნიშვნელობას. მაგ.: „ოთხმოცი წლის ქე ვარ“; „ქე მევიდა“, „ქე უქენ სამისო“; „ქე გითხარი, ჩემო ძმო, ცხენი არა წმანვილია“, „შეიძლება ქე დამძრახონ ზოგიერთმა ამის ქნაზე“. ან კიდევ: „ქარ (ქე არ) გამომიბუჟა ყური“; „ქარ მოკლა კეკალი კაცი“ და სხვა (იხ. ზემოთ).

4. მსგავსად ძველი ქართულისა იხმარება განსაზღვრებითი ნაწილაკი იგი — იი; მაგ.: „საშიშრათ მიექცა იგი კაცი“. ამ ფრაზაში იგი ვანსაზღვრებითია. იგულისხმება, რომ ზემოთ ლაპარაკი იყო გარკვეულ პირზე, რომელსაც ამ შემთხვევაში „იგი“ სცვლის. ასეთსავე მოვლენას ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებში: „იგი ისარი ჩავარდა გლეხის ენოში“; „იი (იგი) ანგელოზი გამიეცხადა“. იგი ძველ ქართულში ქვემდებარეს არ ეთანხმება მრავლობითში. მოვიყვანოთ მაგალითები „ეფთხისტყაოსნიდან“:

„ფრიდონ მონა გამოჰგავნა: „წა პნახეო იგი სპანი“. „სპანი“ მრავლობითშია, მაგრამ „იგი“ არ უთანხმდება რიცხვში. ასეთსავე მოვლენას აქვს

¹ იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული სალიტერატურო ენის წორების დადგენისათვის. ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები. 1934 წ. გვ. 17.

² იხ. არნ. ჩიქობავა, აქვ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, წელიწდული. გვ. 32—68.

ადგილი. გურულში, მაგ.: „იი გლეხები“; „იი ბაღნები უნდა მემეკლა“; „იი ჩიტები“ და სხვა.

5. ადგილი აქვს შეუთანხმებლობას რიცხვში ქვემდებარესა და შემასმენელს შორის. სალიტერატურო ქართულში, თუ ქვემდებარე სულიერია, ის ყოველთვის ეთანხმება ზმნას რიცხვში, შეიძლება ეს შეთანხმება დარღვეულ იქნეს, თუ ქვემდებარე უსულაა.

გურულში კი ამ მხრივ დიდ აღრევას აქვს ადგილი. შეთანხმება რიცხვში არ ხდება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის არც პირველსა და არც მეორე შემთხვევაში. ავიღოთ ისეთი მაგალითები, სადაც ქვემდებარე მრავლობითშია, ხოლო ზმნა კი მხოლოდითში: „დაახრაგუნე და ვეზირები გამოვა“; „თურმე მოხულა ქინკები“; „გაფრინდა ჩიტები“; „მეცვიდა მაყრები“; „წვივიდა ხტუმრები“. არის შეთანხმების ასეთი შემთხვევებიც: „მას ყავდა ორი კაი სიძენები“; „შისმა ორმა უფროსვანებმა სიძენებმა მულტანეს ირმის რძეი“; „ორი ძმანები“ და სხვა.

6. გურულისათვის დამახასიათებელია გარდაუვალ და საშუალო გვარის ზმნებთან დროთა მეორე ჯგუფში ქვემდებარის მოთხრობითში დასმა. გარდაუვალ ზმნებთან დროთა მეორე ჯგუფში ქვემდებარის მოთხრობითში დასმა სამწერლობო ქართულში ჩვეულებრივია, ხოლო გარდაუვალ ზმნებთან დროთა მეორე ჯგუფში ქვემდებარის მოთხრობითში დასმა, მეტ-ნაკლებად, დამახასიათებელია საერთოდ ქართული კილოებისათვის¹. გურულში ეს მოვლენა გატარებულია თავიდან ბოლომდის: „ვაქარმა ადგა“ (შდ. მესხური „ადგა ირემა“); „წაყვა ამ კაცმა“; „წვივიდა სახტარზე ეთერმა“; „დილას ადგა ამ კაცმა და წვივიდა“; „ამ კაცმა მოყვა ნელ-ნელათე და მევიდა“; „ქაჯმა ერთი კი წიქცა“; „ამ კაცმა ძირს ჩაშევიდა“; „ხარმა დაწვა“; „მარიამის ქმარმა მუშუყვა ამბავი“; „უენწიფემ გაჯუარდა“; „ქურდებმა დეიმალენ“; „ამ კაცმა დაედა ქუაზე“; „მეც ქე გათფი და იმანაც ქე გათფა“; „დეინძრა მატარებელმა — დეინძრა ბალხმა“; „დედაბერმა ჩამუარდა ხიდან“; „ძალმა დაბერდა და ველარ ყფეს“; „ქალებმა გასუქთენ ბახმაროზე“ და სხვა.

ამ შემთხვევაში გურულში, ისე როგორც მეგრულ-ქანულში, ყველა ზმნა აქტიურადაა გაგებული, მსგავსად გარდამავალი ზმნებისა და ამიტომაც ქვემდებარე დროთა მეორე ჯგუფში გარდაუვალ და საშუალო გვარის ზმნებთანაც მოთხრობითში ისმება². ამ მოვლენის თავისებურება მასშია, რომ ლოგოცურა და გრამატიკული სუბიექტ-ობიექტი არ ხვდებიან ერთმანეთს. ქართულში ამ შემთხვევაში სახელობითი ბრუნვა ასრულებს რუსული ბრალდებითი ბრუნვის როლს და მოთხრობითი ბრუნვა კი, რომელიც ინდო-ევროპულ ენებში არ მოიპოვება, ასრულებს სახელობითის როლს.

7. გურულში ადგილი აქვს ორმაგ უარყოფას, ისე როგორც სხვა ქართულ კილოებშიაც: „ფთაზე მიმავალი არ კაცი არ გეგულება“; „კეფერი ვერ გააქეთა“; „არავინ არ მოსულა“; „ნუფერს ნუ ეტყვი“³ და სხვა.

¹ იხ. ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით, „ქვენი მეცნიერება“, 1923 წ. გვ. 113—121. შდ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულს ენობრივი თავისებურებანი, გვ. 217.

² იხ. ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., სინტ. ანალოგიის ერთი შემთხ. ქართ. დიალექტ. მიხედვით. გვ. 117.

³ იხ. ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., ორმაგი უარყოფა ქართულში.

გურულს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მდიდარი თავისებურებანი ლექსიკაში აქვს... მიზანშეწონილად მივიჩნით ყველაზე სპეციფიკური ლექსიკური მოვლენების ცალკე გამოყოფა. თავისებურებები, პირველ რიგში, აღსანიშნავია ზმნებში. ზოგი ზმნა თავისებურადაა ნაწარმოები და ზოგის სემანტიკაც თავისებურია. აი ეს ზმნები: 1. აკვარკვალეგბა — ნიშნავს სიცივისაგან აკანკალებას; „ისთე აკვარკვალეფს, რომ კბილები ქლათ დაანტრია“ (შდ. მეგრ. კვარკვალი). 2. აკვიატება — ნიშნავს ვინმეს ათვალწუნებას. მაგ.: „ეიკვიატა და აღარ აძლევს საშველსო“. ნიშნავს აგრეთვე ადევნებასაც: „რომ იეკვიატა და წაზღია, რა უნდოდა ახლა იქინე“. 3. ამოღადგადგება — იხმარება წყველის დროს; მაგ.: „ამუღადგადგა ძირი“, ე. ი. მაგრად დაწყველა. 4. ამორაქვა, გამორაქვა — ნიშნავს ჭურჭლიდან წყლის ან სხვა რაიმე სითხის გამოცლას; მაგ.: „ისთე გამურანქავს, ერთი ყლანტი არ დუტოტოვიაო“. 5. აფართქალება — იტყვიან რაიმე ამბის ან საქმის გამო გახარებაზე: „აფართქალდა სინარულითო“; იტყვიან ქათმის აფრენაზედაც: „აფართქალდა ქათამიო“. 6. აქნა — ნიშნავს ფრიველის ხორცის დაკადსებას, დაქრას; აქენა, ნენა, ქათამი“. 7. აყუნა — საერთოდ ნიშნავს ხელში აყენას, რაიმეს ხელში დაჭერას (მაგ.: ბავშვის, იბოსი), ხოლო გურულში სპეციალურად იხმარება აგრეთვე იმის აღსანიშნავად, როდესაც ბებიან ქალი ახალდაბადებულ ბავშვს ხელში პირველად აიყვანს. მაგ.: „ატატომ წუხელის სონიეს ბალანე ეყუნა“. 8. აჩარჩება — ნიშნავს საქონლის ხორცის დაკადვას, დაქრას, მაგ.: შეიძლება აჩარჩება ხარის, ძროხის, ღორის, ცხვრის და სხვ. 9. მზაქი — წიწილების ხმაურობას ეძახიან, მაგ. წიწილებს რომ მოშივდებთ და ახმაურდებიან, იტყვიან: „აბზიქდა ქუქულებიო“. 10. ბუშვენა — ნიშნავს რქენას. მაგ.: „ჩვენმა ძროხამ უბუშვენაო“; „ხარმა უბუშვენა ბალანას“ და სხვა. 11. გაბოყვა — ნიშნავს ოჯახის შუაზე გაყოფას; ეს ზმნა ნაწარმოებია „ბოყვი“-საგან, რაც გურულში ნიშნავს იმ ხეს, რომელშიც ჩაშენებულია კედლის ფიკრები. აქედან „გაბოყვა“: „გაგვიბოყავს ოჯახს შუაზე“ (ნინოშვილი). 12. გათიშვა — „ამ დროს ქე მოხთა ბატონ-ყმობის გათიშვა“, ე. ი. გადაგდება, ჩამოგდება; საერთოდ, გურულში „გათიშვა“ ნიშნავს მოჩხუბრების ძალით გაზავებას. 13. გაკოპიტება — ა) ნიშნავს რაიმე საქმის კარგად და მოხერხებულად გაკეთებას: „გააკოპიტა საქმეო“. ბ) ნიშნავს ხის გათლა-გალამაზებას, ოთხკუთხედად რომ გამოთლიან. 14. გაკუქება — გულისმოსვლა, გაბრაზება: „ნანეტარი გაკუქტა აი კაცი“. 15. გამოკვრა — ნიშნავს რაიმე ცუდ შემთხვევას: „გლახა საქმე გამომკვრაო“. ე. ი. შემემთხვაო. 16. განარვა — ნაეი რომ წყალს გაარღვევს, იმაზე იტყვიან: „განარა ნავბა წყალი“; იტყვიან აგრეთვე: „გადამნარა გულზეო“. ე. ი. მესიამოვნაო. 17. გამოწიწინება — მკადის კარგად და წითლად გამოცხობაზე იტყვიან: „გამოწიწინდა ქალიო“. 18. გაპარება — ნიშნავს ცეცხლის ან სანთლის ჩაქრობას; მაგ. „ცაე; გაპარე სახში ცეხლი“ (შდ. „სულის გაპარება“). 19. გაროფვა — ა) ნიშნავს გატეხვას ან გაპობას: „გუროფთა თავიო“ (შდ. მეგრ. რეფუა — დაპობა). ბ) იტყვიან, ძალიან მაგრად რომ გაყინავს იმაზედაც: „გაროფილია ქლათ ყორიფელიო“, ე. ი. ძალზე გაყინულიაო (შდ. მეგრ. რეფუა — როფუა). 27. გახარხალება — ნიშნავს ყინიანობით ფეხების მიწაზე მოსმას. „გაასარხალა ფეხებიო“. 21. გაფიჩინება — ნიშნავს რაიმეს ძალიან გახმობას: „გააფიჩინა

ქარმა გზაი: „გათეინინდა ჩალა“ და სხვა. 22. გაქიქება — ნიშნავს ტანსაცმელის დახვევას, დაფლეთას. მაგ.: „იმდენი უქიდავებია, ქლა შამუუქიქებია ტანზე ყორიფელიო“ (მდ. ძველი ქართ. განქიქება). 23. გაყიფსება — მკადს რომ კეცზე დააგვიანდება, გაცივდება და გამაგრდება, იმაზე იტყვიან „გამოყიფსთა ჭადიო“. 24. გაწოლა — ნიშნავს ძალიან სწრაფად გაქცევას, თითქოს მიწაზე ევერისო, მაგ.: „გუუწვა ბალდათისკენ“, ე. ი. გაიქცა დიდი სისწრაფით ბალდათისკენ. 25. გაქარქვვა — ნიშნავს გაქულებას: „გეიქარქვა კაციო“ იტყვიან, თუ მიძიმე ტერითი მოაქვს. 26. დაბეჯნა — დამტკეცვა, იტყვიან: „მიწის მობეჯნაზე“; „ფქვილის დაბეჯნა“ და სხვ. (მდ. მეგრ. ბეკუა). 27. დაბეღვა — ა) ნიშნავს ხის ტოტების დაქრას: „გადაბეღა ყველა ბეოლები“; ბ) ნიშნავს მაგრად გალანჯვას: „მობეღა მაგრათო“. 28. დაბურღლაშება — ნიშნავს დახვევას, დარღვევას: „ტრაქტორმა დაბურღლაშა მიწაო“. 29. დაშამნება — ზომის აღება: „მოი, ერთი დემეზმანე, შენ ხარ უფროსი, აუ მე“. 30. დაკამება — დატბობა, მაგ.: „დუუკამდა ტიფანიო“ იტყვიან; იტყვიან კარგ დარწედაც: „დაკამებული ამინდიო“. 31. დაკვერვა — იტყვიან მოშეე ბული ნალის გამაგრებაზე ახალი ლურსმნებით, მაგ.: „ცხენს ნალი ელანტალება და მუუკვერე“. 32. დალუსკუშება — ნიშნავს ძალზე დაბნელებას: „ისთე დალუსკუშდა, რომ კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდაო“. 33. დამაგინება — ნიშნავს ვენახის ვაზის ერთი თავის მიწაში დამარხვას, რომელიც ახალ ფესვებს გაიკეთებს და ამგვარად ამრავლებენ ვაზის ნერვს, მაგ.: „დღეს ასი ძირი ვენახი კი დავამაგინეო“. 34. დამაშვა — ნიშნავს დაბარული მიწის დათოხვნას: „ნენა, ჩი ბახჩაში და დამაშე იი ერი ლუკმა მიწა“. 35. დამოწმება — ნიშნავს რაიმეს დაბარებას: „ქალო, ქალაქში მივალ და რას მიმოწმეფეო“; „ასთე კი დავგომოწმა იმ ენა ჩასავარდნმა“ (ნინოშვილი). 35. დამუხლება — ცოტა ხნით ჩამოჯდომა და ოდნავი შესვენება: „ცოტა დეიმუხლეთ, ბატონო“; „დღეს თელი დღეი დავწანწალოფ, ერთი არ დამიმუხლებია“. 36. დამოპრვა — ბავშვი რომ ბაგეებს სატირლად მოაწყობს, იმაზე იტყვიან: „რაფერ იაობრებაო“. 37. დაუღნობა — დაქნობა: „ქლა გადააქნო ამ გვალვებმა აი ყანები“. 38. დაფინცქალება — ნიშნავს წვრილ წვრილად დაქრას, დატეხვას; „ნენა, რაფა დააფინცქალე აი შეშა“. 39. დაფშუყვა — ა) ნიშნავს ცეცხლის ჩაქრობას: „რაფა დეიფშუყა აი ცეხლი“; ბ) ნიშნავს გაღარიბებას, გაღატაკებას: „დაფშუყვაზეა მისი ოჯახი“; „დეიფშუყა შენი ოჯახი“ (წყეველაა). 40. დაქანცვა — ნიშნავს ნაყოფს რომ ძალიან ესხმება, მაგ.: „ბალს ქლა დაქანცული აქ ბოლებიო“ (მდ. ლიტ. დაქანცული — დალილი). 41. დაქლარჩვა — ტირილისაგან თვალების დასივება, ან თვალების დაავადება. 42. დაყურხვა — ნიშნავს ნაყოფს რომ ბლომად ესხმება, მაგ.: „დაყურსული აქ ბოლები“ ან ქალს რომ შრავალი შვილი ეყოლება: „დაყურსულია ქმარ-შვილითო“. 43. დაჩაირება — საქონლის ბალახში დაბამაზე იტყვიან; „დაჩაირა ძროხა ბალახშიო“. 44. დაწიგნვა — დაწერილებით ამბის მოყოლა რაიმეს შესახებ: „ქლა დუუწიგნა ყორიფელიო“. 45. დაწირებება — ნიშნავს ა) სხეულის უწყსოდ მოძარბას. ბ) ნიშნავს შოლტის დაგრებას. 46. დაწიწმატება — სულიერი ტკივილისაგან დაგრება: „დაწიწმატრა საშინლათ, აი ამბავი რომ გეიგო“. 47. დახვანვა — ნიშნავს ბაგეების გაღებას და კბილების გამოჩენას. „რას ხვანავ მაგ კბილედსო“. 48. დახუშება — ნიშნავს რაიმეზე უკადრისობას და საქმეზე ხელის აღებას: „ერთხელ რომ დეიხუა, მერე აღარ მოკიდა ხელიო“. 49. ეთქვა —

ვრტევა: „სასელოთ ეთქვა მაკრინე“. 50. ზღუქუნი — გულამოსკენით ტირილი: „იზღუქუნა და იზღუქუნა, არ იქნა მისი გაჩერება“. 51. თრაქვა — ზიდვა: „ავთრაქე ბახმაროზე“. 52. მოგდება — ა) ნიშნავს კარის მოხურვას: „მუუგდე კარი“. ბ) ნიშნავს: ძროხა რომ ხზოს გააფუქებს, ან ცხენი რომ კვიცს გააფუქებს რუტელში: „ძროხამ ხზო მუაგდო“; „ცხენმა კვიცი მუაგდო“. 53. მოკვარაჰინება — ა) იტყვიან საქმის მოხერხებულად გაკეთებაზე: „მუაკვარაჰინა საქმი“; ბ) იტყვიან: „მოკვარაჰინებული აქ ქალბანი დესზეო“. 54. მოლოგინება — მშობიარობა: „დღეს მოლოგინდა ჩემი ჩაღლი“. 55. მორთვა — რაიმე საქმის გაკეთების შეუძლებლობაზე იტყვიან, მაგ.: „საქმის გაკეთება არ მეირთეება“, ე. ი. არ შეიძლება, „მაგის დაქერა არ მეირთეება“. 56. მორცხვა — ნიშნავს ღობის თავის მოკარბვას: „მურცხო ღობერს თავი“. 57. მ-ფულუტ-რება — ნიშნავს მობუზვას: „რაცხა მოფულუტებულია აი ქათაი“. 58. მოყვინთვა — ნიშნავს მოწყენას: „დღეს თელი დღეი მოყვინთულია და აფერი არ უქამია“. 59. მოცოცხვა — „მოცოცხა გურიისკენ“. ე. ი. გაქუსლა; „მოკრა მისი გუდანაბადი და მოცოცხა სახში“. 60. ყვერობა — გაღახვა, ჩხუბი: „ყვერობა ქონდენ საჯოხლეფს და სურებლეფს“. 61. ულაყენა — ნიშნავს ცუდად კითხვას: „დღეიწო საწყლათ წერილის ულაყენა“; „უპასუხა ენის ულაყენით“ (ნინოშვილი). ე. ი. უპასუხა ენის ბორძიკით. 62. უჩივა — ეუბნება: „რას მიჩივა აი კაცი“. 63. ქარჩალი — გაპირებით რაიმეს ზიდვა: „ჩავაქარჩალე ქადი წისქვილზე“. 64. ყურყუტი — დიდხანს ცდა: „ამ კაცმა უყურყუტა და უყურყუტა გამეიარსო, მარა აღარ დაადგა საშეელი“. 65. შებჰტვა — პირველ ენკენისთვის (დადგის) წინაღობით იციან: ყოველ სულდგმულს თავზე მიაკრავენ თავლის სანთელს, ასევე უძრავ ქონებასაც, რომ კუდიანებმა რაიმე არ ავნონ. 66. შებჰლალვა — სიმიინდი ხმოებაში რომ შევა, იმაზე იტყვიან: „მარიობისთვემდი თუ მივიტანე სული, მარიობისთვეში ჩემი ეზოის ყანა შეიბჰლალება და მერე რა მიკირს“. 67. შეთვლა — ნიშნავს ბალი ან ყურძენი რომ მწიფობაში შევა და ფერს იცვლის: „შეთლილია ბალი“. 68. შემოკლავუნება — ნიშნავს უწესოდ შემოლაპარაკებას: „რომ არ შემოგაკლავუნოს, არ იქნება“. 69. ჩაბჰლიტვა — ნიშნავს სიმიინდს კაკალი რომ დაუჭირიანდება: „ჩემ ყანას კოტები ქლა ჩაბჰლიტული აქ“. 70. ჩაკონჰვა — ჩაფსკენა: „ჩაკონჰვა საშინელათ, კაცი რომ ვერ გახსნის ისთე“. 71. ჩამოყვინთება — ნიშნავს თვლემას: „დათვრა და ქე ჩამიყვინთა“ (შდ. მოყვინთვა). 72. ჩღარტუნი — ნიშნავს ცუდად, უღონოდ მუშაობას: „უჩღარტუნეთს თონს საწყლათ“. 73. ჩორტანა — ნიშნავს არამჭკრემ დანით ჰრას: „რას იჩორტანები, ბიჭო, მაქანე“. 74. ჩუყვა — ნელდ შეშას რომ ცეცხლი არ მოეკიდება, იმაზე იტყვიან: „ამ ცეხლის ჩუყვამ გამიშრო სისხლიო“. 75. ჩხოტვა — ფოთლების დაყრევინება: „მოჩხოტა ბეოლი“. 76. ჩაბჰრვა — მიცვალებულის კირისუფლის შემწვენობას ეძახიან ფულით ან სხვა რაიმეთი. 77. წამოროყვა — დაუკვირებლად ლაპარაკი, წამოროშვა: „იმფერი სიტყვები წამოროყა, კაცი იმას არ იკადრებდა“. 78. წახსრობვა — ნიშნავს თავის წაქრას, თავის წაგდებინებას: „წახსრობა თავი ძირში“. 79. წატანება — ა) ნიშნავს ხელის წაღებას: „წატანა ხელი კედში“. ბ) ნიშნავს ვინმესი თან წაყოლას: „წეიტანე სახში აი ბალანე“. 80. წიკვა — ზიდვა: „ველარ შედლო ამ კაცმა მძიმე უღელის წიკვა და უფროსი შვილი ამიყენა გვერჩი“ (ნინოშვილი). 81. ხრიკვა — კინკლაობა, ვინმესთან დავა: „იმფერი ქალია, სულ მუდამ უნდა ეხრიკოს სხვას“ და სხვა.

ასევე დავასახელებთ თავისებური სემანტიკის მქონე რამდენიმე სახელს.

ალსანიშნავია ერთი გარემოება: გურულში სიტყვა და ენა ერთმანეთის სინონიმებად იხმარება, მაგ.: „იმდერი კაცი იყო, რომ გვზმობოდა ყოველ ენაზე“, ე. ი. ისეთი ენამახვილი იყო, რომ ყოველ სიტყვაზე გიპასუხებოდა; „მართალია, დიდი რჩის თავი არ მაქ, მარა მაინც ვიტყვი ორ ღერ ენას, თუ არ ვაძვინებენ აღხანაუები“ (ეშმაკის მასრახი, 1920, № 35, გვ. 5). ან კიდევ: „გულო, გულო, არ ვიტყვებ შეილო, შემომხედდე, ენა მითხარი“ (ნინოშვილი I, 222, 7). (შდ. ქანური: „ენა“ ნიშნავს „ენასაც“ და „სიტყვასაც“).

1. ბარდღალა — ნიშნავს ქრელს, მაგ.: „ბარდღალა ჩითი“ — „ქრელი ჩითი“. 2. ბიბო — ძალიან წმინდად დაფქვილი (პიპკი). 3. ბობოლი — აბრე-შუმის ჭია, საერთოდ ჭია. 4. ბოლი — ხის შტო, ტოტი: „მუშუტყტა ბოლი და ქე ჩამუარდა იორს“. 5. ბულუა — ნათლია. 6. ბუმბული — ნიშნავს ბუმბლისაგან გაკეთებულ სქელ ლეიბს (შდ. ლიტ. ბუმბული). 7. ბლინძურია/ე — ავეგულიანი, ბრაზიანი კაცი. 8. გაიდონა/ე, -ი — ბულბული. 9. გამარმაღეზული — ძალიან გალესილი, მკრელი, მახვილი: „ამეილო გამარმაღეზული დანა“. 10. გაზეტი — ამის მეტი, ამის გარდა: „ამის გამეტი თუარ გაქ, მე რაღას მომცემ“. 11. გუა-ბრედე — დაბალ და მუცელფართოზე იტყვიან, მაგ.: „გუაბრედე კაცი“; „გუა-ბრედე სანწახელი“. 12. გუნჯამ — გუშინდამ, მაგრამ გურული რამდენიმე დღესა და კვირის წინათ მოიხდარ ამბაზე იტყვის „გუნჯამ იყოვ“. 13. და-ბარცხული — დაბალი ტანის კაცზე იტყვიან: „ისეთ დაბარცხულია, ჯერ მიწას ვერ აცილებია“. 14. დეღანა/ე, -ი — ძროხას გურიაში დედანას ეძახიან, მაგ.: როდესაც უხმობენ, დაუძახებენ „მოი დედანა, მოი დედანა“ო; „ძროხის დაკვ-ლის შემდეგ კარგა ხანს პატარა ოქრუა გაიგონებდა, თუ არა სადმე ძროხის ბღაივლს, სიხარულით მირბოდა დედასთან „ჩვენი დედანაი ბღავისო“, — საღაა, შეილო, დედანა, ისე ბაგრატამ ნახა ცოლშვილი, რაეც ჩვენ აწი დედანაი ენაბო“ (ნინოშვილი, ტ. II, 192, 32). 15. დაპკოლღეზული — ისეთ კაცზე იტყვიან, რომელსაც რაიმე დამევეებული აქვს: „ომში დაპკოლღეზული კაცია“. 16. დაშნა — ყავრის დასამზადებელი იარაღია. 17. დგუჯელი — გრდემლი, 18. ელანძე — ერთ ლანდზე, ერთ წამში: „მოი ელანძე აგერ“, 19. თანისთან — ზედიზედ: „თანისთან მიილო მის თავზე ხმლის ყუამ ხათქახუთქი“ (ნინოშვილი). 20. ირენჭკა — ჩიტის მსე. 21. კალამი — მილი „ფუხრის კალამი“ (ბუხრის მილი); „ჩალამ-კალამი“. 22. კანტარო — კენწერო, მწვერვალი. 24. კორიფაი — ხის კარბა, საკეტი. 25. კუნცხურია/ე — კუხიანზე იტყვიან: „კუნცხურიაო“. 26. კურკუში — ძალიან მაგარი ძმარი: „კოჯინჯალაზე“ კიდებენ დოქით, რომ კარგად დასმარდეს. 27. კუჭე — მღვიჯე: „კუჭე ფსხალი“. 28. ლეზღმა — დიდი, ძლიერი წვიმა: „მევიდა ლეზღმა და ქლა წვილა ყორიდელი“. 29. ლეკი — წყლის მიერ მოტანილი ლექი: „წყალმა მოლექა მიწები“. 30. მაგანა მან-გალი — ნამგალი. 31. მაგარა/ე — ღვიძლი. „გახმა შენი გული და მაგარე“. 32. მირამორე — არემარე: „იმ მირა წორეში ადერი არ ჩანდა“. 33. ნაგულა — ნაკოტარე. 34. ორპოტიკა — ორტოტიანი: „გვევიდა აი კაცი ორპოტიკა ხეზე“. 35. ოფიჩო — ა) ნიშნავს კოვზისმაგვარად გაკეთებულ ხეს ნავიდან წყლის ამოსასხამად; ბ) ბლის ტყავისაგან გაკეთებულ როგოს ამოსადარებელს, ღვი-ნის სისუფთავის დასაცავად. 36. საღეჟრობო — საყანე მიწის ბე. 37. სუსტი — ვიწრო: „სუსტი აქ ფეხზე და იმიზა კოკლოფს“. 38. სკინჩალიე — კობტა, მკვირცხლი ბიჭი. „ქე უშონია სკინჩალიე ბიჭი“. 39. ტოტი — თათი: „გელმა

დაარტყა ტოტი ბიძაჩემს ცხვირპირზე" (შდ. ლიტ. ტოტი). 40. ურწყულა — უწყლო ზეთი, გამოხდილი ნივთებისგან. 41. ფერდი — ფენიხი; „მძარტყა ფერჩი“. 42. ფხორი — მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი; სადაც იზრდება წყლის სხვადასხვა მცენარე. 43. ფუნთხი — წვრილი, ვუჟუნა წვიმა. 44. ფურცელი — ფოთოლი. 45. ფშუკა — ორლობე. 46. ფშუკურა — ცუდი, ცარიელი; „ფშუკურა ნიგოზი ან თხილი“. 47. ქენტურაი — ნაკლებად ნოყიერი მიწა: „ქენტურაი მიწებია და იმიზა არ მოდის აფერი“. 48. ყვერბი — სამზარეულო სახლში ცეცხლის დასანთები ადგილი. 49. ყუაქიკაი — ბაყაყი. 50. ჩენჩილა/ე — კოთხოში რომ ფქვილს არ დატენიან, იმაზე იტყვიან „ჩენჩილაო“, ხოლო დატენილს „დაბეკნილს“ ეძახიან (იხ). 51. ჩოჩო — ფიცრებისაგან შეკერილი პატარა ოთხკუთხედი კოლოფია, რომელშიაც ახალამოღებულ ყველს დებენ, მას ნასერეტები აქვს და ყველი შიგ შრება. 52. ძინთი — წიწვიანი მცენარეების ტანიდან გამონადენი წებო. 53. წინსადგარე — ურმის კონკილა, ურმის წინ დასაყენებელი. 54. ჭინკორაი — გამხდარზე იტყვიან „მაი ჭინკორეო“; იტყვიან დაჭირიანებულ ხილზედაც. 55. ჭინჭი — ჩვარი, ფართლული, იტყვიან ტანსაცმელზედაც: „ჭინჭი არ აცვიაო“, ე. ი. ტანზე არ აცვიაო. 56. ზელი — ქვევრს რომ რაიმე სუნი ექნება და ღვინოს გადაედება, იმაზე იტყვიან: „ან ღვინოს ხელი აქვს“ და სხვა.

გურული კილოს მიმართება სხვა კარგულ კილოებთან

როგორც ჩვენი მიმოხილვიდან ჩანს, გურულს, პირველ რიგში, ყველაზე მეტი საერთო „დასავლურ“ კილოებთან აქვს. ამასთან ერთად ნათელია ისიც, რომ გურული თავისი სტადიური განვითარებით, ისე როგორც თავისი ენობრივი ცხოვრებით, რასაკვირველია, არ წარმოადგენს მონოლითურ კილოს. სტადიური განვითარებით სხვადასხვაა ზემო და ქვემოგურული. ზემოგურულის განვითარების სტადია ძალიან ახლოსაა ქვემოიმერულის განვითარების სტადიასთან. ფონეტიკურს, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებში თითქოს ძალიან ცოტა განსხვავებაა ზემოგურულსა და ქვემოგურულს შორის. მხოლოდ, რაც ქვემოიმერულისაგან ასხვავებს უმთავრესად გურულს, ეს არის ლექსიკური თავისებურება¹.

ქვემოგურულის განვითარების სტადია ძალიან ახლოსაა გურულის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კილოებთან: აპარულთან, მესხურთან და იმერხეულთან. მათ ძალიან ბევრი საერთო აქვთ. მაგ., მათთვის დამახასიათებელია უბრალოდ ხმარება გარკვეულ წემთხვევებში: ვი კომპლექსის ადგილას უ-ს ხმარება. თითქმის ერთნაირად ხდება პრევერბების ასიმილაცია. ხმოვნით ფუძე-დაბოლოებულობი სახელები ირთავენ ი-ს საცდლობითზე (იმერხეულში იოტი ისმის)². მათთვის საერთოა მთელი რიგი ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინტაქსური მოვლენები, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია „დასავლური“ კილოებისათვის³. რამდენადაც გურულში ძალიან საგრძნობია მეგრულ-ქანური

¹ საწვებაროდ დღევანდის იმერულის წესაზე გამოკვლევა არ მოგვეპოვება.

² შდ. შაკ. რ ხუბუა. ზემო აპარი, ენორ, ენიზ, ვი მიმოს, ლუა, გვ. 7.14.

³ „დასავლურს“ და „აღმოსავლურს“ კართული კილოების ნიშნით პირობითად ვხმარობთ, სანამ არ არის ხონაული წესაფერი ტერიტორიები კართული კილოების სტადიური განვითარების კლასიფიკაციის მიხედვით.

ვინა. რაც დღეს უკვე ბუნებრივ გურულად არის გამხდარი, ეს უკვე ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ გურულის გაბგერება ძირითადადში შიშინა ჯგუფის ხასიათისაა, ე. ი. იმ ჯგუფის, რა ჯგუფსაც მეგრულ-ქანური ეკუთვნის. ამის დანამტკიცებელი მაგალითები ზემოთ საკმარისად იყო მოყვანილი. მაგ.: „რუმ“; „ხუმ“; „რუმელ“; „რატუმ“; „ტუმარი“ (შდ. ლაზ. ტურთა); „ფულაქი“; „ქნება“; „წინებას“ ნაცვლად: „ჯუმადია“; „ოჯინჯალა“; „ჯარგვალი“; „მოქვა“; „ქუქული“ და მისთ. ტოპონიმიკურ სახელებში მორფოლოგიურ ელემენტად ო-ს ხმაოება ხა-ს მაგიერ („ოქვათო“; „ორჩხუში“ და სხვა).

გურულში მეტად გავრცელებულია, მსგავსად მეგრულ-ქანურისა, ქვემდებარის მოთხრობითში დასმა როგორც მოქმედებით, ისე საშუალო გვარის ზნებთან.

ამავე დროს გურულს ძალიან ბევრი საერთო აქვს ტერიტორიულად დაზოგბულსა და უცხო ენობრივ წრეში მოქცეულ ისეთ ქართულ კილოებთან. როგორცაა ფერეიდნული და ინგილოური.

ფერეიდნულში ჩვენ ვპოულობთ ბევრ ისეთ ნიშნებს, რომლებიც საერთოა გურულთან.

მაგ.: 1. ფერეიდნულში, ისე როგორც გურულში, ვხვდებით წყვილბაგისნიერ ვ (ვ)-ს (იხ. ფერ. მთ. თავისებ. გვ. 200), თუმცა გურულში წყვილბაგისნიერი ვ-ს გვერდით არსებობს კბილბაგისნიერი ვ-ც, მსგავსად ძველი ქართლისა.

2. ფერეიდნულში, ისე როგორც გურულში, ადგილი აქვს შემდეგ ბგერით კომპლექსთა სახეცვლილებას: ოვა → უა → უ; მაგ.: „მუა“ (მოვა). „გადმუელით“, „წამუელით“, „გამუართით“, „ამუაესეთ“ და სხვა (ფერ. მთ. თავ. გვ. 200).

3. ფერეიდნულში, ისე როგორც გურულში, ადგილი აქვს თანხმოვნებს შორის გ-ს დაკარგვას. მაგ.: თრამეტი, მოკდა (გურ. მოკტა), დახრეტო, მოსლა, გატიტლდა, თექსმეტი, მისწდა (გურ. მისწტა), გაშიშლდა და სხვა (ფერ. მთ. თავის. გვ. 205).

4. პრევერბების ასიმალაცია ზოგჯერ ფერეიდნულში ისეთსავე სახეს ლებულობს, როგორც გურულში და სხვა „დასავლურ“ კილოებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფერეიდნულში ი და ე ხმოვნები ვერ ახდენენ გავლენას პრევერბების ხმოვნებზე, მაშინ როდესაც გურულში ი და ე ახდენს გავლენას პრევერბების ხმოვნებზე¹.

5. ვნებითი გვარის ზნები ფერეიდნულში აწმყო დროის მესამე პირში -ის დაბოლოებას ლებულობენ. მაგ.: გაგრძელებების, ათავადების, გათენლების, აჯონდების, ეზიდების და სხვა. გურულშიც ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი, თუმცა ზოგ შემთხვევაში.

6. ქვემდებარე ფერეიდნულში მოთხრობითში ისმის საშუალო და ვნებითი გვარის ზნებთან. საერთოდ ვნებითი გვარის ზნებთან ქვემდებარის მოთხრობითში დასმა „აღმოსავლურ“ კილოებში არ ხდება. ამას „დასავლურში“ აქვს ადგილი და კერძოდ გურულში (იხ. ფერ. მთ. თავის. გვ. 217). ინგილოურსაც ბევრი ნიშანი აქვს საერთო გურულთან.

1. უბრაგუს ხმარება გარკვეულ შემთხვევებში;

¹ იხ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 209.

2. ხმოვნით დამთავრებული ფუძეები სახელობითში ირთავენ ი ხმოვანს, რონელიც ინგილოურში *ა*-ად იქცევა ყოველთვის, მაგ.: მამაჲ, ნენაჲ, მახეჲ, ხეჲ; სოკოჲ, თუჲ და სხვა (საინგ. გვ. 225). იოტის საკითხში ინგილოური გურულთან შედარებით ერთი საფეხურით წინაა, რადგან გურულში უმთავრესად ხმოვნების შემდეგ სრული ი ისმის.

3. ინგილოურში კავშირი „რომ“, მსგავსად აქარულისა და ნაწილობრივ გურულისა, იხმარება „რუმ“ ფორმით, მაგ.: „ლდლის ქალმა, ეს რუმ ქურმუხის აქეთაა დაძნაჲ“ (საინგ. გვ. 210,24); „რუმ იწოდნენ“ (210,18); „ლდელმა რუა თავიდან მაძშოროს (210,7); „თათარმა რუმ გააგო“ (210, 22); რუნ კაოვა დაძმუნა“ და სხვა.

4. ჩამოვთვლით გურულ-ინგილოურისათვის მთელ რიგ მსგავს ფონეტიკურ მოვლენებს, მაგ.: წაღან (წედან); კმენა (კბენა) (გურ. || კმენა); შიშა (შეშა): რუა (როვა); შიწრო (ვიწრო); ხუალ: ნეფე (მეფე); მახკულავი; ხანუოფი (სამყოფი); ნანდვილი (ნამდვილი); ტუმარა; დედუფალ; რემელ (გურულ-რემელი); არ ალის (არ არის); ჰუმ (გურ. ხუმ).

გურულ-ინგილოურისათვის მსგავსი ბგერათა დაკარგვა:

ტყელი (ბრტყელი); ჩხილი (ფრჩხილი); წყილი (რწყილი); ბილი. ინგილოურში „ერთი“, მსგავსად გურულისა, წარმოდგენილია „ერის“ სახით, მაგ.: „ერ კულიან დედაბერმა ჰუთხრა“; „იმის სილამაზე ერ შორეულ თათარმა გააგო“ და სხვ.

გარდა ამისა, გურული კილოს შედარება ხევხურულთან და საერთოდ მთის კილოებთან, გარეკახურთან და ქართლურთან ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმ აზრს, რომ: ქართული კილოების კლასიფიკაციისათვის ვერ გამოდგება ტერიტორიული პრინციპი არამედ აქ საჭიროა განვითარების სხვა პრინციპის მიყენება.

სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები¹

1. სვანური ქართველურ ენათა შორის ხმოვანი ბეგრებით ყველაზე უფრო მდიდარია. ამ მხრივ სვანურის ოთხ დიალექტში განსაკუთრებით გამოირჩევა ბალსზემოური, რომელშიც ხმოვანი ფონემებისა და მათი ვარიანტების რიცხვი ოცამდის აღწევს (ა, ე, აე, ი, ო, უ, გ, აგ; ა, ო, უ; ა, ე, ი, ო, უ, გ; ა, ო, უ).

2. სვანურს აქვს მაგარ და შერბილებულ ხმოვანთა წყვილები: ა—ა, ე—აე; ი—ა, ო—ა; უ—ა; გ—აგ. სვანური შერბილებული ხმოვნები არტიკულაციურად უფრო წინ არიან წამოწეულნი და სხვაგვარი აკუსტიკური ეფექტი აქვთ, ვიდრე შესატყვის მაგარ ხმოვნებს. მეორე რიგის ხმოვნები პალატალიზებული ვარიანტებია პირველი რიგის ხმოვნებისა. თანხმოვნები ამ ხმოვანთა წინ პალატალიზებულია.

3. პალატალიზებულ სვანურ ხმოვანთა ა, ო, უ, აე და აგ-ს წარმოთქმისას ენის ტანი წამოწეულია წინ მაგარი სასისაკენ, რის გამოც პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე უფრო მეტად შემცირებულია, ვიდრე შესატყვისი მაგარი ხმოვნების წარმოთქმისას.

4. მხოლოდ ბაგეთა ენერგიული მონაწილეობა განასხვავებს ო-ს ე-საგან; ო-ს ე-საგან; ა-ს ი-საგან; ა-ს ო-საგან; უ-ს გ-საგან და ა-ს ე-საგან. ენის არტიკულაციის მხრივ ლაბიალიზებულ და მის შესატყვის არალაბიალიზებულ ხმოვნებს შორის სრული მსგავსებაა.

5. ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა, რაც დღეს ასე დამახასიათებელია სვანურის ბალსზემოური და ბალსქვემოური დიალექტებისათვის, ისტორიულად გავრცელებული უნდა ყოფილიყო სხვა ქართველურ ენებშიც. ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა გაელენას ახდენს ხმოვნის ტონის სიმალღზე და იწვევს მის ნაწილობრივ დაყრუებას.

6. ხმოვანთა სიგრძე სვანურში ფონეტიკურია და არა ფონოლოგიური. იგი სვანურში კომბინაციურ ნიადაგზეა განვითარებული. ბევრ შემთხვევაში ხმოვანთა სიგრძე მიღებულია ორი ხმოვნის საერთო მახვილით გაერთიანების გზით.

7. ხმოვანი ეგუება მეზობელ სონანტებს: რ, ლ, ნ, მ, ა და მჟღერ სპირანტებს: ვ (ჟ), ზ, ძ. ამ თანხმოვნებთან გრძელდება წინამდევალი ხმოვანი ძალიან ხშირად, უკეთუ მახვილიც ამ ხმოვანზეა. უფრო იშვიათად ხმოვანთა სიგრძე სხვა მჟღერ და ყრუ თანხმოვნებთანაც დასტურდება, თუ ეს თანხმოვნები ბოზიციას არ ქნინან. ხმოვანთა სიგრძე სვანურში მოქმედი მახვილის ფუნქციითაა, მის ინტეგრალურ ნაწილს შეადგენს.

8. სვანური მახვილი რამდენიმე ნომენტს შეიცავს: დინამიკურს, მუსიკალურსა და ამავე დროს რაოდნობის ანუ კვანტიტატურს.

¹ სადოქტორო დისერტაციის თეზისები.

9. სვანურს მოძრავი მახვილი ახასიათებს; შეინიშნება აგრეთვე მეორე მარცვალზე მახვილის სტაბილიზაციის ტენდენცია (განსაკუთრებით ნაწარმოებ ფუძეებში). ცალკეულ სიტყვებს მახვილი ჩვეულებრივ ბოლოდან პირველ ან მეორე მარცვალზე მოუდის. როდესაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, ეს ხელს უწყობს აბსოლუტური ბოლო ხმოვნის მოკვეცას.

10. განსაკუთრებით თვალსაჩინოა სვანურში მახვილის დასმა პრევერებსა და სუფიქსებზე. მახვილს ატარებენ თანდებულების, ნათესაობითი და მოთხრობითი ბრუნვების ფორმანტების, მრავლობითი რიცხვის დაბოლოებისა და ზმნის წინ ხმარებული უარყოფითი ნაწილაკების ხმოვნები, რთულ სიტყვებში მახვილი შეინიშნება მთავარი და მეორეიარისხოვანი.

11. სვანური მახვილის შესიკალური მხარე ნათლად ირკვევა წინადადების მელოდიკის გათვალისწინებით. მთავარი და დამოკიდებული წინადადების მიჯნაზე მოლოდინის ინტონაცია მკვეთრად გამოირჩევა მთავარი წინადადების აბსოლუტურ ბოლოში მოქცეულ ნაცვალსახელურ ხმოვანზე მახვილის დასმით. ამ შემთხვევაში მახვილი და ინტონაცია შერწყმულია. სვანურ ფრაზაში ჩართული სიტყვები და წინადადებები გამოიყოფიან განსაკუთრებული მელოდაკით. ასევე განსაკუთრებული მელოდიკით წარმოითქმის კითხვის გამომხატველი ნაწილაკი.

12. დახურულ ერთმარცვლიან სიტყვებში უკანა რიგის ხმოვნებს (ო, უ) მახვილის შედეგად დიფთონგიზაცია მოსდით, ხოლო მახვილის გადანაცვლების შემთხვევაში ისევე მონოფთონგებად იქცევიან. ფუძეში მარცვალთა რაოდენობის შემცირება მკიროდაა დაკავშირებული მახვილთან.

13. ცნობილი ფაქტორების (ა. შანიცე, ვ. თოფურია) გარდა სვანურში უმლაუტს იწვევს პალატალიზებული თანხმოვნის ხმოვანზე გავლენა.

14. სვანურისათვის დამახასიათებელია ლაბიოველარიზაცია, რომლის საფუძველზედაც წინაენისმიერთა მეზობლობაში ვითარდება უკანაენისმიერი ხშულები: წინაენისშიერ ფშვინვიერებთან უკანაენისმიერი ფშვინვიერები, ხოლო წინაენისშიერ მკვეთრებთან უკანაენისმიერი და ფარინგალი მკვეთრები.

15. სვანურში დასტურდება ე. წ. მელერი-ხშული ფარინგალი (ლ'), რომელიც ქართველურ ენებს ოდესღაც უნდა ჰქონოდა, მაგრამ გადაშენებულა. სვანურში ეს ბგერა დღეს დასტურდება უფრო მოხუცების წარმოთქმაში და შემონახულია სპეციფიკურ ონომატოპოეტურ სიტყვებში, ფრინველთა და მცენარეთა სახელწოდებებში.

16. სვანურის მელერ ხშულებში, გარდა ლენტეხურისა, უფრო მეტი მელერობის ხარისხიანობა გვაქვს, ვიდრე ქართულისა და მეგრულ-ქანურის მელერ ხშულებში. სვანურს ახასიათებს მელერ ხშულ თანხმოვანთა ძლიერი დაწყება და ძლიერი დამთავრება, ამიტომ სვანურის მელერი ხშულები აბსოლუტურ ბოლოში მხოლოდ ნაწილობრივ კარგავენ მელერობას.

17. სვანურში თანხოვანთა ასიმილაციის ბუნებასა და თავისებურებას მელერ ხშულთა ძლიერი დაწყება და ძლიერი დამთავრება და მელერობის მეტი ხარისხიანობა განსაზღვრავს. სვანურს სახმო სიმების მოქმედების მიხედვით ასიმილაცია არ სჩვევია.

18. სვანურში წესდარებით უფრო ძლიერი ჩანს ტენდენცია თანხმოვანთა საარტიკულაციო ორგანოების მოქმედების მიხედვით მიმსგავსებისა.

19. სვანურის დისიმილაციური ტენდენციები განსხვავებულია ქართული ცოცხალი კილოებისა და მეგრულისაგან. თვით სვანურის დიალექტებშიც არ არის ერთნაირად გავრცელებული დისიმილაციის წესი.

20. სვანურის რამდენიმე დიალექტს ახასიათებს დისიმილაციური გაქვრება.

21. პალატალიზებულ ხმოვანთა წინ თანხმოვნის შერბილება სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა. სვანურში დასტურდება პალატალიზებულ და არაპალატალიზებულ თანხმოვანთა ვარიანტები.

22. სვანურში ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებული ბგერათგადაწვეის ტენდენცია დასტურდება. ბგერათგადაწვეის თავისებურება სვანურში შეპირობებულია მეღერ ხშულებში მეღერობის მეტი ხარისხიანობით.

23. სვანური მეტყველებისათვის უჩვეულოა სიტყვის თავში ერთად შეყრილ თანხმოვანთა წარმოთქმა. ამ მხრივ სვანურის ტენდენცია განსხვავდება ქართულისაგან. სვანურისათვის ჩვეულებრივია სიტყვის ბოლოში რამდენიმე თანხმოვნის თავშეყრა.

ГУРИЙСКИЙ ГОВОР ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА¹

(Исследование, тексты, словарь)

1. Изучение говоров грузинского языка, в частности гური́йского, является актуальной задачей грузинской диалектологии. В связи с коллективизацией деревни и поднятием общего культурного уровня населения усиливается влияние литературного языка на говоры, что способствует унификации этих говоров.

2. Данные гური́йского говора, находящегося в сложном языковом окружении, представляют исключительный интерес не только с точки зрения строительства современного грузинского литературного языка, но также и с точки зрения общего языкознания: «(В гური́йском) прослеживается легче, чем где-либо скрещение целого ряда социальных группировок, так наз. этнических образований» (Н. Я. Марр).

3. Почва для изучения гური́йского говора до настоящего времени подготавливалась путем издания гური́йских текстов. Особенности гური́йской речи нашли свое выражение в ряде произведений известного грузинского беллетриста Э. Ниношвили, частью в юмористических журналах («Эпмаглис матрали»), sporадически и в других литературных памятниках.

4. В многочисленных научных трудах акад. Н. Я. Марра богато представлен научный анализ гური́йского языкового материала, а в такой работе, как «Из Пирепейской Гурии» (К вопросу о методе, 1927 г.) специально ставится вопрос о значении гური́йского говора для общего языкознания.

5. В числе крупнейших достижений нового учения о языке нужно отметить то, что оно особое внимание уделяло живым бесписьменным языкам, сделав их самодовлеющим объектом своего исследования — «Дорогу живым и сочным фактам живой речи, их массовому движению» (Н. Я. Марр). Большое практическое и теоретическое значение для грузинской диалектологии имеет, между прочим, следующее положение акад. Н. Я. Марра: «Живые грузинские говоры сохраняют часто более архаичные явления, чем язык древнейших памятников грузинской письменности».

6. «Материально средства обогащения и развития грузинского языка черпаются в скрещении достижений и навыков унаследованного от древности мертвого литературного языка феодалов и в сокровищнице живой речи» (Н. Я. Марр).

Роль живой речи в развитии грузинского литературного языка особой яркостью выделяется начиная с XIX в. «На последнем этапе де-

¹ Тезисы диссертации на степень кандидата наук.

мократизации литературного грузинского языка наблюдается скрещение языков разложившегося дворянства и народившейся в XIX в. мелкой буржуазии“ (Ш. Я. Марр).

Демократизация эта особенно мощные формы принимает со второй половины XIX в. когда, благодаря быстро развивающейся системе капиталистического хозяйства, на литературное поприще выступают представители мелкой буржуазии и разложившегося дворянства.

7. Во много раз скрещенном Гური́йском говоре особое внимание привлекает мегрело-чанский слой, наличие которого указывает на определенные исторические взаимоотношения между гური́йским говором и мегрело-чанским языком; на почве этих взаимоотношений удастся объяснить ряд фонетических, морфологических и синтаксических особенностей гური́йского говора.

8. Ближайшее изучение языковых материалов гური́йского говора дает нам право поставить вопрос о наличии верхнегური́йского и нижнегური́йского языковых слоев. „Верхнегური́йский“ стоит ближе к нижеимерскому говору, а „нижнегური́йский“ — к говорам, прилегающим к Гурии с юго-запада, именно: к аджарскому, месхскому и имерхевскому.

9. В гური́йском говоре обильно представлены такие фонетические явления, как переход звуков, их ассимиляция, диссимиляция, субституция, исчезновение и др.

10. Из морфологическо-синтаксических явлений особенно характерны для гური́йского говора: сохранение в именительном падеже падежного окончания с (i) в именах с конечным гласным и отсутствие редукции (либо ее слабое проявление) в родительном, творительном и направительном падежах (ზამბ-ი, Sapon-i; ზამბ-ობ, Sapon-is; ზამბ-ათ, Sapon-iჲ; ზამბ-ათ, Sapon-aჲ). наличие сугубой формы множественного числа в именах ჯა-ბ-ჯა-ი, ჭიპ-ი-ებ-ი; употребление субъективного суффикса третьего лица множественного числа — ჯბ(-ენ) в глаголах, где в литературном языке и некоторых говорах ему соответствует: — ჯბ(-ეს); смешение форм спряжения объективного и субъективного строя; сохранение следов употребления объективного префикса третьего лица в одной группе глаголов; особое употребление суффиксов и послелогов; наличие частицы ჯჯ (qe) определенным синтаксическим значением; наличие так наз. „пассивной конструкции“ в глаголах непереходных (средн. зал.) и др.

სასცენო მეთვლელების მეთოდური საბჭო¹

ახლა დიდი ყურადღება ეთმობა ისეთი პრობლემების შესწავლას, როგორცაა: ნაციონალური ენების განვითარება და მათი ურთიერთ გამდიდრება, ლიტერატურული ენებისა და დიალექტების ურთიერთ მიმართება და მართებული ნორმების შემუშავება, მეტყველების კულტურისათვის ზრუნვა, ენის თეორიული საკითხების მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე დამუშავება და ა. შ.

მეტყველების კულტურის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურ საკითხად იქცა იმიტომაც, რომ მეტყველების კულტურის გარეშე არ არსებობს არც აზროვნების კულტურა. ამ ასპექტში კიდევ უფრო მეტი აქტუალობა მოიპოვა ენისა და თეატრის პრობლემამ, მშობლიური სასცენო მეტყველების სრულყოფილად დამუშავების საკითხმა, ვინაიდან თეატრი ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში ყოველთვის იყო, არის და იქნება სწორი, სანიმუშო ლიტერატურული ენის ფართო მასებში პროპაგანდის დიდი ტრიბუნა.

სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების რუსული სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს მსგავსად საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან დაარსდა ქართული სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი მსახიობები, თეატრის მოღვაწეები და ენათმეცნიერები: საქ. სსრ სახალხო არტისტი, პროფ. დ. ალექსიძე, საქ. სსრ სახალხო არტისტი ე. ამირეჯიბი, საქ. სსრ სახალხო არტისტი დ. ანთაძე, სსრკ სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, აკად. გ. ახვლედიანი (თავმჯდომარე), სსრკ სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), აკად. ვ. თოფურია, დოც. მ. მრეველიშვილი, დოც. ბ. ნიკოლაიშვილი (სწავლული მდივანი), პროფ. ს. ჟღენტი, აკად. ა. შანიძე, პროფ. შ. ძიძიგური, სსრკ სახალხო არტისტი ა. ხორავა (თავმჯდომარის მოადგილე).

სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს მთავარ ამოცანას შეადგენს ქართული სასცენო მეტყველების თეორიისა და პრაქტიკის საკითხების მეცნიერული შესწავლა, სასცენო მეტყველების შემდგომი განვითარებისათვის მიმართულების მიცემა მეტყველების საერთო კულტურის ამადლების მიზნით.

მეთოდური საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასცენო მეტყველების სიწმინდის საკითხებს, მასში სალიტერატურო ენისა და კუთხური მეტყველების ურთიერთ მიმართებას, სასცენო ორთოეპიის საკითხების მოწესრიგებას, რათა სწორად იქნეს გამოყენებული აქცენტუაცია და ინტონაციის სახეები, პაუზაცია და მეტყველების ტემპი, ხმის ტემბრალური თავისებურებანი და ა. შ., რომლებიც შელავნდებიან სასცენო მეტყველების ემოციურსა და მოდალურ ელფერში.

¹ საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოამბე. № 1, 1963, მოწინავე.

ამ მიზნით მეთოდური საბჭოს წევრები ესწრებიან დედაქალაქისა და პერიფერიული თეატრების სპექტაკლებს და საბჭოს სხდომებზე აწყობენ გასინჯული სპექტაკლების ენობრივ განხილვა-შეფასებას.

მუშაობის გაადვილების მიზნით წარმოებს სპექტაკლების მაგნიტოფონური ჩაწერაც, რაც თავის მხრივ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს გაბმული მეტყველების მოდულაციის ანალიზისა და ინტონაციის შესწავლისათვის.

სასცენო მეტყველების საკითხების ფართო საზოგადოებრივი განხილვის მიზნით მეთოდური საბჭო გამართავს სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებს თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

მეთოდური საბჭო თავის მუშაობაში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ქართული სალიტერატურო ენის წარმოთქმისა და სასცენო მეტყველების აქტუალურ საკითხებზე ცალკეული მონოგრაფიების შედგენასა და გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეების მიერ ამ საკითხებზე გამოთქმულ მოსაზრებათა პოპულარიზაციას, „თეატრალური ტერმინოლოგიური ლექსიკონის“ შედგენასა და გამოცემას. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს მუშაობის შედეგები სტატიების სახით პერაოდულად გამოქვეყნდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

ამჟამად კი მკითხველებს ვთავაზობთ „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოამბის“ მორიგ ნომერს, რომელიც მიძღვნილია სასცენო მეტყველების საკითხებისადმი.

ანბარიში 1938 წ. საზაფხულო მივლინებისა სვანური ენის
ფონეტიკაში სამუშაოდ

სვანურ ენაზე სამუშაოდ ჩემი მივლინება ეს მეორედ იყო (პირველად ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმავლინა 1937 წ. ზაფხულს).

სამუშაო რაიონად ზემო სვანეთი ავირჩიე, რადგან სხვა დიალექტებთან შედარებით ამ რაიონის მეტყველებისათვის დამახასიათებელია ყველაზე რთული ენობრივი მოვლენები, რომელთა დაძლევის შემდეგ სხვა დიალექტების დაძლევა უფრო ადვილია.

მივლინების მიზანს შეადგენდა, პირველ რიგში, სვანურ კონსონანტებზე დაკვირვება. გარდა ამისა, სვანური ენობრივი აგებულების (სტრუქტურის) შესწავლა ცოცხალ მეტყველებაში.

სვანურ კონსონანტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ზემო სვანურში მგლე-რობის ხარისხიანობა მგლერ ხმულებში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე სხვა ქართველურ ენებში.

